დევი ბერძენიშვილი

# ნარკვევები

წიგნის გამოცემა დაფინანსდა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის მიერ.

© დევი ბერძენიშვილი

რედაქტორები: გიორგი ჭეიშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი: მარიამ ვაჩეიშვილი.

დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ქისიშვილი.

# სამხრეთ საქართველოს ნაპერწყლები

„მიგვატოვონ მარად მათ. სამხრეთის ქართა,
რაღაც არ მგონია..."
ანა კალანდაძე

ძველ ქართულში ლამაზი სიტყვა და სახე ნაპერწყალი, ქარით მონაბერ წყლის წვეთებს გულისხმობს (აქედან-ნაპერწკალი). სამხრეთ საქართველოს კი, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოებრივი საწყისების სამხრეთული წარმომავლობის გამო: ესაა ქართველ ტომთა უძველესი პოლიტიკური გაერთიანებები, მათი პრაენა, ქართული წერილობითი ტრადიციით შემორჩენილი არიან-ქართლი, უძველესი ღვთაებანი... არც ისაა შემთხვევითი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს აღწერას სამხრეთის საზღვრებითა და ქვეყნებით იწყებს.

ამ წიგნში გაერთიანებული ნარკვევებიც, ძირითადად სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის ცალკეულ საკითხებს აშუქებენ. თემატურად დალაგებული, ეს შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომები, იმედია უფრო საინტერესო და ადვილსაკითხავი იქნება საზოგადოებისათვის.

# I. წარწერებთან დაკავშირებით

## ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან*

### (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით)

ქვემო ქართლის ექსპედიციის 1958 წლის მონაპოვართა შორის არის უცნობი წარწერა ქვემო წერაქვიდან. წერაქვი დღეს ერთადერთი ქართული სოფელია შულავრისხევში, თუ სოფელ სიონს არ მივიღებთ მხედველობაში, სადაც ქართველებთან ერთად სომხები, ბერძნები და თათრებიც მოსახლეობენ; წერაქვის დღევანდელი მცხოვრებნი ცხადიაშვილები (ბოგვიდან მოსულნი), ბოსტოღანაშვილები (დიღმიდან), ბურნაძენი, ადამაშვილები, მაისურაძეები, ბესტავაშვილები, ანტონისძენი, ზაკალაშვილები, კიტაშვილები და ოქრუაშვილები არიან—სულ 110 კომლი. სოფელი დაახლოებით 150 წლის წინ უნდა იყოს მოშენებული, როგორც ეს აქაურმა 80 წლის მკვიდრმა ვასო ცხადიაშვილმა აგვიხსნა. მისივე სიტყვით, სიონის დღევანდელი ქართველებიც წერაქვიდან ყოფილან გადასულნი.

ქვემო წერაქვში ვასო ცხადიაშვილმა მიგვიყვანა. ეს ნასოფლარი დღევანდელი სოფლიდან დაახლოებით 2 კმ-ზეა, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით შულავრისწყლის მარცხენა შენაკადი ხევის სათავეში, მთის ფერდზეა იგი შეფენილი. სამონასტრო კომპლექსი კი, ნასოფლარის ჩრდილოეთით, განაპირას დგას. მთელი ეს ტერიტორია დღეს ტყიანია, გაველურებული ხეხილითა და ვაზით, დაბლობში საწნახელთა ნაშთებით, ტოპონიმიაში „პანტიანით" „ვაშლიანით", „ბაღების მიწითა" და სხვ.

მონასტერს ირგვლივ ქვის გალავანი აკრავს, ალაგ-ალაგ მრგვალი ბურჯებით გამაგრებული; ნაგებია იგი მოზრდილი ქვის რიგებით, რომელთაც მორიგეობით ენაცვლება ბრტყელი, მცირე ზომის ქვათა რიგი. 3–4 ნაგებობა გალავნის შიგნით საცხოვრებელი, თუ სამეურნეო დანიშნულებისაა.

ეკლესია დარბაზული ტიპის, ორნავიანი შენობაა, კარგად გათლილი, ღია ფერის სწორი კვადრებით, მშენებლობის

*დაიბეჭდა „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული"-ს I ტომში 1960 წ.

დამახასიათებელი ჰორიზონტალური წყობით; ორივე ნავის გარეთ გამოტანილი აფსიდები (ხუთწახნაგა და სამწახნაგა); ორსაფეხურიანი სარისხი, ნაწილობრივ მიწით დაფარული; შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდან; ორივეგან ორმხრივ გახსნილი. თაღიანი კარიბჭეები, რომელთაგან სამხრეთისას ორნამენტირებული გვირგვინის ნაწილი შერჩენია, სადაც შესაძლოა ერთ ყოფილიყო დატოვებული. კარებს ისევე, როგორც სარკმლებს, წნულ-ორნამენტიანი ფართო ჩარჩოები შემოუყვებათ.

არქიტექტორი თ. ქარუმიძე, რომელმაც აზომა და აღწერა მთელი სამონასტრო კომპლექსი, ფიქრობს, რომ „Строительный прием (аккуратностъ возведения зданий снаружи и небрежностъ их интеръера) пропорции, принципы распределения декора, рисунок, техника и художественный стилъ орнамента профилировка арок, копитилей и деталей, ребристый купол южного фасада –единогласно датируют XII– началом XIII в."[1]

ეკლესიის მთავარი ნავის აფსიდის წახნაგზე გარედან, სარკმლის მარჯვნივ, ერთ-ერთ დიდ კვადრზე, ასომთავრულით ნარევი ნუსხურით ამოკვეთილია წარწერა. წარწერიანი ლოდი დაზიანებულია და ორმხრივ (მარჯვნივ და ქვევით) ნაკლულიც.



აფხიდის ძირ'ში მოსინჯვის შემდეგ, ქვის ნატეხი აღმოჩნდა წარწერის რამოდენიმე ასოთი; იგი ზუსტად მიუდგა ქვედა მოტეხილი ნაწილის მეექვსე სტრიქონს. მიუხედავად ამისა ცხრასტრიქონიანი წარწერა მაინც ნაკლულია. ასოების ამოკვეთა არაა ღრმა; განკვეთილობის ნიშნებად ორ-ორი წერტილია ნახმარი. პალეოგრაფიულად საინტერესოა „ლ"-სის, „შ"–ისა და „ბ"-ის ორნაირი (ნუსხურიცა და ასომთავრულიც) ხმარება პირველ,[2] მესამე და მეოთხე სტრიქონებში, უკანასკნელი.– მეცხრე სტრიქონის ორი ბოლო სიტყვა მარჯვნივ, მეორე ქვა'ზეა გადატანილი, ამიტომ ეს სტრიქონი სხვებ'ზე გრძელი უნდა ყოფილიყო.

წარწერის დღევანდელი სახე, ამონათხარ ფრაგმენტთან ერთად ასეთია



წარწერის მონახა'ზი

ქარაგმების გახსნით წარწერას მე ასე ვკითხულობ:

1. სახელითა ღმრთ[ისაჲთა] შე[წ'ევნით]
2. ა სულის წმიდისა [ჲთა] [მეო]
3. ხებითა ყოვლად [წმიდისა]
4. ღმრთისმ'შობლისაჲთა ვიწყ[ე] [მე]
5. დიდმან ფანასკერტელმან [...]

6. მან მეორედ განახლება [დ] [ამის]
7. [წმიდი]სა ღმრთისმშ[ობლის]
8. [ეკლესიი]სა [სულისა] [ჩუენისა]
9. [სახსრად] და სამლოცველოდ[3]

მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე სტრიქონების კვადრატულ ფრჩხილებში ნასმული სიტყვები, რა თქმა უნდა, ვერ დაიჩემებენ სიზუსტეს; ამრიგად, წარწერიდან ირკვევა, რომ: ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, აღსადგენი უკვე დახვედრია ფანასკერტელს, რომელსაც „დაუწყია მეორედ განახლება" მისი; განმაახლებელი, რომლის სახელი დაკარგულა, „დიდ ფანასკერტელადაა" მოხსენიებული.

არათანაბარი განაწილება სტრიქონებისა, სხვადასხვა მანძილი სიტყვებსა და ასოებს შორის, შეცდომები წარწერაში— ყველაფერი ეს თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ოსტატს წარწერა პირდაპირ კედელზე ამოუკვეთია მაშინ, როცა ქვაზე უკვე გაჩენილი ნაპრალები აიძულებდნენ ხელოსანს მათთვის გვერდი აევლო და წარწერა უსწორმასწოროდ გამოსვლოდა. ამას გარდა, წარწერის მოთავსების ადგილი, ფანასკერტელის ხსენება, როგორც მეორედ განმაახლებლისა— უეჭველად მოწმობს წარწერის გვიანდელობას და მონასტრის აქ მანამდე, თუნდაც XII-XIII სს-ში არსებობას. თ. ქარუმიძის აზრით, ამ მეორედ განახლების კვალი დასავლეთის კარიბჭის აგურით გადახურული თაღი უნდა იყოს.[4]

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერაში დამახასიათებელია „ა",—მისი ზედა ჰორიზონტალური ხაზი არასოდეს სწორი არაა და გათიშულია ქვედა რკალისაგან; „ნ"-ს თავი მოკაუჭებული აქვს; სწორკუთხაა „ლ", „ო" და „ფ" (ცალკეული ასოები (ა,ბ,დ,ნ, და სხვა) სავსებით იმეორებენ ძველი შუამთის ხის კარის,[5] საყანის,[6] სამთავისის „მეორედ აღმშენებლის"[7] წარწერების ასოთა მოხაზულობას. ყველა ეს ერთად საფუძველს გვაძლევს—წერაქვის ეკლესიის წარწერა XV ს-ით დავათარიღოთ.

სოფ. წერაქვი და მისი მიდამოები, აქაური მოხუცების სიტყვით, ბარათაშვილთა კუთვნილი ყოფილა. XVII საუკუნეზე უადრეს საბუთებში იგი არ შემხვედრია. 1689 წლის ერთ-ერთ საბუთში კი, წერაქვი ბარათაშვილის „მკვიდრი მამულია",[8] ხოლო 1783 წელს – მათგან განაყარი გოსტაშაბიშვილებისა.[9]

საინტერესოა ფანასკერტელის მოხსენიება საბარათიანო სოფელში; როგორც ჩანს, მას აქ რაღაცაზე ხელი მიუწვდებოდა. ვინ შეიძლება იყოს იგი და რა დროის მოღვაწე? რა ხელი ჰქონდა მას ქართლის ამ განაპირა სოფელში? ვიდრე ამ კითხვებზე ვეცდებოდე პასუხის გაცემას, ფანასკერტელთა საგვარეულოს თავგადასავალს შევეხები შესაძლოა სისრულით.

ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულო ერთ–ერთი უძლიერესთაგანი იყო საქართველოს სამხრეთ–დასავლეთში. ამ გვარის სახელწოდება „ფანასკერტი"–დანაა ნაწარმოები და მიღებულია ამ პუნქტის ციხის მფლობელობის გამო ისევე, როგორც კალმახელი „კალმახი"–დან, ჯაყელი „ჯაყი"-დან...

ფანასკერტი ამიერ–ტაოს უმნიშვნელოვანეს ციხეთაგანი იყო. მისი სახელი ვახუშტი ბატონიშვილთან „ფანასკეთი"-ა და „ფანასკეტი": სხვა წყაროებში ყველგანაა „ფანასკერტი" ს. ჯიქიას აზრით–„შეიძლება. რომ თავდაპირველად მართლა იყო ფანასკეთი||ფანასკეტი, რომელიც შემდეგ გააზრებულ იქმნა ფანასკერტად"[10]

ასევე ფიქრობს გ. ჩუბინაშვილი. იმოწმებს რა ზაზა ფანასკერტელის ფრესკის მინაწერს ყინცვისიდან.[11] მიუხედავად ამისა, გაუგებარია მაინც რატომ არ შეიძლებოდა მომხდარიყო პირიქით და სახელის ძველი ფორმა „ფანასკერტი" ვახუშტი ბატონიშვილს გაეაზრებინა „ფანასკეთ"-ად (ასეთი შემთხვევები ხშირია მასთან), ეს მით უფრო. რომ ყველა ძველ ცნობაში, საბუთებსა და მინაწერებში არის „ფანასკერტი" ისევე, როგორც წერაქვის წარწერაში.

ფანასკერტელის უფლება. გარკვეული დროიდან. მთელ ტაოს სწვდებოდა; იგი იყო ერისთავთ–ერისთავი და პატრონი ტაოსი. ადრე კი „IX ს-ში უკვე, ტაოს, შავშეთ–კლარჯეთის სამთავრო საგვარეულოს ერთ-ერთი უმთავრესი შტო ფლობს, რომლის წარმომადგენლები ჩვეულებრივ კურაპალატობის პატივს ატარებდნენ და ზოგჯერ წყაროებით ცნობილნი არიან, როგორც „მეფენი–ტაოელნი" ეს შტო იმდენად გავლენიანი იყო, რომ როცა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს სამთავროების წიაღში მეფობა დაწესდა (888-წ)–ამ შტოს წევრებმა მიიღეს მეფის უფლებაც. მათ ემორჩილებოდნენ საგვარეულოს სხვა წევრები ვითარცა ერისთავთ–ერისთავნი და ერისთავნი".[12]

საინტერესოა, რომ ფანასკერტი ბაგრატ III დროს სამეფო ციხე ჩანს, მისი საზაფხულო სადგომი. ბაგრატმაო–მოგვითხრობს

სუმბატ დავითის ძე—„მოიყუანა კლარჯნი პელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულნი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი". ამით ბაგრატმა კლარჯეთის ბაგრატიონთა შტო მოკვეთა და მათი ქვეყნები შემოიერთა. „ამის შემდგომად მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფო თჳსი, აფხაზეთი, ჰერეთი, კახეთი, მოვიდა და დაიზამთრაჭყვითა ტაოსათა და მორაიწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა წელსა მესამესა და მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატ".[13]

ბაგრატ IV, გიორგი II, ტაოსა და ბანას, ძველებურად, „მამულად თჳსად" მიიჩნევენ. ამავე დროს ტაოში უკვე ერისთავიც ჩანს. ბიზანტიიდან შინ დაბრუნებულ ბაგრატ IV, სხვებთან ერთად, ეგებებიან „დიდებულნი, ერისთავნი, აზნაურნი ტაოელნი", რომელნიც მალე ამჟღავნებენ ქართველთა მეფის ღალატისა და ბერძენთა მხარეზე გადასვლის სურვილს: და წავიდა საბერძნეთს „ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა", მათვე მიჰბაძა შავშეთის ერისთავმა ჩანჩახ ფალელმაც.[14] აქ საინტერესოა—ხომ არაა ვაჩე კარიჭის ძე ტაოს ერისთავი ჩანჩახ ფალელის—შავშეთის ერისთავის მსგავსად? ყოველ შემთხვევაში იგი მნიშვნელოვანი ფიგურა ჩანს ტაოში ბანელი ეპისკოპოსის გვერდით, რომელიც იყო „მწყემსი ფანასკერტისა და სულიად ტაოსი". კარიჭის ძე უძველეს მთავართა გვარებთან აქვს დასახელებული ვახუშტისაც.[15]

შემდგომ ხანებში ტაოს მფლობელად გუზან აბულასანის ძე ჩანს—თამარ მეფის თანამედროვე. თამარის პირველი ისტორიკოსი, მოგვითხრობს რა კარნუქალაქელთა, შამელთა და გარმიანელ თურქთა შემოსევაზე— წერს: „აივსო შავშეთის და კლარჯეთის ქუეყანაჲ; აქათ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მის ქუეყანისა ლაშქარნი, და ბოცო და ვინცალა იახლა"[16] ქართველებს დაუმარცხებიათ მტერი და გაურეკიათ...

განდევნილი გიორგი რუსის ბიზანტიიდან საქართველოში დაბრუნებისას (1190—91წწ), თამარს უღალატა ზოგიერთმა ერისთავმა და გიორგის მიეგება. მოღალატეთა შორის „პირველად გუზან პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა",[17] მას მიყვნენ ბოცო ჯაყელი და ვარდან დადიანიც.

აქ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ გუზანი ტაოელი ერისთავთ—ერისთავია, რომელსაც კლარჯეთისა და შავშეთის

პატრონობაც მიუღია. განსვენებული ლ. მუსხელიშვილის აზრით, შავშეთი ჩანჩახ ფალელის შემდეგ აბუსერისძეთ ეძლევათ;[18] ტბელების კუთვნილი იყო იგი შემდგომ ხანებში. აქ კი, როგორც ვხედავთ, გუზანი დაპატრონებია. ის „მეფეთა ადგილსა ზედა" მჯდომელია მსგავსად მხარგრძელისა (ლორის სამეფო) და არიშიანისა (ჰერეთ–კახეთის სამეფო);[19] იგია, რომელიც თამარმა „თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და გულსავსედ წყალობითა აღვსილ ჰყო."[20]

აჯანყების დამარცხების შემდეგ, გადამდგარი ერისთავები მეფეს ხლებიან და პატიება უთხოვიათ მისთვის. გუზანი კი, ტაოს განაპირა ციხეებში გამაგრებულა და შაჰ–არმენის დახმარებით ცდილა წინააღმდეგობის გაწევას. გუზანის ერთგულებას შერჩა ამ დროს სამძივარი და სხვა აზნაურიშვილებიც. „გუზან პირველითგანვე წარმწყმედელი თავისა აწცა გამტანელი ტაოს–კარისა, ვაშლოვანისა"[21] და სხვათა ციხეთა მრავალთაჲ წირვიდა ქუეყანასა შაჰ–არმენისასა"[22]. კოლის მთაზე თამარის ერთგული აზნაურიშვილები გადაღობვიან მას და გუზანის ცოლშვილი ტყვედ ჩაუგდიათ. ისტორიკოსი აქვე ასახელებს ამ გმირებს – „ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი და კალმახელნი". რომელთაც თურმე „აიხუნეს ციხეები და სიმაგრენი და კუალად–მგებელნი ქუეყანისანი. მოიწივნეს წინაშე თამარისა, რომელმან მოჰფინა ნათელი წყალობისაჲ და გარდაიჴადა მადლი მოჭირვებისა".[23] ესაა პირველი ფანასკერტელი, რომელიც ჩვენ გვხვდება წყაროებში. არის კიდევ ერთი მიქელ ხუცესი ფანასკერტელი, რომელიც 968 წელს იხსენიება ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში,[24] მაგრამ აქ ფანასკერტელობა სადაურობის მაჩვენებელია მხოლოდ და, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი ფანასკერტის მფლობელობასთან მას არ აქვს.

ეს ზაქარია კი, ფანასკერტის მფლობელი ფეოდალია „ყმა კარგი და პატრონისაგან შეწყალებული".[25]

მის შესახებ ცნობას ვხვდებით ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაშიაც. ისტორიკოსი აგვიწერს იმ თავდადებით სამსახურს–თამარის წინაშე რომ ეწეოდნენ სხვადასხვა ხელისუფალნი, მონაპირეებს, „რომელნი ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებლად". ამ შესანიშნავ ცნობაში მონაპირეთა შესახებ, ავტორი გაგიდან მოყოლებით ასახელებს სანაპირო მხარეებს და მათ ხელისუფალთ: „შავშეთით სპერით კერძო

ფანასკერტი იყო. ამას შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არცა, ღმერთო, უბედო. ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხუინა, არცა პატრონის წყალობა აუქმა თუისსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერთო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი ციხენი და ადგილნი."[26]

ეს ცნობა მრავალმხრივაა საინტერესო. აქედან ჩანს, რომ ზაქარია შავშეთიდან, ღადოს მთებიდან მოდის; იგი არაა უგვარი–აზნაურია, მაგრამ სამეფო კარზე ახლა იწყებს დაწინაურებას. ასპანისძენი, შემდეგ ხანებში, ტაოს ერთ–ერთი ფეოდალური საგვარეულოა, ამ შემთხვევაში კი, შესაძლოა ზაქარიას მამისშვილობას აღნიშნავდეს იგი მსგავსად აბუსერისძისა (აბუსერი), ბაკურიანისძისა (ბაკურიანი)... სხვათა შორის XII ს. ერთ–ერთ ხელნაწერზე, ტექსტისავე ხელით მინაწერში იხსენიება „პატრონი ასპან და მისი მეუღლე ელენე".[27] ხომ არ არიან ესენი ზაქარიას მშობლები?–სხვა ცნობათა უქონლობის გამო ძნელია დაბეჯითებით თქმა.

სახელი ასფაან (მისი სომხური ფორმაა „Ասպահան", რაც ქართულში გაორებული „ა"-ით გადმოიცემა) გვხვდება სოფ. ვაკოს ეკლესიის XIVს-ის წარწერაში;[28] გვხვდება აგრეთვე „ამირან-დარეჯანშიაც"–ერთ–ერთი მეფის სახელად. იგი ქართული არ უნდა იყოს, აღმოსავლური–სპარსული იერი აქვს.[29]

ბასილი ეზოსმოძღვრის ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ ზაქარია ასპანისძეს მრავალი საქებელი საქმე შეუსრულებია და „მარტოდ" (ალბათ საკუთარი ლაშქარითა და ინიციატივით) აუღია სხვადსხვა ციხესიმაგრენი.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ცნობის პირველი სიტყვები: „შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო" რას ნიშნავს ეს? ჩვენ ვიცით რომ შავშეთიდან სპერამდე კლარჯეთი იყო და ტაო, ისტორიკოსს კი, ეს სამივე საერისთავო ფანასკერტად აქვს გამოცხადებული. გუზანის ერისთავთ–ერისთავობაში თითქოს ასე არ ჩანს–იგი ტაო-შავშეთკლარჯეთის პატრონი იყო.

ზაქარია კი, ფანასკერტელია–ე.ი. ფანასკერტის მფლობელი, გუზანის წინააღმდეგ ბრძოლით წინაურდება და იგი დამარცხებული ერისთავთ–ერისთავის ადგილს იკავებს, მეფეთა ადგილზე მჯდომი გუზანის უფლებრივი მემკვიდრე ხდება. ახლა ზაქარიაც ტაო-შავშეთ-კლარჯეთის პატრონია, მისი საჯდომი კი,

ფანასკერტია. ამის მერე ბუნებრივად ეჩვენება ისტორიკოსს, რომ „შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო"...

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, 'ზაქარია ასპანისძეს, დამარცხებული გუზანი, სპარსეთს წასული, შეუპყრია და საქართველოში მოუყვანია. ბასილი ეზოსმოძღვარი გვარწმუნებს–გუზანი სიკვდილის ღირსი იყო, მაგრამ დავით სოსლანმა, იცოდა რა მოწყალება თამარისა, ალბათ იფიქრა მასაც აპატიებსო და „ამისთვის მისსა შეკითხვამდე გუზანს თუალნი დასწუნა"-ო.[30] როგორც ჩანს, ასპანისძეს ტყუილად არ გამოუდვია თავი; მას თავისთვის დიდი წარმატებით შეუსრულებია ეს ძნელი საქმე- საბოლოოდ თავიდან მოუშორებია საშიში მეტოქე და თამარსაც დიდად დაუფასებია სამსახური. ისტორიკოსის გაკვრით ნათქვამი ზაქარიას მისამართით, რომ იგი „არცა, ღმერთო, უბედო" იყო სწორედ ამას უნდა გვანიშნებდეს.

ტაოში მომხდარ დიდ ბრძოლებს, თამარის მომხრეთა გამარჯვებებს, ჩახრუხაძეც გამიხმაურებია თავის „თამარიანში". მაგალითად 74 ოდაში ვკითხულობთ: „რომელ დღეს ტაოს, მოამატა ოს ისპირს და შარვანს, მოვლაა ძნელი".[31]

აქ ნახსენები ოსი სოსლანი უნდა იყოს; ისტორიკოსები არაფერს ამბობენ მის მონაწილეობაზე გუზანის წინააღმდეგ ბრძოლაში. დავითი, მათი ცნობით ტაოსკარელს აბრმავებს მხოლოდ. აქ კი ჩანს, რომ ამის შემდგომ სწორედ სოსლანია იგი, ისპირ-ტაო—შარვანისთვის რომ შეუმატებია მიმდგომი ქვეყნები–ალბათ გუზანის აჯანყების დროს „გატანილი"

ამის მერე, კარგა ხნის განმავლობაში ფანასკერტელთა შესახებ არაფერი ჩანს ქართულ წყაროებში; არც სომეხ ისტორიკოსებთან შეგვხვედრია მათი ხსენება. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომ ხანებში, ასპანისძეთა ერთმა შტომ განაგრძო ფანასკერტელობა, მეორე შტო კი, იქვე ტაოში დიდხანს შემორჩა ასპანისძეთა ფეოდალურ საგვარეულოდ.

1259 წელს, რკონის სიგელში კახა თორელი აღნიშნავდა: „რა გინდა ვალი, ანუ დაჭირება დაემართოს ჩემსა გუარისა კაცსა, ეითა გიშელთა და ფანასკერტელთა მამულსა თანა არაი საქმე უც, ეგრევე ხოვლესთანა არაი საქმე ადვასო".[32] მსგავსად გამოთქმისა „სპერითგან დარუბანდამდე"[33] ავტორი აქაც ორ უკიდურეს წერტილს ასახელებს მისი თანამედროვე საქართველოსას, ამოტომ ფანასკერტელის იმდროინდელ სამფლობელოში, საფიქრებელია. ტაოსთან ერთად ისევ შედიოდა

ჭოროხის ხეობის განაპირა–სასაზღვრო კანტონებიც. შეცვლილი ვითარება ჩანს შემდგომ ხანებში: ფანასკერტელები თანდათან მხოლოდ ტაოს ერისთავობასღა სჯერდებიან და „შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი აღარაა"

XIII საუკუნის II ნახევრიდან, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ერისთავთა შორის განსაკუთრებით წინაურდება ჯაყელთა საგვარეულო. სამცხის პატრონი თავის გავლენას თანდათან ავრცელებს მეზობელ საერისთავოებზე. ყვარყვარე, სარგის, ბექა ჯაყელები უდიდესი ფეოდალები არიან. უკვე სარგისს, აჭარა, შავშეთ–კლარჯეთი, კოლა-არტაან-ნიგალისხევთან ერთად „აქუნდა უმრავლესი ტაოც". ასევე იყო ბექაც, რომელსაც „ტასის კარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღვამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, უმრავლესი ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფოლა, კარი და ამათ შორის ქუეყანანი, ციხენი არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი და დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი... აქუნდეს".[34]

საინტერესოა, რომ ყველგან ასე დაწვრილებით ჩამოთვლილ ჯაყელთა სამფლობელოში ხაზგასმულია „უმრავლესი ტაო" და არა ჩვეულებრივი „ტაონი" საფიქრებელია ტაოს ერისთავი–ფანასკერტელი იყოს ამის მიზეზი, რომელიც, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას უწევდა ჯაყელთა მისწრაფებებს და თავისი სამფლობელოს ნაწილს მაინც ინარჩუნებდა.

1306 წელს მომხდარა მცირე აზიელ თურქთა შემოსევა; 60 000 კაცი აზატ მოსეს წინამძღოლობით „მოიწია ბასიანსა და ტაოს... ვაშლოვნით წარსულნი თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისჴევს... მაშინ ერისთავი ტაოსა თაყა ფანასკერტელი ღონო იყო სიმცროსათვის ლაშქრისა, გარნა ეგრეცა მცირე წყობა ყო ციხისა თორთუმის ძირსა დიდად ავნო, გარნა სიდიდისათჳს თურქთასა ქუეყანით მასით ვერ განასხნა".[35]

მეორე წელს მობრუნებულ თურქებს, ბექას მოწოდებით შეყრილ-მოწვეული წარჩინებულნი დახვედრიან გაერთიანებული ლაშქრით. ბექამ „მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა ტასის კარითგან ვიდრე ბასიანამდე–მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტაან-კარნიფორელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქუნდა ესე ყოველი ქვეყანა".[36]

მოტანილი ცნობებიდან ნიშანდობლივი ისაა, რომ თაყა ფანასკერტელი მტერს თორთუმის ციხესთან უმართავს ბრძოლას.

როგორც ჩანს, თორთუმიც ფანასკერტელის სამფლობელოს ფარგლებში შედის.

შემდეგ, თურქებთან მებრძოლთაგან მხოლოდ ბექა ჩანს და ფანასკერტელი; სხვა ერისთავები, ალბათ ჯაყელს რომ ემორჩილებიან უკვე, მემატიანეს დასახელებული არ ჰყავს. გამოდის–თაყას ჯერ არ დაუკარგავს დამოუკიდებლობა, იგი არაა ჯაყელის „ქუეშე დაწესებულთა" შორის.

თემურლენგის ლაშქრობათა პერიოდში, 1400 წელს საქართველოს მეფისა და ათაბაგის დამარცხების შემდეგ, თემურს შეატყობინეს, რომ ქართველები ფანასკერტის ციხეში გამაგრებულუყვნენ. შერეფ ედ-დინის სიტყვით, თემურის ლაშქარს 5 დღეში 7 ციხე აუღია და დაუნგრევია.[37]

ნიზამ ედ-დინ შამი, ამავე ლაშქრობათა აღმწერი, 1401 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბავთა შორის წერს: „თემურს შეატყობინეს, რომ მახლობლად იყო ციხე თორთუმი, ხოლო თაყა–ამ ადგილების მბრძანებელი–აქიდან წასულიყო და თავის მონაცვლედ გორჯიკი დაეტოვებინა დაახლოებით 200 ქართველით. ამ ციხეში გამაგრებულნი, ისინი მუსლიმანებს ავიწროვებდნენ და მალს და ჯიზიას არ იხდიდნენ. ლანგ–თემურმა თავისი სარდლების პირით დანებება შეუთვალა მეციხოვნეებს. ის უბედურნი, ციხის მიუვალობით გაამაყებულნი საბრძოლველად გამოვიდნენ და 5 დღის განმავლობაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ. მე-6 დღეს ურწმუნოები დამარცხდნენ და დაისაჯნენ, ხოლო ციხე საფუძვლამდე იქნა დანგრეული. ამის შემდეგ თაყა, იმ ადგილების მბრძანებელი, მისი უდიდებულესობის ფეხზე საკოცნელად მოვიდა. ლანგ-თემურმა მას სული აჩუქა და მისგან წყენა დაივიწყა."[38] თორთუმისა და მისი მიმდგომი მხარის მფლობელი ეს თაყა მე ფანასკერტელი მგონია,–ქართველთა მეფის ერთგული მაშინაც, როცა ივანე აღბუღას ძე და მეფის ყველა მოღალატე მტერს მოურიგდა. ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც 100 წლის წინათ, ტაოს ერისთავი ათაბაგისაგან ჯერ-ჯერობით დამოუკიდებელი მფლობელი ჩანს.

თანდათან გაძლიერებული ფეოდალური საგვარეულო სამცხის სპასალარისა აღარც საქართველოს მეფეს ეპუებოდა უკვე. მათ შორის უთანხმოებაა და ჯაყელისგანაც შევიწროებული ფანასკერტელი, ბუნებრივია, მეფის ერთგული და საიმედო მიკავშირე იქნება. ამიტომაც, საფიქრებელია, ქართლში

ადგილ–მამულის მოპოვების დროს, ფანასკერტელებს მეფისაგან მხარდაჭერა ყოველთვის ექნებოდათ.

ფანასკერტელთა ქართლში გადმოსვლის თარიღს ექვთ. თაყაიშვილი 1465 წ. სდებდა.[39] ნ. ბერძენიშვილი XIVს-ის მეორე ნახევარში,[40] ხოლო კ. გრიგოლია XV ს-ის 60-იან წლებს ვარაუდობს.[41]

იოანე ბატონიშვილის სიტყვით: „უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღოლი ზაქარია ფანასკერტელი, რომელსა უწოდნენ ზაზად; ამან უკვე დიდად მსახურა დროსა მოსვლისა ლანგ თემურისასა, რომელიც ბრძოდა მეფესა და ვინაიდგან წარჩინებულ იქმნა ზაზა ფანასკერტელი აიძულა მეფემან და გადმოასახლა საქართველოსა შინა, და მიუბოძა მძორეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფთა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი და დაასახლა მუნ. შემდგომად ამისა, მოკუდა რა ზაზა ფანასკერტელი, დაშთა ძე ციცით წოდებული, რომელმანცა მეფესა კონსტანტინეს ამანცა ფრიად მსახურა სხუათა და სხუათა ბრძოლათა შინა და ჯილდოდ ამისა მეფემან უბოძა შვილთა მისთა და თვით მას გუარად ციციშვილობა...და მუნითგან იწოდებიან ციციშვილებად."[42]

იოანე ბატონიშვილის ეს ცნობა (მისთვის ზეპირად გადაცემული ალბათ), შესაძლოა სიზუსტეს იყოს მოკლებული, მაგრამ ფანასკერტელთა ქართლში გადმოსვლა XIV ს-ის II ნახევარში რომ იწყება–ეს სხვა საბუთებიდანაც ჩანს. ბუნებრივია, რომ ფანასკერტელები ქართლში თავისუფალ, უმკვიდრო მიწებზე კი არ ჯდებიან, არამედ აქაურ ფეოდალთა შევიწროების ხარჯზე გამოდიან. არსებული მასალიდან ჯერჯერობით ჩანს, რომ პირველი, რაც ფანასკერტელებმა ქართლში მოიპოვეს –ეს ორბოძლელის მამული იყო: ხეედურეთი, კეხისჯვარი და სხვა, ნასისხლად მიღებული ორბოძლელისაგან ღალატის საფასურად.[43] ამ ფაქტის აღმნიშვნელი სიგელი 1467 წელს ეძლევა პირს, რომლის პაპასაც მიუღია ეს სოფლები, ამიტომ საფიქრებელია ეგ მომხდარიყო XIV ს-ის II ნახევარში, ან მის მიწურულს.

1415–19 წლის ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ფანასკერტელს ატენში ლუსმალაურ მამულზედაც მიუწვდებოდა ხელი,[44] ხოლო მოგვიანებით ატენის მოურავეც ხდება.[45] ასევე ძამის ციხე–ადრე ჯავახიშვილთა ნაქონი, XV ს-სათვის ფანასკერტელთა ხელშია.[46] ერთი სიტყვით, ფანასკერტელთა მიერ ქართლში ადგილ–მამულის დაპატრონებამ ორბოძლელ–ჩიჟავასძესთა და ჯავახიშვილთა

შევიწროება გამოიწვია, რასაც ეს უკანასკნელნი დიდხანს ვერ ურიგდებოდნენ; ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირი იყო ბრძოლა და აწიოკება.

როდისღა გახდნენ ფანასკერტელები ციციშვილებად?... ცხადია, გვარი მოდის სახელი „ციცი"-დან, რომელიც ალბათ, მამამთავარი იყო ფანასკერტელთა ქართლში მომსვლელი ერთი შტოსი, განსხვავებით იმ ფანასკერტელთაგან ტაო-შავშეთში რომ შერჩნენ თავის მკვიდრ მამულს. ჩემი ვარაუდით, ახალი საგვარეულოს მამამთავარი ციცი XIV ს-ის II ნახევრის სწორედ ის მოღვაწე უნდა იყოს, რომელიც პირველთაგანი იძენს ქართლში მამულებს. ამას მხარს ისიც დაუჭერდა, რომ ქართლში მოღვაწე ფანასკერტელთაგან უძველესი თაყა (ალექსანდრე დიდის თანამედროვე), უკვე ციციშვილად იხსენიება.[47] რა თქმა უნდა, ამის მერეც ხშირია შემთხვევა ახალი საგვარეულოს წევრთა პირდაპირ ფანასკერტელად მოხსენიებისა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავდა მათს ციციშვილობას ისევე, როგორც ციციშვილად დასახელება მათი–აქვე გულისხმობდა ფანასკერტელობასაც.

ფანასკერტელ–ციციშვილები, ქართლში თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად, ცდილობენ დაწინაურდნენ სამეფო კარზე, ნათესაური კავშირი დაამყარონ ქართლის გავლენიან ფეოდალებთან... „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ალექსანდრე მეფეს, თავისი შვილის ვახტანგისათვის, თაყა ფანასკერტელის და – სითიხათუნ შეურთავს ცოლად;

ეს თითქოს 1442 წელს მომხდარა.[48] 1415–19 წლით დათარიღებული საბუთიდან კი ჩანს, რომ ამ დროს სითიხათუნი უკვე დედოფალია: „შენ (მცხეთას) და ქ-კზსა ელიოზს... მოგახსენეთ საალაპედ პატრონისა ჩუენისა დიდისა დედოფლის სითიხათუნისათვის ატენს ლუსმალაური მამული... შემოგწირეთ მეფეთ–მეფის ალექსანდრეს ბრძანებითა და ნებადართვითა... მე ფანასკერტელმან თაყამან პატრონისა ჩუენისა დისა სითიხათუნის საალაპედ"...[49] თაყა ფანასკერტელ–ციციშვილის მეორე და, თაყა ამილახორის მეუღლე ყოფილა,[50] ხოლო გამრეკელ ჯავახიშვილის ცოლი–გულსურაბ–ციციშვილების გვარიდან უნდა ყოფილიყო.[51] ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია მეფე დემეტრეს ქალი რუსუდან, მეუღლე თაყა ფანასკერტელისა.[52] იქნებ ეს თაყა ზემოხსენებული ფანასკერტელ–ციციშვილი იყოს, მისი ცოლი კი–დემეტრე ალექსანდრეს ძის ქალი.[53]

საბუთებიდან ჩანს, რომ XV საუკუნის შუა ხანებიდან ფანასკერტელ–ციციშვილებს რთული პირობები შექმნიათ ქართლში. ვახტანგ ალექსანდრეს ძემ, გამეფებისთანავე „წყალს იქით მისსა ძმასა პატრონსა დემეტრეს მიანება თაყას გარეთ და თაყა იმისთუის არა მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიჯაევასძისათვის უნდოდა და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოახსენა პატრონს დემეტრეს, ვითა: „წასახდენად უნდივარ და ჩემი თავი და მამული მისთვინ არა მიგანებაო".[54] თაყა გრძნობდა ხიფათს და დემეტრეს ყმობას ცდილობდა. ბოლოს გამრეკელ–ჯავახიშვილის დახმარებით მას ამ მიზნისთვის მიუღწევია და „წახდენას" გადარჩენია. თუ ზემოთ გამოთქმული ვარაუდი სწორია და თაყა დემეტრეს სიძეა,–მაშინ თითქოს უფრო გასაგები ხდება აღწერილი მოვლენა.

რაკი ჩიჯაევასძის სურვილი არ განხორციელდა და ფანასკერტელის მამული მან ვერ მიიღო, იგი თავისი ხალხით თავს დასხმია ციციშვილებს და სამწევრისი დაურბევია.[55]

კიდევ უფრო გაძნელებულა თაყა ფანასკერტელ–ციციშვილის მდგომარეობა დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, როცა ის გიორგი მეფის ყმა შექმნილა. იმერეთში ამ დროს ბაგრატ დიმიტრის ძეა, რომელიც გიორგი მეფეს ებრძვის, როგორც ჩანს, არც ბაგრატი სწყალობდა თაყას და ქართლში გადმოსულს, ერთხელ ციციშვილის დასარბევად თავისი ჯარი გაუსევია; მეფე გიორგი კი არ მიშველებია ყმას.[56]

თაყას შემდეგ, ფანასკერტელ–ციციშვილების სახლს, სათავეში ზაზა თაყას ძე ჩასდგომია. ამ ზაზასთან დაკავშირებული საბუთებიდან ჩანს, რომ ფანასკერტელ–ციციშვილები, აფართოებდნენ რა თავის მამულებს ქართლში, ჯერ კიდევ არ სწყვეტდნენ კავშირს ტაო-შავშეთთან. აქ ისინი ისევ ერისთავთ–ერისთავებად იწოდებოდნენ და თან სამეფო კარზე დაწინაურებას ცდილობდნენ. ეს ზაზა ფანასკერტელ–ციციშვილი, მაგალითად, მეჭურჭლეთ–უხუცესი ყოფილა. „...თქუენ პატრონთა ნათელსა და თქუენთა შვილთა, მეჭურჭლეთა უხუცეს ერისთავთ ერისთავსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენსა ძმასა ციცის კადრეთ ესე წიგნი და პირი მტკიცე"...[57] ასე მიმართავენ მას ტაოს ერთ-ერთი მონასტრის ბერები მეორე საბუთიდან ირკვევა, რომ ზაზასა და მის ძმას–ციცის შორის რაღაც უთანხმოებაა. ესაა წერილი ზაზას კარის კაცისა, ვაჩეძორის მონასტრის მოძღვრის ანტონისადმი მიწერილი: „...ჩემგან არ გეკადრების

მამულებიც მიული და ამით გაუზრდია თაყასგან სამკვიდროდ მიღებული. 1467 წ. მეფე კონსტანტინესაგან ზაზასთვის მიცემულ სიგელში ვკითხულობთ: „ჩუენ... პატრონმან კონსტანტინე ესე... სიგელი დაგიწერეთ... და მოგახსენეთ თქვენ... სახლისა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზასა და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას, მას ჟამსა ოდეს ჩუენისა სიყვარულისათვის შავშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხვედით და ჩუენ მოგახსენეთ ხვედურეთს ორბოძლელისეული მამული... რომელიც მაშინაც თქვენ გმართებდათ იმად, რომე ორბოძლელსა პაპისა თქვენისათვის ელალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქვენ გქონდათ სამკვიდროდ, ამას გარეთ მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ... მამული ქვახერელი, უფლისციხე და კარალეთი... ვითა...სამკვიდროდ ბოძებულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს".[60]

საინტერესოა, რომ ეს ზაზა ერთ-ერთ საბუთში „დიდი ფანასკერტელად" იხსენიება.[61] „დიდი ბარათას" მსგავსად, იქაც ეს სიდიდე იმ მრავალმხრივ დამსახურებაზე მიგვითითებს ალბათ, ზაზას რომ ჰქონია ფანასკერტელ–ციციშვილთა ფეოდალური სახლის წინაშე.

შავშეთ-ტაოდან გამოძევებულ ზაზას არც ქართლში უსვენებდნენ ჯაყელის ყმები. მათი თავდასხმები და აწიოკება, როგორც ჩანს, უპასუხოდ არ რჩებოდა. „მესხთა დაარბიეს ციციშვილისა მამული და წაიღეს. ამაზედ შეიყარა ზაზა და სამძივის ხევს მიუხდაო" [62] ვკითხულობთ ერთ საბუთში.

1483 წ. ყვარყვარე ათაბაგმა არეში დაარბია და შინ ბრუნდებოდა. ახლა ზაზას გადაუწყვეტია სამაგიერო მიეზღო მისი ამომგდებისათვის და გზაზე გადასდგომია. „შეიყარნეს გაღმართელნი და გამომღმართელნი ციციშვილები და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა". არადეთს მომხდარი ეს ბრძოლა ყვარყვარეს გამარჯვებით დამთავრებულა.[63]

რაკი ქართლში დამკვიდრდნენ ფანასკერტელ–ციციშვილები ბუნებრივია ახალ სამყოფელში ყველა ღონისძიებას ჩაატარებდნენ იმისათვის, რომ განმტკიცებულიყო მათი ხელისუფლება და სახელი მოეხვეჭა საგვარეულოს. როგორც ჩანს, ზაზას ყინცვისში ჩაუტარებია მშენებლობა–წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიისათვის დასავლეთის მხრიდან ეკვდერი მიუშენებია, რომლის კედელზედაც მისი ფრესკაა დახატული

ასომთავრული წარწერით–„ფანასკერტელი ზაზა".[64]

ქ. გრიგოლიას აზრით, ამავე ზაზას უნდა მივაწეროთ „სამკურნალო წიგნის" შედგენი XV ს-ში, რომლის მინაწერ–ანდერძში იგი მოხსენიებულია, როგორც „პატრონი... ბრძენთ–მთავარი ფანასკერტელი ზაზა".[65]

ახლა, თუ მოვიგონებთ ქვემო წერაქვის ეკლესიის წარწერას, სადაც ასევე „დიდი ფანასკერტელი" აწარმოებს მშენებლობას, –შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქაც ეს ზაზა მოღვაწეობს. მით უფრო, რომ წყაროებში ამ დროს „დიდი ფანასკერტელობა" სხვას არავის მიეწერება.

რა ხელი ჰქონდა შიდა ქართლის ამ დიდ ფეიდალს სომხითის განაპირა სოფელში? როგორც ადრე ვნახეთ, იგი ამ დროს ბარათაშვილს უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლოა ზაზას ბარათაშვილის ქალი ყოლოდა ცოლად და ქვემო წერაქვიც მზითევში მოჰყოლოდა მას. ყოველ შემთხვევაში საინტერესოა ამ დროის ერთი სიგელი რომელსაც ქ-კზს დოროთეოზს აძლევენ ბარათაშვილები აბაში და დავით: „ამას ჟამსა ოდეს ციციშვილს ქალი მივეცით და თქუენ გამოგვენახენით (ნათესაობისა და უჯერებისა გამო) საკანონოდ შემოგწირეთ... ორი კუამლი ქალაქს მამული ავეტიზაშვილნი".[66] ზემოთ გამოთქმული ვარაუდის დროს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამოირიცხება სხვა მრავალი შესაძლებლობა...

ზაზას შემდეგ, ქართლის ფანასკერტელ–ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულო, კიდევ უფრო იზრდება, ძლიერდება. მისი წარმომადგენელნი სამეფო კარზე დაწინაურებული დარბაისელნი არიან.

არც საადმშენებლო, თუ კულტურულ მოღვაწეობას დაჰკლებია მათი ხელი. სამწევრისის ეკლესიაზე, ერთ–ერთ წარწერაში სწორედ ზაზას ძე მერაბ ფანასკერტელი იხსენიება, რომელსაც მიეწერება ეკლესიის შეკეთება და მშენებლობა პატარა, ლამაზად შემკული საძვალესი.[67]

ტაო–შავშეთში დარჩენილი ფანასკერტელები კი, ამ დროს ისევ განაგრძობენ არსებობას. XVI ს-სათვის ისინი კვლავ ითვლებოდნენ მესხეთის თავადთა სიაში. ამ სიაში ვკითხულობთ: „თმოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა–შალიკასშვილთა აქუს... ასპანისძენი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა სფირიდონს აქუს;. კალმახელი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიათა უზნაძეთა აქუს...

ფანასკერტელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიათა'[68]. აქიდან კარგად ჩანს, თუ როგორ გამქრალან ძველი ფეოდალური სახლები თმოგველთა, ასპანისძეთა, კალმახელთა, და სხვათა; ახალი გვარები დაპატრონებიან მათ ნაქონებს.

გადაშენებულ ასპანისძეთა ერთი შტო-ფანასკერტელებისა კი, ჯერაც არსებობს და ამ არსებობის პირობა ალბათ ათაბაგთა ერთგულებაა.

მესხური დავითნის ქრონიკიდან ჩანს, რომ 1576 წ. ფანასკერტელი იობის შვილი ჯარასონ, პატრონი ყვარყვარესა და მისი დიდი ოჯახის ერთგული, ამოწყვეტისაგან იხსნის მათ;[69] ამ დროის ქართლის ფანასკერტელ–ციციშვილები კი, ათაბაგთა ამოგდების მონატრულნი რჩებიან.

ასეთი იყო ერთი მონაკვეთი ასპანისძე-ფანასკერტელ-ციციშვილთა დიდი საგვარეულოს ისტორიისა. ამის შემდეგაც საუკუნეებს გაუძლო ქართლში ციციშვილების ძლიერმა ფეოდალურმა სახლმა; ფანასკერტელობა კი XVIII საუკუნემდე შემორჩათ მათ, თუმცა ძველ შინაარსს მოკლებული, ახლა ეს სახელი სამკაულიდა იყო.

## შენიშვნები, დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. იხ. მის მიერ შედგენილი სიძველეთა დაცვის კომიტეტის საღრიცხვო ბარათი, გვ. 4.

2. აქ პირველი ასო თითქოს „ჭ"-სა ჰგავს, მაგრამ განსხვავდება კიდეც სხვაგან ნახმარი ამ ასოსაგან მოხრილი, ჰორიზონტალური თავით და მეკრული მუცლის გარეთ გამოტანილი ფეხით; აზრითაც სწორი უნდა იყოს „შ".

3. ეს სიტყვა შეცდომით დაწერილია „სმაოცველოდ", უნდა იყოს–„სამლოცველოდ".

4. არქ. თ. ქარუმიძე ვარაუდობს, რომ მონასტრის გალავანი ისევე, როგორც ეხლაში მყოფი სხვა ნაგებობანი, ეკლესიის თანადროულია, იხ. იქვე.

5. Е. Такаишвили. Археологическия экскурсии. разыскания и заметки IV, გვ. 165.

6. ვ. ბერიძე. სავანე, „ქართული ხელოვნება" I, გვ. 94.

7. ს. ბარნაველი. სამთავისის „მეორედ აღმშენებლის" ვინაობა „საქართ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", ტ. XII, 1951, 9.

8. ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ. 1920, გვ. 74

9. იქვე, გვ. 153.

10. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, თბ. 1958 გვ. 581.

11. გ. ჩუბინაშვილი. მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის, „ქართული ხელოვნება" II, გვ. 24.

12. ილ. აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX–X სს-ში, გვ. 010.

13. სუმბატ დავითის ძე, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955, გვ. 382-383.

14. იქვე, გვ. 385.

15. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, გვ. 20, 138.

16. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც.. თბ. 1959, გვ. 38.

17. იქვე, გვ. 49.

18. ლ. მუსხელიშვილი. აბუსერის ძე ტბელი, თბ. გვ. 17–20.

19. ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება... ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.I, თბ. 1955, გვ. 181.

20. ისტორიანი და აზმანი... გვ. 48.

21. შესაძლოა ეს ვაშლოვანი იყოს ის პუნქტი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილთან და გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში „ხანძორეთადაა" დასახელებული (სომხ. ხნძორ–ვაშლია).

22. ისტორიანი და აზმანი... გვ. 55.

23. იქვე. გვ. 55-56.

24. „მე მიქელ ხუცესმან ფანასკერტელმან... გულსმოდგინე მოგებად ამის წიგნისად და დავაწერიე სულიერსა ძმასა ივანე საფარელსა სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისად. და შევწირე წმიდასა მთასა სინასა, საყოფელსა წმიდისა მოსესა სადაცა მე თუით მკვიდრ ვიყავ". ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, რედ. ალ. ბარამიძე, გვ. 78.

25. ისტორიანი და აზმანი... გვ. 55.

26. ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1959, გვ. 130.

27. Жордания. Описание рукописей Тифлисского церковного музея, т.II, 1902 757.

28. პ. ზაქარაია. XIV ს. ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფ. ვაკეში. „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე" ტ. XI, 1950, №3.

29. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს სახელი ქართულ სამყაროში შესაძლოა სწორედ „ამირან-დარეჯანიანის" გავლენითაც იყოს შემოსული. მაშინ ეს საინტერესო ფაქტი იქნებოდა აღმოსავლურ ლიტერატურასთან ადრეული ურთიერთობის დადასტურებისა.

30. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება II, თბ. 1959, გვ. 141.

31. ჩახრუხაძე. თამარიანი, გამოც. ს. კაკაბაძისა.

32. თ. ჟორდანია. ქრონიკები II, ტფ. 1897, გვ. 135

33. ისტორიანი და აზმანი...გვ. 34.

34. ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება II, თბ. 1959, გვ. 304.

35. იქვე, გვ. 311

36. იქვე, 312.

37. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ. 1941, გვ. 208-209.

38. ეს ცნობა ასპირანტმა დევი კაციტაძემ მომაწოდა.

39. ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში, პარიზი, 1917.

40. ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ. 1937.

41. ზაზა ფანასკერტელი. კარაბადინი, თბ. 1951.

42. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997, გვ. 23.

43. საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საქ. №64.

44. თ. ჟორდანია. ქრონიკები II, ტფ. 1877, გვ. 222.

45. ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 51.

46. იქვე, გვ. 66.
47. იქვე, გვ. 51.
48. ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება" II, თბ. 1959, გვ. 475.
49. თ. ჟორდანია. ქრონიკები II. იქვე თ. ჟორდანიას აზრით, თარიღი საბუთისა უფროა სარწმუნო და ქ. ცა-ში ამ ცნობის შეტანა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. ბაბილინა ლომინაძის დაკვირვებით ქ.ც.-ში ელიოზ 1419 წლის შემდეგ აღარ იხსენიება.
50. ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
51. იქვე. გვ. 67.
52. ნ. მარი. აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, №63, გვ. 15.
53. ეს დიმიტრი მეფედაც იხსენიება, იხ. ქრონიკები II, გვ. 270. ამ შესაძლებლობას ისიც აძლიერებს, რომ სხვა მეფე დიმიტრი და მისი შვილი რუსუდანი ცნობილი არაა, გარდა დემეტრე თავდადებულისა, რომლის ქალი დიდ ბუღას მიათხოვეს, იხ. M. Brosset, Histoire de la Georg. II, გვ. 624.
54. ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 50.
55. იქვე,
56. იქვე, გვ. 51.
57. ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩანგლში, გვ. 62.
58. იქვე, გვ. 64.
59. „ქართლის ცხოვრება" II, გამოც. ჩუბინოვისა, გვ. 154.
60. საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. №64.
61. ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, წიგნი II. ტფ. 1913.
62. ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი.
63. ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება" II გვ. 346.
64. M. Brosset. Voyage archeologique VI, გვ. 28.
65. ზაზა ფანასკერტელი, კარაბადინი, გვ. XX, თბ. 1951.
66. თ. ჟორდანია. ქრონიკები II, ტფ. 1897, გვ. 325
67. გ. ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 24.
68. ს. კაკაბაძე. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, XIV-XVI საუკუნეების მესხეთის თავადების სია, გვ. 8.
69. ექვთ. თაყაიშვილი სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1899, გვ. 88-90.

# დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან*

1962 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წლიური გეგმით გათვალისწინებული ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს ფინეზაურის ხეობაში მოგვიხდა ყოფნა. დმანისის მიდამოებში.

სოფ. პატარა დმანისი ფინეზაურის მარჯვენა ნაპირზეა შეფენილი. ნაქალაქარის პირდაპირ. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდის საურმე გზა. ეს გზა გადადის „საყდრიქედზე" და მერე ეშვება უკანგორის ხეობაში. „საყდრიქედი" სოფლიდან 2 კმ-ითაა დაშორებული. აქაა დაქცეული საყდარი, რომლის ირგვლივ სხვადასხვა ნაგებობათა ბუდეებია შერჩენილი.

ეკლესია (მისი სახელი არავინ იცის) მოზრდილი დაუმუშავებელი ლოდებით კირზეა ნაგები; შერჩენილია აფსიდა და ჩრდილო კედლის ნაწილი. ნაგებობას მინაშენი ჰქონია სამხრეთიდან. აღმოსავლეთ კედელზე გარედან, კედლის ზედა ნაწილში. ერთიანი მოწითალო ქვის პატარა ჯვარია ჩასმული; ჩრდილოეთის კედლის ზედა ნაწილში ნახევარსვეტი შემორჩენილა. აფსიდის თაღი დამუშავებული ქვისაა და პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა. საყდარშია ჩამოქცეული მთელი სახურავი და დანარჩენი კედლები. ეკლესია შიგნიდან შელესილი ყოფილა და მოხატულიც (თუმცა მოხატულობიდან თითქმის აღარაფერია დარჩენილი).

აფსიდაში ეყარა ქვის კანკელის ნაწილები, რომლის ორნამენტი ძლიერ წააგავს დმანისის სიონის კარიბჭისას. ჩრდილოეთის კედელთან, აფსიდის წინ ჩამოქცეულ ნაყარში მოჩანდა ჯვრის ჩასასმელად ამოჭრილი მრგვალი ქვა. მის ირგვლივ ამოთხრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო ოთკუთხა გრანიტის სვეტის დაბოლოება,რომელშიც ჯვარი იქნებოდა ჩასმული. სვეტის სიმაღლე 1,45 მ-ია, სიგანე 0,25 მ. ოთხივე წახნაგი მომრგვალებულია და ორი მხრიდან ჩაღარული, რის გამოც ყველა გვერდზე თაღედი ჩარჩო იქმნება. ერთი გვერდი თავიდან ბოლომდე ასომთავრულ წარწერას უჭირავს სიმაღლეზე 1,15 მ, სიგანეზე – 0,19 მ. იგი კარგად იკითხება და არსად დაზიანებული არაა (ქვა მაგარი ჯიშისაა და წარწერაც დიდხანს ყოფილა

*დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში XXXIII:3. 1964.

დამარხული), გარდა უკანასკნელი სტრიქონისა, რომელიც სვეტის ბაზაში ჩასასმელად ჩაუჭრიათ. შესაძლოა ბოლო სიტყვები (ბევრი არ უნდა ყოფილიყო) ბაზაზედაც კი იყო ამოჭრილი (ახლა ეს ქვაც და კანკელის ნაწილებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია წამოტანილი).





წარწერის მონახაზი

წარწერა ასე იკითხება: „ქ(რისტე) სახელითა ღვთისაჲთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, ადიდენ

დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოუძლეველი მეფეთ მეფობაჲ გიორგისი: მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკის ძემან დმანის ჩემსა ამირობა(ს)ა შინა აღვჰმართე ჯუარი ესე სახელსა ზედა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა, სალოცველად მეფობისა მათისა, საჴსენებლად სულისა ჩემისა. ვინცა მომავალთა ჟამთა დაწერილი ესე აღმოიკითხოთ ჩემთვის"... აქ დამამთავრებელი სიტყვები ალბათ იმ აზრსლა გამოხატავდა–ჩემთვისაც ილოცეთო...

განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არაა. წარწერა იწყება დიდი ასოებით, რომლებიც თანდათან მცირდება. ადგილის უკმარისობის გამო რამდენსამე შემთხვევაში ასოები ჩარჩოს გარეთაც გამოდის. ქარაგმის ნიშანი მოკლე, სწორია ხაზია. წარწერას ახასიათებს ხშირად ნახმარი ლიგატურა. „დ"-ის მუცელშია ჩაწერილი „ა", „ი"; „ო-ში ჩასმულია „ჳ"; „ა"-ის ზედა ხაზი მოცილებულია მუცელს, იგი ხან სწორია ხან არა. „დ" მაღალყელიანია, მისი თავი ზიგჯერ სწორი–რამდენსამე შემთხვევაში კიდურწერტილოვანია; „ო"-ის ფეხი ოდნავ ქვევითაა დაწეული. უქარაგმოდ დატოვებულია ორი სიტყვა: „დაამყარენ" და „აღვჰმართე". თითქოს ერთგან უნდა აკლდეს „ს"სიტყვაში „ამირბა", სხვა მხრივ წარწერა უნაკლოა. შეიმჩნევა „ჰაემეტობაც" – „აღვჰმართე". „აღჰოჳმართე" იკითხება წყისის წარწერაში 616–619 წ. [3]. ხოლო ამ სიტყვის ხანმეტი ფორმა გვხვდება აქვე, უკანგორის წარწერაში VI ს-ში: „აღხოჳმართე"[2]. მაგრამ ჯერ ერთი, ორივე გაცილებით ძველია ჩვენს წარწერაზე, მეორეც – უკანგორსა და წყისში „ხ", ან „ჰ'–მეტი ზის, შემდეგ – „ოჳ". აქ კი წინაუკმო –ჯერ „ვ" და მერე „ჰ", ე.ი. ეს ზედმეტი „ჰ"უადგილოდაც ჩანს, ამიტომ ტერმინს „ჰაემეტი" პირობითად ვხმარობ.

პალეოგრაფიულად წარწერა ისეთი ხასიათისაა, რომ ადვილად შესაძლებელია შესრულებულიყო XIII ს-შიც, და XIV–შიც ე.ი. აქ მოხსენიებული გიორგი მეფე ლაშადაც შესაძლოა მივიჩნიოთ და გიორგი ბრწყინვალედაც... დმანისის ხეობაშივე მყოფი, სათხის ეკლესიის კანკელზე არსებული წარწერის გარჩევისას, ექვთ. თაყაიშვილი შენიშნავდა: "რომელი მეფეთა-მეფე გიორგი იგულისხმება ჩვენს წარწერაში? ჩვენთვის უდავოა, რომ ეს იგივე გიორგი მეფეა, რომელიც იხსენიება ამ მხარის ცნობილ ტაძართა წარწერებში (დმანისის ბაზილიკის დასავლეთი ეკვდრისა, წუღრუღაშენის გადაკეთებული ეკლესიისა და ფიტარეთის მონასტრისა). ბროსე ყველა ამ ტაძართა წარწერებს გიორგი ბრწყინვალის ხანას აკუთვნებდა, მაგრამ

დმანისის ბაზილიკის გარეშემოთხრა– შესწავლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, ლ. მუსხელიშვილიცა და სხვებიც (მათ შორის ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები) მათ ლაშა გიორგის აკუთვნებენ... საფიქრებელია... რომ ასეც იყოს" [4].

„საყდრიქედის" სტელაზე არსებული წარწერის ხელი ძალიან წააგავს დმანისის კარიბჭის წარწერებს, ცალკეული ასოები განსაკუთრებით: „ა", „დ" „ო"; ერთგვარია „დ" –სა და „ო"ის მუცელში „ა"ისა და „ჯ"-ს შეწაღება; ზოგიერთი გამოთქმაც მსგავსია: სტელაზე გვაქვს – „ადიდენ დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფობაჲ გიორგისი;" დმანისის წარწერაში – „...(არ იკითხება)... დაამყარენ ღმერთმან მეფეთა მეფობაჲ გიორგისი"; სტელაზეა – „მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკის ძემან", დმანისის წარწერაში – „მე მიწაჲ მათი, ეპისკოპოსი თევდოსი მამაჲ კალნაპეტის ძე"... წარწერები სტელაზედაც და დმანისის კარიპჭეზედაც „დაწერილ-ადაა მოხსენიებული(1). ხოლო ამ ორი ძეგლის ორნამენტული მოტივების მსგავსებაც მათ თანადროულობას უნდა უჭერდეს მხარს.

ჯვრის მონასტრის აღაპებში ერთი მოსახსენიებელია საინტერესო, სადაც ვკითხულობთ: „150/148. ამასვე დღესა აღაპი ელ-მიხრიკის ძისაჲ და ვინცა არ გარდაჲჰადოს კრულ იყოს"... ამ სტრიქონებს ელ. მეტრეველი ხელის მიხედვით XII–XIII საუკუნეებით ათარიღებს [5]. 1190-1207 წ.წ. შიომღვიმის კრებულის დაწერილში იხსენიება მემღვიმე აბრაამ მიხრიკის ძე (13).

ზემოხსენებულ პირთა დაკავშირება იობ მიხრიკის ძესთან შეიძლება არ იყოს გამორიცხული თუ გავითვალისწინებთ მათი მოღვაწეობის თარიღებს და ამ იშვიათ სახელსაც მიხრიკ. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებელია „საყდრიქედის" სტელა დმანისის კარიბჭესავით XIIIს-ის I მეოთხედის ძეგლად მივიღოთ. ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილმა ჩვენი ყურადღება აქ მოხსენებულ „დაწერილზე" გაამახვილა („...ვინცა მომავალთა ჟამთა დაწერილი ესე აღმოიკითხოთ...') და შეგვენიშნა, რომ ასეთი აზრით მაგ სიტყვის ხმარება XIVს–ში უფრო მოსალოდნელი.

ამ ტერმინის მნიშვნელობა-ხმარების სხვადასხვა შემთხვევები დაწერილებით აქვს შესწავლილი ნ. ბერძენიშვილს შრომაში „მიწისმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში". აქ აღნიშნულია, რომ „XI-XIII საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ

იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი" ეწოდება, თუ ის მეფისაგან არ არის გაცემული". შემდეგ: „თავდაპირველად, როგორც ჩანს, „დაგიწერე" სრულიად საკმაო იყო იმის გამოსახატავად, რომ ესა თუ ის ქონება, ან უფლება ამ ქონებაზე ამა თუ იმ პირმა გადასცა მეორე პირს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ „დაწერა" თავდაპირველად ისეთი მოქმედება იყო (დაწერა იმ დროს ისეთი სახით წარმოებდა), რომელიც უფლების გადაცემასთან ერთად ნივთის მატერიალურ გადაცემასაც გულისხმობდა... მხოლოდ გვიან და თანდათან, აქტის გართულებისდა შესაბამისად, შემუშავდება ამ ორი მომენტის- დაწერისა და გადაცემის ურთიერთისაგან გათიშვა" [6]. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენი სტელის მონაცემს, ვნახავთ, რომ აქ „დაწერილი", სწორედ „წარწერის" მნიშვნე-ლობით, გვიანი შინაარსითაა ნახმარი და გადაცემის მომენტს არ შეიცავს. ასეთივე აზრით უნდა იყოს ეს სიტყვა გამოყენებული დმანისის წარწერაშიც: „ვინცა ესე დაწერილი აღ(მოჳო(ცო)ს"... აქაც გიორგი მეფეთა მეფეა ნახსენები [1].

სხვაგვარად უნდა იყოს საქმე მეზობელ, ბოლნისის ხეობის თევდორეწმინდაში, სადც ორ წარწერაში ასევე ნახსენებია „დაწერილი". 1. „სახელითა ღმრთისაჲთა ესე დაწერილი მე იოანე ქარეფარეხელმან შევსწირე წმიდასა თევდორეს ვენაჴი და ჭურნი და გავიკუეთე გ დღე ქრისტეშობისა"... 2. სახელითა ღმრთისაჲთა... ესე დაწერილი ჩუენ თევდორეწმიდელთა მღუდელთა და მწირთა მას ჟამსა ოდეს ამას ეკლესიასა ვაშენებდით მოგუცა პ დუკატი გაბრიელ ჩაბაჲსძემან, გაუკეთეთ დეკემბერსა თ"... [7] აქ კი, ეს „დაწერილი" არ უნდა იყოს გამოყოფილი გადაცემის მომენტისაგან, თუმცა „შევსწირე ვენახი"... და „მოგუცა პ დუკატი" მას უკვე თან დართვია. ამრიგად ნ. ბერძენიშვილის მიერ მოცემული განმარტების მიხედვით, თევდორეწმიდის წარწერა XIII ს-ს, ხოლო „საყდრიქედის"სტელა XIV ს-ის 1 ნახევარს უნდა მიეკუთვნოს.

დმანელი ამირა იობ მიხრიკის ძე სხვა წყაროებით უცნობი პირია. ყურადღებას იპყრობს მისი მამის სახელი აღმოსავლური იერით, მიხრიკი ისეთივე ფუძიდან ნაწარმოები საკუთარი სახელი უნდა იყოს, როგორიცაა მიჰრი-მირი, რაც ძველ წარმართულ ღვთაება მითრას უკავშირდება. მათე ურჰაელის, ვარდან დიდისა და კირაკოზ განძაკელის თხზულებებით XII ს-ში ცნობილია ლორელი მოძღვარი გეორგ მეღრიკი [8]; მაგრამ ეს სრულიად

სხვა ფუძიდან („მელრ“ თაფლი, ტკბილი) წარმოებული ზედწოდებაა მოძღვრის სიკეთის დასახასიათებლად. როგორც არ უნდა იყოს, ირანული წარმოშობის ეს სახელი, ქართველი ამირას მამას რომ ჰრქმევია, მოულოდნელს არაფერს შეიცავს, რადგან დმანისში მუსლიმანური მოსახლეობა ადრიდანვე არსებობდა, ხოლო ამ ხანაში მათ სიჭარბეზე ნათლად მეტყველებს აქაური სასაფლაო: „მუსლიმანური სასაფლაოს ტერიტორია გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე ქრისტიანულისა, და არაბული ეპიგრაფიული ძეგლებიც უფრო მეტი დაიძებნა, ვიდრე ქართული ან სომხური, რაც გვაფიქრებინებს რომ აქ XIII–XIVს.ს. მუსლიმანური მოსახლეობა სჭარბობდა ქრისტიანულს“ [9].

დმანელი ამირას შესახებ, ისევე როგორც სხვა ქალაქების ამირათა შესახებ, ძლიერ ცოტა ცნობები მოგვეპოვება. ეს არაბული ტერმინი ქართლში ადრიდანვე დამკვიდრდა როგორც არაბი დიდი მოხელის აღმნიშვნელი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა. თანდათან იგი ქალაქ თბილისისა და მისი მეზობელი რაიონების (თბილისის საამირო) ფეოდალური მფლობელის სახელად იქცა. ამიერიდან იგი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ენაში. თბილისის გარდა არაბი ამირა იჯდა რუსთავშიც, დნანისშიც. მიუხედავად იმისა რომ, სათილარაბი, რომელიც ბაგრატ IV-მ დმანისიდან „თბილისად მემამულედ“ მოიყვანა, ჯაფარიდების დინასტიის დმანისის შტოის ჩამომავალი ერთ-ერთი უკანასკნელი ამირა იყო [10], ჩვენ მაინც არ ვიცით, რა მიმართებაში იყვნენ სხვა ამირები თბილელ ამირასთან; მაგალითად, ის არაბი დმანელი ამირა, რომელიც სარანგ ალხაზის ეხმარებოდა 1073–4 წლებში გიორგი II-ის წინააღმდეგ [11].

დავით აღმაშენებლის შემდეგ გაერთიანებულ საქართველოს ქალაქებში უკვე ქართველთა მეფე ნიშნავდა თავის მოხელეს რომელსაც, ძველებურად ამირა ერქვა. ამრიგად ეს არაბული ტერმინი, ქალაქის მმართველი, ქართველი მოხელის აღმნიშვნელიც გახდა. მეფე ამირას ნიშნავდა იმ ქალაქებშიც, სადაც არაბები საერთოდ არ ყოფილან. 1123 წ ქართველი ისტორიკოსის ცნობით დავით აღმაშენებელმა აიღო დმანისი; სატეფანოს ორბელიანისა და ვარდან დიდის მიხედვით, დავითის ძე დემეტრეს უპყრია იგი ამის შემდეგაც [12]. ჩანს, ამიერიდან დმანისი სამეფო ქალაქად ქცეულა და რაღა თქმა უნდა აქაურ ამირასაც უკვე მეფე დანიშნავდა დიდებულთა თუ ადგილობრივ მოქალაქეთა წრიდან.

თამარის მეფობაში ცნობილია თბილისის ამირთამირა

აბულასანი, რომელიც ქართლის ერისთავთ-ერისთავიცაა. საქართველოს მეფის მიერ დანიშნული მოხელე ამირები, იყვნენ მაგალითად ქუთაისში [13] ყარსში [14], ჟინვალში [15]... ქალაქის მმართველის ეს არაბული ტერმინი დროთა განმავლობაში ქართულმა „მოურავმა" შეცვალა, მხოლოდ თბილისს შემორჩა იგი XVII ს-მდე, სხვაგან კი XIVს-ის შემდეგ ამირა აღარ იხსენიება [16].

ქალაქის ამირთამირას ებარა ეკონომიკური ცხოვრების ზედამხედველობა და კონტროლი ქალაქში; ის ზრუნავდა მოქალაქეთა კეთილდღეობასა და ქალაქში წესიერების დაცვაზეც [17]; ნ. ბერძენიშვილის აზრით, მისივე ფუნქცია უნდა ყოფილიყო მოქალაქეთა გასამართლებაც [18]. რაც შეეხება ქალაქის მოხელე ამირების უფლება-მოვალეობათ, უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით ისეთივე იქნებოდა, როგორიც ამირთამირასი. მართლაც, მას რომ ქალაქის გაშენება-დაცვაზე უნდა ეზრუნა, ეს ჩანს ყარსის ციხეზე არსებული ერთი წარწერიდან; „ქცსა ჳნზ (-1237 წ) მე ამირამან რაჲრაზამ აღვაშენე... მეფობასა... რსდნ„წელსა მეფ..." [14], ხოლო ჴელმწიფის კარის გარიგებაში მოცემულ ჩვენებებზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება დასკვნა, რომ ქალქის ამირებს ქალაქის მეურნეობაზედაც მიუწვდებოდა ხელი [18].

რა ურთიერთობაში იყვნენ ქალაქის ამირთამირა და ამირა? დ. მუსხელიშვილის აზრით, „ამირთამირობის დაწესება მოდის XII ს-ის 80-იანი წლების მიწურულზე. თვით ტერმინი ამირთამირა რეალური შინაარსისაა და ამ წოდების მატარებელ მოხელეს თავის მხრით ჰყავდა „ქვეშე დაწესებული" მოხელეები – „ქალაქის ამირანი". ამგვარი „ქალაქის ამირა" დამოწმებულია ქუთაისსა და ჟინვანში (XIII ს), ხოლო მათი არსებობა სავარაუდოა დმანისსა და რუსთავში მაინც" [18].

გაერთიანებული საქართველოს მეფის მიერ დანიშნულმა ქალაქის მოხელე ამირამ არა მარტო სახელი მიიღო მემკვიდრეობად თბილისის არაბი ამირასაგან, არამედ ნაწილობრივ ის შინაარსიც, მას რომ ადრე ჰქონდა– გამგებლობა ქალაქის ირგვლივ მდებარე რაიონისა, მისი „აგარაებისა". გიორგი ბრწყინვალის მიერ თორელ ივანე ჯავახიშვილისადმი მიცემულ სიგელზე დაყრდნობით ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის: „კოჯრის მიდამოებზე თბილისის ამირთამირას ადმინისტრაციულად ხელი მიუწვდებოდა. და ეს, რა თქმა უნდა, 1338 წ. შექმნილი მოვლენა კი არ იყო ( ამ წელს არის ეს საბუთი

დაწერილი), არამედ ძველი დროიდანვე არსებული ვითარება. ისე გვეხატება, რომ თბილისის გარშემო სოფლები— ზოგი წარმოშობითვე, ზოგი შემდეგ დაქვემდებარებით— მისი (ქალაქის) აგარაები იყო (გვიან ხანაში ამათ „ქალაქის პირის სოფლები" ეწოდებოდა). ასეთი „აგარაები" დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა ეწოდებოდა მათ, საგულვებელია ყოველი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტის გარშემო" [19].

მონგოლთა ბატონობის პერიოდში ათაბაგმა სადუნ მანკაბერდელმა ქალაქ დმანისის დაპატრონება გადაწყვიტა, მაშინ დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის პუნქტისა (ქალაქს საკუთარი ზარაფხანა ჰქონდა; იაკუთის (1179-1229) ცნობით, აქიდან გაჰქონდათ აბრეშუმი) [20], ამიტომ 1271-72 წლებში სადუნმა მონგოლთაგან მოთხოვნილი დიდი ხარკის გადახდა იკისრა, თუკი მეფე მას დმანისს დაუთმობდა. „ისმინა მეფემან და უნებლიედ მისცა დმანისი და მიმდგამი მისი, და უმეტეს განდიდნა სადუნი" [14]. აქ ნახსენები ეს „მიმდგამი" ქვეყანა სწორედ ის მეზობელი რაიონებია, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მაშინდელი ქალაქი. XIII ს-ის კიდევ ერთ საბუთში მოჩანს, რომ ქალაქ ყინვანის ამირას მეზობელი სოფლებიც ემორჩილებოდნენ [15].

მას შემდეგ კი, რაც ამირა ქალაქის მოურავემა შეცვალა, გვიანი ხანის საბუთებზე დაყრდნობით არ ჩანს, რომ მას ქალაქის გარდა სხვა რაიონებზედაც მიუწვდებოდა ხელი. დმანისის ამირა იობ მიხრიკის ძე ქალაქიდან დაახლოებით 2-3კმ-ით მოცილებული „საყდრიქედის" ეკლესიაში (თუ მის გარეთ) აღმართავს ჯვარს წმინდა მოწამის დიმიტრის სახელზე. იგი იდგა დმანისიდან უკანგორს მიმავალი გზის უღელტეხილზე. დმანელი ამირას მიერ აქ აღმართული ჯვარი მიუთითებს ქალაქ დმანისის აგარათა გავრცელებაზე (იქნებ საზღვარზედაც) ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ტერიტორიაზე იყო სოფელი პატარა დმანისი და ყაფარა სოფელი თავისი სახნავ-სათესით.

ამრიგად XIII ს-ის დმანელი იობ მიხრიკის ძის ამირობა საქართველოს ქალაქის გამგებელთა ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში შუალედი, გარდამავალი საფეხურია: ძველ არაბ. დამოუკიდებელ ამირასა და გვიანი ხანის ქალაქის მოურავს შორის: იგი აღარ იყო ქალაქისა და მის ირგვლივ მდებარე რაიონის ფეოდალური მფლობელი, მაგრამ გაერთიანებული საქართველოს მეფის მოხელეს ადმინისტრაციულად ქალაქის გარდა მის მეზობელ სოფლებზედაც მიუწვდებოდა ხელი, რაც გვიანი შუა საუკუნეები ქალაქის მოურავს აღარ ახასიათებს.

# დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ლ. მუსხელიშვილი. დმანისი, კრებულში: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938.
2. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941.
3. აკ. შანიძე. ძველი ქართული ქრესტომათია, I, 1935.
4. ექვთ. თაყაიშვილი. სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 43, 1941.
5. ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის,1963.
6. ნ. ბერძენიშვილი. მიწისმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956.
7. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I 1960. 49.
8. Պատմութիւն Հայոց արարեալ Կիրակոսի Վարդապետի Գանձակեցւոյ. Թիֆլիս. 1910.
9. ც.კახიანი. დმანისის უთარიღო არაბული წარწერები. საქ. სსრ. მეც. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3, 1962.
10. მ. ლორთქიფანიძე. თბილისის საამიროს ისტორიიდან. მიმომხილველი, II 1951: შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962.
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, 1955.
12. Պատմութիւն նահանգին Սիսական. արարեալ Ստեփաննոսի Օրբելեան արքեպիսկոպոսի Սիւնեաց. Թիֆլիս. 1911.
13. თ. ჟორდანია. ქრონიკები... II ტფილისი, 1897.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959.
15. ს. კაკაბაძე. ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო. საისტორიო მოამბე, I, 1924.
16. Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб. 1959
17. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II; მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 1907.
18. დ. მუსხელიშვილი. თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ. 1966.
19. ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. მიმომხილველი, II, 1951.
20. გ. წერეთელი. დმანისის მონეტის გამო. ლიტერატურული ძიებანი,II 1944.

# სოფელ სიონის ისტორიიდან*

საქართველოს ტოპონიმიაში სახელების განმეორება ხშირია არა მარტო სხვადასხვა კუთხეში, არამედ–ერთსადაიმავე მხარეშიც. ეს მოვლენა ძველითგანვე გამოწვეული იყო ბუნებრივი პირობების ერთგვარობით („ვაკე" „მუხრანი", „სათხე", „პანტიაანი"), ან სხვადასხვა პუნქტთა წარმოშობის მსგავს ვითარებას ასახავდა („ახალციხე", „ახალქალაქი", „ციხისძირი"). ზოგჯერ ახალ ადგილზე გადმოსულ მოსახლეობას თან მოჰქონდა თავისი ძველი საცხოვრისის სახელი (ასე ახლაც ხშირად ხდება), ან ბარიდან საზაფხულო საძოვარზე, წასული, თავის დროებით სადგომსაც ამავე სახელს უწოდებდა, რაც მის სოფელს ერქვა.

აღნიშნულის გარდა, ქართული სოფლების ერთნაირი სახელწოდებანი ხშირად იყო დაკავშირებული ამ სოფლების მთავარი სალოცავების სახელებთან. ხშირად ეს სალოცავები ისეთ პოპულარობას იხვეჭდნენ, რომ მათი სახელით იწოდებიდა უკვე მთელი სოფელი. ასეთებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცნობილი „გიორგიწმინდა" „ნინოწმინდა", „სამება" და სხვა. სახელწოდებათა ამ რიგს ეკუთვნის „სიონიც".

ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების ადრეულ პერიოდში, როცა საქართველოში ფართოდ იშლებოდა ეკლესიათა მშენებლობა, ჩვენში ერთმორწმუნე საბერძნეთიდან და პალესტინიდან შემოდიოდა არა მარტო საკულტო ნაგებობათა ტიპები, არამედ მათი იქაური სახელწოდებანიც. ასე გაჩნდა ქართლში „ნიქოზი", „კორინთა" „გეთსამანია", „ანტიოქია" და სხვა.[1] ამგვარადვე შემოვიდა სახელი „სიონი-ც" („მზიური" „ბრწყინვალე"). დაკავშირებული იერუსალიმის სიონის ბორცვზე აგებულ ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიასთან.

საქართველოში სიონი ეწოდება მხოლოდ ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიებს-შედარებით მნიშვნელოვანთ და უფრო ხშირად ადრეულებს.[2] ასეთებია თბილისის, ატენის, სამშვილდის, დმანისის, ბოლნისის და სხვა სიონები. ეს სახელი მიემართება ტაძრებს და წარმოდგენილია უმეტესწილად მსაძღვრელის დართვით: „თბილისის სიონი," „ბოლნისის სიონი", მაგრამ არის

*დაიბეჭდა 1970 წ. „ძეგლის მეგობარი" 21.

შემთხვევები როცა სიონი ჰქვია სოფელსაც: ასეთებია ხევში, კახეთში, ქართლში.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებ ქვემო ქართლის კიდევ ერთ სიონზე, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს მოვიხილე შულავრისხევში. ეს ხეობა მარნეულის რაიონშია და საკმაოდ მდიდარია ძველი მატერიალური კულტურის ძეგლებით. ამას გარდა ის საინტერესოა იმითაც, რომ ამ ხეობის სოფელ წერაქვიდან არის შესანიშნავი ქართველი პროზაიკოსი მიხ. ჯავახიშვილი. მის ერთ მოგონებაში, რომელიც დავით კასრაძეს ჩაუწერია, ვკითხულობთ: „წერაქვი... ერთადერთი ქართული სოფელია გაღმა ბორჩალოში. მეორე სოფელი მამაჩემმა გააშენა წერაქვის მახლობლად და სიონი დაარქვა.
–სიონი, ალბათ დიდი მორწმუნე იყო, რომ ბიბლიური სახელი ამოურჩევია.
–პირიქით, დიდი ათეისტი იყო ხელმოჭერილი ქიზიყელი, საკმაოდ მკლავმაგარი და იმდროინდელ კვალობაზე, კარგა შეძლებული გლეხი."[3]

წერაქველ მოხუცებს ახლაც კარგად ახსოვთ სიონში გადასახლება, რომელიც ადრე მჭიდროდ დასახლებული სოფელი ყოფილა და ჩანს XVIII ს-ში დაცლილა. სიონსა და მის მიდამოებში მოსახლეობის კვალი ჩანს გვიანბრინჯაოს ხანიდან. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მოჭიქული კერამიკა და რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი კი, ცხოვრების ხანგრძლივობის მოწმობაა. ერთ-ერთი, XIX ს-ში შეკეთებული, დარბაზული ტიპის ეკლესია, სოფლის განაპირას, ბორცვზეა გაშენებული. შიგნით ორი საფლავის ქვა დევს. ერთ მათგანს თეთრი მარმარილოს ფილაზე აწერია: „ამავე, სოფლისა მიზეზი აშენებისა აქა მდებარე გვამი ჩემი საბა ადამაშვილი. წამკითხველნო (და) მხილველნო, გოხოვთ შენდობა გვიბრძანოთ. დავიბადე 1842წ თებერვლის 2, გარდავიცვალე 19"... აქ წარწერა წყდება. ესაა მიხ. ჯავახიშვილის მამის საფლავი, რომლის თაოსნობითაც მოშენებულა სოფელი XIX ს-ის ბოლოს.

ეკლესია უფრო ძველი ჩანს. მის მოზრდილ ბალავრის ქვაზე არის სხვა წარწერა. ის ლამაზი მხედრულითაა შესრულებული; განკვეთილობის ნიშნად სამწერტილია დასმული; ქვა ალაგ-ალაგ ამოტეხილია და წარწერაც ზოგან დაზიანებული. წარწერას, რომლის მონახაზსაც აქვე ვიძლევი, ქარაგმების გახსნითა და ნაკლული ადგილების აღდგენით ასე ვკითხულობ:



„ქრისტე, ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა მეტე(ხ)თა ღმრთის მშობელისაითა, ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი წინამძღვარი სერაპიონ ჩიჯავაძე წმ.(იდისა ამ) ის ეკლესიისა აღშენებად სახელსა ზედან ყოვლად წმინდისასა, სულისა ჩემ(ისა) სახსრად და ც(ოდვათა ჩემთა შესანდობლად ზე)ობასა როსტომ მეფისა და დედოფლო(ბასა) მა(რიამისასა)" ბოლოს ბევრი აღარ უნდა აკლდეს.

მაშასადამე ეკლესია აგებულია 1634-1658 წლებს შორის, რადგან როსტომი და მარიამი ამ წლებში არიან ერთად.

როსტომის მეფობის ხანა, შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდია ქართლის სამეფოსათვის. ქვეყნის მოღონიერება და აღმავლობა კარგად ჩანს ქვემო ქართლის ისტორიული ძეგლების მიხედვითაც: ამ დროს შენდება ხიდები, ეკლესიები, ქარვასლები, წარმოებს დაზიანებული ეკლესიებისა და ციხეების შეკეთება.

წარწერაში მოხსენიებული მარიამ დედოფალი ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. ის იყო ლევან დადიანის და, რომელიც როსტომმა შეირთო 1633-4 წლებში. ეს ამბავი მეფემ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „კარგის წესითა და ჴელმწიფურის ზითეითა და მორჭმა სიმდიდრით, კარგის თავადთა და აზნაურ შვილების მხლებლებით, მსახურით, გამდლებითა და მოახლეებითა, ყველანი დაკაზმულნი საჴელმწიფო გათაეებულის იარაღითა და მოკაზმულობით, მზე შავი ზღვით ამოსრული მარიამ დედოფალი ქართლისკენ წამოაბრძანეს".[4]

მარიამ დედოფალი მოღვაწე ქალი გამოდგა, მარტო ის რად ღირს, რომ მისი ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება,"

რომელი ნუსხაც „მარიამისეული-ს" სახელით დარჩა ცნობილი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს... ბოლნისის სიონიც „შემუსვრილი აღაშენა დედოფალმან მარიამ".[5]

ლევან დადიანისაგან როსტომ მეფისათვის მიცემულ მზითვის წერილის გრძელ სიაში, სხვადასხვა ძვირფასეულთან „ვეფხისტყაოსნის" და „როსტომიანის" გვერდით, დასახელებულია მსახურ-მოახლენი, მათთან ერთად ორი მესტუმრე, ორი ბოქაული, ორი მოლარე და, რაც მთავარია, „კარის მწირველად თავადის შვილი ჩიჯავაძე სერაპიონ, მისის მსახურითა".[6] ჩიჯავაძეთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი, მარიამ დედოფლისათვის მზითვში გამოყოლილი სერაპიონი, ჩანს წინამძღვარი გამხდარა და ზემოხსენებულ სოფელში ეკლესია აუგია. მისი აშენება „მეოხებითა მეტეხთა ღმრთისმშობელისაითა" გვაფიქრებინებს, რომ სერაპიონ ჩიჯავაძე თბილისის მეტეხის „ყოვლად უღირსი წინამძღვარი" იყო: ასე იხსენიებს იგი თავს ეკლესიის წარწერაში. მეტეხის ტაძარი კარის ეკლესია იყო ისნის სამეფო სადგომში. „მეტეხთა ღმრთისმშობლის", „მეტეხთა ყოვლადწმინდის" სახელით. ის დიმიტრი თავდადებულმა განაახლა: „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა".[7]

სერაპიონის წინამძღვრობა მეტეხში და მარიამ დედოფლის კარზე, 1640-იანი წლების მერეა მოსალოდნელი, როდესაც ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, „მეტეხთა წინამძღვრად" ნამყოფმა, იერუსალიმს მიაშურა. XVII ს-ის ნახევრიდან მეტეხის ტაძარი უკვე მიტოვებული ყოფილა; შარდენის სიტყვით, ამის მიზეზი მეხის დაცემა გამხდარა.[8] შულავრისხევის ამ სოფელში ეკლესიის აშენება საფიქრებელია, მანამდე მოხდებოდა. მაშინ შესაძლოა სოფელი ცარიელი იყო ისევე, როგორც სხვა ადგილები ამ მხარისა. ამაზე მეტყველებენ ზემო ბოლნისის, ხატისსოფლისა და სხვა წარწერები, რომლებიც შაჰ აბაზის შემოსევათა ნაკვალევზე, ნაოხარ და ვერანა ნასოფლარებზე ცხოვრების განახლებას მოწმობენ.

ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიის" სოფლების სია და რუკა სიონის ადგილზე, აღნიშნავენ „ხუცის სოფელს" გარდა იმისა, რომ ასეთი სახელწოდება სწორედ XVII ს-ის ნახევრიდან ჩნდება, ის ახალი ჩანს თავისი შინაარსითაც: სახელში ასახულია სოფლის კუთვნილება მისი მებატონისადმი და დგას ასეთივე გვიანი წარმოების სახელწოდებათა რიგში, რომლებიც ქვემო

ქართლში მრავლად გვხვდება („მდივანბეგის სოფელი", „შანშა სოფელი", „შერმაზანის სოფელი", „ქარუმიძის სოფელი", „ეპისკოპოსის სოფელი", „ჩიკორიძის სოფელი" და სხვა). ცხადია, ყველა ესენი სახელდაკარგულ ძველ ნასოფლარებზე აღდგენილი დასახლებანია, რომელთა მთავარი ნიშანი ამ მებატონეთა იქაური კუთვნილებაა. უფრო ძველი შეიძლება იყოს „სადირაშენი", „ბეშქენაშენი", „ფადლაშენი", „აკრავაშენი", „რევაშენი" და სხვა, რომელთა პირველ ნაწილში იმათი სახელები მოჩანს ვისგანაც მოშენდა ეს სოფლები.

1721 წლის აღწერის მიხედვით სომხითის ხუცის სოფელში ერთადერთი მებატონე ისევ კარის წინამძღვარი იყო, რომელსაც 16 გამომღები და სამი ბოგანო ყმა ჰყოლია.[9]

XVIII ს-ის გამანადგურებელმა ლეკიანობამ სომხითში სოფლების უმრავლესობა ააოხრა. ქართველ ისტორიკოსთა ცნობებით, მაშინ ამ მხარეში მხოლოდ ბოლნისსა და სამწვერისს შერჩა მოსახლეობა.[10]

მაშინ დაიკარგებოდა სახელწოდება „ხუცის სოფელიც" მახლობელ ადგილებიდან „სიონი" მიემართება ბოლნისის განთქმულ ტაძარს ღმრთისმშობლის სახელობისას. ის იყო მთავარი სალოცავი ამ მხარეში. მისი დიდი გავლენით უნდა აიხსნას ისიც, რომ ეკლესიათა უმეტესობა ამ კუთხეში ღმრთისმშობლის სახელზეა აგებული. ბოლნელ ეპისკოპოსს გვიან შუა საუკუნეებში მთელ ქართულ სომხითზე მიუწვდებოდა ხელი. არაა გამორიცხული შულავრისხევის ამ სოფელში ყოფილიყო ბოლნისის სიონის მეტოქი ეკლესია. სიონელი მიხუცები დაჟინებით ირწმუნებიან, რომ წყალგაღმა ნასოფლარში მყოფი ეკლესიის ნანგრევი წმ. გიორგის სახელობისა „ბოლნისის ძმაა", „მისი ტოტიაო", აქაც მაშინაა დღეობა, როგორც ბოლნისშიო. აქ ხატისოფლის გიორგობას გულისხმობენ. ბოლნისში დიდი დღეობის ტრადიცია XX ს-იც ყოფილა, რაც ასახულია ფიროსმანის ნახატზე– „დღეობა ბოლნის–ხაჩინში".

შულავრისხევს ბოლნისთან ეპარქიული ერთობის გარდა, აკავშირებდა ადმინისტრაციული ერთიანობაც: ადრული შუა საუკუნეებიდან მისი ნახევარი შედიოდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც „ჴევი ბოლნისისა" ერქვა, გვიან შუასაუკუნეებში კი ეს ხევები სომხითის სამოურავოში შედიოდნენ.[11]

XVIII ს-დან, როდესაც ბოლნისის საეპისკოპოსო თბილისის

სიონს დაექვემდებარა, თბილელ-ბოლნელი ეპისკოპოსები ბოლნისის საეპისკოპოსოს მიწებს იჯარით გასცემდნენ. შულავრელი და წერაქველი მოხუცების გადმოცემით, ვიდრე სოფ. სიონი აშენდებოდა, მისი მიწებით სარგებლობისათვის, მეზობელი სოფლები თბილისის სიონს უხდიდნენ ცვილსა და თაფლს.

ზაქარია ჭიჭინაძე 1901 წელს წერდა: „სიონი ახალი სოფელია, აქ წერაქვიდამ რამდენიმე მოსახლე გადმოსახლდა და დასახლდა. სოფელი მოშენდა, ღმერთმა ჰქნას. სიონი ამისთვის უწოდეს რომ ამ სოფელში ძველი ტაძარი სიონი სდგას".[12]

ყოველივე ზემოთქმული გასაგებს უნდა ხდიდეს საბა ადამაშვილის მიერ ამ ნასოფლარისთვის სახელის შერჩევას.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, ТБ. 1875, 104.
2. Г. Н. Чубинашвили. Болниси, ТБ. 1940, 83-85.
3. „ლიტერატურული გაზეთი", 1957, №14.
4. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. „საისტორიო მოამბე", II, თბ. 1925, 242.
5. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, 37.
6. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები) გამოსცა მზია იაშვილმა, თბ. 1974, 9.
7. „ქართლის ცხოვრება" II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959, 24, 126, 272.
8. ე. ბერიძე. თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ. 1969, 15.
9. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი I-II, თბ. 1935, 379.
10. პაპუნა ორბელიანი. ამბავი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოც. თბ. 1981, 139.
11. დ. ბერძენიშვილი. ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II, თბ. 1964, 20-21.
12. ზაქ. ჭიჭინაძე. სამხრეთ საქართველო, თბ. 1901, 27.

## წარწერები სოფელ ცხნარიდან*

ქციის ხრამში, მდინარის მარცხენა, მაღალ ნაპირზე მდებარეობს სოფელი ცხნარი. ეს პატარა სოფელი ფიტარეთის დასავლეთითაა, მისგან დაახლოებით 3 კმ-ზე, მაგრამ გზა საკმაოდ დაკიდულ აღმართს მიუყვება.

ზოგიერთ რუკაზე ამ ადგილას აღნიშნულია „წყნარი", რაც ძველი რუსული რუკიდან შეცდომით გადმოქართულებულ სახელს წარმოადგენს.

აქაურთა მეტყველებაში სოფლის სახელი ახლა გაისმის, როგორც „ციხნარი"; ასევეა შემორჩენილი საფლავის ქვათა წარწერებშიაც, რომელთაგან ზოგი აქ დაკრძალულთა შესახებ გვამცნობს, რომ ისინი 1889 წელს გომარეთიდან გადმოსახლებულან „ციხნარში".

ქართულში ნარ სუფიქსიანი სახელები ძირითადად მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელია: ფიჭვ–ნარ–ი, კოპიტ–ნარ–ი დაფ–ნარ–ი, და ა.შ. ორიოდე შემთხვევაში ასეთი წარმოება შეიძლება გვქონდეს ისეთი სიტყვებისაგან, როგორიცაა თიხა, ქვიშა, მაგ: თიხნარი, ქვიშნარი,[1] მაგრამ არ გვაქვს სახლნარი, კოშკნარი... ამიტომ „ციხნარიც" ხალხურ ეტიმოლოგიად გამოიყურება.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ხრამს მართლაც დასქერის ციხე. უეჭველია მისმა არსებობამ განსაზღვრა გვიან მოსული მოსახლეობისათვის ცხნარის „ციხნარად" გააზრებაც. გვიანი შუა საუკუნეთა ხანის ქართულ დოკუმენტებში ყველგან მხოლოდ ცხნარი იხსენიება, სადაც ეს სოფელი საბარათაშვილოა (1523 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნი), შემდეგ კი ამ გვარის განაყარი სახლების კუთვნილება ჩანს.

სოფლის განაპირას ეკლესია დგას. იგი ერთნავიანი დარბაზული შენობაა, გვიანი მინაშენით სამხრეთიდან. შენობა გათლილი ლოდებითაა ნაგები და ჰორიზონტალურ წყობას იცავს. სახურავი ჩაქცეულია. ორი სარკმელი და შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აღმოსავლეთის კედლის სარკმელი გრეხილი ლილვით შემოვლებულ, წნულ ჩარჩოშია ჩასმული.

*დაიბეჭდა 1976-77წწ. „ძეგლის მეგობარი", 43-44.

მინაშენი ნაგლეჯი ქვითაა ნაგები; იგი კედლის მთელ სიგრძეს გაუყვება, ოღონდ სიმაღლით ნახევრამდე სწვდება მას. მინაშენის შესასვლელს არქიტრავის ლოდი თაედაყირა ადევს, ამიტომ ზედ ამოჭრილი რელიეფური ჯვრის მოკლე მკლავი ქვევით, ხოლო გრძელი მკლავი ზევითაა მიმართული. მინაშენი სამრეთ კედლის სარკმლებს ძირამდე სწვდება, სამაგიეროდ მთლიანად ფარავს შენობის შესასვლელსა და დიდ ბალავრის ქვას, სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით, რომელიც ამის გამო კარგად შემონახულა.



წარწერის ქვევით, გრეხილი ლილვებით ნახევარწრეა გამოსახული, რომლის შუაგული „ბოლნურ მედალიონს" უჭირავს; მის ორსავე მხარეს კი, მოკლე ასომთავრული წარწერა ავსებს.

წარწერას სიგრძეზე 160 სმ. უჭირავს. ასოთა სიმაღლე 8,5 სმ-სა და 4 სმ-ს შორის მერყეობს; ისინი მრგელოვანი ასომთავრულითაა შესრულებული და განკვეთილობის ნიშნებს არ შეიცავენ. ქარაგმის აღმნიშვნელად სწორი ხაზია ნახმარი. ორგან გვხვდება ნუსხური „წ" და „დ"-ის მუცელში შეწიაღებული „ა". ასოთა მოხაზულობა უჩვეულოდ ძველია: „ა", „დ", განსაკუთრებით თავშეკრული „ბ"... ძველია ბოლნური ჯვრის მოტივიც.



სურათი 2.

მიუხედავად გულმოდგინე ნამუშევრისა, ხელოსანს წარწერაში შემასმენელი გამორჩენია, რომლის ჩამატებისა და ქარაგმების გახსნით იგი ასე წაიკითხება: „სახელითა ღმრთისაჲთა ესე ეკლესიაჲ დავით[ის] მეფობასა ვაჰრამის პატრონობასა [ვაშენეთ] ყოველმან და წელიწდამდის ბალავარი დავსვით"; ნახევარწრეში, ბოლნური მედალიონის ორსავე მხარეს: „ქრისტე შეიწყალე ამი[ს] მოქმედი" (სურ. 1.); ბალავრის ქვის ზევით, მარცხნივ ერთ სტრიქონად: „ქრისტე შეიწყალე ჩნდრტჲ".

გამოდის რომ ეკლესია ერთი წლის განმავლობაში „უშენებიათ" დავით ულუსა და ვარამ გაგელის დროს XIII ს-ის შუა წლებში, რადგან ეს უკანასკნელი 1250-იან წლებში წყაროებში აღარ იხსენიება.



სურათი 3.

დავით ულუს გამეფება 1248-9 წლებზე მიდის. ცნობილია, რომ მონგოლებმა საქართველოში ორი დავითი გაამეფეს–ლაშა გიორგისა და რუსუდანის ძენი; თან ულუ დავითს უპირატესობა მიანიჭეს და რუსუდანის ძე მას დაუქვემდებარეს.[2]

საინტერესოა, რომ მეზობელ ალგეთის ხევში მყოფ. სოფ. აბელიის წარწერაში ორივე დავითი ერთად იხსენიება. ეს წარწერა 1250–59 წლებით თარიღდება და ვარამის მოუხსენებლობა იქ, ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ის აღარ იყო ცოცხალი.

შესაძლებელია ცხნარის წარწერის „დავით მეფობასა" უნდა გავიგოთ მრავლობით რიცხვში– „დავით[თა] მეფობასა" და არა მხოლობითში– „დავით[ის] მეფობასა" როგორც არ უნდა იყოს, წარწერის თარიღს ვერც ასეთი გაგება ვერ შეცვლიდა. თუმცა „დავით[ის] მეფობასა" უფრო ბუნებრივი ჩანს, მით უფრო, რომ ნათესაობითი ბრუნვის აღმნიშვნელი „ს" წარწერის ამომკვეთს სხვაგანაც დაჰკლებია: „ქრისტე შეიწყალე ამი[ს] მოქმედი".

სიტყვა „მოქმედი" ძველ ქართულში ფართოდაა

გავრცელებული და ნიშნავს მკეთებელს, შემსრულებელს, მუშაკს, თან სულ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოსას. X საუკუნეში, დავით კურაპალატის ჯვრის ოსტატი ასათ, თავის თავს „მოქმედს" უწოდებს;[3] ოშკის ცნობილ წარწერაში მოხსენიებულია „კალატოზთა და მოქმედთა მიზდი", „ყოველი ერი და მოქმედი";[4] XIII საუკუნის იენაშის ოთხთავის გადამწერი და მხატვარი თავის თავს ანდერძში უწოდებს" ამისსა მოქმედსა იონას"[5] და სხვა... ასე რომ ჩვენს წარწერაში "მოქმედი' არა მხოლოდ ბოლნური ჯვრის, არამედ მთელი წარწერის შემსრულებლადაც შეიძლება ვივარაუდოთ. თითქოს ამისავე საბუთად გამოდგებოდა წარწერის ზოგი ასოსა და ჯვრის მოტივის ფსევდოარქაულობაც, რაც XIII ს–ეს არ ახასიათებს.

ამ წარწერის ქვევით, ჰორიზონტალური ლილვის დაბლა ერთსტრიქონიანი ხუცური წარწერაა ამოკაწრული, სადაც განირჩევა სიტყვები „გა[ნა]ხლებულ იყო ესე კ[არი]..." შესაძლოა ეს შესასვლელის ორნამენტულ მოჩარჩოებას გულისხმობდეს, რომელიც მოგვიანებით ჩაუტარებიათ, ალბათ მინაშენის კეთებისას. გაურკვეველია მთავარი წარწერის ზევით, ცალკე მოთავსებული ერთსტრიქონიანი წარწერიდან ასოთა ჯგუფი „ჩნდრტ ". არც მისი ეკლესისთან დამოკიდებულებაა აღნიშნული. აქ მოსალოდნელი იყო სახელი ლოდის შემწირველისა...

წარწერით კარგად მტკიცდება, რომ, ცხნარი და ალბათ მთელი სამშვილდის ქვეყანაც, XIII ს-ის შუა ხანებში ვარამ გაგელის საპატრონოა. ქართულ და სომხურ საისტორიო მწერლობაში ეს პირი კარგადაა ცნობილი, როგორც ერთი ყველაზე გავლენიანი მოღვაწეთაგანი. მისი მამისათვის ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელისათვის, თამარ მეფეს მიუცია გაგი ქურდევაჭრით განძამდე, როგორც „ქვემოთი სანაპირო" საერისთავო.[6] ზაქარიას ძე ვარამი და მისი შვილი აღბუღა ფლობდნენ გაგსა და სომხითის ციხე–ქალაქებს: შამქორს, ტავუშს, კაწარეთს, ტერუნაკანს, მაღნაბერდს, ნორბერდს, ქავაზინს, ქარჰერძს, გარდმანს, ზეგამს.[7] მათი მთავარი, მამაპაპეული საკუთრების– გაგის ფლობის გამო, მხარგრძელთა ეს შტო გაგელებად იწოდებოდა.

თამარ მეფემ ვარამ გაგელს მსახურთუხუცესობაც უბოძა. ისტორიკოსები მას სხვადასხვა ეპითეტებით ამკობენ: ის იყოვო "კაცი საპატიო და ლაშქრობათა შინა გამარჯვებული"; ხვარაზმელთა შემოსევის დროს და "უწინარეს ამისსა, ვარამ

გაგელს, კაცსა გონიერსა და ლაშქრობათა შინა წარჩინებულსა, ამას აქუნდა შამქორი და მომდგომნი მისნი ქუეყანანი".[6]

კირაკოს განძაველის ცნობით, რუსუდანი სამეფოს განაგებდა ივანე, ავაგ, შანშა მხარგრძელებისა და ვარამ გაგელის მეშვეობით. გრიგოლ აკანელის ცნობით კი, საგიმის ველზე მომხდარ დიდ ომში მონგოლებთან, სწორედ ვარამ გაგელის ფრთას გაუმარჯვია, თუმცა ეს წარმატება ქართველებს ბოლომდე ვერ მიუყვანიათ.[7]

მონგოლთა მიერ საქართველოს დამორჩილების შემდეგ, უმეფების დროს, მონგოლებმა ქვეყანა დუმნებად [მსხვილ პროვინციებად] დაყვეს, რომელთა სათავეში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პირები დააყენეს. ამ დროს „ვარამ გაგელსა ჴელთ უდვეს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელს ქართლი" ეს „ყოველი სომხითი" მთელი ქვემო ქართლია, ვიდრე შამქორამდე, რომელიც ვარამისათვის ჩაუბარებიათ.

ქართველი ჟამთააღმწერლის მიხედვით, ულუ დავითი საბერძნეთიდან ვარამ გაგელსა და სარგის თმოგველს ჩამოუყვანიათ. სომხური წყაროს ცნობა გრიგოლ აკანელისა კი. საერთოდ ვარამს აკისრებს მთავარ როლს ულუ დავითის გამეფებაში: "მიიღეს ბრძანება დიდი ღანისაგან, მოიყვანეს და დასვეს დავითი მისი მამის ტახტზე თბილისში. ძლიერ გაიხარეს ქართველემა მთავრებმა, უწოდეს მას "ვარამული მეფე", ე.ი. "ვარამ დასვი მეფედ". ახალი მეფის დასმის გამო ერთხანს დაწყნარდა ქაწთველთა და ალვანთა ქვეყნები."[7]

დავითის გამეფების შემდეგ, მონგოლური დუმნისთავობა უნდა მოშლილიყო და ისევ ქართული სახელმწიფოებრიობა აღდგენილიყო. ასეთ შემთხვევაში რაღაა ჩვენი წარწერის „ვაჰრამის პატრონობასა"? საქმე ისაა, რომ ძველი დუმნისთავები დავითის გამეფების შემდეგაც პატრონობდნენ მათთვის მიბარებულ ქვეყნებს, ოღონდ ახლა ქართული მთავრების ინსტიტუტის რიგზე. ეს ხომ ის დრო იყო, როდესაც საქართველის მეფემ "ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი შიშისათვის ყაენისა", მით უფრო ვარამ გაგელი, რომელსაც ამდენი დამსახურება ჰქონდა ულუ დაავითის წინაშე.

1259 წლის რკონის დაწერილი გვამცნობს, რომ მეფეს ვარამისთვის სოფელი ხოვლეც უბოძებია შიდა ქართლში, ხოლო აღბუღასა და მის შვილებს იგი ურტაღებისათვის მიუყიდიათ.[8]

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ცხნარისა და აბელიის თითქმის თანადროულ წარწერათა შედარება [სხვაობა მაქსიმუმ

10 წელია]. ასოთა მოხაზულობის საოცარ უთანაბრობასთან ერთად [აბელის წარწერაში XIII საუკუნე აშკარად მოჩანს]. ყურადღებას იქცევს შინაარსობრივი განსხვავებაც. ცხნარში მშენებლობის ინიციატორი არ ჩანს; დავითის მეფობა და ვაჰრამის პატრონობა დროის განსაზღვრისათვისაა ნახსენები, თორემ არც მათი მონაწილეობა ჩანს მშენებლობაში. გამოდის, რომ წარწერის „ყოველმან" გულისხმობს სოფლის ერთიანი მოსახლეობის მიერ გაწეულ შრომა-დაფინანსებას, რაც ქართულ სინამდვილეში გამონაკლისი არაა. ასეთ შემთხვევაში გასაგებია, რომ ამ საზოგადოების პატრონი ვარამია, ვარამისა კი [უნდა ვიგულისხმოთ] – მეფე.

აბელიის წარწერაში მანგლელი ეპისკოპოსია მშენებლობის ინიციატორი – არსენ მშვილდაძსძე რომელიც ორი დავით მეფის წყალობით [ფინანსური, თუ სხვა დახმარებით] აშენებს ეკლესიას. ამიტომ საყდარი აიგება უპირველეს ყოვლისა „სამლოცველოდ მეფობისა მათისა". ეპისკოპოსი ვრცლად [23 სტრიქონზე] მოგვითხრობს, თუ რა გაჭირვებით აშენებს ეკლესიას მონგოლთა მიერ დაპყრობილ საქართველოში და რომ ეს მხოლოდ "პატრონთა წყალობით" გახდა შესაძლებელი. აქვე გაკვრით ნათქვამია, რომ მშენებლობაში სხვებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

ისევე, როგორც ცხნარის წარწერაში, აქაც ნახსენებია პატრონი [„პატრონთა წყალობით"], რაც დავით ულუს და დავით ნარინს გულისხმობს; ისინი პატრონნი არიან მანგლელი მთავარეპისკოპოსისა. აქ ვარამი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს, ხოლო ძე მისი აღბუღა, ჩანს ვერ გახდა მამამისის უფლებრივი მემკვიდრე: XIII ს-ის მეორე ნახევრიდან გაგელთა გვარი დაემცრო და მსახურთუხუცესობა სურამელთა საგვარეულოში გადავიდა. მაგრამ მაინც, თუ არსენ მშვილდაძსძესა და მეფეთა შორის არავინ დგას, ეს მანგლელი მთავარეპისკოპოსის მაღალ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს, რომლის უშუალო პატრონი მეფეა.

ვარამის დუმნისთავობა, მთავრობა-პატრონობა არ არღვევდა ადგილობრივ ერისთავთა, ან სხვა მოხელეთა უფლებებს, რომლებიც ქვემო ქართლის მცირე ქვეყნებს განაგებდნენ. თვით სამეფო ქვეყანა "ყოველი სამშვილდეც" რამოდენიმე მცირე ერთეულად იყოფოდა, რომელთაც ერისთავები, თუ სხვა ხელისუფალნი მართავდნენ. მაგ: ტორნისხევის ჯიგრაშენში ნაპოვნი, XIII ს-ის ასომთავრული წარწერა იხსენიებს ვინმე

ნიკოლოზ ერისთავს,[9] რომელიც ცხადია, პირველ ყოვლისა ტორნისხევის გამგებელი უნდა ყოფილიყო; ან ფიტარეთის მონასტრის მაშენებელი ქავთარ ქჯფესძე, „ამირეჯიბი თვითმპყრობელისა ძლიერისა მეფეთ-მეფისა გიორგისი," რომელიც ისევ XIII ს-ს უნდა ეკუთვნოდეს...

იმასვე ადასტურებს განვითარებული შუა საუკუნეთა ხანის ციხეების აგება მოდამნახესა და ცხნარში, [ე.ი. საციხისთავო ერთეულების გამრავლება], ამავე ეპოქის ფეოდალთა სასახლეებისა, სამონასტრო მშენებლობათა სიმრავლე [ფიტარეთი, პირღებული, გვიანა, მონასტერი].[10]

ზემოხსენებული ციხე სოფ. ცხნარის სიახლოვესაა დაახლოებით 1,5 კმ-ზე. აქ სხვადასხვა ზომის კლდის ლოდები ბათქაშზეა ნაწყობი და მოზღუდულია ფართობი დაახლოებით: 25 მX10 მ. კედლებს ხუთი ნახევარწრისებური ბურჯი ამაგრებს. სამზერები აღმოსავლეთ მხარეს აქვს და ქციას ამოყოლილ გზას გასცქერიან, რომელიც ამ ადგილას იკვეთება დმანისხევიდან გადმოსული გზით და ცხნარის გავლით ირაგის ხეობისაკენ მიემართება. როგორც ჩანს ამ ციხეს ემორჩილება ქციის ხრამის სოფლები და გზები ლიპარიტის უბნიდან ბერიქალის ციხემდე, რადგანაც შემდეგ სხვა ციხეთა „შესავალი ქვეყნები" იყო.

ზევით აღვნიშნე, რომ ცხნარის ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი აქვს. მისი დაუდევარი წყობა ძლიერ განსხვავდება მთავარი შენიბის გათლილი საპირე ლოდებისაგან, ამიტომ მისი მოშენება მოგვიანო ხანებში უნდა ვივარაუდოთ; მაგრამ ამ მინაშენს კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შემოუნახავს: ძირითადი შენობის კედელზე პილასტრად არის გამოყენებული ქვაჯვარა თავისი კუბური ბაზისით. ბაზისის ზომებია –38 სმ. X 26 სმ. სტელაზე ტოლმკლავა ბოლნური ჯვარია ამოჭრილი და მის ქვეშ ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა. ბაზისი კი მთლიანად უკავია ხუთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერას, რომლის ბოლო სიტყვები აღარ ჩანს (სურათი 4).

ასოთა უმრავლესობა სიმაღლით 4 სმ-ია; უმცირესი ასოა „ი" –2 სმ. მე-4 და მე-5-ე სტრიქონის პირველი 3-4 ასო გადაშლილია (სურათი 4). ქარაგმების გახსნით წარწერა ასე იკითხება: "სახელითა ღმრთისაჲთა ესე ჯუარი აჰმართეს კოჟოლის ძ[ეთა] მამისა ძმისა და ძისა...რს ზედა ვინ შე[ცვალოს]"... შესაძლოა ჯვრის ქვეშ მოთავსებული ასოთა ჯგუფი, ბაზისის წარწერის დაბოლოება იყოს, ზევით ატანილი ბაზისზე უადგილობის



სურათი 4.

გამო:..''ქნე საუკუნოი არს''

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა X ს-ის შეიძლება

იყოს, როგორც ვხედავთ აქ ჯვრის აღმართვაზეა საუბარი, რომელსაც კოჟოლის ძენი განახორციელებენ, როგორც ადგილობრივი მფლობელნი. ბაზისის წარწერის ბოლო სტრიქონის დაზიანების გამო, არ ჩანს, თუ რას "ზედა" აღმართავენ ჯვარს. აქ შეიძლება იყოს როგორც სალოცველად ჯვრის აღმართვის ფაქტი, ასევე შაწირულებისა, თუ მიწის მიჩემების აღნიშვნა; არაა გამორიცხული მემორიალურ ძეგლთანაც კი გვქონდეს საქმე.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ეს ქვაჯვარი სხვა ადგილიდან იყოს მოტანილი საყდრის მინაშენის კეთების დროს. ბუნებრივია მისი აქვე არსებობა ვივარაუდოთ ეკლესიის მშენებლობის დროსვე XIII ს-ის ნახევარში. შესაძლოა იგი აქ ძველი საყდრის არსებობაზეც მიუთითებდეს, რომელიც იქნებ მხოლოდ გადააკეთეს, თუ „მეორედ ააშენეს" მონგოლთა ბატონობის პირობებში [სწორედ ამ ქმედების აღმნიშვნელი სიტყვაა გამოტოვებული ბალავრის წარწერაში]. მოგვიანებით უკვე მინაშენიც გაუკეთებიათ ეკლესიისათვის, რომელშიაც მოხვდა ეზოში მდგარი ქვაჯვარაც.

ამრიგად ცხნარის ქვაჯვარი, ეკლესია-სასაფლაო და მისი წარწერები, ციხე, სოფლის მახლობლად მდგარი გზაჯვარედინზე, ამ პუნქტის სიძველესა და მნიშვნელობაზე მეტყველებენ შუა საუკუნეების „ყოველი სამშვილდის" შემადგენლობაში.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, 145–146.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, თბ. 1966, 137.

3. Е. Таканшвили. Археологическия экскурсии. вып.2.Тб. 1905, 19.

4. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искуство, Тб. 1959, 163,169; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ, 1960, 48; ელ. მაჭავარიანი, იონა გადამწერი... „ძეგლის მეგობარი", 35, 16.

5. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილი გამოც. II, თბ. 1952, 110, 171–72.

6. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოცემა, თბ. 1961, 174, 27.

7. ის. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II თბ. 1965, 63.

8. საქართველო სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი თბ. 1953, 30.

9. ირ. ციციშვილი, „მონასტრის" არქიტექტურული კომპლექსი, „მიმომხილველი" II, თბ. 1951, 295, 297; პ. ზაქარია, „თამარ მეფის ნასასახლევი", „ძეგლის მეგობარი" 30, 83.

# თრიალეთის უცნობი წარწერები*

განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, მის პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი ძალით შემოდის ჩვენი ქვეყნის სამხრეთ მთიანეთის ზეგანი: ტაშირი, ზურტაკეტი, თრიალეთი, ჯავახეთი... ამაში დიდ როლს ასრულებდა იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია, ხელსაყრელ ისტორიულ–გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი, აგრეთვე ეკონომიკური, ეთნიკური თუ სხვა რიგის მოვლენათა ურთიერთდამთხვევა.[1]

ამ გარდამავალ ეტაპზე მზარდი ფეოდალური საზოგადოების მიერ უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნების ახლებური ათვისება ხდებოდა. ერთი ასეთი მოვლენა ლაკონიურად აისახა მემატიანის სიტყვებში: „... შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე".[2] ეს იყო IX ს-ის მეორე ნახევარში.

არგვეთელ ბაღვაშთა მიერ შექმნილმა კლდეკარის საერისთავომ ორ მშფოთვარე საუკუნეს გაუძლო. ეს იყო წლები სასტიკი ბრძოლებისა საქართველოს გამაერთიანებელ მეფეთა, მეზობელ მეფე-მთავართა, თუ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თრიალეთის ენერგიული მეპატრონენი აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე, ხოლო ბაღვაშთა უძლიერესმა წარმომადგენელმა XI საუკუნეში, როგორც მემატიანე იტყოდა, „კნინღა მეფობა იკადრა".

წერილობით წყაროებს, ამ საერისთავოს შესახებ რომ მოგვითხრობენ, ემატება ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი რაოდენობა, რომელიც აქ შემორჩენილა. თითქმის ყოველ ახალ აღმშენებლობას კლდეკარის საერისთავოში ბაღვაშთა ძალუმი დაღი აზის. ამ წარწერებს შეხებია მრავალი მკვლევარი, ვინც კლდეკარის საერისთავოთი დაინტერესებულა.

ამჯერად ყურადღება უნდა გავამახვილო წარწერათა ერთ ჯგუფზე, რომელიც XI–XIII საუკუნეებს ეკუთვნის და ნაკლებადაა ცნობილი, ან საერთოდ უცნობია[3] გარდა თავისთავადი ღირებულებისა, რაც ამ ეპიგრაფიკულ ძეგლებს გააჩნია, ისინი საინტერესო კითხვებს აღძრავენ თრიალეთისა, თუ კლდეკარის

*დაიბეჭდა 1982წ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულში, VI.

ბალავრის ქვაზე ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა ამოკოდვილი. ქვედა სამ სტრიქონს შუაზე ყოფს წრეში ჩასმული ჯვრის მსგავსი ვარდული.



ნახაზი II

წარწერა ასე იკითხება: "ქ. სახ(ე)ლით(ა) ღ(მრთისაჲთ)ა, ესე ეკლეს(ი)ა წ(მიდი)სა გ(იორგ)ისი მ(ა)ს ჟამს(ა) აღეშენ(ა), ოდეს ივ(ა)ნეს ჰქ(ო)ნდა ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ(ი)ს ძესა, ს(ა)დ(იდე)ბლ(ა)დ ს(უ)ლისა მ(ა)თის(ა), დღეგრძ(ე)ლებ(ი)სათჳ(ს) ძის(ა) მ(ა)თ(ის)ა ნიკ(ო)ლ(ო)ზ(ი)ს(ა) ქ(ო)რო(ნი)კონი ჲყო სჲ...(1040წ.).

წარწერას ახასიათებს "ა" – ების დაკლება სიტყვათა ბოლოს: "სახელით", "ჟამს", "აღაშენ", "მათის", "ძის", "ნიკოლოზის", ერთგან აკლისა "ს": "დღეგრძელებისათჳ": დამახასიათებელია "ჲ"-ს და "ი"-ს აღრევა ორ შემთხვევაში: "ჲვნე" და "ჲყო"...

ზემოთ განხილული ორი წარწერის ქტიტორთა დააკავშირება ეთმანეთთან ძალიან ბუნებრივი ჩანს: საერთოა სახელები, ეპოქა (განსხვავება 22 წელია), ტერიტორია (მდ. ყარაბულახის მარჯვენა სანაპირო). ეს ადგილობრივი ფეოდალები თავის საქონებელ სოფლებში აგებენ ეკლესიებს. დამახასიათებელია ერთი და იმავე სახელების გამეორება ამ ფეოდალურ საგვარეულოში: ნიკოლოზი ჰქვია პაპასა და შვილიშვილს ( გაღმა სარკის წმ. გიორგის წარწერა), შესაძლოა პაპისავე, ან ბიძის საახელია ივანეც...

საინტერესო ჩანს ხაზგასმით ნათქვამი: "ესე ეკლესია... მას ჟამსა აღეშენა, ოდეს ჲვანეს ჰქონდა ნიკოლოზის ძესა". თითქოს ისე გამოდის, რომ ქვემო ყარაბულახი, სოფელი, სადაც შენდება

ეკლესია, ამ ფეოდალების საგვარეულო საქონებელი, შთამომავლობით მიღებული კი არაა, არამედ ახალი შეძენილია, რის მატერიალურ დასაფუძვლებასაც ეკლესიის აგებაში ხედავენ.

ზურტაკეტის წარწერებიდან კიდევ ორი იქცევს ყურადღებას– სოფ. საჯისა და კიროვისისა, იმავე დმანისის რაიონში.

3. პირველი სოფელი მდ. ყარაბულახის მარჯვენა სანაპირო ფლატეს გადმოჰყურებს. ესაა ძველი ქართული სოფელი საჭე, რომლის სახელი ამჟამად იქაური თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველებაში „საჯა"-დ გაისმის; ასეეა იგი დატანილი 1917 წ. რევოლუციამდელ თუ შემდეგდროინდელ; რუკებზე. აქ ორი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, რომელთაც ირგვლივ ძველი სასაფლაოები აკრავს. სოფლის აღმოსავლეთით არსებული ეკლესიის ნანგრევებზე ვეება ბალავრის ლოდია შერჩენილი; ზედ მომაღლო, რელიეფური ჯვარია გამოსახული შუაში ნახევარსფერული ბურცობით. ჯვარი რელიეფურსავე, ოთკუთხა საყრდენზე დგას. უმეტესი ფართობი გათლილ ლოდზე ცარიელია დატოვებული და მხოლოდ ჯვრის მარჯვნივ, ზევით ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომელიც ასე იკითხება: "ქ(რისტ)ე ად(ი)დე მ(ელ)ქ(ი)ზ(ედე)კ ქა(რ)თლ(ი)სა კ(ათა)ლ(ი)კ(ოზ)ი. ქ(ორონიკონი) იყო..." და მეტი აღარაა. ჩანს არც დაუწერიათ.



ნახაზი III:

კვადრატულ საყრდენზე, რაზეც ჯვარია აღმართული, სამსტრიქონიანი, გადაშლილი წარწერა ირჩევა: "ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე გ(ა)ლ(ა)ტ(ოზ)ნი". საერთო შთაბეჭდილება ისეთია თითქოს ქვის დანარჩენი ნაწილიც შემდეგ ამოსაჭრელი წარწერისათვის იყო გამზადებული...

პალეოგრაფიული ნიშნებითაც და ჯვრის ფორმითაც წარწერა XI ს. ეკუთვნის. აქ მოხსენიებული მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელია 1010–1033 წწ., დაუცხრომელი მოღვაწე, სვეტიცხოვლის "მეორედ აღმშენებელი", რომელმაც ეკლესიას, შემკობასთან ერთად, მრავალი სოფელი შესძინა და შეუვალობა მოუპოვა; თავის "დაწერილში" სვეტიცხოვლისადმი (1029–1033 წწ) იგი ჩამოთვლის სოფლებს, მას რომ "მოუგია". იქ საჭე არ ჩანს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სოფელი ადრევე ეკუთვნოდა სვეტიცხოველს. "და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს: და მე მოვაჴსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჴადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა...

და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავდგენ ყოველგან სახლნი; და ავაგენ ეკლესიანი რიცხვთ ყოველნივე„[6] სწორედ ამ ბოლო სტრიქონებიდან უნდა ჩანდეს, თუ როდის და რატომ აუგია მელქისედეკს საყდარი სოფ. საჭეში, რომელზედაც თავისი სახელი დაუტოვებია.

4. მელქისედეკის მომდევნო კათალიკოსის – იოანეს სახელთანაა დაკავშირებული სოფ. კიროვისის წარწერა. ეს სოფელი მდ. ყარაბულახის მარჯვენა სანაპიროზეა, სოფ. საჭიდან ჩრდ. მხარეს, დაახლ. 4–5 კმ-ზე. ძველი ეკლესიიდან იქ ახლა მხოლოდ ცალკეული ლოდებიღაა გადარჩენილი; ერთ მათგანზე ორნამენტია: სამმაგი ზოლებით გამოხატული, ერთმანეთს ჩახვეული წრეების უწყვეტი ჯაჭვი.

კოლმეურნეობის პურის ბეღელთან ქვის ორი სვეტია ჩასმული კარების ჩამოსაკიდებლად. ესაა ეკლესიის ბალავრის ლოდი, შუაზე გაჭრილი, რომელთა შეერთებით მიღებული ქვის ზომა 2მ X 90 სმ გამოდის. მას ერთი მხარე ჰქონია გათლილი, რომლის ცენტრში „ბოლნური მედალიონია" გამოსახული: წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. ჯვრის ზევით, ლოდის მთელ სიგრძეზე ასომთავრული წარწერაა. შუასა და ბოლოში ნაკლული

იგი ასე შეიძლება წავიკითხოთ:



ნახაზი IV:

„ა(დიდე)ნ [ღმერთმან] (ი)ო(ა)ნე, ოქროპ(ი)რი, ქ(რისტე)ს მი(ე)რ ქ(ა)რთ(ლი)ს(ა) კ(ათალიკოზი)". წარწერა უთარიღოა, მაგრამ აქ მოხსენიებული სახელით ცხადი ხდება, რომ ეკლესია აუგებინებია იოანე ოქროპირს. იგი კათალიკოსად ჩანს მელქისედეკის მომდევნო ხანაში – 1033–1048 წლებში. იოანეს ზედწოდების შესახებ ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში" ამბობდა: „იოანე ჲსთქუა, მამათ-მთავარი პირუმღ, ვინ ოქროპირი ინართაულ-სახელა,.. ვინ მოძღუარებითა ემჲსგავსა მოციქულთა".[7] „მატიანე ქართლისას" ცნობით, „დაჯდა კათალიკოს–პატრიარქად ოქროპირი, და ამანცა მრავალნი შემატნა დიდსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა... მრავალნი ეკლესიანი აღაშენა და განაახლნა".[8] მართლაც, იოანე ოქროპირის სახელი გვხვდება თრიალეთის და ჯავახეთის ეკლესიათა წარწერებშიც, სადაც ჩვენი მაგალითის მსგავსად, სვეტიცხოვლის კუთვნილ სოფლებში მას ეკლესიები უშენებია.

ამავე სვეტის მეორე, დაუმუშავებელ მხარეზე კიდევ ერთი წარწერაა: DEUTSCHE / KOLONI / WALDHEIM / МАСТЭР / ФЕОФАН / ПОЗОВ и ФЕОФАН / ГУРЦЕВ 1929. საოცარია ქვემო ქართლის სოფლების ისტორიული ხვედრი; ვიღას არ „უღვაწია" ამ უპატრონო ნასოფლარების მოსათხრელად. როგორც ეს ორენოვანი წარწერა გვამცნობს, გერმანელი კოლონისტების ამ დასახლებაში, რომელსაც ვალდჰაიმი რქმევია, 1929წ. უმუშავიათ ბერძენ ქვის ოსტატებსაც მეზობელი სოფლებიდან.[9] მათ გაუჭრიათ ბალავრის ლოდი და გერმანულ-რუსულად წაუწერიათ.

რა იყო სოფ. კიროვისის ძველი ქართული სახელი? ჩვენი გამყოლის გომარელი შიო ხიზანიშვილის სიტყვით, გერმანელებამდე აქ თათრებს უცხოვრიათ, ხოლო ამ სოფელს მაშინ ორომაშენი ერქვა. შემდეგ ისინი აქედან გადასახლებულან

ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე ნასოფლარში, სადაც ძველი საცხოვრისის სახელიც გადაუტანიათ. ამრიგად, ორომაშენი დღეს სულ სხვა სოფელს ჰქვია. ზემოთქმულს ადასტურებს 1905 წლის ხუთვერსიანი რუკაც, რომელზეც სოფ. ბაღჩალარის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია „ორომაშენი", ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით კი „თათრების ორომაშენი".

სოფ. ორომაშენის სვეტიცხოვლისადმი კუთვნილებას ამ წარწერის გარდა მოწმობს კიდევ ორი საბუთი XII და XIV საუკუნეებისა. პირველის მიხედვით, მიქელ ქართლისა კათალიკოსი 1241 წ. მცხეთის სახლის მსახურთუხუცესს-ვაჩე გუარამაძეს ძეს სამამულოდ აძლევს დმანისის პირს სოფ. ორომაშენს იქ მცხოვრები სიგლოსანი ხუცების გარდა. აქვე იგი განსაზღვრულია, როგორც ძველადვე „ხატის სოფელი", ე.ი. სვეტიცხოვლის კუთვნილი.[10]

1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია ორომაშენიც.[11] არ ჩანს, თუ რა დროიდან ეკუთვნოდა ეს სოფელი სვეტიცხოველს; აქაური ქართული წარწერა არ მიუთითებს, მანამდეც ასე იყო, თუ იოანე ოქროპირმა „შემატა" იგი მცხეთას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქვე მდებარე სოფ. საჯის მსგავსად, ორომაშენიც ადრიდანვე საკათალიკოსო იქნებოდა, ხოლო იოანე ოქროპირმა მელქისედეკის მსგავსად ააშენა, ან განაახლა აქაური ტაძარი. ორივე სოფელში ძველი ეკლესიების მეორედ აშენებას გვაფიქრებინებს XI ს-ის მშენებლობაში გამოყენებული ადრეული არქიტექტურული დეტალები.

5. ზურტაკეტის უცნობი წარწერებიდან ერთი, ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს. ესაა კაკლიანის წარწერა. პატარა სოფელი გომარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა მისგან დაახლ. 10 კმ-ზე. იქ ედიშერაშვილების 5 კომლიღა ცხოვრობს. სოფელში დარბაზული ეკლესიაა ღვთისმშობლის სახელობისა; სარკმლები სამია დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებზე. ამ უკანასკნელს გათლილი ლოდი ადევს, რომელზედაც რელიეფური, მომაღლო ჯვარია, რელიეფურივე, ნალისებური რკალით გადახურული. შესასვლელი სამხრეთ კედლიდან აქვს; ვეება არქიტრავის ქვაზე,

იგი ასე შეიძლება წავიკითხოთ:



ნახაზი IV:

„ა(დიდ)ე)ნ [ღმერთმან] (ი)ო(ა)ნე, ოქროპ(ი)რი, ქ(რისტე)ს მი(ე)რ ქ(ა)რთ(ლი)ს(ა) კ(ათალიკოზი)". წარწერა უთარიღოა, მაგრამ აქ მოხსენიებული სახელით ცხადი ხდება, რომ ეკლესია აუგებინებია იოანე ოქროპირს. იგი კათალიკოსად ჩანს მელქისედეკის მომდევნო ხანაში – 1033–1048 წლებში. იოანეს ზედწოდების შესახებ ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში" ამბობდა: „იოანე ჲჷსთქუა, მამათ-მთავარი პირუჩლ, ვინ ოქროპირი ინართაულ-სახელა,.. ვინ მოძღუარებითა ემჷსგავსა მოციქულთა".[7] „მატიანე ქართლისაჲ" ცნობით, „დაჯდა კათალიკოს–პატრიარქად ოქროპირი, და ამანცა მრავალნი შემატნა დიდსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა... მრავალნი ეკლესიანი ალაშენა და განაახლნა".[8] მართლაც, იოანე ოქროპირის სახელი გვხვდება თრიალეთის და ჯავახეთის ეკლესიათა წარწერებშიც, სადაც ჩვენი მაგალითის მსგავსად, სვეტიცხოვლის კუთვნილ სოფლებში მას ეკლესიები უშენებია.

ამავე სვეტის მეორე, დაუმუშავებელ მხარეზე კიდევ ერთი წარწერაა: DEUTSCHE / KOLONI / WALDHEIM / МАСТЭР / ФЕОФАН / ПОЗОВ и ФЕОФАН / ГУРЦЕВ 1929. საოცარია ქვემო ქართლის სოფლების ისტორიული ხვედრი; ვიღას არ „უღვაწია" ამ უპატრონო ნასოფლარების მოსათხრელად. როგორც ეს ორენოვანი წარწერა გვამცნობს, გერმანელი კოლონისტების ამ დასახლებაში, რომელსაც ვალდჰაიმი რქმევია, 1929წ. უმუშავიათ ბერძენ ქვის ოსტატებსაც მეზობელი სოფლებიდან.[9] მათ გაუჭრიათ ბალავრის ლოდი და გერმანულ-რუსულად წაუწერიათ.

რა იყო სოფ. კიროვისის ძველი ქართული სახელი? ჩვენი გამყოლის გომარელი შიო ხიზანიშვილის სიტყვით, გერმანელებამდე აქ თათრებს უცხოვრიათ, ხოლო ამ სოფელს მაშინ ორომაშენი ერქვა. შემდეგ ისინი აქედან გადასახლებულან

ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე ნასოფლარში, სადაც ძველი საცხოვრისის სახელიც გადაუტანიათ. ამრიგად, ორთმაშენი დღეს სულ სხვა სოფელს ჰქვია. ზემოთქმულს ადასტურებს 1905 წლის ხუთვერსიანი რუკაც, რომელზეც სოფ. ბაღჩალარის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია „ორომაშენი", ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით კი „თათრების ორომაშენი".

სოფ. ორომაშენის სვეტიცხოვლისადმი კუთვნილებას ამ წარწერის გარდა მოწმობს კიდევ ორი საბუთი XII და XIV საუკუნეებისა. პირველის მიხედვით, მიქელ ქართლისა კათალიკოსი 1241 წ. მცხეთის სახლის მსახურთუხუცესს-ვაჩე გუარამაძეს ძეს სამამულოდ აძლევს დმანისის პირს სოფ. ორომაშენს იქ მცხოვრები სიგლოსანი ხუცების გარდა. აქვე იგი განსაზღვრულია, როგორც ძველადვე „ხატის სოფელი", ე.ი. სვეტიცხოვლის კუთვნილი.[10]

1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია ორომაშენიც.[11] არ ჩანს, თუ რა დროიდან ეკუთვნოდა ეს სოფელი სვეტიცხოველს; აქაური ქართული წარწერა არ მიუთითებს, მანამდეც ასე იყო, თუ იოანე ოქროპირმა „შემატა" იგი მცხეთას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქვე მდებარე სოფ. საჯის მსგავსად, ორომაშენიც ადრიდანვე საკათალიკოსო იქნებოდა, ხოლო იოანე ოქროპირმა მელქისედეკის მსგავსად ააშენა, ან განაახლა აქაური ტაძარი. ორივე სიფელში ძველი ეკლესიების მეირედ აშენებას გვაფიქრებინებს XI ს-ის მშენებლობაში გამოყენებული ადრეული არქიტექტურული დეტალები.

5. ზურტაკეტის უცნობი წარწერებიდან ერთი, ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს. ესაა კაკლიანის წარწერა. პატარა სოფელი გომარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა მისგან დაახლ. 10 კმ-ზე. იქ ედიშერაშვილების 5 კომლიღა ცხოვრობს. სოფელში დარბაზული ეკლესიაა ღვთისმშობლის სახელობისა; სარკმლები სამია დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებზე. ამ უკანასკნელს გათლილი ლოდი ადევს, რომელზედაც რელიეფური, მომაღლო ჯვარია, რელიეფურივე, ნალისებური რკალით გადახურული. შესასვლელი სამხრეთ კედლიდან აქვს; ვეება არქიტრავის ქვაზე,

სულ ქვედა კიდეზე, ერთი სტრიქონია ამოკოდვილი ასომთავრულით" ქ(რის)ე შ(ეიწყალ)ე ივ(ა)ნე ე(რისთავთ) ე(რისთავი)".



ნახაზიV:

ეს უნდა იყოს ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში, რომელიც მამის შემონაზვნების შემდეგ მასთანვე გაიქცა კონსტანტინეპოლს. 1059წ. ბაგრატ მეფემ იგი სამშობლოში დააბრუნა და „უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა".[12] ივანეს მამული ქართლში კლდეკარის საერისთავო იყო, „ქუეყანანი თრიალეთისა". ის, რაც ლიპარიტს თრიალეთის გარდა ძალით ჰქონდა მინატაცები, არ ჩანს, რომ ბაგრატ IV-ს ივანესათვის დაებრუნებინოს. გიორგი II მეფობაში კი, ივანემ კლდეკართან ერთად, მეზობელი სამშვილდეც დაიმტკიცა.

ამრიგად კაკლიანის წარწერა (შესაძლოა იქაური საყდრის აგების თანადროული) 1059 წ. შემდეგაა შესრულებული, როდესაც ივანე თრიალეთის ერისთავთ-ერისთავად დაბრუნდა.

ზურტაკეტ-თრიალეთის დანარჩენ წარწერებს ქორონიკონი არ ახლავთ. ამიტომ მათი დათარიღება მიახლოებით ხდება, პალეოგრაფიული ნიშნებით, არქიტექტურული დეტალებისა და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით.

6. შახმარლო ზურტაკეტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის განაპირა სოფელია. იგი მაშავერის მარცხენა სანაპიროს ზეგანზეა, დღევანდელი რაიონული ცენტრის–დმანისის დასავლეთით. თურქულენოვანი მოსახლეობის რამოდენიმე კომლი აქაური ტოპონიმიის უმეცარია და არც რუკების მიხედვით ხერხდება ამ სოფლის ლოკალიზაცია.

დარბაზული საყდრის ნანგრევი დასახლების დასავლეთ ნაპირზეა. შერჩენილია სამხრეთ და დაასავლეთ კედლების

სარკმელთა ზუსტად ერთნაირი მორთულობა: წნული ორნამენტი, გარშემოვლებული რელიეფური, ორმაგი, გრეხილი ლილვის ჩარჩოთი; ჩარჩოს ზედა ნაწილის ჰორიზონტალურ შვერილებს თითო ჯვარი აზის: მარცხნივ წრეში ჩასმული, ტოლმკლავა, მარჯვნივ– მომაღლო. შესასვლელი სამხრეთიდანაა, რომელსაც დიდი ბალავრის ლოდი ადევს – სუფთად გათლილი სწორკუთხედი, სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით. კედლები გარედანაც და შიგნიდანაც გათლილი ლოდების ჰორიზონტალური წყობითაა ამოყვანილი. აფსიდაში ორი, მცირე კვადრატული ნიშაა. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს შუაში თითო სამსაფეხურიანი პილასტრი ჰყოფს, რომლებსაც ორი, ტოლი თაღი გადასდევს. ისინი ორ საფეხურად პროფილირებულ კაპიტალებს ეყრდნობიან.

ასომთავრულ წარწერას არქიტრავის ქვის სწორკუთხა ფართობის მესამედი უჭირავს; პირველი ორი სტრიქონი მოზრდილი, თანაბარი ასოებითაა შესრულებული, მესამე- შემცირებული ასოებით, თუმცა ადგილი საკმაო რჩება სიტყვები ერთმანეთს დაშორებული არაა და არც განკვეთილობის ნიშნებია ნახმარი; ქარაგმის ნიშნად მოკლე სწორი ხაზია; ასოებს ზოგან კიდურწერტილოვნება ეტყობათ და ჰორიზონტალური ხაზების მარცხენა კიდეთა ზევით აწევა ახასიათებთ (ნახაზი VI) იგი ასე იკითხება: "ქ(რისტე) ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრთისა)ი(თა) აშ(ე)ნ(დ)ა ესე ეკ(ლე)სი(აჲ) ჴ(ე)ლ(ი)თა გლ(ა)ხ(ა)კ(ის)ა ს(ი)მ(ო)ნ მღდლ(ის)ა სალ(ო)ცვ(ელა)დ წ(მიდ)ისა დ(ავი)თ მ(ე)ფ(ის)ა და შვ(ი)ლთა მ(ა)თთა დ(ა)ი(დ)ვა წ(მიდა)ჲ ბ(ა)ლ(ა)ვ(ა)რი დ(ა)ვ(ი)თ მ(ე)ფისა ც(ო)დვ(ა)თ(ა) შე(სა)ნ(დო)ბ(ე)ლ(ად)".



ნახაზი VI

ეკლესიაში სატრაპეზო ლოდზე ჯვარია გამოსახული, რომლის ქვევით ასომთავრული წარწერაა:„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(ო)ფ(რო)ნ".

ეკლესიის დას. სარკმლის მარცხნივ ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „ქ(რისტე) შე(ი)წყ(ალ)ე ცხ(ოვრე)ბ(ა)." ცალკე დაგდებულ ქვის პატარა ნატეხზე ნუსხური ასოებია: „ქ(რისტ)ე შ(ეი)წყ(ალე) ს(იმო)ნ". შესაძლოა ეს იგივე სიმონ მღვდელი იყოს, ბალავრის წარწერაში რომ იხსენიება: სოფრონი (სოფრომის სახენაცვალი ფორმაა) და ცხორება უცნობნი არიან. ჩანს ისინიც როგორღაც მონაწილეობდნენ ეკლესიის მშენებლობაში. რაც შეეხება დავით მეფეს, უნდა ვიფიქროთ ის კვირიკიანთა დინასტიის წარმომადგენელია, ტაშირ–ძორაგეტის მეფე (989–1048), რომლის სატახტო ქალაქი სამშვილდე იყო. ამის გამო ქართული წყარო მას „სამშვილდარსა და ძორაკერტელს"[13] უწოდებს. იგი იხსენიება ზემო ყარაბულახის ეკლესიის ქართულ წარწერაშიაც თავის შვილ–კვირიკესთან ერთად.

7. გოგნარი თრიალეთის უკიდურესი ნასოფლარია მის აღმ. ნაპირზე ალგეთის ხეობის ერთ–ერთი შენაკადის სათავეებთან. აქაური დარბაზული ეკლესია სუფთად გათლილი, დიდი ლოდებითაა ნაგები: კედლის გარე და შიდა წყობა ჰორიზონტალურია; შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, თითო სარკმელი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე. ეკლესია ორსაფეხურიან ხარისხზე დგას, მისი შიდა სივრცე ვიწროა და მაღალი. მთავარ ნაგებობას აღმოსავლეთიდან მინაშენი აქვს, ორფერდა გადახურვით. ამ მცირე სათავსს შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს.

აღმოსავლეთ სარკმლის მარჯვნივ წარწერის ნაშთია. ირჩევა მეორე სტრიქონის ბოლოს: „აღვაშენე", ე͞ე ე.ი. „ერისთავთ–ერიათავი" მეშვიდე სტრიქონში: „სადიდებლად"... „სოფლისა". „ე"–ს არ აქვს ჰორიზონტალური ხაზის მარცხნივ გაზიდული ნაწილი. სრულიად მრგვლოვანია „ფ" და „ა". ეკლესია უნახავს ნ. ბერძენიშვილს 1950წ. და თავის დღიურში ჩაუწერია: „გადარჩენილი ასოები ეჭვს არ სტოვებს, **რომ წარწერა მაქსიმუმ X ს–საა, თუ უფრო ადრე არა. შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ეს წარწერა IX ს–ის მიწურულისაა.** სამწუხაროდ „ერისთავთერისთავის" (ეე)

სახელი მეორე ქვაზე ყოფილა (მარჯვენაზე). აქვე აღმოსავლეთის მხრიდან მინაშენები—უეჭველია ეკვდერია: ის ორფერდასახურავიანია სარკოფაგივით. ვინ იცის, შეიძლება ეს ეკლესია ლიპარიტ პირველისაა, კლდეკარის ამგებისა”...

ეკლესიის ირგვლივ სხვადასხვა ეპოქის საფლავის ქვებია. აქიდანვე უნდა იყოს აფსიდაში დადებული ქვის ნატეხი, ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით (ნახაზი VII): „ქ(რისტ)ე მიეც სულსა ზობედაისა” პირველი სტრიქონის მეორე და მესამე სიტყვა გაუმიჯნავადაა დაწერილი, არც განკვეთილობის ნიშნებია;



ნახაზი VII

ქარაგმის ნიშანი მოკლე სწორი ხაზია. ყურადღებას იქცევს უყელო „დ”, რომლის ჰორიზონტალურ ხაზს ზევით აწვდილი ძგიდეები აბოლოებს. საყდრის წარწერისაგან განსხვავებით, ასო „ე”-ს ჰორიზონტალურ ხაზს მარცხნივ გაწვდილი ნაწილი გასჩენია; შეინიშნება ჰორიზონტალური ხაზების მარცხენა დაბოლოების ზევით ადრეკა. ყველა ამ ნიშნებით, წარწერა X–XI ს-ებს უნდა მივაკუთვნოთ. საყურადღებოა სახელის ფორმა „ზობედა” ალბათ ზებედეს ნაცვლად.

თრიალეთის სოფელთა სიაში ვახუშტი ბატონიშვილს გოგნარი არ აქვს. უნდა ვიფიქროდ გვიანი სახელწოდებაა. ამ ადგილებში ვახუშტის რუკაზე მოცემულია სოფლები: ახოთა,უგუდეთი, ნალიბი...

8. ბეშთაშენი ერთ–ერთი მოზრდილი სოფელია წალკის რაიონში. 500-მდე კომლი თურქულად მეტყველი ბერძნებისა, აზრუმის მხრიდან გადმოსული მოსახლეობაა.

სოფლის აღმოსავლეთით განაპირა ქედზე, 100 წლის წინ აგებული პატარა ეკლესიაა. იგი ძველი, მოზრდილი ნაეკლესიარის ნანგრევზეა, რომლის ნაშთი გეგმაშიდა იკითხება. ეს ახალი, მცირე ნაგებობა, ძველ ეკლესიაში მდგარი დიდი ქვაჯვრისათვის შემოუშენებიათ. მისი ბაზა ნახევარსფეროს წარმოადგენს და 80 სმ სიმაღლისაა; ბაზაზე ფართო, რელიეფური ჯვარია გამოსახული, შუაში რელიეფურივე კოპით. ნახევარსფერულ კვარცხლბეკში მჭიდროდაა ჩასმული ქვის ჯვარი; მისი სიმაღლე 80 სმ-ია, ჰორიზონტალური მკლავების განი კი-53 სმ; ქვის ჯვარს შუაში აქაც რელიეფური კოპი აქვს. განივ მკლავებზე ორსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა: „ქ(რისტე) წმიდა ნათ/ ლის(მ)ცემელი".

წმ. გიორგის სახელობის საინტერესო ეკლესია სოფლის შუაგულში დგას. იგი ნანახი, აღწერილია ექვთ. თაყაიშვილის მიერ და წარწერაც მის მიერაა გამოქვეყნებული: გურგენისძენი აგებენ ეკლესიას ვახტანგ ერისთავის ბრძანებით.[14]

ეკლესიის გალავნის ყორეში დასავლეთის მხარეს, ჩაყოლებულია წამოქცეული დიდი ლოდი, რომელსაც ნუსხური წარწერა აქვს. იგი 1949 წ. უნახავთ არქეოლოგებს გ. ლომთათიძესა და ი. გძელიშვილს, რომლებმაც დაბეჭდეს პირველი ცნობა მის შესახებ: „შევნიშნეთ ძალზე დიდი მასიური ქვა, ზურგგამოზნექილი და ზედაპირდაბრტყელებული, რომელზედაც ნუსხური წარწერაა ათპწკარიანი, ძლიერ გამოფიტული და ძნელსაკითხი. წაკითხვას გამოფიტულობის გარდა, ისიც აძნელებს, რომ ქვას, ჯერ ერთი, ნაწილი უნდა აკლდეს (ცალ მხარეს აშია აქვს, ამოღარული ზოლით გამოყოფილი, მეორე მხარეს კი აშია არაა და ასოები უეცრად იწყება); მეორეც ისა, რომ გვერდითაა მიწაზე დადგმული. ე. თაყაიშვილს ეს უზარმაზარი წარწერა, ჩანს, ვერ შეუნიშნავს თავის დროზე. ქვა, ეტყობა წარმოადგენდა სტელას, რომელიც ისე იდგა, რომ უსწორმასწორო და ტლანქი ზურგი არ უჩანდა: ალბათ რამეში თუ იყო შედგმული... კაცმა აქაც შეიძლება ივარაუდოს რაღაც „ხელი", ე.ი იურიდიული დოკუმენტი-სტელა... რომელიც ალბათ ამ ეკლესიასთანვე იყო აღმართული".[15]

ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ ლოდის ზომებია: 1,4 მ X 1 მ. ხოლო წარწერას ბრტყელი გვერდის ნახევარზე ცოტა

მეტი უჭირავს (ნახაზი VIII). იგი ასე იკითხება: „ქ(რისტ)ე) ღ(მრ)თ(ი)სა მშობლი/სა და ნათ(ლის)ა /მცემლ(ი)სა [მეოხებ] / ითა ეს(ე) ეკლეს(ი)ა /იშრომა ჰელითა / ჩემითა თავაის/ ძ(ი)სა მოლაზონის/ აითა გლახაკ/ისა და მშ(ი)ერ(ი)ს/ათა".



ნახაზი VIII

სიტყვები არაა გამიჯნული, არც განკვეთილობის ნიშნებია, ერთგან ნახმარი ქარაგმის ნიშანი მოკლე, სწორი ხაზია. ყურადღებას იპყრობს თავისებური დაწერილობა ასოებისა: „შ", „ბ", „ნ", „რ", „ო". ასეთი „შ", რომელიც მხედრული „კ"-ს მსგავსია, გვხვდება იყალთოს, სამსარის, ალგეთისა[16] და სალამოს წარწერებში ცალკეული ასოები წააგავს ალასტანის საყდრის წარწერებსაც. ისევე, როგორც წინ განხილული წარწერების უმეტესობაში, აქაც იგრძნობა მიდრეკილება ოთხხაზოვანი ბადისაკენ. ამრიგად, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ბეშთაშენის ეს წარწერა X–XI სს უნდა დავათარიღოთ.

როგორც წარწერიდან ირკვევა, მონაზონ თავაის ძეს ეკლესიის მშენებლობაზე უშრომია. ბოლო სიტყვა მოსალოდნელი იყო „მწირისათა", აქ კი აშკარად „მშიერი" წერია (შდრ: გრიგოლ

ხანცდელის სიტყვებს "მონასტერნი ჰულითა გლახაკთაითა აღაშენნეს". ან გიორგი მთაწმინდელთან: "... აღირჩია... **მწირობით და სიგლახაკით** ცხოვრებაჲ"...). გასარკვევია რომელ ეკლესიაზე უშრომია მონაზონ თავაის ძეს. შესაძლოა წმ. გიორგის გალავანში მისი ჩაყოლება არ ნიშნავდეს იმას, რომ იგი ამავე ეკლესიისაა. ჯერ ერთი, ეკლესიაზე არსებული სააღმშენებლო წარწერა ნათლად ასახელებს როგორც მშენებლებს (გურგენისძეებს), ასევე წარწერის გამკეთებელ—გურგენ მღვდელს, ამას გარდა ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა, ჩვენს წარწერაში კი, ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის მეოხებით ხდება მოქმედება.

აქ არ შეიძლება არ მიგვაგონდეს ზემოთ აღწერილი ქვაჯვარი ბაშთაშენის ძველ კლესიაზე. როგორც მასზე გაკეთებული წარწერიდან ჩანს, ის ეკლესია ნათლისმცემლის სახელობისა ყოფილა და რაც მთავარია, ჯვარზე გაკეთებული წარწერა ზუსტად იმეორებს ჩვენი წარწერის ასოთა მოხაზულობას. უნდა ვიფიქროთ რომ ორივე წარწერა ერთი ხელოსნის ამოჭრილია და წმ. გიორგის გალავანში ჩაყოლებული წარწერიანი ლოდი, ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიიდანაა აქ მოხვედრილი.

ბეშთაშენის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ეკლესია 1849 წ. განახლებულია ბერძნების მიერ. მის წყობაში ჯვრიანი, ძველი ქართული ეკლესიის ქვებია ჩაყოლებული. ჩრდ. სარკმლის ორსავ მხარეს ასომთავრულით შესრულებული წარწერიანი ქვებია ჩაშენებული. მარცხენა მხარეს იკითხება: ქ(რისტ)ე ად(ი)დე არს(ე)ნი". მარჯვენივ: "გან(უ)ს(ვენ)ე ს(ულ)სა მღ(ვ)დლ(ის)ა შე(იწყა)ლ(ე)ნ შ(ეი)ლნი მ(ი)სნ(ი)". ხელის მიხედვით, წარწერა XI–XII ს-ებისა შეიძლება იყოს.

ქართული საბუთებისა და ვახუშტის მიხედვით, ამ სოფლის ძველი სახელი ბეშქენაშენია. ქვემო ქართლის ასევე ნაწარმოები სხვა ტოპონიმების კვალად (მელიქაშენი, წულრულაშენი, რევაშენი, ლაკლაკაშენი, სალირაშენი...), აქაც პირის სახელი ბეშქენ მოჩანს, რომელსაც ალბათ მოუშენებია სოფელი. სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით ვინ, ან როდის იყო ეს პიროვნება. 1392 წ. კი მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში, თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად, ბეშქენაშენიცაა დასახელებული. [17]

9. თრიალეთის ქედის სამხრ. კალთებზე წალკის რაიონის მთის სოფლებია განლაგებული. მათ შორის არის სომხური სოფელი ქაბური. აქაური ძველი ეკლესია ნანახი და აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს, რომელიც აღნიშნავს გადაშლილი

ქართული წარწერების არსებობას; მათგან მეცნიერს მხოლოდ ორი ასო აქვს გარჩეული და გამოქვეყნებული. მას შეუმჩნეველი დარჩენია სამხრ. კედლის ქვედა მწკრივში უკუღმა ჩაშენებული გათლილი ლოდი, რომელსაც ასომთავრული წარწერის ერთი სტრიქონი ახლავს. მიუხედავად ქვაზე საკმაო ადგილის არსებობისა, ეს სტრიქონი სულ ზემო კიდეზე ამოუჭრიათ (უკუღმა ჩაშენებისას იგი ქვევით, მიწის პირზე მოხვდა)



ნახაზი IX

წარწერა ასე იკითხება: „წ(მიდა)ო ს(ი)მ(ო)ნ შ(ეიწყალ)ე იოვ(ა)ნე". ასოები თანაბარი ზომისაა, სიტყვები არაა გამოყოფილი და არც განკვეთილობის ნიშნებია. ქარაგმად მოკლე სწორი ხაზია ნახმარი. ყურადღებას იქცევს „მ" შეუკრავი მუცელი, რის გამოც იგი ნუსხურს ემსგავსება. ასევეა დაწერილი „მ" იოანე ოქროპირის წარწერაშიაც ორომაშენში. შეიძლებოდა იგივე პირი გვევარაუდა აქაც, რომ ქართლის კათალიკოსთა მოხსენიების განსხვავებული ფორმა არა: თრიალეთის და ჯავახეთის წარწერებში მელქისედეკისა და ოქროპირისთვის შეწყალებას კი არა, დიდებას შესთხოვენ ღმერთს („ქრისტე ადიდე"... „ადიდენ ღმერთმან..."). წარწერა შეიძლება XI ს-ით დავათარიღოთ.

აღმოსავლეთ კედელზე ასომთავრული წარწერის ნაშთია „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე" სამხრეთ კედელზე ასეთივე წარწერიანი ქვა დაყირავებულია ჩაშენებული: „წ(მიდა)ო შ(ი)ო" ჩრდილოეთ კედელზე ასევე დაყირავებული წარწერაა: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ძნე(ლაი)"... წარწერები თანადროული უნდა იყოს.

სოფელი სახელწოდებით ქაბური, ან ქობური ქართულ წერილობით წყაროებში უცნობია. ვახუშტის რუკაზე ამ ადგილებში აღნიშნულია ლიპი, ვარდისუბანი; ძნელია რომელიმესთან ქაბურის გაიგივება.

10. ქციის ზემო წელზე, მის მარცხენა სანაპიროზე ლოდოვანი ნასოფლარია, რომელსაც ცხვარეთს უწოდებენ; ასევე

ჰქვია მას ვახუშტის შრომაშიც. არაერთგზის გადაკეთებული, დარბაზული ეკლესიის აღმ. კედელზე, სარკმლის ქვეშ გათლილი ქვაა ჩაშენებული; ზედ ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა ამოკიდვილი, რომელიც ასე იკითხება:



ნახაზი X

„ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე აბ(უ)ლ(ა)ხტ(ა)რ" თუმცა განკვეთილობის ნიშნები არაა, სიტყვები მაინც არის ოდნავ დაშორებული ერთმანეთს. ქარაგმად მოკლე სწორი ხაზია ნახმარი; „ქ"-ის ჰორიზონტალური ხაზის მარცხენა კიდე ზევითაა აზიდული. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI–XII სს შეიძლება იყოს.

11. ქციის მარცხენა შენაკად–ტუსრებისწყლის სათავეებთან, მის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. რეხადან ჩრდ. დას. მიმართულებით არის ნასოფლარი საქათმე. აქაური ეკლესია დარბაზული ტიპის მცირე ნაგებობაა ხშირად გადაკეთებული. ირგვლივ სასაფლაო ჩანს; შენობის სამხრეთ–აღმ კუთხესთან გარედან, გდია ბრტყელი ქვა მხოლოდ ერთ მხარეს გათლილი. აქ პატარა რელიეფური ჯვარია და მის მარჯვენივ ასომთავრული, ერთსტრიქონიანი წარწერა იკითხება:



ნახაზი XI

„ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე არსენი". განკვეთოლობის ნიშნები არაა, ხოლო მესამე სიტყვა აშკარად გამიჯნულია. ქარაგმად პატარა სწორი ხაზია ნახმარი. წარწერას ახასიათებს

მიდრეკილება ოთხხაზოვანი ბადისაკენ და ისიც შეიძლება XI–XII სს დავათარიღოთ.

ბოლო ორი წარწერა უნახავს და ფოტოებიც გამოუქვეყნებია თ. ჩიქოვანს; ამდენად შეიძლებოდა მათ არც შევხებოდი, მაგრამ ავტორს. შეცდომით, აბულახტარის წარწერა საპონაურში მოუთავსებია, არსენისა კი-ცხვარეთში; ფოტოებზე წარწერები ცუდად ჩანს, ერთი მათგანი კი, საერთოდ თავდაყირაა დაბეჭდილი; ორივეგან წერია „ქრისტე..." ავტორი კი კითხულობს „ღმერთო"[19]... აბულახტარისა და არსენის ვინაობა გაურკვეველია; დანამდვილებით ვერც იმას ვიტყვით: ქვის შემწირველნი არიან, ხელოსნები, თუ ქტიტორები, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მოსალოდნელი ჩანს. ძნელია ამ არსენის გაიგივება ბეშქენაშენის არსენთან, თუმცა ერთი დროისა უნდა იყვნენ...

12. ძველ საპიტიახშოს, ახლა „საპიტახჩას" უწოდებენ. ეს ნასოფლარი თრიალეთიდან ტაბაწყურს მიმავალი გზის პირადაა, მთებით გარშემორტყმული, დაცემული დაბლობის ცენტრში. აქ გათლილი ქვებით ნაგები დარბაზული ეკლესია დგას, რომელსაც სამხრეთიდან მინაშენი ჰქონია;

აქედანვეა შესასვლელი, რომლის თავზედაც ამოკოდვილია ჯვარი სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგომი. აღმ. სარკმელი ოთკუთხა, სადა, რელიეფურ ჩარჩოში ზის; ჩარჩოსა და სარკმელს შორის ჯვარია ამოჭრილი; მისი სამივე მკლავი ბოლოვდება ორ-ორი წრით; ჯვარი სამსაფეხურიან ბაზაზე დგას, მის მარჯვნივ კი ერთსტრიქონიანი წარწერაა ამოჭრილი: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჩვეკლფძე". სიტყვები ერთმანეთს დაშორებული არაა, ბოლოში სახელი და მამისძეობა უნდა იყოს აღნიშნული, რომელიც ჩემთვის გაუხსნელი რჩება. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XIII–XIV სს შეიძლება იყოს.



ნახაზი XII

13. ავრანლო ბერძნული სოფელია, წალკის დაბლობის დასავლეთ კიდეზე მდებარე, იქ, სადაც ქცია ვიწრო ხრამიდან გამოივაკებს. ეს უნდა იყოს ძველი ქართული სოფელი თეზი. აქაური ეკლესიები ახალია და ძველ ნაეკლესიარებზეა აგებული, რასაც მათ წყობაში მოყოლილი არქიტექტურული დეტალები მოწმობენ. ქედზე თეთრად შელესილი დარბაზული ეკლესია დგას, რომლის სამხრეთით, კლდოვან ფერდზე ექვსსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა. კლდის ქვა მაგარი ჯიშის ბაზალტია, უსწორმასწორო ზედაპირით, რის გამოც წარწერა მკრთალია და ზოგან ნაკლულიც.



ნახაზი XIII

იგი ასე იკითხება/; „[-] მქ ბს [-] მმნი/[დ] აყუდებუ/ლსა ღ(მერთმა)ნ შეუ/ნდვენ ა(მე)ნ. მწი/გნ(ო)ბ[რი]სძე ხა/და (ა)ქ მ(ა)რხია".

სიტყვები განუყოფლადაა დაწერილი, არც განკვეთილობის ნიშნებია, ორგან ნახმარი ქარაგმა მოკლე, სწორი ხაზია. პალეოგრაფიულად საინტერესოა ყელიანი „დ", კუთხოვანი ასოები, „ა"-ს ჰორიზონტალური ხაზი ერთგან ტანს მოშორებულია. წარწერას ახასიათებს ოთხხაზოვანი ბადისაკენ მიდრეკილება. იგი შეიძლება XII–XIII ს.ს. დავათარიღოთ.

როგორც ვხედავთ, ესაა საფლავი ვინმე დაყუდებული

მწიგნობრის ძისა, რომელიც ეკლესიის სიახლოვეს დაუმარხავთ, მიუხედავად დამრეცი ფერდისა. დაყუდებული ერქვა სენაკში მარტოდ მცხოვრებ მონაზონს, რომელიც მონასტერში მცხოვრებ „შინა მყოფთაგან" განსხვავებით, „გარეთ დაყუდებულად" იწოდებოდა.[20]

ვახუშტის სიტყვით, „თეზის ჴრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა წმიდისა აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი".[21] მართლაც კანიონში გამოქვაბულებია და ორი დარბაზული ეკლესიაც დგას. ესენი გვიანი გადაკეთების კვალს ატარებენ, მაგრამ ადრე შუა საუკუნეების არქიტექტურული დეტალებიც შემორჩენილა: ზედა ეკლესიის აფსიდაში სტელის ჩასადგმელი კვარცხლბეკი დგას, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ქვედა ტერასის ეკლესიას გალავანი აკრავს მშრალი წყობისა; მშრალი წყობისავე გალავანი შემორჩა მთის წვერზედაც. როგორც ჩანს მონასტერს კარგად უსარგებლია წინა-ქრისტიანული ხანის ნასახლარით, რომელიც სამ ტერასად ყოფილა განლაგებული. გამოუყენებიათ გამოქვაბულები, დარნები მშრალი წყობით ნაგები შენობები: უნდა ვიფიქროთ, ჩვენი დაყუდებულიც სადმე ერთ-ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა...

ქციის ზემო წელზე ისეთი ტოპონიმების თავმოყრამ, როგორიცაა საპიტიახშო, რეხა, აბიბოს მონასტერი წარმოშვა ვარაუდი, რომ აბიბოს ნეკრესელის წამება თრიალეთის რეხაში უნდა მომხდარიყო (ლ. მელიქსედ-ბეგი, ს. ჯანაშია)[22]. რეხი, რეხა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულია როგორც დამოუკიდებელი სახელწოდება: ქართლში რეხულასა და ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში, ჯავახეთში (იხ. საროს ციხის წარწერა), თრიალეთში; იგი ჩანს შედგენილ სახელკ-ბშიაც: წინარეხი, შუარეხი, გუდარეხი... უკვე ამიტომაც ის ადგილის დამახასიათებელი, ზოგადი ტერმინი ჩანს. მართლაც ქართულ კილოებში იგი ქვიან გზას, მთის კლდოვან კალთებს აღნიშნავს.[23]

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ აბიბოსი დასაჯეს შუა ქართლში, სამთავისის მახლობლად, საიდანც ეს ამბავი შემდეგი დროის ტრადიციამ წალკის რეხაში გადაიტანა; შემდეგ ამ უკანასკნელში გაშენებულა აბიბოსის სახელობის მონასტერი და გაჩენილა სხვა რელიქვიებიც.[24]

ნ. ბერძენიშვილი კი წერდა: „გარკვეულ დროს, როგორც ჩანს, საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების წესად შემოვიდა, რომ ბარის სოფელი „საფხულის საჯდომს" იჩენდა მთიანეთში, სადაც

ის ზაფხულობით სამეურნეოდ, მთლად, თუ ნაწილობრივ, გადადიოდა... ამ საჯდომებს, ბუნებრივია, რომ ბარის სოფლის ახელი შერქმეოდათ. ზოგი ასეთი "ზაფხულის საჯდომი" თანდათან მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა. ჩნდებოდა, ამრიგად, ახალი სოფელი მთაში, რომლის მოსახლეობას სახელთან ერთად ბარიდან სხვა ტრდიციებიც ამოჰქონდა (ნიშ–სალოცავები...) დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ვითარების გამო კავშირი ბარისა და მთის საჯდომებს შორის წყდებოდა... "ზაფხულის საჯდომის" პრინციპის მიყენებით შეიძლება მარტივად აიხსნებოდეს, მაგალითად, თრიალეთისა და ქართლის რეხის ურთიერთობის ამოცანა"[25] შიდა ქართლის რეხის სასარგებლოდ მეტყველებს მარტვილობის ის ადგილიც, სადაც რეხის "გარემოს ქალაქებზეა" საუბარი.[26] ასეთი რამ VI ს–ის თრიალეთის რეხასთან წარმოუდგენელია, შიდა ქართლში კი მაშინ იყო ურბნისი, უფლისციხე, კასპი, მცხეთა, სადაც ჯუანშერის ცნობით, საბოლოოდ დაუმარხავთ კიდეც აბიბოსი.[27]

მიუხედავად ზემოთქმულისა, თეზის ხრამში აბიბოს მონასტერი მართლაც დაუარსებიათ, რომელსაც XII–XIII ს.ს. ეყოლებოდა მონაზვნები და დაყუდებულნი. შესაძლოა საფლავის წარწერაში მოხსენიებული მწიგნობარიც იმავე მონასტერში მოღვაწეობდა.

14. ზურტაკეტის აღწერისას ვახუშტი ამბობს, რომ შამბიანის მთის სიახლოვეს არისო "ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვს"; აქვე იგი იხსენიებს ფუნდუკის, ანუ ქარვასლის ხევს.[28]

ამჟამად თურქული სოფლის–სალამალეიქის დასავლეთით, დაახლოებით 3 კმ-ზე მართლაცაა შემორჩენილი დიდი ნაგებობის ნაშთი. მისი ზომებია დაახლ. 30 მ. X 15 მ., რაც ეჭვს არ ტოვებს, რომ ესაა ვახუშტის მიერ მოხსენიებული ფუნდუკი. ამის შემდეგ გზა მცირე აღმართით გადადის ფარავანში, სადაც ასევე ქარვასლა დგას. იგი XII ს-ითაა დათარიღებული,[29] თუმცა გვიანი გადაკეთების კვალი აშკარად ეტყობა, ვახუშტი კი მას საერთოდ არ იხსენიებს.

ამ ქარვასლიდან ზურტაკეტის ფუნდუკისაკენ მიმავაალ გზაზე, დაახლ. 3,5 კმ-ზე, უღელტეხილზე, საიდანაც გზა დაიხრება ზურტაკეტისაკენ, დგას ქვის ჯვარი, რომელიც დაუმუშავებელ ბაზაში ზის. ჯვარი აღმოსავლეთისკენაა გადახრილი, ხოლო სახიანი მხარე დასავლეთით იყურება. მოკლემკლავებიანი ქვის

ჯვარი 2,5 მ სომაღლისაა და ჩასმულია 0,5 მ სიმაღლის ბაზაში. მკლავების გადაკვეთის ადგილზე ნახევარწრიული, რელიეფური კოპია; მის ქვევით კვადრატი და სამკუთხედია ამოჭრილი, რომლებიც წვერებით უერთდებიან ერთმანეთს. ესენი წელს ზემო და ქვემო ტანს უნდა გამოსახავდნენ. რელიეფური თავის ქვევით, აშკარად ჩანს კიდურების აღმნიშვნელი ხაზებიც. თავის მარცხნივ და მარჯვნივ ორი სიტყვაა დაქარაგმებული ასომთავრულით „წ(მიდა)ჲ ღ(მრთი)სმშ(ო)ბ(ე)ლი" გამოსახულების ქვევით კი 7 სტრიქონადაა ამოჭრილი ასომთავრული წარწერა, რომელიც ასე იკითხება:



ნახაზი XIV

"შეილნო / ღ(მრ)თის(ა)ნო / ქ(რის(ტ))ეანენო / ს(ა)წყ(ა)ლი და / თუაი ლ(ო)ცვ(ა)სა გვედი / ვ(ა)რ." ბოლო სიტყვა ძველ ქართულში ვედრებას, შეთხოვნას, ლოცვისას მოხსენიებას გამოხატავდა. სიტყვაში "ღმრთისმშობელი" "ბ" ნუსხურია; ქვედა წარწერის პირველი სამი სიტყვა ცალ-ცალკე სტრიქონებზეა ამოჭრილი, დანარჩენი სიტყვები გაუმიჯნავადაა დაწერილი. "დ"–ები ყელიანია, ჰორიზონტალური ხაზების დაბოლოებანი ზოგან მაღლაა აზიდული; "ა"–ბის ჰორიზონტალური ხაზები ტანს მოშორებული არაა, მრგვალი "ო"–ების მარჯვენა, ქვედა ფეხი ზევითაა მოკაუჭებული; განკვეთილობის ნიშნები არ არის, ქარაგმა – მოკლე სწორი ხაზია; წარწერა ოთხხაზიან ბადეშია მოქცეული. პალეოგრაფიულად ის XII ს-ით შეიძლება დავათარიღოთ.

"საწყალი დათუა" ჯვრის აღმმართველი უნდა იყოს, რომელიც ორ ქარვასლას შორის გზაზე დგამს სალოცველ ჯვარს. იგი შესაძლოა გზის მიმართულების გარკვევასაც უადვილებდა ქარავანს უამინდობის დროს.

ქვაჯვარი უნახავს ლ. მელიქსეთ–ბეგს, მაგრამ წარწერა ვერ წაუკითხავს. მისი აზრით, აქ უნდა მდგარიყო მენჰირი, რომელიც შემდეგ ჯვრად გამოუთლიათ. ამოჭრილი გამოსახულება, მას ბაგრატიონთა სამეფო ნიშნად მიუღია, ამიტომაც ჯვრის გათლა XIII ს–ით დაათარიღა, დაუკავშირა რა იგი თამარის დროინდელ ფარავნისა და ზურტაკეტის ქარვასლებს.[30]

საქმე ისაა, რომ ჯვარზე ხელი არაა გამოხატული, ხოლო თავის ორ მხარეს მინაწერი, ამ გამოსახულებას შესაძლოა ღვთისმშობლად ვარაუდობდეს. ბაგრატიონთა ნიშანი ეგების არც იყო მოსალოდნელი იმ წარწერასთან, რომელშიც მეფე არ იხსენიებოდა.

15. შემდეგი წარწერა ხელის გამოსახულებიან ლოდს ახლავს და თრიალეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი; იგი გზის გაგანიერებისას, შემთხვევით აღმოჩნდა წალკა–ბოგდანოვკის გადასასვლელზე, 1980 წლის ივნისში. აქედან იგი, წალკის რ–ნის სოფ. კუშჩის სიძველეთა მოყვარულ აკოფ მიქაელიანის ეზოში იქნა გადატანილი.[31]

ქვის აღმოჩენის ადგილი სოფ. ნარდევანიდან დაახლ. მე–8 კმ–ზეა, გზის მარჯვენით. აქედან ცნობილ ოფსიდიანის

საბადოებამდე დაახლ. 1,5 კმ რჩება. იქ ახლაც შესანიშნავად მოჩანს ვეება ამართული ქვა „თიქმადაშ", სწორედ იქიდან იწყება დაშვება ფარავნისაკენ. ქვის აღმოჩენის ადგილთან მის დასავლეთ მხარეს შუა საუკუნეების სასაფლაოა. აქაა ქვაყუთები, ცხენისა და ვერძის ქანდაკებები. ნასოფლარი არსად ჩანს და ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ – ეს საფლავები საზაფხულოდ ამოსული მწყემსებისაა, რომელთაც აქვე დროებითი სადგომები ექნებოდათ.

წარწერიანი ლოდი მოყვითალო–მომწვანო კირქვისაა. მთლიანად მისი სიმაღლეა 2 მ. დამუშავებული ნაწილისა 1,34 მ. სიგაანე – 83 სმ. სისქე – 20 სმ. ქვის ზემო ნაწილში, შუა ადგილას მოგრძო რელიეფური ჩარჩოა, ზევით მორკალული, ქვევით ჰორიზონტალური; მას თოკისებური გრეხილის სახე აქვს; სიმაღლეა 71 სმ, სიგანე დაბლა – 29 სმ, ხოლო რელიეფური ზილის სიგანე – 2,5 სმ. ასეთი ჩარჩოები ხშირად ახლავთ ეკლესიათა სარკმლებს XIII ს–დან მოყოლებული. ჩარჩოს შიგნით, ზედა ნაწილში, ხელის მტევნის რელიეფური გამოსახულებაა, ოღონდ თითები ამოკაწერითაა გამოყვანილი; მისი სიმაღლე 30 სმ-ია, სიგანე – 10 სმ.

გრეხილი ჩარჩოს ორსავე მხარეს ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, ყოველი სტრიქონი ხელის გამოსახულების ერთ მხარეს იწყება და მის მეორე მხარეს გრძელდება. ასოების სიმაღლე 5 სმ-ია, ზოგიერთისა –2,5 სმ, სიგანე – 2 სმ. ჩარჩოს ქვევით უფრო მცირე ზომის ასომთავრულით შესრულებული დამოუკიდებელი ორსტრიქონიანი წარწერა მოუთავსებიათ. მას ქვის თითქმის მთელი სიგანე უჭირავს; ასოთა სიმაღლე აქ 2,5 –სა და 1,5 სმ შორის მერყეობს.

ამაზე დაბლა 3 რელიეფური წრეა გამოსახული დიამეტრით 7,5–7 სმ. ლოდზე ასახული მთელი ეს კომპოზიცია ორი რელიეფური ზოლითაა მოჩარჩოებული. ეს ზოლები აქ სადაა განსხვავებით შიდა ჩარჩოსგან, მაგრამ ფორმა იგივეა – ზევით თაღოვანი, ქვევით– სწორხაზოვანი.

ქვის ზედა, სწორედ წარწერიანი მხარეა ოთხად გატეხილი; მისი მეხუთე ნაწილი საერთოდ დაკარგულა (ჩანს ამ ადგილს მოედო ბულდოზერი) ვერც ადგილზე ძებნამ მოგვცა რაიმე შედეგი.

ამჟამად (1980წ. აგვისტო) წარწერის მონახაზი ასე იკითხება:



ნახაზი XV

"შე (წევნ) ითა ღ9მრ)თ(ი)ს(ა) [ღთა]
მ (ე) ფეთა მეფე [მნ] [..................]
მ (ო) გ (უა) ბარნა [მმ]
ლობღთ თორელს
და მარიამს
და ო საკრ(ი)სა ჭელი
შეყ(ა)რნა საღვინეს
უკ(უნისამდ)ე მტკიცე იყოს დ
ა უქცეველი ა (მე)ნ."
ქვედა წარწერის ორი სტრიქონი ასე იკითხება:
"(ს)მან(ა)სა და მისთა მშ(ო)ბ(ე)ლთა ღ(მერთმა)ნ შეუდვე
მ(ა)მულს(ა) / ზ(ედ)ა დღა მოჲჭირვა."

ამრიგად წარწერიდან შემდეგი აზრი უნდა გამოვიტანოთ: რომელიღაც მეფეთა–მეფეს (მისი სახელი დაკარგულია) თორელისა და მარიამისთვის მამულობით რაღაც მიუბარებია. ამის აღსანიშნავად "ჴელი" აღუმართავთ საღვინეს, რომელიც მტკიცე უნდა იყოს და უქცეველი. "ჴელი" (ბრძანებული ხელწერილი, სიგელი) აქ სწორედ ამ ლოდს მასზე გამოსახულ ხელსა და წარწერას უნდა აღნიშნავდეს. გაუხსნელი რჩება ასოთა ჯგუფი მეექვსე სტრიქონში: "და ოსაკრსა..." ასოები აქ გარკვევით იკითხება და არაფერი აკლია, როგორ გავიგებთ–ესაა მთავარი: შესაძლოა თორელისა და მარიამის შემდეგ აქაც მესამე სახელი ვივარაუდოთ, ე.ი. "თორელის და მარიამის და ოსაკრსა ან უსაკრსა".

მეფეს რაკი "ჴელი შეუყრია საღვინეს", ე.ი. შეუკრებია, უნდა ვიფიქროთ, ის ორი ან სამი კაცისა ყოფილა. მაგრამ აქ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას: "ო"–ს თავზე (თუ ეს ქვის დეფექტი არაა) ორი წერტილი მოჩანს – თითქოს ქარაგმის ნიშნად. ამიტომ ეგების ამ ასოს რიცხვითი მნიშვნელობაა საგულვებელი (–70); მაშინ გამოვა რომ მეფეს "70 საკრსა ჴელი", ან "70–სა კრსა ჰელი" შეუკრებია საღვინეს...

თორელი და მარიამი ალბათ ცოლ–ქმარნი არიან, შესაძლოა ოსაკ–უსაკიც (თუ ის პირის სახელია), მათ სახლთან იყოს დაკავშირებული. ქვედა წარწერაში მოხსენიებული სამანა, რომელსაც მშობლებიც ცოცხალი ჰყოლია, თორელისა და მარიამის დაქვემდებარებული პირი ჩანს; იგი მათ მამულზე დიდად გარჯილა.

წარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებათაგან აღსანიშნავია კიდურწერტილოვანი დამწერლობა დაგრძელებული ასოებისა, "ა"–ნის ტანს მოშორებული ჰორიზონტალური ხაზი, ხშირად ზიგზაგი, ასეთივეა "დ"–ონის ზედა ხაზი და ქარაგმის ნიშანი. საყურადღებოა "ო"-ს ხაზი, რომელიც ხან ქვევითაა დახრილი (4-ჯერ), ხან ჰორიზონტალურია (5-ჯერ). ზოგან "ა"-ს, "ო"-სა და "ჲ"-ს მეზობელ ასოთა სიმაღლის ნახევარი უჭირავთ, თან სტრიქონის ზედა ნაწილში არიან განლაგებულნი; ერთხელ ასევეა "ტ"-ც; სხვაგან ასოები თანაბარია სიმაღლით; განკვეთილობის ნიშნები არაა, არც სიტყვებია ერთმანეთს დაშორებული.

წარწერას ახასიათებს: "ი"-ს მაგიერ "ჲ"-ს ხმარება (4-ჯერ). "ა"-ს დაკლება საჭირო შემთხვევებში (4-ჯერ). სამაგიეროდ

ზედმეტია "ი" "უ"-ს შემდეგ სიტყვაში "საღუინეს". ასეთი მოვლენა მეორდება გუდარეხის წარწერაშიაც: 4 და 5 სტრიქონში წერია "-სათუის", რასაც ექვთ. თაყაიშვილი "ორიგინალურს" უწოდებს.[32]

აღნიშნულის გათვალისწინებით საინტერესოა ამ "ჯელის" შედარება გუნია–ყალას (წალკის) "ჯელთან". ისინი ერთმანეთს ყველაფრით ჰგვანან: კომპოზიციით, დამუშავებულ ნაწილთა ზომით (მეტ–ნაკლებობა სანტიმეტრებშია), ასოთა მოხაზულობით, იქაც ასევე გვაქვს "ჲ" "ი"-ს მაგიერ ("დაჲსვა", "გიორგისი"), თან მსგავსსავე გამოთქმაში: "მოჴირვებჲთა"; იქაც გვაქვს "ა"–ს ნაკლებობა: "გიორგისით (ა), "ჯელით" (ა), "მეფედმეფის" (ა) – ჩვენს შემთხვევაში არაა მხოლოდ ბაგრატიონთა სამეფო ნიშანი, რომელიც წალკის, ლაშა გიორგის ხელის ქვევითაა მოთავსებული.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება მივიღოთ, რომ "თიქმადაშის" უღელტეხილზე ნაპოვნი "ჯელი" XIII ს-ის I ნახევარს ეკუთვნის და იქ ნახსენები მეფეთა–მეფე შეიძლება ყოფილიყო ლაშა გიორგი, ან რუსუდანი მაგრამ მივყვეთ წარწერის შინაარსს.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მეფის მიერ თორელისათვის სოფლის (თუ ქვეყნის) მიბარების ფაქტი. ჯერ კიდევ წალკის ზემოხსენებული ძეგლის შესახებ შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, რომ იმ ჯელის აღმართვა წალკაში– თრიალეთის ცენტრში – ნიშნავს თრიალეთის საუფლისწულოდ (სახასოდ) დამტკიცებას, რომელსაც ამ დროს ასევე საუფლისწულო (სახასო) ჯავახეთი ემიჯნებოდა დასავლეთიდან.[33] ძეგლის აღმოჩენის ადგილი – "თიქმადაშის" უღელტეხილი, ტრადიციულად თრიალეთს ეკუთვნოდა. მისი მეშვეობით ფარავანიც ქართლში შემოდიოდა (ლეონტი, ვახუშტი...). XIII ს-სათვის საუფლისწულო ჯავახეთს თორელთა საგვარეულო განაგებდა, ამიტომ არ იყო გამორიცხული მეფეს მისთვის მეზობელ თრიალეთშიაც მიეცა რამე: ვთქვათ ფარავანი, ან მისი მომიჯნავე ნარდევნის საციხისთავო...

ამ წარწერიდან ისე ჩანს, რომ თორელისა და მარიამისთვის მეფეს მიწასთან ერთად თითქოს საღვინეც მიუბარებია. ყოველ შემთხვევაში, საღვინეს "შეყარნა" ამ აქტის აღსანიშნავი "ჯელი". იყო კი მოსალოდნელი საღვინე აქ, ამ სიმაღლეზე? (2000 მ–ზე მაღლა) – ვახუშტი წერს: "ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი

მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა... ვენახი, ხილნი და მტილოვანი არა რაი არს აქა. და მთის ხილნი მრავალნი. **ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი.**[34]

წარწერაში მეფის შემდეგ მოხსენიებული თორელი, მარიამის გვერდით სახელი ჩანს და არა საგვარეულო წოდება. ასეთი შემთხვევა ჩვენ ადრეც გვხვდება: "ისტორიათა და აზმათა" ავტორი გვაუწყებს, რომ 1163 წ. "ანისსა განამტკიცებდა **თორელი** დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე".[35] თუ რაიმე გამოტოვებული არაა, უნდა ვიფიქროთ, აქაც პირის სახელთან გვაქვს საქმე, რომლის, ეგების, პირდაპირი შთამომავალიც კი იყოს ჩვენი წარწერის თორელი.

ფიქრობენ, რომ ჯავახეთის საუფლისწულო დომენს თორელთა საგვარეულოს სხვადასხვა შტო განაგებდა: 1191 წ-მდე თორელთა ძირითადი შტო კახა–გამრეკელებისა; 1191–1226 წწ. –ახალციხელებისა; 1226 წ-დან XIII ს-ის 60–70–იან წლებამდე –ისევ თორელთა ძირითადი შტო კახა–გამრეკელებისა.[36]

შალვა და ივანე ახალციხელები ჯავახეთის წარწერებში იხსენიებიან; შალვა ჯავახეთის მონაპირე ერისთავადაც გვევლინება. შეიძლება ვიფიქროთ, ჩვენი წარწერის თორელიც ახალციხელთა საგვარეულო შტოის წარმომადგენელია, რასაც უნდა მოწმობდეს 1487 წლის ერთი საბუთი: "... მეფეთა მეფემან კონსტანტინე... დაგიწერეთ და გიბოძეთ... ქავთარისძეს **საღვინის მოლარესა ახალციხელსა და თქუენთა ძმათა თორელსა, ეშიმასა**–ოდეს მირიანის ძე დაბოლოვდა და უმკვიდრო იქმნა... დაგსუით მირიანისძის მამულზედან დაგიმკუიდრეთ".[37] აქ მოხსენიებული ქავთარისძე თორელი ახალციხელთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს, ქართლში გადმოსახლებული მათი გვიანი შთამომავალი. ამაზე მეტყველებს მისი ოჯახის წევრთა სახელები: ახალციხელი, თორელი; ძმების ამ სახელებს გვარის მნიშვნელობა დაუკარგავთ და პირის აღმნიშვნელად ქცეულან.[38]

ნიშანდობლივია, რომ თორელი და ახალციხელ–ქავთარისძეები ამ საბუთშიაც საღვინესთან არიან დაკავშირებულნი: ახალციხელი მეფის საღვინის მოლარეა. შეიძლება ამასთან კავშირი ჰქონდეს ჩვენი წარწერის თორელის საღვინესთან მოხსენიებას.

"დაბადებაში" უკვე გვხვდება "სახლი ღვინისა", რომელიც

ღვინის საცავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უეჭველია იქ მისი სმაც იგულისხმება: "შემიყვანეთ მე **სახლსა შინა ღჳნისასა და განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული**" (ქებათაქება სოლომონისი, 24).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა – "საბას განმარტებით, მარანი "სადჳნე სახლი" იყო (ლექსიკ), მაგრამ ეს განმარტება მხოლოდ იმდენად არის სწორი, რამდენადაც მარანში მართლაც ღვინოს აყენებდნენ. მაგრამ მაინც **მარანი და სადვინე მეღვინეობის სხვადასხვა მოთხოვნილებებისათვის ყოფილა განკუთვნილი**, რა თქმა უნდა, მსხვილ მეურნეობაში".[39]

1191–1212 წწ. წესი და განგება ერთი უცნობი მონასტრისა იხსენიებს სადვინეს: "გ(ანმგე)ცა იკლებდა და ჩიოდა, ვითა: პატრონისა და ლაშქართა და სტუმართათჳს ესე მოსავალი არ ეყოფის; და ამისთვის... ეგრეთვე **ბოლნისს სადჳნე დავდევით**".[40] აქაც ეს სიტყვა ღვინის საცავს უნდა გამოხატავდეს.

სამეფო მეურნეობაში სადვინე ერთ–ერთი მნიშვნელივანი დაწესებულება იყო. შედარებით სრულ ცნობებს მის შესახებ "ხელმწიფის კარის გარიგებაში" ვხვდებით, საიდანაც ჩანს, რომ ახალი წლის დღესასწაულზე "სადვინეთ წინ ქვე დასმენ მეფესა მაღლა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ.

ამას წინათ, **სადვინეთაკე**, იმის კერძს შორს, ადრე მკერვალთუხუცესი და ტყისმცველნი დასხდებიან, და მეხელადეთუხუცესნი დგანან".[41] მომდევნო თავებში ნახსენებია, სადვინის ხელისუფალნი, სადვინის მუქიფი (ძღვნის მნე) და მეღვინენი.

აქვე სადვინის მოლარის უფლება–მოვალეობაზეცაა საუბარი: "...სათიჯარი რკინისა არის, დაასობენ სადვინესა შიგან, **სადვინის მოლარე** მას ზედა დაჰკიდებს; და ფანჯისა მისაღებელი ჰელმანდილიცა მასვე ზედა ჰკიდავს... და რა დამტვერიანდეს გარეცხა უნდა... გარეცხენ და სადვინესვე მიიღებენ.

სამყინვარი ვერცხლისა უნდა ტაბაკი; ცულ–წერაქვი, პატარა კვერისაგან უმძიმესი, ტარის ბოლო მოჭედილი, ტარ–მოკლე, მოჭედილი, მას ტაბაკსა ზედა ძეს; მყინვარს დასდებენ; ერთი ვერცხლის კოვზი, პირდიდი, მასვე ტაბაკსა ზედა ძეს; წინ დასდგმენ; წვერით გასტეხს, კოვზით აიღებს, ჭიქასა შიგან ჩასდებს. იგიცა სადვინის მოლარის ჰვედრია.

სხვაჲ სადვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯლიშო, სადვინეში დგას; და მეჯლიშისანი კიდეგან დგანან...

თუთო ჭური ღვინო სვართაგან მეღვინეთუხუცესისაა და თუთო, უმცროსი–მექიფისა და სადვინის მოლარი(სა); მეზვრეთაგან აიღებენ ღვინოსა, ვითარი ზვარი იყოს ანუ მეზვრე;[42] მეღვინენი საკრეფელისა და სოფლისაგან იშოებენ **სადა მეფე დგას** და ღვინისა ულუფა დაწერონ".[43]

"ხელმწიფის კარის გარიგების" შესწავლის შედეგად ივ. სურგულაძე განმარტავს "სადვინე–დაწესებულება, რომელიც ღვინის შემოსავალ–გასავლის საქმეს განაგებდა და რომელშიაც ღვინის ჭურჭელი ინახებოდა".[44] თუ გავითვალისწინებთ ზემოთ განხილულ ყველა ცნობას სადვინის შესახებ, განსაკუთრებით "ხელმწიფის კარის გარიგებაში" აგრე დაწვრილებით აღწერილ, სამეფო ჭიქაში ყინულის ჩაგდებას, რომელიც უეჭველია სადვინეში ხდება, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ იქვე ხდებოდა "უმეჯლიშო" ღვინის სმაც. ამას მხარს უბამს ქართული ეთნოგრაფიული მასალაც.

"სადვინე სახლი" ძველთაგან მომდინარე ტრადიციით, მამაკაცთა დროსტარების, ლხინის ადგილიც იყო".[45]

"დასტურლამალში" სადვინის მოხელეებად დასახელებული არიან მეღვინეთუხუცესი, შიგამდეგი, თავილდარი და 12 მეღვინე; ცალ–ცალკე იხსენიებიან 8 მეტიკისპირე და 9 საშარბათოს მოხელე. გამოდის, რომ XVIII ს-ის დასაწყისში სამეფო სადვინეს 35–მდე მოხელე ემსახურებოდა.

ამის შემდეგ, შეიძლება ის ვარაუდიც დაგვეშვა, რომ ჩვენი წარწერის ასოთა გაუხსნელი ჯგუფიც სადვინის ხელისუფალთა შესახებ გვამცნევს რაღაცას. ფრაზა ასეთია "და ოსაკრსა ჰელი შეყარნა სადვინეს". თუ "ოსა" ნიშნავს "70-სა"-ს, მაშინ დარჩენილი ასოთა ჯგუფი ეგების გაგვეგო, როგორც "კარანისა"... ძველ ქართულში საკარანო–ხელისუფლებას კარანი მოსაქმეს ნიშნავს.[47]

მაშინ აზრი ასეთი იქნებოდა: "მეფეთა–მეფემან...მოგუაბარნა... მამულობით თორელს და მარიამს და 70–სა კარანისა (მოსაქმისა) კელი შეყარნა სადვინეს"...

ყველაფერ ამას ხელს უშლის ის, რომ ჯერ ერთი: "კრსა" ჯგუფის ასე გასაგებად გვაკლია თანხმოვანი; მოსალოდნელი იქნებოდა "კრნსა", მით უფრო, რომ წარწერის გამკეთებელი თანხმოვნებს არსად აკლებს, თუ არ ფართოდ გავრცელებული სიტყვების დაქარაგმებისას: "შეითა ღთისათა" და "ოკე" (ე.ი.

"შეწევნითა ღმრთისაჲთა" და "უკუნისამდე").[48] მეორეც საკუთარ სახელებს იგი უქარაგმოდ, სრულად წერს –"თირელს და მარიამს"; ამიტომ აქაც სრულად დაწერილი მესამე პირის სახელი უფრო მოსალოდნელი.

საფიქრებელია, სადვინე მეფეს ერთი არ ექნებოდა. მას რამოდენიმე საზამთრო და საზაფხულო სადგომი ჰქონდა. ბუნებრივია, ყველას საკუთარი სადვინე უნდა ჰქონოდა, ისევე როგორც ბეღელი, სამზარეულო, საჯინიბო და სხვა. ცნობილია მაგალითად, რომ კოჯრის ციხესთან, ძველთაგანვე სამეფო საზაფხულო სადგომში, ყოველ შემოდგომაზე სხვადასხვა ადგილას დაწურულ ტკბილს ეზიდებოდნენ. მაშასადამე იქ ყოფილა მარანი და სადვინე, სადაც ამ ტკბილს აღვინებდნენ. "დასტურლამალში" ღვინის მოსავლის რიგზე ნათქვამია: "ჯერ ზვრისას დასწურევდნენ და **კოჯორზედ გამოგზავნიდნენ;** მერმე... სადაც კაი ვენახი იყოს და კაი ღვინო გვარობდეს, რომ ჩვენმა მემარნემ ირჩიოს... ის ჩვენთვის დაწურონ და **ჩვენთვის წაიღონ**"[49] ნათელია, რომ ტკბილი რამოდენიმე ადგილზე მიაქვთ.

თბილისის ირგვლივ კოჯორი უმაღლესი წერტილია, ამიტომ ტკბილის იქ დაღვინება და შენახვა ისეთსავე შედეგს იძლეოდა ალბათ, თრიალეთთან დაკავშირებით რომ აღწერს ვახუშტი. ზევით წარწერამ, მისი აღმოჩენის ადგილის სიახლოვეს სადვინის არსებობა მაეარაუდებინა. შესაძლოა იქაც იყო სამეფო სადგომი. ყოველ შემთხვევაში ნიშანდობლივია "მატიანე ქართლისას" ცნობა: 1027 წ. "თუესა აგვისტოსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა **რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი**", გარდაიცვალა გიორგი I.[50]

ვახუშტი თრიალეთის აღწერისას ამბობს: "სამჴრიდან ერთვის ქციას ავლადის–ჴევი, გამოსდის ჴევღრმის ჴრამსა. ესე არს ცივი ანუ მყინვარი".[51] ვახუშტის რუკას რომ დავხედოთ, დავრწმუნდებით: მყინვარი, იწრონი, იგივე ხევ–ღრმა, სწორედ ჩვენი ძეგლის აღმოჩენის სიახლოვესაა. ასევე უძველესი ჩანს თრიალეთიდან ფარავნისკენ აქ გამავალი გზა (ის ახლაც მოქმედებს), რომლის მოწმობად შემორჩა ნარდევნის ციხე უღელტეხილის დასაწყისში და ამართული ქვა ("თიქმადაში") უღელტეხილზე. საინტერესოა, რომ ნარდევნის "ციკლოპურ" ციხეში ბ. კუფტინმა გათხრების შედეგად მხოლოდ "რუსთაველის ეპოქის" კერამიკა ნახა.[52] რაც შეეხება ამართულ ქვას კავკასიაში უდიდეს ოფსიდიანის საბადოსთან, მის ირგვლივ არსებულ

უძველეს რწმენა–წარმოდგენებს რომ თავი გავანებოთ (ვეშაპი), იგი, მართლაც, ნიშანსვეტი იყო ამ გზით მიმავალთათვის: უტყეო, ერთგვაროვან გარემოში მისი მაღალი სილუეტი ყოველი მხრიდან ჩანდა, განსაკუთრებით ზამთარში ასე რომ თრიალეთის სამეფო სადგომი და აქაური სადვინე ამ ძირითადი მაგისტრალის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო. ასე იყო ყველგან, სადაც კი მეფე დგებოდა. კოჯორში, ნადარბაზევში, დლივში, დრტილასა თუ ბოყანოში.

ამრიგად, „თიქმადაშის" უღელტეხილზე ნაპოვნი ჭელი კიდევ ერთი საბუთია თორელთა აქაური სამამულო მფლობელობისა, მათი სადვინის ხელისუფლებისა ყკვე XIII ს-დანვე. გვიანი ხანის **საბუთებში დამოწმებული გამოთქმის შინაარსი "ჭელი აუმართე** და მიაბარე, აქ მატერიალურად ხელშესახები ხდება". წინადადება ჭელი აუმართე და მიაბარე" მხოლოდ იმ პირს გულისხმობს – ვისაც ეს მამული უნდა მიჰბარდეს. მაშ ჭელიც უნდა მისი უფლების დადგენის ნიშნად „აღიმართოს"[53] შესაძლოა სწორედ ამიტომ არ ახლავს ჩვენს ჰელს ბაგრატიონთა ნიშანი.

* * *

„შეიპყრნა ლიპარიტ **ქუეყანანი თრიალეთისანი**"... უნდა ვიფიქროთ, ეს მრავლობითი რიცხვი თვით თრიალეთის შიგნით არსებულ მიკროქვეყნებს გულისხმობს. ასეთები იყო ფარავანი, ტაბისყური, ნარიანი; მცირე ქედებით, ხევებით, ფიზიკურ გეოგრაფიულად გამიჯნული არეები: საპატიახშო, რეხა-ცხვარეთ-საპონაური, თეზი, ბარეთი... საციხისთავო ერთეულები ნარდევნისა, სანთისა და სხვა. ყველა ესენი დაუმორჩილებია ლიპარიტს და კლდეკარის ციხის მეთაურობით გაუერთიანებია. ამათ გარდა, დროდადრო ბალეაშებს მეზობელი ატენის, თეძმის, ვერის, მანგლისისა და სამშვილდის ხეობანიც რომ ეჭირათ–ამას წყაროები ადასტურებენ. საინტერესოი, რომ მათი აღმშენებლობა და წარწერები შერჩენილია კლდეისში (სამშვილდე), გოხნარში (მანგლისი), ატენში და თვით ვარძიაშიც. მაშ რატომღაა, რომ თრიალეთის ზოგიერთ ნაწილში ისინი ან საერთოდ არ ჩანან, ან სხვები მოღვაწეობენ და მათ კი არავინ იხსენიებს? ამ მოვლენას სხვადასხვა ახსნა უნდა მოეძებნოს.

რომელთაგან შემთხვევითობაც არაა გამორიცხული (წარწერის დაკარგვა, ან მომავალში აღმოჩენა...).

ისტორიულ–გეოგრაფიული ქვეყნების თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ზურტაკეტი, ქციის მარჯვენა შენაკადის–ყარაბულახის ხეობა. ვახუშტი მას თრიალეთისაგან ცალკე აღწერს, და ასევე ცალკე ჩამოთვლის მის სოფლებს. მაგრამ ზურტაკეტ–გომარეთის პლატო, წალკის ზეგნის ეს ბინებრივი გაგრძელება, ვახუშტისვე თრიალეთის ნაწილად რომ მიაჩნდა, ჩანს მისი სიტყვებიდან: "ვახტანგ... ნადირობდა... ზაფხულს **თრიალეთს შამბიანსა ზე**".[54] ეს მთა კი სწორედ ზურტაკეტის დასავლეთ საზღვარზეა. იმავეს იმეორებს სეხნია ჩხეიძეც,[55] ხოლო 1392 წ. საკათალიკოსო მამულების სიაში ზურტაკეტის სოფ. ორომაშენი თრიალეთშია დასახელებული.[56]

როგორც ვხედავთ, ზურტაკეტი თრიალეთის ერთ–ერთი ქვეყანაა და მასზედაც უნდა გავრცელებულიყო ბაღვაშთა ბატონობა. ეპიგრაფიკულ მასალას აქაც თავისი კორექტივი შეაქვს: ყარაბულახის მარცხენა სანაპიროზე ბაღვაშთა მიერ ატეხილი აღმშენებლობა მარჯვენა სანაპიროზე არ გადადის. როგორც იქაური ქართული წარწერებიდან ირკვევა, ყარაბულახის მარჯვენა სანაპიროზე სამშვილდარ– ზორაკერტელი მეფეების, კვირიკიანი დავითისა და კვირიკეს უფლება ვრცელდება. თუ ბახჩალარის 1018 წ. წარწერაში ბაღვაშთა მოუხსენებლობა შეიძლებოდა იმით აგვეხსნა, რომ 989 წ-დან მათ კლდეკარის საერისთავო ჩამორთმეული ჰქონდათ, ამას ვეღარ ვიტყვით ქვ. ყარაბულახის 1040წ. წარწერაზე: ამ დროს ლიპარიტ ბაღვაში ისევ მამაპაპეულ თრიალეთს განაგებს. ჩანს აქაური ქართველი ფეოდალები კვირიკიანთა ქვეშე-ვრდომები გამხდარან, თუმცა არც მათ იხსენიებენ თავის საალმშენებლო წარწერაში. ზურტაკეტის ნახევარი კვირიკიანებს თავისი გავლენისათვის უნდა დაემორჩილებინათ 989 წ. შემდეგ – როდესაც ბაგრატ III-მ ბაღვაშებს თრიალეთი ჩამოართვა. სწორედ ამ წლებზე მოდის მათ მიერ დმანისის და სამშვილდის აღება,[57] ხოლო ზურტაკეტის ეს ნაწილი, კი ამ ორი ქვეყნის სანაპიროზე იყო.

ასევე არ იხსენიებენ კვირიკიანებს ქართლის კათალიკოსთა წარწერები საჭესა და ორომაშენში, მაგრამ ისინი არც ქართველ მეფეებს იხსენიებენ. საკათალიკოსო სოფლები, ჩანს, მცხეთის პატრიარქის უმაღლეს უფლებას აღიარებდნენ, ხოლო

პოლიტიკური დაქვემდებარება მეორეხარისხოვანი საკითხი იყო მათთვის.

მაინც როგორ შეიძლებოდა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის ორად გაყოფა ასე უმტკივნეულოდ? – საქმე ისაა, რომ ზურტაკეტიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, მიკროქვეყნებად–საციხისთავო ერთეულებად იყოფოდა. ეს იყო ციხე–ქვაბისა და მუსის ციხის შესავალი ნაწილები. კვირიკიანთა მიერ დამორჩილებული ზურტაკეტის ნახევარი სწორედ მუსის ციხის ქვეყანა იყო, რომელიც დმანისის ხევში მიმავალ გზის პირად იდგა. უნდა ვიფიქროთ, დმანისიც და მუსის ციხეც (თავისი ერთეულით) კვირიკიანებმა უფრო ადრე აიღეს, ვიდრე სამშვილდეს სატახტო ქალაქად აქცევდნენ. მათი გავლენის გაფართოებას ზურტაკეტის მეორე ნახევარზე, ეგების ბაღვაშთა უკან დაბრუნებამ შეუშალა ხელი...

საზოგადოდ, ბაღვაშთა და კვირიკიანთა მოკავშირეობა საერთო მტრის (მათ შორის ქართველთა მეფის) წინააღმდეგ, ხაზგასმულად ჩანს ქართულსა და სომხურ წყაროებში; ამიტომ მაშინ, როცა კლდეკარის ერისთავები ცდილობენ ყოველი მიმართულებით განავრცონ თავისი სამფლობელო, კვირიკიანებთან კეთილმეზობლობას იცავენ.

თრიალურ წარწერათა სხვა ჯგუფი, უეჭველია იმ პერიოდებს ემთხვევა, როდესაც ქართველი მეფეები ბაღვაშებს თავისი სასურველი ერისთავებით ცვლიან (ზვიადი, მირიან თარხონის ძე, ვახტანგ...)[58] და ბუნებრივია –მაშინდელ აღმშენებლობაზე, თუ წარწერებში, მათი სახელები არ ჩანს.

თრიალეთის წარწერებზე დაკვირვება კიდევ ერთ საკითხს აყენებს: არსად ჩანს წალკელი ეპისკოპოსი. ვინღა არაა აქ წურწყაბელი, მანგლელი, ქართლის კათალიკოსი, შიომღვიმის, თუ ადგილობრივი ბარმონაზვნები,[59] წალკელი არაა და არც სხვა ვინმე იხსენიებს მას ექვთ თაყაიშვილი თვლიდა, რომ ეძანის ხიდის ბურჯებში მოყოლილი წარწერები წალკის კათედრალური საყდრის ნარჩენებია და მიუთითებდა გუნია– ყალას (ძვ. წალკის) ნანგრევებზე, საიდანაც ეს ქვები წამოიღესო.[60]

წალკელის საეპისკოპოსოს ადრე დაარსების საწინააღმდეგოდ იბადება შემდეგი მოსაზრებანი: სახელი წალკა, ადრე უცნობი მხოლოდ XII ს-დან ჩნდება „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში; თრიალეთის ეპისკოპოსი

არ გვხვდება ძველ წყაროებში და პირველად XIII ს. ძეგლში ჩანს-წალკელი;[61] თრიალეთის არცერთი სოფლის წარწერა წალკელს არ იხსენიებს, ხოლო აქური სოფლების დიდი ნაწილი სხვა კათედრალებისა, თუ მონასტრების საკუთრებაა; XIII ს-მდე წალკის საეპისკოპოსო კათედრა რომ ყოფილიყო, ბაღვაშთა შეკვეთით ერთი ხელნაწერი მაინც შეიქმნებოდა აქ; ასეთები კი მათ სულ ერთიანად სხვაგან შეუკვეთეს.

ამიტომ შეიძლება, ვიფიქროთ, რომ წალკა კლდეკარის საერისთავოს მოშლის შემდეგ დაწინაურდა, ვითარცა თრიალეთის ცენტრი და საეპისკოპოსო კათედრაც ამის შემდეგ აშენდა სახასო მხარეში.

## შენიშვნები, დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. დ. ბერძენიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, „მაცნე", 1968, №6, 107.

2. მატიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება" I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955, 258. შემდეგ ყველგან: ქც.

3. ეს წარწერები სხვადასხვა წლების ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში ყოფნისას მოვიძიეთ.

4. კ. კეკელიძე „ხუც" ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში", ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, თბ. 1956, 237.

5. ი. გაგოშიძე. წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე, „ძეგლის მეგობარი" №35, 1974.

6. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები III, თბ. 1970, გვ. 23. შემდეგ ყველგან ქსძ.

7. ანტონ ბაგრატიონი. წყობილსიტყვაობა, წიგნი I, თბ. 1972, 151-152.

8. ქც I, თბ. 1955, 296.

9. აზრუმის მხრიდან ბერძნების გადმოსახლება საქართველოში იწყება 1829 წლიდან, ხოლო გერმანელი კოლონისტებისა XIX ს-ის 70-იანი წლებიდან; იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942.

10. ქსძ III, თბ. 1970, 154-155.

11. იქვე, 176-177.

12. მატიანე ქართლისა, ქც I, 305.

13. იქვე, 297.

14. ИКОИМАО, вып. III. Тиф.1913, 15-17.

15. გ. ლომთათიძე, ი. გრძელიშვილი. თრიალეთში 1949 წ. მიელინების ანგარიში, „მიმომხილველი" II, თბ. 1951, 323-324.

16. ვ. ცისკარიშვილი. ექვსი უცნობი ქართული წარწერა, „მაცნე", ისტორიის...სერია 2, 1980, 139-140.

17. ის. დოლიძე. ქსძ III, თბ. 1970, 177.

18. ИКОИМАО. вып. III, Тиф. 1913, 58.

19. თ. ჩიქოვანი. საპონაურისა და ცხვარეთის „საფხულსადგომთა" შესახებ, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ. 1976, 409-412.

20. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ. 1901. 261.

21. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, 42.

22. ს. ჯანაშია. შრომები II, თბ. 1952, 293-295.
23. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა II, თბ. 1975.
24. კ. კეკელიძე ეტიუდები...X, თბ. 1968, 178.
25. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ. 1964, 219. შემდგომში: სის.
26. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I,თბ. 1964, 246. შემდგომში: ძქალძ.
27. ქც I, 229.
28. ვახუშტი აღწერა... 40-41.
29. ირ. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ. 1955, 74.
30. ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში,თბ. 1938, 110-111.
31. ცნობა წარწერიანი ქვის აღმოჩენისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ, გადმოგვცეს ჩვენი ინსტიტუტის კონკრეტულ–სოციოლოგიური განყოფილების ექსპედიციის წევრებმა. ნ. აბაკელიამ და დ. ჯაფარიძემ.
32. Е. Такаишвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II Тиф. 1905, 31-32.
33. ნ. ბერძენიშვილი. სის III, თბ. 1966, 162, 163.
34. ვახუშტი. აღწერა... 42.
35. ქც II, 13.
36. ნ. შოშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია..."შოთა რუსთაველი", თბ. 1966, 62.
37. თ. ჟორდანია. ქრონიკები II, 305-306
38. ნ. შოშიაშვილი. იქვე, 45.
39. ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ. 1964, I, 45.
40. ის. დოლიძე. ქსძ III, თბ. 1970, 132.
41. ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ძეგლები, თბ. 1970, 32. ამ საყურადღებო ადგილს სხვადასხვანაირად ხსნიან ექვთ. თაყაიშვილი da iv. surgul aZe. pir vel i saRvineSi gul isxmobs "сосуд для вина"-ს, მეორე კი–"винохранилище"-ს. ივ. სურგულაძის თარგმანით გამოდის,რომ ამონაწერის პირველ წინადადებაში მეფეს სვამენ "перед винохранилищем", მეორეში კი–მეფის მოახლენი მის მოლოდინში სხდებიან სალვინეში ("в винохранилише"). შესაძლოა ამ შემთხვევაში ექვთ. თაყაიშვილის თარგმანი იყოს უფრო სწორი, ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ორივეგან მრავლობით რიცხვშია: "სალვინეთ წინ", "სალვინეთაკე".
42. ივ. სურგულაძე. იმისთვის, რომ ზმნას შეუთანხმოს, მოლარესაც აქ მრავლობითში სვამს: "სალვნის მოლარე(ნი) ძეზერეთგან აიღებენ ღვინოსა"...

ივ. ჯავახიშვილი კი ასე აღადგენს: „(მემარნე) და საღვინის მოლარე (და მეღვინენი)"... იხ. ქართველი ერის ისტორია V, თბ. 1953, 214. მართლაც საღვინის მოლარე ერთი ჩანს, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში, ასევე ზემოთ მოყვანილ საბუთებშიაც; მარანი და მემარნე ამ ძეგლში საერთოდ არ ჩანს, ხოლო მეღვინენი მომდევნო ფრაზაში ფიგურირებენ. აზრითაც აქ იმ თითო ჭურ ღვინოზეა საუბარი, რომელიც მეღვინეთუხუცესს, მუქიფსა და საღვინის მოლარეს ერგებათ საკუთრივ. ამიტომ, საფიქრებელია, წინადადებაც ასე უნდა გაიმართოს.

43. ივ. სურგულაძე, იქვე, 41-42.

44. იქვე, 190.

45. ა. ლეკიაშვილი. მარანი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ. 1980, 144.

46. ივ. სურგულაძე, იქვე, 671, 705

47. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ, 1973, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1966.

48. ამასთან, ასეთი გაგებისას, 70 ხელისუფალი საღვინეში მეტისმეტი იქნებოდა.

49. ის. დოლიძე. ქსძ II, თბ. 1965, 258.

50. ქც I, 291.

51. ვახუშტი აღწერა... 42.

52. Б. Куфтин. Археологические расколки в Триалети, Тб. 1941, 30.

53. ნ. ბერძენიშვილი სის III, 1966, 140.

54. ვახუშტი. ქც IV, თბ. 1973, 488.

55. საქართველოს ცხოვრება. თბ. 1913, 25.

56. ის. დოლიძე. ქსძ III, თბ. 1970, 177.

57. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ. 1979, 70.

58. ИКОИМАО, вып. III, Тиф 1913.

59. იქვე.

60. იქვე, 73.

61. ის. დოლიძე, ქსძ, II, 49.

# ქვაჯვარი გუჯარეთის თონეთიდან*

გუჯარეთი თორის ულამაზესი ხეობაა. აქაურ ნასოფლარებში ჯერაც შემორჩენილია მატერიალური კულტურის ძეგლთა საყურადღებო ნაშთები (ციხეები, ეკლესიები, ქვაჯვრები, ზეთსახდელები). ვახუშტი ბატონიშვილის დროსვე მისი სიტყვით, აქ „ყოფილარიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი გარნა აწ შემუსვრილნი" (1.59).

სოფ. გუჯარეთის მახლობლად, მის სამხრეთ-დასავლეთით, გუჯარულას მარცხნიდან ხევი უერთდება, რომელსაც ამჟამად „სახდელიხევს" უწოდებენ; ვახუშტი ამ ხევის სახელს არ იხსენიებს, თუმცა კი მის ორსავე ნაპირზე აღნიშნავს ორ სოფელ ღინტურს. ერთი სოფელი ღინტური ახლაცაა ხევის მარცხენა ნაპირზე, გუჯარულასთან მისი შესაყარის სიახლოვეს. სახდელისხევს ახლა სამანქანო გზა მიჰყვება, რომელიც ქვაჯვარის მთასთან უღელტეხილის გავლით ნარიანში გადადის; ეს კი შესანიშნავი, მთებით მოზღუდული ბალახოვანი ველია ქციის ზემო წელზე, რომელიც ვახუშტის დროს (და ახლაც) გუჯარეთს ეკუთვნიდა: „აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე ტბის-ყურამდე, ადგილსა ვაკესა და შვენიერსა" (1,60). ნარიანისკენ მიმავალი გზის სიძველისა და მნიშვნელობის მოწმობაა ორი მაღალი ქვაჯვარი, რომელთაგან ერთი სოფ. ღინტურის სამხრეთით, გზისპირა ქედზე დგას, მეორე კი ქვაჯვარის მთის უღელტეხილზე. ამ უკანასკნელმა მისცა სახელი მთასაც. ორსავე ქვის ზედა ნაწილში, დადაბლებულ სიბრტყეზე მოგრძო რელიეფური ჯვარია გამოსახული. მათი ურთიერთმსგავსება ამ ქვაჯვართა აღმართვის ერთ პერიოდზე უნდა მეტყველებდეს.

სახდელისხევის შუა წელზე ორი ნასოფლარია გაღმა-გამოღმა. მარცხენა სანაპიროზე ეკლესიის ნანგრევს შიგნიდან შელესვისა და მოხატვის კვალი ეტყობა. ჩრდ. კედლის გარეთ ვეება გელაზის ქვა გდია, ხოლო იქვე მიწაში ღრმად ჩამჯდარი შენობა (ჩრდ-სამხრ. დამხრობილი) შესაძლოა ის ზეთსახდელია, რომლის გამოც გვიან მოსულმა მოსახლეობამ ამ ხევს სახდელისხევი შეარქვა. გაღმა მეორე ნასოფლარია, რომელსაც

* დაიბეჭდა 1986 წ. „ძეგლის მეგობარი" 2.

თონეთს უწოდებენ ახლა.

ვახუშტისთან ამ სახელწოდების სოფელი არ ჩანს. ნასოფლარში ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, რომელიც ნაკლებად დამუშავებული ქვებით უშენებიათ. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია: აფსიდაში ორი ნიშაა, ხოლო ჩრდ. კედლის მახლობლად მოზრდილი, ბრტყელი ლოდია მიწაში ჩასმული. მისი ზომებია 1.4 მ X 0.7 მ X 0.36 მ. ქვის დას. დამუშავებულ მხარეს რელიეფური, ორლილვიანი ჩარჩო შემოუყვება – ზევით თაღოვანი, ქვევით სწორკუთხა ჩარჩოს შიგნით რელიეფური ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული, რომელიც მაღალ საყრდენზე დგას. ჯვარი ოთხხოლიანი გრეხილითაა შევსებული და შუაში კოპი აქვს. ქვედა მკლავის ორსავე მხარეს, ორი წვერულვაშიანი მამაკაცის ფიგურაა გამოკვეთილი. მათ თითო ხელი ქამარზე უდევთ. მეორეთი კი ჯვრის საყრდენი უჭირავთ. ორივეს ერთნაირი, ქამარშემოჭერილი კაბა აცვია წვივებამდე სიგრძისა.



მოკლე ტანთან შედარებით დიდი ზომის თავებზე, ერთიმეორისაგან განსხვავებული თავსაბურავი ახურავთ. მარცხენა ფიგურას თავთან ორი ასო აქვს ამოჭრილი გლ.(გაბრიელ). მარჯვენას–თე. (თევდორე). ჰორიზონტალური მკლავების ზევით დარჩენილ სივრცეზე ამოკაწრული ასოების

ნაშთია, რომელთა გარჩევა ადგილზე აღარ მოხერხდა რელიეფური ჩარჩოს ლილვები ოთხ ადგილას კვადრატებით იკრიბება. ორი მათგანი ქვედა კუთხეებშია, ორი კი –ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების სიმაღლეზე; ოთხივეზე წარწერაა რომელიც მარცხენა ზედა კვადრატიდან გადადის მარჯვენაზე, შემდეგ კი ქვედა კვადრეტებზე გრძელდება (წარწერის მონახაზები 1, 2, 3, 4, ).

წარწერა შესრულებულია ნუსხურით, რომელშიც ზოგჯერ ასომთავრულია გარეული. მას თითქმის არაფერი აკლია და აზრიც დასრულებული ჩანს. ეს ქვა ჩემამდე უნახავს ს. მაკალათიას და კანკელის ნაწილად მიუჩნევია წარწერა მას არ წაუკითხავს, თუმცა კი შეუმჩნევია; ქვას იგი XVI–XVII სს. ათარიღებს. (იხ. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა თბ 1957წ.) წარწერა ასე იკითხება: „ადიდოს ღ(მერთმა)ნ სული ოქროისი. ჩ(უე)ნ მისთა ძმათა თევდორ(ე) და გ(ა)ბ(რიე)ლ ესე ბარზიმი ვამსახურ(ე)თ წმ(ი)დ(ა)სა გ(იორგ)ის ყუდევისასა ა(მე)ნ.”

წარწერაში ქარაგმის ნიშანი მოკლე სწორი ხაზია და ხუთჯერაა ნახმარი, მიუხედავად იმისა, რომ ასოები სხვაგანაცაა



1.



2.



3.



4.

გამოტოვებული. განკვეთილობის ნიშანი არსად არაა, დამწერი სიტყვების დაშორებას ცდილობს; „უ"-ს მაგიერ ყველგან „ო" წერია. პირველ კვადრატში საკუთარი სახელია ოქრო, რომლის შემდეგ თითქოს ასომთავრული „ი" ჩანს. შემდეგ კი „სი", ე.ი. „ოქროისი": მაგრამ წარწერაში 8-ჯერ ნახმარი „ი"– სრულიად სხვაგვარადაა ამოჭრილი, ამიტომ შესაძლოა აქ დაზიანებული „პ" გვქონდეს და მაშინ ეს სიტყვა უნდა წაგვეკითხა, როგორც „ოქროპირისი" ერთზე მეტი ასოს გამოტოვება საკუთარ სახელში აქ სხვაგანაც გვაქვს–გბლ. გი.

წარწერიდან ირკვევა, რომ თევდორესა და გაბრიელს ყუდევის წმინდა გიორგისათვის სახმარად მიუციათ ბარზიმი. მათი ოჯახური მდგომარეობა არ ჩანს, მაგრამ ისინი ძმები არიან ოქროსი (ან ოქროპირისი), რომელიც ალბათ აზნაურული სახლის უფროსია. აქ არც ეკლესიაზეა საუბარი არც ჯვრის აღმართვაზე, თუმცა კი ქვას ზევიდან ფოსო აქვს ამოჭრილი ( 17 სმ X 20 სმ), ალბათ ჯვრის ჩასასმელად.

ძმებს ხელთ უპყრიათ მაღალი ჯვარი, წარწერაში კი ამბობენ „ესე ბარზიმი ვამსახურეთო" საბასთან ბარზიმი არის „ფერჭიანი მაღალი სასმისი" ძველ ქართულშიაც იგი ვერცხლის სასმისია, ზიარების ჭურჭელი (2;3) გამოდის, რომ უფროსი ძმის სულის სადიდებლად თევდორემ და გაბრიელმა ბარზიმი მისცეს ეკლესიას თან საკურთხეველთან ქვაჯვარი დაუდგამთ, რელიეფური გამოსახულებითა და წარწერით. ამ უკანასკნელის ეკლესიაში აღმართვა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბარზიმის „მსახურება" ამიტომ, შესაძლოა, ჯვრის ზევით არსებულ წარწერაში სწორედ ამაზე იყო საუბარი. უნდა ვიფიქროთ, ბარზიმიც სადღაც ამ ქვის სიახლოვეს იქნებოდა, ალბათ აფსიდის ნიშაში.

არაა აუცილებელი ოქრო (ან ოქროპირი) გარდაცვლილი ყოფილიყო, რადგან „სულის დიდება" ცოცხალ ადამიანზეც ითქმოდა სახელი ოქრო (ისევე როგორც ოქროპირი) გავრცელებული ყოფილა ფეოდალურ საქართველოში, აქედანაა მიღებული გვარები ოქრუაძე ოქრუაშვილი, ოქროპირიძე, ოქროპირაშვილი... საბუთებში ეს სახელი სხვადასხვა ვარიანტებით გვხვდება; 1260/1300 წწ ბეგა სურამელის დაწერილში, ვინმე ჯომარდისძის სახელი სამნაირადაა ჩაწერილი: ოქეროი, ოქროი, ოქურაი. 1189წ. ჭიაბერის დაწერილში მღვიმისადმი იხსენიება მიხითარაისძე ოქრაი (4. 166. 96): XIII-XIV სს სვინაქსარში კი იხსენიება ოქრა გაგაჲსძე.

რომელსაც გადაუწერია იგი „სანახებსა აწყურისასა და საყდარსა წმიდისა ღრმთისმშობლისასა" (5.110).

ჩვენი წარწერის პირივენების გაიგივება რომელიმე მათგანთან, სხვა საბუთების უქონლობის გამო ძნელდება. ვინმე თევდორე გუჯარეთის სხვა პუნქტშიაც იხსენიება: პატარა მიტარბის მახლობლად მყოფი, თელოვნის ნასოფლარის წმ. ელიას ეკლესიაზე მოთავსებულ წარწერაში; მის აღმ. სარკმელს დამახასიათებელი წარბი აქვს ზევიდან, რომელსაც ჯვარი აზის. მის ორსავე მხარეზე კი, მოკლედ დაქარაგმებული სამი სიტყვაა, ასომთავრულით ამოჭრილი: „ქრისტე, შეიწყალე თევდორე", აქ იგი ეკლესიის მაშენებელი შეიძლება იყოს; თონეთის წარწერის თევდორესთან მისი გაიგივების საცდური არსებობს, მაგრამ თელოვნის ეკლესიაცა და წარწერაც უფრო ადრეული ჩანს.

ისე, კი გამორიცხული შეიძლება არც იყოს გუჯარულას ხევის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ აზნაურულ სახლში, ერთი სახელი (თევდორე) თაობებში გამეორებულიყო. თონეთის წარწერაში მოხსენიებული ძმები სხვა წყაროებით უცნობნი არიან თონეთის ბარელიეფის მსგავსი კომპოზიცია გვხვდება იმავე გუჯარულას მარცხნივ არსებული ნასოფლარის, ტყემლოვნის ეკლესიის აღმ. სარკმლის თავზე; აქაც სარკმელს ზევიდან წარბი გაუყვება, მას მოგრძო ჯვარი ადგას, რომელიც აქეთ–იქით მდგომ ორ ფიგურას უჭირავს. სარკმლის ზედა სარქველის მოხედვით, ეს გამოსახულებაც უფრო ძველი ჩანს, ვიდრე თონეთისა. საერთოდ, ეკლესიის ნაშთების, რელიეფური გამოსახულების სტილის, ჯვრის მორთულობისა და წარწერის ხელის მიხედვით, თონეთის ქვაჯვარი XIII ს. შეიძლება დავათარიღოთ.

წარწერის ბოლოს დასახელებულია „ყუდევის წმ. გიორგი" (შდრ.: „სადგერის წმ. გიორგი", „ხვამლის წმ. გიორგი", „ილორის წმ. გიორგი"). გამოდის, რომ ეკლესია, სადაც ეს ქვა დაუდგამთ და ბარზიმი უმსახურიათ წმ გიორგის სახელობისა ყოფილა, ხოლო სოფელს მაშინ რქმევია ყ უ დ ე ვ ი. საზოგადოდ თორის, ისევე, როგორც სამცხე–ჯავახეთის არქეოლოგიურ მასალებში, ჯერ კიდევ შუა და გვიანბრინჯაოს ეპოქაში, როდესაც თორში მოსახლეობა მატულობს, შეიმჩნევა დას. ქართული ელემენტის მომძლავრება, თუმცა აქვე შეინიშნება აღმ. ქართულ კულტურასთან შეხვედრის მომენტიც (6. 71. 72).

არქეოლოგიური მასალის ანალიზით მოღებულ ამ რიგის

დასკვნებს, ეხმაურება სამცხე–ჯავახეთის ტოპონიმიაც. იქ დამოწმებული ძველი ზანური ენობრივი დანაშრევები გამოძახილს პოულობენ თორის ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაშიც; ასეთებია ჭ ო ბ ი ს ხ ე ვ ი უძველესი ზანური „ჭობ" („წაბლი") ფუძით; ზ ა ნ ვ ი რომელიც თორის გარდა საქართველოს სხვა რაიონებშიც გვხვდება და „ზან" ფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან ერთად (ზანა, საზანო, ზანაათი), შესაძლოა ზანური ტომის ნაკვალევიც იყოს (7; 8. 422, 493).

ასეთივე სახელი ჩანს გუჯარეთის ყ უ დ ე ვ ი ც ის და სამცხის უ დ ე საერთო ძირიდან უნდა მოდიოდეს („ქუდე"–„სახლი") და ისიც ზანურის ნაკვალევად შეიძლება მივიღოთ. მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ევ სუფიქსი მას ალბათ შემდეგ დაერთო (შდრ.; ნადარბაზევი თორთან). აკ. შანიძის აზრით, „ევ" კილო ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან და მას შეიძლება პირობითად მარგული ვუწოდოთ (9. 443). არგვეთი კი თორის მეზობელი პროვინცია იყო.

აქვე შეიძლება მოვიგონოთ სამძივარი და გუჯარეთი. გუჯარულას მარცხენა შენაკადის, სამძივისხევიდან წარმოებულ საგვარეულო სახელ სამძივარ'ში, ჩანს ადამიანის წარმომავლობის მეგრულ–ჭანური სუფიქსი „არ"-ი შესაძლოა იგივე იყოს „გ უ ჯ ა რ"–შიც „გ უ ჯ"–ელის მნიშვნელობით (შდრ. გოგარენე–გუგარქი –10. 36). ამ მხრივ საინტერესოა, რომ გუჯარეთი არის ზემო აჭარაშიაც, ხოლო სოფ. ტაძრისთან (დვირისხევში) არსებობს გ უ ჯ რ ი ს ც ი ხ ე, გ უ ჯ რ ი ს-ხ ე ვ ი და გუჯ რ ი ს ხ ე ვ ი ს ეკლესია.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ 1941.
2. სულხან–საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული I თბ. 1966.
3. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1973.
4. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად
მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984.
5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ. 1961.
6. ოთ. ლამბაშიძე, თ. ტატიშვილი. მასალები თორის წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VI თბ. 1982.
7 გრ. ბერიძე. ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისათვის "მნათობი" თბ. 1958.
8. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი III. თბ 1958.
9. აკ. შანიძე. ეკ კილოს კვალი საქართველოს ტოპონიმიკაში, თხზულებანი II თბ 1981.
10. აკ. შანიძე. ვინაობის არ სუფიქსი ქართულ ენაში, თხზულებანი II, თბ. 1981.

# ვარძაგარა*

ქვემო ქართლში ფინეზაური მდ. მაშავერის ყველაზე დიდი შენაკადია. ლოქის მთიდან ჩამოსული, იგი სამხრეთიდან შეერთვის მაშავერას დაახლ. შუა წელზე. სწორედ ამ ხერთვისშია გაშენებული დმანისის ციხე–ქალაქი, რაც შემთხვევითი არაა, აქ იყრება ორი დიდი მნიშვნელობის მაგისტრალი: ერთი დასავლეთით, ჯავახეთ–არტაანზე, ტაო–ბიზანტიისაკენ მიმავალი, მეორე კი ფინეზაურის ხეობითა და ლოქის უღელტეხილით, ლორე–ტაშირზე გამავალი სომხეთისაკენ. დღევანდელი სამანქანო გზაც ასე მიდის:

დმანისის ნაქალაქარიდან დაახლ. მეხუთე კმ-ზე ფინეზაურის აყოლებით, ამ უკანასკნელს მარცხნიდან უერთდება ყარა–სუ, ანუ ჰამამლუს წყალი. შესართავის სიახლოვეს, მდინარის მარჯვნივ მიუთითებენ ნასოფლარს ფინეზაურის სახელწოდებით, რომელსაც უნდა მიეცა სახელი მდინარისათვის. ნასოფლარში ეკლესიის ნანგრევია განვითარებული შუა საუკუნეებისა.

XII–XIII ს-ში უნდა იყოს აგებული სოფ. ჰამამლუსთან მდგარი ეკლესია, რომლის წარწერები პირველად ლ. მუსხელიშვილმა ამოიკითხა (1.55). ეკლესიის კედლებში ჩაყოლებული, ადრეფეოდალური ქვაჯვრებისა და მათი ბაზისების ფრაგმენტები, აქ ადრეული ხანის სამლოცველოს მეორედ აღშენებაზე უნდა მიგვითითებდეს. ეკლესიის პირველი წარწერა ასე იკითხება: "ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე თამარ, ერისთავი კახაჲ". ცოტა ქვევით, იმავე ხელით ამოჭრილია: "ქრისტე, შეიწყალენ ბეღელასძე ოქროპირი და კრავაი, ძენი მათნი, ამისნი მაშენებელნი". წარწერა კიდურწერტილოვანია და ლამაზად გამოყვანილი. გამოდის,რომ თამარის მეფობაში, კახა ერისთავი, ალბათ თორელი, განაგებდა სამეფოდ ქცეულ დმანისხევს. შემდგომში ისევე, როგორც სხვაგან, თორელები დმანისხევის სამეფო დომენში, გარკვეულ პუნქტებს თავის სამამულო მფლობელობაში აქცევდნენ. ამის მაგალითია ქვეში, რომელიც თამარის მეფობაში გადაეცათ მათ სამემკვიდროდ "ციხითა, ბაჟითა და მისითა მიმდგომითა" [2.40]. ქვეშის ციხე და ხევი მათ დიდხანს შეინარჩუნეს, რისთვისაც თორელთა ამ შტოს ქვეშელები ეწოდა.

*დაიბეჭდა 1998 წ. კრებულში "დმანისი" I.

ბეღელას ძე ოქროპირი, მეუღლე კრავაისთან და შვილებთან ერთად, ამ ეკლესიის მაშენებელი ადგილობრივი ფეოდალები უნდა იყვნენ [3. 14]. ბეღელაძე ახლაც გავრცელებული გვარია ზემო იმერეთში. ჯვრის მონასტრის აღაპებში XII–XIII სს ხელით. ჩაწერილია აღაპი ანტონ შეღელაჲს ძისა, რომელსაც მონასტრისათვის 1000 დრამა შეუწირავს [4.94, 159]. ეს ანტონიც ბეღელაჲს ძე უნდა ყოფილიყო, ხოლო აღრევა გრაფიკულ ნიადაგზე მოხდებოდა. ამას ემოწმება იქვე აღაპი ბურდიაშვილისა და შურდიაშვილის [4. 128], ან მესხი აზნაური ისაკ ტოლობელის ძე "მატიანე ქართლისა"-ში დამოწმებული [5. 311], რომელიც ტოლოშელის ძე იყო, ჯავახეთის ტოლოშიდან (დღ. ტოროშელიძე). ასე რომ 1000 დრამის ჯვრის მონასტრისათვის შემწირველი ანტონი, ოქროპირ ბეღელას ძის ნათესავიც შეიძლება ყოფილიყო.

სახელწოდება ჰამამლუ წყაროებში არ იხსენიება, იგი ახალია. ლ მუსხელიშვილი შენიშნავდა, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა ჰამამლუ მდებარეობს, ვახუშტი უჩვენებს თაგუთსო [1. 52. შენ. 2] ამ სოფლის იდენტიფიკაციისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ზემოხსენებული ეკლესიის კიდევ ერთი წარწერა. იგი რელიეფური ჯვრის ორ მხარესაა ამოჭრილი ოთხ სტრიქონად. უფრო წვრილი ასომთავრულით, ვიდრე წარწერები თამარის, კახასი და ოქროპირის მოხსენიებით. ლ. მუსხელიშვილი ამ ბოლო წარწერის გამო აღნიშნავდა, რომ თუმცა თითქმის ყველა ასო კარგად ჩანს და წანაკითხი ეჭვს არ იწვევს, მაინც წარწერის აზრის გაგება ძნელიაო. “პირველი ორი სტრიქონი ადვილად გაიხსნება: წმინდაჲ გრიგოლ ზღჳსა მცველი”, დანარჩენი კი გაუგებარია” [1. 55]. 1964 წ. ადგილობრივმა ბოროტმოქმედებმა წარწერიანი ქვები ეკლესიის კედლიდან ჩამოყარეს. ამის შემდეგ, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ისინი თბილისში ჩამოიტანა.

ახლა, როდესაც ეს წარწერიანი ლოდები მუზეუმშია დაცული მათი წაკითხვა იოლია. ბოლო წარწერაში ფაქტობრივი ვითარება ოდნავ სხვაობს ლ. მუსხელიშვილის წანაკითხისაგან: მესამე სიტყვის ბოლო ასო "ა"-ის მაგივრად "ჲ"-ა, მახუთე და მეექვსე სიტყვებში კი "ჩ"-ის ნაცვლად იკითხება "ს"-ები. საბოლოოდ ეს წარწერა ასეთი სახისა იქნება: "წმიდაჲ გრიგოლ ბღუდისაჲ, მცველი ვარძაგარისა მზღვრისა" წინადადების პირველი სამი სიტყვა აღნიშნავს წმინდა გრიგოლის ეკლესიის

ადგილმდებარეობას ისევე, როგორც დავუშვათ "წმიდაჲ გიორგი სადგერისა," ან "წმიდაჲ ღმრთისმშობელი დმანისისა". ამავე ქვის ქვემო, მარცხენა კუთხეში ხელოსნის წარწერა უნდა იყოს: "ქრისტე, შეიწყალე იოანე" (ნახ 1).

ლ. მუსხელიშვილი ზემოხსენებული ეკლესიის შესახებ წერდა: "ჰამამლუდან დაახლ. ერთი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, ყარა–სუს მარცხნით, მცირე სამოსახლოს ნაშთებია. რომელსაც რამდენიმე ნაბიჯითაა დასავლეთისაკენ დაშორებული გალავნით შემორტყმული მცირე ეკლესია და სასაფლაო.

სამოსახლოში შემონახულია რამდენიმე სახლის ქვის საძირკველი. კედლები უდუღაბოდ ყოფილა ნაგები. საინტერესოა ერთი მოზრდილი სწორკუთხოვანი ნაგებობა, რომელიც ბაკსა ჰგავს. [კრომლეხსაც შეიძლება მივამსგავსოთ,



ნახ 1.

თუმცა მრგვალი არაა]. უშველებელი ბრტყელი ლოდები ჩასმულია ღრმად მიწაში ფარდალალა მწკრივად. სამხრეთიდან ამ ნაგებობას თითქოს კარი ჰქონია აქ ორი განსაკუთრებით დიდი სწორკუთხოვანი ქვა დაახლ. ორი მეტრითაა ერთიმეორეს დაშორებული... ეკლესიის გალავანიც ამ „ბაკის" მსგავსადაა ნაგები, თუმცა უფრო მცირე ზომის კლდეებით. ისე რომ სამოსახლო წარმოშობით, ნაწილობრივ მაინც, უთუოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული" [1.54].

ზემოთ მოტანილ წარწერაში, გაუგებარ ასოთა ჯგუფში ვარძაგარის ამოცნობამ, ნათელი გახადა, რომ იქ იხსენიება ვახუშტის რუკაზე, ხევის მარცხნივ აღნიშნული იმავე სახელწოდების სოფელი. ის თავისი მდებარეობით კარგად შეესატყვისება დღევანდელი ჰამამლუს სოფლის ტერიტორიას. წყალგაღმა, ყარა–სუს მარჯვნივ, ლ. მუსხელიშვილის მიერ აღწერილი, ლიტონი კლდის ქვებით ნაგები სამოსახლო და გალავანი, უნდა მივიღოთ ვარძაგარის ცალკე უბნად, რომელსაც შესაძლოა ერქვა ზღუდე. მაშინ მისი ეკლესია იქნებოდა „წმინდაჲ გრიგოლ ზღუდისა, მცველი ვარძაგარისთა მზღერისა", ანუ სახნავ–სათესისა. სოფ. „ანდიკაჲ მისითა მზღერითა" იხსენიება მეზობელი ფოლადაურის ხეობის ეკლესიის 1189წ. წარწერაში. ასევეა სომხეთში, სოფ. კოშის XIII ს.-ის ქართულ წარწერაში კვლავ იკითხება: „კოშელთა ზემო და ქვემო მზღვარი". იქ საუბარია ამ მზღვრებში მოწეული ხორბლის ღალის გაუქმებაზე, სამაგიეროდ კოშელთა მიერ სახენელი მიწის საკუთარი ხარით და ჭურჭლით ხენაზე [6. 8].

XVIIIს-ის დასაწყისის ერთ საბუთში ვარძაგარის 60 დღის სამეხრეო იხსენიება [7. 99]. ეს კი დიდ სახნავ–სათესს გულისხმობს, რომლის დამუშავება აქ ძველთაგან მომდინარე ტრადიცია ყოფილა.

თვით სოფელში, ყარა–სუს მარცხნივ ძველი სასაფლაოა, სადაც ადრე ლ. მუსხელიშვილს ეკლესიის ერთი კედელი უნახავს, ჩუქურთმიანი ქვების ოთხი ნატეხით. 1963 წ. ეკლესიიდან აღარაფერი დამხვდა. საფლავის ქვებად იყო ყოჩისა და ცხენის ქანდაკებანი, ბრტყელი ლოდები საყოფაცხოვრებო სცენებით. აქვე იყო ქვის ჯვარი, რომელიც ლ. მუსხელიშვილს არ უნახავს: გამყოლს დავიწყებია ეჩვენებინა მისთვის [1.75]. ორსაფეხურიანი კვარცხლბეკი მიწაში იჯდა. მასში ჩასმული ჯვრის სიმაღლე 2. მ. იყო, მკლავების სიგრძე კი 40 სმ. მათ გადაკვეთაზე ორი

რელიეფური, კონცენტრირებული წრე იყო, ქვედა ვერტიკალს კი ავსებდა ორი რელიეფური, გრეხილი ზოლით შექმნილი, რვიანის მსგავსი ჩუქურთმა, წრეში ჩასმული ვარდულებით.



ნახ. 2

შესაძლოა ერთი ასეთი წრე და ვარდული ყოფილიყო აღწერილი ორის თავზე, სადაც გადანატეხის შეკოწიწებისას დაზიანდებოდა და ხსნარით დაიფარა. მაშინ ჯვარს ასეთი სახე

ჰქონდა (ნახ. 2.). ჯვრის წუქურთმა VIII–IX სს დაათარიღა რ. მეფისაშვილმა [8.30].

კვარცხლბეკის ქვედა საფეხურის სიგრძე–სიგანე 1. მ. იყო, ზედასი–70 სმ. მის დასავლეთ კედელზე დაწყებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა სამხრეთ კედელზე ორი სტრიქონით მთავრდებოდა (ნახ 3). ის შეიძლება ასე



ნახ 3

წავიკითხით: "ქრისტე, რომლისა მიერ მოეიგე, ძელია პატიოსანი, რომელი ქვეშე ვჰმარხივარ მესხაჲ ვარ შაოსანი, არზნ ამას ვიკადრებ ღარიბი, არშვილოსანი". სამხრეთის გვერდის პირველ სიტყვას, თუ ასოთა ჯგუფს "არზნ" რაღაც აკლია, ან ქარაგმის ქვეშ იგულისხმება. წარწერის სამ სტრიქონს დასავლეთის მხარეს, განკვეთილობის ნიშნები თუმცა არ ახლავს, მაინც შეინიშნება სიტყვების დაშორება. სამხრეთით კი, ასონიშნები ერთმანეთთან მიჯრითაა ამოკვეთილი, ამიტომ ხელოსანს ბოლოში თავისუფალი

ადგილიც კი დარჩენია. აქ პირველი შეიდი ასოა "არზნამს", რომელსაც ორგან ქარაგმის ნიშანი აზის. ვფიქრობ, ასოთა ეს ჯგუფი უნდა წავიკითხოთ ასე: "არზანგად ამას", ე.ი. სიტყვა არზანგი. სულხან–საბა ორბელიანის განმარტებით, "არძანგი, არძანიგი და არზანგი სამივე საჯდომელსა პატივსა ეწოდების კაცთათვის ღირსებისაებრ მათისა" [9]. ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსული ეს სიტყვა "ღირსება", "ხარისხის" მნიშვნელობით გვხვდება წერილობით წყაროებში [10. 288]. ამ სიტყვის ვარაუდი აზრობრივადაც გამართლებული ჩანს: "არზანგად ამას ვიკადრებ", ე.ი. ღირსეული პატივი იქნება ეს ჯვარი ჩემთვისო. საბოლოოდ წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

"ქ. რომლისა მიერ მივიგე ძელია პატიოსანი,
რომელი ქვეშე ვჰმარხივარ, მესხაჲ ვარ შაოსანი,
არზანგად ამას ვიკადრებ ღარიბი, არშეილოსანი".

სტრიქონების ასე დალაგებით უკეთ წარმოჩნდება, რომ ჩვენს წინაა 16–მარცვლიანი ლექსად გამოთქმული ეპიტაფია. აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ მეზობელ ტაშირშიაც მოიპოვება. ქობერის მონასტრის ქართულ საფლავის ქვათა წარწერებიდან, ერთ–ერთი XIII ს-ის II ნახევარში რუსთველური შაირით შეთხზული ლექსია:

"გამოვედით სოფლისაგან ცუდ-ქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლნი მომდებიან, ამომდიან პირით ალნი;
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჳის ნაფერთალნი,
და კურთხეულ ხარ ქრისტე ღმერთო, შენ და შენნი სამართალნი".

ეს საფლავი მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებისაა ( შანშეს და ხუაშასი), იგი რამოდენიმეჯერ გამოიცა [11. 172; 12. 115]. ვარძაგარის ეპიტაფია ქობერისას ცხადია ჩამორჩება მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შემთხვევები გამონაკლისი არ ყოფილა მაშინ. ამ ტრადიციის გაგრძელება უნდა იყოს გვიან შუა საუკუნეთა საქართველოში ლექსად გამოთქმული ეპიტაფიების საყოველთაო გავრცელება.

ჩვენი წარწერის მესხაჲ გარდაცვლილის სახელი ჩანს. ასეთი სახელი გვხვდება XIII ს-ის II ნახევრის სვანეთის კრების მატიანეში: მესხაჲ, რომელიც აბდალიანის გვარისა უნდა იყოს

[13.143]. პირის სახელი მოდის ტომობრივი სახელწოდებისაგან მესხი ისევე,როგორც კახი-კახა,თუში-თუშა, ლაშხი-ლაშხა, თურქი-თურქა... მესხას, თუ მის ჭირისუფალს „მოუგია ძელი პატიოსანი" (სხვა წარწერებში გვხვდება აგრეთვე „ძელი ცხოვრებისაჲ", „ჯვარი პატიოსანი", „ძელი ჭეშმარიტი"), ე.ი. დამკვეთს გარკვეული საფასით შეუძენია ეს ჯვარი, დაუდგამს მიცვალებულის საფლავზე, რომელიც ყოფილა „შაოსანი", „ღარიბი", და „არშეილოსანი". „ვეფხისტყაოსანში" შაოსანი დამწუხრებულის, მგლოვიარის სინონიმია:

„ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაი მე, რა ვქმნა დედაო!
წითელ-ყვითლითა დაგადგე, აწ შაოსანსა გხედაო"* (14. 1628)

იქვე ღარიბი აღნიშნავს მამულიდან გასულს, გარეშეს, უცხოდ მყოფს: „ვარ უცხო ვინმე ღარიბი, სამყოფთა მოშორვებული" (14. 984).

ყურადღებას იქცევს ბოლო სიტყვა, უშვილოს მნიშვნელობით ნახმარი „არშვილოსანი", რომელიც რითმის საჭიროებისთვისაა მოტანილი: პატიოსანი, შაოსანი, არშვილოსანი. ასე შედგენილი სიტყვა და მასთან გარითმული სტრიქონები ისევ რუსთაველთან გვხვდება: ესაა სიტყვა „არ-ბარგოსანი" ე.ი. უბარგი, დაუტვირთავი:

„ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის არ-ბარგოსანი,
შეჰხედნა იცნა ტარიელ, თანა ყრმა ჭარმაგოსანი"...(14. 1355).

ეპიტაფიაში ამგვარი ეპითეტების ბურუსით მოცული მესხაჲ ჩემთვის სხვა წყაროებით უცნობი პირია. დამატებითი მასალის უქონლობის გამო, ძნელია მისი გაიგივება სვანურ მატიანეში მოხსენიებულ მესხა აბდალიანთან. მიუხედავად ამისა, ის მაინც უნდა ჩანდეს, რომ იგი აქ ძველი მკვიდრი არაა, მსხემია, სხვაგნით მოსული პირი.

* შესაძლოა შაოსანი მონაზვნის აღმნიშვნელად მიგვეღო [ელ. მეტრეველი], მაგრამ მაშინ უფრო ნიშანდობლივი იქნებოდა დაეწერათ ფიჩოსანი, ე.ი. ძაძით მოსილი ბერი [22]. ეს სიტყვა მარცვალთა რაოდენობითაც, დაბოლოებითაც მიესადაგებოდა რითმას. იგი ნახმარია ტაშირის სოფ. ჯუჯაქენდის ეკლესიის XIII–XIV სს წარწერაში: „ესე, ჩვენ გორაკელთა ფიჩოსანთა დავწერეთ" (11. 162).

წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიდან ყურადღებას იპყრობს სტრიქონების მოქცევა ოთხხაზიან ბადეში; „ა"-ს ტანს მოშორებული ზედა ზიგზაგი ხაზი; თითქმის ისეთივე, მოკლე ქარაგმის ნიშანი, რომელსაც „მესხაჲ"-ს თავზე მოზრდილი ნაპრალი გააჩენია; „ო"-ს მაღლა აზიდული კაუჭი; „დ"-ის მოგრძო ყელი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვარძაგარის ეფიტაფია XIII ს-ით შეიძლება დავათარიღოთ. ასეთ დასკვნას მხარს უბამს ხელოვნების ისტორიკოსის, დიმ. თუმანიშვილის აზრი (საუბარში გამოთქმული), რომ ქვაჯვარის ორნამენტი, შესაძლოა ძველის მოგვიანო მინაბაძია. ამრიგად, კვარცხლბეკის წარწერა და ჯვრის ორნამენტი, თანადროული უნდა იყოს. 1964 წ. მუსლიმანმა ფანატიკოსებმა ვარძაგარის ქვაჯვარი მოანგრიეს და წარწერა მაშინ დაიღუპა.

წარწერის შემდგომი ხანის სოფლის ისტორიიდან ცნობილია რომ 1537 წ. ვარძაგარაში [საბუთში შეცდომით წერია კარშაგარა] 60 კომლი ცხოვრობდა. მაგრამ ორი მესამედი ქართველი იყო, ან გაქართველებული უცხოტომისა (ყავლიასშვილი, იოანესშვილი, ბექიასშვილი, მხითარაშვილი, მარქარაშვილი, პეტროზაშვილი, ფირაიზასშვილი) [15.22].

1701–1711 წწ აღწერით ამ სოფელში ითვლებოდა 4 მემამულე (ზაქაშვილი, სოლოღაშვილი, ჯანიაშვილი, ლორელი ტეოტერა), 47 გამომღები და 8 ბოგანო ყმა [16.309]. 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის საალაპოდ, დმანისხევის სოფელთა უმეტესობას თითო ძროხა დაევალა, ვარძაგარას კი შეეწირა „ძროხა-ვ (6), იქივ მოურავს ჯანიაშვილს ძროხა–1" [2.209]. 1721წ. აღწერით, იქ ითვლებოდა ერთი მებატონე (ყაფლანიშვილი), 3 მემამულე (ზაქაშვილი, ჯანიაშვილი, შერანაშვილი), 25 გამომღები, 3 ბოგანო და 6 აყრილი ყმა [16.309].

ოსმალთა მიერ შედგენილ 1727-1728 წწ თბილისის დავთრის მიხედვით, სოფ. „ვარზაგარა" ექვემდებარება „თუმანისს". იქ ცხოვრობენ ვართან ბაქარის ძე, ოთარ ზაალის ძე, ავთანდილ, ამის ძმა; ბაბა იოსების ძე, თამაზა, მისი ძე; ოთარ ძე ყარახანისა, ნაზარ მისი ძე, ნოდარ, მისი ძე ლუარსაბ მისი ძე; კირაკოზ ვართანის ძე, ლევან ზაქარიას ძე, ესტატე მისი ძმა; ყლიზბარ სარუხანის ძე, მარუთი სახაკის ძე. სულ 54 კომლი. სახელების მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია, უმცირესობა–გაქართველებული სომხები, ან თურქმანები. ყველა ამათი ქრისტიანობა ნათს იქიდან, რომ 54-ვე კომლი იხდის ქრისტიანებზე შეწერილ გადასახადს, სახელწოდებით–ისფენჯი. წლიური

გადასახადების საერთო რაოდენობა 23 570 ახჩა ყოფილა, რომელთაგან ხორბალზე მოდიოდა 8 000 ახჩა, ჭვავზე- 4 500, ფეტვზე – 1 200, ღორზე – 200. სოფელში მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა 4 თვალი წისქვილი, რომელთა გადასახადი 420 ახჩა ყოფილსა [17]. აქედან ჩანს, რომ ვარძაგარა ყოველ;თვის მნიშვნელოვანი სოფელი იყო, რომლის ეკონომიკური შესაძლებლობანი ბოლომდე მეტობდა მეზობელ სოფლებისას.

ვარძაგარის ძეგლები, თავისი დიდად საყურადღებო წარწერებით, ჩვენს ყურადღებას იმაზეც მიაქცევს, თუ რა აპირობებდა მათს აქ თავმოყრას. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, თრიალეთის მაოხრებელი ლეკები, ნაალაფევით წალკიდან წამოსულან, „გაიარეს დმანისის თავს მთის ძირზე, ტაშირზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპატის ხეობაზე"-ო [18 220]. ჩანს თრიალეთიდან წამოსული ეს გზა, კეჩუთის მთის ძირობაზე გაივლიდა ბაშკიჩეთთან (დღ. რაიონული ცენტრი დმანისი), ვარძაგარის გავლით შეუერთდებოდა ძირითად მაგისტრალს და გადავიდოდა ტაშირში. ამავე მიმართულებით მიდის დღევანდელი სამანქანო გზა თრიალეთიდან ლორეში. ახლანდელ ჰამამლუს სიახლოვეს, ამ მხრივ საინტერესოა სახელწოდებანი: ლეზგიდერე და ბოლაზქესანი, რაც ლეკების ხევს და ჩაკეტილ ყელს, გასასვლელს ნიშნავს. ეკონომიკური სიძლიერე, დმანისთან სიახლოვე და გზაზე მდებარეობა ამ სოფელს მნიშვნელოვან პუნქტად აქცევდა.

ვარძაგარა შედგენილი სახელი ჩანს ისევე, როგორც დმანისხევის მეორე სოფლის სახელწოდება სამაგარა, ან წინაგარა მეჯუდის ხეობაში. ამ სიტყვის მეორე ნახევარში მოჩანს–აგარა, ე.ი. ვისიმე კუთვნილი სოფელი, ყანა, ველი. ვარძ ფუძე თავს იჩენს ტოპონიმებში ვარძა [19.87], ვარძია და ვარძანეთი, ასევე სიტყვაში სავარძელი. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ძველად ვარძ–ვერძი მამაკაცისა და მამალი ცხოველის გამომხატველი ყოფილა [20. 166].

სახელწოდება ჰამამლუ, რააც თურქულად ნიშნავს „აბანოს სოფელს", წყაროებში არ იხსენიება, ის XIX ს-შია გაჩენილი. თუ იგი ახალმოშენეთა მიერ ძველი საცხოვრისიდან მოტანილი სახელი არაა, მაშინ ვარძაგარის პირველ ნაწილში შეიძლებოდა გვევარაუდა მინერალური წყლის აღმნიშვნელი ვეძა–ვერძა [შდრ.: ვეცხლი–ვერცხლი]; რაჭაში მადნის წყალს ახლაც ვერძას ეტყვიან, აქედან ვერძაგარა–ვარძაგარა [შდრ.:

ველკეთილი–ვერკეთილი–ვარკეთილი]. ასეთ შემთხვევაში ახალმოსულებს მეტი საფუძველი ექნებოდათ უსახელო ნასოფლარისათვის „აბანოს სოფელი", ანუ ჰამამლუ შეერქმიათ. ძველ ხუთვერსიან რუკაზე, სოფლის სიახლოვეს მართლაც აღნიშნულია წყარო.

ვახუშტის რუკის მიხედვით, ფინეზაურის ამ უსახელო მარცხენა შენაკადზე [დღ. ყარა-სუ], 7 სოფელი ყოფილა: ლაკლაკაშენი, ანგრევანი, ვარძაგარა, მოლამსხმუტი, (მოლა მასხუდი), ზემო და ქვემო თაგუთი, ფარანჯუკი. დღეს იქ 4 სოფელია: ჰამამლუ, მამიშლუ, საფარლუ, და ანგრევანი. ამათგან ჰამამლუს ძველი სახელი ვარძაგარაა, მამიშლუს თაგუთი რქმევია [21. 148], ანგრევანი კი თავისსავე ადგილზე სახლობს. სხვა აქაური სოფლების მსგავსად, ეს სახელიც ძველი ქართულით აიხსნება: ანგროვანი ცხვრის ფარას, შინაურ პირუტყვს ერქვა[22].

ამის შემდეგ, ვახუშტის რუკის შედარებით თანამედროვე ვითარებასთან, საფარლუს ლოკალიზაციაც ადვილდება. ეს სოფელი ფინეზაურისა და ყარაა-სუს შესაყართანაა. ვახუშტის რუკაზე სწორედ ასეთი მდებარეობა აქვს ლაკლაკაშენს, იგი განმხოლოებული სოფელია და არ შეიძლება სხვაში აგეერიოს (ნახ. 4). ლაკლაკი იგივე ყარყატია, ასე გავრცელებული ფრინველი საქართველოის სამხრეთ მთიანეთში. აქედან მოდის კაცის სახელი ლაკლაკ (ლაკლაკიძენი), მერე კი ლაკლაკეთი და ლაკლაკაშენი [შდრ.: ბეშქენაშენი, რევაშენი, ბაბილაშენი].

ვახუშტი ბაგრატიონის დროს, დმანისხევში მოსახლენი ქართველებთან ერთად ყოფილან არაქართველებიც, მაგრამ „სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი" [22.39]. XVIII ს-ში იქაური მოსახლეობა თითქმის მთლიანაად აიყარა. ერეკლე-გიორგის მეფობაში აქ ახალი ტალღა შემოვიდა ყარაბაღელი სომხებისა. დღევანდელი თურქულენოვანი მოსახლეობაც XIX ს-ში შემოსახლდა.


ტაშირისაკენ

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ. 1941.
2. ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი II, თბ. 1909.
3. ნ. შოშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. „შოთა რუსთაველი", თბ. 1966.
4. ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ. 1962.
5. ქართლის ცხოვრება I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955.
6. А. Г. Шанидзе. Грузинская надпись XIII в. в сел. кош, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე" I, თბ. 1971.
7. გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1955.
8. რ. მეფისაშვილი. კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, „ძეგლის მეგობარი" 21, თბ. 1971.
9. სულხან–საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, თბ. 1966.
10. მზ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. 1966.
11. პ. მურადიანი. სომხეთის ქართული წარწერები, ერ. 1978, სომხ. ენაზე.
12. ვ. სილოგავა. ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, „მაცნე", ისტორიის.. სერია, 4, თბ. 1990.
13. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, 1941.
14. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, თბ. 1957.
15. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები IV, თბ. 1972.
16. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი I–II, თბ. 1935.
17. თბილისის დავთარი 1727–1728 წწ გამოუქვეყნებელი ხელნაწერის თარგმნისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ქ–ნ ცისანა აბულაძეს.
18. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოც. თბ. 1981.
19. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოც. თბ. 1950.
20. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ. 1950.
21. Сборник материалов для описания Тифлисской губернии под ред К. Л. Зиссермана т. I. вып. II Тиф. 1870.
22. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1979.
23 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

# ზედა ვარძიის წარწერების გამო*

ზედა ვარძიის ეკლესიის წარწერები არაერთხელ გამოცემულა. უკანასკნელად ეს ეკლესია მონოგრაფიულად შეისწავლა აწ განსვენებულმა ქალბატონმა, არქიტექტორმა ციალა გაბაშვილმა. თავის ნაშრომში (1985 წ) მან წარწერებსაც საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო, გაითვალისწინა ყველა წინა გამოცემა და საკუთარი შეხედულება მკაფიოდ ჩამოაყალიბა (1).

როგორც ვრწმუნდებით, X–XI საუკუნეთა მიჯნით ძეგლის დათარიღებაზე დიდი გავლენა მოუხდენია წარწერებს, რის გამოც ავტორი მათ ეკლესიის აღწერის შემდეგ, დაწვრილებით განიხილავს პირველსავე თავში. პალეოგრაფიული ანალიზით მიღებულ შედეგს იგი ამაგრებს ძეგლის მხატვრული ანალიზითაც და დაასკვნის, რომ ეკლესიის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილ წარწერაში, მშენებლად მოხსენიებული ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი „შეიძლება იყოს ლიპარიტ რატის ძე რომელიც 989 წელს რატიმ ბაგრატ მეფეს გადასცა ( როგორც ჩანს, ამ დროისათვის ლიპარიტი მცირეწლოვანი უნდა ყოფილიყო) და რომელიც ბიზანტიასთან ბრძოლებს შეეწირა 1022 წელს გიორგი I–ის მეფობის დროს, ან ჩვენთვის უცნობი ლიპარიტი უნდა იყოს... თუ გავითვალისწინებთ, რომ 989 წელს ლიპარიტ რატის ძე მცირეწლოვანი იყო, მაშინ მართებული **იქნება ზედა ვარძიის აგება „სწორედ უცნობ ლიპარიტს მიეწეროს, რომლის შესახებ ისტორიულ წყაროებში** არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება" (1. 44).

უნდა ითქვას, რომ 1959 წ ეს წარწერა XI ს-ით დაათარიღა ვ.ცისკარიშვილმა. ის წერდა, რომ მაშინ ძეგლის ხუროთმოძღვრულ ფორმებზე ჯერ არაფერი აღნიშნული არ იყო, რომ ამის საშუალებით მაინც თქმულიყო რამე ძეგლის თანადროული წარწერის თაობაზე. ავტორი იქვე დასძენდა: „აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ხელოვნებათმცოდნეების აზრით, წარწერის შუაში წნული ორნამენტით გაკეთებული ჯვარი და კარის თავის მრგვალბურთულებიანი ორნამენტი, რომელზედაც ეს ჯვარია დაყრდნობილი, ტიპიურია XI საუკუნისათვის (ასეთი

*დაიბეჭდა ჟურნალში „ანალები", 1999 №2.

თვალსაზრისი გამოთქვა კერძოდ ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე ჯავახიშვილმა)". ავტორის აზრით, ეს არის ბაგრატ IV-ის მეტოქე ლიპარიტი, რომელიც წარწერაში მეფეს სწორედ იმიტომ არ იხსენიებს, რომ არ სცნობს მის უზენაესობას (2. 35–36).

ცნობილია, რომ ბიზანტიის დახმარებით, ლიპარიტმა არაერთხელ დაამარცხა ბაგრატ მეფეც და მისი მომხრე ფეოდალებიც. როგორც „მატიანე ქართლისა" გვამცნობს, 1047 წ. „მოირჭუნა ლიპარიტ **ზემოსა ქუეყანასა** და აღიხუნა ციხენი და მოიერთნა თავადნი კაცნი"... შემდგომშიც, 1051 წ. „ლიპარიტ მოირჭუნა **ზემოსა კერძსა დაუკლებლად**, და იყო მოყვარედ მისა ხვარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა. ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხს ქვემოთი კერძო დაწყობით" (3. 302, 304). ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი ზემოხსენებულ ამბებს მოკლედ გადმოსცემს: „ლიპარიტ კურაპალატს ეჭირა მთლიანად ზემო ქვეყანა და ვერ შეჰგუებოდა ბაგრატის მეფობას, თუმცა კი გაეზარდა მისი შვილი და გაემეფებინა" (4. 227).

წყაროთა ეს „ზემო ქუეყანა", „ზემო კერძი", უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ საქართველოს გულისხმობს. მანამდე კი ლიპარიტი კლდეკარისა და ქართლის ერისთავად ითვლებოდა. ამიტომაც წერდა ივ. ჯავახიშვილი: „როგორც ჩანს, ქართლი და მესხეთი ლიპარიტს ეჭირა და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა" (5.148). ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამ წარწერის ვ. ცისკარიშვილისეული დათარიღება 1151–1157 წლებით (2.36) უფრო მართებული მეჩვენება.

ეკლესიის აღმშენებლად სხვა ლიპარიტის ძებნისას უნდა გვახსოვდეს, რომ ბაღვაშთა სამკვიდრო აღმოსავლეთ საქართველოში კლდეკარის საერისთავოა. მათ მიერ მეზობელი ხევების დაუფლება (ატენი, სკვირეთი, ალგეთი) დროებითი ხასიათისაა და ყოველთვის აღნიშნულია წყაროებში. სამეფო ჯავახეთში გასაბატონებლად კი, ლიპარიტ ლიპარიტის ძემდე ბაღვაშებს შემთხვევა არ მისცემიათ. აფხაზთა მეფენი, დავით კურაპალატი, ბაგრატ მესამე ასეთ შანსს მათ არ აძლევდნენ (ასე ჩანს წყაროების მიხედვით),მით უფრო „უცნობ ლიპარიტს...., რომლის შესახებ ისტორიულ წყაროებში ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება"

ლიპარიტ ლიპარიტის ძემ ყველაფრით გადააჭარბა თავის წინაპრებს: დამარცხებული მეფე მისსავე მოკავშირე ბიზანტიაში სამართლის საძებრად გააქცია და აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა („დიდებულთა მოეწყინა პატრიონობა ლიპარიტისი"–3. 304). სომხური წყარო მას კურაპალატს უწოდებს– ასეთ პირობებში უნდა აეშენებინა ლიპარიტს ზედა ვარძიის ეკლესია, სადაც არც თარიღი, არც მამის ძეობა აღნიშნული არაა–ისედაც ყველასათვის კარგად იყო ცნობილი...

* * *

ზედა ვარძიის ეკლესიის ბალავრის ქვაზე ამოჭრილი წარწერის მარცხნივ კიდევ ერთი წარწერა ყოფილა, ოღონდ საღებავით შესრულებული. XX საუკუნის 40-იან წლებში ის თურმე ძნელად, მაგრამ მაინც გაირჩეოდა. 1974 წ ამ წარწერის გადმონახატი გამოსაქვეყნებლად გადმომცა აწ განსვენებულმა, იმხანად ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების თანამშრომელმა არქიტექტორმა კ. მელითაურმა. შემდგომში წარწერა თავის მონოგრაფიაში გამოაქვეყნა ც. ბაბაშვილმა. აი, მისი წანაკითხი: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა წმიდისა ღმრთის მშობლისაჲთა და ბრძანებითა სძლიერისა მეფისათა ბაგრატის გალატოზთა მე კურიკე ვახტანგის ძემან ბ.......თა მა აი ამთლითა მთისა ლავსა ნაჭირისაგან ამოთგდებული უბოძე ზუარი ოშორისაი ციხის ძირელთა მოდილეგეთა უკუნისამდე შვილის შვილთა მათთა ვირემდის დგეს ეკლესია ესე........ და გოდოლი"

იქვე დაწვრილებითაა აღწერილი თითქმის ყოველი ამოკითხული სიტყვა, თუ ასონიშანი. ავტორის აზრით, ის ამოკვეთილ წარწერაზე გვიანაა შესრულებული, თუმცა მას დიდი დროით არ უნდა სცილდებოდეს. „წარწერა გულისხმობს რაღაც დამატებით სამუშაოს, რომლის ჩატარება საჭირო გახდა ნაგებობის დამთავრების შემდეგ. შესაძლებელია ეს ეხება მიწისძვრის შედეგად ჩამოშლილი კლდის ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდას, დასავლეთ მინაშენის აგებას, სამალავის გამოკვეთას, ან სხვა რაიმე სამუშაოს შესრულებას. რადგან წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ მეფე დროის მიხედვით ჩვენ ბაგრატ მესამედ მიგვაჩნია და ბგრატ მეფის ბრძანებით გაიცა

გასამრჯელო, ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1014 წლისა, ე. ი. ბაგრატ მესამის სიცოცხლეში" (1. 50–51).

როგორც შედარებამ დამარწმუნა, ჩემს ხელთ არსებული ამ წარწერის პირი უფრო სრულყოფილია, ვიდრე ზემოხსენებულ მონოგრაფიაში დაბეჭდილი. ზოგი ასო უფრო ნათლად იკითხება, რაც აზრს მნიშვნელოვნად ცვლის. სალებავით შესრულებული წარწერა, ქარაგმების გახსნით, ასე შეიძლება წავიკითხოთ: „ქ(რისტე) სახელითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და ბრძანებითა უძლეველისა მეფისათა ბაგრატის გალატოზობითა მე კერიკე ვახტანგის ძემან ბჭისათა



მა-აიაძთლეთა* მთისა ჰავსა ნაჴირისაგან ამოუგდე პური მარიობისაჲ ციხის ძირელთა მოალაგეთა უკუნისამდე შვილის შვილთა მათთა ვირემდის დგეს ეკლესია ესე მ..............ვ და კოდილი".

*ეგების აქ უნდა გვეგულისხმა სიტყვა „მოსამართლეთა," მაგრამ ეს ჩვენგან მეტისმეტ ძალდატანებას მოითხოვს ამ გადმოხატულ ასონიშნებზე.

ამ წანაკითხის მიხედვით, დასტურდება ც. გაბაშვილის ვარაუდი, რომ წარწერა გაუკეთებიათ ნაგებობის დამთავრების შემდეგ, რაღაც დამატებითი სამუშაოს ჩატარების გამო. ეს უნდა ყოფილიყო წარწერაში მოხსენიებული მშენებლობა „ბჭისათა", რაც შესაძლოა დას. მინაშენისა და სამალავის დასრულებას გულისხმობდა. ამ საქმეს, ჩანს ასრულებდნენ „ციხის ძირელნი მოალაგენი", რისთვისაც ბაგრატ მეფის ბრძანებით, კვირიკე ვახტანგის ძეს ისინი გარკვეული მოვალეობისაგან გაუთავისუფლებია. ის კი ამ სამუშაოს მოთავე კალატოზი მგონია, რომელმაც ამით მოიპოვა ბჭის მშენებელთა გათავისუფლების უფლება. მსგავსი გამოთქმა–„ჩემითა კალატოზობითა" გვხვდება ზემო კრიხის ეკლესიის XI ს-ის წარწერაში (6.86). ციხისძირელთა გათავისუფლებას კვირიკე აღნიშნავს სიტყვით- „ამოუგდე". ამავე ტერმინს ხმარობს მელქისედეკ კათალიკოსი თავის დაწერილში სვეტიცხოვლისადმი (1031-1033წწ): „და რომელი ქალაქისა გასავალი იყო ამის წმიდისა დედაქალაქისაგან: ცხვარი, ცხენი, ღვინოჲ ზედანი, ყოველი ალი ამირამან ამოგუგდო და აჳჴადე ამას წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა" (7.27).

მოვალეობა, რომლისგანაც ციხისძირელებს ათავისუფლებდნენ, ყოფილა „პური მარიობისაჲ" (ან მარიამობისაჲ). ზედა ვარძიის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მარიამობა, ცხადია, განსაკუთრებით აღსანიშნავი დღესასწაული იქნებოდა, სადაც მომლოცველთა დიდი რაოდენობა მოვიდოდა. „პური" ძველ ქართულში ეწოდებოდა ტაძრობას, სმასაც(8), „პურისუფალი"-თამადა... ასე რომ ეს „პური მარიობისაჲ" უნდა აღნიშნავდეს დღეობაზე გამართული ლხინის უზრუნველყოფას პროდუქტით.

ხიზაბავრაში ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია: „ვარძიას შეკვეთილი ვარ ჩემის პურით და ღვინითა, როდის იქნება მოვბრუნდე სიხარულით და ლხინითა" (9. 136). ნახირის ხსენება კი, ალბათ საამისოდ საჭირო ოთხფეხა საკლავს გულისხმობდა. „სამარიობო ქათამი, კვერცხი, საკლავი" შეწერილი ჰქონია ბაშის მოსახლეობას ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში (10. 221-296). ამიტომ უჩვეულო არ უნდა იყოს ამ წარწერაში ნახმარი „მარიობა" ნაცვლად „მარიამობისა".

„ციხისძირელნი", უეჭველია, თმოგვის ციხეს გულისხმობს: ის ერთადერთი ციხეა ვარძიის სიახლოვეს და ამიტომაც მისი სახელი დაკონკრეტებული არაა. ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებს მომდევნო სიტყვა „მოალაგენი" („ციხისძირელთა მოალაგეთა").

ეს სიტყვა მო-ე მაწარმოებლის დართვითაა შედგენილი, ფუძეა ალაგი. ასეთივე წარმოებისაა მო-ადგილ-ე, მო-ნაპირ-ე, მო-ქალაქ-ე, მო-სანახ-ე. მო-აგარაკ-ე და სხვა. მართლაც ალაგურები ჰქვია მტკვრის მარცხენა, ვიწრო სანაპიროს თმოგვის ციხიდან ვარძიის გამოქვაბულებამდე, სადაც ხილის ბაღებია ზედა თმოგვისა. საინტერესოა, რომ თბილისსაც ჰქონია „ქალაქის ციხის-ძირი", სადაც გაშენებული ყოფილა „კლდის ბაღი" (11. 298).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, ალაგი იყო უკაცრიელი სოფელი თმოგვის რაბათთაან (12. 366), რომელიც თმოგვის ციხის ძირში შემორჩენილი ნასახლარები უნდა იყოს (შდრ.: ალაგი—ალაგური ანაგა—ანაგური) ძველ ქართულში ალაგი აღნიშნავდა გზას, კვალს, ბილიკს (8). სულხან-საბასთან ესაა— „დასადგომი, ანუ დასადებელი რისამე, ადგილიეით. ალაგი ეწოდების სადა კაცი დაჯდეს ანუ დადგეს, ანუ დაიდეას რამე"(13). სიტყვის ასეთი მნიშვნელობანი სავსებით ესადაგება ალაგურების მდებარეობას, სადაც გაივლიდა ალბათ თმოგვიდან ვარძიისაკენ მიმავალი გზა (ასეა ახლაც).

„ვეფხისტყაოსანში" ვკითხულობთ: „ნავსა ჩავჯექ, ზღვასა შევე, კიდით კიდე გავალაგდი", ე.ი. ზღვა გზად გავიხადეო (14. 593). შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ წარწერის გაკეთების დროს, ალაგი საკუთარ სახელად ჯერ კიდევ არ იყო ქცეული და ციხისძირელთა „მოალაგეობა" ამ გზაზე ზრუნვას, მის დაცვას გულისხმობდა. ამითვე აიხსნებოდა მაშინ ეს ორმაგი მითითება: „ციხისძირელთა მოალააგეთა", რაც ტოპონიმის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ „მოალაგეთა" ხსენებას დასჯერდებოდა, შდრ.: „მობაღდადენი ვაჭარნი" „ვეფხისტყაოსანში".

ამ წარწერის ბოლო სიტყვებია: „ვირემდის დგეს ეკლესია ესე მ.........ვ და კოდილი". „ვიდრემდის" მაგიერ „ვირემდის" გვხვდება მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში, ბეშთაშნის წმ. გიორგის წარწერაში კი იკითხება: „... არა შეუცვალოს ესე [illegible] და ჟამის წირვაჲ ვირე ეკლესია ესე დგეს"(15.16). ვირემდის არის ვეფხისტყაოსანშიაც... ბოლოდან მეორე, დაზიანებული [illegible] მხოლოდ პირველი და ბოლო ასოს ნაშთი ჩანს, [illegible] ეს სიტყვა მაინც გამოყოფილია მცირე ინტერვალით. ც. [illegible] აქ კითხულობდა სიტყვებს: „და გოდოლი", თუმცა კი [illegible], რომ „პირველი ასო გაურკვეველია ბ არის, თუ შ, [illegible] თუ შეცდომით დაწერილი? იქნებ გ უნდა [illegible], მაშინ გოდოლი გვექნებოდა და სიტყვა ციხისძირელთა

ერთგვარად გამართლებული იქნებოდა" (1. 52).

უფრო სწორი მეჩვენება იმის ახსნა, რაც ფაქტობრივად შემოგვრჩა. აქაა „დაკოდილი", ან „და კოდილი". ორსავე შემთხვევაში „კოდა" ზმნიდან წარმოებული, ილ სუფიქსიანი მიმღეობაა ვნებითი გვარისა (შდრ.: დაპობილი, და პობილი, დაგრეხილი და გრეხილი, დაფლეთილი, და ფლეთილი). ძველ ქართულში „აღმოკოდა" ნიშნავს „აღმოკუეთას", „გამოკოდილი" – „გამოკუეთილს" „გამოთხრილს", „დაკოდილი" – „დაჩეხილს", „დაჭრილს", „მოკოდა" – „მოჭრას", „მოთლას" (8). ბოლო სიტყვა წარწერაში უნდა აღნიშნავდეს ნამუშევარს, რომელიც კლდის გამოკვეთასთაან უნდა იყოს დაკავშირებული და ალბათ გულისხმობდა სამალავ – გამოქვაბულს, ეკლესიის დასავლეთის „ბჭესთან" დაკავშირებულს.

სალებავით შესრულებული წარწერა, ბაგრატ IV–ის მეფობის 1057–1072 წწ უნდა ეკუთვნოდეს. წარწერაში დამოწმებული ორკბილა „ე", „ვ" და „ლ" XI ს-ის ნუსხურში გვხვდება, ასევე „ც"-ის გრძელი ფეხი.

ზედა ვარძიის წარწერებში მხოლოდ ეკლესია და მასთან დაკავშირებული ამბები იხსენიება. ეკლესიის მახლობლად სხვა ნაგებობათა ნაშთებია, იქვეა გამოქვაბულიც. სავარაუდოა, რომ ეს ეკლესია შემდგომ მონასტრად გადაიქცა და პოპულარულიც გახდა. ამას უსათუოდ შეუწყობდა ხელს აქ გამავალი ძველი გზა ნიალის ველისაკენ. მონასტერი უნდა ყოფილიყო იგი მაშინ, როდესაც გიორგი III-მ ვარძიის ქვაბთა გამოკვეთა დააწყებინა. თითქოს ამაზე მიგვანიშნებს „ისტორიათა და აზმათა" ცნობა: „...ჴელ–ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთა–კურთხეულისა ვარძიისა ღმრთისმშობელსა, ზემო ვარძიისა ქვემო ვარძიითა **მიცვალებითა**, რომელ კლდისაგან გამოჰკუეთა, თჳთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ ყო... აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ, და შესწირნა მრავალნი და დიდროანი სოფლები და შეჰკაზმნა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი... თუ ვისმე ნებავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენები ქუაბ–ქმნილი...ამისთჳს უმეტეს პირველთა იდიდა მეფობა მისი" (16.90–91).

წყაროდან ამონარიდი გვამცნობს, რომ XII ს–ში ყოფილა ზემო და ქვემო ვარძიის სოფლები (ეს უკანასკნელი ალბათ დღევანდელი ანანაურის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო). ზემო

ვარძიაში ამ დროს უკვე ცნობილი ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია არსებობდა. იქაურ მონასტერს არც ზემოხსენებული წყარო იხსენიებს, მაგრამ საფიქრებელია გულისხმობს სიტყვა „მიცვალებითა“-ს გამოყენებით: ქვემო ვარძიაში ეკლესია–მონასტრის გამოკვეთაა ხაზგასმული („ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები“), მაგრამ ეს მას შემდეგ, რაც „ზემო ვარძიისა ქვემო ვარძიითა მიცვალება” მოხდა. ციტატის ბოლო სიტყვა „შეცვლა”, „გადატანას”, „გადანაცვლებას” გულისხმობს (8), საამისოდ კი ზემო ვარძიაში მონასტერი უნდა ყოფილიყო.

„მიცვალება” მარტო ღმრთისმშობლის ხატის გადატანას რომ არ გულისხმობდა, საამისოდ შესაძლოა კიდევ ერთი ეპიზოდი გამოდგეს „მატიანე ქართლისას” მონათხრობიდან. იქ საუბარია ბაგრატ მესამეზე: „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, **მოცვალა** მუნ გუდაყუსა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჰევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმაყოფად სიმაღლისათჳს დიდების მისისა პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა” (3.281). როგორც ვხედავთ თამარის ისტორიკოსი არა მარტო აზრს, სიტყვებსაც იმეორებს „მატიანის” ავტორისას. ამოტომაც ორივეგან ნახმარი სიტყვა „მოცვალა” და „მიცვალებითა”, თანაბარ ვითარებას უნდა აღწერდეს: როგორც გუდაყვაში მყოფი საეპისკოპოსო გადაიტნა ბაგრატმა ბედიაში, ისევე ზემო ვარძიის მონასტერს გადმოიტანდა თამარი ქვემო ვარძიაში.

ზედა ვარძიის ეკლესიის ერთ ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული აფრიდონი, ამ მოხატულობის „დამკვეთად, ან მატერიალურ ამნაზღაურებლად” არის ნაგულისხმევი (1.49). სავსებით ბუნებრივი ჩანს მისი გაიგივება გიორგი III-ის მიერ დაწინაურებულ აფრიდონთან, რომელიც „აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაც–ქმნილი, მიიწია მსახურთუხუცესობამდის, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის აღზევებული” (16. 30). თმოგვის „ციხე და ქუყანა” სამეფო იყო ამ დროს, მასში შედიოდა ორივე ვარძია (17. 49). ამ სამეფო ციხე–ქვეყნის განმგებლად დანიშნულ

ერისთავთ–ერისთავსა და მსახურთუხუცეს აფრიდონს სწორედ რომ მონასტრის მოხატვა შეეფერებოდა ზემო ვარძიაში და არა სოფლის უბრალო ეკლესიისა. ასევე სამეფო მონასტერი მოახატვინა ქვემო ვარძიაში რატი ერისთავთ–ერისთავმა და ქართლისა ერისთავმა 1185წ., რადგან ამ დროისათვის აფრიდონი უკვე დამხობილი იყო დიდგვარიანთა მოთხოვნით, მაგრამ თმოგვეში მისი შემცვლელი ჯერ დანიშნული არ იყო.

ვარძიის ღმრთისმშობლის ძალას სასწაულმოქმედად მიიჩნევდა აფრიდონის მეუღლე ხოშაქი, რომელიც თრიალეთში აშენებდა ეკლესიას „ვარძიისა ღმრთის მშობლის სამსახურად": „... მომმადლა ღმერთმან მე ხოშაქსა, ერისთავთ–ერისთავისა მსახურთ უხუცესის აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულსა, აღგებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთის მშობლის სამსახურად. ი (10- დ. ბ.) წლისა მკუდარი გამაცოცხლა ძლიერი დიდებაჲ მიბოძა. ესე მცირედი მსახურება მიძღვნია" (15. 51–52). წარწერა გაკეთებულია აფრიდონის ძლიერებისას ე. ი. ვარძიის ტაძრის მოხატვამდე. ამოტომ, შესაძლოა, მისი ცოლი ჯერ კიდევ ზემო ვარძიის, აფრიდონის მიერ მოხატულ ღმრთისმშობლის ეკლესიას გულისხმობდეს, რომელმაც ათი წლის ავადმყოფი („მკვდარი") განკურნა („გამაცოცხლა") და ძლერი დიდება მოუპოვა.

ქვემო ვარძიაში, გრანდიოზული სამუშაოს ჩატარება უკვე სახელოვანი სალოცავის გადმოტანას უფრო შეესატყვისებოდა. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური გამართლებაც უნდა ჰქონოდა გიორგი III-სა და თამარის ამ მნიშვნელოვან წამოწყებას: მოღალატე ქვეშევრდომებზე გამარჯვებულ საქართველოს ძლიერ მეფეებს ისიც აწუხებდათ ალბათ, რომ ზემი ვარძიის უკვე ცნობილი სალოცავი, სამეფო სახლის დაუძინებელი მტრის– ლიპარიტის მიერ იყო აგებული XI საუკუნეში. მისი ლამაზი წარწერა კი,ამ სალოცავის მთავარ შესასვლელს ამკობდა ქართველთა მეფის მოუხსენებლად. ნიშანდობლივია, რომ ვარძიის ღმრთისმშობელი ძველ წყაროებში ერთადერთია. უნდა ვიფიქროთ, ვარძიის დიდი ტაძრის აგება–მოხატვას ჯერ ძველი ჯვარ-ხატების გადმოტანა მოყვებოდა, შემდეგ –ზემო ვარძიის მონასტრის მოშლა, ეკლესია კი სოფელს შერჩებოდა. ვაჰანის ქვაბთა განგების XIVს-ის მინაწერიდან ჩანს, რომ ჩაისარ თმოგველის ქალს-გულქანს, ზედა ვარძიაში ნაყიდი მიწა ვაჰანის ქვაბთა ეკლესიისათვის შეუწირავს (19.47).

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, XV ს-ის 10-იან წლებში „შემდგომად მეფის კონსტანტინეს წილ დაჯდა მეფედ... ალექსანდრე. ამან მოიღო გუამი კონსტანტინესი და დაფლა ვარძია" (20. 278). ეს ცნობა სხვაგან არ მეორდება, შეუმოწმებელი რჩება იგი არქეოლოგიურადაც, საფლავის ქვა კი არსად გამოჩენილა. ეგების ეს იყო ანანაურის ეკლესიის კლდეში გაჭრილი სამარხი; იქაური მოხატულობის ერთი ნაწილი ხომ XV ს-ისაა, საკურთხეველში „საფლავთან ტირილის" კომპოზიციით...

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი იხსენიებდა ვარძიის სასწაულმოქმედ ჯვარს, რომელიც მისი სიტყვით, ცნობილი ყოფილა VII ს-დან. ჟამთააღმწერელთანაც გვაქვს ცნობა ვარძიის ღმრთისმშობლის პატიოსან ჯვარზე (16. 224, 301). დიმ. ბაქრაძის აზრით, ამ ჯვარზე უნდა საუბრობდეს ვახუშტი ბატონიშვილი, რომ მის დროს გელათში ყოფილა დასვენებული ხახულის ღმრთისმშობლის ხატი და ვარძიის ჯვარი (18.45; 20.753). მისი გადატანა იმერეთში, ალბათ, ჯავახეთში ვარძიის მონასტრის გაუქმებას უკავშირდება.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ციალა გაბაშვილი. ზედა ვარძია, თბ., 1985.
2. ე. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1959.
3. ქართლის ცხოვრება I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955.
4. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც. თბ. 1953.
5. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.II, თბ. 1983.
6. ლაპიდარული წარწერები II, ვ.სილოგავას გამოც. თბ. 1980.
7. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, თბ. 1984.
8. ილია აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.
9. ქართული ხალხური პოეზია II, თბ. 1973.
10. ქართული სამართლის ძეგლები III, ის. დოლიძის გამოც. თბ. 1970.
11. საქართველოს სიძველენი III, ექვთ. თაყაიშვილის გამოც. ტფ. 1913.
12. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, თბ. 1958.
13. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული I, თბ. 1966.
14. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ნ. ნათაძის გამოც. თბ. 1986.
15. Известия Кавказского отделения императорского Масковского археологического общество вып. III, 1913.
16. ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959.
17. დ. ბერძენიშვილი. ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა, „ძეგლის მეგობარი"2, თბ. 1988.
18. Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Тиф. 1875.
19. თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰხანის ქვაბთა, თბ. 1896.
20. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1973.

# II. ისტორიული გეოგრაფიის საკითხები



ღეკ-ციხე

## ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი*

ციხე—საქართველოს რელიეფის მშვენება, პირველ რიგში, მაინც მისი ისტორიის განუყოფელი, ორგანული ნაწილია.

თავისი ბუნებრივი და ისტორიული პირობების გამო, ჩვენი ქვეყანა ციხეთა განსაკუთრებული სიმრავლით ხასიათდება, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ორი ათას წელს აღემატება. ქართველი კაცის მიერ შექმნილ ამ ნაგებობებში არა მარტო ციხის ლამაზი,მუქი სილუეტი მოჩანს, ან მისი ამგების ბუნება;—აქ იხატება წარსული საზოგადოების ძლიერებაც და შიშიც, იმედი და შემოგარენზე გაბატონებით გულდამშვიდება. სპეციალურად გამახვილებული თვალი იმასაც ამჩნევს, რომ „ციხეში წარმოდგენილია საზოგადოების არა მარტო ტექნიკური განვითარების მომენტები

*დაიბეჭდა 1968 წ, „ძეგლის მეგობარი" 14.

არა მარტო ქეისა და შურდულის ან შუბისა და მშვილდისრის, არა მარტო ფილაკევანისა და თოფ–ზარბაზნის ხანა, არამედ... თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარების სოციალური მომენტები. რიდის და ვის ემსახურებოდა ციხე, ვის დაცვას, ვის ბატონობას, ან ვის დამონებას ქცულისხმობდა ეს ნაგებობა" (1. 257).

თავდაპირველი საწყისით, ციხე მტრისაგან თავდასაცავი საშუალება იყო, გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომ მისი უძველესი მთავარი პირობა მიუვალობა იყო. ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი. ამის გამოა, რომ წინაქრისტიანული ხანის ასეთი ნაგებობანი, ისევე როგორც ადრე და განვითარებული შუასაუკუნეებისა, ამ მოთხოვნას ძირითადად აკმაყოფილებდნენ.

უკვე წინაქრისტიანული ხანის სიმაგრეებსაც ეტყობათ, რომ მიუვალობის გარდა, მათ შემქმნელებს სტრატეგიულად საინტერესო ადგილები აურჩევიათ: ქედზე გადასასვლელი, გზისპირი, ხეობის ყელი...

ადრე შუა საუკუნეების დასაწყისიდანვე, საქართველოს ტერიტორიაზე უცებ მრავლდება ცალკეულ ხევებში აღმოცენებული, რელიგიური, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური ცენტრების რიცხვი. ამას თან ახლავს შუა საუკუნეების ციხეთა გაძლიერებული მშენებლობა. თითქმის არ რჩება უციხო ხევი, ზოგან კი ის რამდენიმეა.

შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე იგებოდა არაერთი ახალი ციხე. რა თქმა უნდა, ცდილობდნენ უკვე არსებულის შეკეთებას, შენარჩუნებას, მაგრამ ყოველ დროს თავისი მოთხოვნილება ქქონდა და ამიტომ ძველი ნაგებობა მუდამ როდი პასუხობდა ახალი დროის შეცვლილ პირობებს (2. 179). იქმნებოდა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია, სოციალური პირობები, გადიოდა ახალი გზა და თუ რომელიმე ამათგანს ძველი ციხე არ ადგებოდა, ის ყრუვდებოდა, შენდებოდა ახალი.

ციხისთვის ადგილის შერჩევას საქართველოში მრავალი მიზეზი განაპირობებდა. ეს იყო რელიეფის, ეკონომიკური დარაიონების სხვადასხვაობა, უძველეს ტომთა, თუ ადმინისტრაციულ ერთეულთა განლაგება და სხვა. არაერთი ძველი ციხე სწორედ ამ ტომთა საზღვრებზე ჩანს, მთისა და ბარის საზღვრადაც მრავალი ასეთი ნაგებობაა აღმართული, მაგრამ თითქმის ყველგან და ყოველთვის შუა საუკუნეთა ციხე,

გზისაგან განუყრელია, მის „კარში", „ყელში", თუ უღელტეხილზე დგას.

ადრე შუა საუკუნეების „ხერთვისებში" (ორი მდინარის შესაყარში) აგებული ციხეები მარტო იმიტომ კი არ შენდებოდნენ აქ, რომ ორი მხრიდან მდინარით იყვნენ მოზღუდულ—მიუვალნი, არამედ იმიტომაც, რომ ამ ორ მდინარეს ორი გზა მოჰყვებოდა, ე.ი. აქ გზასაყარიც იყო (ხერთვისი, სამშვილდე, დმანისი, ლორე და სხვა.).

თუნდ ეს „ხერთვისიც" ადრე შუა საუკუნეთა ეპოქის აღმოჩენა როდია: თვით ბეშთაშენის „ციკლოპური" ნაგებობანი ენეოლითური ხანისა, სწორედ ასეთ „ხერთვისშია" აგებული, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო მოგვიანო ხანის „შესაყარზე" ზურტაკეტში (ასე ჰქვია მას ვახუშტის რუკაზე); ან ლოქის წყალ—ფოლადაურის „ჩათახ-ში" (თურქულენოვან მოსახლეობაში „ხერთვისს" ნიშნავს), სადაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სიმაგრეა დამოწმებული (3. 6).

თრიალეთიდან წამოსულ ხევებს გავაყოლოთ თვალი და ვნახავთ, რომ ყოველი ხეობით მიმავალ გზას, ზეგანზე ასვლისას, ძველი ციხე ჰკეტავს: ასთებია დეკ—ციხე—თეძმის ზემო წელზე, ცხირეთი და კლდეკარი, თავკავთის ციხე (კავთურას ხეობა), მუსის ციხე (მაშავერა), მოდამნახე, კლდეისი (ქცია) და სხვები.

სწორედ თრიალეთის ზეგანზე, მანგლისის ხეობით მიმავალ გზებზეა გოხნარისა და ბედენის წინაქრისტიანული ხანის ლოდოვანებიც...

როგორც ვხედავთ, ყოველი დროის მნიშვნელოვან გზას ციხე ახლავს. მაგრამ ადრე შუა საუკუნეებში ეს უბრალო დამთხვევა კი არ იყო, არამედ იმ სოციალური ვითარების ანარეკლი, რომელიც ქვეყნის შიგნით მომხდარ ძვრებს განაპირობებდა. „საერთოდ, ციხე ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისაკენ ეწეოდა: ამა თუ იმ ციხის „შემავალ" ქვეყანაში გამვლელი, რასაკვირველია გვერდს ვერ აუქცევდა ამ ციხეს, ხოლო მთელი საქართველო ხომ გარკვეულ დროს ასეთი საციხისთაო ტერიტორიული ერთეულე-ბისაგან შედგებოდა" (1. 326).

ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების, საქართველოს ციხეთა უმრავლესობას, ზედ ეკრა მეტ-ნაკლები სიდიდის სოფელი. აქ ცხოვრობდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც

ციხეში მჯდარი ფეოდალისა, მისი ამალისა, თუ ციხის ყოველ პირველ საჭიროებას აკმაყოფილებდა სურსათ–სანოვაგით, ციხეზე მუშაობით, თუ სამხედრო ძალით, ასეთ დასახლებებს „ციხის სოფლები" ერქვა. აქედან შემოვიდა შემდეგ, ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებული სოფლის სახელიც – „ციხისძირი." ამ მხრივ საინტერესოა სახელი „მოჯალაბეები" მცირე დასახლებას რომ ჰქვია რაჭაში, მინდაციხის ძირში.

ციხის აგება უსათუოდ ნიშნავდა გარკვეული „ქვეყნის" დაპატრონებას, იქ მცხოვრებლებზე გაბატონებას. ამის მოწმობაა „ქართლის ცხოვრების" ჩვენებანი პირველ ქართლოსიან მეფეებზე, რომელთაგან თითქმის ყველა ციხისა, თუ ციხე-ქალაქის აგებით იწყებს თავის მოღვაწეობას (5. 8–9).

„ძეგლი ერისთავთა"-ს მიხედვით, დვალთა მიერ მოწვეულმა როსტომ ბიბილურმა, მოსვლისთანავე ციხის შენება იწყო. ეს არ მოეწონათ ადგილობრივებს: მათ კაცი სურდათ, რომელიც პატივით იპყრობდა მოსახლეობას და არა მძლავრობით,ციხის აგებით კი, როსტომი უმოკლეს ხანაში დაეუფლება ჩვენს ქვეყანასო (6. 102).

მიწებს, რომლებზედაც ციხე გაბატონდებოდა, ციხის „შესავალი ქვეყანა" ეწოდებოდა: ციხის გამგებელს – ციხისთავი ერქვა, რომელიც საციხისთავოში შემოსულ სოფლებსაც განაგებდა. აქაურ მოსახლეობას ყოველგვარი „სათხოვარი", ამ ციხისა, თუ მისი უფლისადმი მოეთხოვებოდა, „სამსახურებელი ციხეთა" სრულდებოდა მუშაობით, გადაიხდებოდა ნატურით...

საციხისთავო ტერიტორიული ერთეული სხვადასხვაგვარი იყო. იგი ზოგჯერ ხეობის ნაწილს მოიცავდა, ზოგჯერ მთელ ხეობას, ზოგან კი, ერთი ხეობის საზღვრებსაც სცილდებოდა. ეს დამოკიდებული იყო არა მარტო ფიზიკურ – გეოგრაფიულ გარემოზე, არამედ ეკონომიკურ – გეოგრაფიულზედაც. შესაძლოა რომელიმე ხევს არ ჰქონდა საზაფხულო საძოვარი, ან სარწყავი წყალი, ან გზა სხვა „ქვეყნებთან" დასაკავშირებლად ან ტყე, ან სახიზარი... ამათ მოსაპოვებლად, ამ ხეობის მოსახლეობა მეზობელ ხევებს მიმართავდა – მათი საძოვრით, წყლით, გზით ისარგებლებდა... ასეთ შემთხვევაში პირველი ხევის სოფლებს, მეზობელი ციხისა, თუ მისი „უფლის" სათხოვარი შეეწერებოდა. ჩამოთვლილ, და სხვა ფაქტორთა, მუდმივი დანაკლისი იწვევდა იმას, რომ ორი ეს მეზობელი ხევი შესაძლოა ერთ საციხისთავოში

გაერთიანებულიყო. მაგ.: ატენის ციხის სათხოვარი, ხოვლის ხეობის სოფლებს რომ აწერიათ მოწმობს, რომ ეს ხევიც ატენის ციხის „შესავალი ქვეყანაა"–სწორედ ზემოჩამოთვლილ საშუალებათა ნაკლებობის გამო (7. 27).

უკვე შუა საუკუნეებში, ციხისთავი თავისი მდგომარეობით ძალიან დაწინაურებული ჩანს. იგი საუკეთესო მამულებს ფლობს და ერთ–ერთი პირველთაგანია ირგვლივ მყოფ დიდებულთა და აზნაურთა შორის. „ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს, რომ ცხრაზმისხეველნი შეპირდნენ როსტომ ბიბილურს ყოველი სურვილის შესრულებას. სხვა პატივთან ერთად მას მოუთხოვია „შუა ცხრაზმის ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი" მერე კი ციხის შენებას შესდგომია (6. 103).

ციხისთავის მდგომარეობა შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ადრეულ ხანაში ქალაქის ციხისთავი, ამავე დროს ქალაქის თავიც იყო, მოქალაქეთა ბჭე და მაზავებელი.

„ევსტაითი მცხეთელის მარტვილობაში", მცხეთელი ხელოსნები აქაურ ციხისთავს ეუბნებიან: „ამას ქალაქსა შინა ჰელმწიფე ხარ"...(8. 31). მაგრამ ასე არ იყო მუდამ. მაგალითად XI ს-ში, ატენის ციხისთავი გორგანელი, მეფის მოხელე ერისთავის – მირიან თარხონის ძის ყმაა, თუმცა მასთან ერთად მონაწილეობს ატენის ქალაქის აშენებაში.

ციხისთავს პირადად ექვემდებარებოდნენ „ციხოვანნი" – ე.ი. ციხის მცველნი. განვითარებულ შუა საუკუნეებში, როგორც საერისთავო სარგო იყო დაწესებული, ისევე „საციხისთავო" გადასახადი არსებობდა –საგანგებოდ ციხისთავისთვის (9. 208). თანდათან ციხისთავის უფლება–მოვალეობანი იცვლებოდა და XVI ს-ში იხსენიება „ქუთაისისა ციხისთავთ–ციხისთავი" (6. 189).

ციხეები ისევე, როგორც მათი „შესავალი ქვეყნებიც", მეტ-ნაკლები სიდიდისა და მნიშვნელობისა იყო. სხვადასხვა დროს თავისი სტრატეგიული მდებარეობით და სიძლიერით, რომელიმე მათგანი მეტ გავლენას იხვეჭდა და ბატონობდა სხვებზე. ეს ბუნებრივად იწვევდა იმას, რომ აღებული მხარის უმნიშვნელოვანეს ციხეს, უფრო ძლიერი ხელისუფალი ეპატრონებოდა, რომელიც დაქვემდებარებულ ციხეებში მჯდომ ციხისთავებს განაგებდა. ასეთი ციხეები იყო ქვემო ქართლში–სამშვილდე. კახეთში–ბოჭორმა, შიდა ქართლში–უფლისციხე, აფხაზეთში–ანაკოფია.. ამიტომაცაა რომ

სამშვილდესა და ბოჭორმას წყაროები უწოდებენ კიდევ „დედა–ციხე"-საც, „უფლისციხე"–თავისთავად მეტყველია, „მატიანე ქართლისას" ცნობით კი, ანაკოფია ყოფილა „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა"; ქსნის ხეობაშიც ყოფილა „თავადი ციხე ქვენიფნევს" (5. 317; 6. 115).

ერთი მაგალითი ნათქვამის საილუსტრაციოდ: დავითის ისტორიკოსი აგვიწერს, რომ მთელი ქვემო ქართლი თურქებს ეპყრათ. აქაურ ყველა ციხეში თურქები იდგნენ. 1110 წ. ქართველებმა მოულოდნელად სამშვილდე აიღეს. „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი... დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნეს", მიატოვეს ყველაფერი და გაიქცნენო (5. 331–2). ეს იმიტომ, რომ სამშვილდე იყო ქვემო ქართლის უძლიერესი ციხე და აქვე უნდა მჯდარიყო თურქების მხედართუფროსიც.

უფრო ადრე XI ს-ში, როცა ქვემო ქართლი მისი ციხეებით სომხებს ეჭირათ და სამშვილდეში ტაშირელი კვირიკიანი მეფე იჯდა, ბაგრატ IV–სათვის საკმარისი გახდა სამშვილდის აღება, რომ სომხები მაშინვე დანებებულიყვნენ... (5. 307).

საქართველოს მრავალრიცხოვან ციხეებს აგებულების დიდი სხვადასხვაობა ახასიათებთ; ეს ძირითადად მათი დანიშნულების მრავალგვარობით აიხსნება. ამას ემატება კიდევ ცალკეულ მხარეთა თავისებურებანი, მშენებლობის ტრადიციები, რომელიც მხოლოდ იქაა და სხვაგან არ გვხვდება, კონკრეტული გარემოც თავის კვალს სტოვებს... მიუხედავად ამისა, ციხეთა აღნაგობაზე მსჯელობით, ცალკეული ტიპების გამოყოფით, შუა საუკუნეების სხვადასხვა ეპოქის ყველაზე დამახასიათებელ საკითხებს ვადგებით.

შემჩნეულია მაგალითად, რომ ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ციხეთა უმრავლესობა საქართველოში, აგებულია მაღალ მთასა, ან ციცაბო კლდეზე, სადაც უადგილობის გამო, შედარებით მცირე ფართობია მოზღუდული, სამაგიეროდ ნაგებობა სიმაღლეშია წასული; ის ხანგრძლივ ცხოვრებასაც გულისხმობს.

სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა გვიანი შუა საუკუნეების ხანაში, როდესაც ციხეებიცა და გალავნებიც იგება ადვილად მისასვლელ ადგილებში, თან ისეთი მოცულობისა, რომელიც თავისუფლად დაიტევდა ირგვლივ მყოფ მთელ მოსახლეობას მტრის შემოსევის დროს (1. 41–42; 2. 175).

ესაა ყველაზე თვალში საცემი და თან პრინციპული განსხვავება, რომელსაც შუა საუკუნეთა სხვადასხვა პერიოდები ქმნიან. რაკი ციხე გარკვეულ ქვეყანაზე ბატონობდა და იქ იჯდა მისი „უფალი", ამიტომ მტრისთვის (შინაური, გარეული), რომელსაც ამ ერთეულის დაპყრობა სურდა, აუცილებელი იყო, პირველ ყოვლისა, ციხე და იქ შეფარებული „უფალი" ჩაეგდო ხელში. სანამ ეს უკანასკნელი უვნებლად იჯდა თავის სიმაგრეში, თუნდაც ქვეყანა მტერს აეკლო, აქაური მოსახლეობა სხვას არავის სცნობდა ბატონად, მას არ შეეძლო ორი ბატონის ყმობა. მხოლოდ მისი „უფლის" დამარცხება – შეპყრობის მერე ემორჩილება მტერს ამა თუ იმ „ციხის შესავალი ქვეყნის" მოსახლეობა, ემორჩილება იმას, ვინც მის ციხეში დამკვიდრდება

ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ციხე სულ უფრო მიუვალ ადგილზე შენდება, ეგუება ადგილის სივიწროვეს, სადაც ვეღარ მოთავსდება მისი დაცვის ყველა მსურველი, ე.ი. მათი საჭიროება ამ შემთხვევაში აღარაა, მთავარია ციხის მფლობელი და მისი უახლოესი წრე იყოს უვნებელი. ციხის გარეთ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი იხიზნება დარან – გამოქვაბულებში, მიაშურებს ტყეს და მთას...

იგივე ითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მისი ერთიანობის ხანაში, როდესაც მტერი ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძვის უმეტესწილად ხარკისა და პოლიტიკური გავლენისათვის.

გვიანი შუა საუკუნეების ხანაში საქართველო ერთიანი აღარაა. ცალკე საფეოდალო ქვეყნებად დანაწილებულს თავდასაცავი საშუალებანიც განსხვავებული უხდება. ყოველი მხრიდან მტერია მომდგარი, რომელიც თითქმის განუწყვეტლივ ესხმის თავს. ამას ემატება ლეკიანობაც... ეს ისეთი დროა, როცა მოთარეშე მტერი მოულოდნელად ხან აქ გაჩნდება, ხან იქ. რაკი ცენტრლური ხელისუფლება სუსტია, მტრის მიზანია ახლა რაც შეიძლება მეტი ნადავლი, მოსახლეობის მასიური გადასახლება, თუ ტყვეთა სყიდვა, ახლა ამა თუ იმ ქვეყნის პატრონის შეპყრობა მტრისთვის უპირველესი მიზანი აღარაა.

ყველა ზემოთქმული ქმნის პირობებს იმისა, რომ ფეოდალები თავის ციხე–დარბაზებს დასახლებულ ადგილებში აგებენ, თან მოსახლეობას, რომლის ფიზიკური მოსპობის საკითხი დგას, ეხმარებიან გალავნების მშენებლობაში, სადაც სწრაფად იხიზნება არა მარტო მთელი ხალხი, არამედ მათი ქონებაც (2. 175).

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების ციხეთა მშენებლობაში, აღწერილს გარდა შეინიშნება სხვა ტიპიც: ესაა მოზრდილი ციხეები, რომელთაც შედარებით ფართო ტერიტორია უჭირავთ. რა თქმა უნდა, თუ იყო ამის საშუალება, არჩევდნენ შეძლებისდაგვარად მიუვალ ადგილს, ზოგან კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუნქტებში (გზასაყარი და სხვა). ციხის მიუვალობას კედლების სისქით და მის დამცველთა მომატებული რიცხვით სცვლიდნენ. ამ ციხეებში აშკარად გამოიყოფა ციტადელი, რომელსაც გაბატონებული ადგილი უჭირავს და გალავანი, კოშკებით, ან ბურჯებით გამაგრებული, რომელიც ზღუდავს სამეურნეო, თუ საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსს. ხშირად აქვეა პატარა ეკლესიაც.

აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს რეზიდენციასთან რომელიმე ქვეყნის „უფლისა", რომელსაც შედარებით მრავალრიცხოვანი მსახურნი და „ერი" ჰყავს. მშვიდობიანობის დროს არაა აუცილებელი ყველამ იქ იცხოვროს, შიშიანობის დროს კი, აქ მოსახლე ფეოდალთან, მის გალავანს აფარებენ თავს სხვებიც.

შესანიშნავია ამ მხრივ ცხირეთის ციხის (თეძმის ხეობაში) აგების ამბავი, აზნაურის მიერ პირველ პირში მოთხრობილი: „დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გებაა, დავდგი ჰვევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით; და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხევერელთა ჰქონდეს. დაიდე ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი" (6. 4).

აქედან კარგად ჩანს ციხის შემადგენელი ნაწილები-კოშკი და სახიზნო. კოშკი ხანგრძლივ საცხოვრებელია, სახიზნო დროებითი. ამ ციხის გეგმარება ტიპიურადაა მიჩნეული IX-X საუკუნეთათვის (10). აღნიშნული პერიოდის ასეთი ციხეების გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე შუა საუკუნეებში, საქართველოს ზოგიერთ სოფელს აზნაურის რეზიდენციასთან ჰქონია სახიზნო. არაა აუცილებელი, რომ გვიანი შუა საუკუნეების ციხე-გალავნების მსგავსად აქ დახიზნულიყო მთელი მოსახლეობა. ამას არ მოწმობს ამ ძველ ციხეთა არც რაოდენობა და არც ზომები. დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ ნაგებობათა ფართობს განსაზღვრავდა ფეოდალის „კარის ერმრავლობა", რომელიც ანაზღაურებდა მიუვალობის დანაკლისს. საქართველოს ერთიანობა-ძლიერების ხანაში, ზემოთ არწერილი ტიპის ციხეთა განვითარებამ, ზოგ შემთხვევაში მოგვცა ნამდვილი ფეოდალური ციხე-დარბაზი (10), ზოგან კი ის, ძველებურად, ციხე-კოშკად დარჩა.

ახლა ორიოდე სიტყვა ნაკლებად ცნობილ ზოგიერთ ციხეზე, რომლებიც ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა.

სახელი დეკ-ციხე პირველად ტოპონიმიის ჩაწერის დროს გავიგონეთ, თეძმის ზემო წყლის დაზვერვებისას, მთაარ-გვითხრეს. თრიალეთის ქედის ერთ-ერთი კლდოვანი მწვერვალი, თითქმის სრულიად გამოყოფილი, მნიშვნელოვნად შემოჭრილა თეძმის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე. თხემზე, რელიეფთან შეგუებით, ოთკუთხა ციხე აღმართულა. მის მიერ მოზღუდული ფართობია დაახლოებით 20 მ X 25 მ. აქაა ერთი კოშკის ნანგრევი. მოჩანს თონე. ამოუშენებიათ წყლის 3 რეზერვუარი და ამოულესიათ. ციხე ნაგებია ნაგლეჯი, ადგილობრივი კლდის ქვით, შეძლებისდაგვარად თარაზული წყობაა დაცული. თხემზე მოსასვლელი ყოველი შესაძლებლობა გადაღობილია ცალკეული კედლებით. ცხადია, ამ ციხის მთავარი ძალა-უსაშველო მიუვალობაა.

მთის ძირში დიდი ნასოფლარია, დარბაზული ეკლესიის მოზრდილი ნანგრევით. ეს საინტერესო კომპლექსი, ჩამოზვავებულ მიწაშია სანახევროდ ჩაფლული.

აქვე ადის თრიალეთს მიმავალი გზა (მით სარგებლობენ დღესაც) ტანისხევიდან, თეძმისხევიდან. მის მნიშვნელობაზე, ნათლად მეტყველებს ნახიდურები თეძამზე და აქაური ტოპონიმიაც: სავანეთი, ნადარბაზევი, ბოგირი.

დეკ-ციხე იშეიათად გვხვდება ქართულ წყაროებში. ვახუშტი ამ ადგილას ახსენებს დედა-ციხეს, რომლის აღწერა სწორედ ჩვენს მიერ აღმოჩენილს ემთხვევა. ისევ „დედა-ციხე"... სრულებითაც არაა გამორიცხული აქაც ისეთივე ხედწოდებასთან გვქონდეს საქმე, როგორც სამშვილდისა და ბოჭორმის შემთხვევებშია. იყო კი იგი ამ მნიშვნელობის ციხე? –ჩანს იყო. VII ს–ის სომხური გეოგრაფია, რომელიც თანმიმდევრულად ჩამოთელის საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, ასახელებს „ტანისხევს, რომლის თავშია დეკიციხე". ტანისხევში აქ იგულისხმება თეძამ-ატენის ხეობანი და მათ შორის მყოფი ტერიტორია.

გამოდის რომ, VII ს-ში (და უფრო ადრეც), დეკ-ციხე ისეთი მნიშვნელობისაა ქართლში, რომ მისი ხსენება საჭიროდ უცვნია სომეხ გეოგრაფს (ასეთი შემთხვევა მასთან კიდევ ორია.)

ცნობილია აღმ. საქართველოსათვის თრიალეთის სასიცოცხლო მნიშვნელობა: ესაა მისი აუცილებელი საზაფხულო

საძოვარი, ესაა მთავარი გზასაყარი, საიდანაც წახვალ ყოველი მიმართულებით. სწორედ თრიალეთს მიმავალ ერთ–ერთ უმოკლეს გზას კეტავდა დეკ-ციხეც. იგი კლდე-კარის მნიშვნელობის ციხე იყო, ოღონდ სომხურ გეოგრაფიაში ნახსენები ერთეულის-ტანისხევის უფლის საგამგეო, რომლის მეშვეობითაც ეს ბარელი ფეოდალი თრიალეთსაც უწევდა კონტროლს.

IX ს-ში კლდეკარის აგებით ლიპარიტ ბაღვაში თრიალეთის ერისთავი ხდება. ამის მერე ეცემა სწორედ დეკ-ციხის მნიშვნელობაც, იგი ყრუვდება სამუდამოდ (აქ სხვა სამშენებლო ფენა აღარ ჩანს) და ახლა უკვე ბაღვაშები იმორჩილებენ ტანისხევსაც (7).

დეკ-ციხისაგან განსხვავებით, ოფრეთის ციხე ადრეული შუა საუკუნეების ციხეთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც შედარებით ადვილმისადგომია, სამაგიეროდ აქ დიდი ფართობია მოზღუდული ძლიერი კედლებით, რომლებშიც მრგვალი კოშკებია დატანებული. ზღუდის შიგნით არის ნაგებობათა მთელი კომპლექსი. აქვეა ადრე შუა საუკუნეების პატარა ეკლესია ნალისებური აფსიდით... ციხე ნაგებია საშუალო ზომის კვადრების თარაზული წყობით, კირხსნარზე.



ოფრეთი

ციხე მდებარეობს შულავრისხევის ზემო წელზე, მის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ოფრეთის–სამხრ–აღმ. მხარეს, ადგილობრივნი ჩახლა-ბერდს უძახიან. თავისი გეგმით, აღნაგობით, ესაა ნამდვილი რეზიდენცია, ხანგრძლივად სადგომი აქაური „უფლისა". ის უეჭველია ციტადელში იდგა, რომელიც აშკარად ბატონობს ციხის სხვა ნაწილებზე, ციხის გარეთ ნასოფლარია ხევის პირზე, რომლის სუფთა წყალს ალბათ სასმელად ხმარობდნენ მეციხოვნენი.

ოფრეთის ციხეც გზასაყარზე დგას. აქ იკრიბება წოფის, შულავრის, ტალავერის, მანსუტის ხევებიდან ამოსული გზები, მათ უერთდება ფოლადაურის ხეობაში გარდამავალი გზაც, შემდეგ „მგლის კარის" უღელტეხილით გადახვალთ ტაშირში. ე.ი. ესაა სტრატეგიულად ძალიან ხელსაყრელი პუნქტი, რომელსაც ადრევე მიუქცევია ყურადღება. აქვე მახლობლად არის ცნობილი მონასტერი ხორაკერტისა.

ოფრეთის ციხეს, ყველაზე პირველად იხსენიებს სომეხი ისტორიკოსი X ს-ისა უხტანესი. მისი აზრით, ამ ციხეში იყო დამწყვდეული შუშანიკ დედოფალი, V ს-ის ქართლის პიტიახშის-ვარსქენის მეუღლე (3. 26). ჩანს X ს-ში, ეს იმდენად განთქმული ციხე ყოფილა, რომ შუშანიკთან მის დაკავშირებას, ავტორს მაშინდელი მკითხველი დაუჯერებდა. აქვე ჩანს უხტანესის წარმოდგენა ციხის ხნოვანებაზე...

შემდეგ ოფრეთის ციხეს ასახელებს „მატიანე ქართლისა" XI ს-ის ამბებთან დაკავშირებით. იგი ეჭირა სომეხთა მეფის-კვირიკეს ძმას, სუმბატს, როდესაც ბაგრატ IV-მ ორივე ძმა შეიპყრო, განთავისუფლების საფასურად, ისინი სხვა ციხე-ებთან ერთად ოფრეთსაც სთავაზობენ ქართველთა მეფეს (3. 73).

გვიანი შუა საუკუნეების ხანის ნაკვალევი ამ ციხეს არ ეტყობა და არც ამ ხანის წყაროებში გვხვდება მისი ხსენება.

ლოქის ციხე, ამავე სახელწოდების ქედზეა წამომდგარი. ეს ქედი ლალვარის მთის გაგრძელებაა და ტაშირს გამოჰყოფს დმანისხევისაგან. იგი საკმაოდ მაღალია და კარგ ამინდში ძალიან შორიდანაც თავისუფლად მოჩანს ქედზე მეჭეჭივით წამოზრდილი კლდოვანი ბორცვი. იგი ყოველი მხრიდან მიუვალია და კლდის ნაპრალები კედლებითაა ამოვსებული. ბუნებრივი მიუვალობა აქ კარგად გამოუყენებიათ: თხემს ყველგან არც აქვს კედელი. იგი იქ ამოუყვანიათ საიდანაც უფრო ადვილი ყოფილა მიდგომა. კედელთან სამი, თუ ოთხი კოშკი ამოუშენებიათ ოთკუთხა

ფორმისა. ციხეში შემოსასვლელთან პაწია ეკლესიაა, რომელშიც ადრე შუა საუკუნეების სტელის ნატეხია დატოვებული ზედ „ბოლნური მედალიონით". ციხე ნაგებია მოყვითალო, ადგილობრივი კლდის თანაბარი კვადრებით კირზე, დაცულია ჰორიზონტალური წყობა.



ლოქი

თავისი მდებარეობით იგი ძალიან წააგავს კლდე-კარის ციხეს. აქვე მართლაც კლდეკარია გაჭრილი, რომლითაც ტაშირში გადადის გზა. ამ უღელტეხილზე მოდის გზები მაშავერისა და ფოლადაურის მდინარეთა აუზებიდან. კლდე-კარის ციხეს წააგავს იგი იმითაც, რომ ის ზეგანის ბატონის ციხეა, ტაშირის მფლობელისა. შემოსასვლელიც იმ მხრიდან აქვს და გადმოსცქერის ბოლნის-დმანისის ხეობებს. კარგ ამინდში აქედან მარნეულიც კი მოჩანს.

ლოქის ციხე იხსენიება „მატიანე ქართლისა"-ს ზემოხსენებულ ამბებში. XI ს-ში, როცა ქვემო ქართლი სომხებს ეკავათ, აქ იჯდა სომეხთა მეფის ერისთავი. იგი უნდა ყოფილიყო

მბრძანებელი ამ ქედისა და მისგან ჩამოსული ხევების ზემო წელისაც. რომ ასეთი საბრძანებელი ერთეული შესაძლოა ადრეც ყოფილიყო, ამის გვაფიქრებინებს გვიანი შუა საუკუნეების ხანის საბუთებში დამოწმებული ფაქტები და ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა"-ს დართული სოფლების სია, სადაც ჩანს ტერიტორიული ერთეული ლოქი, თავისი ცხრა სოფლით (11. 193).

ყველა აღწერილი ციხისაგან განსხვავებით, ჭაპალა XVIII ს-შიც მოქმედი ციხეა. იგი მაშავერის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. გოჩულოსთან, იქ სადაც იწყება მაშავერ-ქციის გაშლილი ველი. ყოველმხრივ იზოლირებულ, კლდოვან დიდ ბორცვზე აუშენებიათ იგი, თან მაქსიმალურად გამოუყენებიათ თხემის საკმაოდ ვრცელი ფართობი. ყველაზე მაღალ ადგილაას ციტადელია, ბურჯებითა და კოშკებით გამაგრებული გალავნის შიგნით. სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები ჩანს. კლდეში სამი უზარმაზარი ორმოა ამოჭრილი წყლის შესანახად. ციხის კედლების წყობა, ძალიან წააგავს თბილისის ნარიყალას კედლებს, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნება. ესაა „ფარდაგულად" ნაგები ქვისა და აგურის ნარევი ბათქაშზე.



ჭაპალა

ანაკრეფ მასალაში უმეტესად იმავე ხანის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები გვხვდება, მაგრამ არის უფრო ძველი ფრაგმენტებიც. ციხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ძალიან დიდი ნასოფლარია სამი ეკლესიის ნაშთით.

ჭაპალას იხსენიებს ვახუშტი, გიულდენშტედტი, სეხნია ჩხეიძე... ქართული საბუთების მიხედვით იგი სოლოღაშვილების სამკვიდროა. ამ საბუთებით ჩანს, რომ ჭაპალაში ყოფილა ციხე, სასახლე, წისქვილი, ვენახი ქვევრ-მარანი. ციხის მნიშვნელობას ზრდიდა გზები აქ რომ გადიოდა, ამ მხრივ აღსანიშნავია, ხიდები მაშავერაზე, რომლებიც სწორედ ციხის მიდამოებში გვხვდება. სახელწოდება „ჭაპალა" გვიანდელია, ციხე კი აქ უფრო ადრე ყოფილა, ე.ი. მას სხვა სახელი ჰქონია. ირკვევა, რომ ესაა ქართულ და სომხურ წყაროებში კარგად ცნობილი ქაოზიანი–ქავაზინი, სამეფო ციხე, რომელიც შემდეგ ვარამ გაგელის გამგებლობაში შევიდა (3. 44).

ამგვარს, და კიდევ ბევრ საინტერესო საკითხებს აყენებენ საქართველოს, კერძოდ კი, ქვემო ქართლის ციხეები, რომელთა გათხრა და შესწავლა არაერთ საინტერესო ეპიზოდს აამეტყველებს ჩვენი ისტორიისას.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, 1964 წ.

2. П. Закарaня. Некоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX A და XX,-в 1957.

3. დ. ბერძენიშვილი. ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II, 1964 წ. თბილისი.

4. ნ. ბერძენიშვილი. დასახ ნაშრომი.

5. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ. I, თბ. 1955 წ.

6. ქართული სამართლის ძეგლები. ის. დოლიძის რედ. II თბ. 1966 წ.

7. დ. ბერძენიშვილი. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები თეძმის, ხოვლისა და ატენის ხეობებში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეც. მუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები, თბ. 1962 წ.

8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ. 1964 წ.

9. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I 1919 წ.

10. ვ. ცინცაძე. საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში, ქართული ხელოვნება, 4, 1955 წ.

11. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბ. 1941.

# ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან*

წერილობით წყაროებსა და ეპიგრაფიკაში, VIII-X სს ქვემო ქართლს რომ ეხება, გვაქვს შემთხვევები აქაური მამფლების მოხსენიებისა. გვარამ მამფალსო–მოგვითხრობს „მატიანე ქართლისა", „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი... ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თჳსთა ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თჳსსა სომეხთა მეფესა" (1. 257).

სამშვილდის სიონის წარწერაში (777 წ) მოხსენიებულნი არიან ვარაზ-ბაკურ და იოვანე „ნათესავით პიტიახშნი". აქვე გადარჩენილი ერთი ასო „მ" ავარაუდებინებს წარწერის გამომცემელს, ლ. მუსხელიშვილს, ტიტულ „მამფალს" (2. 91-92). ბოლნისის სიონის სამხრეთის შესასვლელის წარწერაში, რომელიც IX ს-ით თარიღდება, იხსენიება ელია ბოლნელი ეპისკოპოსი, „დავით მამფალი და შვილნი მათნი და აბულ მამფალი". აქ ეს ტიტული მოცემულია დაქარაგმებულად– „მფ-ა" (3. 340).

ტაშირის მამფალი გვხვდება სომეხ ისტორიკოს სტეფანოს ტარონელთან; მის ისტორიაში ნათქვამია, რომ X ს. გაგის მთავარი, დემეტრე მარზპანი ქართველებს მიემხრო, მიატოვა მამაპაპეული რჯული, ქართველად მოინათლა და თავისი შვილი ტაშირის მამფლად დასვა ჰეჲნევანში (4. 256–7).

ესაა ის ცნობები, საიდანაც გამომდინარე შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ ამდროინდელ ქვემო ქართლში მამფლებად წოდებული ქართველი ხელისუფლები ჩანან.

ამ მოვლენაზე ყურადღება გამახვილებული აქვს პ. ინგოროყვას, რომლის აზრით, **IX ს-ის „სამამლფო" იგივეა, რაც ძველი იბერიის „საპიტიახშო"** და გვარამ მამფალი, რომელიც იყო მმართველი ქვემო ქართლისა და ჯავახეთ–არტაანისა, ძველი იბერიის ქვემო ქართლის საპატიახშოს ადგილზე ზის (5. 72).

„მამფალ"–„პიტიახშის" ტიტულთა მნიშვნელობის იგივეობას იქვე ავტორი ამაგრებს შენიშვნით სქოლიოში: „**სამშვილდის სიონის წარწერაში 8 ს-სა, ტაშირის მფლობელნი**

*დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე"-ში. 1968 წ. №6.

**მოიხსენიებიან, როგორც ნათესავით პიტიახშნი"** (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია), ხოლო ამავე ხანებში იგივე **ტაშირის მფლობელნი მოიხსენიებიან ტიტულით „მამფალი" (დავით და აბულ მამფალნი დასახელებულნი ბოლნისის სიონის წარწერებში)**. იხ. აგრეთვე სტეფანოს ტარონელის (ასოღიკის) მატიანე, სადაც ტაშირის მფლობელი მოიხსენიება როგორც ტაშირის მამფალი" (ხაზგასმა ყველგან ჩემია – დ ბ.).

ქვემო ქართლის ამ სამამფლო ტერიტორიას ავტორი შემდეგაც უბრუნდება მოსე ხორენელისა და სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობათა განხილვისას: „მე-9 ს-ის სამამფლო ეს იყო მემკვიდრე ამაზე ადრინდელი, მე-7–8 ს-ებამდე არსებული ქვემო ქართლის საპიტიახშოსი.

მე-9 ს-ის სამამფლოში, საისტორიო ძეგლის „მატიანე ქართლისაჲ"-ს ცნობის თანახმად, შედიოდა შემდეგი ტერიტორიები: ა-ბ) ტაშირი, რომლის ფარგლებშიაც მე-9 საუკუნეში გაერთიანებული იყო ტაშირისა და გარდაბნის მხარეები; გ) თრიალეთი; დ) ჯავახეთი; ე) არტაანი.

ეს არის სამამფლოს ძირითადი ტერიტორია (სამამფლოს ფარგლებში შედიოდა ერთხანად აგრეთვე აშოცი, მაგრამ შემდეგ...გვარამ მამფალმა „აშოცი განუყო ცოლის-ძმასა თჳსსა სომეხთა მეფესა".

ამას გარდა სამამფლოს სათავეში მდგომ მთავარს გვარამ მამფალს ჰქონდა აგრეთვე წილი კლარჯეთში (რომელიც ამ დროს საქართველოს ბაგრატიონთა საერთო სამფლობელოს წარმოადგენდა); გვარამ მამფალს, როგორც ჩანს მატიანის ცნობებიდან, მშენებლობა უწარმოებია კლარჯეთში.

შევადაროთ ამის შემდეგ სომხურ უსახელო გეოგრაფიაში არწერილი **გოგარენის საპიტიახშოს ტერიტორია და მე-9 საუკუნის ამ ადმინისტრაციული ერთეულის სამამფლოს (საპიტიახშოს) ტერიტორია. ისინი ჰფარავენ ერთი-მეორეს...**

ამრიგად, ისევე როგორც მოსე ხორენელის ტექსტში მე-4 ს-ის გოგარენის საპიტიახშოს სახით აღწერილია მე-7 ს-ში არსებული ადმინისტრაციული ერთეულის ქვემო ქართლის საპიტიახშოს ტერიტორია, ამგვარადვე სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღწერილია ავტორის დროს არსებული მე-9 ს-ის ადმინისტრაციული ერთეულის სამამფლოს (საპიტიახშოს)

ტერიტორია" (5. 465)

განვიხილოთ რამდენად სწორია მოცემული სურათი: უნდა ითქვას, რომ „სამამფლო" ავტორისავე მიერ შექმნილი ტექნიკური ტერმინი ჩანს, „საპატიახშოს" ანალოგიით. ასეთი გამოთქმა არ გვხვდება წყაროებში, მაგრამ თუ „საპიტიახშოს" ხმარებას გარკვეული საფუძველი აქვს (მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრული ტერიტორია ქვემო ქართლში, ერთი საგვარეულოს რამოდენიმე თაობაში მემკვიდრეობით გადასული წოდება..), გვარამ მამფლის საბრძანებელზე ამას ვერ ვიტყვით: გვარამი საკუთარი ძალით იპყრობს დასახელებულ ილქებს,ამათგან თავისსავე სიცოცხლეში აშოცი სომეხთა მეფეს გაუყო, ხოლო თრიალეთი ლიპარიტ ბაღვაშმა იგდო ხელთ. დარჩა მას ტაშირი, ჯავახეთი და არტაანი, ესენიც გვარამმა თავის ძმებს დაუნაწილა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მტრებმა დაისაკუთრეს.

გამოდის, რომ გვარამის ამ სამფლობელოს, სულ დიდი 3 ათეული წელი თუ უარსებია. ასე რომ ამ მაგალითზე დაყრდნობით ზოგადად „IX ს-ის სამამფლოზე" კი არა, არამედ გვარამის სამამფლოზე შეიძლება საუბარი.

რაც შეეხება ქვემო ქართლის ზემოხსენებულ სხვა შემთხვევებს—სამშვილდის წარწერის ვარაზბაკური, „ნათესავით პიტიახში" (თუ ის მართლაც მამფლად იწოდებოდა) და დემეტრე გაგელი მარზპანის ძე—„ტაშირელთა მამფალი"— არავითარ კავშირში გვარამ მამფალთან არ არიან; ასევე უცნობია ბოლნისის წარწერის დავით და აბულ მამფლების რაიმე მიმართება მასთან. ერთადერთი საერთო ყველა ამათ აქეთ პატივი მამფლისა. ის რომ ესენი ძველი ქართლის საპიტიახშოს ტერიტორიაზე იხსენიებიან, ვერაფერი გამაერთიანებელი ფაქტორია აქაური „სამამფლოს" ჩამოსაყალიბებლად, რადგან მათი მოხსენიების ხანაში (VIII-X ს-ები), ეს სამშვილდის საერისთავოს, ან საპიტიახშოს ერთიანი ქვეყანა აღარაა. მხოლოდ გვარამია, რომელიც ამ ტერიტორიის ნაწილს ჯავახეთ—არტაანთან ერთად, მეტნაკლები ერთიანობით იპყრობს არაბთაგან და ისიც დროებით. გვარამის ქვეყანას, ბუნებრივია, აღარაფერი აქვს საერთო ძველ რომელიმე ქვეყანასთან, ესაა მის მიერ შექმნილი „ქვეყანა" და აკი ნებისმიერადვე ანაწილებს კიდეც მას.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ არც ბოლნისის, არც სამშვილდის წარწერებში არაა მითითებული ამ მამფლების საბრძანებელი ტერიტორია, ამიტომ არავითარი საფუძველი არა

აქვს პ. ინგოროყვას განცხადებას, თითქოს ამ წარწერებში „ტაშირის მფლობელი, „ნათესავით პიტიახშნი—მამფლები იყვნენ მოხსენიებულნი" (იხ. ზევით). ვერავითარ საამისო საბუთს ვერ ვპოულობთ ავტორის მიერ მითითებულ თავისსავე ნაშრომში —„ძველ—ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია". სათანადო გვერდზე არაფერი დამამტკიცებელი იმისა, რომ სამშვილდის სიონის წარწერაში ეს „ნათესავით პიტიახშნი" ტაშირის მფლობელებად მოიხსენიებოდნენ —არსად არაა.

ამ წარწერებიდან საერთოდ არ ჩანს არამც თუ ტაშირის ამ პირთა მიერ ფლობა, არამედ არც ის—მთელ ქვემო ქართლს სწვდებოდა მათი ბატონობა, თუ მის ცალკეულ ნაწილებს (ვთქვათ, ბოლნისის ქვეყანა და სხვა...). რომ ეს სწორედ ასე შესაძლოა ყოფილიყო, კარგად ჩანს ასოღიკის ხსენებული მაგალითიდანაც, სადაც დემეტრე მარზპანი თავის შვილს ტაშირის მამფლად სვამს მაშინ, როცა დავით სომეხთა მეფეს—თვითონ ტაშირელ კვირიკეანს, უპყრია ტაშირი, სამშვილდე, „ერაც-დაშტი", დმანისი. (4 იქვე) ამიტომაც დემეტრეს ძის ტაშირის მამფლად გამოცხადება არ ნიშნავს მის მიერ მთელი ტაშირის ფლობასაც კი (ასოღიკით ის დავით კვირიკეანს უკავია), არამედ, უნდა ვიფიქროთ, მხოლოდ მისი სამხრ. – აღმ. ნაწილისას.

ასევე გამორიცხულია ამ „სამამფლოდან" დავით გაგელი მარზპანის ძე (X ს); ბოლნისის სიონის წარწერათა დავით და აბულ მამფლები კი, მართლაც, IX ს-ის პირები არიან, მაგრამ რა აქვთ მათ საერთო გვარამ მამფალთან და მის დიდ სამფლობელოსთან? არსად ჩანს — გვარამის მამფლობის თანამედროვენი არიან ისინი, წინა, თუ უფრო მოგვიანო ხანისა, ამათგან ხომ არც ერთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა. არ ჩანს ასევე, თითქოს ისინიც იმ სამამფლოს განაგებდნენ, რომელსაც გვარამი. მაშასადამე მთელი ამდენი მსჯელობა „მე—9 ს-ის სამამფლოზე" „მატიანე ქართლისაჲს" ერთი ცნობის ანაბარა რჩება.

დამახასიათებელია, რომ სულ სხვადასხვა საუკუნის ეს მამფლები (ერთი—„ნათესავთ პიტიახში", მეორე—„ტაშირის მამფალი"), მათზე დაყრდნობით შექმნილი „მე-9 ს-ის სამამფლოს" გარეშე დატოვა თვითონ ავტორმაც. საბოლოოდ ამ სამამფლოში გვრჩება გვარამ, ტაშირ-ჯავახეთ-არტაანით (იხ. ზევით). მისსავე სიცოცხლეში დაწყებული დაშლა ამ სამფლობელოსი მისი სიკვდილის შემდეგ სრულდება.

იმ ვარაუდის დაშვებისას, რომ ქვემო ქართლის ეს უცნობი მამფლები. „IX ს-ის სამამფლოს" ისეთივე გამგებლები არიან, როგორც გვარამი, ჯერ ერთი, აუხსნელი დაგვრჩება ის ფაქტი, რომ ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში ისინი ამ სამამფლოს სულ სხვადასხვა პუნქტებში სხედან, მეორეც დასამტკიცებელი იქნება,–რამდენად ერთიანი ტერიტორიულ–ადმინისტრაციული მთლიანობა იყო ქართლის საპიტიახშოს „მემკვიდრე, მე-9 ს-ის ეს სამამფლო".

სამამფლოს ძირითად ტერიტორიას, „მატიანე ქართლისაჲ"-ს ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, ავტორი ასე განსაზღვრავს: „ა-ბ) ტაშირი, რომლის ფარგლებშიაც მე-9 საუკუნეში გაერთიანებული იყო ტაშირისა და გარდაბანის მხარეებიც; გ) თრიალეთი; დ) ჯავახეთი; ე) არტაანი;"

ავტორის აზრით, რომელსაც იგი არაერთხელ იმეორებს, „ადრეულ საშუალო საუკუნეებში" სამხრეთ ქართლი, ქართლის საპიტიახშოდ, ანუ ტაშირის სამთავროდ იწოდებოდა. ტექსტშიაც და მოცემულ რუკაზედაც ტაშირის მხარე გავრცელებულია აღმოსავლეთით მდ. კოლბამდე, ხოლო ჩრდილოეთით თეთრი წყარომდე (5. 454). ე.ი. გამოდის, რომ ადრე შუა საუკუნეებში ტაშირი მოიცავდა წოფის, ბოლნისის, ქვეშის ჴევებს, კანგარს. ტაშირის ზეგანსა და სამშვილდეს.

სრულიად საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა მოსე ხორენელის ისტორია, რომელიც ტაშირს ჩამოთვლის მის მსგავს ცალკეულ ოლქთა შორის, როგორიცაა კანგარი, წოფი, კოლბი, ძორი და სხვა. დამახასიათებელია, რომ კანგარი და წოფი (რომელთაც პ.ინგოროყვა ტაშირში გულისხმობს), არაეითარ კავშირში ტაშირთან არ არიან, პირიქით: ხორენელის ცნობით, ერთ პირს ჰქონია მემკვიდრეობით მიღებული კანგარი, ჯავახეთის ნახევარი, კოლბი, წოფი, ძორი ჰნარაკერტის სიმაგრემდე, ხოლო აშოცის საუფლო და ტაშირის სასეპუკო–მეორეს რგებია საგამგეოდ (6. 108).

სომხური გეოგრაფიის ცნობა, რომელსაც პ. ინგოროყვა IX ს-ად მიიჩნევს და რაც, მაშასადამე, თანამედროვე ასახვა უნდა იყოს „მე-9 საუკუნის სამამფლოსი",–ასევე სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვიხატავს. აქ ჩამოთვლილ ცალკეულ გავართა სახელებში იგულისხმება არა მარტო გეოგრაფიული მხარეები საქართველოსი, არამედ, „ჴევები". ჰოდა ამ, გეოგრაფიაში სულ ცალ-ცალკეა დასახელებული მანგლისის, ქვეშის, ბოლნისის,

წოფის, კოლბის, ძორის ხევები, ასევე თრიალეთი, ტაშირი, კანგარი. არსაიდან ჩანს აქ ტაშირის იმგვარი გავრცელება-გაფართოება, რომელიც ავტორს მოაქვს თავის შრომაში.

ასევე არ ჩანს ამ გეოგრაფიიდან, რომ IX ს-ში ტაშირის ფარგლებში გაერთიანებული ყოფილიყოს ტაშირისა და გარდაბნის მხარეები, პირიქით როგორც ვნახეთ, ისინი სულ ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილნ (7. 104).

ტაშირი თავის ძირითად საზღვრებშია მოცემული იოანე დრასხანაკერტელთანაც (8. 103, 117, 145, 162), ხოლო ძველი ქართული წყაროებიდან ამასვე მოწმობს სტეფანე მტბევარი. ერთგან ის აღწერს სომხეთის აოხრებას არაბთაგან; შესანიშნავია მისი თანმიმდევრული ჩამოთვლა–„მიწაჲ იგი სომხითისაჲ საზღვარი მისი და სახელები ჰევთა მისთაჲ" რომელთა შორის დასახელებულია „ვასპურაგანი–ათორმეტი ჰევი... დვინადაშტი... სამი ჰევი... სივნიეთი-ათი ჰევი. ტაშირი და კოლბოფორი" (9. 175). აქ ცხადად ჩანს, რომ ტაშირი ერთია ისევე, როგორც კოლბოფორი, იგი თავის ვიწრო საზღვრებშია მოცემული, მას არ აქვს ეს შემადგენელი ჰევები იგი ერთი „ჰევია", წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი იტყოდა მათ რიცხვს, როგორც წინა მაგალითებში.

ცხადად ჩანს, რომ ადრეული ხანის სომხური და ქართული წყაროები ტაშირს, ამ ოლქს იცნობენ თავის ძირითად საზღვრებში–ტაშრატაფის ზეგანი. არ გვაქვს საფუძველი, ადრეულ საშუალო საუკუნეებში ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილზე სახელწოდება ტაშირი გავავრცელოთ ისე, როგორც ამას პ. ინგოროყვა გვთავაზობს.

ამით ეცლება ნიადაგი მტკიცებას, თითქოს სამშვილდისა და ბოლნისის სიონის წარწერებში „ნათესავით პიტიახშნი",–მამფლები, იხსენიებოდნენ როგორც მფლობელები ტაშირისა, თითქო IX ს-ის მთელ სიგრძეზე ქვემო ქართლის ეს ნაწილი მთლიანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული იყოს, ბუნებრივი მემკვიდრე ადრე არსებულ ქართლის საპიტიახშოსი.

მას შემდეგ რაც შექმნა „მე-9 ს-ის სამამფლო" (ფაქტიურად გვარამის სამფლობელო), გააიგივა ტიტული პიტიახშისა და მამფლისა, ხოლო გვარამის სამამფლო ქვემო ქართლის საპიტიახშოს მემკვიდრედ გამოაცხადა, ავტორი უდარებს ერთმანეთს სამამფლოსა და სომხურ გეოგრაფიაში გუგარქად

აღწერილ ტერიტორიას, საიდანაც თითქოს გამოდის, რომ, „ისინი ჰფარავენ ერთი მეორეს".

სომხური გეოგრაფიის მიხედვით, გუგარქში შედიოდა 9 ოლქი: ძორი, კოლბი, წოფი, ტაშირი, კანგარქი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი (7. 110). „მატიანე ქართლისა" კი გვარამის სამფლობელოში ჩამოთვლის 5-ს: ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, და არტაანი (ამათგან აბოცი გვარამმა თავის ცოლის ძმას–სომეხთა მეფეს „გაწყო"). იმისთვის რომ როგორმე შეავსოს გვარამის სამამფლოში დასახელებული ოლქების რიცხვი რათა ის გუგარქს დაამსგავსოს, ავტორს უსათუოდ სჭირდება კლარჯეთი, ძორი, კოლბი, წოფი, კანგარქი. ამათგან კლარჯეთი მას გვარამის სამფლობელოში შემოყავს იმ საეჭვო საბუთით, რომ გვარამს, მატიანის ცნობით, მშენებლობა უწარმოებია ოპიზაში (ცოტა წინ კი, ავტორი გვარწმუნებდა კლარჯეთს ადარნასე მართავდაო) (5. 72).

რაც შეეხება ძორს, კოლბს, და კანგარქს, –ავტორს ისინი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ტაშირში შეუყვანია. ერთადერთი დამამტკიცებელი ამისა არის განცხადება: ტაშირში „მე-9 საუკუნეში გაერთიანებული იყო ტაშირისა და გარდაბნის მხარეები", რისთვისაც, როგორც ვნახეთ, ამ დროისათვის საფუძველი არ არსებობს (იხ. ზემოთ).

მერე და ქვემო ქართლის პიტიახშები, მათი განდიდების დროსაც კი, არ ჩანს, რომ ფლობდნენ სომხურ გეოგრაფიაში გუგარქად მოხაზულ მთელ სამხრეთ საქართველოს (ცურტაველი, ლასარ ფარპეცი, კორუნი...) პ. ინგოროყვა, ჩანს აქ იყენებს თავისსავე მოსაზრებას, ძველ საქართველოში ოთხი საპიტიახშოს არსებობის შესახებ: ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, კახეთსა და მესხეთის დას. სანაპიროზე–ჭოროხსა და სპერში (11. 226). გამოდის, რომ გუგარქის ტერიტორიაზე ორი პიტიახში იჯდა– ქვემო ქართლისა და კლარჯეთისა, ხოლო მე-9 ს-ში, ქართველთა სამეფოში აღდგენილი ორი სამამფლო იგივეა, რაც ეს საპიტიახშონი (5. 72).

რომ აღარაფერი ვთქვათ კახეთისა და შიდა ქართლის პიტიახშებზე, კლარჯეთშიც საპიტიახშოს არსებობა წყაროებით არ დასტურდება (ისევე, როგორც ვერ დაეადასტურებთ გუგარქის ორ პიტიახშს). პირიქით, ისე ჩანს რომ, პიტიახში მხოლოდ ქვემო ქართლელი ხელისუფალია (შესაძლოა სამშვილდის ერისთავად მოხსენიებული „ქართლის ცხოვრებაში") (12).

ნათქვამს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ატენის სიონის წარწერებში VIII ს-ში იხსენიება სტეფანოზ მამფალი, IX ს-ში მამფალი სუმბატ აშოტის ძე (13. 14, 41), ხოლო ოძრხის (აბასთუმანი) წარწერაში–მამფალი არშუშა (14. 66), მაშინ უფრო ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ მთელი სამხრეთ საქართველო ორი სამამფლო კი არაა მხოლოდ, არამედ მხარეა, რომლის სხვადასხვა ნაწილებს მამფლები განაგებდნენ. ,მამფალი" საერო და სასულიერო ხელისუფალთა ზოგადი ტიტული იყო ძველ საქართველოში (მაგ. იოანე საბანისძესთან მოხსენიებულია „მამფალი სამოელ კათალიკოსი").

ასეთ პირობებში რომელ კონკრეტულ შემთხვევას უნდა გულისხმობდეს პ.ინგოროყვას მიერ შემოთავაზებული „მე-9 ს-ის სამამფლო"?– იგი ხომ ყველგანაა, სადაც მამფალი ზის. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, „სამამფლოსაგან" განსხვავებით. „საპიტიახშო" იმიტომაცაა მარჯვედ ხმარებული, რომ არსებული წყაროებით, შუა საუკუნეთა საქართველოში პიტიახში ერთი ჩანს და „საპიტიახშოც" ამდენად განსაზღვრულია, მაშინ როდესაც „სამამფლო" ზოგადია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მსაზღვრელს საჭიროებს (მაგ: „გვარამის სამამფლო").

ამრიგად გამოდის რომ პ. ინგოროყვას აზრი ქვემო ქართლის საპიტიახშოსა და „მე-9 ს-ის სამამფლოს" იგივეობაზე არ მართლდება.

ჩვენს მიერ განხილული მასალა საშუალებას იძლევა ითქვას შემდეგი: VIII–Xსს. ქვემო ქართლის სხვადასხვა ნაწილში ჩანან მამფლები, რომლებიც ისეთივე მმართველები არიან მეტ-ნაკლები ტერიტორიისა, „ქვეყნებისა", როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან ცნობილი მამფლები. არ ჩანს, რომ აქაური, ამ ტიტულის მატარებელი ხელისუფლები, ყოველთვის მთელ ქვემო ქართლს ფლობდნენ ერთიანად, თუმცა არაა გამორიცხული ზოგიერთს მეტი წარმატება ჰქონოდა ამ საქმეში. ამიტომ არაა სწორი საუბარი „მე-9 ს-ის სამამფლოზე" ზოგადად, საუბარი შეიძლება გვარამის სამამფლოზე; „მატიანე ქართლისას" ცნობა მისი საბრძანებლის შესახებ უნდა გაეიგოთ ისე, რომ ეს მხოლოდ გვარამის მიერ გაერთიანებული ტერიტორიაა და არ ჩანს მისი ასევე ჩამოყალიბებულ სამამფლოდ არსებობა გვარამამდე, ან მის შემდეგ. პირიქით გვარამი გამონაკლისი ჩანს ამ მხრივ, აკი ამიტომაც შეერქვა მას „დიდი".

შემდეგ. არ უნდა იყოს სწორი პ. ინგოროყვას აზრი, თითქოს

ადრე შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე, ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს მოიცავდეს ტაშირის ცნება და, ამდენად, ის (ქვემო ქართლი) ყოველთვის ერთიანი ტერიტორია იყოს, უცვლელი საგამგეო პიტიახშებისა, „ნათესავით პიტიახშებისა", თუ მამფლებისა. პირიქით—ქვემო ქართლის საპიტიახშოს მოსპობის შემდეგ (და თვით ამ საპიტიახშოს არსებობის დროსაც კი) ეს მუდამ მყარი, ერთიანი საგამგებლო ტერიტორია არასდროს ყოფილა, რომელსაც თითქოს მხოლოდ მმართველთა ტიტულატურა განასხვავებდა (ამიტომაც აკი ამ ტიტულებსაც აიგივებს ავტორი); ამის მიწმობად მოჩანს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ადრე შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე დადასტურებული სულ განსხვავებული საერისთავოები (ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლისა თუ არჩილის დროინდელი), საპიტიახშო, სამამფლო, საერისთავთერისთავო, სამარზპნო, საჭევისუფლო თუ სამეფო ქვეყნები—აგრე ხშირად ნახსენები ქართულ—სომხურ წყაროებსა და ეპიგრაფიკაში.

თვით ამ ტიტულთა ასეთი ნაირფეროვნება იყო შედეგი ამ ქვეყნების განვითარებისა, გამოხატულება შინაგანი და გარეგანი ცვლილებებისა. ან თვით ამ პოლიტიკურ—ადმინისტრაციული თუ ეთნიკურ—გეოგრაფიული ცნებების ასეთი ცვლა განა ამ ქვეყნების სოციალ—ეკონომიკური განვითარების, მათი მუდამ მოძრაობაში ყოფნის მაჩვენებელი არაა? ვფიქრობ არ რჩება აქ ადგილი ამის მტკიცებისათვის რომ „მე-9 ს-ის სამამფლო იგივეა რაც ძველი იბერიის საპიტიახშო", რომ, მამფალი და პიტიახში ერთი მნიშვნელობის ტიტულებია, რომ ერთმანეთს ფარავენ გუგარქისა და სამამფლოს ტერიტორიები...

* * *

შევეცადოთ თვალი გავადევნოთ, თუ როდის და რატომ გახდა შესაძლებელი ტაშირის ცნების ისე გაფართოება, რომ მას ქვემო ქართლის უმეტესი ნაწილი მოეცვა, როგორც ეს განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ და სომხურ წყაროებში გვაქვს დადასტურებული.

IX ს-ის დასასრულიდან ქვემო ქართლის ნაწილი ტაშირელ კვირიკეანთა პოლიტიკურ მიმძლავრებას განიცდის. X ს-ის 70-იან წლებში ტაშირის მმართველი გურგენი, მეფის ტიტულს

ილებს და იქმნება ტაშირ-ძორაგეტის სამეფო (ძორაგეტი—სომხური წყაროებისა და ძორაკერტი – ზორაკერტი ქართულ წყაროებში, აღნიშნავდა დებედის ხეობას).

ამ სამეფოს ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი—დავით გურგენის ძე „უმიწაწყლო" (ეს სახელი – მას ამიტომ შეერქვა, რომ ბიძამისმა – ანასის მეფემ დავითს დროებით სამფლობელო წაართვა) თავის საჯდომ ქალაქად აქცევს სამშვილდეს. იგი წარმატებით ებრძვის თბილისის და განჯის ამირებს, მათ ხარჯზე აფართოებს თავის სამფლობელოს (15).

1046 წ ანისის სამეფოს დაცემის შემდეგ, დავითი სრულიად დამოუკიდებელი მეფეა. მისი შვილი კვირიკე კურაპალატის ტიტულით უნდა იხსენიებოდეს ერთ სომხურ მონეტაზე (16. 44-45). იგივე კვირიკე უნდა იგულისხმებოდეს უკან-დაღეთისა და ზემოყარაბულახის ქართულ წარწერებში.

მაგრამ ტაშირ—ძორეგეტის ეს სამეფო დღემოკლე აღმოჩნდა, უკვე XI ს-ის შუა წლებიდან აქაური მეფეები კარგავენ სამშვილდეს და ტაშირის სამეფოც იშლება.

ასეთია ძირითადი მომენტები ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ისტორიისა, რომელიც ფაქტობრივად ისტორიული ქვემო ქართლის ემეტეს ტერიტორიაზე გაიშალა.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს სომხური დინასტიის გაბატონებას ქვემო ქართლში მოყოლოდეს ძირეული ცვლილებანი ამ მხარეში.

ტაშირელ კვირიკეანთა პოლიტიკური ბატონობა არ იყო მტკიცე. იგი ხშირად ირყეოდა მეზობელ ქართულ და არაქართულ სამთავროებთან შეტაკებისას. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი (918-941 წწ) ძე ადარნასე II-სა, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოის წარმომადგენელი, რომელმაც „უმეტესნი სიმხნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი" (17. 66). იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, მას დროებით სამშვილდეც კი უგდია ხელთ, თუმცა მალევე დაუკარგავს (18).

შესაძლოა სწორედ ეს გურგენ ერისთავთ-ერისთავი იხსენიებოდეს ბოლნისის სიონში ნაპოვნი ლოდის წარწერაში, სადაც იგი იოანე ბოლნელ ეპისკოპოსთან ერთადაა დასახელებული (3. 341). ბუნებრივია ბოლნისი და მისი ქვეყანა ამ ქართველ ხელისუფლის სამფლობელოდ ვივარაუდოთ. გვარამ მამფლის ეს ღირსეული მემკვიდრე, ჩანს არ ეპუება ტაშირ-

"სორაკერტელ კვირიკეანთა ბატონობას და მის პრეტენზიებს ხშირად რეალური შედეგი მოსდევს.

ამდროინდელ სომხურ სამეფოში საერთოდაც შეინიშნება მძლავრი ნაკადი ქალკედონიტური გავლენებისა. სტეფანოს ორბელიანისა და ვარდანის ცნობით, X ს-ის დასასრულს სომეხთა კათალიკოსი ვაჰანი (ადრე სივნიეთის ეპისკოპოსი) დიდ მიდრეკილებას იჩენდა ქალკედონიზმისადმი. მას დაუწყია ქართული ხატების შემოტანა, რომლებითაც მიურთავს ეკლესიათა საკურთხევლები, თან ამ ბერძნული წესის დამკვიდრებას მოითხოვდა ყველა ეკლესიისათვის. ამას დიდი აღშფოთება გამოუწვევია, რასაც ანისის კრებაზე ამ კათალიკოსის კარიერაც უმსხვერპლია (19).

ასევე დამახასიათებელია ზემოთ არაერთხელ მოხსენიებული ცნობა ასოღიკისა, რომლის მიხედვითაც, გაგში მჯდომი დემეტრე მარზპანი ქართველებს მიემხრო და თავისი შვილი ტაშირის მამფლად დასვა ჰაუნე ვანში.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ბამბაკისწყალზე (დებედის ზემო დინება) არსებული ვანანა-ვანქის ეკლესიის ქართული წარწერა, სადაც იხსენიება ამავე დემეტრე მარზპანის ძე გიორგი—ვანანავანელი მთავარეპისკოპოსი (20. 233, 234). იგი, ცხადია, ქართველია (ქალკედონიტი) და ქართულ ეკლესიას აგებს პოლიტიკურად სომეხთადმი დაქვემდებარებულ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში. თავის წარწერას იგი ამ სამეფოს მეთაურის დავით კვირიკეანის ზეობით განსაზღვრავს—1022 წ.

აღწერილი ფაქტი დამახასიათებელი იმიტომაა, რომ იგი ხდება ტაშირის სომხური სამეფოს უშინაგანეს რაიონში—ბამბაკის წყალზე, თორემ ამ სამეფოს განაპირა, ჩრდილო რაიონებში, ქართული აღმშენებლობა, ქართული წარწერები და ქართული (ქალკედონიტური) ღვთისმსახურება ჩვეულებრივ მოვლენად რჩებოდა. ამისი დადასტურებაა იმდროინდელი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი რაოდენობა ბოლნისის, დმანისის, სამშვილდის მიდამოებში, თუ ხურტაკეტში, სადაც არაერთი ქართველი ადგილობრივი ხელისუფალი იხსენიება.

ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა დაღეთ—ხაჩინში ნაპოვნი წარწერა ეკლესიის ბალავარის ქვაზე: „ქრისტე შეიწყალე ქობულ ჰევისუფალი, ესე და კარკნალდ წყაროდ მან ქმნა" (21). IX–X ს-ის ეს წარწერა იმით იქცევს ყურადღებას, რომ ქართველი ჰევისუფალი სწორედ სომხური სამეფო დინასტიის არსებობის

პირობებში კვირიკეან მეფეთა იმ დროს საჯდომი ქალაქის-სამშვილდის სიახლოვეს (დაახლ. 2–3 კმ) მოღვაწეობს, უფლობს.

ამ დინასტიის ორი მეფე–დავითი და კვირიკე სხვა ეკლესიათა ქართულ წარწერებშიც იხსენიებიან: უკან– დაღეთსა და ზემოყარაბულახში. ე.ი. ქვეყანა ისევ ქართული რჩება, ოღონდ სამეფო დინასტიაა სომხური და ისიც მოყვრობითაა დაკავშირებული ქართლისა და ჰერეთ–კახეთის ბაგრატიონებთან, საქართველოს ფეოდალურ სახლებთან (22. 28).

ყოველივე ზემოთქმული და, რაც მთავარია, იოანე ბოლნელის იმდროინდელი მოღვაწეობა ბოლნისში გვაიძულებს, ტაშირის ეს სამეფო განვიხილოთ, როგორც ქართული ერთეული, სადაც ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა განსაზღვრავდა სამეფოს ხასიათს. ასე უყურებდნენ მას ქართველი იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწენი, რადგან ეს ხომ ის დროა, როდესაც გიორგი მერჩულეს თქმით: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების" (23. 280).

ასეთი მიდგომის შემდეგ, თითქოს სინამდვილეს უახლოვდება სუმბატ დავითის ძის შენიშვნა ბაგრატ III-ის დროინდელ აღმავლობა-მოწინავეობის შესახებ, რომელსაც საქართველო ამიერკავკასიაში იწყებდა: ბაგრატ მეფემო „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჰელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა, მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა, უფროს სახლეულთა თჳსთასა" (17. 68). მოტანილ ამონაწერში კარგად ჩანს არა მარტო ბრძოლით მოპოვებული წარმატებანი საქართველოსი, არამედ ხაზგასმულია თანამშრომლობა, თანამებრძოლობა მეზობელ სომხეთის სამეფოებთანაც.

ტაშირის ზემოხსენებული სამეფოს ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი–მეფე დავითი ქართულ წყაროებში იწოდება „სამშვილდარ-ძორაკერტელად" (1. 297), რაც კარგად ასახავს ტაშირის სამეფოს ფარგლებს ქართველი ისტორიკოსის წარმოდგენით.

თუ ადრე შუა საუკუნეების სომხურ და ქართულ წყაროებში ტაშირი მოიცავდა ტაშრატაფის ზეგანს–ლოქის მთის სამხრეთით დებედამდე, განვითარებული შუა საუკუნეების იგივე წყაროები

ამ ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობითაც იცნობენ (10. 31-34). საფიქრებელია, ტაშირელ კვირიკეანთა ქვემო ქართლში გაბატონებით (როდესაც მათ დაიპყრეს არატაშირიც), განსაკუთრებით სამშვილდის მათ რეზიდენციად გადაქცევის შემდეგ, დასრულდა ტაშირის ცნების გავრცელება–გაფართოების პროცესი იმგვარად, როგორც ჩვენ მას განვითარებულ შუა საუკუნეთა ქართველ და სომეხ ისტორიკოსებთან ვხვდებით. ეს ახალი ცნება ფართო მნიშვნელობით, პოლიტიკური აზრით, სწორედ ამ „ტაშირის სამეფოს" გაელენით შემოდის...

გვიანი შუა საუკუნეების ისტორიკოსებთან, იმდროინდელ საბუთებში, ტაშირის ცნება თანდათან ისევ ძველ შინაარს უბრუნდება (საკუთრივ ტაშრატაფის ხეგანი). ახლა სომხითი ცალკეა, ტაშირი – ცალკე, ბოლოს ლორეც სხვა შინაარსით გვხვდება – იგი ძველი ტაშირის სამხრეთ ნაწილს დაერქვა, ტაშირი კი – ჩრდილო ნაწილისდა შერჩა (24). ვახუშტი ამ ტაშირზე საუბრისას შენიშნავს: „მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი, არამედ სამწყსონი არიან დმანისისა", ამ უკანასკნელში „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ტაშირისა და დბანის-ჰევისა" (25. 38, 39).

ბერი ეგნატაშვილი 1461 წლის ამბებთან დაკავშირებით მოგვითხრობს: „შეკრბა სიმრავლე ურიცხ თურქმანთა და მომართეს სამცხეს მოვიდეს და მოადგეს ტაშირზედა... ამას შინა ბრძანა ყაენმან, რათა სომხითი მოარბიონ" (26. 343). მაგრამ კიდევ ერთი დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ეს ტაშირიც ერთიანი კი აღარაა, არამედ დანაწილებულია. 1675 წ როსტომ მეფე მიმართავს ბარათაშვილებს: „ტაშირს რაც თქვენი მამა-პაპათ სამკუიდრო მამული ყოფილიყო, ყუელა გაგეყოთ... ამას წინათ ვინცავინ ლორეს მჯდომი ხანი და სულთანი ყოფილა ვერცავის ეხსენებინა... თქუენსა სიგელსა და განაყარის წიგნშიაც გიწერიათ ტაშირის შირჩაპატი, წითელი ეკლესია (სოფლებია ჩამოთვლილი–დ. ბ.)... ავდარასა და ბარქდარას შუა საქარავნო დიდი შარა რომ გაიარს, მარუჯენივ საბარათაშვილოსაკენ საბარათიანო არის და მარცხნივ სალორისი არის, რასაც ლალვარი გადმოხედავს–სასომხითო არის, იმას გარდაის ლორისა არის, და ნურავინ ეცილების" (27).

ასე იცვლება ტაშირის ცნება სხვადასხვა ეპოქაში. თავდაპირველად ის გეოგრაფიული ერთეული ჩანს (ვახუშტის აზრით სივაკისათვის ეწოდა ასე). ასეა იგი პლინიუსთან

თრიალეთის გვერდით დასახელებული (22. 298). თუმცა აქვე არ ჩანს რა მოცულობისაა ეს ორი ოლქი. ამიტომ საეჭვოა ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრი, რომ „აქიდანაა ბორჯომის ხეობის შესავალი ნაწილის სახელწოდებაც „ტაშის-კარი", „ტასის-კარი." უთუოდ ამ სახელწოდების კვალს უნდა წარმოადგენდეს „თეზი" და „თეძამი", რომელთაგან პირველს ვახუშტი „თეზის ჭრამს", უწოდებს, ხოლო მეორე ცნობილი სოფელი და ხეობაა ქართლში, თრიალეთის მთებს გადმოღმა" (29. 30).

მოტანილი მაგალითებიდან „თეზის ჭრამი" თრიალეთში აქვს დასახელებული ვახუშტის, ტაშის-კარი და თეძამი კი საკმაოდაა დაშორებული არა მარტო ტაშირს, თვით თრიალეთსაც. ისინი ამ ქედს გადაღმა რჩებიან ჩრდილოეთით, ეს კი სრულიად გამორიცხავს მათ რაიმე კავშირს ტაშირთან. საამისოდ საჭირო იქნებოდა ტაშირის ცნებას მოეცვა არა მარტო თრიალეთის, არამედ თორის ტერიტორიაც, ეს კი შეუძლებელია, რადგან შუა საუკუნეთა არცერთ ეტაპზე ტაშირი ასე ფართო არაა, ხოლო უფრო ადრეც თრიალეთი ასევე კარგად ცნობილი ოლქია. მაშ რჩება მხოლოდ გარეგანი მსგავსება ამ სახელებისა, რაც საკმაო საბუთად ვერ ჩაითვლება. ამას გარდა, რას უნდა დავუკავშიროთ მაშინ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გავრცელებული ასეთივე სახელები: თეზის მინდორი ოკამთან, თეზმისხევი საგურამოსთან?..

საერთოდ, წინაქრისტიანული ხანის ერთეულებზე მსჯელობისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უცხო ავტორები ჩვეულებრივ უფრო მნიშვნელოვან, შედარებით მოზრდილ ოლქებს, ან ეთნიკურ-გეოგრაფიულ ერთეულებს ასახელებენ (გოგარენე და სხვა...). ასეთი ზოგადი, ფართო შინაარსის სახელები, იმ უძველესი დროის ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებისათვის, შუა საუკუნეთა ქართულ წყაროებსაც ახასიათებთ, მაგ.: „ქუეყანა არარატისა და მასისა", „ზენა სოფელი" და სხვ.

ადრეულ შუა საუკუნეებში კი, როცა აგრე მრავლდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, რელიგიური თუ ეკონომიკური ცენტრების რიცხვი, რომელთა სახელებითაც იწოდებიან პატარ-პატარა „ხევები", იმ ძველ, ზოგად გეოგრაფიულ, თუ ეთნიკურ-გეოგრაფიულ სახელთა ადგილს (იმიტომ, რომ ახლა ეს კი არა, არამედ სხვა ნიშნები ქვეყნისა გამოდიან წინა პლანზე) იჭერენ ამ ხევებისა, თუ ქვეყნების სახელები. ასე მაგალითად, „ზენა სოფელში" გამოიკვეთა: დვანის ველი, აჩაბეთის ხევი, რეჰა... „ქვენა

სოფელში"—მანგლისისხევი, ქვეშისხევი, ბოლნისისხევი, წოფისხევი... ამ დროის ტაშირი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ აღემატება მის ძირითად ფარგლებს—სამხრეთ მთიანეთის ზემოხსენებულ ზეგანს.

ადრე შუა საუკუნეებშივე იწყება ამ მცირე ერთეულების ადმინისტრაციული შერწყმა-დახლოება ახალი ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე. „საპიტიახშო" და სხვა საერისთავოები გორგასლისა, თუ არჩილის ცხოვრების დროინდელი—სწორედ ამის დადასტურებაა; შერწყმა, დაშლა, ისევ შერწყმა სხვა, ახალი ურთიერთობის ნიადაგზე, ახალი პირობების შესაბამისად—ეს განუწყვეტელი პროცესია ცოცხალი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის არსებობისა.

საქართველოში ადრე შუა საუკუნეების დასასრული და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლით აღინიშნა. ზეგან-მთის მიერ ბარული მეურნეობის სრულყოფილი ათვისება ხდება (მესელეობა, მეფუტკრეობა, განვითარებული მეხორბლეობა...) და ამით მათი გამნიშვნელოვანება-დაწინაურება მზადდება. ბარში პირუტყვის სულადობის ზრდა ადიდებს მოთხოვნილებას ზეგან-მთაზე და პირიქით. ამ უკანასკნელზე მომრავლებულ მოსახლეობას სჭირდება გზა და უფრო ცხოველი ურთიერთობა მეზობლებთან. ნიშანდობლივია სწორედ ამდროინდელი ნასოფლარ-ნაეკლესიარების, გელაზებისა თუ წარწერათა სიმრავლე ტაშირ-თრიალეთ-ჯავახეთში. ტაშირს სჭირდება ხე-ტყე, რომელსაც იგი ლალვარ-ლოქის ჩრდილო ფერდობებიდან ეზიდება, იგივეა თრიალეთშიაც (25. 38, 42). ტაშირული სპილენძი და ძვირფასი ქვები ახალ მიმზიდველობას იძენენ...და აი, სწორედ ამ დროს (ფეოდალური ურთიერთობის ახალ საფეხურზე ასვლისას), არაბთაგან დაჩაგრულ აღმ. საქართველოს ბართან შედარებით, წინ გამოდიან მესხეთ-ჯავახეთის ზეგნები არტანუჯით, ახალქალაქით, თრიალეთი—კლდეკარით, ტაშირი—სამშვილდე, ლორეთი. ამ ქვეყნის მფლობელნი ძლიერნი არიან ეკონომიკურად, პოლიტიკურად; მათ მიერ დამორჩილებულ, ადრე ხევებად გამოყოფილ ცალკე „ერთეულებს" (ქცია, დმანისი, ბოლნისი, წოფი...), ერთიანად ჰფარავს ახლა ამ ძირითადი ოლქის—ტაშირის სახელი და ეს იმიტომ, რომ კვირიკეანი მეფეები „ტაშირელი" ბაგრატიონები არიან რეზიდენციით სამშვილდეში (შდრ. თრიალეთი და კლდეკარის საერისთავო).

ზემოთ აღნიშნული თანდათან მზარდი ეკონომიკური ურთიერთმისწრაფება, საქართველოს ბარსა და ზეგან-მთიანეთს რომ აკავშირებდა, დამახასიათებელი მოვლენაა საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის ამ გარდამავალ საფეხურზე. მართალია იგი ყოველთვის მოქმედი ფაქტორი იყო, მაგრამ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დროს გადამწყვეტი იყო ის, თუ რომელი ქვეყანა რა მნიშვნელობას იძენდა და რამდენად ახერხებდა ამ ურთიერთსწრაფვის მტკიცე კავშირად ქცევას. უბაროდ დარჩენილი ზეგან-მთიანეთი და უმთოდ დარჩენილი ბარი ვერასოდეს ვერ იქნებოდნენ ის სრულყოფილი ერთეულები, რომლებიც „ქართლსა ზედა" ბრძოლაში წარმატების პრეტენზიით გამოდიოდნენ და რომელსაც ამ ხანის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე მოითხოვდა... ამიტომაცაა დამახასიათებელი ტაშირის სამეფოსათვის „ერაც-დაშტის"–„ქართველთა ველის" ის აუცილებელი დაპატრონება, რომელიც ასე ხაზგასმულია სომეხ ისტორიკოსებთან (მაგ.: სტეფანოს ტარონელი, იხ. ზევით).

XIII ს-ის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ვარდანი, მოგვითხრობს რა ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ამბებს X ს-ის მეორე ნახევრისას, მიუთითებს, რომ აქაური სამეფო დინასტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს მემკვიდრეობით ერგო ტაშირი, შემდეგ ჩამოთვლილია ციხეები, მათ შორის: „ხოჟორნი, ხორაკერტი, ბაზკერტი და სხვა ცნობილი სიმაგრეები ტაშირის მხარეში, ასევ სხვა ციხეები, რომელსაც ქართველები სომხეთს უწოდებენო".

XIII ს-ის ისტორიკოსის ეს მრავალმხრივ საყურადღებო ჩვენება ამჯერად იმიტომ გვაინტერესებს, რომ მისი ბოლო სიტყვები ავტორის თანამედროვე ვითარებას ასახავს. ე.ი. მის დროს ქვემო ქართლს უწოდებენ სომხითს, თან ტაშირის შინაარსი ისეა გაფართოებული, როგორც ეს ხშირად გვაქვს ამ ხანის ისტორიკოსებთან.

აქედან კარგად ჩანს, რომ, განვითარებულ შუა საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობის უმაღლეს საფეხურზე ასული ერთიანი საქართველო, უმსხვილესი ადმინისტრაციული გაერთიანებების კრებულად ქცეული (ჰერეთის, კახეთის, ქართლის, სამცხის და სხვა საერისთავონი), სპობს ძველ ერთეულს-ტაშირის სამეფოს. ქართულ სინამდვილეში ჩნდება ახალი, ამ მხარის დასახასიათებლად უფრო მნიშვნელოვანი მომენტი—სომხითი. ქვეყანა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნიშნით (ტაშირის

სამეფო) ახლა შეცვალა ქვეყანამ ეთნიკურ-გეოგრაფიული ნიშნით (სომხითი).რასაც თავისი გამართლება ჰქონდა,რადგან „დაიპყრეს ბაგრატ მეფისამდე სომხითის მეფეთა ადგილნი ესენი" (25. 50). მაგრამ აქაც კი სხვადასხვა პერიოდის ორი ეს ქვეყანა ერთიმეორის გამეორება როდია: სომხითი შეიცავს სამეფო საკუთრებას,გაგის სანაპირო საერისთავოს, ლორეს – „სათავადოს და სამთავროს სომხითსა შინა" (26. 33), რომელმაც თანდათან შეავსო ტაშირის ძველი ცნება.

გვიან შუა საუკუნეებში, სათავადოებად დაყოფის პირობებში ტაშირის ცნება ისევ მცირდება საკუთრივ ტაშირამდე, მაგრამ საქმე ამით როდი თავდება: იწყება მისი დანაწილება, დაქვემდებარება სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებისადმი და ეს ახალი გაყოფა უკვალოდ როდი ჩაივლის: ტაშირი ახლა განყენებული, გეოგრაფიულად განსაზღვრული არეა, თორემ მისი აწინდელი მთავარი ნიშნებია–სახასო სამოაურო, საბარათაშვილო, სასომხითო, სალორო... ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზრდა აფართოებს ან ამცირებს გეოგრაფიულ ცნებას.

თუ განვითარებულ შუა საუკუნეთა დასაწყისში მოსახლეობით, ეკონომიკურად ღონიერმა ზეგანმა იძალა ბარის ხევებზე, გვიან, მოსახლეობისაგან დაცლილი, ვერანა ზეგანი სასურველი საძოვარია მხოლოდ და ბარის ხევებზე დამოკიდებული, მათ შორის ერთმანეთში საცილობელი არე.

## შენიშვნები, დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. მატიანე ქართლისა "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955. შემდეგ ყველგან: ქც.

2. ლ. მუსხელიშვილი. სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, "ენიმკის" მოამბე XIII, 1943.

3. ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი, "ენიმკის" მოამბე III, 1938;
Г. Н. Чубинашвили. Болниси, известия института ЯИМК-а. IX, 1940.

4. Ստեփանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան պատմութիւն տիեզերական. Ս. Պետերբուրգ. 1885.

5. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ. 1954.

6. Մովսէսի Խորենացւոյ պատմութիւն Հայոց. Թիֆլիս. 1910.

7. Ս.Տ. Երեմյան. Հայաստանը ըստ „Աշխարհացոյց"–ի. Եր.. 1963. შემდეგ ყველგან: გეოგრაფია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. ერემიანი ამ გამოცემის შენიშვნებში ტაშირს განსაზღვრავს მის ძირითად ფარგლებში (ტაშრატაფის ზეგანი), ოღონდ მისგან გამოჰყოფს "'ზემო ტაშირს"; მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ბამბაკისწყლის ხეობა. 387 წ, როდესაც ტაშირი გუგარქის საპიტიახშოსთან ერთად, იბერთა ქვეყანას შეუერთდა, ეს "ზემო ტაშირი" ამ სახელით ცნობილი შუა საუკუნეების ისტორიკოსებთან სამარზპანო სომხეთის შემადგენლობაში დარჩაო (იქვე, გვ. 85). შესაძლოა ამით ახსნილიყო მაშინ, სომხურ წყაროთა საწინააღმდეგო ჩვენებები, რომელთაგან ლაზარ ფარპეცი და ელიშე V ს-ში ასახელებენ ვრენ ტაშარელ მთავარს, ხოლო იმავე პერიოდისათვის მოვსეს ხორენაცი ტაშირს არშუშა პიტიახშის სამფლობელოში გულისხმობს. იხ. ლ. ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1962, გვ. 237, 239; Եղիշէ. Վասն Վարդանայ եւ Հայոց պատերազմին. Երեվան: 1957, გვ. 100, 193: მოვსეს ხორენაცი, გვ. 356. თუ ვრენს ამ "'ზემო ტაშირის" მთავრად ვიგულისხმებდით, მაშინ ბუნებრივი გამოვიდოდა დანარჩენი ტაშირის ვარაუდი არშუშა პიტიახშის სამფლობელოში. საინტერესოა, რომ სენ-მარტენი ამ ვრენს არშუშა პიტიახშის ვასალად სთვლიდა, თუმცა მას ორივე სომხებად მიაჩნდა-J. Saint-Martin. Memoires historiques et geographiques sur l'Armenie. Paris, 1819, გვ. 80. ასევე აიხსნებოდა დემეტრე მარზპანის შვილის ტაშირის ("'ზემო ტაშირის") მამფლად დასმა.

8. იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ელ. ცაგარეიშვილმა, თბ. 1965.

9. მარტვილობაჲ გობრონისი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. თბ. 1964. შემდეგ ყველგან: ძქალძ.

10. დ. ბერძენიშვილი. ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. II, თბ. 1964.

11. პ. ინგოროყვა. ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, თბ. 1941. XI–B.

12. ლ. მუსხელიშვილი. სამშვილდის სიონის წარწერები...ლ. ნ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1962, 172-173. აქვეა სხვა შეხედულებანი ამ საკითხზე და გაკრიტიკებულია პ. ინგოროყვას ეს აზრიც; ბოგვერაძე. ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1963, ნაკვ. 35, 68.

13. თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები, თბ. 1957

14. ИКОИМАО, вып. I. 1904.

15. სტეფანოს ტარონელი, 256, 279-280; Լեո. Հայոց պատմութիւն. II, 631-634; Minorsky. Studies in Caucasian history, London, 1953, 41.

16. Е. А. Пахамов. О монете Корике Курапалата, Изв. КИАИ. т. III, 1925.

17. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ექვთ. თაყაიშვილის გამოც.– მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ. 1942, ნაკვ. 27.

18. იოანე დრასხანაკერტელი... 250-253; ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ, თსუ შრომები XXIII, 1941, 84.

19. Պատմութիւն նահանգին Սիսական. արարեալ Ստեփաննոսի Օրբելեան արքեպիսկոպոսի Սիւնեաց. Թիֆլիս. 1911; Մեծին Վարդանայ Բարձրբերդեցւոյ Պատմութիւն Տիեզերական. Մոսկվա. 1861, 121.

20. თ. ჟორდანია. ქრონიკები I, ტფ. 1892; ავტორი წარწერას ასე კითხულობს: „ქ. სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, შეწევნითა წმიდისა ამბაკომისათა, მე გიორგი ვანავნელმან (ვანანავანელმან–დ. ბ.) მთავარეპისკოპოსმან, ძემან დემეტრე მარზაპნისამან, ავაშენე ესე ეკლესიაჲ სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა, ზეობასა, ადიდენ ღმერთმან, დავით მეფისასა. ქკნი იყო ს: და მბ."

21. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატალოგი ბოლქვაძისა და ბაქრაძის რედაქციით, თბ. 1953, 32, ირ. ციციშვილი. რუსთაველის ეპოქის ძეგლები ქვემო ქართლში, „ძეგლის მეგობარი" 8, 1966, 51-52.

22. ლ. მელიქსეთ-ბეგი. ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფ. 1928.

23. ძქალძ I, თბ. 1964.

24. საქართველოს სიძველენი, ექვთ. თაყაიშვილის რედაქციით, II, 248; ქართულ-სპარსული საბუთები, ვლ. ფუთურიძის გამოც. I, თბ. 1955, 267-268.

25. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.

26. ქც II, თბ. 1959.

27. სცსა, ფონდი 1450, დავთ. 15, საბ. 140.

28. В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1949, 2.

29. ლ. მელიქსეთ-ბეგი. თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის თბ. 1934.

## აგარანის საკითხისათვის*

1986 წლის „მაცნის" მე-4 ნომერში (ისტორიის... სერია) დაიბეჭდა გადამდგარი გენერლის ი. შაიშმელაშვილის წერილი „აზეულა, კოჯრის ციხე, აგარანი"*. ნაშრომის მიზანია წერილობითი წყაროებით ცნობილი აგარანის, აგარათა ციხის მდებარეობის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გარკვევა. ავტორი ასეთი აუცილებლობის წინაშე აღმოჩენილა, როდესაც ძველი თბილისის თავდაცვითი სისტემის შესწავლას მოჰკიდებია. მას აზრად მოსვლია, რომ „ეს სისტემა კლდეკარის, ლორეს, ხუნანის, ხორნაბუჯისა, და ჭერემის სექტორს მოიცავს". მაგრამ რაკი „ამ სექტორის ცენტრალური უბნის ობიექტებს ეძღვნება ნ. ბერძენიშვილის ცნობილი ნარკვევი „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი)", ამიტომ, ი. შაიშმელაშვილს განუზრახავს ამ ნარკვევის თანმიმდევრული დამუშავება. ეს იმიტომ, რომ თავისი მუშაობის მსვლელობაში მას თავიდანვე განსხვავებული შედეგები მიუღია. ავტორი შესავალშივე აცხადებს, რომ კოჯრის ციხისათვის ნ. ბერძენიშვილის მიერ „აგარანის დარქმევის ცდა აშკარად ხელოვნურობის ბეჭედს ატარებს" (გვ. 137).

სტატია პარაგრაფებადაა დაყოფილი, რომელთაგან პირველი ეხება ქართულ წყაროებში ტოპონიმ „აგარანის" გამოჩენას XI ს-დან. ი. შაიშმელაშვილი ყურადღებას ამახვილებს მემატიანის ცნობაზე, რომლის მიხედვით, 1066 წ ახლო ხანებში, ბაგრატ IV-მ ქვემო ქართლში გაბატონებულ სომეხ ბაგრატუნთა წარმომა-დგენელს, კვირიკე მეფეს წაართვა სატახტო ციხე-ქალაქი სამშვილდე. ავტორის აზრით, ამასთან ერთად, ბაგრატის ხელში გადავიდა სამშვილდიდან 10 კმ-ზე, მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე „საზაფხულო ციხე—დარბაზი, რომელსაც დღეს „ნადარბაზევი" ეწოდება.

ავტორი თვლის, რომ სამშვილდის მიდამოებში მყოფი ნადარბაზევი სომეხ ბაგრატუნთა მიერაა აგებული, რადგანაც იგი X-XI სს ძეგლია, ხოლო ამ დროს სამშვილდეს სწორედ ისინი განაგებდნენ. მისი სიტყვით, „მთავარი კი, რა თქმა უნდა ის არის, რომ მას შემდეგ... ქართულ წყაროებში **ჩნდება და მკვიდრდება ტოპონიმი აგარანი** (ხაზგასმა აქ ი. შაიშმელაშვილისაა—დ. ბ.). ჩვენ გვწამსო—წერს იგი, —რომ მდ. ჭივჭავის სათავეების სააგარაკო მიდამოები ამ სახელს—„აგარაკების" ან პირდაპირ „აგარანის"

*დაიბეჭდა 1988 წ „მნათობი", 2.

*1987 წ იგი I ნაწილის სახით გამოქვეყნდა იმავე ავტორის წიგნში „წაუქრობელი დიდების ქალაქი".

(მრავალი აგარის) სახით ატარებდა დიდი ხნით ადრე, სანამ IX ს-ის დასარულიდან ეს მიდამოები დროებით სომეხი ბაგრატუნების ხელთ აღმოჩნდებოდა... წყაროებში ტოპონიმი „აგარანი" თან მოჰყვა ბაგრატ IV-ის სამშვილდესთან მოპოვებულ 'ხემოხსენებულ საზაფხულო „ციხე-დარბაზს"(138).

ადვილი შესამჩნევიაა, რომ მოტანილი მსჯელობა საკმარისი საბუთი არ არის აგარანისა და ნადარბაზევის გასაიგივებლად; მიუხედავად ი. შაიშმელაშვილის ასეთი „რწმენისა", ამ ამბების თანამედროვე მემატიანე დღევანდელ ნადარბაზევს „აგარაკებს", ან „აგარანს" არ უწოდებს, თუმცა კი სწორედ ამ ადგილებზე საუბრობს: „შემდგომად მცირედთა წელიწადთა სამშვილდის ტბათა მდგომსა, ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა და ჩადგა მარაბდათა" (1. 314). როგორც ვხედავთ, აქ მეფის სადგომი სახელწოდებით კი არ იხსენიება, არამედ აღწერილობით, ზოგადადაა მინიშნებული „სამშვილდის ტბანი"-ო. ეს ტბა ახლაც შემორჩენილა ნადარბაზევთან. აგარანი კი მატიანის ავტორს სულ სხვაგან ეგულება, თორემ სწორედ აქ იყო მისი დასახელება საჭირო, რასაც ეს ისტორიკოსი სხვა შემთხვევაში არ აყოვნებს.

სტატიის მთელ სიგრძეზე ავტორი ნადარბაზევს ხან ციხესიმაგრეს უწოდებს, ხან ციხე-დარბაზს, თუმცა უკეთუ მას ნადარბაზევი ადგილზე უნახავს, იქ ციხეს ვერსად შენიშნავდა. ნადარბაზევთან ციხეს არ ადასტურებენ არც ვახუშტი ბაგრატიონი, არც რომელიმე სხვა წერილობითი წყარო და, რაც მთავარია, არც ნადარბაზევის გამთხრელი არქეოლოგები. ნადარბაზევის ციხედ წარმოჩენა კი, ავტორისათვის აუცილებელი შექმნილა იმოტომ, რომ აგარანის პირველსავე ხსენებისას „მატიანე" მას ციხეს უწოდებს. 1069 წ. განძის ამირა ფადლონის დამარცხების შემდეგ, ბაგრატ IV-მ „აღიხუნა **ციხენი** რუსთავი, ფარცხისი, **აგარანი,** გრიგოლწმიდანი, ქავაზანი" (1 312). ნ. ბერძენიშვილიც ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ადგილს „მატიანიდან", სადაც **აგარანის ციხისთავია** მოხსენიებული: „მოვიდა ფადლონ და მოადგა აგარათა; და მისცნა **ციხისთავმან აგარანი.** და მსწრაფლ აღმოვიდა მეფე, მივიდა და მოადგა აგარათა. და წარიხუნა აგარანი" (1. 313). განსვენებული მეცნიერი შენიშნავდა: „აქედან კიდევ უფრო ნათლად ჩანს, რომ **აგარანი ციხეა და მას ციხისთავი ჰყავს"** (2. 308) (ხაზგასმა ავტორისაა— დ. ბ.).

ი. შაიშმელაშვილს მოაქვს ნ. ბერძენიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ თბილისის ირგვლივ მყოფი აგარები ეკუთვნოდა

იმას, ვის ხელშიც თბილისი იყო. „გამოდის რომ განძის ამირამ თბილისის ამირას წაართვა აგარანი (რომელიც ნ. ბერძენიშვილმა კოჯრად მიიჩნია). მაგრამ ასე თუ იყო, ეს სათილარაბ (თბილისის ამირა) რატომ არავითარ მონაწილეობას არ იღებდა აგარანის (კოჯრის) ხელიდან ხელში გადასვლის აღნიშნულ აქტებში?" ეს იმ „უხერხულობად" მიაჩნია ავტორს, რომელიც თურმე „დაუყონებლივ ქრება... როგორც კი შევეშვებით აგარანისა და კოჯრის ციხის გაიგივების ცდას. აგარანი სამშვილდის მიდამოებში იყო"... (140).

არავითარი უხერხულობა აქ არ არის, მხოლოდ ავტორის გაუგებრობაა, რადგან ნ. ბერძენიშვილის აზრი თბილისისადმი ირგვლივ მყოფი აგარების დაქვემდებარების შესახებ, სრულიად მართებული ზოგადი დებულებაა.

აღებულ შემთხვევაში კი, გარკვეული, კონკრეტული ვითარება შექმნილა: ბაგრატ IV-ს „ჭირვეულად" დაპყრობილ თბილისში სითილარაბი დაუსვამს ამირად. ისე რომ, განძის ამირას აგარანი სითილარაბისათვის კი არ წაურთმევია, არამედ მეფის მიერ დატოვებული ციხისთავისათვის. ბაგრატმა აგარანი სასწრაფოდ უკან დაიბრუნა. სითილარაბი ამ დროს ბაგრატს ემორჩილებოდა და სამეფოდ დატოვებული აგარანის მიმართ მას პრეტენზიები ვერ ექნებოდა.

ი. შაიშმელაშვილს ძალიან უნდა აგარანი სამშვილდის ნადარბაზევი გამოდგეს. ამისთვის იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პუნქტებთან (სამშვილდესა და აგარანთან) მომხდარ მოვლენებსაც აიგივებს. იგი წერს: „აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სამშვილდისა და მისი მიდამოების არეში მყოფ საზაფხულო ციხე-დარბაზის ბაგრატ IV-ის ხელში გადმოსვლა მძაფრი და ხანგრძლივი შეხლა-შემოხლის შედეგად მომხდარა, როცა მეფე ბაგრატი იძულებული გამხდარა ძელზე გაესვა თავისი დის ქმრის ძმა—სომეხთა მეფე კვირიკე „სამ დღე". შესაძლოა ეს „სამ დღე" (ძელზე გასმა) და „სამ თვე" (რაც ბაგრატ IV-მ ვითომც აგარანის აღებას მოანდომა) ერთიმეორესთან დაკავშირებული სიდიდეებია. ყოველ შემთხვევაში ბაგრატის მოღვაწეობის აღწერაში სხვა რამ ამის მსგავსი ფაქტი არ არის დაფიქსირებული. საერთოდ კი შესაძლოა, მართლაც, სამ თვეს გაგრძელდა სამშვილდისა და მისი მიდამოების გადმოცემის მთელი პროცესი, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა მთლიან ბრძოლად ჩათვალა".(იქვე)

მკითხველს უნდა განემარტოს ამ დახლართული

კომბინაციის აზრი. „მატიანე ქართლისა" ორ სრულიად სხვადასხვა ფაქტზე მოგვითხრობს–1066 წ ბაგრატ IV-ის მიერ სამშვილდის აღებაზე და მის მიერვე აგარანის ციხის აღებაზე 1069 წ ამ უკანასკნელ ამბავს მოგვიანებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც იხსენიებს: დავითმაო „მასვე (1118 წ–დ.ბ.) წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა ციხკარს. რამეთუ პირველცა ეს ციხე აელო ბაგრატს, პაპასა მისსა გარნა სამ თუე ბრძოლითა"(I. 335).

ი. შაიშმელაშვილს ამ ორი სხვადასხვა დროს მომხდარი ბრძოლის, სხვადასხვა ავტორისეული აღწერილობიდან თვალში მოსვლია „სამი", რადგან ამ ცნობებში საერთო მხოლოდ ისაა, შემდეგ გაუიგივებია „დღე" და „თუე", აქედან გამომდინარე სამშვილდის მიდამოებიც აგარანიაო. „ყოველ შემთხვევაში, ბაგრატის მოღვაწეობის აღწერაში სხვა რამ ამის მსგავსი ფაქტი არ არის ფიქსირებული"–წერს ავტორი. ამ ლოგიკით ჯავახეთის ახალქალაქიც შეიძლებოდა აგარანად მიგვეღო, რადგან 1065 წ იმავე ალფ-არსლანს, ახალქალაქელნიც „ბრძოდეს სამ დღე" (I. 306).

სტატიის ავტორი სამშვილდესა და მის მიდამოებს ყოველთვის ერთად განიხილავს და იქვე გულისხმობს ნადარბაზევსაც (მისი აზრით აგარანს). ჩემი მხრით დავუმატებდი, რომ მართლაც „სამშვილდე" ციხე-ქალაქის გარდა სამშვილდის ქვეყანასაც გულისხმობდა. ეს კარგად ჩანს ქართული წერილობითი წყაროებიდან, სადაც იხსენიება „სამშვილდის ტბანი" „სამშვილდის ბარი" „სამშვილდის კარი" ე.ი. ამ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები და რაც მთავარია „ყოველი სამშვილდე", ანუ მისი მთლიანი ქვეყანა (I.314-331). აღნიშნული გარემოებაც ი. შაიშმელაშვილის საწინააღმდეგოს მეტყველებს: უკეთუ აგარანი სამშვილდის მიდამოებში იყო (ნადარბაზევთან) მაშინ რატომღა გამოჰყოფს მას სამშვილდის ქვეყნისაგან დავითის ისტორიკოსი: „.. სომხითი და **ყოველი სამშვილდე და აგარანი** თურქთა ჰქონდეს" (I. 331). გამოდის რომ აგარანი არ ყოფილა ყოველ სამშვილდეში. ეს კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს იმ ეპიზოდში, სადაც 1110 წ სამშვილდის აღებაზეა საუბარი: „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი" (I. 331). ამ ამონაწერის შესახებ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „სომხითის იმ ციხეთა შორის,

ქართველების მიერ სამშვილდის აღების გამო თურქებმა რომ დაცალეს, **აგარანი არ იგულისხმება**: ის დავით მეფემ იმით აიღო 1118 წ ჩანს აგარანი **არ ყოფილა ასე დამოკიდებული სამშვილდეზე**, როგორც ის „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი". აგარანს თავისთავადი, სამშვილდისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონია და, უნდა ვიფიქროთ, მაგარი ციხე ყოფილა" (2. 3092).

სამშვილდის აღებით თავზარდაცემული თურქები ღამით გარბიან სომხითის უმრავლესი ციხეებიდან და ასეთ პირობებში, განა წარმოსადგენია სამშვილდის მიდამოების ნადარბაზევი (ი. შაიშმელაშვილის მიხედვით-აგარანი) მათ ხელში დარჩენილიყო? ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძვლიანობას ოდნავადაც ვერ არყევს სტატიის ავტორის ის დასაბუთება, რომელიც მას აგარანისა და კოჯრის ციხის იგივეობის საწინააღმდეგოდ აქ მოაქვს: თურმე დავითის მიერ 1118 წ აღებული აგარანი კოჯრის ციხე ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ თბილისის შევიწროება დავითს მხოლოდ 1120 წლიდან დაუწყია, მას შემდეგ, რაც ყივჩაყთა მხედრობა ყოველმხრივ მოამზადა. ცხადია, რომ ეს ძალზე საეჭვო საბუთი აქ არ გამოდგება, რადგან ყივჩაყთა მომზადებამდეც დავითს უკვე ჰქონდა მოპოვებული საკმაოდ შთამბეჭდავი გამარჯვებები თურქებზე; კოჯრის ციხის (აგარანის) აღებით კი, სამხრეთიდან უკანასკნელი ზღუდე ერღვეოდა თბილისს, ამდენად კანონზომიერი ჩანს თბილისამდე აგარანის აღება.

ი.შაიშმელაშვილს უგრძვნია ის დიდი შეუსაბამობა, რასაც მის თვალსაზრისთან დაკავშირებით იწვევს სამშვილდისა და აგარანის (მისი აზრით ნადარბაზევი) აღების აგრე განსხვავებული თარიღები. აქაც მისი ახსნა სრულიად უსაფუძვლოა: „რატომ ასე გვიან—სამშეიდის აღებიდან 8 წლის შემდეგ გაათავისუფლა დავითმა სამშვილდის მიდამოების აგარანი?" კითხულობს ავტორი და იქვე პასუხობს „მხოლოდ იმიტომ, რომ სამშვილდის აღების შემდეგ (1110 წ) მდ. ჭივჭავის სათავეში განყენებულად, მყუდრო გარემოში დამკვიდრებული ამ საზაფხულო ციხე-დარბაზის გარნიზონი თბილისსა და დმანისს მოწყვეტილი აღმოჩნდა; მისი გარნიზონი ახლა ან ნებით უნდა გაშორებოდა იქაურობას, ან ქართველებს დანებებოდა. დიახ, მისი აღება ისეთ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა" (გვ. 141). ვიმეორებ, ნადარბაზევთან ციხე არსადაა; სად იდგა და როგორ გასძლო 8 წლის განმავლობაში ყველაფერს მოწყვეტილმა თურქულმა გარნიზონმა—ამის ახსნა

მხოლოდ პატივცემული გენერლის გამოცდილებას შეუძლია.

სტატიის ავტორი შემდეგ განიხილავს სტეფანოს ორბელიანის ცნობებს დავით აღმაშენებლის მიერ ივანე ორბელისათვის ლორისა და სამშვილდის გადაცემის შესახებ. იგივე ცნობები გააანალიზა თავის დროზე ნ. ბერძენიშვილმაც. ი. შაიშმელაშვილს მოსჩვენებია, რომ ნ. ბერძენიშვილი არა მხოლოდ კოჯრის ციხესა და აგარანს აიგივებდა, არამედ ლორესთან არსებულ სოფ. აგარაკსაც იმავე ციხედ თვლიდა. იგი წერს: „მიუხედავად ყველაფრისა ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ლორეს აღების დროისათვის სტეფანოს ორბელიანის მიერ ნახსენები, დღესაც არსებული სოფელი „აგარაკი", რომელიც ლორესთან ერთად ივანე ორბელს ეწყალობა, არის კოჯრის ციხე, ანუ აგარანი..., ანგარიში არ ეწევა სტეფანოს ორბელიანის მითითებას, რომ აგარაკი სოფელია და არავითარ კავშირში არ არის დარბაზთან... ამ აგარაკსა და აგარა-დარბაზს შორის საერთო მომენტების მონახვა შეუძლებელია"(142).

ახლა ვნახოთ რას წერდა განსვენებული მეცნიერი; დავითის ისტორიკოსი 1118 წ ამბებზე მოგვითხრობს: „ამასვე წელსა აღილო სომხითისა ციხე ლორე და მასვე წელსა ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა ცისკარს" (1. 335). ამონაწერს ნ. ბერძენიშვილის ასეთი კომენტარი ახლავს: „დამოწმებული ადგილიდან თითქოს საფიქრებელია, რომ აგარანი სადღაც ლორის ახლოსაა, მაგრამ შემდგომი ჩაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთი დასკვნა სავალდებულო არაა. აქ ის კი არ წერია, თითქოს დავით მეფემ აგარანი ლორის აღების მეორესა დღესა ცისკარს აიღო, არამედ ის, რომ მეფემ ივლისში აიხუნა აგარანი შემოდგომის უმალვე, ე.ი. დღეს რომ შემოადგა ციხეს, მეორე დღეს ცისკრისას აიღო იგი. ლორესთან ამ ამბავს მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ ის ციხე-ქალაქიც (ლორე) მეფემ იმავე წელს {ალბათ ივლისამდე} აიღო" (2. 320). აზრი ნათელია „ლორის აღების დროისათვის" ნ. ბერძენიშვილი ლორის აგარაკსა და აგარანს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ასევე იქცევა იგი შემდგომშიაც.

როდესაც აჯანყებული დემნა უფლისწული ორბელებით ლორის ციხეში გამაგრდა გიორგი მეფემ „მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა" (3.19). ამ ცნობის განხილვისას ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ერთის შეხედვით, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ აგარანი, სადაც გიორგი მეფემ დაიბანაკა,სადღაც ლორის ახლოა.მაგრამ შემდგომი ჩაკვირვება

ასეთი დასკვნის გაკეთებას არ გვაიძულებს... მოტანილი ადგილიდან ჩანს, რომ აგარანი ტაშირში არაა, რომ ეს პუნქტი ტაშირის გარეთაა. შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ აგარანი ამ დროის მეფის დასაყრდენი პუნქტია, მაშინ როცა ლორე (ტაშირით) აჯანყებულთა სიმაგრეა". იქვე სქოლიოში ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „საგეოგრაფიო სახელი აგარიკი აღნიშნულია აგრეთვე ტაშირში, ლორიდან 5კმ-ის მანძილზე, მის აღმოსავლეთით. არაა საფიქრებელი, რომ მას კავშირი ჰქონდეს აგარაკის საეპისკოპოსო ეკლესიასთან, ან კიდევ უფრო სომხითის აგარანთან"(2. 310-312).

დამოწმებული ამონაწერები ცხადყოფენ, რომ სტატიის ავტორს ვერ გაუგია ნ. ბერძენიშვილის სიტყვები, სრულიად საწინააღმდეგო აზრს მიაწერს მას და შემდეგ თავგამოდებით ეკამათება („მიუხედავად ყველაფრისა...", „ანგარიში არ ეწევა").

რა თქმა უნდა, ი. შაიშმელაშვილი ამას განგებ არ სჩადის, აქაც გაუგებრობით მოსდის. საქმე ისაა, რომ იგი სარგებლობს სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას" ძველი ქართული თარგმანებით, რომელიც 1978 წ გამოსცა ელ. ცაგარეიშვილმა. სომხური ტექსტიდან სხვადასხვა დროს (XVII და XVIII სს) შესრულებული თარგმანები, ერთმანეთისგან დამოუკიდებელია; სწორედ ამიტომ ისინი მნიშვნელოვნად სხვაობენ როგორც ურთიერთის, ასევე ხშირად დედნის ტექსტისაგანაც. გამომცემლის (ელ. ცაგარეიშვილის) შესავალში აღნიშნულ ამ გარემოებას სტატიის ავტორი ყურადღებას არ აქცევს და იმეორებს ძველი ქართული თარგმანებიდან ერთ-ერთს: ივანე ორბელს „მიეცა მეფისაგან ლორე სოფლითა და აგარაკითა თეისითა და ადგილად დარბაზისა სამშეილდე, რომელი–იგი იყო მამათა მისთა, კუალადცა მიეცა სოფლით თეისითურთ"(4. 39).

ამის გამო ი. შაიშმელაშვილი დაასკვნის, რომ აქ „იგულისხმება სომეხ მეფეთა ნაქონი საზაფხულო ციხე-დარბაზი აგარანი. რომელიც მდ. ჭივჭავის სათავეში იყო და რომლის ბაზაზეც ივანე ორბელმა დიდებული აგარაკი გაიწყო" (142). ძველი ქართული თარგმანის მეორე ტექსტი ამ ადგილს ასე გადმოგვცემს: ივანე ორბელს „მიეცა მეფისა მიერ სასახლედ გინა პალატად ლორე გარემოჳთა თჳსითა, ეგრეთვე სამშვილდე, რომელი იყო მამული მათი, კუალად მიეცა მათ დაბებითურთ". ქართუ+ლი თარგმანებიდან არცერთი ზუსტად არ მისდევს სომხურ

დედანს, სადაც ნათქვამია რომ ივანეს „მიეცა ლორე თავისი გავარით, და აგარაკი ადგილად დარბაზისა, და სამშვილდე რომელიც იყო მამული მათი, კვლავ მიეცა გავარითურთ" (4. 120). როგორც ვხედავთ, სინამდვილეში აქ ლორესა და მის გავარზე ცალკეა საუბარი, რომელშიც არ შედის სადარბაზე ადგილად მოცემული აგარაკი, იგი ლორის გავარის მერეა დასახელებული, ასევე ცალკეა სამშვილდე თავისი გავარით.

ძეგლის გამომცემელი—ელ. ცაგარეიშვილი შესავალში წერს: „A–864 ხელნაწერის ქართული თარგმანის სომხურ დედანთან შედარებამ ცხადყო, რომ ბევრ ადგილას მთარგმნელს სრულიად ვერ გაუგია რომელიმე სომხური სიტყვა თუ ფრაზის მნიშვნელობა... ხშირად სრულიად გამოტოვებულია ცალკეული სიტყვა-გამოთქმა, წინადადება, ან რამდენიმე წინადადება ერთად... არის ასეთი შემთხვევებიც, როდესაც... ქართულ თარგმანში ჩართულია ისეთი სიტყვები და წინადადებები, რომელიც სომხურ დედანში არ გვხვდება". სომხურ დედანთან უფრო ახლოა მეორე ნუსხის ქართული თარგმანი, მაგრამ აქაც არის უზუსტობანი. გამომცემლის მიერ მოტანილია მაგალითი, როცა „გავარი" თარგმნილია სიტყვით „სოფელი". „სოფელი უფრო კონკრეტული ცნებაა, გავარი საკმაოდ დიდი ადმინისტრაციული დანაყოფია, მასში შეიძლება შედიოდეს არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე სოფელი, დაბები, ქალაქები. ასე რომ „გავარის" თარგმნა „სოფლად" ერთგვარ უზუსტობას ქმნის. იგივე უნდა ითქვას „გავარის" „დაბა"-ს მნიშვნელობით თარგმანზეც" (4.19).

ქართული თარგმანების და სომხური დედნის ჩემს მიერ ზემოთ შედარებული ადგილი სწორედ ასეთ შემთხვევათაგანია; ძველი ქართული თარგმანები მნიშვნელოვნად განსხვავებულ სიტუაციას აღწერენ. ახლა ნათელია რა ნიადაგზეა დამყარებული ი. შაიშმელაშვილის დასკვნები.

ნ. ბერძენიშვილი აქაც და სხვა შემთხვევებშიც სომხურ დედანს ეყრდნობოდა, იგი სავსებით მართებულად აგარაკს, მიცემულს დარბაზის ადგილად, არც ლორეში და არც სამშვილდეში არ გულისხმობდა; ამიტომაც სტეფანოს ორბელიანის სხვა ადგილების გათვალისწინებით იგი შენიშნავდა: „შეუძლებლად არ გვეჩვენება, რომ ქართული წყაროების აგარანი და სტეფანოს ორბელიანის „აგარაკი-დარბაზი" ერთიმეორეს ემთხვეოდნენ"-ო (2. 238).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ სტეფანოს ორბელიანის

ზემოხსენებული ნაწყვეტის ლ. მელიქსეთ–ბეგისეულ ქართულ თარგმანში არის ნახმარი გამოთქმა „აგარაკი-ნადარბაზევი", რომელიც მას ლორესთან მყოფი სოფელი ეგონა (5. 34). შ. მესხიას, ლ. მელიქსეთ-ბეგისეული თარგმანის კომენტირებისას, ი. შაიშმელაშვილზე დიდი ხნით ადრე, შესაძლებლად მიაჩნდა („იქნებ") „ადგილი სადარბაზე", ვახუშტისეულ ნადარბაზევთან გაეიგივებინა (6. 84). მაგრამ მთავარი ის იყო, რომ განსვენებული მეცნიერიც მოტანილ ნაწყვეტში სტეფანოს ორბელიანიდან, აგარაკსა და სადარბაზე ადგილს შორის მძიმეს სვამდა, ე.ი. მათ ერთმანეთს არ უკავშირებდა, რაც ასევე არაა სწორი.

შ. მესხიას ეს აზრი იცოდნენ ნადარბაზევის გამთხრელებმა, რომლებმაც გათხრების ანგარიშში აღნიშნეს, რომ ასეთი გაიგივებისათვის საჭირო იყო სხვა ისტორიული წყაროებით მეტი დასაბუთება (7. 101). ი. შაიშმელაშვილმა ეს ფაქტები არ იცის, ყოველ შემთხვევაში მის სტატიაში არც ლ. მელიქსეთ-ბეგი, არც შ. მესხია, არც ი. ციციშვილი და პ. ზაქარაია არ იხენიებიან.

სტატიის ავტორი შენიშნავს, რომ ორბელთა განადგურების შემდეგ, ზემოხსენებული აგარაკი–დარბაზიც მხოლოდ „ნადარბაზევად" შეიძლებოდა ქცეულიყო. არც ეს უნდა იყოს სწორი. ასე თუ ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ რაც ჩვენში „ნადარბაზევი", „ნაპალატევი", ან „ნაქალაქევი"-ა, ადრე ყველას „დარბაზი", „პალატი", და „ქალაქი" უნდა რქმეოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი „ნადარბაზევი", „ნაპალატევი", „ნაქალაქევი" იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ სახელების შერქმევის დროს, მათი ძველი სახელწოდებანი უკვე დაკარგული იყო და მხოლოდღა ნანგრევები იძლეოდნენ ასეთი სახელების საფუძველს. ქვემო ქართლის ტოპონიმიაში „ნადარბაზევის" გვერდით „დარბაზიც" გვხვდება ნასოფლარების სახელად. ი. შაიშმელაშვილის მიხედვით, ისინი „ნადარბაზევად" უნდა ქცეულიყვნენ, მაგრამ ასე არ მომხდარა. ამიტომ სულ არაა აუცილებელი ნადარბაზევის ძველი სახელი დარბაზი ყოფილიყო.

ი. შაიშმელაშვილის ზემოხსენებული ძველი ქართული თარგმანის მიხედვით ჰგონია, რომ სომეხი ისტორიკოსი მოტანილ ნაწყვეტში იხსენიებს ლორესთან დღესაც არსებულ „ერთი ბეწვა სოფელ აგარაკს", „რომ აგარაკი სოფელია და არავითარ კავშირში არ არის დარბაზთან". სომხური დედნის შესატყვისი ადგილი კი, პირიქით მოწმობს, რომ აგარაკი სწორედ დარბაზთანაა

დაკავშირებული (იგი "დარბაზის ადგილია"). სტატიის ავტორს სტეფანოს ორბელიანის სომხურ ტექსტში რომ ჩაეხედა (იგი თან ერთვის ძველ ქართულ თარგმანებს), ეგების შეენიშნა, რომ იქ სახელწოდება "აგარაკი" ყოველთვის მთავრული ასოთი იწყება, "დარბაზი" კი, პატარა ასოთია დაწყებული, რაც ისევ იმაზე მიუთითებს, რომ სტეფანოს ორბელიანი სწორედ აგარაკს თვლიდა საკუთარ, ადგილს სახელად, ხოლო დარბაზს ზოგადი მნიშვნელობით ხმარობდა, ისევე როგორც ძველი ქართული თარგმანი: "სასახლედ ვინა პალატად." ასევეა ეს ადგილები გადმოცემული ნ. ემინის რუსულ თარგმანში, სადაც სტეფანოსის ტექსტის შესაბამის ადგილებში ყველგან იკითხება: "Агарак с дворцом" в "Агаракском дворце" в "Агаркский дворец" (8. 362, 364. 365).

ი. შაიშმელაშვილს ქართული თარგმანიც არასწორად ესმის: "ლორე სოფლითა და აგარაკითა თვისითა" სულაც არ ნიშნავს "ლორე სოფელ აგარაკითა"-ს. აქ ლორესთან არსებულ ტოპონიმზე არაა საუბარი. ეს კარგად ჩანს ძველი ქართული თარგმანის მეორე ტექსტში; იგი მოტანილი წინადადების ფარდად იძლევა: "ლორე გარემოჲთა თჳსითა". ამ სიტყვებით ცდილობდნენ ქართველი მთარგმნელები გადმოეცათ სომხური დედნის "ლორე თავისი გავარით".

სტატიის ავტორი წერს: "ზღაპრული სიმტკიცის ციხე-ქალაქ ლორეს ამღები ქართული მხედრობისათვის მიმდებარე ერთი ბეწვა სოფელ აგარაკის აღება არავითარ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული. ამიტომაც ქართველ მემატიანეს ლორეს აღებასთან დაკავშირებული ამბების აღწერისას ეს სოფელი აგარაკი არც უხსენებია. სამაგიეროდ მის ნაამბობში აგარანის აღების შესახებ ერთ დღე-ღამიანი ბრძოლა ჩანს: დავით აღმაშენებელმა "აღიხენა აგარანი მეორესა დღესა ციხკარს", ანუ ლაპარაკია საკმაოდ მძლავრი ობიექტის "სამშვილდის ნადარბაზევის" გატეხვაზე, რომელსაც მ. ლორთქიფანიძე ციხე-ქალაქის რიგშიც კი აყენებს, ყოველ შემთხვევაში, მას შემორტყმული ჰქონია დიდი გალავანი" (142).

სამშვილდის ნადარბაზევის "საკმაოდ მძლავრ ობიექტად" წარმოდგენა ი. შაიშმელაშვილს ისევ იმისთვის სჭირდება, რომ როგორმე დაარწმუნოს მკითხველი ამ პუნქტისა და აგარანის ციხის იგივეობაში. საამისოდ იგი ახლა მ. ლორთქიფანიძის ავტორიტეტს იშველიებს, რომელსაც "საქართველოს ისტორიის

ნარკვევების" III ტომის 237 გვ. მართლაც უწერია: 1118 წ დავითმა „აიღო ციხე-ქალაქები ლორე და აგარანი" მაგრამ ამ წინადადებაში რომ კორექტურული შეცდომაა, ან კალმის ლაფსუსი, ეს სტატიის ავტორსაც უგრძვნია და თავისი დასკვნა ასე შეუმაგრებია: „ყოველ შემთხვევაში მას (ნადარბაზევის სასახლეს—დ. ბ.) შემორყმული ჰქონია დიდი გალავანი"ო და უთითებს „ნარკვევების" იმავე ტომში დაბეჭდილ გ. ლომთათიძის ნაშრომს. განსვენებული მეცნიერი იქ წერდა: „თავისთავად ცხადი და ცნობილია, რომ სასახლეების შორიახლოს ყველგან ცხოვრობდნენ (ჩვეულებრივ სახლებში) მათი მოსამსახურეები „მოჯალაბეები"... მკაფიოდ ჩანს ეს სამშვილდის ნადარბაზევში, სადაც გალავანს გადაღმა ასიოდე მეტრზე არის მეორე ნასოფლარი" (9. 522).

როგორც ვხედავთ, აქაა გალავნიანი სასახლე, რომელიც ძნელი წარმოსადგენია „საკმაოდ მძლავრ ობიექტად" და სრულიად არ შეეფერება დავითის ისტორიკოსის აღწერას, სადაც აგარანი ხაზგასმით ციხედაა დასახელებული: „პირველ ესე ციხე აღლო ბაგრატს".

სტატიაში შემდეგ ავტორი ყურადღებას ამახვილებს სტეფანოს ორბელიანის ცნობაზე, სადაც ნათქვამია, რომ 1177 წ აჯანყების დროს, როდესაც გიორგი მეფე გაძლიერდა, ივანე ორბელმა თავისი მონაგები ქონება სამშვილდის ციხეში შეიტანა, თვითონ კი ლორეს წავიდა. გიორგი მივიდა, ვეღარ იპოვა ისინი აგარაკს, მერე ალყა შემოარტყა ციხეს და 25 დღის შემდეგ აიღო ის (4. 47, 123).

ამ ამბების გამო ი. შაიშმელაშვილი აღნიშნავს: „სტეფანოს ორბელიანი წერს, რომ გიორგი III-მ სამშვილდის აღებას 25 დღე მოანდომა, ხოლო გიორგი მეფე სამშვილდეს მხოლოდ მაშინ მოადგა, რაც ივანე ორბელის „აგარაკსა მას" „ვერავინ პოვა".
ნ. ბერძენიშვილის აზრით, მეფე „მოადგა" არა სამშვილდეს, არამედ ისევ და ისევ კოჯრის ციხეს, ანუ ვითომც აგარანს. რატომ? განა აშკარად არ ჩანს: რაც ივანე ორბელიანმა დამალა „ციხესა სამშვილდისასა" ზუსტად ის ამოიღო ამ ციხიდან გიორგი მეფემ: ივანე ორბელმა „შეკრიბა ყოველი მონაგები თვისი ციხესა მას სამშვილდისასა", რომელიც იყო „სავსე ურიცხუთა საუნჯითა", გიორგი მეფემ „აღიღო იავარი მრავალი საუნჯეთა მათთა და ყოველი მონაგები მათი".

აქ ეჭვისათვის ადგილი აღარ რჩება, საუბარია ერთსა და

იმავე ციხესა და ერთსა და იმავე ქონებაზე! აი ამ ზღაპრული სიმდიდრის გამომზეურებას, აღრიცხვასა და „ათვისება"–დაბინავებას უნდა მონდომებოდა იმოდენა დრო (25 დღე), რაც გიორგი მეფეს ამ ციხის (სამშვილდის) „აღებისათვის „დასჭირდა" (144).

დავიწყოთ იქიდან, რომ სტეფანოს ორბელიანი არსად არ წერს–გიორგი მეფემ სამშვილდის ციხის აღებას მოანდომა 25 დღეო; ეს სტატიის ავტორის მიხედვრაა. სტეფანოს ორბელიანი ასახელებს არა სამშვილდეს, არამედ აგარაკს, სადაც მეფეს შეითქმულნი ეკულებოდნენ და მერე ციხეს-უსახელოდ. ყველაზე უფრო ბუნებრივია აქაც აგარაკისავე ციხე ვიგულისხმოთ და არა სამშვილდისა; ასე რომ არ ყოფილიყო, აგრაკის მოხსენიების შემდეგ, სომეხ ისტორიკოსს არაფერი შეუშლიდა ხელს აქაც მიეტანა სამშვილდის სახელი. სომხური ტექსტის რუსულ თარგმანში ეს ციხე აგარაკის ციხედ აქვს გაგებული ნ. ემინსაც (8. 365).

სტატიის ავტორისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიუღია იმ ფაქტს, რომ სამშვილდის ციხეში დახიზნული და მეფის მიერ აგარაკის ციხიდან აღებული განძეულის აღწერისას, სტეფანოს ორბელიანის ორივე ციტატაში მსგავსი სიტყვებია ნახმარი; ესენია: „ყოველი მონაგები" და „საუნჯე მათ"-ი. მხოლოდ ამ ზოგადი ფრაზების გამეორების გამო ი. შაიშმელაშვილი დაასკვნის, რომ ორივე სემთხვევაში „ზესტად" ერთი რაოდენობის განძზეა საუბარი. ამას გამოუწვევია ავტორის შეძახილი: „აქ ეჭვისათვის ადგილი აღარ რჩება საუბარია ერთსა და იმავე ციხესა და ერთსა და იმავე ქონებაზე"-ო, მაგრამ ეს ასე არაა.

ძალზე ნიშანდობლივია, რომ ამ ამბების აღწერისას ქართული წყაროები არსად სამშვილდეს არ იხსენიებენ. არ ასახელებს სამშვილდეს ამ მოვლენათა თანამედროვე და თვითმხილველი დავით ქობაორელიც. იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს აჯანყების მსვლელობას და ქვემო ქართლის პუნქტებიდან ასახელებს **აგარაკის ციხეს**, კაენს, ლორეს, მაჰკაბერდისა და ძორაგეტის მხარეებს, მაგრამ სამშვილდეს–არა. შესაბამის ადგილას ის წერს, რომ გიორგი მეფემ „ალყა შემოარტყა აგარაკის მტკიცე სიმაგრეს. ალყა ორთვენახევარს გაგრძელდა... ციხის შიგნით მყოფნი ბრძოლაში გამოცდილები იყვნენ, მაგრამ რადგან წყლის გზაც მოჭრილი ჰქონდათ... უნებლიედ ჩამოვიდნენ და დაუთმეს სიმაგრე.

ამის შემდეგ მეფემ შეკრიბა ჯარი და მოადგა აჯანყებულებს ლორეში" (10. 265). როგორც ვხედავთ ორივე სომხური წყარო აგარაკის ციხეზე საუბრობს და არა სამშვილდისაზე.

ი. შაიშმელაშვილს რატომღაც არ სჯერა ქართულ წყაროთა ჩვენებებისა აგარანის ციხის სიმტკიცეზე. წინ მას ეჭვი აქვს გამოთქმული („ვითომც...") დავითის ისტორიკოსის ცნობაზე, სადაც ნათქვამია, რომ აგარანის ციხის ასაღებად ბაგრატ მეფეს 3 თვე დასჭირვებია. ამიტომაც სტატიის ავტორმა ის ფაქტი „სამშვილდისა და მისი მიდამოების გადმოცემის მთელ პროცესად" დაგვიხატა. ამ შემთხვევაშიც ავტორს არ მოსწონებია 25 დღის დახარჯვა აგარაკის ციხის ალყაზე, ამის გამო ახლა ასეთ სურათს წარმოსახავს: „ამ ზღაპრული სიმდიდრის გამომზეურებას, აღრიცხვას და „ათვისება"-დაბინავებას უნდა მონდომებოდა იმოდენა დრო (25 დღე), რაც გიორგი მეფეს ამ ციხის (სამშვილდის) „აღებისათვის" დასჭირდა"-ო. ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა „აღება" მიგვანიშნებს, რომ ი. შაიშმელაშვილი მასში სხვა შინაარს სდებს. პატივცემულ გენერალს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ხმლისა და მშვილდ-ისრის ეპოქაში შუა საუკუნეების ციხეები ხშირად აუღებელი რჩებოდნენ და მათ დამორჩილებას ისევ ხანგრძლივი ალყით, შინაგაცემით, ციხისუფალთა, (ან მათ ახლობელთა) ძელზე გასმით აღწევდნენ. ასე რომ აგარაკის ციხის ალყაზე (და არა სამშვილდეზე) დახარჯული 25 დღე სრულიად ნორმალური ჩანს (დავით ქობირელის სიტყვით, აგარაკის ციხის ალყა ორთვენახევარს გაგრძელებულა).

მას მერე, რაც ივანე ორბელი და დემნა უფლისწული ლორეში გამაგრდნენ, გიორგი მეფემ „მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა და გაგზავნა ლაშქარნი" ჰერეთსო, წერს თამარის ისტორიკოსი (3. 19). ი.შაშიაშვილი წერს: „ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ ეს „აგარათა"-ც ისევ და ისევ კოჯრის ციხეა, რომელიც გარდა იმისა, რომ ჯარების თავმოყრისათვის ზაფხულშიც და ზამთარშიც უვარგისი იყო, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც არც ლორეში დატოვებული ჯარების, არც ჰერეთში გასაგზავნი ჯარების მართვის პუნქტად არ ვარგოდა. არაავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ გიორგი მეფე ზამთარში კოჯორში მჯდარიყო ორივე ფრონტს მოწყვეტილი. თბილისში მაინც ჩამოვიდოდა თავის ოჯახში" (144).

ავტორის მიერ მითითებულ გვერდებზე ნ. ბერძენიშვილს არ უწერია, რომ ლორე-ტაშირის მორბევის მერე გიორგი მეფე კოჯრის ციხეში დაჯდა და მთელი ზამთარი იქ გაატარა ოჯახს მონატრებულმა. ამას მხოლოდ სტატიის ავტორი წარმოიდგენს და ნ. ბერძენიშვილს მიაწერს. განსვენებული მეცნიერი კი ვარაუდობდა, რომ „აგარანი" ზოგადად ეწოდებოდა თბილისის სამხრეთით და კოჯრის ციხის მიდამოებში არსებულ დაბებს, იქვე უნდა ყოფილიყო „დასი" და „აგარათა ჭალა", იგი უფრო ნიშანდობლივ ასახელებდა ტაბახმელას, ხატის-თელეთს („სახატე") კაბენს, ასურეთისხევს; მთელ ამ ტერიტორიაზე გაბატონებულ კოჯრის ციხეს კი „აგარათა ციხე" ერქვაო (2. 31, 331).

ზევით ი. შაშიაშვილი ამტკიცებდა, რომ აგარანი სამშვილდის ნადარბაზევია. ახლა იგი მკითხველს განუმარტავს, რომ ყოფილა სხვა ადგილიც მსგავსი სახელწოდებით, „რომელიც ჩვენს მემატიანეებს მოხსენიებული აქვთ **ზოგჯერ პირდაპირ ასე** „აგარათა"-დ; „აგარათა შეყრა გააგეს"; გიორგი ლაშას ლაშქარი დადგა „ლომთა გორსა და აგარათა (ე.ი. აგარებს—ი. შ) შუა", ზოგჯერ „აგარათა (ე.ი. აგარების)ჭალად" და „აგარათა სომხითისათა"-დ. ეს **„აგარათა"— წარმოადგენდა მდ. ალგეთის. ქციასა და მაშავერას ზონაში ნახიდურიდან ნახიდვარამდე განვრცობილ ტერიტორიას"** (145).

მაშასადამე, ავტორის აზრით ერთია „აგარანი" (ნადარბაზევი), ხოლო მეორე—„აგარათა", ე.ი. მარნეულის ვაკე. „აგარათა" მან წარმოიდგინა ნაგქნეტივარ სახელად ყორანთა,მოწამეთა-ს ტიპისა („აგარათა—ში ყველა პირობა იყო". „ამ აგარათა-დან დებედის ხეობით..." და სხვ.) წყაროებიდან მოტანილსა და ყველა სხვა ციტატებშიაც რომ ერთი აგარანი იგულისხმება—ეს ნათელია: „აგარათა" იგივე „აგარანია", ოღონდ ბრუნვაში ჩასმული. ეს კარგად ჩანს „მატიანე ქართლისა"-ს მონათხრობიდან: მივიდა ფადლონ და **მოადგა აგარათა; და მისცნა ციხისთავმან აგარანი.** მსწრაფლ აღმოვიდა მეფე , მივიდა და მოადგა **აგარათა** და **წარიხუნა აგარანი".** (1. 313) ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ „დაიბანაკა აგარათა"-ს მაგიერ იქნებოდა „დაიბანაკა აგარათასა" „აგარათა შეყრა გააგეს"-ო კი არა, ისტორიკოსი დაწერდა: „აგარათასა შეყრა გააგეს". ასევე კარგად ჩანს ეს მომენტი თამარის ისტორიკოსთან. ტაშირის მორბვის მერე გიორგი მეფემ „დაიბანაკა აგარათა". აქედან გაგზავნა ლაშქარი ჰერეთს, იქ გამარჯვების შემდგომ კი **„მეფე აგარასა მყოფი** აღვიდა და

მოადგა ლორესა".

ისტორიკოსის „აგარათა" რომ „აგარანი"-ს გენეტივია, ჩანს იქიდან, რომ იმავე პუნქტს იგი მეორე შემთხვევაში „აგარა"-ს უწოდებს. საინტერესოა რომ თამარის ისტორიკოსის ამ ბოლო წინადადებას სტატიის ავტორი შეცვლილი სახით გვთავაზობს: „აგარა"-ს მაგიერ წერს „აგარათა"-ს (145). ეს იმიტომ რომ აგარა და აგარანი მას სამშვილდის ნადარბაზევი ჰგონია, ეს ადგილი კი სრულიად არ შეეფერება მის მიერ ზემოთ მოყვანილ ციტატებს „აგარათა"-ს მოხსენიებით (ლაშქარი დადგა „ლომთა გორსა და აგარათა შუა" და სხვ.). ი. შაიშმელაშვილის აზრით, მარნეულის ვაკის „ცენტრალური უბანი ვახუშტი ბაგრატიონის ხანის „ბაიდარ"-ად, ადრე კი „წყალთაშუა"-დ იწოდებოდა. აი ეს მარნეულის ვაკის გული წარმოადგენდა აგარებით მოფენილ უაღრესად ნაყოფიერ მიწებს ჭალის მუხისა და ჭალის ტყიანი ლანდშაფტის ელემენტებით, აგარათა ჭალას. თავის დროზე აქ იყო თამარ მეფისა და ლაშა გიორგის საზამთრო სასახლე—სადგური დური" (145). ეს კიდევ ერთი გაუგებრობაა: თამარის ისტორიკოსი, რომელიც იხსენიებს დურსაც და „აგარათა ჭალასაც" სრულიად გარკვევით განასხვავებს ამ პუნქტებს; არსაიდან ჩანს მათი იგივეობა, ან სახელების ერთიმეორეთი შენაცვლება დროთა განმავლობაში.

მარნეულის ვაკე, სადაც პატივცემულმა გენერალმა „აგარათა" დაიგულა და სამეფო საზამთრო სასახლე ივარაუდა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" სტატიების მიხედვითაა შერჩეული; ეს გაკეთებულია იმიტომ, რომ „აგარათა ჭალას" და დასოს მოეძებნოს ადგილი, რადგან კოჯრისა, თუ მის ძირში მყოფი მიდამოებიდან, ავტორის აზრით, საამისოდ არცერთი არ ვარგა: „ჭალა იქ მაინც არ არსებობს.—ცნობილია, მხოლოდ ასურეთის ხევი, რომელიც ზაფხულ—შემოდგომობით შრება, ან წყალმცირეა. რაც შეეხება კაბენს ასურეთის ხევის ზემო წელზე სწორედ იმიტომ, რომ იგი კოჯრისა და ტაბახმელას მიდამოებთან შედარებით ღრმად არის ჩავარდნილი, ზაფხულობით იქ დიდი სიცხე იცის. ვის რად უნდოდა ასეთი ჭალა და დასო, ისიც უგზო-უკვლო ხევ-ხუვებში"-ო (143).

ჯერ ერთი ჩვენ არ ვიცით როგორი იყო აქაური მცენარეული საფარი XII–XIII სს. ხოლო თუ დღევანდელი ვითარებით ვიმსჯელებთ, მაშინ ვნახოთ რას წარმოადგენს ახლა მარნეულის ვაკე. ენციკლოპედიის ზემოხსენებული სტატიების მიხედვით,

რომელსაც ი. შაიშმელაშილი უთითებს. ეს ვაკე გავრცელებულია მდინარეების ალგეთის, ხრამის, მაშავერის და დებედის ქვემო დინებათა აუზში, ფართობით –40 კმ. X 20 კმ; „აგებულია... კენჭნარით, კონგლომერატებით, ქვიშნარებით და თიხებით" (ი. შაიშმელაშვილის მიხედვით, „უაღრესად ნაყოფიერი მიწები"). მარნეულის ვაკეზე სტეპის ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული... აბს. მაქს. 40°... ბუნებრივ მცენარეულ საფარში ჭარბობს უროიან-ავშნიანი და უროიან ჯაგეკლიანი დაჯგუფებები, ზოგან-მლაშობი ნახევრად უდაბნოს მცენარეულობა" (ი. შაიშმელაშვილის მიხედვით „ჭალის მუხისა და ჭალის ტყიანი ლანდშაფტის ელემენტებით"). აქ ნახსენები მუხის ხეები გავრცელებული ყოფილა მხოლოდ ამ ვაკის სამხრეთ კიდეზე, „ლოქის ქედის მთისწინეთში"', ე. ი. ძლიერ შორს წყალთაშუა-ბაიდრიდან. გამოდის რომ მარნეულის ვაკე ვერაფრით სჯობს კოჯრის მიდამოებს; პირიქით, ამ უკანასკნელის უპირატესობა სწორედ საზაფხულო და საზამთრო სადგომთა სიახლოვეშია.

მარნეულის ვაკე საკმაოდ დიდი ფიზიკურ-გეოგრაფიული არეა. მისი შუაგული, ძველი წყალთაშუა, სტატიის ავტორმა მიიჩნია „აგარათა ჭალა"-დ „რომელიც, რა თქმა უნდა ციხე-სიმაგრის ელემენტსაც შეიცავდა და ამიტომ ზოგჯერ „აგარათა ციხედაც" მოიხსენიება. „აგარათა"-ში ყველა პირობა იყო დიდძალი ჯარის თავმოყრისა და ხანგრძლივი არსებობისათვის"(145).

ბაიდარი, ანუ წყალთაშუა მარნეულის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაშლილი ველია, ალგეთს, მტკვარსა და ქციას შორის მოქცეული. არავითარი სასახლე, „რომელიც რა თქმა უნდა ციხე-სიმაგრის ელემენტსაც შეიცავდა", ძველად აქ არ ყოფილა. ასეთი არაფერი იცის არც ვახუშტიმ და არც ძველმა ქართულმა ნარატიულმა წყაროებმა. მაშ სად უნდა ვეძებოთ ამ „აგარათა"–ში „აგარათა ციხე", სადაც თამარი გარდაიცვალა? ან როგორ შევათანხმოთ „ისტორიათა და აზმანთა" ცნობასთან, რომ თამარი გარდაიცვალა „ჰმელსა დგომასა შინა" (3. 119). ამ ადგილს ფარსადან გორგიჯანიძე ხომ პირდაპირ ტაბახმელად მოიხსენიებს, იოანე ბატონიშვილი კი–ზემო ტაბახმელად (12, 104).

საერთოდ, ეს „ციხე აგარანი" და „აგარათა ციხე" ძალიან უშლის ხელს ი. შაიშმელაშვილის მტკიცებას. იგი ყოველთვის სუსტ ადგილებში იჩენს თავს. ამიტომ არის, რომ სტატიის ავტორი სამშვილდის ნადარბაზევს ხან „ციხესიმაგრეს უწოდებს", ხან

„ციხე-დარბაზს", ხან „მძლავრ ობიექტს", ბოლოს კი „მას შემორტყმული დიდი გალავნით" კმაყოფილდება. ახლაც იგი წყალთაშუაში ეძებს ამ ციხეს, არ აწყობს მისი უკვალოდ გაქრობა, თანახმაა „ციხე სიმაგრის ელემენტებ"-ზეც, მაგრამ ისიც კი არ ჩანს.

სტატიის ავტორი რამდენიმეჯერ აღნიშნავს, რომ კოჯრის მიდამოებში შეუძლებელი იყო მრავალრიცხოვანი მხედრობის დგომა. იგი ეყრდნობა სტეფანოს ორბელიანის ცნობას, რომლის მიხედვით 1177 წ შეთქმულების დროს, აგარაკს მოსული ორბელთა მომხრეების რიცხვი იყო 30 000 კაცი და წერს: „ამ „ბუდეში" 30 ათასი ცხენოსნის დაბანაკება სრულიად წარმოუდგენელია, რადგან აქ არ მოიპოვება ცხენებისა და ადამიანების დიდი მასებისათვის წყალი და საკვები. ცხენს დღეში 50 ლიტრა წყალი უნდა (ზამთარში-40, ზაფხულში 60 ლიტრა). 30 ათას ცხენს დღე-ღამეში მილიონნახევარი ლიტრა წყალი უნდა დაელია. ხოლო მთელ „თბილისის პირის" სოფლების ყველა სასმელი წყარო მხოლოდ 55 ათას ლიტრას იძლეოდა დღეღამეში, ანუ ზემოაღნიშნული საჭიროების მხოლოდ 3%-ს. ყოველივე ეს რადიკალურად ეწინააღმდეგება მტკიცებას თითქოს კოჯრის მიდამოები (აგარანი!) „მარჯვე პუნქტია დიდძალი ჯარის შესაყრელად".

ქვემოთ ერთხელ კიდევ შევჩერდებით ამ ანბანურ ჭეშმარიტებაზე, როცა განვიხილავთ ამავე „აგარან-კოჯრის" რეგიონში თითქმის ორი ამოდენა ცხენოსნის დაბანაკებისა და ხანგრძლივად (1 კვირით) დგომის გაუმართლებელ მტკიცებას". თავის მსჯელობას რომ მეტი საბუთიანობა მისცეს, ი. შაიშმელაშვილს რატომღაც ტექსტში არ შეუტანია, მაგრამ სქოლიოში კი აღუნიშნავს: „ავტორმა წარმოადგინა საქ. გეოლოგიის სამმართველოს მიერ 1985 წ. 5 მარტს მიცემული დამადასტურებელი ცნობა"(150. შენ. 90).

აჯანყებულ ორბელთა მომხრეების რიცხვი მართლაც 30 000 რომ ყოფილიყო (რაც არაა აუცილებელი ზუსტი იყოს—სტეფანოს ორბელიანი საუკუნის შემდეგ წერს ამ „ცხოვრებას"), წარმოუდგენელია მთელი ჯარი ცხენზე ამხედრებული მოსულიყო. პატივცემულ გენერალს უნდა მოეხსენებოდეს,რომ ფეოდალური ლაშქარი შედგებოდა ქვეითი და ცხენოსანი რაზმებისაგან. დავით ქობარელის მიერ აღწერილ იმავე ბრძოლების დროს, უმეტესად სწორედ ქვეითი ჯარები

წარარ, ამიტომ ი. შაიშმელაშვილის მიერ გამოანგარიშებული სასმელი წყლის რაოდენობა უნდა განახევრდეს მაინც, და მერე თუნდაც ხანგრძლივად აქ დგომის პირობებში, წყაროს წყლის დანაკლისს რემების მდინარეზე გარეკვით ვერ შეივსებდნენ?

ნ. ბერძენიშვილი, რიცა აგარანს დიდი ჯარის შესაყრელად მარჯვე პუნქტად მიიჩნევდა „აგარან"-ში საკუთრივ ციხის გარდა მეტ-ნაკლებად ფართო არემარეს გულისხმობდა, სადაც ეს აგარები (-„აგარანი") იყო და რომელთა სახელიც შეერქვა თვით ციხეს. ნიშანდობლივია, რომ ისტორიკოსს „აგარანი" მრავლობითი რიცხვით ესმის. ერთი სიტყვით, ნ. ბერძენიშვილის ზემოთქმულ მოსაზრებას არაფერი „რადიკალურად არ ეწინააღმდეგება". ბოლოს და ბოლოს თუ ამ ახირებულ მსჯელობას თანმიმდევრულად მივყვებით, მაშინ რატომ იმის „დამადასტურებელი ცნობა" არ მოაქვს სტატიის ავტორს, რომ სწორედ ნადარბაზევის დაბალ ტყეებში მოიპოვება მილიონნახევარი ლიტრა წყალი დღე-ღამეში.

აგარან-კოჯრის ციხის იგივეობის საწინააღმდეგოდ, ი. შაიშმელაშვილს კიდევ ერთი საბუთი შემოუნახავს III პარაგრაფის ბოლოს: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოჯორში ყოფნის შემთხვევაში გიორგი მეფე ვერ „აღეიდოდა" ლორეში, რადგან „თითონ კოჯორი ლორეზე მაღლა მდებარეობდა (ზღვის დონიდან)."

ჯერ ერთი, რუკის მიხედვითაც კი, ეს ორი წერტილი დაახლოებით ერთ სიმაღლეზეა; მეორეც, თამარის ისტორიკოსი იმ რუკეს ვერ დახედავდა, რომელსაც სტატიის ავტორი იყენებს და არც ზღვის დონიდან სიმაღლეებზე ექნებოდა მას წარმოდგენა. სამაგიეროდ, მან ი. შაიშმელაშვილზე უკეთ იცოდა, რომ ლორეში „აღსასვლელად" მეფის ლაშქარი უნდა აყოლოდა ძირითად მდინარეებს (დებედა, შულავერისწყალი, მაშავერ-ფინეზაური) და მათი გზებით გადაელახა სომხითის ქედი (ლოქის ქედი), **რომლის ყოველი უღელტეხილი კოჯორზე გაცილებით მაღალია.** მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევდა გიორგი მეფე ლორეს. სტატიის ავტორს ეს ვითარება არ გაუთვალისწინებია.

შემდეგ პარაგრაფში განხილულია 1195 წლის მოვლენები შამქორის ომის წინ. შარვანშამ და მისმა სიძემ–ამირ-მირანმა შემწეობის სათხოვნელად საქართველოს მოაშურეს. თამარ მეფემ და დავით სოსლანმა დიდი ლაშქარი შეჰყარეს, „რომლისა სიმრავლითა აღივსნეს მტკვრის პირი, ალგეთის პირი, ქციის

პირი და ქურდეაჭრის პირი, ესე ოთხნივ მდინარენი ტფილისით ყარაღაჯამდის" (3. 64). ი. შაიშმელაშვილი წერს: „ამ ლაშქრის რიცხობრივი შემადგენლობა ჩვენ მიღებული გვაქვს 50 ათასად; ანალოგიურ შემთხვევაში დავით აღმაშენებელმა შირვანში 1123 წ. 50 ათასიანი მხედრობით გაილაშქრა" (გვ. 147). ანალოგიური აქ მხოლოდ შარვანია, თორემ 72 წლის შემდეგ, სულ სხვა იყო პოლიტიკური სიტუაცია, მხედართმთავრების შემადგენლობა და, რაღა თქმა უნდა, ჯარის რაოდენობაც. რატომ არ შეიძლებოდა თამარისა და დავით სოსლანის ლაშქარი მეტი ყოფილიყო (ოსთა და ყივჩაყთა მხედრობასთან ერთად), ან რატომ მაინცდამაინც 50 ათასი-ამის პასუხს ავტორი არ გვიზიარებს.

ი. შაიშმელაშვილი წერს:-„საისტორიო წყაროს ზემოხსენებული სავსებით ნათელი ორიენტირების მიუხედავად, ნ. ბერძენიშვილი ცხენოსანთა ამოდენა მასებს კოჯრის (ეითომც აგარანის) მიდამოებში განლაგებულად მიიჩნევს (იგულისხმება თბილისი-ტაბახმელა-კაბენის დედათა მონასტრის ზონა): „ქალაქიდან მეფის კარვამდე სულ საქართველოს ჯარი იყო განლაგებული", ხოლო სად იყო მეფის კარავი? ნ. ბერძენიშვილის აზრით „აგარათა ჭალას", რომელიც კოჯრის ციხის ძირას, კაბენის მონასტრის არეში იყო... ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ამოდენა ლაშქრის დაბანაკება და ერთი კვირით დგომა შეუძლებელი იყო. ამდენი ცხენის სადღეღამისო საჭიროება მარტო სასმელი წყლის მხრივ, აქაური წყაროების შემოწმებით მხოლოდ 2%-ით დაიფარებოდა"(147).

ნ. ბერძენიშვილი შესანიშნავად ითვალისწინებდა ისტორიკოსის მიერ მოცემულ ორიენტირებს (მტკვრის, ალგეთის, ქციის, დებედის ნაპირებს). ამიტომ არსად არ უწერია, რომ მთელი მხედრობა კოჯორთან იდგა. მას, განსხვავებით სტატიის ავტორისაგან, მდინარეთა ნაპირებზე, უნდა ვიფიქროთ, ცხენოსანთა ძირითადი მასა ეგულებოდა, ხოლო კოჯრის მიდამოებში სამეფო კარი, დიდებულები, მათი ამალა და ჯარის რჩეული ნაწილები იქნებოდა განლაგებული.

ნ. ბერძენიშვილის მიერ წარმოდგენილი სურათი ასეთია. სტუმრების მოლოდინში სამეფო კარი „დადგა დასოთა" (კაბენის მონასტერთან), დიდმა ლაშქარმა გაავსო ზემოხსენებულ მდინარეთა ნაპირები. შარვანშა სიძით, თბილისს მოვიდა კახეთის გზით, ისანში. ქართველები საგანგებოდ მოემზადნენ: „დადგეს...

ჭალასა აგარათასა" (იქვე კაბენის სიახლოვეს) და სამეფო ოჯახი ტახტზე მჯდომი სტუმრებს მოელის. თბილისიდან გამოსულ შარვანშასა და ამირ-მირანს გზადაგზა ეგებებიან წინ ქართული ჯარის ნაწილები, თემობრივ ჩამოთვლილი ისტორიკოსის მიერ, ხოლო „თუთ კარეისა კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი". „აქ მოტანილი ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ **საქართველოს ჯარის ეს ნაწილები ერთიმეორისაგან დიდად დაშორებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ**"-ო. წერს განსხვავებული მეცნიერი და განაგრძობს: „ჭალა აგარათა თბილისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით არაა. აღსართან და ამირმირმანი აღმოსავლეთიდან მოვიდნენ ჯერ თბილისში და მხოლოდ აქედან გავიდნენ ჭალას მისასვლელად.

არ გვაეიწყდება, რომ საგანგებო ვითარება იყო, მაგრამ მაინც დაუშვებლად გვეჩვენება, რომ ეს შემოხვეწილი სტუმრები ჯერ განზრახ თბილისში მოეყვანათ და აქედან ისევ აღმოსავლეთის მიმართულებით ჭალას წაეყვანათ... ძნელად საფიქრებელია, რომ მაისის მიწურულს ( ეს ამბავი წლის ამ დროს მოხდა) საქართველოს მეფე თავისი ჯარით სომხითის ამ (აღმოსავლეთ – დ. ბ.) ნაწილში დაბანაკებულიყო. როგორც ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს, საქართველოს მეფე და მისი კარი ზაფხულის პირს „ჩვეულებისამებრ" „ისწრაფდეს" მთაში საagარაკო ადგილას გასვლას"(2. 320-322).

ი. შაიშმელაშვილი სულ სხვა ვითარებას ხატავს. მას ჰგონია, რომ სამეფო კარზე სადარბაზოდ მიმავალ სტუმრებს უეჭველად უნდა დაევლოთ მთელი ქართველთა ლაშქარი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დაყოლებით. მისი სიტყვით, „შამქორისაკენ გასაგზავნი ქართული ლაშქრის განლაგების სქემა...ნატურაში მოიხილეს შარვანელმა მაღალმა სტუმრებმა"... რომლებიც „სადღაც ფონიჭალა-სარვანის ველზე დაბანაკებულ ოსთა და ყივჩაყთა მხედრობას შეხვდნენ" (147).

შემდეგ პატივცემული გენერალი, როგორც სამხედრო სპეციალისტს შეეფერება, დეტალებში წარმოიდგენს მტკვრის გასწვრივ განლაგებული ქართველთა ლაშქრის წყობას, სოღანლუღიდან დებედის შესართავამდე. რაკი იქ ჯარის ავანგარდი და მზვერავთა ჯგუფი უნდა მდგარიყო, სტუმრებს სანახავიც მეტი აღარაფერი დარჩენიათ სამეფო კარის გარდა. ამიტომ, ავტორის აზრით, „ქართველთა მეფის თანმხლები წარმომადგენლის რჩევით, ავანგარდის ადგილიდან

დასავლეთისაკენ (მარჯვნივ) უნდა გადაეხვიათ. იქ ივარაუდება ქართველ მეფეთა საზამთრო სადგურიც" (148). ავტორს ავიწყდება, რომ შარვანელი სტუმრები დახმარების სათხოვნელად იყვნენ მოსულნი, მათ მეფის ნახვა ეჩქარებოდათ და არა ქართველთა მრავალათასიანი ლაშქრის „განლაგების სქემის ნატურაში მოხილვა". ამით არც საქართველოს სამეფო კარი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული: სრულიად იკმარებდა ჯარის რჩეული ნაწილია მიგებებაც.

თბილისიდან მეფის კარვამდე სტუმრების მისვლა, ისტორიკოსის მიხედვით დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში იგულისხმება; მტკვრის ნაწილს გაყოლილი სტუმრები კი, ლაშქრის თვალიერებით მიმავალნი, დებედამდე დღის ბოლოს თუ ჩააღწევდნენ.

თამარის ისტორიკოსის ჩვენებით, სამეფო კარი ჯერ დასოს იყო, მერე კი ხელმწიფენი „დადგეს ჭალასა აგარათასა". ი. შაიშმელაშვილი წერს: „ეს ადგილგადანაცვლება ნ. ბერძენიშვილის შემოთავაზებული სქემით თუ ვიმსჯელებთ, სადაც „დასო" და „აგარათა ჭალა" ლოკალიზებულია კაბენის მონასტრის არეში, ორიოდე ნაბიჯზე გადასვლა იქნებოდა, რასაც ფაქტობრივად არავითარი ცვლილება არ მოჰყვებოდა სტუმართა დიდი ამალის მიღების ორგანიზაციაში" (148). რატომ უნდა მომხდარიყო ეს ცვლილება, აავტორი ამას არ გვიხსნის, მაგრამ სამშვილდის ნადარბაზევთან დასოს ვარაუდი, უფრო შესაფერისად ეჩვენება. რაკი აგარათა ჭალა, ანუ დური, მეფეთა საზამთრო დარბაზი წყალთაშუას ეგულება ავტორს, გამოდის, რომ საქართველოს ბრწყინვალე სამეფო კარი, სააგარაკოდ ნადარბაზევს ასული, შემდეგ წყალთაშუას საზამთრო სადგურში გამომგზავრებულა (დაახლ. 40 კმ–ზე) და თვით ხლებია მასთან დახმარების სათხოვნელად შემოხვეწილ სტუმრებს.

აქვე უნდა გამართულიყო მაშინ ის დიდი დარბაზობა და პურობა, რომელსაც თამარის ისტორიკოსი ასე ხატოვნად აგვიწერს, აგრეთვე ბურთაობა და ასპარეზობა. „უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთ-უხუცესსა ივანეს, პერეთის ერისთავსა გრიგოლს და სხვათა მოყმეთა **და ჩავიდეს მოედანს და მუნით ჩამოვიდა ამმირ-მირმან** მისითა დიდებულითა და მონითა" (3. 67). აქ ხაზგასმული მოედანზე ჩასვლა გულისხმობს, რომ სამეფო კარი და მისი სტუმრები სადღაც იქვე მაღლობზე დგანან, სადაც მათი კარავია. აღწერილი

სურათი წყალთაშუას ტრიალ მინდორში ძნელი წარმოსადგენია, სამაგიეროდ კარგად ესადაგება კოჯრის მიდამოებს. მის მახლობელ დაბლობს.

ი. შაიშმელაშვილი ცდილობს აგვიხსნას თვით სახელწოდება „დურის" მნიშვნელობა; იგი მას უკავშირებს სომხურ სიტყვას (დურნ), რომელიც ნიშნავს „კარს" და ფიქრობს, რომ ეს სომხური ტოპონიმი აქ უნდა გაჩენილიყო IX-X სს, „როდესაც ეს პროვინცია დროებით მოწყვეტილი იყო ქართლს", ე.ი. სომეხი ბაგრატუნების ბატონობის დროს. იმისთვის, რომ გაამართლოს ასეთი სახელწოდების მისი აზრით, წყალთაშუაში დამკვიდრება, ავტორი იშველიებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებს და წერს: „დური სომხეთის ტერიტორიაზე იყო, რომელიც ადრე ხუნანის საერისთავოს შეადგენდა. შაჰ-აბას I-ს განსაკუთრებით აინტერესებდა მისი ათვისება (მიტაცება), როგორც „შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა" ე.ი. დიდი ბუნებრივი კარი. თუ კი ასეთ დასკვნამდე ეს შაჰი, ასე ვთქვათ, ერთი ნახვით მივიდა, ბუნებრივია, რომ მსგავსი შეხედულება ნახიდურიდან ნახიდვარამდე გაშლილ ვაკის მიმართ, უფრო ადრე სომხეთის დიდი ხნის მობინადრეებს უნდა ჩამოყალიბებოდათ" (149).

არავითარი საბუთი არ გვაქვს იმის დასადასტურებლად, რომ სამეფო საზამთრო სადგომი დური მართლაც წყალთაშუაში ყოფილიყო; არც ამ სახელწოდების სომხური სიტყვიდან წარმომავლობაა დადგენილი. რადგან თამარის ისტორიკოსის თხზულების ზოგ ვარიანტში „დურ"-ის მაგიერ არის „დვირი" ან „დერი". ნ. ბერძენიშვილის აზრით კი, ეს დვირი უნდა ყოფილიყო საქართველოს ფარგლებში, მტკვრის მარჯვენივ, განძის ქვეყნის საზღვრებისაკენ (2. 314).

სომეხ ბაგრატუნთა ქვემო ქართლში დროებით ბატონობას, არ ჩანს, რომ დაეტოვებინოს თავისი კვალი იქაურ ძველ ტოპონიმიაში (ასეთები იქ შუა საუკუნეების გვიან ხანაში გაჩნდა) კიდევ უფრო მეტი გაუგებრობაა დურის (ე.ი. „კარი"-ს) ძებნა „ნახიდურიდან ნახიდვარამდე" (ე.ი. წითელ ხიდამდე—დ. ბ.),გაშლილ ვაკეზე, ანუ მარნეულის ვაკეზე. ესაა ტრიალი მინდორი, სადაც არავითარი „კარი" არ შეიძლება იყოს. ვახუშტის ნათქვამი: „ოდეს მიიღო შაბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა" (13. 35), ეს სიტყვები მარნეულის ვაკესა და წყალთაშუაზე კი არა.

არამედ დებედისხევზეა ნათქვამი, რომელსაც მართლაც მოჰყვებოდა სამხრეთიდან ქართლში შემოსასვლელი გზა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში", რომელსაც ი. შაიშმელაშვილი ხშირად იყენებს, ამის გამო წერია: „1604 წ. შაჰ-აბას I-მა ქართლის მეფეს წაართვა ლორე და დებედის ხეობა, სადაც ბორჩალუს ყიზილბაშური ტომი ჩაასახლა" (14. 226).

ასევე გაუგებარია ვის გულისხმობს ავტორი „სომხითის დიდი ხნის ბინადართა" შორის, რომელთაც შაჰ-აბასზე ადრე ჩამოყალიბებიათ შეხედულება, მარნეულის ვაკეზე, როგორც ქართლში შემოსასვლელ გზაზე. თუ ასეთებად ქართველებია ნაგულისხმევი, რატომ დაარქმევდნენ ისინი სომხურ სახელს („დურს") და არა ქართულ „კარს" (მდრ. „ტაშისკარი",- „ლართისკარი" და სხვ.) ხოლო თუ სახელის დამრქმევებად სომეხი ბაგრატუნები იგულისხმებიან, ისინი სულაც არ იყვნენ ქართლის „დიდი ხნის მკვიდრნი"; გარდა ამისა მარნეულის ვაკეს სომხები „ვრაც–დაშტს", ე.ი. „ქართველთა ველს" უწოდებდნენ და ეს სახელი სომხურ წყაროებშია დადასტურებული, ქართულში კი–არა, მაშინ, როდესაც დური იქ არ გვხვდება და ქართულ წყაროებში კი გვაქვს.

დურის სომხურად გააზრების შემდეგ, ი. შაიშმელაშვილი კიდევ უფრო შორს მიდის და სრულიად წარმოუდგენელ ეტიმოლოგებს თხზავს. იგი წერს: „მდ. ქციას უძირო ხრამის დასასრულში (მარნეულის ვაკის დასაწყისში) შექმნილი პირველი კაპიტალური ხიდის თავთან ახლად წარმოქმნილი დასახლებისათვის, საფიქრებელია უფრო მაშინ, როდესაც ეს პროვინცია დროებით მოწყვეტილი იყო ქართლს (IX–Xსს) **ნახდური** უწოდებიათ. ეს ტერმინი არავითარ კავშირში არაა „ხიდუმყოფელობასთან".ნახდური შედგენილია ორი ცნებისაგან „ნახ"-ი, რაც უმთავრესს, ძირითადს, პირველს ნიშნავს და „დურ"-ი. რაც კარს ნიშნავს, –ე.ი. ნახდური მთავარი კარია...

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ ერთხელ იყენებს ტერმინს „ნახიდვარს"–გატეხილ ხიდზე საუბრისას. „ნახიდურის" გამოყენების ხუთივე შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს ზემოხსენებული სოფელი ნახიდური (ქოლაგირისაკენ).

ფრიად ხელსაყრელი ფონეტიკური მსგავსების გამო, ბოლოს და ბოლოს ქართული სმენა შეეჩვია ტოპონიმ „ნახდურ"-ს, ნახიდურად გარდაქმნა იგი და ნახიდვარსაც გვერდში ამოუდგა,

როგორც აგრეთვე „ხიდუმყოფელობის" აღმნიშვნელი ტერმინი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ნახიდური" სავსებით მართებულად არ არის შეტანილი, როგორც „ნახიდარის" სინონიმი" (149-150).

ვიდრე ნახიდურს სომხურ სიტყვებად დაყოფდა, ავტორს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ეს ტოპონიმი მოტანილი ფორმით უკვე იხსენიება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, ჟამთააღმწერელთან, ბერი ეგნატაშვილის ტექსტებსა და, რაღა თქმა უნდა ძველ საბუთებში. ეს ისევე ნაწარმოები ქართული სიტყვაა, როგორც „ნაგზაური", „ნაჭდეური", „ნაწიბური" და სხვ. რაც მთავარია, ქართლშივე გვაქვს მსგავსი ტოპონომები „ნადაბური" და „ნატბეური". ასე რომ, ვახუშტი ბაგრატიონმა კარგად იცოდა რას წერდა და სრულიად მართალი იყო, რომ „ნახიდური ეწოდების ხიდუმყოფელობისათვის" (13. 47).

ი.შაიშმელაშვილზე დიდი ხნით ადრე გამოითქვა მსგავსი ვარაუდები ალგეთისა და მანგლისის მიმართ: კ. ჰანი, და ს. ერემიანი „ალ-გეთ"-ში „წითელ მდინარეს", ან „ალის მდინარეს" ხედავდნენ (სომხ. „გეტ"–მდინარეა), ხოლო ლ. მელიქსეთ-ბეგს „მ-ანგლ-ისი" „მოაგონებდა ტიპობრივი წარმოშობის სახელებს „ანგელ-ტუნ"-სა და „ანგელ-აკოთს" (15). ზემოხსენებულ ავტორთა ეს მისაზრებანი გაუზიარებელი დარჩა, თუმცა ამ საკითხებს ისინი სპეციალურად იკვლევდნენ.

ამიტომაც ნახიდურის სომხურად გააზრებას, ეს რომ ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო, სტატიის ავტორი ამ მკვლევრებს ვერ დაასწრებდა. ი. შაიშმელაშვილს ჰგონია, რომ რაკი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ნახიდარის სინონიმად ნახიდური შეტანილი არ არის, ამიტომ ის „არავითარ კავშირში" ხიდთან არაა და მაშასადამე, სომხურით უნდა აიხსნას... მას დავიწყნია, რომ ზემოხსენებული ლექსიკონი „ახალი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია", რომლის „დანიშნულებაა აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა, **რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ** მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში" (16. 007). ცხადია, ძველი ტოპონიმი ნახიდური იქ ვერ მოხვდებოდა.

ნ. ბერძენიშვილთან აგარანის გამო ასეთი გაცხარებული კამათის შემდეგ, სრულიად მოულოდნელია სტატიის V პარაგრაფის ბოლო აბზაცი; აქ ავტორი სამეფო საზამთრო (დური)

და საზაფხულო (ნადარბაზევი) ციხე-დარბაზთა გვერდით, ასახელებს „დედოფალთა სასუფეველ ციხე-დარბაზს ტაბახმელაში", იქვე ფრჩხილებში ჩაუსვამს –„თამარის". ნ. ბერძენიშვილი კი წერდა: „თამარ მეფე გარდაიცვალა სომხითში, აგარათა ციხეში (ანუ „აგარათა სომხითისასა"), რომელსაც „იმ დროს, ჩანს ტაბაკმელაც ეწოდებოდა. „ზემო ტაბაკმელა" ეს უნდა იოანე ბატონიშვილის გლოსა იყოს. მაინც და მაინც ბატონიშვილს კარგად სცოდნია, თუ აგარათა ციხე სად იყო. ამიტომაც განმარტა მან „ტაბაკმელა" (ჴმელსა დგომასა შინა...) „ზემო ტაბაკმელად" (2. 325). როგორც ვხედავთ აქ ერთი და იგივე დასკვნაა მიღებული, მაგრამ სტატიის ავტორს, ტაბახმელაში ალბათ სხვა რაღაც ციხე-დარბაზი ეგულება.

სტატის VI პარაგრაფში ავტორი ცდილობს განსაზღვროს ლაშა გიორგის ლაშქრის წყობა მონგოლთა შემოსევის დროს 1221 წ. ცნობილია, რომ მონგოლებთან პირველ შეტაკებებს სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად აგვიწერენ. ქართული და უცხოენოვანი წყაროების შეჯერებით ისტორიკოსები ცდილობენ ერთიანი სურათის წარმოდგენას, რამაც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" III ტომშიაც ჰპოვა ასახვა. ლაშა გიორგის მემატიანის სიტყვით მონგოლებმა „მიმართეს და დადგეს ბარდავის ჭალას. შეიყარა ლაშქარი მისი (ლაშასი–დ. ბ.) და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთაგორსა და აგარათა შუა და ვიდრე ზედამისვლამდე გაექცნეს და გარდაიხუეწნეს; განვლეს დარუბანდისა გზა" (1370). ჟამთააღმწერლის სიტყვით, ქართველებს 90 ათასი კაცი გამოუყვანიათ, რასაც ი. შაიშმელაშვილი უყოყმანოდ იჯერებს, თუმცა გრიგოლ აკნეცი ქართველთა ლაშქარში 60 ათასს კაცს ასახელებს (9. 535).

სტატიის ავტორი შემდეგ წერს: „წყაროები ადასტურებენ, რომ მონღოლები ბარდავის მხრიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირის გზებით მოიწევდნენ... ამ მიმართულების გადასაღობად გარდიგარდმო უნდა გახიდულიყო ქართული ლაშქრის პოზიცია, როგორც მდინარის გადამღობი კაშხალი. განა ნორმალური იქნებოდა, რომ ასეთი კაშხალი მდინარის დინების ჩასწვრივ აეგოთ და არა გარდიგარდმო? სამწუხაროდ, სწორედ ისე აქვს წარმოდგენილი ლაშა-გიორგის ლაშქრის პოზიცია ნ. ბერძენიშვილს და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ლომთაგორის მხარდამხარ მოხსენიებული „აგარათა"-ც მას კოჯრის

ციხესთან აქეს გაიგივებული. ამიტომ ლაშა-გიორგის ლაშქარიც ნ. ბერძენიშვილმა კოჯორ-მარნეულს შორის განლაგებულად წარმოიდგინა. თანაც აღმოსავლეთისაკენ პირმოქცეული... დაივიწყა რომ მონღოლები სამხრეთიდან მოდიოდნენ. სწორედ ამით მტკიცდება, რომ არც „აგარანი" და არც „აგარათა ჭალა" არ შეიძლება მივიჩნიოთ კოჯორ-ტაბახმელაში არსებულად" (151).

ავტორს ან მხარი ექცა, ან თვითონ „დაივიწყა", რომ ბარდავი, სადაც მონგოლები დადგნენ, კოჯორ-მარნეულიდან უფრო არმოსავლეთითაა, ვიდრე სამხრეთით. რაც მთავარია, ი. შაიშმელაშვილი არ ითვალისწინებს, რომ ჟამთააღმწერლისა და სომხური წყაროების მონაცემებით, ეს ომი მოხდა ძეგამის წყლის დასავლეთით არსებულ ხუნანის ველზე. ასე რომ, აგარან-ლომთაგორს შორის ლაშას ლაშქრის „დადგომა", რაზედაც მისი ისტორიკოსი მოგვითხრობს, ხანმოკლე უნდა ყოფილიყო, ამასაც მისივე მონათხრობი ადასტურებს: ქართველებს მონგოლთა ბანაკთან „ვიდრე ზედამისვლადმე" მტერი გაექცათო. ეს კარგად იცოდა ნ. ბერძენიშვილმა და ამიტომ აგარანსა და ლომთაგორს შუა ლაშქრის დგომას, იგი არსად არ განიხილავს, როგორც მტრის აქ მომლოდინე, მოსაგერიებელი პოზიციის დაკავებას. ეს მხოლოდ სტატიის ავტორს ჰგონია და ამიტომაც აგებს აქ მტრის „გადასაღობად გარდიგარდმო გახიდული ქართული ლაშქრის პოზიციას, როგორც მდინარის გადამღობ კაშხალს".

ავტორი, სამხედრო ხელოვნების მიხედვით, აუმჯობესებს ქართველთა პოზიციას და განაგრძობს: „ლომთა-გორა და აგარათა შუა" განლაგება არ ნიშნავს ამ ორ პუნქტს შორის ჯარის ჩამწკრივებას. ზოგადად ეს ნიშნავდა პოზიციის დაკავებას მდ. ალგეთსა და ქციას შუა. დიახ „შუა!" რაც მემატიანესაც კარგად სცოდნია, რომ ნიშნავდა რისამე ნაპირებიდან თანაბარი მანძილით დაშორებულს" (ქეგლ, VII 1962 ) რის ნაპირები იგულისხმება? ლომთა გორით მემატიანე მიგვანიშნებს კლდოვანი ბორცვების გრძელ ჯაჭვზე, რომელიც მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირს გასდევდა... ხოლო „აგარა"–თი იგი აღნიშნავს მდ. ქციას ქვემო წელზე... უკვე ხსენებულ „წყალთაშუას". ბორცვების ამ ჯაჭვსა და „წყალთაშუას" შუა მდებარე, სამხრეთისაკენ პირმოქცეულ პოზიციაზე დაბანაკე-ბულად მიიჩნევდა (?–დ.ბ.) სამხრეთიდან მონღოლთა შემოსევის მომლოდინე ლაშა გიორგის ლაშქარი. დიახ „ლომთა გორსა

და აგარათა შუა", ე.ი. ქართლის დიდ ბუნებრივ კარში 90 ათასიანი ქართული ლაშქრის ჩაყენება, მიუხედავად მოსალოდნელი შებმის ბედისა, ყოველმხრივ გამართლებული იყო" (151).

აქ ავტორი იშველიებს სიტყვა „შუა–"ს განმარტებას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან „რისამე ნაპირებიდან თანაბარი მანძილით დაშორებული"; მას თვალში მოსდის სიტყვა „ნაპირებიდან" და ეჩვენება, რომ ლექსიკონიც ალგეთისა და ქციის ნაპირებს გულისხმობს...

სტატიის ავტორის მომდევნო, ბუნდოვანი წინადადებიდან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ ქართველთა ლაშქარი განლაგებულია მდ. ალგეთსა და ქციას შორის, სამხრეთისაკენ პირმიქცეულად, სამხრეთიდან მონგოლთა შემოსევის მომლოდინე. გამოდის, რომ ქართველების ბანაკი ამ მდინარეთა შორის, მათ პარალელურად, მდინარეთა დინების „ჩასწვრივ" ჩამწკრივებულა. მაშინ როგორღა მივიღებთ მტრის „გადასა-ღობად გარდიგარდმო გახიდულ ქართული ლაშქრის პოზიციას?" მონგოლები ხომ ი. შაიშმელაშვილის სიტყვითვე მტკვრის მარჯვენა ნაპირს მოჰყვებიან და, მაშასადამე, ქართველთა განლაგების მარცხენა ფრთას მოადგებიან. აშკარაა, რომ პატივცემულ გენერალს მხარი ექცა: მის მიერ განლაგებული ლაშქარი მონგოლებს სამხრეთიდან მოელის, ისინი კი აღმოსავლეთიდან მოდიან. მაგრამ, როგორც ზევით ავღნიშნე, ავტორის მიერ. მონგოლების წინააღმდეგ გამოყენებულმა ამ ფანდებმა უქმად ჩაიარა, რადგან ბრძოლა სულ სხვაგან-ხუნანის ველზე მოხდა, მდ. ძეგამის დასავლეთით.

ი. შაიშმელაშვილი აქაც, ისევე როგორც ზევით, არაერთხელ, გვახსენებს, რომ წყალთაშუა და მისი მინდორი წარმოადგენდა ქართლის „დიდ ბუნებრივ კარს" (ე.ი. სომხურად „დურ"-ს). უნდა გავიმეორო, რომ არავითარი კარი წყალთაშუას ველზე არ შეინიშნება. წარმოუდგენელია ქართლის რაიმე კარის აქ ძიება, მით უფრო ერთიანი, ძლიერი საქართველოს სამეფოს პირობებში, როდესაც სამხრეთისა, თუ აღმოსავლეთის საზღვარი (პოლიტიკური, ეთნიკური) აქედან ძლიერ შორს იყო დაცილებული. მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ სტატიის ავტორი არც ამ საკითხებთან დაკავშირებით იცნობს ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებს და საქართველოს საზღვრები, ყოველთვის ისე შემცირებული წარმოუდგენია, როგორც შაჰ-აბას I-ის დროს.

წერილის ბოლოს, ავტორს სათაურით „სხვა შენიშვნები", მოაქვს თავისი დაკვირვებები, რომლებითაც ცდილობს შეამაგროს მისეული აქამდე მიღებული დასკვნები. მისი აზრით, „ისტორიათა და აზმათა" ავტორი თამარის გარდაცვალების ადგილად „ხმელს" რომ იშველიებს, „არავითარი საფუძველი არ არსებობს ტაბახმელასთან მისი გაიგივებისთვის". ეს თურმე იმიტომ, რომ იგივე ისტორიკოსი მანამდე ორჯერ ასახელებს ტაბახმელას და რადა თამარის გარდაცვალებისას დაავიწყდებოდა მისი სახელიო. როგორც ჩანს ი. შაიშმელაშვილი არ ითვალისწინებს ძველი წყაროების დედნებიდან მათი მრავალჯერადი გადაწერის ფაქტებს, რომლის დროსაც შექმნილ სხვადასხვა ვარიანტებში გადამწერთა შეცდომების გამო ტექსტი ზოგან შეირყვნებოდა, ან შეიცვლებოდა სიტყვის დაწერილობა. კ. კეკელიძის აზრით, „თავდაპირველს დედანში იქნებოდა არა „ჴმელსა დგომასა შინა", არამედ „ტაბაჴმელას დგომასა შინა". გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების" ტექსტი, სადაც არის ასეთი სათაური: „სიკვდილი მეფეთ მეფისა და ჴელმწიფეებში ნაქები თამარის ტაბახმელიქს" (12. 103). ამას თუ დავუმატებთ ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, იოანე ბატონიშვილის მიერ თამარის გარდაცვალების ადგილად ზემო ტაბახმელის დასახელების გამო, აშკარა გახდება, რომ „ჴმელისა" და ტაბახმელის გაიგივებისათვის სრული საფუძველი არსებობს.

ამ შენიშვნის ბოლოს სტატიის ავტორი წერს: „ჩანს, რომ ტაბახმელა იყო საკუთრივ თამარის, როგორც ქალისა და დედის, სადგურ-საცხოვრებელი. საგულისხმოა, რომ თამარმა ტაბახმელის სიახლოვეს დააარსა დედათა მონასტერი („კაბენი") და აქვე დაებადა ლაშა გიორგი. საკვირველ;ია, რომ ი. შაიშმელაშვილი ამ შენიშვნის დასაწყის და ბოლო აბზაცს შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს. უკეთუ ტაბახმელა „საკუთრივ თამარის სადგურ-საცხოვრებელი იყო, უფრო ბუნებრივი არ იქნება მისი გარდაცვალებაც აქ ვიგულისხმოთ? და მაშინ „ჴმელისა" და ტაბახმელის იგივეობა ვცნოთ? მაგრამ ეს არ შეიძლება, რადგან ამ გზით საბოლოოდ კოჯრის ციხისა და აგარათა ციხის იგივეობამდე მივალთ, რასაც ავტორი ასე თავგამოდებით უარყოფს.

სტატიის ავტორის არც ის აზრია სწორი, თითქოს ტაბახმელა მხოლოდ თამარის, „როგორც ქალისა და დედის სადგურ-საცხოვრებელი" ყოფილიყოს. ჯერ კიდევ სტეფანოს ორბელიანსა

და ვარდან დიდს ჰქონდათ აღნიშნული, რომ დემნას აჯანყების დროს გიორგი III სახატეს იდგა. ამ ცნობაზე დაყრდნობით ნ. ბერძენიშვილი გამოთქვამდა აზრს, რომ იგივე უნდა ყოფილიყო თამარის ტაბახმელა და ე.ი. სამეფო სადგომი გიორგის დროსვე (2. 230). შდრ.: ბერი ეგნატაშვილის I ტექსტში: „მთა თელეთისა, რომელი არს კერძოთა ტაბაჴმელეთისათა"(3. 356).

თამარის ისტორიკოსის ცნობები არ იძლევიან იმის საბუთს, რომ ტაბახმელა საკუთრივ თამარის სადგომო იყო. ამ „ქალსა და დედას" მეუღლე ჰყავდა, რომელიც ასევე მეფედ იწოდებოდა და არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ცოლისაგან განცალკევებული სადგომი ჰქონოდა. ასე რომ, ტაბახმელა იყო არა „დედოფლის სასუფეველი", როგორც მას სტატიის ავტორი უწოდებს, არამედ სამეფო სადგომი. თამარის შემდეგაც იგი მეფეთა რეზიდენცია ჩანს ქართული წყაროების მიხედვით (4. 231, 316, 374).

ი. შაიშმელაშვილი იმოწმებს ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებს, რომ გარდაცვლილი თამარი „აღმოიყვანეს და მცირედთა დღეთა შინა მცხეთად დადვეს". შემდეგ განაგრძობს: „გასაგებია, რომ ტაბახმელაში გარდაცვლილი მეფის ნეშტს მცხეთაში ვერ „აღმოიყვანდნენ", რადგან პირველი 450 მ-ით მაღალია მეორეზე. აქედანაც გასაგები ხდება, რომ თამარი გარდაიცვალა არა ტაბახმელას, არამედ მცხეთაზე დაბლა მდებარე პუნქტში— „აგარათა"-ში (აგარათა ჭალაში), რომელიც მეფის საზამთრო სადგურ—„დურ"-თან შეიძლება გავაიგივოთ"
(153).

ეს მსჯელობა, ლორის გამო ზემოთ გამართული კამათის არ იყოს, მაშინ იქნებოდა სწორი, ტაბახმელა-მცხეთის საბაგირო გზას რომ ვარაუდობდეს. მაგრამ ასეთი რაკი მაშინ არ იყო, თამარი ჯერ თბილისს უნდა ჩაეყვანათ და შემდეგ მცხეთაში „აღმოეყვანათ". ასეთი იყო მაშინ გზის მიმართულება ტაბახმელიდან მცხეთამდე. მაშინდელი ისტორიკოსები „ზემოს" და „ქვემოს" ზღვის დონიდან ათვლილი სიმაღლეებით კი არ განსაზღვრავდნენ, არამედ მთავარი მდინარეების დინების მიმართულებით („დაღმა", „აღმა"); ამ ისტორიკოსებს მწვერვალების სიმაღლეები კი არ აინტერესებდათ, არამედ ამ მწვერვალების ძირში მყოფი ქვეყნები, რომელთაც მთავარი მდინარეების დინების მიხედვით შეარქმევდნენ ხოლმე „ზემო"-ს, „შუა"-ს, „ქვემო"-ს. ამიტომ იყო შესაძლებელი შიდა ქართლის

„ზენა სოფელი" (ადრე), „ზემო ქართლი" (გვიან) შერქმეოდა, „ქვენა სოფლის", „ქვემო ქართლის" საპირისპიროდ, თუმცაღა ბამბაკ–ერევნის ქედის სიმაღლის მწვერვალები ამ „ზენა სოფელში" შეიძლება არც ყოფილიყო.

აწორედ ამას ადასტურებს იმავე ბასილი ეზოსმოძღვრის ერთი ადგილი, სადაც იგი მონაპირეებს ჩამოთვლის: „ამიღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი...და ზემოთ ჯავახეთი... ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს" (3. 129). მწვერვალების მიხედვით, აქ ჯავახეთის აბულია ყველაზე მაღალი (3301 მ), მაგრამ ისტორიკოსი ჯავახეთის ზემოთ არტანს ასახელებს იმიტომ, რომ მტკვრის დინების მიხედვით, ის უფრო მაღლაა–აღმა. ან კიდევ: მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი მწვერვალები დასავლეთ კავკასიონზეა, ისტორიულ წყაროებში ლიხთიმერეთს „ქვემო",ამიერს კი „ზემო" ქვეყანა ჰქვია (18. 632).

ი. შაიშმელაშვილს ასეთი სურათი ეხატება: ავადმყოფი თამარ მეფე ნაჭარმაგევიდან თბილისს წამოიყვანეს. „აგარანის (ნადარბაზევი) საზაფხულო ციხე-დარბაზამდე მგზავრობა ( 60–70 კმ) მომქანცველი იქნებოდა. მაგრამ მცირე ხნით თბილისში შესვენების შემდეგ, უეჭველია, მისივე (თამარის) ნებით გზა მაინც გაუგრძელებიათ დასოსაკენ... თამარი აგარანის (ნადარბაზევი) საზაფხულო ციხე-დარბაზში უნდა აეყვანათ. აქ არა მარტო შეუდარებელი მყუდროება, საღი და გრილი ჰაერი, წყალუხვი ნაკადულები, უნიკალური წყალსადენი, საგანგებოდ აწყობილი სასახლის მეურნეობა და მომსახურე პერსონალი იყო, იგი თვითონ იდგა ტყეში, ხოლო შორიახლო, ბედენის მწვერვალის ფერდობზე-ულამაზესი ნაძვნარი იყო შეფენილი. მძლავრი გალავნით დაცულ მის ხალვათ ეზოში, ან უშუალო გარემოში, შეიძლებიდა კარვების გაშლა და დასოს კვალობაზე ცხოვრება ასე, რომ ფიქრადაც კი არ ექნებოდათ უამინდობა. მემატიანე ამბობს, რომ ავადმყოფობის გაუარესების გამო, თამარი საზაფხულო სადგურიდან (დასოდან) უკან წამოუყვანიათ და აგარათას, ან აგარათა ციხეში (საზამთრო სადგურ დურში) დაუბინავებიათ, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მხოლოდ აქედან შეეძლოთ „აღმოეყვანათ" იგი მცხეთას" (153-154).

ავტორის მიერ დახატული ნადარბაზევის იდილიური სურათი, ისტორიკოსს (ამ ადგილის მნახველს) ვერ დაარწმუნებს აღწერილი ფაქტის შესაძლებლობაში; პირიქით: კილომეტრებზე გამოყვანილი „უნიკალური წყალსადენი"

სწორედ იმიტომ დასჭირდათ, რომ ნადარბაზევში „წყალუხვი ნაკადულები" არ იყო (19. 315) (და აი, სწორედ აქ უნდა სტატიის ავტორს, გამონახოს დღედამეში მილიონნახევარი ლიტრი წყალი 30 ათასი ცხენოსნისათვის, რომელსაც იგი აქ შეყრის დემნას აჯანყების დროს... იხ. წინ.).

ავტორი თვლის, რომ არ არის სავარაუდო ავადმყოფი თამარ მეფის აყვანა კოჯორ-ტაბახმელაში, რადგან ეს ამბავი ოქტომბერ-დეკემბერში ხდებოდაო. თუ მართლა ასე იყო, მაშინ ნადარბაზევის უპირატესობა რაღაში გამოვლინდებოდა, იგი ხომ ავტორისავე სიტყვით, ზღვის დონიდან ტაბახმელის სიმაღლისაა. პირიქით, მისი ნაკლი ამ შემთხვევაში სრულიად აცხადია, რადგან თბილისს დაშორებულია 70 კმ-ით. კიდევ უფრო წარმოუდგენელია, რომ მეფე-ქალი, რომელსაც ავადმყოფობა გაუძლიერდა, ნადარბაზევიდან წყალთაშუა-დურის „სადგომში" გადაეყვანათ, თბილისიდან უფრო შორს, ვიდრე ნადარბაზევია... ამიტომაც სიმართლესთან უფრო ახლოა ნ. ბერძენიშვილის აზრი: თამარი თბილისიდან „წარიყვანეს" დასოს, იქიდან კი „კუალად წარმოიყვანეს აგარათა ციხეს" „არა გვგონიაო-წერს იგი–შემთხვევითი იყოს ჩვენ მიერ ხაზგასმული ზმნის ასეთ ფორმებში მოყვანა. ისე გამოდის, რომ ავტორის აგარათა ციხე უფრო ახლოა თბილისიდან, ვიდრე დასო"(2. 324). მოტანილი მსჯელობა სრულიად გამორიცხავს ი. შაიშმელაშვილის მიერ მოხაზული მარშუტის სამკუთხედს: თბილისი–ნადარბაზევი–წყალთაშუა –თბილისი (შემდეგ მცხეთა).

სტატიის ავტორი ბოლო შენიშვნაში წერს, რომ ნ. ბერძენიშვილი აზვიადებს კოჯრის ციხის მნიშვნელობას, სიმტკიცეს, მოხერხებულ მდებარეობას. „ჩვენს საისტორიო წყაროებში ვერ ვპოვე ამ დებულებათა დამადასტურებელი ცნობებიო"(154). ეს ხდება იმიტომ, რომ იგი წინასწარ აკვიატებული აზრით (აგარანი ნადარბაზევია), თანმიმდევრულად ცდილობს უარყოს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი აგარან-კოჯრის ციხის იგივეობის შესახებ. სამაგიეროდ ქართულ და სომხურ წყაროებში არსებული ცნობები აგარანის ციხეზე ავტორს ისე უადგილოდ მიუკერებია ნადარბაზევისათვის, რომ გადაულახავ წინააღმდეგობათა დასაძლევად, ახლა წყალთაშუაში დაუწყია აგარათა ციხის ძებნა; მართლაც ნადარბაზევი–ეს საზაფხულო რეზიდენცია ვერც სიმტკიცეს,

ვერც დიდ მნიშვნელობას ვერ დაიჩემებდა.

ი. შაიშმელაშვილისათვის აუხსნელია „აბსოლუტური უყურადღებობა. კოჯრის ციხისადმი (ნ. ბერძენიშვილის აზრით—აგარანი), რაც გამოსჭვივის ჩვენი ყველაზე დიდი მტრების (ბუღა თურქი, მურვან ყრუ, მონღოლები, შაჰ-აბასი) საქციელში. დამაჯერებელი რამ არც ამის შესახებ მოინახება ხსენებულ წყაროებში, ვითომც მის ძირში გადიოდა საქვეყნო საქარავნო გზა. მაგრამ ამ საბუთ—საფუძვლების მონახვითაც არაფერი ითქმება კოჯრის ციხისა და აგარანის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ"—ო (154).

საინტერესოა, სტატიის ავტორს ეს „ჩვენი ყველაზე დიდი მტრები" რა ნიშნით ამოურჩევია, მაგრამ აქ მთავარია ის, თუ რამდენად უმნიშვნელო ციხე ყოფილა, აგარანი, რომ ზემოხსენებულ მტრებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ავტორს, ჩანს არ მოეხსენება, რომ კოჯრის ციხის დღემდე შემორჩენილი უძველესი ფენა შეიძლება IX საუკუნეზე ძველი არ იყოს; ასე, რომ მურვან ყრუს დროს იგი ალბათ არც არსებობდა. მონგოლების დროს ტაბახმელის სამეფო სადგომი იხსენიება, მაგრამ ი. შაიშმელაშვილს იგი აგარათა ციხესთან ვერ დაუკავშირებია. კოჯრის ციხის გვიანდელი ფენები XVI–XVIII საუკუნეს ეკუთვნის და ის თუ წყაროებში არ მოიხსენიება, ეს შესაძლოა შემთხვევით აიხსნას. რაც შეეხება გზას და გზაჭრილს კლდეში, ის მართლაც არსებობს ამ ციხის ძირას, რაშიც ი. შაიშმელაშვილიც დარწმუნდებოდა, კარგად, რომ მოეძია იგი ადგილზე.

ამრიგად, ვრწმუნდებით, რომ განხილული წერილი თავიდან ბოლომდე სამწუხარო გაუგებრობებზეა აგებული, თუმცა კი კილო კატეგორიული აქვს. აქ, როგორც იტყვიან, ამბიციები შორს უსწრებენ ამუნიციას და აი რატომ: ნაკლულია ფაქტობრივი ცოდნა ასეთი სპეციალური კვლევისათვის რომაა საჭირო; უცნობია ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ხერხები, როგორიცაა წყაროს გაგება და შეფასება, წერილობითი ცნობების შემოწმება სხვა ასეთივე, ან არაპირდაპირი ცნობებით, დადგენილი ფაქტის ინტერპრეტაცია. რაც შეეხება ეტიმოლოგიებს—ისინი უადგილოდაა ყურით მოთრეული. ავტორის მსჯელობას დამაჯერებლობას ვერ მატებს, ვერც ხშირად ხმარებული შეძახილი „დიახ!" ვერც ძახილის ნიშნების წყეილ-წყვილად ხმარება, ვერც მხატვრული წიაღსვლები, რომელთაც ცუდად

დაწერილი ისტორიული რომანების გავლენა ატყვია; ესენი უფრო ავტორის არგუმენტაციის სისუსტეს ააშკარავებენ. როგორც ჩანს, ასეთი საკითხების კვლევისას მხოლოდ სამხედრო თეორიისა და სამხედრო ხელოვნების ცოდნა არ კმარა.

გასაგებია, რომ ქართველი კაცისათვის საქართველოს ისტორია უფრო მეტია, ვიდრე ვთქვათ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების რომელიმე დარგი. ამიტომაცაა ამ საკითხებზე ფიქრობენ და წერენ ექიმები, თუ მათემატიკოსები, ინჟინრები, თუ გლეხები. ი. ვეკუაც თურმე საქართველოს ისტორიკოსობას ნატრობდა, რადგან მასში მეტად ხედავდა ეროვნული თვითგანმტკიცების გზას. ასეთ პირობებში საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევით დაინტერესებულთა რიცხვი სულ იმატებს არაისტორიკოსთა შორის. ცხადია, უნებლიე შეცდომებისაგან დაზღვეული არც ისტორიკოსები არიან, მაგრამ მოყვარულების მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევისას, შეცდომების შანსი გაცილებით მეტია. ეს უნდა გაითვალისწინონ ასეთი ნაშრომების ავტორებმაც და მათმა გამომცემლებმაც.

# დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955 წ.
2. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ. 1964 წ.
3. ქართლის ცხოვრება II, თბ. 1959.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას" ძველი ქართული თარგმანები, გამოც. ელ. ცაგარეიშვილისა, თბ. 1978 წ.
5. ლ. მელიქსეთ-ბეგი. ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, თბ. 1928.
6. შ. მესხია. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „მიმომხილველი" 2, თბ. 1951.
7. ირ. ციციშვილი და პ. ზაქარაია. ნადარბაზევი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ. 1955.
8. ნ.თ. ემინის გამოკვლევები და სტატიები, მოსკოვი, 1896 (რუსულ ენაზე).
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები III, თბ. 1979.
10. გ. მაისურაძე. ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში" თბ. 1966.
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია VI, თბ 1983.
12. რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" თბ. 1979.
13. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, თბ. 1973.
15. კ. ჰანი. კავკასიური გეოგრაფიული სახელების ახსნის ცდა 1909, 40, IV. 9, რუსულ ენაზე. ს.ტ. ერემიანი სომხეთი „აშხარაცუიცის" მიხედვით, ერევანი, 1963,65 (სომხურ ენაზე) ლ. მელიქსედ-ბეგი. დავით უძლეველი და დავით გარეჯელი, „საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს," თბ. 1959, 213.
16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ. 1950.
17. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები თბ. 1977.
18. ნ. ბერძენოშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბ. 1975.
19. ი. გძელიშვილი. თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები, საქ. სსრ. მეცც. აკად. მოამბე, ტ.XV, №–5, თბ. 1954.

# ჰუჯაბი*

ჰუჯაბის სამონასტრო კოპლექსი მდ. ფოლადაურის სათავეებში მდებარეობს, მის მარჯვენა სანაპიროზე, თანამედროვე სოფ. ალ—ქერფის მახლობლად. ეს სოფელი ამჟამად მარნეულის რაიონში ითვლება, ძველად კი შედიოდა ადმინისტრაციულ—ტერიტორიულ ერთეულში, რომელსაც ბოლნისისხევი ეწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ფოლადაურის ხეობის აღწერისას ჰუჯაბის მონასტერსაც იხსენიებს: „... არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს".[1] სიფლების სიაში აეტორი ამ სახელწოდების სოფელსაც ასახელებს, ფორმით „უჯაბი", რომელიც მოქცეულია სოფ. ხანძუტსა და ორ ჯარმეჩს შორის.

სამონასტრო კომპლექსი სოფლიდან დაახლოებით 1 კმ-ზეა, ლალვარის მთის ძირში. გარედან მას გალავანი ერტყა, რომლის შიგნით სხვადასხვა ნაგებობათა კვალია, ყველაზე მნიშვნელოვანი აქ გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კედლებში გამოყენებულია აგური და გათლილი ქვის ლოდები. მოპირკეთებაში ღია ფერის ქვებს ენაცვლება მუქი ფერის ლოდებიც, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. სარკმლები და გუმბათის ყელი უხვად ყოფილა შემკული ქართული წნული ორნამენტით, ასეთივე წნული ჩუქურთმითაა შევსებული მოზრდილი ჯვარიც. შიგნიდან ეკლესია მოხატული ყოფილა, რომლის კვალი ჯერაც ეტყობა. ხელოვნების ისტორიკოსები ამ ნაგებობას XIII ს-ის I ნახევარს მიაკუთვნებენ.[2]

გალავნის შესასვლელთან მეორე ეკლესიის ნანგრევიცაა. იგი დარბაზული ტიპის შენობა ყოფილა, საშუალო ზომის თანაბარი ლოდებით ჰორიზონტალურ წყობაზე ნაგები. გვიან გადაკეთებული ეს ნანგრევი, 1956 წ თივის შესანახად იყო გამოყენებული.

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, მცირე ეკლესია ადრეული შუა საუკუნეებისა უნდა იყოს. შირიმის ქვა, რომლითაც ის აუგიათ, ხევის აყოლებით, დაახლ. 1 კმ-ზე მოიპოვება. ეზოში არსებული ნანგრევები მოწმობენ, რომ აქ იქნებოდა მონასტრის ბერთა სენაკებიდა სატრაპეზო,

*დაიბეჭდა 1988 წ. „ძეგლის მეგობარი" 3.

ასევე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს, ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროს ორი ხევის შესაყარში, ნასოფლარია საკუთარი ეკლესიის ნანგრევით შემორჩენილი. ჩვენ მხოლოდ აღმოსავლეთის კედელიღა დაგვხვდა, თუმცა ეკლესიის ბუდე კარგად ჩანდა ( 10 მ X 4 მ). ეს უნდა იყოს ჰუჯაბის ნასოფლარი.

ჰუჯაბის მიდამოებში სხვაც ბევრი ნასახლარ—ნაეკლესიარია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც ფოლადაურს აყოლილი გზა და მგლის კარის უღელტეხილია,რომელსაც ლორე-ტაშირში გადავყავართ. ალ—ქერფიდან იგი მე—13 კმ-ზეა; ზღვის დონიდან 1770 მ-ზე. ესაა დაახლ. 80 მ სიგრძის კლდეში გამავალი დერეფანი, რომლის სიგანე ზოგჯერ 10 მ-დეა. არ ჩანს, რომ კლდე ყველგან ხელოვნურად იყოს გაკაფული; იგი უფრო აქ გამავალ მოგზაურთა მიერაა საუკუნეების განმავლობაში დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ ამ გზით სარგებლობდა როგორც ფოლადაურის, ასევე წოფისა და შულავრისხევის მოსახლეობაც; ამ უკანასკნელს ტაშირისკენ სხვა გადასასვლელი არ აქვს; ეს გზა კი უფრო მოკლეა მაშავერ-ფინეზაურისა და დებედის ხეობათა გზებთან შედარებით. უღელტეხილის სიახლოვეს, გზისპირა კლდეზე, პატარა, სქელკედლებიანი, დარბაზული ეკლესიის ნანგრევი იყო, რომლის ნალისებური აფსიდა ნაგებობას ადრეული საშუალო საუკუნეებით ათარიღებდა. არ შევცდებით, თუ მგლის კარის უღელტეხილს მაშინ უკვე არსებულად მივიჩნევთ.

მგლის კარით ლორე-ტაშირს მიმავალი გზის მნიშვნელობას ადასტურებს მის გასწვრივ, ხეობის ორსავე ნაპირზე დამოწმებული ნასოფლარების სიმრავლე; შუა საუკუნეთა მთელ მანძილზე ისინი ცოცხალი ერთეულები ჩანან და ამ გზის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებენ. ამასვე გვიდასტურებენ წერილობითი წყაროებიც: ჟამთაღმწერლის ცნობით, თბილისზე გალაშქრების წინ ჯალალედინი „დაბანაკებულ იყო სომხითს, ჴევსა ბოლნისისასა“.[3] ორბელიშვილნი ერთ საბუთში წერენ: „ბოლნისზე...ან ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის, ბაჟი სულ ჩვენა“.[4]

საბაჟო ყოფილა მგლი კარის უღელტეხილის სიახლოვესაც, რაზედაც 1717 წლის კიდევ ერთი საბუთი მეტყველებს. ესაა საზღვრების გარიგების წიგნი აქაური მფლობელებისათვის:

„კაჭაჭკუტიდამ რომ სომხითისაკენ გზა გარდმოვა, სომხითს რომ გარდმოხედავს, წინ ერთი სერი არის სახელი ურაც თალა ჰქვიან, იმის გაღმითაც ერთი სერი არის კაჭაჭკუტისაკენ, რაც იმ ორს შუა ხევი ჩამოვარდება ჭიპექის წყლამდის... ორის წყლის შესაყრის სისწორ სერი, რომ შემოივლის, თავს საბაჟოს ქვის ყრილობა, იმასთან ელის შარა რომ შემოივლის, გზის კლდე ნადვალეთის სამძღვრამდის დარჩა შანშიაშვილებს, იმის გაღმოლმა დარჩა ოფრეთელთ. ქკსა უე". როგორც ვხედავთ, საბაჟოსთან ელის შარაცაა დასახელებული, რაც ქვემო ქართლის ბარში ჩამოსახლებული, თურქმანული ტომების ცხვრისა, თუ საქონლის გზას გულისხმობს. ისინი თავის ფარებს საზაფხულო საძოვრებისაკენ ამ გზით ერეკებოდნენ.

იმავე გზის მნიშვნელობაზე მეტყველებს კიდევ ერთი, გვიანი შუა საუკუნეების ძეგლი, ესაა ქვის ერთთაღიანი ხიდი ფოლადაურზე, შულავერის ხეობიდან გადმოსასვლელში. სწორედ მისი სახელი შერქმევია იქვე არსებულ სოფელს—აღ-ქერფი თურქულად აღნიშნავს „თეთრ ხიდს". სოფელში სომხური მოსახლეობაა; იქაური მოხუცების თქმით, ესენი ერეკლე მეფის დროს არიან გადმოსახლებულნი, თუმცა სასაფლაოზე XIX ს-ზე ძველი საფლავის ქვები ჩვენ არ გვინახავს.

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ერთი ამონარიდი არაკიდან, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს მოაქვს წიგნში „სიბრძნე სიცრუისა": „ბოლნისის მთის ძირსა, გზის გადასავალსა, ერთი კარგი ფუნდუკი აეშენათ და მუნ ერთი მეფუნდუკე იდგა. ასეთი კაცი იყო, რომე რაც მგზავრი გაიარდა, მას ღამეს სამადლოდ ასვის, აჭამის, ცხენის ქერი და ბზე მისცის, ფასი არ აიღის და მეორეს დღეს გაისტუმრის.

ერთი დიდი ქარავანი მოვიდა და დადგა. კარგა დახვდა. მას ღამეს ასეთი თოვლი მოვიდა, მთა შეიკრა: ვეღარ გადავიდა და ვეღარც გამობრუნდა. მას ზამთარს მას ფუნდუკში დარჩა. მან მეფუნდუკემ არა რა დაახარჯვინა სულ კაცთათვის და აქლემთათვის თავისი ხარჯი მისცა".[6] საფიქრებელია, რომ ეს ფუნდუკი ჰუჯაბის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო.

აი, ასეთ გარემოშია ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი. ძალიან საინტერესოა, რომ მისი სახელი არ გვხვდება ძველ საბუთებში. მხოლოდ XVIII ს-ის I მეოთხედიდან ჩანს იგი „ხუჯაბის" ფორმით: ესაა 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარი და დასტურლამალი, სადაც აღნიშნულია ხუჯაბის ქორის ბუდე. თუ ეს ამბავი შემთხვევითი არაა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ

ჰუჯაბი, ანუ ხუჯაბი მოგვიანებითი შერქმეული სახელია, მაგრამ ჩვენ არც ამ ადგილის ძველი სახელწოდება ვიცით. ჰუჯაბი (ხუჯაბი) ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, არაბული სიტყვაა და მრავლობითი რიცხვია სიტყვიდან ჰაჯიბი (ხაჯიბი), რაც ეჯიბს–მეკარეს, კარის მცველს ნიშნავს. ე.ი. ჰუჯაბი (ხუჯაბი) ქართულად შეიძლება გავიგოთ როგორც „ეჯიბნი".[8] ამ განმარტებას გვიდასტურებს არაბულ-ქართული ლექსიკონიც გ. წერეთლის გამოცემული, 1951 წ (48).

ზემოთქმულთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მეჩვენება XVII საუკუნის ორი საბუთი. პირველი 1651 წლისაა, რომელშიც როსტომ მეფე წერს: „გიბოძეთ... ეჯუბისშვილსა, კარისა ჩუენისა მესტუმრესა დონდარს და ძმასა თქუენსა ზურაბს, ძმისწულსა შენსა მირხაალის, შვილთა თქუენთა შავერდის და გამრიკს... ამას ჟამსა, ოდეს ბადნიერთ ჴელმწიფეთა პაპა-მამათა ჩუენთა, პაპა თქუენი და მამა თქუენი ლორიდამდა აეყარა და სომხითის გადმოესხა და ბედნიერს პაპასა ჩუენსა, პატრონსა ლუარსაბს და მეფესა პატრონსა სვიმონს პაპა-მამათა თქუენთათვის წყალობა ექნა და ებოძებინა სომხითს ოჴერი ნასოფლარი ყუდრო და ნასოფლარი შიხჩობანი, და პაპა-მამათა თქუენთა აეშენა და სამკუიდროდ დაგრჩომოდა".[9]

ამ საბუთის მიხედვით გამოდის, რომ ეჯუბისშვილები (იმავე წლის სხვა საბუთში ესენი ეჯიბისშვილებად იხსენიებიან) XVI ს-ის შუა წლებში ლორიდან გადმოუსახლებიათ მეფე ლუარსაბსა და მის ძეს–სიმონს. მაშინ მიუღია ამ საგვარეულოს სომხითის ნასოფლარები ასაშენებლად და სამკვიდროდ. როსტომის დროს (1651 წ.) ამ სადვარეულოს ერთი წარმომადგენელი სამეფო კარის მესტუმრის სახელოს ფლობს, თუმცა მათი გვარსახელი ისევ მეკარის თანამდებობას აღნიშნავს.

ამავე პირებს იხსენიებს 1651 წ. სხვა დოკუმენტიც. იქ ნათქვამია, რომ მეფის კარის მესტუმრეს ეჯიბისშვილს დონდარს, მის ძმას ზურაბს, მათ შვილებს შავერდისა და გამრიკას, როსტომ მეფემ უბოძა სომხითის სოფელი მიშტარაშენი და მამული სოფ. ტალავერში. საინტერესოა, რომ ექვთ. თაყაიშვილი, ალბათ დონდარის ძმის– გამრიკას სახელის გათვალისწინებით, საბუთის აღწერას იწყებს სიტყვებით: „სიგელი გამრეკელებისა, მიცემული როსტომ მეფის მიერ". თუ ეს მახვილგონივრული მიხვედრა სხვა მხრივაც დადასტურდებოდა, მაშინ გვეცოდინებოდა ეჯუბისშვილთა ძველი გვარი-თორელი. ეს მით უფრო, რომ

ცნობილია თორელთა გვარის წარმომადგენლების სამოხელეო და სამამულო მფლობელობა ქვემო ქართლში.

კიდევ უფრო საინტერესოა ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთი, რომლის მიხედვით, 1661 წ. შაჰნავაზი, კარის მესტუმრე დონდარ ეჯუბისშვილს, მის ძმას და შვილებს აძლევს სომხითის ნასოფლარებს–კარასპუორსა და ნადვალეთებს. სპარსული ტექსტის მიხედვით, ეძლევა „დონდარ-ბეგ თუშმალს... მის ძმას ზურაბს და მის შვილებს შაჰვერდის და გამრიკს.. სომხითის სოფელი ქარასაფური და ნადვალეთი. გააშენებენ და დაასახლებენ რა ხსენებულ სოფლებს, თავის თიულად დამტკიცებულად იცნონ ისინი."[10]

აქ ნახსენები ნასოფლარები ფოლადაურის ზემო წელზეა, ჰუჯაბის სიახლოვეს. ისინი ეჯიბისშვილებს დაუსახლებიათ და იქაური მებატონეებიც გამხდარან. 1721 წლის აღწერის დავთარში სოფლებში კარასპუორში, ზემო და ქვემო ნადვალეთებში მებატონეებად თუშმლიშვილები იხსენიებიან.[11] ესენი კი, ზემოხსენებული საბუთის სპარსული ტექსტის მიხედვით, იგივე ეჯუბისშვილები არიან, რადგან თუშმალი სპარსულში მეკარეს, კამერდინერს აღნიშნავს, ამიტომაა, რომ საბუთის ქართული ტექსტის „დონდრა ეჯუბისშვილის" ფარდად, სპარსული ტექსტი იძლევა „დონდარბეგ თუშმალს".

ასეთ პირობებში შეიძლება ვიფიქროდ, რომ ნასოფლარად ქცეული ჰუჯაბი ოდესღაც ეჯიბთა (ეჯუბიშვილთა) მიერ მიშენდა და სახელიც აქედან მიიღო სოფელმა. ვახუშტის რუკაზე სოფ. ჰუჯაბში აზნაურის რეზიდენციაა აღნიშნული. ეგების აქ იჯდა ეჯიბი, მეკარე, მცველი მგლის კარისა, ზემოთ, რომ მოვიხსენიეთ. ასეთი ფაქტი XVII ს-ის საქართველოში დადასტურებულია ხეობაში: 1609 წ. ტაშისკარში ყირიმელ თათრებთან მომხდარი ომის დროს, გიორგი სააკაძემ წინასწარ შეკრა გასაქცევი გზა ხეობით ახალციხისაკენ. იოსებ თბილელი წერს: „ჩვენი სიკვდილი არ გვეჩნდა იოტად, ანუ კეკრისა, გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა".[12] ე.ი. კორტანეთის გზაზე მეკარეთა უფროსი ვინმე შალვა ყოფილა.

ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ფოლადაურის ზემო წელზედაც და მაშინ ჰუჯაბის სახელწოდება უფრო გასაგები გახდება.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, 37.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია XI, თბ. 1987, 521.
3. ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959, 183.
4. თ. ჟორდანია. ქრონიკები II, ტფ. 1897, 443.
5. სცსა, ფონდი 1450, დავთ. 6, საბ. 19.
6. ქართული მწერლობა 7, თბ. 1989, 132.
7. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი I და II, თბ. 1938, 379.
8. ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი, „ენიმკის" მოამბე, III, თბ. 1938, 384.
9. ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი III, თბ. 1910, 2.
10. ვლ. ფუთურიძე ქართულ-სპარსული საბუთები I, თბ. 1955, 294-296.
11. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი I და II, თბ. 1938, 317, 333.
12. იოსებ ტფილელი. დიდმოურავთანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ. 1939, 10.

# ახტალის მონასტერი*

ქვემო ქართლში, მდ. დებედის შუა წელზე მდებარეობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული მონასტერი ახტალა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ჭოჭკანის ხეობის „ქუემორ არს ჩრდილოთ ეკლესია აგარაკისა (რომელსა შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, შემდგომად იქმნა მიტრაპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლის სამწყსო იყო, ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე), გუნბათიანი, დიდშენი, აწ უწოდებენ ახტალას" (136). ვახუშტი უნდა ცდებოდეს, როდესაც აგარაკის საეპისკოპოსოს ახტალაში გულისხმობს. ეს მას ემართება იმიტომ, რომ ძველი ხუნანი ქციამტკვრის შესაყარში, ბერდუჯის მდინარე კი–დებედის ხეობაში ეგულება. სინამდვილეში ბერდუჯის მდინარე დღევანდელი ძეგამია, ხუნანი კი ძეგამის დასავლეთით მყოფი „თოფრახ–კალა" (2.155-156). ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ძველი ალბანეთისა და სომხეთის მოსაზღვრე მხარეში, პოლიტიკური სიტუაციის ცვლა იყო, როგორც ჩანს, ვახუშტის ამ შეცდომების მიზეზი.

IX ს-ის ბოლოდან ქვემო ქართლში თანდათან ბატონდებიან სომეხი ბაგრატუნები; ამ დროს, პირველ ყოვლისა, დებედის ხეობა აღმოჩნდა მათ ხელში, მაგრამ XI ს-ში ბაგრატუნების ბატონობას ქვემო ქართლში ბოლო მოეღო, თუმცა ხეობის ეს ნაწილი ერთ ხანს ისევ მათ შერჩათ.

ახტალის ძველი სახელწოდება ყოფილა სპილენძის საბადო, სპილენძის მადანი (სომხურად–პღნძაჰანქ), რაც ძველთაგანვე აქ სპილენძის მოპოვება–დამუშავებაზე მიგვანიშნებს. ახტალის სამონასტო კომპლექსში ახლა სამი ეკლესია ჩანს: ორი მცირე, დარბაზული ტიპისაა–წმ. გიორგისა და წმ. სამების სახელობისა, მესამე კი ჯვარგუმბათოვანი დიდი ტაძარია ღვთისმსობლის შობის სახელზე აგებული (ადრე ყოფილა კიდევ ეკვდრები წმ. დიმიტრის, წმ. ბასილისა და ივანესი). ტაძარი აგებულია XIII ს-ში (3. 144; 4. 222).

ახტალის მიდამოებში აღმოჩენილი ქვაჯვრის 1183 წლის სომხურ წარწერაში საუბარია პღნძაჰანქში ჯვრის აღმართვაზე ახპატის წმ. ღმრთისმშობლის სახელზე, რომელსაც აკეთებს

*დაიბეჭდა 1998 წ, „ლიტერატურა და ხელოვნება" №2.



სურ.1. ახტალა, საერთო ხედი



სურ.2. ახტალის ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადი

მარიამ კვირიკეს ასული. ესენი ლორე-ტაშირის ბაგრატუნთა შთამომავლები არიან, რომლებიც იხსენიებიან ახპატის სომხურ და ქობერის ქართულ წარწერებში (4.161; 5.64). უნდა ვიფიქროთ, ეს ადგილები მაშინ ამ საგვარეულოს მფლობელობაში რჩებოდა. სომეხი ისტორიკოსების–ვარდან დიდის (XIII ს), კირაკოს განძაკეცის (XIII ს), სტეფანოს ორბელიანის (XIII–XIV სს) ცნობებით, ზაქარია მხარგრძელის ძმამ–ივანე ათაბაგმა, XIII ს-ში მიიღო რა ქართული მართლმადიდებლობა, სომხებს წაართვა პღნძაჰანქი, ააშენა იქ ქართული მონასტერი და იქვე დაიმარხა (3.144). ამ დროიდან მონასტრის სახელად სპილენძაჰანიც შემოსულა, ე.ი. სომხურ სიტყვას იმავე მნიშვნელობის ქართული „სპილენძი" ჩაენაცვლა. XIII ს-ის I ნახევრში, ქართულიდან სომხურად ნათარგმნ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ის დაიწერა „მონასტერსა, რომელსა ეწოდების სპილენძაჰან, წმ. ღვთისმშობლის საფარველსა ქვეშე მმართველობასა ივანე ათაბაგისასა, აღმშენებლისა მონასტრისასა" (6.316).

ახტალის მთავარი ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზი ადასტურებს, რომ გეგმით იგი წააგავს XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისის ქართულ გუმბათოვან ტაძრებს; ამასვე ემოწმება დეკორის სისტემა და ფასადების ორნამენტიკა. აღსანიშნავია, რომ მათი ცალკეული ელემენტები და მოტივები უკავშირდება მუსლიმანურ აღმოსავლეთს და სომხეთს. ტაძარს ეს ანიჭებს სპეციფიკურ ხასიათს, რაც ნიშანდობლივია სომხეთთან მოსაზღვრე ამ რაიონისათვის (7. 10-11).

ახტალის მონასტრის ისტორიისათვის საინტერესოა ერთი ეპიზოდი, რომელიც სტეფანოს ორბელიანს აღუწერია. მისი სიტყვით, ვაიოც ძორში (სევანის სამხრეთ-აღმოსავლეთით–დ.ბ.) მდებარე ნორავანის მონასტრის ჯვრები, იქაურ ეპისკოპოსს ხაჩენში, აწოპის მონასტერში დაუგირავებია. ამ მონასტრისათვის ისინი ჩამოურთმევია ქვეყნის მთავარს–ვასაკს, ქალკედონიტ სომეხს და ერთი ჯვარი ივანე ათაბაგისათვის უჩუქებია; მას კი, ნაჩუქარი ჯვარი პღნძაჰანქის მონასტერში დაუსვენებია. ეს სასწაულმოქმედი ჯვარი ივანესაგან დაუხსნიათ სარგის ეპისკოპოსსა და სივნიეთის მთავარს ლიპარიტ ორბელიანს, რომლებმაც ჯვარი ნორავანს დაუბრუნეს. ივანე ათაბაგს კი, გამოსასყიდთან ერთად, ჩარექის ციხეც გადასცეს (შამქორის ხეობის ზემო წელზე –დ.ბ.).

შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაუთმო

მოხსენება და სხუად ეზომს მოგახსენებ, რომე თუ ანუ პატრონი ზაზა არ მოგიმდურებია და ანუ შენის თავის ჰავი არ გინდა, პატრონისა ზაზას უკითხავად ციცის ნუ ჰნახავთ, აქა მოუხსენებია და ნუღარას დააყოვენი, წამოდით. შენითა პირითა ეპირიანების პატრონს ზაზას ციცის საუბარი და უთქუენს კაცს არ შემოიყვანს შუა და წამოუვალობას ნუ იქთ".[58]

ამ დროს ისევ შეურიგებელი ბრძოლაა მეფესა და ათაბაგს შორის; ჯაყელს არ სურს ზურგში იყოლიოს მეფის მომხრე ფეოდალები და ამიტომ მთელი ძალით ებრძვის მათ. სამცხისა და მის მიმდგომ საერისთავოებზე საუბრისას მემატიანე მოგვითხრობს „ეშინოდა ყვარყვარეს ერისთავთაგან ამ ქუეყნისათა, რათა არა მიერთვნენ კუალად გიორგი მეფესავე. ამისთვის ეზრახა გურიელს კახაბერს და მისცა აჭარა, ჭანეთი, რათა მწე ექმნეს ერისთავთა ზედა ამის ქუეყნისათა... ამის მიერ მოვიდა გურიელი სპითა თუისითა და ბრძოდნენ ერისთავთა, რომელნი არა ერჩდეს ყვარყვარეს. მაშინ ვიეთნიმე მოსრნეს, ვიეთნიმე დაიმორჩილეს და ვიეთნიმე ივლტოდნენ, ვითარცა ზაზა ფანასკერტელი, წავიდა ქართლს წინაშე გიორგი მეფისა და სხუანიცა. ხოლო ყვარყვარემ დაიპყრა ქუეყანანი და ციხენი სამცხე–კლარჯეთისანი თუისად და უწოდა სახელითა თუისითა უმეტეს პირველისა საათაბაგო".[59] ეს მოხდა 1463 წ.

მოტანილი მასალებიდან, ვფიქრობ, კარგად ჩანს, რომ XIV ს-ის II ნახევრიდან მოკიდებული, მეფის ერთგულებით სამეფო კარზე დაწინაურებული ფანასკერტელები ქართლში მამულებს იძენენ; ამავე დროს ისინი ტაოს ერისთავები და შავშეთ-ტაოში მამულის მფლობელნი არიან. აქ მათ დაჟინებით ავიწროვებს ჯაყელი და აი, ზაზა ფანასკერტელ–ციციშვილია ის, რომელიც „წავიდა ქართლს წინაშე გიორგი მეფისა".

ეს ფრაზა ხაზს უნდა უსვამდეს იმას, რომ ზაზა, რა თქმა უნდა, იძულებით, საბოლოოდ მოსწყდა მამა-პაპეულ სამყოფელს და ქართლში დამკვიდრდა, ამით დასრულდა ფანასკერტელ–ციციშვილთა გადმოსახლებაც.

ქვემოთ გამოჩნდება, რომ ფანასკერტელთა მეორე შტო ეგუება ათაბაგთა ბატონობას, ისინი აქ ისევ იწოდებიან ფანასკერტელებად. სავარაუდოა, ზაზას ძმა–ციციც მკვიდრ მამულში დარჩენილიყო; ყოველ შემთხვევაში ქართლში გადმოსულთა შორის მისი ხსენება არსადაა.

ზაზა ფანასკერტელ–ციციშვილს ქართლში ახალი

სარგის ეპისკოპოსმა მის თანამდგომ იოანეს სივნიეთის ეპარქიის ნაწილი. ამას მოჰყოლია „შფოთი წმიდა ჯვრისათვის". ორივე ეპისკოპოსი, ლიპარიტი და ძე მისი–ელიგუმ, სამსჯავროდ ივანე ათაბაგთან დვინს წასულან. მას კი მოუწვევია თავისი დიდებულები–ბუბაგი და მარწვანი, ივანე ტბელი და მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, „რომელიც მოსულიყო სამეფოდან", ვარძიის წინამძღვარი და პღნძაჰანქის წინამძღვარი, დიდი მამამთავარი გარეჯისა, გაგელი, მაწნაბერდელი და სხვა მრავალი დიდებული, თბილისის ყადი, ანისის ყადი, დვინის ყადი, სურმარის შეიხი, ანისისა და ახპატის ეპისკოპოსები. ყველა ამათთვის უბრძანებია ივანე ათაბაგს საქმის გამოძიება. „ამათ გამოიძიეს სამართალი და განსაჯეს ესე, რომ მკვდარსა და ტყვექმნილს ერთი აქვთ სახე: ვინც მკვდარს აღადგენს, აღარაა მშობელთა შვილი, არამედ განმაცხოვებლისაა და რომელიც ტყვექმნილს დაიხსნის, აღარაა ის ამიერიდან მფლობელისა, არამედ ტყვის მხსნელისაა. ახლა ამ ქვეყანასავით, რომელიც მახვილითა და ხელით არის აღებული და საქართველოს სამეფოს საკუთარ სამემკვიდროდ იწოდება, ის ჯვარიც საკუთარი იყო ივანესი და მისი მიცემის გამო ლიპარიტისა და უფალ სარგისისათვის მრავალი წარსაგებლით, 1000 დრაჰკანამდის, ჯერ არს იყოს ლიპარიტისა და მისი ეკლესიისა სამარადისო მემკვიდრეობად". ამ სამართალს ყველა სიამოვნებით დათანხმებია (8. 110-116).

უნდა ვიფიქროთ, რომ სპილენძაჰანის ახლადაგებულ მონასტერში დასვენებული ჯვრისათვის მიღებულ გამოსასყიდს, ივანე ათაბაგი იმავე მონასტრის საჭიროებებს მოახმარდა.

ახტალის სამონასტრო კომპლექსში შემორჩენილ წარწერებში კარგად მოჩანს ბერების მიერ წარმოებული, გაცხოველებული აღმშენებლობა. ერთი ქვაჯვრის წარწერა ასეთია: „იორდანეს შეუნდოს ღმერთმან, რომელმან ესე უხმარი ადგილი სახმარ ყო"; მეორე ჯვრიან ქვაზე იკითხება: „ძლევაჲ ქრისტესი. ამა ადგილისა მაშენებელთა დემეტრეს, გიორგის, სიმონს შეუნდევენ უფალო ღმერთო". საყურადღებო წარწერებია წმ. სამების ეკლესიაში მყოფ საფლავის ქვებზეც: „ღმრთისათვის ლოცვა ყავთ მამანო წმიდანო მოსე კანდელაკისათვის", „იოანეს შეუნდევენ ღმერთმან"; „მოსეს ძმასა შეუნდევენ ღმერთმან"; „დეკანოზსა ნიკოლოზს შეუნდევენ ღმერთმან"; „სიმონს შეუნდევენ უფალო ღმერთო".

მთავარი ტაძრის პირდაპირ, გორაკზე მცირე სამლოცველოა.

რომლის დასავლეთის შესასვლელის თავზე, ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „მე, უღირსი სულითა საწყალობელი წინამძღვარი პეტრე, ღირს ვიქმენ აღშენებად ეგუტერისა ამის, სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა, სადიდებლად მათდა და პირველ პატრონთა და გამზრდელთა, თავთა ჩვენთა სამლოცველოდ და სულისა ჩემისა სალოცველ-სახსენებლად. და განვაჩინე ათორმტთა მოციქულთა დღესა-სწაულის მეორე დღე. ვინცა ჩემისა გუარისა კაცი იყოს, მისისა ძალისებრ ძმათა გამიხსენებდეს და წესითა მიწირვებდეს და მე თქვენთა ლოცვათა შინა მომიხსენებდეთ. და უკეთუ ჩვენთა ცოდვათა მისაგებელი მომაგოს ღმერთმან და ჩემისა გვარისა კაცი აღარავინ იყოს, თქვენ, ქრისტეს მოყვარენო და მგზავსნო მამანო წმიდანო და ყოველნო ძმანო, ვინცა პატრონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა ზედა, ჩემგნით აღშენებულსა ზედა ღირს იყოთ და აღირსოთ პირველ პატრონთა და თქუენცა, სული მანვე იურვოს დაუკლებლად. ჩემითა ხელითა და ძმისწულისა ჩემისა ილარიონისითა აგვიშენებია და არვინ გვემართლების უხსენებლობასა. ესე ჩემგნით გაჩენილი, ანუ ჩემისა გვარისა კაცმან, ანუ ვინ სხეაი შემოვიდეს და დააკლოს და შეცვალოს, შემცაიცვლების რჯულისაგან ქრისტიანეთაისა და ცოდვათა ჩემთა პასუხი მან გასცეს წინაშე ღმრთისა". წარწერა 1242–1250 წლებისა უნდა იყოს (3.144; 6.311–315), როგორც ამ საინტერესო წარწერიდან ჩანს, მონასტრის წინამძღვარ პეტრეს, მონგოლთა ბატონობის პირობებშიც მოუხერხებია ავაგ ათაბაგის სამწირველო ეკვდერის აშენება.

სპილენძაჰანის ქართულ სავანეში უმოღვაწიათ სომეხ ქალკედონიტ ბერებსაც. უნდა ვოფიქროთ, სამონასტრო კომპლექსში მათ თავისი სამლოცველოც ექნებოდათ... მონასტრის მახლობლად სოფ. აიორში შემორჩენილია სომხური წარწერები; ერთი მათგანი პატარა ეკლესიასთან აღმართულ ხაჩქარზეა ამოკვეთილი და 1245 წლით თარიღდება. მისი ქართული თარგმანი გვამცნობს: „აღიმართა წმიდა ესე საუფლო დღეგრძელობისათვის ავაგისა წინამძღვრობასა პეტრესა და მამასახლისობასა ამაზასპისა. მე იაკობ ხუცესმა აღვმართე ჯვარი ესე ჩვენს სასაფლაოზე. მე და მეუღლე ჩემი მოიხსენეთ ლოცვასა შინა". საინტერესოა, რომ პეტრეს წინამძღვრობა ქართულ მართმადი-დებლურ მონასტერში, ამ სომხურ წარწერაში ქართული სიტყვითაა გადმოცემული–წინამძღვარუთიუნ, მაშინ როდესაც

ანტიქალკედონ'ურ ახპატში ამაზასპის ეპისკოპოსობა სომხური ჰაირაპეტ'უთიუნით გამოიხატება (6.313-319). სამწირველოს ქართული წარწერის მსგავსად, აქაც იგივე ავაგ ათაბაგი და პეტრე წინამძღვარი იხსენიება, იაკობი კი, სომეხი ქალკედონიტი ხუცესია, მართმადიდებლ'ურ მონასტერში ქართველი ბერების გვერდით მოღვაწე. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ივანე ათაბაგი დაუკრძალავთ მის მიერ აგებული ეკლესიის შესასვლელთან, ხოლო მისი ძე-ავაგი მამამისის საძვალეში (9. 148, 198).

მეორე სომხური წარწერა იქვე, პატარა სამლოცველოს სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზეა. მისი ქართული თარგმანი ასეთია: „ნებითა კეთილმოქმედი ღმრთისა, წელსა ღვთივ ძლიერისა მეფისა დემეტრესი, მამასახლისობასა უფლისა იოვანესი, წინამძღვრობასა სიმონისა, დეკანოზობასა ოქროპირისა, მე ცოდვილმა"– დემეტრე მეფის ხსენება, ამ დაზიანებულ წარწერას 1270-1284 წწ. ათარიღებს. იოანე ახპატის მამამთავარია. სიმონ წინამძღვარი კი–სპილენძაჰანის ქალკედონიანთა სავანისა და სამეცნიერო–ლიტერატურული სკოლის მესვეური. ამ წარწერაშიც სიმონისა და ოქროპირის ტიტულები-წინამძღვარი და დეკანოზი–ქართული სიტყვებითა და სომხური ასოებითაა დაწერილი–წინამძღვარ'უთიუნ, დეკანოზ'უთიუნ, ხოლო ახპატის ეპისკოპოსი სომხური სიტყვით იხსენიება–არაჯნორდ (6. 313-314).

ახტალის ტაძრის XIII ს-ის მოხატულობაში, ქართველ მოღვაწეთა მთელი ჯგუფის გამოსახვის საინტერესო მაგალითი გვხვდება. დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილნი არიან წმ. იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ევაგრე, აგრეთვე ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. აქ ხაზგასმულია სურვილი იმ ქართველ მოღვაწეთა უკვდავყოფისა, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ქართული სამონასტრო საქმიანობის გავრცელებაში (10.14-15).

XX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ არსებობდა ერთი უცნობი მონასტრის ტიბიკონის დაზიანებული ნაწყვეტი. მისი დედანი დაიღუპა. შემოგვრჩა ს. კაკაბაძის გადმონაწერი; თუმცა ტექსტი საბოლოოდ დადგენილი არაა, შინაარსის მიხედვით, ტიბიკონი 1191-1212 წწ. თარიღდება. იქ მიხსენიებული ბოლნისის გამო ვარაუდობენ, რომ ესაა წესი და განგება ბოლნისის სიონის, ან მის მახლობლად მყოფი რომელიღაც მონასტრისა (11.72; 12. 146). ამ წესდებაში, ცხადია, განსაზღვრული იქნებოდა უფლება-მოვალეობანი მოძღვრისა და მოწაფისა, მწირი მონაზვნისა,

დიაკვნისა, ერისაგანი მსახურისა, განსაკუთრებით კი მონასტრის წინამძღვრისა.

ზემოხსენებული ტიბიკონის ნაწყვეტი ასე იწყება: „... თუ ვინმე დაიმჭიროს თვითოისა მეტი, მოძღუარი და მოწაფე ორნივე კიდე გაისხნენ მონასტრით შეუნდობლად" (11. 71; 12. 132). მსგავსად ვაჰანის ქვაბთა მონასტრის განგებისა, რომელიც დაახლოებით ამავე ხანებშია შედგენილი, აქაც საუბარი უნდა იყოს ტიბიკონის დამდების სურვილზე, რომ არავინ გახდეს გარეშე მოძღვრის მოწაფე და არც სხვათა დამოწაფებას ეცადოს შინ, თუ გარეთ. ამით იქნებოდა დაცული ძმათა მოუკლებლობა (12. 136).

მომდევნო წინადადებაში იხსენიებიან საპყარნი, ე.ი. დაერდომილნი, ან უძლურად მყოფნი ძმანი, „რომელნი განჩენილ არიან ეგრევე იმყოფებოდნენ". ისევე, როგორც ვაჰანის ქვაბთა განგებაში, აქაც საუბარი იქნებოდა მესნეულე მონაზონზე, რომელიც „განიჩინებოდის და უძლურმყოფთა ძმათა ჰმსახურობდეს", დღეში სამგზის შემოვლითა და ტრაპეზიდან მათთვის საწესოს მირთმევით (12. 132, 140).

უცნობი მონასტრის ზემოხსენებულ ტიბიკონში ნათქვამია: „საწინამძღვრონი ადგილნი ჰქონდეს... და გლეხნი და ზუარნი და ვენახნი და სხუაი მოსავალი ეგრეთვე გ—ცა იღებდა და ჩიოდა, ვითა პატრონისა და ლაშქართა და სტუმართათვის ესე მოსავალი არ ეყოფის და ამისათვის... ეგრეთვე ბოლნისს საღვინე დავდევით". მაშასადამე, სტუმართა სიმრავლის გამო, საწინამძღვრო ადგილებიდან, თუ ზვარ ვენახებიდან მონასტერში შემოსული ღვინო არ ჰყოფნით, ამიტომ ჩივიან და წესდების დამდებისაგან მარაგის შევსებას მოითხოვენ. ისიც ბოლნისში საღვინეს გაიჩენს.

შემდგომ ტექსტი ასე გრძელდება: „ესე... ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს და ბოლნის(ი)სა (ჩემი კონიექტურა-დ.ბ.) ღვინოი მოიღების ერთი მონასტრის მწირეელი, ნაცვალი დ-წ-სა დაიყენებოდის და ერთი მწირი და ერთ ვი-სა ყმაი ამას მოსავალსა ზედა". გამომცემელთაგან აქამდე აღუნიშნავი დარჩა სიტყვა ქარცების მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში არავის აქ ტოპონიმი არ დაუნახავს. ამიტომაც ყველა მიიჩნევდა, რომ ტიბიკონის შემორჩენილ ნაწყვეტებში მხოლოდ სახელწოდება ბოლნისი იხსენიება; გ. ჩუბინაშვილი კი, ამის გამო ხსენებულ ნაწყვეტს ბოლნისის სიონის განგებად მიიჩნევდა (13. 110-111).

სიტყვები „ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს", აღნიშნავს ხორბლის მოსვლას ქარცებიდან. ძველად მოქმედებით ბრუნვას

დაკისრებული ჰქონდა გამოსვლითის ფუნქციაც. ის ახლაც შემონახულია მთის კილოებში: ვაჟა „ბახტრიონში" რომ ამბობს „თუშეთით მოსულ მზირია", გულისხმობს თუშეთიდან მოსულს (14. 74). ასე, რომ ტიბიკონში ქარცები პუნქტია, საიდანაც ხორბალი უნდა მოსულიყო. ეს კი ჯავახეთის ზეგანზე მყოფი სოფელი უნდა იყოს. ჯავახური ხორბალი ყოველთვის ცნობილი იყო და ქვემო ქართლში მონასტრის საჭიროებისათვის მისი მოშველიება არ იქნებოდა უჩვეულო რამ. ტოპონიმი, ალბათ, ნიადაგის თვისებას გამოხატავდა: ქარცი-მოწითალო, ქერაა. სოფელი ქარცები ახლაც არსებობს ახალქალაქის რაიონის ოკამის სასოფლო საბჭოში.

მომდევნო წინადადების სიტყვები: „და გი... არს დიდთა და სრულთა მონასტერთაჲთა მის ღჳნისაგან..." გამოხატავენ ტიბიკონის დამდების სურვილს–მის სავანეშიც ისევე მოეხმარათ შემოსული ღვინო, როგორც ეს დიდსა და სრულ მონასტრებს შეეფერებოდათ. შემდგომ ნაკლულ ტექსტს ივ. ჯავახიშვილი ასე აღადგენდა: „ამ მოტანილ ღვინისაგან„პირველად საბაბილო ჭური, საკვირაო შემომწირველთანი ჭურნი აღივსებოდიან და მერმე სხუანი, რაჳდენიცა ეგებოდეს". ამ ღვინის დახარჯვის შესახებ განსაზღვრული იყო, რომ „საბაბილო ჭური დღეობასა წაიგებოდეს, ვითა მოსახმარებლად სახამსო იყოს, და საკვირაო ჯვარამაღლებითგან, ვითა წესი და პირი საქმეთაი მოგცემდეს-ო"... მოხსენიებული სხუანი ჭურნი საფიქრებელია, მონასტრის საკუთარი ყმების ვენახებითგან კულუხად მიღებული ტკბილ-ღვინის ჩასასხმელად იქნებოდა განკუთვნილი" (15. 23-24).

განწესების შემდგომი სიტყვებიდან ჩანს, რომ მონასტერში „აქამდის" ე.ი. ტიბიკონის დადებამდეც ყოფილან „პატრონნი ღმრთისა სწორნი, ლაშქარნი, სტუმარნი დიდნი და მცირენი", რომლებიც ახლაც ისეთივე პატივით უნდა გაისტუმრებოდნენ. ეპითეტი „ღმრთისა სწორნი", მეფეთა შესაფერია და ალბათ სამეფო ოჯახს გულისხმობს. სხვა ორ შემთხვევაში, მხოლობით რიცხვში მოხსენიებული „პატრონი, ლასქარნი და სტუმარნი", მონასტრის პატრონს და განგების დამდებს, მის ლაშქარსა და სტუმრებს უნდა აღნიშნავდეს.

აქვე გათვალისწინებულია პურისა და ღვინის ნაკლებობის შემთხვევები სეტყვისა თუ სხვა მიზეზთა გამო, რაც უნდა შეივსოს მონასტრის მარაგიდან. ტიბიკონის დამდები წელიწადის დღეებზე გაჩენილი აღაპების რაოდენობას 45-ით აჭარბებს, რომ დანაკლისი ძმათა კრებულმა ამით შეივსოს; ხოლო თუ ზედმეტი მორჩება

რამე, ისიც წმინდა ტრაპეზს დაემატება, რომ ყველა უხვებითა და უნაკლულოდ იყოს.

ხაზგასმითაა არნიშნული, რომ მეფეთა-მეფის თამარის დღეგრძელობა, წარმართება და შენდობა უფრო უნდა აღემატოს და ითქმოდეს ლოცვებში. მან თურმე „დიდი გულს-მოდგინებაი აჩუენა და სოფელნი და აგარაკნი შემოსწირნა და სხუანი აგარაკნი თქუენნი შესავლობისაგან შეუვალყვნა და ყოველი ხარკი და ბეგარა ამოგხადა"... სამწუხაროდ შეწირული თუ ბეგარა-ხარკახდილი სოფლებისა და აგარაკების სახელები არ ჩანს.

განსაკუთრებით საინტერესოა ტიბიკონის ის ნაწილი, სადაც ივანე მხარგრძელი იხსენიება: „ივანე მხარგრძელმანცა მსახურთ-უხუცესმან დიდი სასოებაი და გულს-მოდგინებაი აჩუენა ამის დედისა ღმრთისა მიმართ და საყოფელისა მისისა, და რომელ მონასტერსა...საბოსტნე და სავენახე, რომელი დიდად ეხმარნეს, ესე ვალანისა ქუეშითგან იყიდა, რომელ... უფროსითა საფასოითა და დედასა ღმრთისასა შემოსწირა, რათა მოხსენებული დიდებულ ყოს ძემან ღმრთისამან და ამან ყოვლად წმიდამან დედამან მისმან".

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწყვეტში, ივანე მსახურთუხუცესის მიერ შემოწირული მხოლოდ საბოსტნე და სავენახე ადგილები ჩანს, მაინც მისი ღვაწლი შეფასებულია, როგორც „დიდი სასოებაი და გულს-მოდგინებაი". განგების დაზიანებისა და ნაწყვეტის ფრაგმენტულობის პირობებში, ეს „დიდი სასოებაი", ანუ მონასტრის დაიმედება ივანე მხარგრძელისაგან, საჳანისადმი მისი განსაკუთრე-ბული დამოკიდებულების მაჩვენებლად შეიძლება მივიღოთ. ძმათა კრებულისათვის დიდად საჭირო და გამოსაყენებელი საბოსტნე და სავენახე ადგილები მას ზედმეტ ფასად შეუსყიდია „ვალანისა ქვეშითგან". ვალანი „ფიცრის გალავანია", ანუ ხის ღობეშემოვლებული კარ-მიდამო. ასეთი სიტყვა პეტრიწონის მჰნასტრის ტიბიკონშიაც გვხვდება: „ნასყიდის ნაწერები ვარდანისი ავლანისათვის, რომელი მისინოპოლს არს". ეს ავლანიც ეზო კარ-მიდამოს აღვიშნავს (16. 125, 148). საფიქრებელია ასეთი ადგილები ქვემო ქართლის ჩვენი მონასტრის მახლობლად იქნებოდა, რომლებიც ყველასათვის იყო ცნობილი და სახელით მინიშნება საჭიროდ აღარ დაუნახავთ. პეტრიწონის განგების ავლანი კი მისინოპოლს ყოფილა.

მოსავალი ამ შემოწირული ადგილებიდან, როგორც

შეეფერებოდა, განუჩენიათ ტრაპეზისათვის, წინამძღვრისათვის, რაც „სტუმარსა და მომავალსა ყოველსავე მისსა ეყოფოდა", ასევე განუწესებიათ „სამწირველოისა სახლისა მისისათვის". აქ ტიბიკონის დამდების სამწირველო უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ამავე მონასტერში ყოფილა. იგი შემწირველის სულის მოსახსენიებელი წირვა-აღაპის მოწესრიგებას ემსახურებოდა. „სამწირველოისა სახლი" საშემოსავლო ობიექტადაც არის გაგებული, რომელიც ჯერ კიდევ მონასტრის საერთო შეწირულობას წარმოადგენდა. სამწირველო მამულის შეწირვა იმთავითვე საერთო წმინდანის, მთავარი ეკლესიის სახელზე ხდებოდა და ამ შემოსავალში, მწირველთან ერთად, მონასტრის საერთო წინამძღვარი მონაწილეობდა. XIII ს-ში სამწირველოს საკურთხევლად, ზოგჯერ მონასტრის საერთო საეკლესიო საკურთხეველი გვევლინება, ხან კი, საკუთარი საკურთხეველი არსებობს, რაც ცალკე ეკლესია–ეკვდერს გულისხმობდა (17. 333,157). მაგალითად, ახტალის მონასტრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ ივანე მსახურთუხუცესის სამწირველოს საკურთხეველი ღმრთისმშობლის სახელობის მთავარ ეკლესიაში იქნებოდა; ავაგ ათაბაგის სამწირველოდ კი, პეტრე წინამძღვარს ცალკე ეკვდერი აუშენებია წმ. 12 მოციქულთა სახელზე, რასაც გვაუწყებს 1242-1250 წწ. ზემოხსენებული წარწერა.

განგების ნაწყვეტში შემდეგ ნათქვამია: „და სხუაი, რომელი ამისგან დაჰრჩა, ასსავე სახლსა ზედა სახუცოსა და სამწიროსა, წესისაებრ ვითა ჰმართებდა, ზედა გაუყავ სწორად". მაშასადამე, ტექსტის წინა ნაწილში აღნიშნული ყველა სამსახურის გასტუმრების შემდგომ დარჩენილია სამყოფი სურსათი ას სახუცო და სამწირო სახლებზე გასანაწილებლად. ხუცესთა და მწირთა აღნიშნული რაოდენობის გათვალისწინებით, მონასტერი დიდი იქნებოდა.

ვაჰანის ქვაბთა განგების მიხედვით, იქ 51 მღვდელმონაზონი და 10 მსახური იყო. ასევე 50 მონაზონი და ერთი წინამძღვარი იყო პეტრიწონის მონასტერშიაც. ასეთი დამთხვევა ეგების არ იყო შემთხვევითი: ძველ აღთქმასა და სახარებაში 50 (ერგასი) ერთ-ერთი საკრალური რიცხვია (სულიწმინდის მოსვლა) 50 მონაზონი იყო წმ. რიფსიმეს ქალწულთა მონასტერშიაც, რომელთაგან მხოლოდ წმ. ნინო გადაურჩა სიკვდილს...ვაჰანის ქვაბთა წესდების დამდები მღვდელთა რიცხვს (24) და დიაკონთა რაოდენობას(7) განსაზღვრავს „განაწესებისაებრ მოციქულთა

კრებულისა და წმიდათა მამათა". მწირად წოდებულ მონაზვნების რაოდენობას იგი აწესებს 20-ს. მას შესაძლებლად მიაჩნია მღვდელ-მონაზონთა უფრო მრავალრიცხოვანი კრებულიც, მაგრამ დადგენილ რაოდენობას ამართლებდა სურვილით ყოველმხრით უნაკლულოდ ყოლოდა ძმობა (12. 136,137).

ზემოხსენებული უცნობი მონასტრის განგების ნაწყვეტი მთავრდება წინამძღვრის ქცევის ნორმების რეკომენდაციით: „წინამძღუარსა ვითა ქრისტესა ჰმორჩილებდნენ. ნუმცა რაი იკადრების წინამძღურისა უნებელი, ვითა ქრისტესი. და წინამძღუარი, ვითა ქრისტე მისთა მოწაფეთათჳს ტკბილი, სახიერი და ლმობიერი იყოს. წინამძღუარისაგან ნუმცა იქმნების ესე თუ: (რომელთა) კითხვა-რჩევით სიყუარული ჰქონდა, რომელმან ეშინოდა და ჰრცხუენოდა და ნუგეშინი–სცემდა, ასუმევდა და აცუმევდა; და რომელთა მწირთაგან არცა ეშინოდა და არცა ჰრცხუენოდა მათი..." (12.134). მაშასადამე თუ ზოგიერთ მწირს ეშინია და რცხვენია წინამძღვრისა, ეს უკანასკნელი უნდა ანუგეშებდეს მას.

ზემოთ განხილულ ტიბიკონზე, დაკვირვებით ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ „ესაა მსახურთუხუცესის ივანე მხარგრძელის მიერ (მაშასადამე 1191–1212წწ) დაარსებული ქვემო ქართლის, ბოლნისის მახლობლად მდებარე მონასტრის განგება" (15. 22-23). ე.ი. ივანე მხარგრძელი მონასტრის პატრონი ყოფილა და თვითონვეა წესდების დამდები, თუმცა მის ნაბრძანებს სხვა უნდა წერდეს. ამას ადასტურებს ნაწყვეტის ბოლოს ნათქვამი: „აწ ესე, ვითა ყოველივე წესი და განგება ამის მონასტრისაი საკაცოი საღმრთოი ამას ტეიპიკონსა შინა სრულად და უნაკლულოდ დამიწერია, ყოველსავე ეგრეთ აღასრულებდენ" (11. 73; 12. 134).

ტექსტის ფრაგმენტულობით უნდა აიხსნას, რომ მონასტრის პატრონის ვინაობა გამოკვეთილად არ ჩანს, როგორც ეს ვაჰანის ქვაბთა განგებაშია, თუმცა მისი მოხსენიება თამარ მეფის შემდეგ, მისი ზრუნვის ხაზგასმაც საკმაო საბუთია საამისოდ. ივანე მსახურთუხუცესს, შემდგომში ათაბაგს, სხვა მონასტერიც შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ზემოგანხილული ტიბიკონი ახტალის მონასტრისაა.

ამის საფუძველს იძლევა რიგი მონაცემების თავჩენილი დამთხვევაა: 1. ახტალის წარწერებისა და ტიბიკონის მიხედვითაც მათავარი ტაძარი ღმრთისმშობლის სახელობისაა;

2. ყველა მონაცემით (წყაროები, წარწერები ტიბიკონი) მონასტერი ივანე მხარგრძელის აშენებულია, ისაა მისი პატრონი და წესდების დამდები;

3. ეს ხდება 1191–1212 წწ რასაც ემოწმება ახტალის მთავარი ტაძრის აგების ქრონოლოგიური საზღვრები და განგების ნაწყეტის დათარიღება;

4. ტიბიკონში საუბარია მწირველსა და სამწირველოზე, რაც მონასტრის პატრონის სამწირველოს უნდა გულისხმობდეს; წყაროების მიხედვით, ივანე მხარგრძელი მართლაც ახტალის ტაძრის შესასვლელში დაუკრძალავთ;

5. თუ სწორია ის. დოლიძის აღდგენა და წესდების ტექსტში იხსენიება მატური („რომელთაცა ძმათა წინამძღუარი უბრძანებდეს ეკლესიისა და მატურისა (მტ რსა) სამსახურად გაგზავნასა"...), მაშინ აქ ალბათ მომავალი საგვარეულო სამარხი უნდა იგულისხმებოდეს. მართლაც მამა-შვილი: ივანე და ავაგ ათაბაგები ახტალის მონასტერში დაიკრძალნენ.

6. ბოლნისისა და ქარცების დასახელება განგებაში, საიდანაც ღვინო და ხორბალი უნდა მოსულიყო მონასტერში, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მონასტერი ამ პუნქტების გარეთ იგულისხმება; მათთან საპირისპიროდ, ადგილობრივ ვითარებას ტიბიკონში აღნიშნავენ სიტყვებით: „აქა", „აქაჲთ", „ამის ადგილისაგან", „ამის მონასტრისაჲ", რომლის სახელის მოუხსენებლობა ნაწყვეტის ნაკლულობით უნდა აიხსნას;

7. სამეფო ოჯახის, ლაშქართა,დიდთა და მცირე სტუმართა ხშირად აქ ყოფნა, მიუთითებს მონასტრის სიახლოვეზე მნიშვნელოვან ტრასასთან, რასაც ასევე შეესატყვისება ახტალის მდებარეობა დებედის ხეობით მიმავალ გზაზე;

8. ახტალის წარწერებსა და განგების ნაწყვეტში მოხსენიებული მსახურთა თანამდებობანი შეეფერება „დიდთა და სრულთა მონასტერთა": მამასახლისი, წინამძღვარი, მოძღვარი, დეკანოზი, დიაკონი, კანდელაკი, ხუცესი, წმ. მამანი და ყოველნი ძმანი, მწირველი, მოწაფე, მწირ-მონაზონი, ასევე—ერისაგანი, მსახური, განმგე, ნაცვალი, საპყარი, ყმა;

9. ტიბიკონში იხსენიება მონასტრის პატრონი, პეტრე წინამძღვარიც ახტალის წარწერებში ამბობს, რომ აშენებს ეგეტერს, „სადიდებლად პატრონთა და გამზრდელთა", ორივეგან იგულისხმება ივანე მხარგრძელის ოჯახი;

10. განგების ნაწყვეტის ბოლოს წინამძღვარი სამჯერაა ქრისტეს შედარებული („ვითა ქრისტესა"), პეტრე წინამძღვარი თავის წარწერაში ასევე ამბობს: „თქოჳენ, ქრისტესმოყვარენო და მგზავსნო მამანო წმიდანო"... ცხადია ამით არ ცნაურდება, რომ მაინცდამაინც პეტრეა ტიბიკონის დამწერი, მაგრამ იგი თითქოს ამ წესდების გავლენას უნდა განიცდიდეს;

11. ტიბიკონის ნაწყვეტის ბოლოს, წინამძღვრისაგან მოითხოვენ თანაბარ დამოკიდებულებას, ერთნაირ სიყვარულს, არგამორჩევას მონაზვნებისას მონასტრის მწირთა შორის. ასეთი რამ არ ჩანს ვაჰანის ქვაბთა, თუ პეტრიწონის მონასტრის წესდებათა ტექსტეში. ეგების ეს უნდა მიგვანიშნებდეს განსხვავებულ ვითარებაზე, ახტალის მონასტერში, რომ შექმნილა: ქართველი და სომეხი დიოფიზიტი ბერების თანამშრომლობაზე. ასეთ ვითარებაში, თუ „კანონზომიერია პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა მონასტრების ბერ-მონაზონთა თანაბარი რაოდენობა-50, მაშინ იქნებ ჩვენს ნაწყვეტში მოხსენიებული 100 სახუცო სახლიდანაც 50 ტომით ქართველი, 50 კი—სომეხი დიოფიზიტი მონაზვნებისა იყო;

12. ტიბიკონი, რომ ახტალის მონასტრისაა, საამოსოდ ნიშანდობლივი უნდა იყოს კიდევ ერთი გარემოება: ტყავის ნაჭერზე დაწერილი ამ ნაწყვეტის მეორე სუფთა გვერდზე ყოფილა 1777 წლით დათარიღებული მხედრულად ნაწერი, შეწირულების სიგელი გარეჯის ნათლისმცემლისადმი მიცემული სომხითის მელიქის ძეთაგან (11. 73. 75). ახტალის მონასტრის განგების ნაწყვეტი მათ ხელში უნდა ჩავარდნოდათ იმიტომ. რომ სომხითის მელიქის თავადური სახლის სამკვიდრებელი თავიდანვე ხოჟორნისხევისა და ჭოჭკანის ხეობაში იყო. ეს ირკვევა ქართული და უცხოენოვანი წყაროების შეჯერებით, მეტადრე ომან ხერხეულიძის სიტყვებით: „...ახტალა, რომელ არს მამულობით თავადთა სომხითის მელიქისა" (18. 98-101).

ახტალის მონასტერი სომხითის მელიქების საგვარეულო სასაფლაოდ ქცეულა და ასე დარჩენილა XIX ს-ის შუამდე. ამასვე ეხმაურება XVIII ს-ის ხელით შესრულებული მეორე მინაწერი ზემოხსენებული ტიბიკონის ნაწყვეტის არშიაზე: „წვიმაში გდებულიყო ქვემო ხევში და მაგიერი ქაღალდი კი მივეც, ეს აქ აღარას ეხმარებოდა" (11. 71). ამას სომხითის მელიქის ოჯახის წევრი უნდა წერდეს და სიტყვა „აქ", მისი საცხოვრისისა და ახტალის მონასტრის გვერდი-გვერდ არსებობაზე მიგვანიშნებს. მონასტერს წვიმით გადარეცხილი ეტრატის ნაჭერი, დამწერის აზრით, ველარ გამოადგებოდა.

1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დასახელებულია: „ახტალას კუამლი სომეხი ათი, მათითა მამულითა, კუალად ახტალის ხევზე სოფელი ვარდისუბანი" (12. 178). აქ მონასტრის მოუხსენიებლობა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი არ შედიოდა საკათალიკოსო მამულებში. 10 კომლი სომეხი კი ახტალაში მცხოვრები დიოფიზიტები იქნებოდნენ,

რადგან სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფლები და ყმები, სამწყსოდაც მასვე ექვემდებარებოდნენ (19. 82, 86). ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში, ვარდისუბანი ახტალისხევში აღარ ჩანს, მაგრამ მისი სახელწოდება, XIV ს-ის ბოლოს იქ ქართულ მოსახლეობაზე მიუთითებს.



სურ. 3. სქემა მელიქის მამულისა სომხითში

სახელი ახტალა პირველად ზემოხსენებულ საბუთში ჩნდება; სომხური წყაროები მას არ იხსენიებენ, იქ ძველებურად, მწიგნობრული გზით შემორჩენილი „პღნძაჰანქი" იხმარება. ვარაუდობენ, რომ ახტალა ამ ადგილს შეერქვა მონგოლ-თათართა ბატონობის ხანაში, წარმომდგარია „ალ-თალა"–დან, რაც ნიშნავს „თეთრ ველს", ეს კი ალბათ იქ არსებული მადნების გამო, ნიადაგის სიბაცეს უკავშირდება (20. 196).

ვახუშტი ბატონიშვილი ახტალისა და მის მეზობელ ხევების აღწერისას, ასევე თავის რუკაზე შეცდომებს უშვებს: მისი ჩვენებით, ახპატის ქვევით ჯერ ჭოჭკანის ხეობაა, შემდეგ ახტალისა, სინამდვილეში ვითარება წინაუკმოა. ამიტომვე არაა სწორი ახტალის ქვემოთ ხოჟორნისხევის დასახელება (1. 36), ის

ჭოჭკანისხევის შემდეგ, მდინარის დაყოლებით ქვემოთ დებედას. ამრიგად, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ პუნქტების და ხევების თანმიმდევრობა ასეთია: ახპატი, ახტალა, ჭოჭკინი, ხოჟორნისხევი. არაზუსტია სოფლების განლაგება ხეობათა მიხედვითაც: სოფელთა სიებში ახტალა და ყაზანჩი ხოჟორის ხეობაშია ჩათვლილი, რუკაზე კი, ყაზანჩი ჭოჭკანისხევშია აღნიშნული, ახტალა—ცალკე; უზუსტობაა ბრდაძორის მოთავსება ჭოჭკანისხევში...

ავტორის ეს შეცდომები გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ირანის შაჰისაგან სომხითის მელიქისათვის მემკვიდრეობით ნაბოძები მამული დებედის ხეობაში, ქართლის აღწერას არ ექვემდებარებოდა; მელიქის სოიურღალს არ ევალებოდა მოლაშქრეთა გამოყვანა, სახელმწიფო გადასახადი და ასე რჩებოდა XVIII ს-ის დასაწყისშიაც, თუმცა კი, სომხითის მელიქი ქართლის მეფის მოხელედ ითვლებოდა; ყოველივე ამას დასტურლამალი მოწმობს (18. 101). ამიტომ აქაური სოფლების შესახებ, ვახუშტის ხელით არსებული აღწერითი ცნობები ნაკლული უნდა ყოფილიყო, რაც მის შეცდომებს აპირობებდა.

დებედის ხეობის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა ისევ გამოჩნდა XVIII ს-ის 60—იანი წლებიდან, როდესაც ერეკლე მეფემ გიუმიშხანეს პროვინციიდან (ოსმალეთი) გადმოასახლა ბერძენ მადნისმწარმოებელთა 800 ოჯახი (2000 სული). 1763 წ განახლდა ახტალის ვერცხლის საბადოების და შამბლუღის სპილენძის დამუშავება, 1770 წ კი, მათ შეემატა ალავერდის სპილენძსადნობი იმავე დებედის ხეობაში. თუ ახტალის მადანი სომხითის მელიქიშვილების მიწებში ითვლებოდა, ალავერდის საბადოები არღუთაშვილებისა და ბარათაშვილ-ორბელიანთა მამულებში იყო. ახტალიდან მიღებულ ოქროს ბერძნები მთლიანად მეფეს აბარებდნენ, ვერცხლიდან კი მეფე იღებდა 25% ნატურით. მელიქიშვილები მიწისა და ტყისათვის ღებულობდნენ 300 მანეთს, ამდენსავე ქარხნების ზედამხედველობისათვის, ასევე ტყვიისა და ვერცხლის ნაწილს ნატურით. მეფის წლიური სუფთა შემოსავალი 50 000 მანეთამდე აღწევდა (21. 9—17). 1776 წ ერეკლე მეფეს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ცხრაგირვანქიანი, ახტალის მადნისაგან გაკეთებული ბარძიმი წარწერით (22. 345).

1785 წ ომარ-ხანი კახეთზე გამოვლით ქართლს შემოესია, ააოხრა ახტალის მაღაროები. ამის გამო ერეკლე სწერდა გარსევან

ჭავჭავაძეს, რომ ლეკებმა ააფეთქეს ახტალის ციხის კედელი, თუმცა 300 კაცი დაუხოცეს. მათ მაინც აიღეს ახტალა და დაატყვევეს 845 კაცი, მათ შორის მელიქიშვილებიც. მტერს წაუღია დიდი რაოდენობის სპილენძი, ტყვია, ვერცხლი, ფული (23. 52).

აოხრებული საბადოები ორი წლის მანძილზე უმოქმედოდ იყო. იქ მუშაობა განახლდა 1787 წლიდან, მაგრამ უკვე შემცირებული წარმადობით. 1788 წ მეფე ერეკლე იულონ ბატონიშვილს სწერდა, რომ ახტალაში გაგზავნილი ასი კაცი უკან გამობრუნებულა და მადნები უპატრონოდ მიუტოვებიათ. „ახლა მელიქიშვილი იასე უზბაში გამოგეიგზავნია. ასი კაცი ახლა სხვა უნდა გაურიგო 20 დღით ნუზლით. ორი უზბაში უთავე და ამ იასეს მიაბარე, წყალი გაიყვანოს, კაცი გაუმძღვაროს და გაისტუმროს... შენ ხომ იცი, რომ ჩემი ხელის გამმართავი ეგ მადნები არის და ბერძნების სარჩოც ეგ არის" (24. 45-46).

ერეკლეს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია მადნის-მწარმოებელ ბერძენთა მიმართ. ახტალაში მომუშავე ილია ბერძნის ნათლიობაზეც არ უთქვამს უარი, დაუნიშნია ჯამაგირი, საკმაოდ უხვი წლიური ულუფა და სახლიც მიუცია. ამიტომ იყო ილია ბერძენი, რომ მოახსენებდა: „თქვენს უბრძანებლად კარის ზღურბლზედ გადმოსვლაც არ შემიძლიაო"(25. 315).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, ახტალაში ძველთაგანვე საეპისკოპოსო კათედრის არსებობაზე, სხვა წყაროებით არ დასტურდება; სამაგიეროდ საყურადღებო უნდა იყოს მისი ნათქვამი ახტალის წინამძღვარზე: „შემდგომად იქმნა მიტრაპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე" (1. 36). ავტორის მიერ ნახმარი ეს „შემდგომად" ჯერ ისევ ერთიანი საქართველოს პერიოდს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ XIII ს-ის ძეგლში— „განგება დარბაზობისა", ახტალის მიტროპოლიტი არ ჩანს. შესაძლოა დემეტრე II-ის შემდგომ ხანებში, ეგების გიორგი ბრწყინვალის დროს შეიქმნა ქვემო ქართლში ისეთი ვითარება, რომ ახტალის წინამძღვარი მიტროპოლიტი გახდა. ამ მხრივ შესაძლოა ნიშანდობლივი იყოს „ქართლის ცხოვრების" ცნობა ამ მეფეზე: „ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთის ცივზედ მოაწვია და ამოსწყვიტა, იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო"(26. 325). ასეთ პირობებში ახტალის მიტროპოლიტს დაეკისრებოდა დებედის ხეობის ქართული მოსახლეობის, ასევე

მომრავლებული სომეხი ქალკედონიანების მწყემსმთავრობა.

ცნობა იმის შესახებ, რომ გვიან შუა საუკუნეებშიაც არსებობდა ახტალის სამიტროპოლიტო, ვახუშტის გარდა, მოიპოვება 1770-იანი წლების კიდევ ერთ საბუთში. იქ ქართლის მაშინ მოქმედ საეპისკოპოსოთა გვერდით, დასახელებულია „დაცლილნი აოხრებისაგან სამიტროპოლიტო ახტალისა, საეპისკოპოსო მანგლისისა" და სხვა (12. 929). მაშინ მოხდებოდა ახტალის წმ. გიორგის ეკლესიიდან XII–XIII სს-ის ტყავის სახარების გამოტანა, რომელიც შალიკაშვილებს ჩავარდნიათ ხელში (22. 380).

ვახუშტისავე სიტყვით, ატენის სიონში „აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს ახტალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი" (1. 57). სხვა ფაქტებთან ამ ცნობის შეჯერებით, გამოტანილია დასკვნა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ვახუშტის ცნობა იწერებოდა, აპირებდნენ, როგორც ჩანს, ახტალიდან ატენში საეპისკოპოსოს გადმოტანას. მას მერე, რაც ატენი გახდა „ნიში" ახტალისა, შემდეგ მისი მემკვიდრე, უნდა გაჩენილიყო სომხური პილიგრიმული წარწერები ატენის სიონის კედლებზე. ეს პილიგრიმები ქალკედონიტები იქნებოდნენ ისევე, როგორც ქალკედონიტური იყო ახტალის საეპისკოპოსო. ჩანს აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა: როგორც მომხდარი ფაქტი, იგი არ აისახა ვახუშტის თხზულების გვიანი ხანის ხელნაწერებში; არც შემდგომშია რაიმე ცნობა ატენის საეპისკოპოსოს შესახებ (27. 82).

მომდევნო ხანებში ახტალის მრევლისათვის ისევ მოუყრიათ თავი. ეს ალბათ ანტონ I კათალიკოსის მოღვაწეობის ხანაში (1744-1788 წწ) მოხდა. ახტალის იმდროინდელ იერარქთაგან ასახელებენ: სოფრომს, ომარ-ხანისაგან დატყვევებულს, შემდეგ ახალციხელ ქრისტიანთაგან გამოსყიდულს; გედეონს, აღესრულა 1792 წ; ეგნატის, რომელმაც ახტალა მიატოვა 1796 წ; იოანეს, რომელიც აღესრულა 1798 წ; XVIII ს-ის ბოლოს ახტალის ეპარქიას განაგებდა ვარლამი, ქსნის ერისთავის–დავითის ძე. იოანე ბაგრატიონის ცნობით, იგი კათალიკოს ანტონ I-ს აღუზრდია, ახტალის ეპისკოპოსი გამხდარა, შემდგომში კი–საქართველოს ეგზარქოსი (28. 183, 234.). 1802 წ ახტალის მადაროებში მომუშავე ბერძნების თხოვნით, ბერძენი მღვდელი ქ. ანკირიიდან, კიპროსში აღზრდილი იოაკიმი ახტალის ეპისკოპოსად აკურთხეს; აღესრულა 1827 წ (29. 34).

ახტალის მონასტრის ისტორიისათვის, საყურადღებოა XIX ს-ის იქაურ საფლავის ქვათა წარწერებიც: „ქრონიკონს უჟ (1802 წ.). ა სექტენბერს. ქ. ტომთა და ნათესავთა ყოველთა მიერ ბუნებისა გარდავიხადე მეცა, რომელი ვიყავ ჯავახიშვილის მ'სეჭაბუკის ასული და მეუღლე ჩინებულთა თავადთა სომხითის მელიქის ძის თეიმურაზისა, თამარ აღვესრული წლისა ნე (55) და დავუტევე ორნი სატრფონი ძენი ჩემნი სოლომონ და იოანე გოდებასა შინა და აქა დავიდევ ახტალის ეკლესიასა, სასაფლაოსა ჩვენსა. გევედრები მხედთა იხანი მაგეთ". თეიმურაზი და ძე მისი სოლომონ მელიქიშვილები, იხსენიებიან ზემოთ განხილული ახტალის მონასტრის ტიპიკონის 1777 წლის მინაწერში,რომელიც გვამცნობს გარეჯის მონასტრისათვის მათ მიერ ჭოჭკანელი გლეხის შეწირულობას.

1812 წლის მეორე წარწერა საფლავის ქვაზე ასეთი შინაარსისაა: „... საქართველოს მეფის გიორგის მორდალი თავადი ზაალ დავითის ძე ზურაბიშვილი ბარათოვი, შობისაგან წლისა ლ-სა (30) და ჩემთანა მეცხედრე ჩემი, თავადის ამილახორის ასული ანნა, წლისა კვ-სა (26). რომელნიცა ჟამსა შინა სიჭაბუკისასა, ეპყუარობდით მრავალთა კეთილობათაგან. ხოლო უბედურისა გამო შემთხვევისა, ერთსა ცხედარსა ზედა შუაღამ მძინარენი, თთუესა აპრილსა იბ-სა (12), ჩყიბ-სა (1812) წელსა, შესაწყალ მოვიკალენით ხანჯლისა გმირვითა ორგულთა ყმათა ჩუენთაგან და დაითხია სისხლი ჩვენი სოფელსა შინა ჩვენსა ახპატს, ხოლო სხეული ჩვენი აქა მცირესა საფლავსა შინა დაიფარა და აღიხოცა ჩუენზედა მემკვიდრება სახლისა ჩვენისა". ახპატის მონასტრის მატიანე ამ ფაქტს 1790 წლით ათარიღებს და მიზეზად ზაალის უზომო სიმკაცრე მოაქვს (30. 16). საფლავის ქვის თარიღი უფრო სანდო ჩანს.

მესამე წარწერა 1856 წლისაა და ასე იკითხება:

„კნიაჟნა ნატალია ალექსანდროვნა მელიქოვა,
მხევალი ღუთისა განსვენებული...
ჰასაკის გვართა სახელოვანი,
სწავლა ზნეობით წარმატებული,
და რტო ნაყოფად განმზადებული,
საყვარლის ასულისაგან მოკლებული.

დედა სოფიო ერისთავის ასული მელიქოვისა, ცრემლით ალსდებს ლოდსა ამას, რათა ყოველთა თანა წარმავალთა სთქუათ: წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო. სულსა მხევლისა

'შეჩისასა. დაბადებულ არს ჩყლდ-ს (1834), აგვისტოს კვ-სა(26), გარდაიცვალა ივლისის იზ–სა (17) ჩყნვ-სა (1856) წელსა,"(4. 215-217).

ახტალის მონასტერი ამჟამად სომხეთის საზღვრებშია.

# დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
2. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ. 1977.
3. Е. Такаишвили. Грузинские надписи Ахталы. СМОМПК, XXIII. 1901.
4. პ. მურადიანი. სომხეთის ქართული წარწერები, ერ. 1977 (სომხ. ენაზე).
5. ლ. მელიქსეთ-ბეგი. ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.
6. ლ. მელიქსეთ-ბეგი. ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, 1964, ტ. 108.
7. Р. О. Шмерлинг. К вопросу о характеристике главного храма Ахталы... XI науч. сессия Отделения обществ. наук АН Груз. ССР, 26-28 апреля 1943 г. Тб. 1943.
8. ილ. აბულაძე. სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, 1948, XXXIII-B.
9. Киракос Гандзакеци. История Армении, пер. Л. А. Ханларян, 1976.
10. ა. ვოლსკაია. ქართველ მოღვაწეთა—„ცამეტ ასურელ მამათა" გამოსახულებები... გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია...გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1985.
11. ს. კაკაბაძე. მეფის თამარის დროინდელი ერთი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტი. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ.I, ტფ. 1914.
12. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ. 1970.
13. Г. Н. Чубинашвили. Болниси. „ენიმკის" მოამბე IX, 1940.
14. აკ. შანიძე. თხზულებანი, ტ III, თბ. 1980.
15. ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I თბ. 1969.
16. აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ. 1971.
17. ბ. ლომინაძე. სამწირველო XII ს-ში, „მიმომხილველი", I, თბ. 1949; ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 31, 1954.
18. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი I, თბ. 1979.

19. ა. ხახანაშვილი. გუჯრები, ქუთაისი, 1991.
20. ლ. დავლიანიძე. ვახუშტი ბაგრატიონის ერთი ცნობის გამო, კრებ. „ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი" თბ. 1997.
21. დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში... თბ.1966.
22. თ. ჟორდანია. ქრონიკები, III, თბ. 1967.
23. Межкавказские политические и торговые связи Вост. Грузии, II вып. материал подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели ТБ. 1991.
24. ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, III, თბ. 1910.
25. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ. 1985.
26. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959.
27. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ. 1978.
28. მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, იე. ლოლაშვილის გამოც. თბ. 1983.
29. Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. 1875.
30. С.В.Тер-Аветисян. Крестьянский самосуд над помещиками-феодалами Бараташвили в конце XVIII в. Бюллетень КИАИ, № 6, 1930.

# ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა*

სამხრეთ საქართველოში პირველად ნამყოფ, XIX ს-ის უცხოელ მოგზაურ-დამკვირვებლებს უკვე შეუქმნიათ შთაბეჭდილება, რომ იქაური სოფლები, ჩვეულებრივ რომელიმე ციხე-სიმაგრის ირგვლივ არიან დაჯგუფებულნი და გარკვეულ ერთეულებად გამოიყოფიან. ლ. ზაგურსკი მაგალითად, სხვათა გვერდით ამჩნევდა ასპინძის, ხერთვისის, თმოგვის ციხეთა ერთეულებს მათში შემავალი სოფლებითურთ (1).

სამხრეთ საქართველოს გარკვეული ცენტრების ირგვლივ განლაგებული დასახლებანი, ურარტულ წარწერებშიაც იხსენიებიან და იქაც ეს ერთეულები მათი ცენტრების სახელებით იწოდებიან („ამა და ამ ციხე-სიმაგრის ქვეყანა"). ჩანს, ეს ზოგადი მოვლენაა, განმეორებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სრულიად სხვადასხვა ეტაპზე. შუა საუკუნეების საქართველოს ჩვენთვის საინტერესო ხანაში; ზემოთ აღწერილ მოვლენას ქართულ წყაროთა ენაზე ეწოდებოდა „ციხე და მიმდგომი მისი", ან უფრო მარჯვედ „ციხე-ქვეყანა". ეს ერთიანობა იმდენად განმტკიცებულა, რომ ციხესიმაგრის სახელი თითქმის ყოველთვის მის ქვეყანასაც გულისხმობდა.

ასეთი იყო თმოგვიც, ერთ-ერთი ციხე-ქვეყანა მტკვრის ზემი წელზე, რომელშიაც ვარძია თავიდანვე შედიოდა. თმოგვი ორი იყო, ორი იყო ვარძიაც—ზემო და ქვემო. მათი მტკვრისპირა პუნქტების დაწინაურება დაახლ. ერთსა და იმავე დროს უნდა იწყებოდეს IX–X სს.

ციხის ასაგებად შერჩეული ადგილი მტკვრის აქაურ ვიწროებში გამავალ საქარავნო გზას საიმედოდ აკონტროლებდა, ჰკეტავდა მდინარის ორივე ნაპირის დამაკავშირებელ ხიდს და დარაჯობდა ზედა თმოგვისკენ მიმავალ გზასაც, რომელიც შემდეგ ბუზმარეთსა და ნიალის ველზე გადადიოდა. ყაფარი კლდეების მიუვალობასა და ღრმად ჩაკიდულ ვიწრო სივრცეს ხატოვნად ასურათებს იქაური ტოპონიმი—ქორსატეველა. ამიტომაც იყო, რომ არაბთა სარდლის აბულ-კასიმის შემოსევისას, როდესაც მან მოაოხრა ქართლი, სამცხე და ჯავახეთი, „მოადგა ციხესა თმოგჳსასა და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა

*დაიბეჭდა 1988 წ. „ძეგლის მეგობარი" 2.

მეჩნით." ე.ი. უიმედოდ ჩაივალა ბრძოლა და ციხეს გაეცალაო, მოგვითხრობს „მატიანე ქართლისა"(2. 263). ეს იყო 914 წლის და აქაა თმოგვის ციხის პირველი მოხსენიებაც, მაგრამ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ციხე უფრო ადრე ააგეს, რის შესახებაც ჩვენ სხვა ცნობა არ გაგვაჩნია.

თმოგვის დაწინაურება და მისი ციხედ გადაქცევა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც წუნდა, როგორც საერისთავოს ცენტრი მოიშალა და თანდათან დაკნინდა; ე.ი. ან VIII–IX სს მიჯნაზე, როდესაც მატიანის ცნობით „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა...იქმნეს მტერ ურთიერთას" (2. 250) და მაშასადამე ციხე-რეზიდენციათა რიცხვიც უნდა გაზრდილიყო, ან ეს მოხდებოდა IX ს–ში გვარამ მამფლის დროს, რომელსაც „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი და ჰბრძოდა სარკინოზთა"(2. 257). არეშტის სტელის წარწერის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ თმოგვის ციხე კუმურდოსთან ერთად IX ს-ის ბოლოსა და X ს-ის I ნახევარში, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოის წარმომადგენლებს უჭირავთ, შემდგომში კი იგი სამეფო ციხე უნდა გამხდარიყო. სუმბატ დავითის ძის ცნობით, ბაგრატ III თავისი მამიდაშვილები „კლარჯნი ჴელმწიფენი სუმბატ და გურგენ...შეიპყრნა...და აღიხუნა ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შიგა თმოგვისასა". იქვე გარდაცვლილან ისინი 1011 და 1012 წლებში (2. 382).

ისევე, როგორც ყველა შუა საუკუნეთა ციხესიმაგრეს, თმოგვსაც თავისი შესავალი, საციხისთავო ქვეყანა ჰქონდა. ეს იყო პირველ ყოვლისა მის მახლობლად არსებული სოფლები, ძირითადად მტკვრის კანიონში, მდინარის ორსავე ნაპირზე. მათ რიცხვში იყო სოფლები ზემო და ქვემო ვარძია, რომლებსაც მოგვიანებით ვარძია და ზედა ვარძია ეწოდათ. სოფ ზედა ვარძიის თმოგვის ციხისადმი დაქვემდებარება ასახულა XI ს-ის წარწერაში, რომელიც სადღებავით შეუსრულებიათ ზედა ვარძიის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამხ. კედელზე გარედან. საუკუნეთა მანძილზე წარწერა გადალეულა, ზოგიერთი ასონიშანი საერთოდ გამქრალა. მთლიანად წარწერა კი, დღის გარკვეულ მომენტში შეიმჩნეოდა თურმე. წარწერიდან ირკვევა, რომ მეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით, ვინმე კვირიკე ვახტანგის ძეს, რომელიღაც ციხისძირელნი რაღაცით შეუწყალებია (3. 50). ზედა ვარძიის უახლოესი ციხე თმოგვია, ამიტომ ბუნებრივია, თუ აქ თმოგვის ციხისძირელებს ვიგულისხმებთ, რომელთა

შეწყალების აქტი ზედა ვარძიის ეკლესიაზე წაუწერიათ; ქვემო ვარძიის მონასტერი მაშინ ჯერ აგებული არ იყო.

თმოგვის შემდგომი ხანის ისტორიიდან ჩანს, რომ საქართველოს მეფეები ამ ციხე–ქვეყანას თავის ერთგულ მოხელეებს აძლევდნენ ხოლმე პირად მფლობელობაში. XI ს-ში წყაროებში იხსენიება ფარსმან თმოგველი, რომელსაც მატიანე ქართლისა „ციხეთა უფალთა კაცთა" შორის ასახელებს (2. 298). მისი წოდება–„თმოგუელი" მიუთითებს, რომ იგი იყო თმოგვის მქონებელი, რომელიც მაშინდელი ჯავახეთის უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო. ფარსმანი ერისთავთ–ერისთავის წოდებით მოხსენიებულია ზედა თმოგვისა და სათხის ეკლესიათა წარწერებში; იგი მაშინდელი ჯავახეთის ერისთავი ჩანს. 1065 წ. ალფ-არსლანის შემოსევისას ახალქალაქის ბრძოლაში, სხვა მესხ აზნაურთა შორის დალუპულა ფარსმან თმოგველიც. საინტერესოა, რომ ამ ამბავს მოგვითხრობს მირაშხანის ახალი ნავარძიევის წარწერა, რომელიც მირაშხანელ ბერს შეუსრულებია (4. 35-36); მირაშხანი კი სწორედ თმოგვის ციხე–ქვეყანაში შედიოდა.

ფარსმანი პირველი თმოგველია, რომელიც წყაროებში იხსენიება. აღსანიშნავიაა, რომ ამის შემდეგ მხარგრძელებამდე ფეოდალები, რომელთაც მეფე თმოგვს უბოძებდა საქონებლად, თმოგველებად აღარ იწოდებიან. ეს უნდა მიუთითებდეს ფარსმანის განსხვავებულ მდგომარეობაზე, შესაძლოა მის ადგილობრივ წარმოშობასა და სამამულო მფლობელობაზე.

1073 წ–ს გიორგი II-ის მეფობისას, მემატიანის სიტყვით, „თავადთა ამის სამეფოსათა" ნიანია ქუაბულის ძემ, ივანე ლიპარიტის ძემ და ვარდან სვანთა ერისთავმა მეფეს „ქვეყანა აუშალეს". გიორგი II ისინი საჩუქრებით დააწყნარა და მისცა „ნიანიას თმოგჳ და სხუანი საქონელნი რჩეულნი"(2. 315-316). ვახუშტი ბაგრატიონი ამ ეპიზოდს „ერისთავთა განდგომას" უწოდებს (5.152) და მართლაც ნიანია ქვაბულის ძე, კლდეკარისა და სვანთა ერისთავების გვერდით, შესაძლოა იმდროინდელი ჯავახეთის, ან მისი ერთი ნაწილის ერისთავი იყო.

ნიანიას შემდეგ, თმოგვი მის ძეს–კახაბერს ჰქონია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1089 წ. აღდგომა დღეს ისეთი სასტიკი მიწისძვრა მომხდარა, რომ „მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუნეს, ეკლესიანი დაეცნეს...რომელთა თანა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი

ცოლითურთ" (2. 323).

1178 წლისათვის გიორგი III-ს თმოგვი აფრიდონისთვის გადაუცია, რომელიც თამარის ისტორიკოსის სიტყვით „მიიწია მსახურთუხუცესობამდის თმოგუსა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის" (6. 30). თმოგვის ციხე-ქვეყნის სამფლობელოში სოფ. ზემო ვარძიის იმდროინდელ კუთვნილებას, კიდევ ერთხელ ადასტურებს იქაური ეკლესიის ფრესკული წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე აფრიდონ". იგი აქ მოხატულობის მატერიალურ ამნაზღაურებლადაა ჩაგულისხმევი და სამუშაოს შესრულება 1185 წლამდე მომხდარა (3. 42).

ამ დროისათვის ქვემო ვარძიის მონასტრის მშენებლობა შესაძლოა დასრულებული არ იყო, მაგრამ მის ხატს უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ვითარცა ძლიერ სალოცავს. თრიალეთის სოფ. ჯინისის ეკლესიის წარწერაში, ერისთავთ-ერისთავისა და მსახურთუხუცეს აფრიდონის ცოლი ხოშაქი გვამცნობს, რომ მას ეკლესია აუგია ვარძიია ღმრთისმშობლის სამსახურად, რადგან „10 წლის მკუდარი გამაცოცხლა და ძლიერი დიდება მიბოძა"-ო (7. 51-52).

ვარძიის ღმრთისმშობელი იხსენიება სომხეთში, ჰაღარწინის მონასტრის 1184 წლის წარწერაში (8. 83); ასევე, მის ძლიერ ავტორიტეტს ადასტურებს ვარძიის წინამძღვრის მონაწილეობა ცნობილ სჯულისმეცნიერთაგან შემდგარ სამსჯა-ვროში, რომელიც თამარის დროს სომხეთში მოუწვევიათ საეკლესიო დავის გადასაწყვეტად (9. 300).

აფრიდონის შემდეგ თმოგვი გადასცეს ამირსპასალარ გამრეკელ თორელს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, თამარს თმოგვი უბოძებია სარგის ვარამის ძე მხარგრძელისათვის. ამის შემდეგ თმოგვის მფლობელობას დიდი ხნით იმკვიდრებს მხარგრძელთა აღნიშნული შტო, რასაც მათი ზედწოდებაც ასახავს–თმოგველებად იხსენიებიან ისინი უკვე სარგის I-ის დროიდან.

ვარძიის ანსამბლის აშენება და მისი სამეფო მონასტრად ქცევა, მაშინ სამეფო საკუთრებაში მყოფ თმოგვის ციხე-ქვეყანაში მოხდა. მისთვის შეუწირავთ მრავალი სოფელი, რომელთაგან პირველ რიგში ალბათ მონასტრის მახლობელი სოფლები იქნებოდნენ. შესაძლოა ამ მფლობელობის ნაგვიანები მოწმობა იყოს სახელწოდება „ნავარძიევი"–შემორჩენილი ხერთვისთან.

კოგაშენთან, მირაშხანთან, „ვარძელაური"–ქილდასთან, „სადაყუდებლო"–ზემო და ქვემო ვარძიას შორის. ჯინისის ზემოხსენებული წარწერა, მიგვითითებს, რომ ვარძიის ღმრთისმშობლის სამსახური თრიალეთშიაც სრულდებოდა, ხოლო კახა თორელის ხოვლური მიწა ვარძიის ღმრთისმშობლისადმი ყოფილა შეწირული (10. 59).

ვარძიის მონასტერი, ზემო ვარძიის მსგავსად, თმოგვის სამეფო ციხე-ქვეყანაში შედიოდა. ამას კარგად მოწმობს იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი", სადაც იკითხება: „ეკლესიისაჲ რქაჲ ამაღლდა და განავრცნა თმოგუსა შორის ტაძარი დედოფლისაჲ". ვარძიის სახელგანთქმულობას აღნიშნავს ავტორის სიტყვები: „აჰა, გნატრის შენ ყოველი თესლები და ტომნი კაცთანი"... „სამადლობელთა მოგართუმენ ერნი აურაცხელნი" (11. 384).

თმოგვის „ციხის მიმდგომი" იყო ვანის ქვაბთა მონასტერიც, რომლის VIII–XVI სს კომპლექსი თმოგვის ციხის გამოღმა, მტკვრის მარჯვნივაა შემორჩენილი. მის შესახებ არსებული ძველი ცნობებიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ XII ს-ში, 1191 წ-მდე ვანის ქვაბები გურგენისძეთა საგვარეულო მონასტერია (12). ალბათ ამ პერიოდს ეკუთვნის XII ს. გადამწერის ანდერძი ერთი ხელნაწერისა: „...მე გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გურგენისძემან დავჩხრიკე წმიდაჲ ესე სულის განმანათლებელი სტუდიელი, სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა. სანახებსა წმიდისა იერუსალიმისასა მონასტერსა ჯუარისასა. სახელსა ზედა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისასა ვაჰანის ქვაბთასა; წმიდაო გიორგი! მიაწიე წერილი მწერლითურთ! უცბად ჩხრეკისათჳს შემინდევით, უსწავლელი ვიყავ" (13. 431).

გურგენისძეთა შემდეგ ვანისქვაბები სამეფო მონასტერია, ვიდრე XII ს-ის დასაწყისში თმოგველთა საგვარეულო არ დაეპატრონა მას. მათთვის ამ მონასტრის გადაცემა, გურგენისძეთა ფეოდალური სახლის დამცრობასა, ან ამოვარდნაზე უნდა მიგვანიშნებდეს. თმოგველებს სამამულო სამფლობელოს ჩამოყალიბება-გაფართოება, ვანის ქვაბთა მონასტრისათვის ახალი ტიბიკონის შედგენით დაუწყიათ. ცხადია გაფართოვდებოდა ამ დროს თმოგვის ციხე-ქვეყანაც. ამის მოწმობად შეიძლება გამოდგეს ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობა თამარის დროინდელ მონაპირეებს. რომ შეეხება. ჯავახეთში მას მონაპირეებად

დასახელებული ჰქავს შალვა თორელი და თმოგველი სარგის მხარგრძელი. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს მონაპირეთა თავდადებულ მეცადინეობას, რომლებიც „თჳს-თჳს იღუწოდეს" სანაპირო ქვეყნების შესამატებლად" (6. 129-130).

თმოგველებად იწოდებოდნენ სარგის I, თაყაიდინი, მხარგრძელი (აქ სახელია), სარგის II. ჟამთააღმწერელს სარგის თმოგველი დახასიათებული ჰყავს, როგორც „კაცი მეცნიერი,.. ფილოსოფოსი და რიტორი". მას მიეწერება პოემა „დილარგეთიანის" ავტორობა. თმოგველთა სახლის მეთაურები ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწენი იყვნენ. თმოგველთა საბატონო ამ პერიოდში ისე გაფართოებულა, რომ მათი სახელით წყაროები მთელ თემობრივ—ქვეყნობრივ ლაშქარს გულისხმობენ თმოგველთა წინამძღოლობით. მაგ.: თამარმა სალაშქროდ მიუხმო „მესხთა, თორელთა, თმოგველთა, ჰერ-კახთა და სომხითართაო", ამბობს ისტოროკოსი; ან კიდევ: მთიულებთან ომში მონაწილეობდნენ „მესხნი ლაშქარნი... თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი"-ო (6. 102, 307).

თორელთა გვერდით, თმოგველებს აქ ჯავახეთის ერთ ნაწილზე მიუწვდებოდათ ხელი. მათი მამულებიდან კონკრეტულად დასახელებული მიწები ჩანს ვანის ქვაბთა მონასტრის განგების მინაწერებში. მონასტრისათვის მათ შეუწირავთ კუერნაული ვენახი ფიაში, საგუბარი, ნაწალკოტევი ყანა მირაშხანს, ჭალა გულაური, ზედა ვარძიის მესამედი, ერთი ვენახი მილახს, ლუკაური ვენახი და სხვ.

თმოგველთა სამამულო საფეოდალოს ჩამოყალიბების პირობებში ვარძია ისევ სამეფო მონასტრად რჩებოდა, სადაც თამარი ხშირი სტუმარი იყო.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი აქცენტი ამ დროს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე ინაცვლებს (ტრაპიზონის სამეფო, ყარსის აღება, თურქულ სამთაეროსახელმწიფოთა ყმადნაფიცობა). შესაბამისად საზაფხულო სამეფო სადგომი, რომელიც ადრე ჯავახეთის სოფ. ბოჟანოს იყო, ახლა ვარძიით შეიცვალა და ისევ დაუახლოვდა ტაოს მიმავალ მაგისტრალს.

მონგოლთა შემოსევამ, ცხადია ვარძიის მონასტერსაც დიდი ზიანი მიაყენა. 1240-იან წლებში, უმეფობის დროს, ჟამთააღმწრლის სიტყვით „ქვეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქვეყანა და მონასტერნი არავისგან იცვებოდეს, რამეთუ

წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თჳსისა ქუეყანისათჳს ზრუნვიდეს" ამიტომ ნიკოლოზ კათალიკოსი ყაენთან წასულა და თან წაუყვანია ვარძიის მოძღვარი (6. 224). როგორც ვხედავთ, ვარძიის სამეფო მონასტრის წინამძღვარს, უმეფობის ჟამს კათალიკოსის მხარდამხარ უზრუნვია მონასტერთა დასაცავად.

XIII ს-ის ბოლოსათვის სამცხის ათაბაგთა შემოტევა ჯავახეთის საზღვრებსაც შეეხო, როცა ბექა კაყელმა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად დაიპყრო „მრავალნი სოფელნი ჯავახეთს", ბუნებრივია მას პირველად სამცხის მოსაზღვრე სოფლებიდან უნდა დაეწყო და შემდეგ თმოგველთა მამულებსაც მისდგომოდა. თმოგველთა ძლიერება ამ დროისათვის თანდათან ეცემა, მათი საგვარეულოს ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი ჩვენ გვხვდება 1308 წლით დათარიღებულ, ჯავახეთის სოფ. ღრტილას ეკლესიის წარწერაში; ესაა თმოგველთა ქალი რუსუდანი, ცოლი ქვეშელი ლიპარიტისა, რომელიც თორელთა გვარს ეკუთვნოდა. XIV საუკუნის ნახევარში თმოგველები ჯავახეთში აღარ არიან. ალბათ ამ დროს გულისხმობს ვეფხისტყაოსნის ეპილოგის ერთი სტროფი, რომელიც პოემის გამგრძელებელს უნდა ეკუთვნოდეს: „ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად. აგრევ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად". აქ თმოგვის და მისი შესავალი ქვეყნის თმოგველთაგან დატოვებაზეა საუბარი. რამდენ ხანს გაგრძელდა ეს „ობლობა" არ ვიცით, მაგრამ შემდგომში თმოგვისა და ვაჰანის ქვაბებს ღარიბასძენი დაეპატრონენ.

თმოგვის წარწერა 1350 წლისა გვაუწყებს, რომ მურვან კვითხაის ძეს, დავით მეფის ვარძიელ საწოლის მწიგნობარს, თმოგვის ზღუდე აუშენებია. მეფის მოხელე მურვანი, ღარიბასძეთა წარმომადგენელია და ისიც თმოგვისა და მიმდგომი ქვეყნის მფლობელი ჩანს, რომელიც თმოგვის ციხის ზღუდეს აგებს „შეწევნითა და ძლიერებითა ვარძიის ღმრთისმშობლისაითა"

XIV ს-ის 30-იან წლებში საქართველომ დაკარგა სომხური პროვინციები, რომლებიც თანდათან დაიმორჩილეს მაჰმადიანურმა სამთავროებმა. ამის შემდეგ ჯავახეთისაკენ წამოსულა სომხური მოსახლეობის ერთი ნაკადი. სომეხი მწერლის გრიგოლ ტათევაცის „ცხოვრების" ცნობით, სომხეთიდან მაშინ თმოგვში გადმოსახლებულან მისი მშობლები. აქ დაბადებულა

გრიგორი, რომელიც ალუზრდია მის ძმას მეფე დავით IX კარზე (14. 118). სომხური მოსახლეობის კვალი წუნდისა და თმოგვის ციხის სიახლოვეს, ჩანს აგრეთვე მემორიალური ქვაჯვრების მიხედვითაც; ისინი აქაურ საფლავებზეა შემორჩენილი და მათი სომხური წარწერების თარიღები 1356-1425 წწ შორის ექცევა (15. 195-200).

თმოგვის მაშინდელ მემამულე ლარიბას ძეთა საკუთრება, ისევ თმოგვსა და მის მიმდგომ ქვეყანაში იყო. აქედან შეუწირავთ მათ ყანები და ვენახები ვანის ქვაბთა მონასტრისათვის, რაც ტიბიკონის მინაწერებიდან ჩანს. აქ ნახსენებია სოფლები: ორხოფია, ტოლოში, ფია, ხარაკია, კუნელეთი, ცხეკნელი, კუარბითი, ერკოტა, აგარა, არტახი და სხვა (16. 44-47).

XV ს-დან, მას მერე რაც სამცხის ათაბაგებმა ჯავახეთი დაიპყრეს, თმოგვის ციხე-ქვეყანაშიც გაჩნდა მათი ნაკვალევი. ვანის ქვაბთა განგების მინაწერებში XV–XVI სს. ათაბაგის შეწირულებანიცაა. ივანე ათაბაგს „თმოგუს მისი საპატრონოსა ტამლისაგან" შეუწირავს 1500 თეთრი. იგივე ივანე „ტრაპეზისა აღმშენებლად" იხსენიება ვარძიის მონასტრის სტოაში შესასვლელის წარწერაში. განგების მინაწერებში ათაბაგთა შენაწირებში ჩანს ჭაჭკარი, ტოლოში, მარგასტანი და სხვ.

XVI ს-თვის ისევ შეიცვალა ვითარება თმოგვსა და მის შესავალ ქვეყანაში. ამას ადასტურებს მცხეთის ეკლესიის სამწყსოსა და საქონებლის სია. იგი იმითაცაა საყურადღებო რომ ძველ მემამულე ფეოდალთა ნაქონების ახალ მფლობელებსაც ასახელებს, რომლებსაც იგივე მამულები დაუჭერიათ. აქ ჩამოთვლილთა შორის იკითხება: „13. თმოგუელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკასშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს. 14. ბულდადარასშვილნი სასაფლაოთა, მონასტერითა და კარის ეკლესიითა რჩეულაანთა და ფროდიანთა აქუს... 25. დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებითა უნაკლულოდ" (17. 244).

როგორც ვხედავთ, თმოგველთა სამფლობელოში აქ ორი ფეოდალი ჩანს შალიკაშვილების და რჩეულიშვილების სახით. ამ უკანასკნელთა ხელშია ვანის ქვაბთა მონასტერიც, რომლის მინაწერებში ისინი ხშირად ჩანდნენ.

ვარძიის მონასტრის შესავალი და სამწყსო ძირითადად თმოგვის ქვეყანასა და ნიალის ველზე უნდა ყოფილიყო. ეს

ჩანს XVI ს-ის ვარძიელი წინამძღვრის წიგნიდან კათალიკოსისადმი. სადაც ვარძიელი პირობას დებს მცხეთის ნებართვის გარეშე არც მღვდელი და არც დიაკონი აკურთხოს, არც ჯავახეთსა და ნიალის ყურს „ისაქმოს სამწყსოობისა პირზე" (17. 242).

1521-25წწ ერთი თურქული დოკუმენტის მიხედვით, „თმოგვის ციხე საკმაოდ ცნობილი და მიუვალი ციხეა... იმ თმოგვის წყლის ზემო წელში მგელციხედ წოდებული მტკიცე ციხეა. ისიც თმოგვის ნაჰიეს ექვემდებარება. თმოგვის ციხის პატრონს ელიზბარს უწოდებენ... და იმ უსჯულო ყვარყვარეს ერთ-ერთი მეტად სახელოვანი აზნაურია" (18. 55, 68). აქ შალიკაშვილი და სამცხის ათაბაგია ნაგულისხმევი; XVI ს-ში ათაბაგთა წინააღმდეგ აჯანყებულ ადგილობრივ ფეოდალებს, სამცხის მთავრები ამარცხებენ თურქებისა და სპარსელების დახმარებით. თმოგვის ციხე-ქალაქი და მისი ოლქი ათაბაგთა ხელში გადავიდა, მაგრამ მცირე ხნით. ოსმალთა გაძლიერებულ შემოტევას მოჰყვა მათ მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა. ამის შემდეგ ოსმალთა მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციულ დანაწილებაში თმოგვი ისევ გამოჩნდება, როგორც ახალქალაქის ლივაში შემავალი რაიონის ცენტრი. გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში, თმოგვის რაიონი მოიცავს მტკვრის კანიონის სოფლებს ნაქალაქევიდან მოყოლებული, სამხრეთისაკენ სოფ. ვაშლობის ჩათვლით, სულ 22 სოფელი და ნასოფლარია, რომელთა შორის იყო ვარძიაც, უკვე დაცლილი მოსახლეობისაგან.

ოსმალური ადმინისტრაციული დანაწილების ეს რაიონები სხვა არ იყო რა, თუ არა ძველი ქართული ჯავახეთის მიკროქვეყნები თავისი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრებით. სხვაგვარად არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმის გამო, რომ ეს იყო საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ფიზიკურ-გეოგრაფიული, სამეურნეო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. Л. Загурский. Поездка в Ахалцихский уезд. Записки Кавказского отдела императорского русского географического общества VIII, Тиф. 1873.
2. „ქართლის ცხოვრება" I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955.
3. ც. გაბაშვილი. ხედა ვარძია, თბ. 1985.
4. გ. გაფრინდაშვილი. ახალი ნავარძიევის წარწერა, „მეცნიერება და ტექნიკა", თბ. 1953, №9.
5. „ქართლის ცხოვრება" IV, თბ. 1973.
6. „ქართლის ცხოვრება" II, თბ. 1959.
7. Известия Кавказского Отделения Императорского Московского археологического общества, вып.III, Тиф. 1913.
8. С. Т. Еремян. Агаршинская надпись. Исследования по истории культуры народов Востока, 1960.
9. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ქართველი ერის ისტორია II, თბ. 1983.
10. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ. 1965.
11. ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, თბ. 1946.
12. გ. გაფრინდაშვილი. ვანის ქვაბები, ქართული საბჭოთა ენციკლობედია, 4, თბ. 1974.
13. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, თბ. 1954.
14. ალ. აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1978.
15. Л. С. Давлианидзе. К изкчению цундско-тмогвских хачкаров, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XX, თბ. 1959.
16. თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვახხანის ქვაბთა, ტფ. 1896.
17. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები III, თბ. 1970.
18. ც. აბულაძე. თურქული დოკუმენტები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ. 1983.

# ჯავახეთის ძველი სიმაგრეები*

ჯავახეთის ზეგანზე არსებულ თითქმის ყველა წინა ქრისტიანული ხანის ნამოსახლარს თავისი სიმაგრე ჰქონდა, სადაც შიშიანობისას თავს აფარებდა მოსახლეობა, პირუტყვი. გორებზე მოწყობილი ეს სიმაგრეები ერთმანეთისაგან განსხვავებულნი იყვნენ სიდიდით, ფორმით, მიუვალობით. ისინი ხშირად იყვნენ დამოკიდებულნი ადგილობრივ პირობებზე და უმეტესწილად იმეორებდნენ გორის თხემის კონფიგურაციას (ნახ.1).



ჯავახეთის ძველი სიმაგრეები ნახ.1.

*დაიბეჭდა კრებულში „ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე, 2002.

მშრალი წყობით ნაგები ეს გალავნები, ხშირად ერთგვაროვანი წესით შენდებოდა – კედლის შიდა და გარე პირები მოზრდილი, მეტ-ნაკლებად ერთმანეთს მორგებული ლოდებითაა ამოყვანილი, მათ შორის კი, უსისტემოდ ჩაუყრიათ გროვა უფრო წვრილი ქვებისა. გალავნები ზოგან თითო-ოროლა ბურჯითაა გამაგრებული, ზოგან კოშკის ნაკვალევიც ჩანს. გვხვდება გალავნის შიგნითა სადგომების ნაშთები. არის შემთხვევები, როდესაც კედლები გორათა ფერდებზედაც ეშვებიან და შუაში მოიქცევენ ტერასებზე განლაგებულ სადგომთა ბუდეებს.

მიუვალობის მიზნით, ხშირად გალავნისთვის ბლისკინაც შემოუვლიათ, რომელიც წყლით ივსებოდა, თუ კი ეს მოსახერხებელი იყო, თუ არა და იქიდან ამოყრილი მიწის ზვინული ქმნიდა დამატებით დაბრკოლებას მომხდურისათვის. წყლიანი ბლისკინები ახლავთ ჯავახეთის ტბათა ნაპირებზე შემორჩენილ სიმაგრეებს: ორლოვკის, ბულდაშენის, მადათაფის, ხანჩალის ტბებთან. იქაური ნასოფლარები ტერასებად ეშვებიან ტბისკენ, სადაც ნაპირზე ან ნახევარკუნძულზე დიდი ლოდების მშრალი წყობით სასიმაგრო გალავნებია შექმნილი. მათთან მისადგომ მხარეს გაჭრილი არხი წყლით ივსებოდა. სიმაგრეთა წყება ზოგჯერ გზათა მიმართულებასაც მიგვანიშნებს.
(ნახ. 2,3,4,).

ნახ 2. სიმაგრე ხანჩალის ტბასთან



მიუხედავად ფუნქციური და ტექნიკური მსგავსებისა, ჯავახეთის ზემოხსენებული სიმაგრეები არ შეიძლება ყველა

ნახ 3. სიმაგრე სოფ. ხაასოვქასთან



ნახ 4. სიმაგრე სოფ. დადეშთან



ერთი პერიოდისა იყოს. ამას მოწმობს იქ მოძიებული ზედაპირული მასალა–კერამიკული ფრაგმენტები სხვადასხვა ეპოქისა. ისინი ზოგ შემთხვევაში ამ სიმაგრეთა მეორად გამოყენებაზე მეტყველებენ, ზოგჯერ კი სხვადასხვა ეპოქაში მათი მშენებლობის უწყვეტ ტრადიციას ადასტურებენ (ნახ. 5 ).

ჯავახურ სიმაგრეთა დიდი ნაწილი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. გამონაკლისია ამირანის გორა ახალქალაქთან, სათხის, ბარალეთის ამაღლების და საროს სიმაგრეები. ქართული მითოლოგიის ლეგენდარულ ამირანთან მისი სახელის დაკავშირება უნდა მოწმობდეს ჩვენი წინაპრების გარკვეულ წარმოდგენაზე, მათ რომ ჰქონიათ ამ გორის სიძველეთა შესახებ. ამირანის გორაზე ნაპოვნია აშელური ხანის ადრეული საფეხურის ქვის იარაღები (1.7). მთის ფერდობებზე



fig.5.

გამოვლენილია ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი და სამაროვნები. ტერასულად განლაგებული ქვის ნაგებობები გორის თხემის მოსწორებულ ფართობს გალავანი შემოუყვება, ზემოაღწერილი წესით ნაგები: მშრალად ნაწყობ საპირე ლოდებს შორის ჩაყრილი ხურდა. კედლის სისქე 2–2,5 მ-ია, შეიმჩნევა ნახევარწრიული ბურჯები. გალავნის შიგნით მოჩანს სადგომთა ბუდეები. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით, II-ის დასასრულით და I-ის დამდეგით (2.14).

ამირანის გორას ვახუშტი ბატონიშვილიც იხსენიებს ჯავახეთის აღწერისას. ივ. როსტომაშვილს ამირანის გორის გალავანში შეუმჩნევია კირხსნარის გამოყენებაც, მახლობლად ყოფილა ნიშად ქცეული ეკლესიის მცირე ნანგრევი (3. 33-34).

სათხის სიმაგრე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კლდოვან ქედზეა. ნალისებურ თხემს მთელ პერიმეტრზე ევლება გალავანი, რომელიც სწორი კედლით იკვრება და ზღუდავს 6 ჰა ფართობს. კედლის წყობა ისეთივეა, როგორც ამირანის გორაზე, ოღონდ საპორე ლოდები კედლის გარეთა მხარეს უფრო მოზრდილია, ამიტომ სისქეც 4 მ-მდე აღწევს. აქაც ნახევარწრიული ბურჯებია, რომლებშიც ორგან კირხსნარია ნახმარი აშკარა მოწმობა სიმაგრის მეორადი გამოყენებისა. გალავნის შიგნით, სამხრეთის მხარეს კედლით გამოყოფილი შიდაციხე ან კოშკია მოწყობილი, რომლის ფართობია 22 მ X 10 მ. ქართველმა და უცხოელმა არქეოლოგებმა ერთად გათხარეს სათხის სიმაგრის შიდა ტერიტორია. სხვადასხვა ეპოქის ფენებიდან, უძველესი განეკუთვნებოდა ადრებრინჯაოს ხანას (ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარი).

სიმაგრის ჩრდილოეთით 1991 წ. გაითხარა ადრევე გაძარცული ყორღანი ადრებრინჯაოს მოგვიანო ხანისა. სიმაგრის შიგნით გავლებულმა მცირე დაზვერვითმა შურფებმა კი გამოავლინა ამავე ტერიტორიის ათვისება ელინისტურ და შუა საუკუნეთა ხანაში, სწორედ ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის თავზე. გამთხრელ არქეოლოგთა მოსაზრებით, სათხის სიმაგრის კედლები შესაძლოა არსებობდნენ ადრებრინჯაოს ხანიდან, დასაშვებად მიაჩნიათ მათი მიკუთვნება უფრო გვიანი პერიოდისათვისაც, მაგრამ მაშინ აუხსნელი რჩება მათი პრიმიტიული ფორმა და ცუდი შემონახულობა (4. 23). აღსანიშნავია, რომ სათხის სიმაგრე შირაკიდან მომავალ გზაზეა, რომელიც

შემდეგ ჭიქიანის ობსიდიანის საბადოებისა და თორ-გუჯარეთისაკენ მიემართება.

ბარალეთის ამღლების გორის სასიმაგრო კედელი შესაძლოა გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანისა იყოს, თუმცა იქაცაა ადრებრინჯაოს ხანის განათხარი მასალა, ამირანის გორის მასალის მსგავსი (25).

საროს სიმაგრე მტკვრის კანიონიდან ზეგანზე ამომავალ გზას უდგას ყელში. ის უკეთაა შენახული, ვიდრე ზემოთ აღწერილი ორი სიმაგრე. მშრალი წყობის კედლები აქ უფრო მასიურია, არის კირხსნარზე ნაგებიც. კედლის სისქე 3 მ-დეა. შერჩენილია კოშკიც, ვეება დარბაზი ფართობით 50 მ X 25 მ, ორი ოროთახიანი ნაგებობა, დარნები და ხაროები. მტკვრისპი-რიდან ზეგანზე ამომავალ გზაზე გამოქვაბულებია სახელწო-დებით „ქვაბიკარი", ამოსასვლელში მართლაც კლდეკარია გაჭრილი.

არქეოლოგიური სამუშაოები საროში ჩაატარა მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციამ. სიმაგრის გარეთ აღმოჩნდა სამაროვანი ძვ. წ. XV-XIV სს. და ელინისტური ხანისა. სიმაგრის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკული მასალა ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანისაა, არის უფრო ადრეულიც, ასევე იპოვება შუა საუკუნეთა ხანისაც. გამთხრელთა ვარაუდით, საროს სიმაგრის ძველი კედლები შეიძლება ელინისტურ და უფრო ადრეული ხანის ფენას დაუკავშირდეს (5.140).

საროს სასიმაგრო ნაგებობა შუა საუკუნეებშიც მოქმედე-ბდა. ცნობილია იქაური წარწერა XII ს-ისა, სადაც ციხის აგებაზეა საუბარი. იქ უნდა იგულისხმებოდეს ზემოხსენებული კოშკი, რომელიც კირხსნარის გამოყენებით უშენებიათ.

აღწერილი სიმაგრეები, როგორც ვნახეთ, უძველესი ნასახლარების სიახლოვესაა და, უნდა ვიფიქროთ, მათი განვითარების შედეგად ჩამოყალიბდნენ. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს არქეოლოგიურად შესწავლილ ძეგლებზე ქვემო, შიდა და ზემო ქართლში.

ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება ჩანს ჯავახეთის ორ ძველ სიმაგრეზე შაორსა და აბულში. შაორის სიმაგრე ფარავნის ტბის სიახლოვესაა, მის ჩრდილო–დასავლეთით მყოფ კლდოვან მთაზე, 2751 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მას იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც წერს, რომ ფარავნის ტბასო „ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ

და სავსე არის კალმახითა. ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი" (6. 43.). ავტორი რატომღაც არაფერს ამბობს, რომ ეს ციხე მშრალად ნაგებია, "უქვითკიროდ". ასეთი ტერმინი მას ნახმარიც აქვს რკინის ციხის დახასიათებისას სკვირეთისხევში.

შაორის სიმაგრის აშენება დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით განპირობებული უნდა იყოს მთის მიუვალობით, მორენული ღვარით, რომლითაც დაფარულია თხემი და მთის კალთები. ე.ი. სიმაგრისათვის საშენი მასალა აქ ადგილზევეა. ამ ქვების შერჩევით და ერთმანეთზე მორგებით შესაძლებელია საკმაოდ მყარი კედლების ამოყვანა. ზემოთ აღწერილ სიმაგრეებთან შედარებით, შაორზე გაცილებით რთული ნაგებობანი, ჯერაც კარგად იკითხება (ნახ. 6). ქვედა გალავანში დაყოლებული შესასვლელით ავდივართ სიმაგრის იმ ნაწილში, რომელიც ამავე მთის უფრო დაბალ თხემზეა მოწყობილი. გალავნის შიგნით აქ რამდენიმე სათავსია. ლოდოვანებზე სიარულის გასაადვილებლად, აქედან ზევით, სამ მეტრამდე სიგანის ბრტყელი ქვებით ნაწყობი გზა მიემართება, რომლის გასწვრივ სამალავი ბლინდაჟებია გამართული. სიმაგრის მთავარ ნაწილს ე.წ. "ზედაციხე" წარმოადგენს. ესაა გალავანი ერთი, დაბალი შესასვლელით, რომლის შიგნითაც მიშენებულია ერთი ან ორსართულიანი სადგომები. მათი რაოდენობა ორ ათეულს აღემატება. მშრალად ნაწყობი კედლის სიმაღლე ზოგან 4 მ-ია, სიგანე 3 მ-დე აღწევს. გალავნის შიდა სადგომთა უმეტესობას ცალკე შესასვლელი აქვს, ზოგს კი ერთმანეთთან კარი აკავშირებს

გალავნის გარეთაც კარკნალში დარან—სამალავთა მთელი ჯგუფია. არსად ჩანს საისრე—სამზერები, წყალიც მთის ძირში იქნებოდა. სადღაც იქვე უნდა ყოფილიყო სოფ. შაორი, რომლის სახელს მიიღებდა მთაცა და სიმაგრეც. სოფლის სახელად შაორი რაჭაშიც გვხვდება, იქაც ტბის ნაპირზე (ამჟამად შაორის წყალსაცავია). მოსახლეობის მიერ შაორის სიმაგრის გამოყენებაზე შემდგომ ხანებში მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ XIX ს-ის მიწურულს იქაერ ერთ სენაკში ორი ქვაჯვარი უნახავთ (7. 72).

კიდევ უფრო გრანდიოზული და რთული გეგმარებისაა აბულის ციხე, რომელიც მცირე აბულის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2800 მ-ის სიმაღლეზე. აქაც მთელი ქედი თხემიდან სოფ. აბულამდე მორენებითაა დაფარული. ამით უსარგებლიათ ძველთაგანვე და ლოდების მცირე გადაადგილებით

მიუღიათ დარან–სამალავები, რომლებსაც ვიწრო, დაბალი




ნახ. 6.

შესაძრომი აქვთ. საკმარისია შესაძრომზე ერთი ლოდის აფარება და ყველაფერი შეუმჩნეველია, ის აღარაფრით გამოირჩევა ქვიანი მასის საერთო გროვიდან. ციხე-გალავანი ამ დარნების შუაში, მაღალ ადგილზეა აგებული. ის შედგება გალავნის, „შიდაციხისა" და მის კედლებზე შიგნიდან მიშენებული სათავს-სადგომებისაგან. (ნახ. 7).

მიუხედავად იმისა, რომ წყობა ყველგან მშრალია, კედლების

სიმაღლე ზოგან 5 მ-დე აღწევს, სიგანე კი 3 მ-ია. „შიდაციხე" მოიცავს ფართობს დაახლ. 60 მ X 40 მ. დასავლეთის ორი კუთხე მართია, აღმოსავლეთისა მომრგვალებული. ბურჯებიდანაც ორი მრგვალია, სამი ოთხკუთხა. შესასვლელი ორია სამხრეთ და დასავლეთ კედლებში.

ციხის შიგნით 40–მდე სადგომია კედლებსა და ბურჯებზე მიშენებული ზოგან ორ-სამ სართულად. აღმოსავლეთით ტერასებად დაშვებული სამალავები ისევე, როგორც გალავნის შიგნითა სათავსები, სხვადასხვა გეგმისაა: 1. წრიული, დიამეტრით ორი მ; 2. მოგრძო დარნები, რომლებსაც ერთი ბოლო მომრგვალებული აქვთ, მეორე სწორკუთხა, ფართობია 4 მ X 2 მ; 3. მოზრდილი, სწორკუთხა ოთახები.

პირველი ორი ტიპის სადგომების გადახურვა ერთნაირია: ვერტიკალური კედლიდან თანდათან, ცენტრისკენ საფეხურებად



ჯადმოწეული ბრტყელი ფილები იძლევიან ხის დარბაზების მსგავს გვირგვინს. დიდი ოთახების სახურავები ყველგან ჩაქცეულია, შესაძლოა მათ ბანური გადახურვა ჰქონდათ.

აბულის სიმაგრის სამხრეთით, ქედზე წყარო გამოდის, რაც გააძლიერებდა თავდაცვისუნარიანობას.

ზემო ჯავახეთის ორი უმაღლესი მწვერვალი დიდი და პატარა აბულის სახელს ატარებს. აბული ჰქვია მათ შორის მდებარე სოფელსაც, რომლის სახელი მთებზე უნდა გადასულიყო. სოფლის სამხრეთ ნაპირზე ნამოსახლარი გორაა, რომელსაც თავდასაცავი გალავნის კვალი ეტყობა. აქ აკრეფილი კერამიკა წინარე და ადრე შუა საუკუნეებისაა. სოფლის დღევანდელი სასაფლაოს ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი, მოზრდილი თიხის ჭურჭელი ახალქალაქის მუზეუმშია გამოფენილი. ის გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანას განეკუთვნება. ალბათ ამავე ხანისაა ზემოაღწერილი ნამოსახლარი გორაც. ენათმეცნიერთა აზრით, სოფლისა და მთების ამ სახელწოდებაში შეიძლება გამოიყოს სპარსული სიტყვა აბ, რაც წყალს აღნიშნავს, აბული კი წყლიან ადგილს, შედ.: აბი, აბისი (8.49).

საერთოდ აბულის დღევანდელი „ქორ–ოღლი" ძლიერ წააგავს შაორის სიმაგრეს–ერთგვარია ბუნებრივი პირობები, მშენებლობის ტექნიკა, გადაუხურავი ტალანები და მისასვლელები. მაგრამ აბულის სიმაგრე მაინც გამორჩეულია, იგი ერთი უპირველესი ცენტრთაგანი უნდა იყოს უძველესი დროიდან. თვალში საცემია მისი სიდიდე, სიძლიერე, მიუვალობა, სტრატეგიული მდებარეობა: მის სამხრეთით გადის გზა ფოკა–ხოსპიო–ხერთვისისაკენ. ეს გზა ოდნავ შემოვლითია, მაგრამ ზამთარშიაც ადვილად სავალი. აბულის ჩრდილოეთით მეორე, უფრო მოკლე გზაა იმავე მიმართულებისა, რომელსაც ზამთარში ნამქერი აძნელებს. ამ ორი გზის შემაერთებელი ბილიკი სიმაგრის დასავლეთითაა.

ფოკა–განძანიდან მომავალი მოკლე გზა „ვეშაპს" ჩაუვლის და ორ მწვერვალს შორის, უღელტეხილზე არსებულ ყორღანულ ველზე გადადის. ჯერ დაუდგენელია, აქვთ, თუ არა ამ ყორღანებს რაიმე კავშირი აბულის სიმაგრესთან, მაგრამ მათი აქვე არსებობა მაინც გასათვალისწინებელია. აბულის სიმაგრე წინაქრისტიანული ხანაშია აგებული, რომელსაც შემდგომშიც გამოიყენებდა მოსახლეობა. უფრო ზუსტ თარიღს არქეოლოგიური შესწავლა მოგვცემდა.

ჯავახეთის ძველ სიმაგრეთა მეორად გამოყენებაზე, არქეოლოგიური მასალის გარდა, წერილობითი წყაროებიც მეტყველებენ. IV ს-ის II ნახევრის რომაელი გეოგრაფოსის, კასტორიუსის მიერ შედგენილი საგზაო რუკა, აღმოსავლეთთან ვაჭრობის ახალ აღმავლობას რომ უკავშირდება, შეიცავს ცნობებს ჯავახეთზე გამავალი გზის შესახებაც. არტაშატიდან სებასტოპოლისს მიმავალ მარშუტზე, ჯავახეთის პირველ პუნქტად აღნიშნულია ფოკა-პაგას (9.107).

ფოკაში სოფლის განაპირა გორაკზე შემორჩენილია ოვალური ფორმის, მშრალი წყობის გალავანი. საპირე ქვები აქაც მოზრდილი ლოდებია, შუაში კი ჩაყრილია ხურდა. ყველაზე მაღალ ადგილზე თითქოს ნაკოშკარი ბუდეა. აქ ანაკრეფ კერამიკულ ფრაგმენტებში არის გვიანბრინჯაო—ადრერკინის ხანის, შუა საუკუნეთა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიც. კედლის გარეთ შეიმჩნევა თხრილი. გალავანთან მდგარ, კოპიან ქვაჯვარზე მცირე, დარბაზული ეკლესია შემოუშენებიათ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ფოკას ძველი სიმაგრე—გალავანი IV ს-ში გამოიყენებოდა, როდესაც კასტორიუსს ის თავის რუკაზე დაჰქონდა. შეაკეთებდნენ მას და ისევ სიმაგრედ გამოიყენებდნენ იქ ქვაჯვრის აღმართვისა და ეკლესიის მშენებლობის დროსაც. დაბოლოს 1046—47 წწ, მეფე ბაგრატ IV—სთან ბრძოლის დროს, ლიპარიტ ბაღვაშმა „შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა" (10 300). ეს „მოადგა" გულისხმობს ფოკას ზემოაღწერილ სიმაგრეში მყოფ მეფის მომხრეებს — იქ სხვა სიმაგრე არ ჩანს.

კასტორიუსის რუკაზე ფოკას შემდეგ, გზის გაყოლებით აღნიშნულია აბული—აპულუმ. ამ შემთხვევაშიც ძნელია მხოლოდ მაშინდელი სოფელი წარმოიდგინო და არა ის დიდი სიმაგრე, რომელიც ასე მოხერხებულად აკონტროლებდა აქვე გამავალ გზებს. მაშასადამე შეიძლება ფოკას სიმაგრის მსგავსად, აბულის მეორადი გამოყენებაც ვივარაუდოთ. საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ძველ მთავართა საგვარეულოებში ასახელებს აბულელს (6. 20), ერთ მათგანს კი, დავით აღმაშენებლის დროს იხსენიებს. დავითის ისტორიკოსი ამ ადგილას აბულელის მაგიერ იცნობს აბულეთს (11. 177). თუ ამ საკუთარ სახელთა ამოსავალი ჯავახეთის აბული გახდებოდა, მაშინ გასაგები იქნებოდა ამ პუნქტის მნიშვნელობა შუა საუკუნეების ხანაშიც...

ზემოხსენებულ საგზაო რუკაზე, აბულის შემდეგ

აღნიშნულია ხოსპია–კასპია.

ეს უკანასკნელი ქალაქის აღმნიშვნელი ორი კოშკითაა გამოხატული. ხოსპიას სიმაგრე მაღალ მთაზეა, სოფლის სამხრეთით. ლოდოვანი თხემი მშრალი წყობის კედლებითაა გამაგრებული გავრცელებული ხერხით: მსხვილ საპირე ქვებს შორის ჩაყრილი ხურდა. მოზღუდული ფართობი დაახლ. 40 მ X 25 მ. სხვა გალავნებისგან განსხვავებით, აქ თხემიდან წამოსული კედლები მარაოსავით იშლება ფერდზე და სამკუთხა გალავანში აქცევს რამოდენიმე ტერასაზე განლაგებულ სადგომებს. ანაკრეფ კერამიკაში აქაც წინაქრისტიანულთან ერთად არის უფრო გვიანი ფრაგმენტები, ჩანს ძველი ციხის მეორადობაა აქაც მოსალოდნელი და კასტორიუსის რუკაზე მოხსენიებულ ხოსპიას მატერიალური დასაბუთებაც უჩნდება. ისიც კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუკაზე აღნიშნული ეს პუნქტი აერთიანებდა მახლობლად მყოფ ხორენიისა და ამირანის გორის სიმაგრეებსაც. ეგების ამიტომაც იყო რუკისეული ხოსპია ორი კოშკით აღნიშნული.

ჯავახეთის ციკლოპური ხასიათის სიმაგრეებს უახლოესი პარალელები მეზობელ თრიალეთსა და ქვემო ქართლში მოეპოვება. ბუნებრივი პირობების ერთგვაროვნების გამო (უტყეო, მოშიშვლებული ზეგანი) თრიალეთში ისინი უფრო მრავლად და თვალნათლივ ჩანან, ვიდრე ქვემო ქართლის ტყიან ხევებში. თრიალეთის ციკლოპურ ძეგლებს არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიცია სწავლობს გოდ. ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით. იქ შესწავლილია 16 ციკლოპური ნამოსახლარი, რომელთა ქრონოლოგიური ამპლიტუდა ძვ. წ. XV–VII ს-თა შორის მერყეობს. თრიალეთში ჯავახეთის სიმაგრე–ნამოსახლართა ყველა ტიპი მეორდება: გალავნიანი გორა-ნამოსახლარები, ტბათა ნაპირებზე ტერასებად განლაგებული ნასახლარები და სამოსახლოსაგან გამოყოფილი სიმაგრეები.

როგორც არქეოლოგები აღნიშნავენ, ყველაზე მნიშვნელოვანი შესწავლილთა შორის არის საბეჭდავის ნამოსახლარი. ის შედგება სასიმაგრო სისტემისა და კვარტლებად განლაგებული სამოსახლოსაგან. ფართობი–1,5 ჰა, გარშემორტყმულია 3,5 მ სიგანის კედლით,რომელიც ბაზალტის ლოდებითაა ნაგები. გალავნის შიგნით, მთელ პერიმეტრზე მიშენებულია ერთსათავსიანი სახლები. სამოსახლოს საცხოვრებლები ორ-სამ სათავსიანია და მათაც გალავანი

ერტყმის. სიმაგრესა და ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა ძვ. წ. XIV–XII საუკუნეებითაა დათარიღებული.

საბეჭდავის მახლობლად შესწავლილია კიდევ ერთი ციკლოპური სიმაგრე-ნამოსახლარი–„კნოლე". მისი ფართობი 50 მ X 60 მ-ია, ნაგებია მშრალად ნაწყობი, დაუმუშავებელი ლოდებით. კედლის სისქე აქაც დაახლ. 3 მ-ია. არქეოლოგები მას ძვ. წ. VIII–VII სს-ით ათარიღებენ. საინტერესოა, რომ მახლობლად გაითხარა იმავე პერიოდის სამაროვანი (12. 35, 36). როგორც ზემოხსენებული ძეგლების გამოქვეყნებული გეგმებიდან ჩანს, თუ საბეჭდავის სიმაგრესა და სამოსახლოს საერთო გალავანი აკრავს, „კნოლეს" სიმაგრის გარეთ განლაგებულ ნასახლარებს და სიმაგრეს საერთო გალავანი არ უჩანს (13.46, 49,50). შესაძლოა, ქრონოლოგიურ განსხვავებაში სოციალური ტეხილიც აისახა. ზემოაღწერილი, გათხრილ-შესწავლილი ძეგლების მსგავსი გამაგრებული საცხოვრებლები იქნებოდნენ გუმბათი და ნარდევანი, ბეშთაშენი, თეზი, აშყალა, რომლებსაც ასევე ძვ.წ. II-I ათასწლეულებით ათარიღებენ (14. 15-16, 26-27).

ხოსპიას სიმაგრე ძალიან წააგავს სამწვერისის სიახლოვეს არსებულ დონღუზ-დარას ციკლოპურ სიმაგრეს ფოლადაურის ხეობაში. იქ მთის წვერზე წრიული ნაგებობის ნაშთია, საიდანაც კედლები ეშვება ფერდებზე, იქმნება სამკუთხა ფორმის გამაგრება, მახვილი წვერით მწვერვალზე. კედლების სიგრძე იქ ას მ-ს აღემატება, სისქე კი 2 მ-ს. წყობა იქაც მშრალია. ტექნიკა– დამახასიათებელი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სიმაგრეთა უმეტესობისათვის: მოზრდილ საპირე ლოდებში ჩაყრილი ხურდა. აღნიშნულ სიმაგრეს აღმ. მხრიდან თხრილი ჰქონია 5 მ. სიანისა. დონღუზ-დარას ათარიღებს იქვე ნაპოვნი ადრეული რკინის ხანის ბრინჯაოს საკინძი (15 ტაბ. 11; 16.79).

ჯავახურ სიმაგრეთა ცოტა შორეულ პარალელებს ვხვდებით დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ასევე ვანის ტბის მიდამოებში. ყველაზე ადრე ისინი ივანოვსკიმ აღწერა, ზოგიერთი გათხარა და გამოაქვეყნა კიდეც 1911 წ. მის მიერ გამოცემულ ნახაზებსა და აღწერებში ჯავახეთთან მსგავსებით დამახასიათებელი მეჩვენება ტაშ–ბურუნის სიმაგრე ფართობით დაახლ. 50 მ X 25 მ. სამხრეთის სწორი კედელი ჩრდილოეთიდან ნახევარწრიული კედლით იკვრებოდა. სწორ კედელს გარედან ბლისკინა ჰქონია. კედელი ამოყვანილი ყოფილა მშრალი წყობით, ერთმანეთზე კარგად მორგებული დაუმუშავებელი ლოდებით.

კედლის წყობაში ჩაშენებული ურარტული ლურსმული წარწერით ირკვეოდა, რომ ნაგებობა ურარტული იყო.

მის მახლობელ კიდევ ერთ სიმაგრეზე ავტორს აღწერილი აქვს ფარავნის შაორის მსგავსი, ლოდოვანზე გამართული, ეტლით თუ ცხენით მისასვლელი გზა.

არარატის ველზე არსებული ყველაზე დიდი ციკლოპური სიმაგრე 5 ბურჯით ყოფილა გამაგრებული, ხოლო ყველაზე გრძელი კედელი 200 მ-ს აღწევდა.

ხოსპიას სიმაგრის მსგავსი ჩანს ჩილდირის ტბის ნახევარკუნძულზე, მთაზე არსებული გამაგრება, არასწორი სამკუთხა ფორმისა, მახვილი კუთხით მწვერვალზე, ქვევით გაშლილი კედლებით. იქ ნათლად ჩანდა დიდ საპირე ლოდებს შორის, მშრალად ჩაყრილი ღორღი. კედლებს შორის სადგომები იყო, ხოლო თხემზე—სამკუთხა კოშკის ნაშთი. აქვე უნახავს ავტორს მოგვიანო ხანის, მრგვალი კოშკი კირხსნარით ნაშენი, სიმაგრის მეორადი გამოყენების უტყუარი ნიშანი გვიან ხანაში (17. 38, 55-59, 81-84).

სომხეთის ტერიტორიაზე წინარეურარტული და ურარტული ხანის სიმაგრეები შეისწავლეს ბ. პიოტროვსკიმ და ლ. გიუზალიანმა XX-ს-ის 30-იან წლებში. მათ ნარკვევში დახასიათებული ძველი სიმაგრეები მრავალმხრივ მსგავსებას ამჟღავნებენ ჯავახურ ნაგებობებთან: სიმაგრის ციტადელის ფორმას განსაზღვრავს გორის თხემის კონფიგურაცია; დაუმუშავებელ, მშრალი წყობის ორპირ ლოდებს შორის ჩაყრილი ხურდა; ციტადელის გარეთ არსებული კედლები ყველგან არ იკვრება, ხშირია ბურჯებით გამაგრება; იქაური გორები და ქედები ბუნებრივი ლოდოვანებითაა დაფარული, რაც ძნელად გადასალახია; არის კედლები ერთპირად ჩალაგებული, მშრალად ნაწყობი მოზრდილი ლოდებით, ისინი ბუნებრივად მიუვალ ადგილებს არ ახლავთ; ხშირად სიმაგრის მახლობლად გვხვდება ყორღანები, შიგნით ქვაყუთიანი სამარხებით, რომელთა განათხარი მასალა „ბრინჯაოს ხანისაა"; იპოვება უფრო ადრეული ხანის ანაკრეფი კერამიკა და ისრისპირები.

ატამხანის მახლობელი ტბის ნაპირზე ავტორებს აღწერილი აქვთ მცირე გორაკზე არსებული ციკლოპური სიმაგრე, რომელიც ძალიან წააგავს ჯავახეთის ტბებთან ზემოაღწერილ მცირე გამაგრებებს. იქაც ისევე, როგორც ჩვენთან, სიმაგრის ციტადელი ორპირი კედლისაა, შუაში ღორღით. ფერდზე ტერასებად

განლაგებულ ნასახლარებს ქრტყმის ტბამდე ერთრიგად ჩალაგებული ლოდები, მშრალად ნაგები კედლები. იქ აღმოჩენილ ლურსმულ წარწერაში იხსენიება „სამეფო ქალაქის აღება".

ავტორები სრულიად სამართლიანად ასკვნიან, რომ აღწერილი სიმაგრეები სხვადასხვა ეპოქისაა. წინარეურარტული სიმაგრეები ურარტულ ხანაშიც მოქმედებდნენ და ზოგიერთი I ს-მდეც აგრძელებს არსებობას. არის შემთხვევები, როდესაც შუა საუკუნეთა ხანის კედლები ურარტული ხანის სასიმაგრო კედლებზეა ამოყვანილი. ყველაფერ ამას ადასტურებს ანაკრეფი კერამიკა და არქეოლოგიური გათხრები.

ამ ძველ სიმაგრეთა სოციალური ბუნების გასაგებად ისინი გარეგნული ნიშნებითაცაა წერილში დაჯგუფებული. I ჯგუფში გაერთიანებულია წინარეურარტული და ურარტული ხანის სიმაგრეები, რომელთაც ახლავთ განათხარი სამაროვნები „ბრინჯაოს ხანისა", (ე.ი. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I-ის დასაწყისისა). გორების თხემზე არსებული ამგვარი სიმაგრეები მცირეა თავისი ფართობით. დასახლება განლაგებულია გორათა ფერდებზე და ძირში, ისინი უგალავნოა. სიმაგრეში მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული წრე დაეტევა, რაც ნიშანია საზოგადოების ფენებად დაყოფისა. სწორედ ასეთ საზოგადოებას იპყრობენ ურარტუელები.

II-ჯგუფში გაერთიანებულია ურარტუელების აშენებული, ლურსმულწარწერიანი სიმაგრეები. აქ უკვე დასახლებაც გამაგრებულია, მაგრამ მისგან გამოყოფილი ციტადელი საზოგადოების ზედა ფენას იცავს თავისიანებისგანაც. ესენი ნაკლებად განსხვავდებიან თანადროულ ადგილობრივ სიმაგრეთაგან და ჩანს თანაარსებობენ I ჯგუფის მოგვიანო ერთეულებთან. გამაგრებული დასახლებები, სადაც თავს იცავს ადგილობრივი მოსახლეობა, ამ წარწერაში იხსენიებიან როგორც „სამეფო ქალაქები".

II ჯგუფის განვითარებას მივყავართ III ჯგუფამდე, რომელშიაც უკვე ქალაქური ტიპის დასახლება ჩნდება. კედლები აქაც არქაულია, მაგრამ პირველი ორისაგან განსხვავებული. ასეთ სიმაგრეებში რამოდენიმე გორაა, მაგრამ ციტადელი საერთო გალავანში რჩება.

IV ჯგუფი ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ეს ფეოდალთა საცხოვრებლები უკვე გამოყოფილია საერთო დასახლებისაგან (18.53-59).

ციკლოპური სიმაგრეები, ლურსმული წარწერების გარეშე,

ბევრია აზერბაიჯანშიაც. ისინი იქაც მცირე კავკასიონის ქედებზეა და დაბლობში არ გვხვდება. ქრონოლოგიურად ზოგიერთი წინარეურარტულია, ზოგი—ურარტული ხანისა, სხვები კი, უფრო გვიანიც. იქაური სიმაგრეები მიჩნეულია მცირერიცხოვანი მოსახლეობის თავშესაფრად, რომელიც თავს იცავს ასევე მცირერიცხოვანი სხვა ტომის ნახევრადმომთაბარეთაგან, ზაფხულობით საიალაღოდ რომ ამოდიოდნენ მცირე კავკასიონის მთებში. ფიქრობენ, რომ სასაპალნე გზებზე არსებული ასეთი სიმაგრეები, გარკვეული საფასურით, შესაძლოა მოქარავნეებსაც გამოეყენებინათ საკულტო დანიშნულებით, რაზედაც თითქოს მიანიშნებენ არქიტექტურული თავისებურებანი.

ხანმოკლე თავდასხმაზე გათვალისწინებული ეს დროებითი თავშესაფრები, ცხადია, დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ურარტუელთა კარგად შეიარაღებულ ჯარებს. ამითაც აიხსნება ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული, ერთ დღეში აღებული „ქალაქებისა" და „ციხესიმაგრეების" ასეთი დიდი რაოდენობა. დაწინაურებული და ძლიერი მტრისადმი გაწეულ წინააღმდეგობას უნდა შეეკავშირებინა ადგილობრივი პატარ-პატარა ტომები, რასაც მოჰყვებოდა ცვლილებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში (19. 68-77).

აზერბაიჯანის ციკლოპურ სიმაგრეებსაც ძვ. წ. II ათასწლეულიდან მოყოლებული შუა საუკუნეებამდე ვარაუდობენ. ამჟამინდელი ადგილობრივი მოსახლეობა მათ „პატარა ციხეს", „გალავანს", „ქვის სიმაგრეებს" უწოდებს. დაუმუშავებელი ქვების ერთიდან ოთხამდე რიგი, სიმაღლეში 3,5 მ-მდე აღწევს. გალავანი გორის თხემს ევლება ერთ, ზოგჯერ ორ-სამ რიგად, იქმნება ტერასები 5-10 მ. სიგანისა. ზოგან კედლები გორათა ფერდებზეც ეშვება. გარკვეული გეგმა მათ არ ახასიათებთ, იმეორებენ თხემის მოხაზულობას, უმეტესად ოთკუთხა, ან მრავალკუთხაა, მათი ფართობი მერყეობს 30 X 45-დან 100 X 150 ნაბიჯამდე (20. 40).

ზოგიერთი სიმაგრის მახლობლად იქ გვხვდება ძველი ნასოფლარი, ქვაყუთებიანი სამაროვანი, ან მიწაყრილიანი ყორღანები. თავისი გეგმის სირთულით გამოირჩევა გევდუ-კალაჩას და ალსუ-კალაჩას ციკლოპური ნაგებობები, გორის თხემზე და ტერასებად განლაგებული, სადაც კედლის სიმაღლე 3 მ-დეა. იქ შეიმჩნევა კოშკისა და შიდა ნაგებობათა კედლები. გალავანს 3 ბურჯი ახლავს.. მახლობლად დგას კალაკენდის შუა საუკუნეთა სათოფურებიანი ციხე. რომლის წყობაშიც გამოყენებულია

ციკლოპური კედლის ნაწილი. სოფ. ათაბეგთან, მაღალი მთის თხემზეა ყალაბოინუ–ყალასასი, რომელსაც ციკლოპური გალავანი ორ-სამ რკალად ევლება. ის გეგმით წააგავს აბულის სიმაგრეს, კედლის სიმაღლე 3 მ-ია, მაგრამ არაა შიდა ნაგებობები.

ზემოაღწერილ ციკლოპურ სიმაგრეთა აღმრიცხველ-შემსწავლელი ი. ჯაფარ-ზადე ასე აჯგუფებს მათ: 1. დიდი ქვებით ერთპირად ნაგები გალავნები, რომლებიც ქვაყუთებთანაა დაკავშირებული. ასეთები ავტორს უძველესად მიაჩნია. 2. დიდი ქვებით ნაგები, ორ-სამ გალავნიანი სიმაგრეები, ასევე დაკავშირებული ქვაყუთებთან და ქვაყუთებიან ყორღანებთან. ისინი პირველი ჯგუფის მომდევნო ხანისაა. 3. საშუალოზე მოზრდილი ლოდებით ნაწყობი, ორ-სამგალავნიანი ნაგებობები, რომლებიც ზოგჯერ შიდა კედლითაა გაყოფილი და იქვეა მცირე ზომის ყორღანი. გალავანს გარედან მინაშენები აქვს, ხოლო სიახლოვეს ქვაყუთებიანი სამაროვანია. ქრონოლოგიურად ესენი მეორე ჯგუფის შემდგომი სიმაგრეებია. 4. მცირე ზომის ქვებისაგან ამოყვანილი ყორეები, რომელთაც წყობის არავითარი ნიშანი არ ეტყობათ. ესენი ყველაზე გვიანია.

საინტერესოა, რომ ავტორს ყველა სიმაგრე სათავდაცვო კი არა, არამედ საკულტო დანიშნულების ნაგებობად მიაჩნია შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1. მათ ახასიათებთ ადგილმისადგომობა, 2. დაბალი კედელი, 3. მცირე ფართობი, 4. უწყლობა და ურეზერვუარობა. ზოგან გალავნის შიგნით სამარხები გვხვდება, დღევანდელ მოსახლეობაში კი შერჩენილია ლეგენდები მათი საკულტო დანიშნულების შესახებ და ასევე შინაური ცხოველებისა, თუ ფრინველების შეწირვის ტრადიცია. გალავანში ხშირად შესასვლელი ისე დაბალია, რომ საქონელი ვერ გავა და ადამიანიც უნდა მოიხაროსო (21. 26-52). აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ციკლოპურ ნაგებობებს არ ახასიათებთ ურარტული მშენებლობისა და ჩვენს სამხრეთ რაიონებშიც გავრცელებული ტექნიკა: ორმწკრივად დალაგებულ დიდ ლოდებს შორის ჩაყრილი ხურდა.

1956 წ. ვანის ტბის რაიონის ძველი სიმაგრეები გამოიკვლია ბურნეიმ, რომელმაც მათ მოკლე აღწერილობასთან ერთად გამოაქვეყნა სქემატური გეგმებიც. მან თავიდანვე ყურადღება გაამახვილა იქაური მთიანი მხარის კლიმატურ პირობებსა და მეურნეობაზე, რაც დღევანდელი ჯავახეთის მსგავსია. ასეთ გარემოში აღწერილი გამაგრებული დასახლებები უფრო გასაგებს

ხდის მსგავსებას ჯავახურ სიმაგრეებთან. ეს მით უფრო, რომ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული ზაბახა, ვანის ტბის ჩრდილოეთით, ჩილდირის ტბის მიდამოებში იგულისხმება. ძველი ქართული წყაროები კი, ჯავახეთად მიიჩნევენ კოლა–არტანის ტერიტორიასაც.

ვანის ტბასთან გათხრილ და შესწავლილ ურარტულ სიმაგრეთაგან განსაკუთრებით საინტერესო ჩანან კეჩიკირან კალესი, დელი ჩაი კალესი და პისეტ კალესი, რომლებიც ჯავახურ სიმაგრეებს გვანან. მათი ფართობი 20 მ X 30 მ-დან 50 მ X 1000 მ-დეა, მსგავსია ციკლოპური კედლების წყობა, ოთხკუთხა გეგმარება და ბურჯები, თითო კოშკი, ტერასები და სადგომები, კედლის სისქე—3 მ. იქ განათხარ კერამიკას ავტორი ძვ. წ. IX ს-ით ათარიღებს (22. 37, 47-49).

ურარტული სიმაგრეები ვანის სამეფოს მოსაზღვრე რაიონებში წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ცენტრებს, ადგილსამყოფელს ურარტუელი მმართველისა და გარნიზონისათვის. ფერდობებზე მოწყობილი ტერასები არა მარტო ზრდიდნენ საცხოვრებელ ფართობს, არამედ იცავდნენ კიდეც სიმაგრის კედლებს მოცურებისაგან. ორრიგად, უხსნაროდ დალაგებულ დიდი ლოდებს შორის ჩაყრილი იყო ხურდა და კედლები შიგნიდან ზოგჯერ თიხით იყო შელესილი. გარკვეულ სიმაღლემდე მიყვანის შემდეგ მშრალად ნაწყობ ქვებზე, ხშირად, ზევიდან ალიზის კედლები ედგმებოდა (23. 198-199).

1990–93 წლებში, გუმრის (ლენინაკანის) სამხ.– აღმოსავლეთით 15 კმ-ზე, სომხურ–ამერიკულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ჰორომის ორი გამაგრებული გორა. იქაური ციკლოპური კედლების 6 რიგი 4 მ-მდე სიმაღლეზე იყო შერჩენილი. აქაც დიდ საპირე ლოდებს შორის ხურდა იყო ჩაყრილი, ხოლო კოშკს ალიზის აგურები შერჩენოდა. მათი ქვის წყობაზე დალაგებით, კედლები 10 მ-მდე სიმაღლეს მიაღწევდა, სისქე კი 3 მ. იყო.

ჩრდილოეთით მყოფ სიმაგრის კედლებს ეტყობა ურარტული მშენებლობის გავლენა: სასიმაგრო კედლების შემაგრება საყრდენებით, კონტრფორსები ყოველ 7 მ-ზე, ნიშა კოშკის კიდეზე. გალავნის შიგნით, ურთიერთდაკავშირებულ ოთახებში აღმოჩნდა აუზი ფართობით 9 მ X 10 მ. ქვედა ფენებში გაითხარა კოლექტიური სამარხი ძვ. წ. 3350-3305 წწ ე.ი. ურარტული არქიტექტურის ქვეშ უნდა ყოფილიყო მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება,

რომელზედაც გადადის ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის კულტურული ფენა.

სასიმაგრო კედელი ძირითადად წინარეურარტული და ურარტული ხანისაა, არის პოსტურარტული პერიოდისაც–მეორადი გამოყენების კვალით. „ადრეურარტულ" ნაგებობებს ახასიათებთ სიმეტრიული გეგმარება, შედარებით მძიმე, საქმის ცოდნით ნაშენი კედლები. შიგნიდან ზოგან მათ შელესვის კვალი ეტყობა. ერთ ოთახში აღმოჩენილი სანელსაცხებლე მოწმობს გარკვეული სტატუსის მქონე რეზიდენტის იქ ცხოვრებას. იპოვეს კავკასიური ტიპის ისრისპირი ძვ. წ. 1000 წ. ახლო ხანებისა, ასევე კარის გასაღები რკინისა, ძვ. წ. VIII–VII ს-ებს რომ განეკუთვნება. საცხოვრებელი ნაგებობანი მიჩნეულ იქნა „ადმინისტრაციულ კომპლექსად". „გვიანურარტულ" ხანისად ჩაითვალა იქვე გათხრილი წყლის აუზი, საქონლის სადგომი ბაკი, კერა, პურის საცხობი ღუმელი, გადახურვის დანახშირებული ხის ძელები.

პორომის სამრეთი გორის გათხრებმა დაადასტურეს სასიმაგრო კედლის არსებობა, მის შიგნით ურთიერთდაკავშირებული სადგომები, გაურკვეველი დანიშნულების თიხატკეპნილი და ქვით მოგებული იატაკები, საფეხურები და ბაქნები, ქვის პატარა ორმო-აუზები, ქვებით მოზღუდული წრეები. ცხოველთა მრავალრიცხოვანი ძვლები გამთხრელებს აფიქრებინებს პატარა, მრავალრიცხოვანი ორმოების საკულტო, ან საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებას. სამხრეთი გორის ნაგებობანი მიჩნეულია ადრერკინის ხანის ძეგლად, რომელიც არ ადასტურებს უშუალო კონტაქტს ურარტუელებთან. ამასვე მოწმობს არქიტექტურის სიმარტივე, ციკლოპური ნაგებობის პრიმიტიულობა.

პორომის გამაგრებული გორების სამხრეთით და აღმოსავლეთით გათხრილი სამარხები ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება, პრეურარტულ ხანას (24. 20-23; 25. 1,20).

არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძეს თრიალეთის ნარდევნისა და სანთის ციკლოპური ძეგლების დათვალიერებისას შეუმჩნევია ქვის კედლებზე ალიზის აგურების წყობის კვალი. ის მისულა დასკვნამდე, რომ მშრალი წყობის სიმაგრეთა კედლები 2-3 მ-ის სიმაღლეზე შენდებოდა ქვის ლოდებით. ზევიდან კი ედებოდა ალიზის აგურების წყობა. მას მიაჩნდა, რომ ტომის ბელადის რეზიდენცია– „ციტადელი", „დიდი სახლი" იყო ორსართულიანი

ნაგებობა. ქვის ქვედა სართული წარმოადგენდა საქონლის სადგომს, მეორე სართული—ალიზის აგურებით ამოყვანილი, იყო ბელადის ოჯახის საცხოვრებელი. ომის დროს, გალავანში, რომელიც დიდ სახლს ეკვროდა ფერდის მხრიდან, თავს აფარებდა ხალხი და საქონელი. „დიდი სახლის" გეგმარება აქამდე შემორჩა ციხე-სახლის სახით მაღალმთიან თუშეთში, სვანეთში და სხვ. მისივე აზრით, საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ციხე-ქალაქების გეგმარება, ციკლოპური გამაგრებული საცხოვრებლის შემდგომი განვითარებაა (26. 6,8).

ურარტუს მეფე არგიშტი I-ის ლურსმულ წარწერაში, 785 წლის ლაშქრობებზეა საუბარი, სადაც დიაოხის მეზობელი ზაბახას ოლქის დაპყრობაც იხსენიება. ამ ლაშქრობისას ურარტუელები იპყრობენ ასობით ქალაქს და ათეულობით „ციხესიმაგრეს", იტაცებენ ათასობით შინაურ საქონელს მიჰყავთ ტყვეები. მაშინ ზაბახა ჩილდირის ტბის მიდამოებში იგულისხმება (27. 376-377), მაგრამ ცხადია, იგივე ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ დღევანდელი ჯავახეთის ტერიტორიაზეც. ზემოხსენებულ ტექსტებში სამხრეთ ქართული ტომების ერთ „ციხესიმაგრეზე" 7–8 „ქალაქი" მოდის. დღევანდელ ჯავახეთშიცაა სიმაგრის გარეშე დარჩენილი (თუ სიმაგრემონგრეული) გორანამოსახლარები. უნდა ვიფიქროთ, თანდათან „ციხე-სიმაგრეთა" რაოდენობა იკლებდა „ქალაქების" გაზრდის ხარჯზე. ამას ხელს შეუწყობდა ურარტუელთა გაზრდილი გავლენაც. თუკი ქართულ ენას შემორჩა ურარტული სიტყვები „ყირა" (ე.ი. მიწა, ყირამალა, თავდაყირა), „არი-არალე", „ივრი-არალე", „თარი-არალე" (ე.ი. მოგვეც არალე. მეუფეო არალე, დიდო არალე), ასევე შემოეიდოდა ურარტული კულტურულ-სოციალური მიღწევებიც.

ლურსმულ წარწერებში სამხრეთ საქართველოს ტომები იხსენიებიან მათი მხარის ზოგადი სახელებით—დიაოხი, ზაბახა, ხოლო როცა ასეთი არაა, მაშინ წერია „ამა და ამ ციხესიმაგრის, ან ქალაქის ქვეყანა". მაშასადამე მხარე მოხსენიებულია ცენტრის სახელით. აქედან გამომდინარე, როდესაც ზაბახა ჩილდირის ტბასთან იგულისხმება, მაშინ დღევანდელი ჯავახეთი შეიძლებოდა ყოფილიყო აბულის, შაორის, საროს „ციხესიმაგრის ქვეყანა".

სარო მიჩნეულია „ქალაქურ დასახლებად" რას წარმოადგენდა სოციალური თვალსაზრისით შაორი და აბული—ეს ჯერ კიდევ საკვლევია, მაგრამ იქ რომ მუდმივი

საცხოვრისები ყოფილიყო, ნაკლებ სავარაუდოა (ბუნებრივი პირობების გამო). ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ ტომობრივ ბელადთა დროებით თავშესაფრებად შიშიანობის დროს, სადაც თავს აფარებდა მისი მხლებელ–მსახურეულობისა და მოსახლეობის ნაწილი. შესაძლოა აქვე ტარდებოდა საკულტო რიტუალებიც, რასაც არქეოლოგიური შესწავლა თუ გაარკვევს.

ხსენებული საკითხებისათვის მნიშვნელოვანია ქსენოფონტეს „ანაბასისის" ცნობები, რომლებიც პონტოსპირეთისა და მის მეზობელ ქართველურ ტომებს ეხება. ძვ.წ. V ს-ის დასასრულისათვის იქ აღწერილია ტაოხების (ძველი დიაოხის) ქვეყანა: „ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში და მთელი თავისი სურსათი იქ ჰქონდათ ატანილი. როდესაც ელინები მივიდნენ ერთ გამაგრებულ ადგილთან, რომელიც ქალაქი არ იყო და სადაც შენობებიც არ მოიპოვებოდა, თუმცა იქ თავი მოეყარათ მამაკაცებს და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად", ბერძნები თავს დაესხნენ მათ.

როგორც ვხედავთ, ეს იყო მთის წვერზე გალავანშემოვლებული ადგილი, სადაც საშიშროების დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. სიმაგრეს ერთადერთი მისასვლელი ჰქონია, იქიდან მოიერიშე ბერძნებს დაგორებული ლოდებით იგერიებდნენ და ასახიჩრებდნენ. ბერძნებს სიმაგრე მაინც აუღიათ და უნახავთ, როგორ ცვივოდნენ ტაოხები ბავშვებიანად კლდიდან უფსკრულში, ოღონდ ტყვეობას გადარჩენოდნენ. „აქ ძალიან ცოტა ხალხი იქნა ტყვედ ხელთგდებული, სამაგიეროდ ბევრი რქოსანი პირუტყვი, სახედრები და ცხვრები ვიგდეთ ხელთ"-ო (28. 80-81; 29. 117-119).

ხალიბების შესახებ ქსენოფონტე ამბობს, რომ „ისინი რჩებოდნენ პოლისმებში (დაბა) და როდესაც ელინები ჩაუვლიდნენ, ყოველთვის ბრძოლით დაედევნებოდნენ მათ. ხალიბები ცხოვრობდნენ სიმაგრეებში და სურსათიც იქ ჰქონდათ ატანილი. ამის გამო აქედან ელინებმა ვერაფერი ვერ წაიღეს და იკვებებოდნენ ისევ იმ პირუტყვით, რომელიც ტაოხებს წაართვეს" (28.82).

დრილების შესახებ იქვე ვკითხულობთ: „როდესაც ელინები ამ მთიან ქვეყანაში მივიდნენ, დრილებმა გადაწვეს და მიატოვეს ის სიმაგრეები, რომლებიც მათი ფიქრით ადვილად ასაღები იყო. ასე რომ, აქედან არაფრის წაღება არ შეიძლებოდა გარდა ღორისა, ხარისა და სხვა შინაური პირუტყვისა, რომელიც ცეცხლს გადარჩენოდა. ერთი სიმაგრე მათი დედაქალაქი იყო. იქ მოეყარა

თავი სუყველას. მას გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადგომად სახიფათო იყო... როცა ელინებმა ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო ორმო და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრავალი ხის კოშკი, განიზრახეს გასცლოდნენ მას...ქალაქში შეჭრილმა მეომრებმა სძლიეს სიმაგრიდან გამომხტარ მოწინააღმდეგეს და უკანვე შეკეტეს შიდაციხეში. ელინებმა ყველაფერი, რაც შიდაციხის გარეთ იყო, დაიტაცეს და ნადავლად წაიღეს". ბერძნებმა იქ გადაწვეს ხის სიმაგრეცა და საცხოვრებელი სახლებიც (28. 91-96).

ქსენოფონტე აღწერს მოსინიკების ქვეყნის მეტროპოლისს და მის ციხესიმაგრეს, რომლის ხელში ჩასაგდებად მოსინიკები ორ მტრულ ბანაკად დაყოფილან. მეტროპოლისს თურმე „მოსინიკების ქვეყანაში ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა. მტრობა სწორედ ამ ქალაქის გამო იყო ჩამოვარდნილი, რადგან ითვლებოდა, რომ ვისაც იგი ეპყრა, ის იყო მთელი მოსინიკების ხელისუფალი. ამბობენ, რომ ამ ქალაქს მისი ახლანდელი მპყრობელები კანონიერად კი არ ფლობდნენ, არამედ თავისი უპირატესობა საერთო სამფლობელოს დაპყრობით მოიპოვეს"...

ბერძნები დაეხმარნენ პირიქითელ მოსინიკებს, რომლებსაც მეტროპოლისის დაპატრონება სურდათ. მეტროპოლისში გამაგრებული მოსინიკები ქვებისა და შუბების ტყორცნით იგერიებდნენ მტერს. ბოლოს ისინი მაინც დამარცხდნენ, „გაიქცნენ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს ეს სიმაგრეც. მოსინიკების მეფემ არ მოისურვა გამოსვლა ხის კოშკიდან, რომელიც ყველაზე მაღალ ადგილზე იყო აგებული. ეს იყო მისი სამყოფელი, სადაც მას სდარაჯობდნენ და აცხოვრებდნენ საზოგადოების ხარჯზე. მან არ მოისურვა გამოსვლა ისევე, როგორც იმ მეფემ, რომელიც ადრე აღებულ სიმაგრეში იმყოფებოდა და ისინი დაიწვნენ თავის ხის კოშკებთან ერთად" (28. 101-103).

ჯავახეთის უძველეს სიმაგრეთა დასათარიღებლად, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალა ზოგადად ძვ. წ. II—I ათასწლეულებზე მიგვანიშნებს. ქსენოფონტეს ცნობები კი გვეხმარება უფრო ძველი ვითარების წარმოსადგენად. უნდა ვიფიქროთ, რომ ჯავახეთში ისევე, როგორც მთელ სამხრეთ ამიერკავკასიაში, მაშინდელი დასახლების გავრცელებული ტიპი უნდა ყოფილიყო გამაგრებული სამოსახლოები. მიუხედავად საშენი მასალის განსხვავებისა (ქვა და ხე), წინარეურარტული,

თუ ურარტული ხანის ციკლოპური ნაგებობები და ქსენოფონტეს მიერ აღწერილი „ხორიები", ერთი ტიპის მოვლენება: სუსტად გამაგრებული დასახლებები და არასაცხოვრებელი გამაგრებული პუნქტები, როგორიც ჰქონიათ ტაოხებს, სადაც მათ შეუგროვებიათ მთელი მათი მარაგი, მიუხედავად იმისა, რომ იქ სახლებიც არ ყოფილა.

სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ციკლოპური სიმაგრეების ერთი ჯგუფი წააგავს ქსენოფონტეს „მეტროპოლიებს". ორივეგან სახეზეა საერთო გალავანი და შიგ გამოყოფილი აკროპოლისი. „ანაბასისი"–დან ჩანს, რომ პონტოსპირეთისა და მის მეზობელ ქართველურ ტომთა სუსტად და ძლიერ გამაგრებული „ხორიები" თანაარსებობენ. „დედაქალაქი" იყო ეროგვარი ცენტრი, რომლის გარშემო ჯგუფდებოდნენ სუსტად გამაგრებული დასახლებანი. ალბათ, ასევე იქნებოდა ურარტულ ხანაშიც. გამაგრებული დასახლებების გაჩენა გულისხმობს მოსახლეობისა და საქონლის დაცვას მტრისაგან. მოსინიკების „ბასილევსები" კი, როგორც ჩანს რელიგიურ ფუნქციებსაც ითავსებენ. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ სუსტად გამაგრებული „ხორია" ეკუთვნოდა ცალკეულ გვარს, „დედაქალაქი" კი იქნებოდა თავისებური ცენტრი მთელი ტომისა (30. 255–258). ამ უკანასკნელ ტიპს უნდა მიეკუთვნოს ჯავახეთის საროს,აბულისა და შაორის სიმაგრეები.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. მ. გაბუნია. ჯავახეთის ამირანის გორა, „ძიებანი" №2, თბ. 1998.
2. ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა, თბ. 1963.
3. И. П. Ростомов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК 25, Тиф. 1898.
4. Archaeological investigations in Southern Georgia 1993. By Barbara Isaac, Zaal Kikodze, Philip L. Kohl, Giorgi Mindiashvili, Alexander Ordzhonikidze and Greg White. Iran XXXII 1994. The British Institute of Persian Studies.
5. ოთ. ლამბაშიძე, ირ. ლამბაშიძე, რ. კვირკვაია. არქეოლოგიური კვლევა-ძიება სოფ. საროში, „ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე", ახალციხე 2000.
6. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
7. ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ. 1938.
8. მ. ბერიძე. ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ. 1992.
9. ნ. ლომოური. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები" IV, ნაკვ. I, თბ. 1958.
10. ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1955.
11. ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, მზექალა შანიძის გამოც. თბ. 1992.
12. ნ. შანშიაშვილი. გ. ნარიმანიშვილი, ციკლოპური ნამოსახლარების გათხრები წალკის რაიონში, კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ 1998.
13. თრიალეთის „ციკლოპური" ნაგებობები, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა, თბ. 1998.
14. R. Mepisashvili, V. Tsintsadze. The arts of ancient Georgia. 1979 Edition Leipsig.
15. დ. ბერძენიშვილი. ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II, თბ. 1964.
16. გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი. ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, თბ. 1960.
17.. А. А. Ивановский. По Кавказу, Материалы по археологии Кавказа VI, М. 1911.
18. Б.Б. Пиотровский и Л. Г. Гюзалян. Крепости Армении доурартского и урартского времени, Проблемы Истории Материальной культуры. 5-6 1933.
19. И.И. Мещанинов. Восточное Закавказье времен халдских завоеваний, ВДИ. 1. 1937.

20. И. Джафар-заде. Экспедиция по обследованию циклопических сооружений Азербайджана. Известия Азербайджанского филиала Академии наук СССР № 3.1938.
21. И Джафар-заде. Циклопические сооружения Азербайджана Труды Азербайджанского филиала Академии наук СССР №55, 1938.
22. Urartian fortresses and towns in the Van region by C. A. Burney, Anatolian Studies, Vol.VII, 1957.
23. Б.Б. Пиотровский. Ванское царство, Москва, 1959.
24. International program for research in the Caucasus: Fild seasons 1990 and 1991. Julian Pearce. E. Ann Carson, Philip L. Kohl, Christopher Edens.
25. Preliminary report on the 1993 excavations at Horom, Armenia by Ruben S. Badaljan, Philip L. Kohl. David Stronach and Armen V. Tonikjan. Reprinted from Iran XXXII 1994. Published by the British Institute of Persian Studies.
26. В. Г. Цинцадзе. К изучению архитектуры городов-крепостей древней
ჰ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ანალიზის და დაცვის საკითხები, თბ. 1988
27. გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბ. 1970.
28. თეიმ. მიქელაძე. ქსენოფონტის "ანაბასისი", თბ. 1967.
29. Ксенофонт. Анабасис. Перевод. статья и примечания М. И. Максимовой М. И. 1951.
30. М.И. Максимова. Местное население Юго-Восточного Причерноморья по Анабасису Ксенофонта ВДИ, 1, 1951.

# ახალქალაქი ჯავახეთისა*

„... სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არ ჰქონიათ... სწადიანთ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც უწყლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა".

ილია ჭავჭავაძე, „ქვათა ღაღადი"

1992 წელს სერიით „სომხური ისტორიული დასახლებანი" ერევანში გამოიცა ბუკლეტი „ახალქალაქი", რომელიც გამოუქვეყნებია სომხური არქიტექტურის შემსწავლელ ორგანიზაციას სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგი შეიცავს მცირე ტექსტს (დაახლოებით 2 გვერდს), 12 ფოტოსურათს, ეკლესიის გეგმის ერთ ნახაზს, პატარა რუკას და უახლოეს ხანებში გამოსაცემ ამგვარსავე ბუკლეტების სიას, სადაც ჩამოთვლილია დასახელებული პუნქტების სახელები.

ტექსტში, რომლის ავტორი ჩვენთვის უცნობია, განსაზღვრულია ჯავახეთის ახალქალაქის მდებარეობა; ნათქვამია, რომ სომხური მოსახლეობა იქ IX–X საუკუნეებიდანაა; მოტანილია XI და XIII საუკუნეების ორი სომეხი ისტორიკოსის ცნობა ახალქალაქის შესახებ; ნახსენებია ერთი ფაქტი მისი აოხრებისა XV საუკუნეში და ახალქალაქის დაპყრობა ოსმალთა მიერ; ტექსტის შემდგომი ნაწილი ეძღვნება რუსეთის მიერ ახალქალაქის შემოერთებას და იქ სომხების გადმოსახლებას ოსმალეთიდან XIX საუკუნეში (აქ სისრულითაა აღწერილი სომხების მიერ ახალი ქალაქის გაშენებისა თუ მოწყობის ამბები); ბოლოს კი აღნიშნულია, რომ ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საფლავის ქვა 1301 წლისა, ახალ ეკლესიაში ჩაშენებული ხაჩქარი 1289 წლისა და ქალაქის მახლობლად მდებარე ეკლესია XII-XIII საუკუნეებისა მოწმობენ სომხური დასახლების აქ არსებობას აღნიშნულ საუკუნეებში.

რუკაზე სქემატურად აღბეჭდილია „დიდი სომხეთი", ე.ი. ტიგრან II-ის მიერ ძვ. წ. 95-56 წლებში შექმნილი სახელმწიფო, რომლის დაახლოებით 1\10 ნაწილი უჭირავს დღევანდელ სომხეთს, რუკაზე აღნიშნულს უფრო მუქად.

*დაიბეჭდა ჟურნალში „არტანუჯი" 7, თბ.1998.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „დიდმა სომხეთმა" არსებობა შეწყვიტა ახ. წ. 387 წელს, როდესაც ის ერთმანეთში გაიყვეს ბიზანტიამ და ირანმა, მაშინ ამ რუკის მოტანას მხოლოდ ერთი გამართლება შეიძლება ჰქონდეს: სომხურ ისტორიულ დასახლებათა ძიება კასპიისა და შავი ზღვის სამხრეთს შორის გადაჭიმულ მთელ ტერიტორიაზე (თურქეთი, ირანი, ერაყი, სირია, საქართველო, აზერბაიჯანი, საკუთრივ სომხეთი...).

მაგრამ არა, გამოსაცემი ბუკლეტების სიაზე დაკვირვებით აღმოჩნდება, რომ ასეთი დასახლებები მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აინტერესებთ: 45 პუნქტიდან ქვემო ქართლის 10, ჯავახეთის 13, სამცხის 7 სოფელი, დაბა, თუ ქალაქი სომხური ისტორიული დასახლება ყოფილა. დანარჩენი პუნქტები დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა.

ბუკლეტის ავტორის მიხედვით, „ახალქალაქი მთავარი დასახლებაა გუგარქის გავარ (პროვინცია—დ.ბ.) ჯავახეთში." ასე იწყება ტექსტი. არაფერია თქმული, რომ ჯავახეთი საქართველოს მხარეა, რომ გუგარქიც სტრაბონის ცნობით ძველი იბერიის შემადგენელი ნაწილი იყო, დროებით დაპყრობილი სომხების მიერ ძვ. წ. II საუკუნეში.

გუგარქი (ბერძნ. გოგარენე) სხვადასხვა ეპოქაში ცვალებადი ცნებაა, ამიტომ ზემო ჯავახეთი, გვიან წარმოშობილი ახალქალაქით, ყოველთვის მის შემადგენლობაში არ იგულისხმება. თუ ძველი სომხური გეოგრაფია გუგარქის შემადგენლობაში მთელ ჯავახეთს თვლის, მოვსეს ხორენაცი კი ჯავახეთის მხოლოდ ნახევარს, უფრო ადრინდელი წყაროების მიხედვით გუგარქი ქვემო ქართლშია.

ლეონტი მროველი, რომელიც აღწერს ქართლის ისტორიას I საუკუნეში, მოგვითხრობს, რომ „სომხეთის მეფე იარვანდი ემძლავრა ფარსმან არმაზელსა და მოუღო საზღვარი ქართლისა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს" (1.44). სომეხ-ქართველთა ეს ბრძოლა გაგრძელებულა შემდგომ ხანებშიც. ქართველებს „ქუეყანასა ჯავახეთისასა" დაუმარცხებიათ სომხები, მათი უფლისწული კი ტყვედ ჩაუგდიათ. მხოლოდ ამის შემდეგ დაზავებულან მებრძოლი მხარეები: „სომეხთა უმკოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი" (1. 49, 50)

ძველი ჯავახეთის ქართლთან უახლოეს კავშირზე

მეტყველებს თუნდაც II საუკუნის იბერიის პიტიახშების საკუთარი სახელი ჯავახ (ზევახ), არმაზის წარწერებში სამჯერ რომ არის დადასტურებული (შდრ.: კახა–კახეთი).

გუგარქი კი ძვ. წ. II საუკუნის შემდგომ ხუთჯერ გადაეიდა ხელიდან ხელში, ვიდრე IV საუკუნის II ნახევრიდან საბოლოოდ არ შეუერთდა ქართლს. სომხურივე წყაროები მოწმობენ, რომ გუგარქის მკვიდრი მოსახლეობა ქართული იყო (2). ამიტომ 326 წელს ჯავახეთს მოსული წმ. ნინო, ცხადია, ქართულ გარემოში მოხვდა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მცხეთასთან.

ბუკლეტის ტექსტის მიხედვით, ახალქალაქი ორი მდინარის შესაყარშია, რომელთაგან ერთია „ფარვანა" (ე.ი. თავფარავნის-წყალი), მეორე კი „ქარასუნ აღბიურ" (ე.ი. ორმოცი წყარო). ასეთი სახელწოდება არ არსებობს. ესაა თარგმანი თურქული ყირხ-ბულახისა, რომელიც რუსულ ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული. უფრო ადრე მას დლივისწყალი, ხოლო ძველ ქართველ ისტორიკოსებთან ახალქალაქისწყალი ეწოდებოდა. მდინარის გვიანი, თურქული სახელწოდების სომხურად გადმოკეთებით, ტექსტის ავტორი ცდილობს როგორმე დაამკვიდროს ჰიდრონიმის სომხური ფორმა.

ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქი XI საუკუნეში დაარსებულად ითვლება, ძველი ქალაქის ფარგლებში შემორჩენილი ძეგლები, კერძოდ, IX-X საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ხაჩქარები (ინგლისურ ტექსტში IX-XI სს), ამტკიცებენ სომხური დასახლების იქ არსებობას ჯერ კიდევ XI საუკუნემდე. ამის საბუთად დაბეჭდილია ერთი ხაჩქარის ფოტო, ჩაშენებული წმ. ჯვრის (св. хач) XIX საუკუნის ეკლესიაში.

ავტორს ხელს არ აძლევს და ამიტომ არც ამბობს, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (3. 13). ამ დროს კი სომხები კავკასიაში არც იყვნენ. იგი დუმილით გვერდს უვლის აგრეთვე ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტულ წყაროებში მოხსენიებულ „ზაბახა"-ს, ანუ ჯავახეთს, რომელიც მძიმე ბრძოლებს აწარმოებს ურარტუელებთან (4. 212). მაშინ კი გუგარქის ხსენებაც არ იყო.

ქართული წყაროების მიხედვით, წუნდის საერისთავოში გაერთიანებული ჯავახეთი უძველესი დროიდანვე ქართლის მეფეს ემორჩილებოდა. პირველი ქართული ეკლესიები იქ IV–VI საუკუნეებში აშენდა, ხოლო ვახტანგ გორგასალმა ჯავახეთში

საეპისკოპოსო კათედრა დააარსა (5. 75-80, 118-120). არაბული და სომხური წყაროები (ბალაზორი, იოანე მამიკონიანი) ჯავახეთს ქართლის იმ მხარეთა შორის ასახელებენ, რომლებიც VII საუკუნეში დაიპყრეს არაბებმა (6. 30).

ეს ფაქტები ავტორის ყურადღების ღირსი ვერ გამხდარა და აი, წმ. ჯვრის ეკლესიაში ნაშენებულმა IX-X საუკუნეების ხაჩქარმა "დაამტკიცა" სომხური დასახლების იქ არსებობა, ასეთ საბუთს რას დააკლებს ის ფაქტი, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი და შესწავლილია ძველი ქართული ეკლესიის ნაშთი, IX-X საუკუნეებისა,ე.წ. "თავისუფალი ჯვრის" ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა, მის ნანგრევებში ნაპოვნი ქვაჯვართა ბაზისები და კარნიზები კი V-VII და VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ივარაუდება, რომ ისინი IX-X საუკუნეების ეკლესიის მშენებლობაში იქ არსებული უფრო ძველი სამლოცველოდან მოხვდნენ. ამავე ხანისაა ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი მცირე სიმაგრეც (3. 14-15).

ხაჩქარზე უფრო ადრეული და მნიშვნელოვანი ძეგლებით დასტურდება, რომ გაქალაქებამდე ახალქალაქის კონცხზე მიზრდილი სამოსახლო ყოფილა. თანდათან ეს პუნქტი ისე გაიზარდა და დაწინაურდა, რომ XI საუკუნისათვის იგი ჯავახეთის ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა. "მატიანე ქართლისა" გვამცნობს, რომ 1057 წელს "ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი, სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე... და მსწრაფლ გაგზავნა სულა მეფისა წინაშე სულთა ზედა მჭმობელნი. ხოლო გუარანდუხტ და გიორგი, ძე ბაგრატისი, დგეს ღრტილას. და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქალაქს და მუნ მოილოდინეს ბაგრატ... მოვიდა მეფისა წინაშე სულა ჯავახეთს, და მოჰგუარნა ლიპარიტ და ივანე პყრობილნი და მოაჴსენა" (1. 304-305).

აქედან ვიტყობთ, რომ ღრტილადან ახალქალაქში ჯავახეთის ცენტრში გადმოსვლით სამეფო ოჯახი ნათლად წარმოაჩენდა ქალაქისა და მისი მხარის მეფისადმი დაქვემდე-ბარებას.

ბუკლეტის ავტორმა ყოველივე ზემოთქმულიდან მხოლოდ ის იცის, რომ ახალქალაქი გუგარქის გავარ ჯავახეთშია, "ქარასუნ აღბიურის" ნაპირზე, რომ სომხური დასახლება იქ IX-X საუკუნეებიდან არსებობს. აქ ავტორი გაკვრით შენიშნავს: ისტორიკოსი ვარდანი თავის წიგნში იხსენიებს "ახალ ქალაქს.

რომელსაც ქართველები 'უწოდებდნენ ახალქალაქს". ბუნებრივია, მკითხველს სამართლიანი კითხვა უნდა გაუჩნდეს: "ნეტავ ეს ქართველები აქ რა შუაშიაო?..." ვარდანი ხომ XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსია, რომლის სიტყვები "Նոր քաղաք զոր. Վիրք Ախալ–քալաք ասեն" ("ახალი ქალაქი, რომელსაც ქართველები ახალქალაქს 'უწოდებენ") – ავტორს რუსულად გადმოუცია როგორც "Новый город. который по грузински звучит Ахалкалак", ინგლისურად კი –"New town. which is pronounced in Georgian Language Akhalkalak". საქმე ისაა, რომ ბუკლეტის ავტორის მიერ ციტატად მოტანილი წინადადება ვარდანთან საერთოდ არ არის. იქ სიტყვა-სიტყვით ნათქვამია, რომ 1064 წელს ალფ-არსლანი "კვლავ მოვიდა 100.000 მეომრით, დაიპყრო ახალქალაქი და სამშვილდე და შეირთო ცოლად ასული კვირიკე მეფისა, დისშვილი ბაგრატ ქართველთა მეფისა" (7.136).

ავტორის მიერ შეთხზულ, ვარდანისათვის მიწერილ წინადადებაში სიტყვები "ჟღერს", "გამოითქმის," ნეიტრალურია და სხვა ელფერი აქვს, ვიდრე უფრო შესატყვის ფორმას "ქართველები უწოდებენ", "ქართულად ჰქვია". მაგალითად. თუ ვიტყვით, რომ სახელები ქალაქებისა ანი და გარნი "ქართულად ჟღერს", "ქართულად გამოითქმის", როგორც ანისი, გარნისი, ასეთ შემთხვევაში არ გამოჩნდება, ვისია ეს ქალაქები, ან სახელები ვისი შერქმეულია, მაშინ როდესაც შესიტყვება "ქართველები უწოდებენ", ან "ქართულად ჰქვია ახალქალაქი", მიგვანიშნებს, რომ ქალაქი ქართველებისაა და ეს გამჭვირვალე ქართული სახელიც მათ მიერაა წოდებული (შდრ.: ნოვგოროდი, ნეაპოლი...).

მართლაც, არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ IX-X საუკუნეებში აქ უკვე იყო ვრცელი ქალაქური ტიპის დასახლება, სადაც ნაპოვნია X-XI საუკუნეთა ბიზანტიური სპილენძის მონეტები. ამ "უზღუდო", ე.ი. მცირედ გამაგრებულ, დასახლებას უკვე მაშინ ერქვა ახალქალაქი (3. 15).

საქართველოს ქალაქების ისტორიაში IX-X საუკუნეებიდან აღინიშნება ახალი ეტაპი, რომელსაც "ახალქალაქობის" ხანასაც 'უწოდებენ. ამ დროიდან ხდება ძველი სამოსახლოების გაქალაქება, ზოგი ძველი ქალაქის აღორძინება და ახალი ქალაქების წარმოშობა. ასე გაჩნდა დმანისი, არტანუჯი. ახალციხე, თელავი, ატენი, თრიალეთის ახალქალაქი და ახალქალაქი ჯავახეთისა. რომლის ზღუდეთა შენება ბაგრატ IV-ის ინიციატივა ყოფილა. "მატიანე ქართლისაჲ" მარიამისეული და მაჩაბლისეული ნუსხების

მიხედვით, „გავიდა მეფე ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო."

„ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანის მიხედვითაც, ბაგრატ მეფემ „ააშენა ახალქალაქის ზღუდე". ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს: „ბაგრატ მეფე მოვიდა ჯავახეთს, განამაგრა ახალქალაქი" (9.146). ამ მხრივ ნიშანდობლივია გათხრების დროს ნაქალაქარის გალავნის კარიბჭეზე აღმოჩენილი ქართული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მარიამ". ეს კი გახლავთ ბაგრატ IV-ის დედა დედოფალი მარიამი.

ქალაქობის პერიოდის ძეგლებიდან, ზემოხსენებული ეკლესიის გარდა, ახალქალაქში გამოვლენილია 150 მ სიგრძის გვირაბი, მდ. თავფარავნისწყლის მარცხენა სანაპიროზე გამავალი. ასევე საყურადღებოა კერამიკული სახელოსნო, ზეთსახდელი და განსაკუთრებით, ქარვასლა მოქარავნეთათვის (3. 16-17).

ბუნებრივია, ბუკლეტში ამ ფაქტებზე არაფერია ნათქვამი. მის ავტორს ხომ სურს დაამტკიცოს ახალქალაქში სომხური ისტორიული დასახლების არსებობა, ხოლო ამ მიზნის მიღწევა ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მართლაც ძნელი საქმეა.

1064 წელს ჯავახეთის ახალქალაქმა ალფ-არსლანის გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. ამ ამბების ამსახველი ცნობა კი ბუკლეტის ავტორს ვარდანის ზემოხსენებული ციტატის შემდგომ წინადადებად მოაქვს. მოაქვს ისე, თითქოს ეს უმისამართო ქალაქი კონკრეტულ ქვეყანას და მხარეს არ ეკუთვნოდეს. მისი სიტყვით, მათეოს ურჰაეცი (სომეხი ისტორიკოსი XI-XII საუკუნეებისა) მოწმობს, რომ აბასლანმა (ე.ი. ალფ-არსლანმა) „სასტიკი ბრძოლებით ალყა შემოარტყა ახალქალაქს, რომელიც იერიშით აიღო. მან უმოწყალოდ, მახვილით მოსრა მთელი ქალაქი, კაცები, ქალები, ყველა მღვდელი, მონაზვნები და მთავრები. მთელი ქალაქი სისხლით მორწყო. სპარსეთში ტყვედ წაიყვანა უამრავი ჭაბუკი და გოგონა, ხელთ იგდო ურიცხვი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი".

ალფ-არსლანის ეს შემოსევა, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა, აღწერეს ქართულმა და უცხოურმა წყაროებმა. გიორგი მცირე „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში" წერდა: „მას ჟამსა შინა ვიყვენით ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა და მუნ ჰყვეს (გიორგი მთაწმინდელს—დ.ბ.) ყოველნივე იგი ობოლნი თჳსნი. და ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა. შუა დღეს ოდენ განკჳრვებაჲ დაეცა ჟამ რაოდენმე და მეყსეულად განკრთომის სახედ გჳბრძანა

ყოველთა, ვითარამედ: „უწყოდეთ, რამეთუ რისხვაჲ ღმრთისაჲ მოწევნად არს ამა ქალაქსა ზედა. და ბრძანა აღკაზმვაჲ ყოველთაჲ. და იყო რაჲ მწუხრი, გამოვედით და შემდგომად სამისა დღისა მოიწია რისხვაჲ იგი უგრძნეულად, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, რამეთუ არა თუ ახალქალაქისა ოდენ მკუდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეუფოისა ჩუენისანი ძჳრძჳრად მოისრნეს და წარწყმდეს, რომლისა მიერ ღმრთის-მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შთავარდა" (10.174–175).

კიდევ უფრო ნიშანდობლივი ცნობა აქვს „მატიანე ქართლისას" ავტორს, რომლის სიტყვით, თურქები „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძოსანი ძლიერად დგეს ახალქალაქს და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი. ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა. აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახჳლისათა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი. აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა.

და მიუვლინა ახალქალაქით მოციქული სულტანმან ბაგრატ მეფესა; აჰკიდა მზახობა და სთხოვა დისწული ცოლად" (1. 306-307).

ჯავახეთის სოფელ მირაშხანში არსებული წარწერა გვამცნობს, რომ ახალქალაქის ბრძოლაში სხვებთან ერთად დაღუპულა ფარსმანი, სხვა წყაროებით ფარსმან თმოგველად ცნობილი, ერისთავთ-ერისთავი ჯავახეთისა, მოხსენიებული ზედა თმოგვისა და სათხის ეკლესიათა წარწერებში (5. 95).

ზემოხსენებულ ბრძოლას დაწვრილებით აღწერს XIII საუკუნის არაბი ავტორი სადრ ად-დინ ჰუსეინი, რომელიც საინტერესო დეტალებით ავსებს ჩვენს წარმოდგენას ახალქალაქზე: „შემდეგ ალფ-არსლანმა მოამზადა ლაშქარი იმ მიზნით, რომ თავს დასხმოდა სებიდ შაჰრს (სპარსულად–„თეთრი ქალაქი", თურქულად„ახალი ქალაქი"). ამ ქვეყნის მოსახლეობასა და მას შორის ბევრი ბრძოლა მოხდა.

შემდეგ ღმერთმა გამარჯვება აღირსა ამ ადგილზე. სულთანმა მოინდომა ახალქალაქის სახელწოდების სხვა ქვეყნების დაპყრობაც. ციხის კედლის სიგრძე 100 წყრთა იყო,

ხოლო სიგანე ამაზე უფრო მეტი. ამ ქალაქის გარშემო აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარეობს მთა. მთის მწვერვალზე ციხეებია. ჩვენ მიერ აღნიშნული კედელი კი სამხრეთ მხარესაა. ამ ციხის კედლის წინ ჯეიჰუნის (ამუ-დარია) მსგავსი მდინარე ჩადის. ზედ ხიდია გადებული. მტერმა ეს ხიდი აიღო და ამრიგად მუსლიმების სიხარბესა და იმედს ბოლო მოუღო...სულთნის ლაშქარმა დიდი ხიდი ააშენა. დაიწყეს ბრძოლა, ძალიან მაგრად შეებნენ ერთმანეთს. შემდეგ ამ ქვეყნიდან ორი კაცი გამოვიდა, დახმარება და შეწყნარება ითხოვა. სულთნისაგან ითხოვეს ემირის დანიშვნა, რომელიც მართალი და პატიოსანი კაცი იქნებოდა. სულთანმა ემირ იბნ მუჯაჰიდი და აბუ სურმე გაუგზავნა. როდესაც მათ გაიარეს ციხის სასაზღვრო ხაზი, ქართველებმა მათ ალყა შემოარტყეს და დახოცეს. ეს საწყლები დარჩნენ მტრის ხმალსა და წყალს შუა.

ამის შემდეგ მსახური საევაფი ეახლა სულთანს და მოინდომა ეცნობებინა მისთვის, ქართველები თავს დაგვესხნენ და მუსლიმები დაამარცხესო... იგი მტრის სასტიკ წინააღმდეგობას მამაცურად გაუმკლავდა, მათ ქვეყანაში შევიდა და მტრებისაგან გაათავისუფლა. ციხის ერთ-ერთ კოშკში მტრის რამდენიმე გულადი მეომარი დარჩენილიყო. ესენი ჭეშმარიტი და სრული მამაცობითა და გამბედაობით გაუმკლავდნენ. სულთანმა ბრძანა ამ კოშკის გარშემო შეშა შემოეწყოთ, შეშას ცეცხლი მოუკიდეს...

მუსლიმებს ხელში ჩაუვარდათ უსაზღვრო და უთვალავი სიმდიდრე. ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა. კოშკის გარშემო დანთებულ ცეცხლს ქარმა შეუბერა და ეს მხარე ცეცხლმა მოიცვა, თავიდან ბოლომდე გადაწვა. ამ ციხესთან ახლოს სხვა ერთი გამაგრებული ციხეც იყო. სულთანმა ესეც დაიპყრო. შემდეგ ქართველმა მელიქებმა სულთანს ბევრი საჩუქარი გაუგზავნეს და ზავი ითხოვეს... სულთანმა ქართველთა მეფეს წერილით შეატყობინა ან ისლამი უნდა მიიღო, ანდა ჯიზიაზე უნდა დათანხმდეო" (11. 189-190).

საგანგებოდ მოტანილ ამ ვრცელ ამონაწერებში არსად არ ჩანან სომხები. ყველგან ხაზგასმულია „ახალქალაქის მკვიდრნი", „დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი", „მესხნი აზნაურნი", „ქართველები" და „ქართველთა მელიქები". არსაიდან ჩანს, რომ იქ „ისტორიული სომხური დასახლება" იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის მათეოს ურჰაეცის მიმართ, რადგან კარგადაა ცნობილი მისი აღტაცება დავით აღმაშენებლის მიერ

გორში სომხების ჩასახლების გამო (12. 356). მაშ, რაღა ახალქალაქში დამალავდა სომხური დასახლების არსებობას, თუკი ასეთი მართლაც იყო. მისი ცნობები საკმარისი სიზუსტით ემთხვევა სხვა წყაროებს, როცა თურქთა ამ შემოსევაზე საუბრობს და ცხადია, რეალურ ვითარებას ასახავს.

მეორე მხრივ, ისტორიკოსის ცნობები იმითაცაა საყურადღებო, რომ მან იცის: ეს შემოსევა ქართველთა ქვეყანაში ( յաշխարհն Վրաց) ხდება, ოლქში, რომელსაც ჯავახეთი ჰქვია (ի գաւառն որ կոչի ջաւախս). თავდასხმა ხდება ქალაქზე, რომელსაც ჰქვია "ახალ" (զքաղաքն որ կոչի Ալախ). მომდევნო ფრაზაში კი ავტორი წერს "ახალქალაქს" ( Ախալ քաղաքն) (12. 146). მათეოს ურჰაეცი ჯავახის მაგიერ წერს "ჯავალის", ახალქალაქი კი გაუგია, როგორც ქალაქი სახელად "ახალ" (შეცდომით ტექსტშია "ალახ"). ასეთი შეცდომები, თუ დამახინჯებანი, სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ჯავახეთი და ახალქალაქი უცხო გარემოა სომხებისა და სომეხი ისტორიკოსისათვის. იქ IX-X საუკუნეებიდან სომხური დასახლების არსებობის შემთხვევაში ასე არ იქნებოდა.

ბუკლეტის ავტორი მათეოს ურჰაეცის ცნობიდან უგულებელყოფს სიტყვებს საქართველოს (ქართველთა ქვეყანას) და ჯავახეთს რომ ეხება, სომხურ ტექსტში მხოლოდ ახალქალაქს და იქ მომხდარ ამბებს იხსენიებს. რუსული და ინგლისური ტექსტის შესატყვის ადგილას იგი იმეორებს ისტორიკოსის შეცდომას და წერს: "Город Ахал ," "the city Akhal". ეს იგივეა, სომხეთის ძველი ტოპონიმები ნორ ქალაქ, ნორ ბერდ, ნორავანქ ქართულად ასე რომ გადმოგვეღო: ქალაქი ნორ, ციხე ნორ, მონასტერი ნორ (სომხ. ნორ—ქართ. ახალი). ბუკლეტის ავტორმა იცის, რომ ტოპონიმის თარგმნა არ ხდება, მაგრამ ასეთი შემოქმედებით, როდესაც ტოპონიმის პირველ ნაწილს არ განმარტავს, შეიძლება მკითხველს აფიქრებინოს: სახელწოდება ახალქალაქის მეორე ნაწილი (ქალაქ) სომხურია, რაც იქაური სომხური დასახლებით აიხსნება. სწორედ ამიტომაა, რომ ქართულის დამახასიათებელი დაბოლოება სახელობითი ბრუნვისა "ი" ბუკლეტის მხოლოდ რუსულ და ინგლისურ სათაურში ჩანს. სომხურ სათაურსა და სამსავე ტექსტში ყველგან გვხვდება Ախալքալաք. Ахалкалак, Akhalkalak. სინამდვილეში კი "ქალაქი" უცხო წარმომავლობის სიტყვაა და აღმოსავლური სამყაროდან უნდა იყოს შემოსული ქართულსა და სომხურში.

თურქთაგან დანგრეული ჯავახეთის ახალქალაქი

XII საუკუნის II ნახევრიდან ისევ მოშენებულა, რაზედაც მეტყველებს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი საცხოვრებელი კომპლექსები, აღდგენილი ეკლესიის იმდროინდელი ჩუქურთმები და ლაშა-გიორგის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები (3. 17). „გიორგი თამარის ძის" სახელს ორი ტიპის მონეტები ატარებს. მონეტების ერთ სახეობაზე გიორგი ლაშა „ჯავახთუფლად" იხსენიება. ცნობილი ცალების რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატება, თან ყველა პასპორტიანი ცალი ნაპოვნია ახალციხეში, ჯავახეთის ახალქალაქსა და დმანისში. მისი ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა ამგვარია: „გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთუფლისა". არაბული ზედწერილი კი ასე იკითხება: „მეფე უზენაესი—დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა (გიორგი ძე თამარისა) მახვილი მესიისა" (13. 18). ქართულ წარწერაში მოჩანს ჯავახეთისადმი გიორგი ლაშას დამოკიდებულების განსაკუთრებულობა აქაური საუფლისწულო მამულის მფლობელობა.

ახალქალაქშივეა აღმოჩენილი რუსუდან მეფის 1227 წელს მოჭრილი მონეტები. შემდგომ ხანებში აღუდგენიათ გუმბათიანი ეკლესიაც, რაზეც მეტყველებს იქ მიკვლეული ასომთავრული წარწერა, გიორგი ლაშას ძის—დავით ულუს მოხსენიებით: „სახელითა ღმრთისაჲთა აღვაშენე ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ მეფობასა დავითისასა და ამირსპასალარობასა ავაგისა, გამრეკელის ძეთა: კახას, ასიბას და ლიპარიტის პატრონობასა შინა... სალოცველად სულისა... ისდიაგს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ" (14. 23). წარწერაში მოხსენიებული კახა გამრეკელის ძე არის თორელი, ახალქალაქის ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, კარგად ცნობილი ქართული წყაროებით. ამიტომაცაა წარწერაში ხაზგასმული მისი პატრონობა.

XII-XIII საუკუნეებში ჯავახეთის ახალქალაქს მეორე, დარბაზული ეკლესიაც ჰქონია გალავნის გარეთ, თაეფარავენისწყლის მარცხენა სანაპიროზე, მაგრამ მონგოლთა ბატონობის პირობებში საქალაქო ცხოვრება იქ თანდათან დაქვეითდა და XIII საუკუნის ბოლოსათვის შესამჩნევად დაეცა (3. 19-20).

ნიშანდობლივია, რომ საერთოდ ჯავახეთის ეპიგრაფიკაში სომხური წარწერები XIV საუკუნემდე არ ჩანს, ხოლო ქართული წარწერების სიმრავლით, ჩვენს ქვეყანაში ეს ერთ-ერთი

გამორჩეული მხარეა. XIV საუკუნის I ნახევარში, როდესაც მაჰმადიანთა სამთავროები თანდათან იმორჩილებდნენ სომხეთს, ჯავახეთისაკენ წამოსულა სომხური მოსახლეობის ნაკადი. სომეხი მწერლის–გრიგორ ტათევაცის „ცხოვრების" ცნობით, ავტორის მშობლები სომხეთიდან თმოგვში გადმოსახლებულან. აქ დაბადებულა გრიგორი, რომელიც მის ძმას აღუზრდია დავით IX-ის კარზე (15. 118).

სომხური მოსახლეობა თმოგვის ციხისა და წუნდის სიახლოვესაც ჩნდება. აქაურ საფლავებზე შემორჩენილი მემორიალური ხაჩქარების სომხური წარწერების თარიღები 1356-1425 წლებს შორის თავსდება (16).

XV საუკუნიდან ჯავახეთი სამცხის ათაბაგთა გამგებლობაში ექცევა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1486 წელს ირანის მბრძანებელმა იაყუბ ყაენმა „გამოვლო აბოცი და მოადგა ახალქალაქს და აოჴრებდა გარემოთა ქუეყანათა მოწყუედითა და ტყუე-ყოფითა. ამას მანუჩარ (სამცხის ათაბაგი–დ.ბ.) ვერ წინააღუდგა და ვერც რასმე ავნებდა სპათა მისთა. გარნა მცდელობდა მაგრებასა ციხე-ქალაქისასა. არამედ ყეენმან მცირე ხანს შინა შემუსრა ახალქალაქი და გამოიყუანნა მუნით მესხნი წარჩინებულნი და ტყუენი მრავალნი მუნ მყოფნი სრულად. მერმე მოწუა ქალაქი და მუნიდამ მოადგა ახალციხეს და აღიღო იგიცა და უყო ეგრეთვე მასცა" (9. 707). ამ ფაქტს გაკვრით, მხოლოდ ახალქალაქთან დაკავშირებით იხსენიებს ბუკლეტის ავტორი, ოღონდ თურქმანთა მბრძანებელი რატომღაც გამოყვანილია როგორც „მონგოლთა შაჰი" (Монгольский шах)...

ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოტანილ და სხვა, საკმაოდ დაწვრილებით აღწერებშიც არ ჩანს სომხური დასახლების არსებობა ახალქალაქში, მას კი წესად აქვს ქართული ქალაქების ხსენებისას უსათუოდ მიუთითოს თუ არიან იქ სომეხი და ურია ვაჭრები.

XVI საუკუნის ირანელი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ მოგვითხრობს 1516 წელს შაჰ-თამაზ I-ის სარდლის დივ-სულთნის ჯავახეთის ახალქალაქზე ლაშქრობის შესახებ: „ამირები შურაგელის (აბოცი-ყაიყული–დ. ბ.) გზით გაემართნენ აყ-შაჰრისაკენ (ახალქალაქი–დ. ბ.) და იმ ქვეყნის მხარეებს მოედვნენ, როგორც ცით მოვლენილი მოულოდნელი უბედურება... როცა ხსენებული სოფლის მიდამოებში მივიდნენ, მანუჩარი (ათაბაგის ძმა– დ. ბ.) გაიქცა და რუმს წავიდა" (17. 20). ახალქალაქის

სოფლად მოხსენიება მისი შემცირების მოწმობა უნდა იყოს.

„ახალი ქართლის ცხოვრება" 1535 წელს კიდევ ერთ ბრძოლას იხსენიებს ახალქალაქთან: „აგვისტოის იგ (13–დ.ბ.), დღესა ხუთშაბათსა, შეება მეფეთ-მეფე ბაგრატ (იმერთა მეფე –დ.ბ.) და ათაბაგი ყუარყუარე ახალქალაქსა და დაიჭოცნეს მრავალნი კაცნი. და გაემარჯუა მეფესა, და ჴელთ დარჩა ყუარყუარე და მისნი ლაშქარნი. და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესმან" (18. 497). ჯავახეთში ათაბაგების ბატონობა ათი წლით შეწყდა.

1547 წელს შაჰ-თამაზმა ისევ ილაშქრა ახალქალაქზე. ჰასან რუმლუს ცნობით, „შაჰმა უამრავი ჯარით გაილაშქრა საქართველოზე, გადაიარა შურაგელი და აყ-შაჰრს მივიდა. იმ დღეებში დილიდან საღამომდე თოვდა განუწყვეტლივ... ხელმწიფემ თავდასხმა მოახდინა ღამით ურწმუნო ქართველებზე... მათი სისხლით თოვლი ვარდისფრად შეღებეს, მრავალი ძროხა და ცხვარი ნადავლად ხელთ იგდეს და მათ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს" (17. 25).

იმავე ამბავს XVI-XVII საუკუნეების მეორე ირანელი ისტორიკოსი –ისქანდერ მუნში ასე აგვიწერს: შაჰ-თამაზი „საქართველოში საომრად და ურჯულო ქართველების გასაჟლეტად გაემართა. შურაგელიდან გამოვიდნენ... ბაჰრამის ძლიერების მქონე ჯარით აყ-შაჰრში გაჩერდა... იმ დროს ზამთრის სიმკაცრე და სიცივის სიმძაფრე იქამდე მივიდა, რომ მტკვარი გაყინულიყო და სიმაგრით გრანიტის ქვას ჰგავდა. თოვლის სიმრავლისაგან, რომელიც დღე და ღამე მოდიოდა, მთა და ბარი საქართველოში გასწორებულიყო... როცა ურწმუნო ქართველების ბინასა და სადგომს მოაღწიეს, ღაზიების ხმალმა იწყო თავების კვეთა და ის მიწა ურწმუნოთა და მათი მღვდლების სისხლით შეიღება. იმ ცუდი რჯულის მქონეთა სახლები რისხვის ცეცხლით დასწვეს, მრავალი დავლა ხელთ ჩაუვარდა შურის მაძიებელ სპას და გამარჯვებული და ძლევამოსილი, უამრავი ნადავლით დატვირთული უკან გამობრუნდნენ" (19. 17).

იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს შაჰ-თამაზის მესამე ლაშქრობაზე საქართველოში 1551 წელს. მისი სიტყვით, ვარძიის მონასტრის აოხრების შემდეგ „ვახუშტი და შერმაზან ოღლი, ორი უდიდესი მტერი, ორივე მოკლულ იქნა. თმოგვისა და აყ-შაჰრის ოლქი, რომელიც მათ ეკუთვნოდათ, ქაიხოსროს (სამცხის ათაბაგს–დ.ბ.) ეწყალობა" (19. 19). აქ მოხსენიებული ვახუშტი

იყო შალიკაშვილი, შერმაზან ოღლი კი—დიასამიძე, რომელსაც ამ დროისათვის უნდა ჰქონოდა აყ-შაჰრი (ახალქალაქი) თავისი ოლქით. ეს დასტურდება ერთი თურქული დოკუმენტითაც: „ერთი კიდევ არის შერმაზანოღლუ თავისი ნათესავებით და ხელქვეითი პირებით... მისი სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია. ძირითადად ყვარყვარეს (სამცხის ათაბაგს—დ.ბ.) ექვემდებარებიან აქ ჩამოთვლილი პირები" (20).

XVII საუკუნის ოსმალეთის ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი 1578 წლის ამბებზე თხრობისას იხსენიებს ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეთა დაპყრობას: „მას შემდეგ რაც უძლიერესი სარდლის მიერ ზემოხსენებული ციხეების დასამორჩილებლად გაგზავნილ იქნა არტაანის სანჯაყის მირლივად დანიშნული აბდურ-რაჰმან-ბეგი, მცხოვრებლებმა მორჩილება გამოაცხადეს. ფადიშაჰმა დაიკავა მხარე და თავისი მართებლები დანიშნა" (21. 41).

ამ დროს ახალქალაქს, როგორც ჩანს, შალიკაშვილები იცავდნენ, რადგან „მესხური მატიანის" ცნობით, ოსმალებმა თმოგვი ათაბაგის ძმის—მანუჩარისაგან მიიღეს, ხოლო „ახალქალაქი უწინ წაართუეს—კოკოლას (შალიკაშვილის—დ.ბ) მეციხოვნე იდგა" (22. 49, 166).

ამიერიდან ახალქალაქს, მთელ ჯავახეთთან ერთად, ოსმალები დაეპატრონნენ. ბუკლეტის ავტორი ამ ფაქტს რატომღაც 1637 წლით ათარიღებს, რაც აშკარა შეცდომაა. მაგრამ ეს ხომ გამონაკლისი არ არის ამ ზერელედ დაწერილი მცირე ტექსტისათვის.

1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან" ჩანს, რომ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა იგი აღწერეს, ადმინისტრაციულ ერთეულებად—ლივებად და მასში შემავალ რაიონებად დაყვეს. ახალქალაქის ლივაში შედიოდა აკშეჰირის, თმოგვისა და ნიალისყურის რაიონები. აკშეჰირის რაიონი მოიცავდა ახალქალაქის პლატოს, ჯავახეთის ქედიდან მოყოლებული ვიდრე მტკვრის კანიონამდე. ფართობის მიხედვით, ჯავახეთში ეს ყველაზე დიდი და მრავალსოფლიანი რაიონი იყო. ლივის ცენტრი და მმართველის რეზიდენცია ახალქალაქში იყო, მაგრამ იმდროინდელი ქალაქი მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. მხოლოდ აკშეჰირის ციხის რაბათშია სამი მოსახლე, თვით ახალქალაქი კი საგადასახადო ობიექტადაც არაა აღრიცხული.

ახალქალაქის გამაგრებულ ადგილს, ოსმალობის დროს დაერქვა აკშეჰირის ციხის რაბათი. იქ მცხოვრებ მურადს, ზადიკს და ყანდურალის, ასევე გულაბა-ალას მიწას, შეწერილი ჰქონდათ გადასახადი ხორბალძე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე და სხვ., 7.000 ახჩის ოდენობით. აქ დასახელებული პირები ქრისტიანები არიან, რისთვისაც ზედმეტ გადასახადს იხდიან ისფენჯის სახით, გულაბა-ალა კი მაჰმადიანია (23. 235).

საერთოდ, „გურჯისტანის დავთარში" ჯავახური სოფლების მცხოვრებთა სახელებზე დაკვირვებითაც მიჩანს, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველებია. არის სოფლები, სადაც ქართულ სახელებს შორის გამოერევა თითო-ოროლა კარაპეტ, ხაჩატურ, ტერაკოფ და სხვა. არის მაჰმადიანური სახელებიც. სამაგიეროდ, არსად ჩანს მხოლოდ სომხებით დასახლებული სოფლები. ასეთ პირობებში კი ბუნებრივია, მათი ენა ქართული იქნებოდა. მაგალითად, წუნდაში, სადაც სომხური ხაჩქარებია შემორჩენილი, მოსახლეობის სახელებია: ვარძელ ჯიროს ძე, ამირინდო ბექას ძე, ივანე ძმა მისი, ივანე აღდგომელას ძე, ლაშქარა,რევაზი ძე მისი,ხოსიკ ყუბადას ძე,ბატატა ელმანის ძე, ქოჩია ძმა მისი, ვეფხია დარისპანის ძე, ზანდარის შვილიშვილი, პეტრე ვეფხიას ძმა, ჯოჯიკ ჯეჰანშას ძე და მანუკ ძმა მისი.

უფრო ნარევი ჩანს მოსახლეობა თმოგვის ციხის რაბათში: ნიკუა, ზარასფა, ჰეზარგულ, სარგის არაქელის ძე, ზერეკას ძე, გურასფა, როსთომ ძე მისი, ამირაზიზ ძმა მისი, პაპუ იარალის ძე, იარალი ანანიას ძე,.. ჩალაბას ძე, პაპუ ყუზანის ძე, ნურალი, აკოფ ძე მისი, აღდგომელა ლაბურას ძე, ბატატა ძე მისი, ზაზა ედიშერის ძე, შაქარა ხაჩატურის ძე და სხვ.

XVI-XVII საუკუნეთა სპარსულ და ოსმალურ წყაროებში ახალქალაქს აყ-შაჰრი, აკშეჰირი ეწოდება. „ახალ" გააზრებულია თურქულ დიალექტურ „ახ" („თეთრ") სიტყვასთან, ხოლო მეორე ნაწილი—„ქალაქ"-ი თარგმნილია როგორც „შეჰირ"-„შაჰარ" (24. 306-307). XVII საუკუნის ოსმალეთის ისტორიკოსის—ქათიბ ჩელების სიტყვით, „ახალქალაქი—ქართული სიტყვაა: ნიშნავს თეთრ ციხეს... ახალქალაქის ციხე დიდ ველზე, ორ ხევს შორის მაღალ ბორცვზეა. ამ ხეობებიდან ერთ-ერთში პატარა მდინარე გადის და მის უკან თბილისისაკენ მიმავალი გზაა. ძველად ახალქალაქი ვილაიეთის სატახტო ქალაქი იყო, რადგან საზღვარს წარმოადგენდა. დაანგრიეს. მისი ჰავა მკაცრია, მოჰყავთ პურეული და

ხილი" (25. 140-141). ამ შემთხვევაში ახალქალაქი აღიარებულია ქართულ სიტყვად, მაგრამ გააზრებულია თურქულად, როგორც „თეთრციხე". ეს ალბათ იმიტომ, რომ თურქულად „ახ"-თეთრია ხოლო „ქალაქ" სიტყვა, როგორც ჩანს, მიმსგავსებულია არაბულ–თურქულ „კალა"-სთან.

1694-1732 წლების „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის" მიხედვით, ახალქალაქის ლივაში შედიოდა აკშეჰირის, ნიალისყურის, თმოგვისა და მზვარეს რაიონები. ახალქალაქის ლივაში, აკშეჰარის რაიონში, დასახელებულია სოფ. რაბათი, რომელიც ვინმე აჰმედს ექვემდებარებოდა. როგორც ჩანს, აკშეჰირის ციხის რაბათი უკვე „სოფელ რაბათად" ქცეულა, რომლის წლიური გადასახადი 11.700 ახჩამდე გაზრდილა, 1711-1712 წლებში–10.755 ახჩამდე, ხოლო 1717-1718 წლებში 7.000-მდე შემცირებულა (26. 123, 137, 153). ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, თუ როგორ თანდათან დაკნინებულა ამდროინდელი ახალქალაქი. ასეთ პირობებში ჯავახეთის ფაშა, ანუ ახალქალაქის სანჯაყბეგი, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ნიჯგორში გადაბარგებულა. მისივე სიტყვით ახალქალაქი „აწ აღაშენა კუალად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ." ეს მომხდარა XVIII საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც დაცლილ ახალქალაქში მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქართლიდან გადასულა.

ომან ხერხეულიძის ცნობით 1772 წელს ერეკლემ და მეფე სოლომონმა გაერთიანებული ჯარით „გარდაიარეს მთა საციციანოსი, მივიდნენ და ჯავახეთის ახალქალაქს შემოადგნენ და ძლიერად შეამჭირვეს და ცოტას უკლდა აღებას. იმჟამად მეფე იმერეთისა სოლომონ ძალიან ავად შეიქნა საოფლისა სენითა, რომელი სიკვდიდ მიახლდა. ამისთვის ინება წამოყვანა მეფის სოლომონისა...

აიყარნენ იმერთ ჯარნი და წამოიყვანეს მეფე სოლომონ. და მეფე ერეკლეცა შემოეცალა ციხესა ახალქალაქისასა, და მოარბიენა გარემონი ახალციხისანი და არტანი და ჯავახეთი, მრავალი ტყვე და საქონელი წარმოასხეს და წამოვიდნენ" (28. 85-86).

მოტანილი წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI-XVIII სს) ჯავახეთის ახალქალაქი ძირითადად მათი ჯარის სადგომი ციხესიმაგრეა, სადაც ძლივს ბოგინობს ადგილობრივი მოსახლეობა.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს არქეოლოგიური გათხრების შედეგები: ქალაქის საცხოვრებელი უბნები უკაცრიელდება; ციხის

მრავალგზისი აღდგენა ახალი პირობების გათვალისწინებით ხდება; მის კედლებში ჭარბად მოჩანს უპატრონო ეკლესიებისა და საფლავის ქვების გამოყენება; ვიწროვდება შესასვლელები, ღიობები კი ცეცხლსასროლი იარაღის ამბრაზურებად იქცევა; ჭურჭლის ფრაგმენტები და გაპრიალებული ჩიბუხების უმეტესობა შემოტანილია: ციტადელისა და ქარვასლის ეზოებში გაჩნდა ახალი ნაგებობანი; დაინგრა ეკლესიები და აშენდა მეჩეთი, რომლის შიდა კედელზე არაბული წარწერაა 1725 წლისა; ქარვასლა ამ პერიოდში გადაუკეთებიათ დროებით საცხოვრებელ სადგომად, ფარდულებად; აღმოჩენილი სპილენძისა და ვერცხლის ახჩები სტამბოლშია მოჭრილი XVI-XVIII საუკუნეებში (3. 21-23).

ახალქალაქში ოსმალთა თითქმის 300-წლიან ბატონობას ბუკლეტის ავტორი ერთ წინადადებას უთმობს.

რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში ახალქალაქი კვლავ რჩებოდა ცილობის საგნად, ამჯერად—ოსმალეთსა და რუსეთს შორის. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, 1806 წელს „ვინათგან შორის რუსთა და თურქთა იყო ბრძოლაჲ, ამად გრაფ გუდოვიჩმა მოკრიფა სრულიად რუსთა და ქართველთა მხედრობაჲ მივიდა და მოადგა ჯავახეთს ციხესა ახალქალაქისასა. მიუდგეს რუსთა კიბენი და ლამოდის გარდასლუასა ციხესა შინა. განმხნდნენ თურქნი, აიტნეს რუსნი მეციხოვნეთა და მოსწყვიტეს ვიდრე ხუთასადმდე. და ოდეს ვერუძლო დაპყრობაჲ ციხისა გუდოვიჩმან უკუმოქცეული მოვიდა ალგეთად" (29. 73).

1811 წელს, იმავე ისტორიკოსის ცნობით, მთავარმართებელმა პაულუჩიმ „წარგზავნა მხედრობანი რუსთანი ზამთარს ახალქალაქსა ზედა და თან წაიღეს კიბენი. გორით მიეპარნენ ახალქალაქსა, მიუდგეს კიბენი, აიღეს ციხეო ახალქალაქისა, ვინადგან ზამთრის გამო დაყმინებულ იყუნენ თურქნი და შეაყენეს მხედრობა თჳსი ციხესა." 1812 წელს, ბუქარესტის ზავით, რუსეთმა ოსმალეთს ახალქალაქი უკან დაუბრუნა.

1828 წლის 24 ივლისს რუსთა ჯარმა, პასკევიჩის მეთაურობით, ბოლოს და ბოლოს აიღო ახალქალაქი. მანამდე იქ ჯერ კიდევ იდგა ორსართულიანი ციტადელი, 40 სახლი, ორი ხის მაღაზია, გარნიზონის ყაზარმები, სურსათისა და იარაღის საწყობები, ქარვასლა, ჯამე, მინარეთი, დაზიანებული აბანოები და სხვ. რუსების მიერ დაპყრობამდე ახალქალაქის სანჯაყბეგობა ჰქონიათ ხოსპიელ ფალავანდიშვილებს. მათი რეზიდენცია ახალქალაქის ციხეში იყო, ხოლო იჯახობით მახლობლად

მდებარე სოფელ ხოსპიაში ცხოვრობდნენ. იქ, მათი სასახლის მახლობლად, იყო კოშკი, ჯამე და ძველი ქართული ეკლესია. ახალქალაქის უკანასკნელი სანჯაყბეგი იყო მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი, რომელიც ქალაქის აღებისას ტყვედ ჩავარდა. მან რუსებს სამსახური შესთავაზა და კაპიტნობა მიიღო. მთავრობამ და მოხელეებმა მისგან მამულების დიდი ნაწილი შეისყიდეს, სანჯაყბეგობაზე კი უარი უთხრეს (30. 475).

1829 წლის 14 სექტემბერს ადრიანოპოლში დადებული ზავის თანახმად რუსეთმა შეიერთა ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. რუსეთის მფლობელობაში გაერთიანდა სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი.

გამაჰმადიანებული მესხების აყრის სამზადისი პასკევიჩმა დაიწყო ახალციხის აღებისთანავე, 1828 წლის აგვისტოში. რუს მოხელეთა მიზნები გასაგები გახდა, როცა პასკევიჩმა არ მიიღო მესხეთიდან ადრე გაქცეულიდ თავადაზნაურობის თხოვნა, არ დაუბრუნა მათ ქართველ მეფეთა ნაწყალობევი ძველი მამულები და არ მისცა საშუალება დაცლილ მიწებზე ქართლიდან და იმერეთიდან თავისი ხალხი ჩაესახლებინათ. ადრიანოპოლის ხელშეკრულების XIII მუხლით, გადასახლება-გადმოსახლების დრო განსაზღვრული იყო 18 თვით. გამაჰმადიანებული მესხები ჩქარობდნენ მამულების გაყიდვას. სამცხე-ჯავახეთი რუს მოხელეებზე და ვაჭრებზე იყიდებოდა გროშებად. მუთი-ბეგ ფალავანდიშვილმა ჯავახეთის 29 სოფელი 3.600 მანეთად მიჰყიდა ხაზინას. მურჯახეთი იყიდა ყარქისალოვმა, პრტენა—სახპასოვმა, ნაქალაქევი—კონანოვმა, გოგაშენი კი სომხურმა ეკლესიამ შეისყიდა.

ომის პროცესში ოსმალური პროპაგანდისა და რუსეთის „ქრისტიანული" პოლიტიკის შედეგად, სამხრეთ საქართველოს მკვიდრი, გამუსლიმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ განთავისუფლებული ადგილები მიეცათ ქართული მოსახლეობისათვის, რომელსაც საკმაო მიწები არ გააჩნდა. 1926 წელს მთავრობისადმი მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი წერდა: „1828 წლიდგან მოყოლებული ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება

ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30.000 მცხოვრები ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომეხნი იქცნენ" (31).

შექმნილი ვითარების გამო ვერმიშევი წერდა: „თურქეთის მხრიდან ჩამოსახლდნენ სომხები და ახალქალაქის მაზრა თითქმის დაჰფარეს მჭიდრო მოსახლეობით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა იაზისებად დარჩნენ ქართული სოფლები." „ქვეყანა ისეთ სახეს იღებს,–წერდა ზაგურსკი, –თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყოს დასახლებული." ახალმოშენენი სრულიად თავის ნება-სურვილზე იყვნენ მიშვებულნი. ივანე გვარამაძის სიტყვით, „მარად სამახსოვრო ნაშთებს, ციხე-კოშკთ, ეკლესიებს გვირღვევენ, მონასტრებს გვაცლიან ხელითგან, ხატებს გვიძარცვავენ, ძვირფას ნივთებს აფორიაქებენ..." ახალჩამოსახლებულებს ისიც კი მოუნდომებიათ, რომ ახალციხისათვის ნორ-ერზერუმი დაერქმიათ, მაგრამ ზაგურსკის სიტყვით, მაშინდელმა ხელისუფლებამ იმდენი გონიერება მაინც გამოიჩინა, რომ მათ სურვილს არ აჰყვა (30. 352–3, 361, 468).

XIX საუკუნის I ნახევარშივე შემოსახლდნენ ახალქალაქის მხარეში თარაქამები ქვემო ქართლიდან, ბერძნები ერზერუმიდან, რუსი დუხობორები ტავრიისა და ვორონეჟის გუბერნიებიდან, მომთაბარე ქურთები (5. 128).

დარჩენილი ქართველი მაჰმადიანები ოფიციალურად აღირიცხნენ თურქებად. იმის შიშით, რომ ისინი არ გაქრისტიანებულიყვნენ, არ დაბრუნებოდნენ „ქართველობას", 1899 წლის ბრძანებით სამცხე-ჯავახეთში აიკრძალა წირვა-ლოცვა, ნებადართული იყო მხოლოდ რუსული და სომხური ღვთისმსახურება.

1870 წლამდე ახალქალაქის ციხეში იდგა რუსული სამხედრო გარნიზონი, რომელიც ციტადელის ტერიტორიაზე ახალ საამშენებლო მუშაობას ატარებდა. ყაზარმად გადაკეთდა ქარვასლის ძველი ნაგებობა. ძველი ნაეკლესიარის სიახლოვეს გაჩნდა რუსული და სომხური საფლავის ქვები XIX-XX საუკუნეებისა (3. 23-24).

ბუკლეტის ტექსტის ნახევარი, ბუნებრივია, XIX საუკუნიდან მოყოლებულ პერიოდს ეძღვნება. აქ მოთხრობილია თუ როგორ ააშენეს გადმოსახლებულმა სომხებმა 1831 წლიდან ნაქალაქარის

მახლობლად ახალი დასახლება რეგულარული გეგმის მიხედვით, ააგეს სომხური ეკლესია და სკოლა, განაახლეს წმ. ჯვრის სახელობის ეკლესია, რომლის კედელში ჩაშენებულ ხაჩქართაგან ერთი 1289 წლითაა დათარიღებული. 1870 წელს გაიხსნა ქალთა სამრევლო სკოლა, 1880 წელს–ბიბლიოთეკა, დაარსდა საზოგადოებრივი პარკი.

ამის შემდეგ ავტორი აცხადებს, რომ ახალქალაქში ყოველთვის სომხური მოსახლეობა ჭარბობდა. მოტანილია ცხრილი, სადაც შედარებულია სომხების რაოდენობა სხვა ეროვნების მოსახლეთა რაოდენობასთან. აქ დასახელებული ციფრები 1851, 1886, 1916 და 1976 წლებისა, მართლაც მოწმობს სომხების სიმრავლეს.

წინამდებარე მასალათა განხილვით ჩანს, რომ თავისი ისტორიის მთელ მანძილზე ახალქალაქი ქართული დასახლება იყო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამიტომ ბუკლეტის ავტორის აზრი, სომხური მოსახლეობის იქ მუდმივ უმეტესობაზე, აშკარა სიყალბეა. უადგილოა სიტყვა „մշտապես". „всегда", „always". ამას ხომ იქვე დამოწმებული თარიღები მხოლოდ 120 წლით შემოფარგლავს.

ბუკლეტის ავტორი ამ ცხრილის შემდეგ უბრუნდება ახალქალაქის ისტორიულ ძეგლებს–ნაქალაქარს, ჯვრის ტიპის ნაეკლესიარს IX-XI საუკუნეებისას (სინამდვილეში იგი IX-X საუკუნეებს განეკუთვნება). თითქოს ყველაფერი ეს „ყოველთვის" იქ მოსახლე სომხების „უმეტესობის" შემოქმედება იყოს. აკი ამიტომაც იხსენიებს 3-4 სასაფლაოს, სადაც სომხური ხაჩქარები და საფლავის ქვები ყოფილა (მათ შორის წარწერებითაც). ავტორის მტკიცებით, 1988 წელს ნაქალაქარზე აღმოჩენილია ლამაზი ხაჩქარი და საფლავის ქვა 1301 წლით დათარიღებული. ხაჩქარი წმ. ჯვრის ეკლესიის ეზოში გადაუტანიათ, სადაც მუზეუმია. ბუკლეტშივე ვკითხულობთ, რომ ქალაქის მახლობლად განდეგილი (დაყუდებული) ბერის ეკლესიაა XII-XIII საუკუნეებისა, ცნობილი მოსალოცი ადგილი არამარტო ახალქალაქელთათვისო. ბუნებრივია, მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რომ ისიც სომხური ეკლესიაა. სინამდვილეში კი ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან ქართული ეკლესიის დაპატრონებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ასეთი შემთხვევები ხშირია: XX ს-ის 80-იანი წლებიდან კუმურდოს ეკლესიის სამხრეთ სტოაში ადგილობრივ დარაჯს სომხური სამლოცველო ნიში აქვს მოწყობილი...

არავინ იცის, საიდანაა მოტანილი წმ. ჯვრის ეკლესიაში ჩაშენებული ხაჩქარი XIII საუკუნისა, ხოლო ციტადელის ეზოში აღმოჩენილი ხაჩქარები და საფლავის ქვები ყველა XIX საუკუნის ფენებშია დადასტურებული

არქეოლოგი ეკა ჯანდიერი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჯავახეთის ახალქალაქის გათხრებს. აი ნაწყვეტი მისი წერილობითი განმარტებიდან, რომელიც ზემოხსენებულ ქვებს ეხება: „არქეოლოგიური სტრატიგრაფიის მიხედვით, მათ არაფერი აქვთ საერთო შუა საუკუნეების „უზღუდო" და შემდეგ „ციხე-ქალაქად" ქცეულ ჯავახეთის ახალქალაქთან, ანუ XI-XIII საუკუნეების ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულთან".

ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილი კი აღნიშნავს: „ფრიად საეჭვოა ერთ-ერთ ხაჩქარის IX-X საუკუნეებით დათარიღებაც. ალბათ სომხური ქვაზეკვეთილობის საგანგებოდ მკვლევარსაც გაუჭირდება ამ გაუწაფავი ქვისმთლელის ხელიდან გამოსული ნაქანდაკევის დათარიღება. იგი არაფრით არ ჰგავს ადრეულ ხაჩქარებს, რომლებზედაც სომეხი მეცნიერის–სტ. მნაცაკანიანის სიტყვით, „წინა პირზე დიდი რელიეფური ჯვარი" იყო ხოლმე გამოკვეთილი და რომლებიც „სადა და ნათელი ფორმებით გამოირჩეოდა". ისიც ხომ ნიშანდობლივია, რომ ძველ ნამუშევრებზე ვერსად ინახა ჯვრის ზედა მკლავებს შუა პატარა დამატებითი ჯვრების მომცველი გამოსახულებანი. ისინი (თანაც ძალზე იშვიათად!) მხოლოდ XIII საუკუნიდან თუ იძებნება (32. 163, 178, 250). აქედან გამომდინარე, ეს ქვა უთუოდ მოგვიანო ხანას უნდა მიეაკუთვნოთ" (ეს შენიშვნა დიმიტრი თუმანიშვილმა წერილობით მომაწოდა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ). ასე, რომ საფუძველი ეცლება ბუკლეტის ავტორის მტკიცებას ახალქალაქში სომხური დასახლების IX-X საუკუნეებიდან არსებობის შესახებ. შემდგომ ხანებში კი თუ ასეთი რამ გაჩნდა, იგი ისე მცირე და უმნიშვნელო ყოფილა, რომ შეუმჩნეველი დარჩენილა შუა საუკუნეთა ისტორიკოსებისათვის. ამასვე მოწმობს მოგვიანო ხაჩქარების 2-3 ცალი, ბუკლეტის ავტორს, რომ გამოუქვეყნებია.

მათ შესახებ ეკა ჯანდიერი აღნიშნავს: „ეს ცალკეული ხაჩქარები, არქეოლოგიური სტრატიგრაფიის მიხედვით, XIX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ აქ გადმოსახლებულ სომეხ

მოახალშენეთა ნაკვალევია. გაჩენილია აქ ძველი ქართული ციხის ტერიტორიაზე და ამდენად, ქალაქის ისტორიული განვითარების სურათს არ არღვევს–პირიქით, თვით ხაჩქართა გვიანდელობას უფრო ადასტურებს, რადგან ისინი ზედა ფენებშია მოხვედრილი. ამ ქვების გვიანდელ წარმომავლობაზე არა მარტო ორნამენტის ანალიზი, არამედ მათი გარეგნული იერიც და უხადო შენახულობაც მეტყველებს. ახალქალაქის ციხეზე არცერთი ხაჩქარი „თავის ადგილას" არ არის, მათ ქვეშ ჩონჩხის შემცველი საფლავი არ არსებობს და ქვები მიმოფანტულია მუდმივად მეომარი ციხის შუაგულში. მით უფრო საეჭვოა, რომ ბუკლეტის ავტორს ისინი დათარიღებული აქვს IX-X და XIII საუკუნეებით, როცა ეს ქვები სტატიგრაფიულად XIX საუკუნის ფენებშია აღმოჩენილი! პასკევიჩის ალყასა და 300 ზარბაზნის შტურმს რაღა მარტო ეს ხაჩქარები გადაურჩა ზედაპირზე უვნებლად, როცა მთელი ციხე თავისი ოთხსართულიანი კოშკებით ჩამოილეწა?...

ჩვენი აზრით, სომხური ეკლესიის ეზოში ციტადელიდან 1988 წელს გადატანილი დიდი ხაჩქარი, „აყვავებული ჯვრით" წინა ბრტყელ ზედაპირზე, უნდა იყოს ე.წ. „განთავისუფლების სტელა", ანუ საზეიმო ნიშანსვეტი სომეხი მოსახლეობის გადარჩენისა. სომხები ხომ რუსის ჯარის დახმარებით გადაურჩნენ თურქთა ბატონობას და თავშესაფარი ჰპოვეს ქართულ მიწა-წყალზე.

სადღეისოდ უკვე გაფცქვნილ-გაცამტვერებული ძველი ახალქალაქის ციტადელი იმის მოწმეცაა, რომ იქ 1940-იან წლებში ომში გასაწვევი ჯარისკაცების შესაკრები პუნქტი იყო მოწყობილი და წვრთვნა მიმდინარეობდა სროლაში. ცხადია, შვეულად მდგარი სვეტი სანიშნედ გამოდგებოდა და ჯვრიანი სტელა-ხაჩქარიც პირქვე წაიქცა. მიტოვებული ციხე-ქალაქი, გალავნის, კოშკების, ბურჯების, ქარვასლისა თუ ყაზარმის ყველა საპირე, თლილი ქვა ახალი სახლების მშენებლობას მოხმარდა. ამიტომაც დღეს ძველი ციხის შენობა-ნაგებობანი სავალალო სანახაობას წარმოადგენს"– (ეკა ჯანდიერს მადლობას მოვახსენებ განმარტებისათვის).

საზოგადოდ კი მკითხველმა ესეც უნდა გაითვალისწინოს: ნუთუ ამ საეჭვო ხაჩქარებზე ნაკლებად მეტყველია ქართული წარწერები სომხეთის ტერიტორიაზე, ან უფრო მცირე საბუთია

ანისში ქართული მოსახლეობის არსებობის წარმოსაჩენად საქართველოს კათალიკოსის მოწოდება მრევლისადმი, რომელიც ანისის მართლმადიდებლური ეკლესიის ქართულ წარწერაშია შემორჩენილი: „მკჳდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო!... ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოჲ (იგი) სიყუარული ერთმან ერთისაჲ მოიგეთ და ამით მიეცით სასურველ საღმრთოთა მცნებათა. ესე მე ეტიფანეს კათალიკოზსა ჩემითა ჴელითა დამიწერია, ოდეს ანის ეკლესიანი ვაკურთხენ" (33). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობადაკარგული სომხეთის ძველი ქალაქი ქართველებმა XI-XIII საუკუნეებში 5-ჯერ დაიპყრეს, ბოლოს კი საქართველოსაც შემოუერთეს, სომეხი ბაგრატუნების დედაქალაქი არავის გამოუცხადებია „ქართულ ისტორიულ დასახლებად".

ისტორიული დასახლებებისა და იქ მაცხოვრებელთა უმეტესობის შესახებ მსჯელობის დროს, ცხადია გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პუნქტის სახელწოდებას. ახალქალაქი კი ისეთივე თავანკარა ქართული ტოპონიმია, როგორიც სამშვილდე, სამღერეთი, არაკვა, ბარალეთი, ყულალისი, მურჯახეთი, სათხე, მაჭატია, ახალციხე, სხვილისი, წყრუთი, წყალთბილა, წინუბანი და სხვ., სადაც მომავალში გამოსაცემი ბუკლეტების ავტორები სომხური ისტორიული დასახლებების არსებობას იგულისხმებენ. ამიტომაცაა ეს სახელები ასე დამახინჯებით დაბეჭდილი, რომ მათი ქართული წარმომავლობა არ გამოჩნდეს: შამშულდა, სამგრეთ, არაკოვა, ხულალის, მურჯახეთ, სათხა, მაჯადია, ახალცხა, სუფლის, წუღრუთ, წღალთფილა, წინუბან... ასე შესაძლოა მათი სომხურად გააზრებაც კი მოხერხდეს.

ამგვარი მცდელობანი სომეხ მეცნიერებს ჩვენს დროშიც მოეპოვებათ. სომხურ ტოპონიმებადაა ჩათვლილი თბილისი, ბოლნისი, კრწანისი, მანგლისი, დმანისი, თუხარისი, ოლთისი... დასაბუთების გარეშე სასურველი მიჩნეულია უკვე არსებულად, მიღებულად. უგულებელყოფილია ფაქტი, რომ ტოპონიმების შექმნა ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მეშვეობით, საერთო-ქართული, პრაქართულის დროინდელი მოდელია, რომ ასეთი სახელებით სავსეა სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. მაშასადამე, ამ მოდელის უცხოენოვანი წარმომავლობა გამორიცხულია (34. 170, 173–174).

ქართული წყაროებით ცნობილი ტოპონიმი ტაოსკარი (შდრ.: ტაშისკარი კლდეკარი, ღართისკარი, ხიდისკარი...) გადაუსომხურებიათ და წერენ „ტაიოც-ქარს" ე.ი. „ტაოს ქვა"–„ტაოს

ციხე". თან მიიჩნევენ, თითქოს ქართული ტოპონიმი გახმოვანებაა სომხური სახელისა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. ასევე, სახელწოდება ტერიტორიული ერთეულისა და მდინარისა–ალგეთი, დაუშლიათ და წერენ „ალ-გეტ"-ს. სომხურად „გეტ" მდინარეა, „აილ" კი –სხვა. ე.ი. „სხვა მდინარე"-ო (35. 143–144, 150). საინტერესოა, ასეთი შემოქმედების მიხედვით როგორ აიხსნებოდა ქართული ტოპონიმები: ენაგეთი, ტაგნაგეთი, გერგეტი, სოსანგეთი, რომელთაგან ერცერთს მდინარესთან კავშირი არა აქვს.

სომხეთი, ისევე როგორც ბევრი სხვა, ადრევე დარბეული ქვეყანაა. გასაგებია სომეხთა ისტორიული მისწრაფება–როგორმე აღედგინათ დაშლილ-დაკარგული სახელმწიფოებრიობა. ეს წადილი მუხტავდა სომხურ ისტორიულ მწერლობას საუკუნეთა მანძილზე და იგი დღემდე შემორჩა. ამასთან აშკარად, ჩანს სომეხ ავტორთა სურვილი–დაემტკიცებინათ არა მარტო თავისი ისტორიულ–კულტურული უპირატესობანი, არამედ განევრცოთ კიდეც სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები მეზობლების ხარჯზე. ამაზე წერდნენ დიმიტრი ბაქრაძე და ილია ჭავჭავაძე, მიხეილ თამარაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ახლა–ალექსანდრე ონიანი და ზურაბ სარჯველაძე, დავით მუსხელიშვილი და ბონდო არველაძე...

ქართველ მეცნიერთა შეშფოთება ამ საკითხებზე უსაფუძვლო არ იყო. ზემოთ მითითებულ მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „როდესაც, კავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება, ოსმალეთისაგან დაბეჩავებულ თავიანთ თანამოძმეთა მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები შერჩეული" (31).

1913 წელს, როდესაც სომხებმა ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა მოითხოვეს, მათ სურდათ დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეერთებით შეექმნათ მთლიანი თვითმმართველი ოლქი, სომხებით დასახლებული გუბერნია. სპეციალურმა სამაზრო კომისიამ მაშინ ერთხელ უარყო ეს აზრი, რის საბუთადაც, პირველ რიგში, დაასახელა ჯავახეთის

უმჭიდროესი ეკონომიკური კავშირი თბილისთან და სხვა ქართულ მხარეებთან (36. 40–42).

I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებით ოსმალეთიც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს, 1918 წელს, სტამბოლში დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „სომხეთის ვითომც ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმულა და სამსუნის იდნავ აღმოსავლეთით, შავ ზღვაზე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან, ქ. არდაველის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით, ამ სრულიადი სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე. თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული.

ამავე დროს, იმავე სტამბულში ზემოხსენებული ფანტასტიკური რუკისდა მიხედვით, ახალი სრულიადი სომხეთის სახელმწიფოს რუკა იქნა გამოცემული, რომელშიაც სომხეთი უშველებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი და თითქმის იმავე საზღვრებითაა აღნიშნული. ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული, ტრაპიზონი, ორდუ, ქ. კესარია, ადანა, ედესა, თვით სპარსეთის ჩრდ. ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდებილით, სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ფანტასტიკურ რუკასთან შედარებით, აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს. შავ ზღვაზე საზღვარი ბათუმის სამხრეთით იწყება მაკრიალის ჩრდილოეთით, იმერხევი სომხეთისად არის აღნიშნული, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული, სამაგიეროდ ახალქალაქი სომხეთშია მოქცეული და აქეთგან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისაკენ იწევს და საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოს შორის სამზღვრადაა გატარებული.

შემდეგ სომხეთის საზღვარი მტკვრის გასწვრივ მიიმართება და ქ. განჯაც სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ცხადია, რომ ახალ სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რადგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც XI ს-ის შემდეგ პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი ლიტონი საღი გონიერებაც არ ატყვიათ. სომხეთის მთავრობის დელეგაციამ... ამგვარი რუკა მსოფლიო კონფერენციას წარუდგინა სომხეთის სახელმწიფოს

ამ საზღვრებში დასამტკიცებლად... სომეხთა დელეგაციის წარდგენილი რუკისა და სტატისტიკური ცნობების სიცრუე ყველასათვის ცხადი შეიქნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში, სომეხთა დელეგაციის ფანტასტიკურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაუკარგა... უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა".

1919 წელს იგივე მცდელობა განმეორდა. ამას მოჰყვა ადგილობრივი „მთავრობის" მიერ სტამბოლში გაგზავნილი დეპეშა ევროპის დიდი სახელმწიფოების მისიებისადმი, რითაც თვითგამორკვევასა და ცალკე კანტონის შექმნას მოითხოვდნენ. ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. 1918-1919 წლების სამოქალაქო ომის შედეგად აოხრებულ ჯავახეთს ეკონომიკური სიდუხჭირეც დაერთო. მაშინ საქართველოს იმდროინდელი მთავრობის სპეციალური კომისია მოითხოვდა სასწრაფოდ გაეგზავნათ იქ სათესლე ხორბალი, ხოლო მეტისმეტად შესუსტებული ქართული ელემენტი გაეძლიერებინათ „კოლონიზაციის საშუალებით" (37). ჩატარებულ ღონისძიებებს შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია.

1922 წელს სომეხთა იმავე წრეებმა ახალი პროექტი წარადგინეს, რომლის მიხედვით ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრას უნდა შეერთებოდა, რათა შექმნილიყო ერთიანი სომხური ადმინისტრაციული ერთეული. ივ ჯავახიშვილის თქმით, „ცხადია ეს გეგმაც ამ ორი მაზრის საქართველოს სსრ საზღვრებიდან გამოყოფის და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა.

საკმარისია ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა." 1923 წელს კი ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

ამის შემდეგ კიდევ ყოფილა მორიგი პროექტი, რასაც ივ. ჯავახიშვილის მოხსენების ბოლო აბზაცი მოწმობს: „ირიოდე სიტყვა კიდევ ვითომც ახალ პროექტზე ჯავახეთისათვის ავტონომიის მონიჭებისა და გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, თუ საიდგან და რისთვის მიმდინარეობს ეს პროექტიც... ამ გეგმის განხორციელებით, ამავე დროს ქართველი მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც

ქესაქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ლუკმა უნდა ექნეს პირითგან გამოგლეჯილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად. თუ წინანდელი რუსეთის პატრონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით, მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ნუთუ ეხლაც შესაძლებელია, რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები" ამ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად... „ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ სსსრ მთავრობა ამ პროექტსაც უარყოფს, როგორც უარყოფილ იყო... ამისივე მსგავსი პროექტები" (31).

ცნობილია, რომ ბედის უკუღმართობით სომხები ძველთაგან გაიფანტნენ და გადასახლდნენ ახლო თუ შორეულ ქვეყნებში. მათი მნიშვნელოვანი დასახლებანი დღესაცაა ინდოეთში, ლიბანში, თურქეთში, რუსეთში, ევროპისა თუ ამერიკის ქვეყნებში. ასეთ პირობებში, მაინცდამაინც საქართველოსა და აზერბაიჯანის სომხეთთან მომიჯნავე რაიონებში „სომხური ისტორიული დასახლებების" გამორჩევით მოძიების მიზანი შეშფოთებას იწვევს. არც ესაა უსაფუძვლო: კავკასიაში ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების პირველსავე წლებში საქართველომ უბრძოლველად დაკარგა ყოფილი ბორჩალოს მაზრის სამხრეთის რაიონები, რომლებიც სომხეთს გადაეცა. გადაეცა კი ერთი ნიშნით—იქ მოსახლე სომხების გამო. ასე, რომ ეს ბუკლეტები ამ სახით (თუ მათი ბეჭვდა განხორციელდა) საკმაოდ მიზანმიმართული და არც ისე უწყინარი გამოცემა ჩანს.

ამით ავტორები მხოლოდ გულს როდი იმაგრებენ. ისინი ქმნიან რუსულ და ინგლისურენოვან მკითხველებში საზოგადოებრივ აზრს და რაც მთავარია, არწმუნებენ საქართველოს ამ პუნქტებში მოსახლე სომხებს, რომ ეს დასახლებები ისტორიული სომხური მიწებია. მრავალწლიანი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ პრესაში გამართული კამათი და ვაი-ვიში ჩვენს სატკივარს ვერ შველის. ამასთან ერთად აუცილებელია უფრო ქმედითი ღონისძიებანი. სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოში ამასწინანდელი ვიზიტისას განაცხადა, რომ ვიდრე სომხეთს დღევანდელი მთავრობა ეყოლება, ჯავახეთში ყარაბაღის მსგავსი მოვლენები მოსალოდნელი არ არის... თურმე ამისი

მადლობელიც უნდა ვიყოთ!

P.S წერილი დასრულებული მქონდა, როდესაც გავეცანი მოსკოვში 1993 წელს 20000-იან ტირაჟით გამოცემულ წიგნს–Мамулов С. С. "Удивительный народ из страны чудес (Армения и армяне-уникальный феномен цивилизованого мира)."

წიგნში ასეთი თავებია: სომხეთი და სომეხი ხალხი–ისტორიის განუმეორებელი და ნათელი პანორამა; სომხეთი და სომეხი ხალხი–გამავრცელებელი დიდი და კეთილშობილური მისიისა; სომხები–გამოჩენილი მოღვაწენი, დამფუძნებლები, პირველაღმომჩენნი, ორგანიზატორები, ნოვატორები, ინიციატორები; სომეხი ქალები–გონების, სილამაზისა და სულის დიდებული კავშირი; სომხეთი და სომხები–მიზიდულობის ცენტრი და მიძღვნათა ობიექტი და სხვ.

ქვეყნითა და ხალხით აღტაცებულ ავტორს გულწრფელად სჯერა და მკითხველიც სურს დაარწმუნოს, რომ "სომხეთს არ გააჩნია წიაღისეულის დიდი მარაგი, ვეება ტერიტორიები და სხვა რესურსები... სამაგიეროდ, ინტელექტი– ესაა "სომხური ნავთი" (გვ. 3)... "ორიდან ერთი სომეხი ყოველთვის ხელმოცარული პოეტია, ყოველი სომეხი–ფილოსოფოსი, სომხების ნახევარი კი–საგარეო საქმეთა მინისტრებია" (10)... "გადმოცემის თანახმად ადამი და ნოე სომხურად ლაპარაკობდნენ" (18)... "სომხური სამზარეულო ყველაზე ძველია" (22)... "ძველ სომხეთში იყო ანაიტისის ტაძარი, სადაც კულტმსახურებას ეწეოდნენ ახალგაზრდა გოგონები. უცხოელებს აქ ელოდათ სომეხ ქალთა ალერსი, დიდი ან მცირე–გასამრჯელოს მიხედვით. სომხებს არასოდეს ჰქონიათ ჰარამხანები" (23)... "სომხეთი და სომეხი ხალხი–ესაა მჭერმეტყველი ფაქტების პალიტრა, რომელიც უმეტესად გამოავლენს პირველს, საუკეთესოს, განუმეორებელს. სომხეთი კაცობრიობის აკვანია... ადამი და ევა ცხოვრობდნენ სამოთხეში, რომელიც სომხეთის ზეგანზე მდებარეობდა"... "სომხეთია სამშობლო ხორბლისა... ვაზისა... ლუდისა" (24–25)... "სომხეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არასოდეს არსებულან კასტები, მონები ყმები"..."სომხეთი მსოფლიოში ყველაზე ძველი ქრისტიანი ერია" (27)... "XX საუკუნის ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრაც სომხეთში იყო 1988 წელს" (29)...

"ბაბილონისა და ეგვიპტის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის I ადგილი სომხებს ეკუთვნოდათ" "ისტორიის ყველაზე

კრიტიკულ მომენტებში მრისხანე სპარსეთს სომეხი მეომრები იხსნიდნენ ხოლმე. ბაღდადისა და მაროკოს არაბმა ხალიფებმა ძალიან ბევრი ქვეყანა სომხების ხელით დაიპყრეს." „ჯვაროსნები თავის საუკეთესო ბრძოლებს გულად სომეხ მეომრებს უმადლოდნენ." „აღმოსავლეთის მთელი მრეწველობა სომხების ხელთ იყო" (36)... „ბიზანტიის იმპერიაში მაკედონელთა ანუ სომხური დინასტია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა სახელმწიფოს. იქაურ ტახტზე იჯდა არანაკლებ 15 სომეხი იმპერატორისა. „ბერძნულის გვერდით, სომხური სახელმწიფო ენა იყო" (37)... „სომხებმა დააარსეს ქალაქები: ახალი ჯულფა (ირანი), კალკუტა (ინდოეთი), დუმბროვენი და გერლა (უნგრეთი), იაზოვსკი (პოლონეთი), ყიზლარი, მოზდოკი, არმავირი, ბუდიონოვსკი, ნოვოროსიისკი (რუსეთი), კოტოვსკი და გრიგორიოპოლი (მოლდოვეთი)"... „ევროპაში სომხებს შეუტანიათ გარგარი, ბალი... ხელს უწყობდნენ ყავის ფართოდ გავრცელებას" (37, 38)...

„სომხურმა ხუროთმოძღვრებამ მრავალმხრივ შეუწყო ხელი რომაული რელიგიური ხელოვნების ჩასახვას, მან მისცა დასავლეთს გუმბათი, გადამწყვეტი როლი ითამაშა გოთიკის წარმოშობაში. სომხური ხუროთმოძღვრების გავლენა ეტყობა იტალიის, გერმანიისა და ირლანდიის ქალაქებს" (40-41)... „რუსეთში მხოლოდ სამი ხალხი იყო საიმპერიო: რუსები, გერმანელები და სომხები. ისინი ქმნიდნენ რუსულ კულტურას" (46)... „სომხები იბრძოდნენ ალექსანდრე ნეველის დროშის ქვეშ, ეხმარებოდნენ რუსებს ყივჩაყების წინააღმდეგ 1309 წელს, გრიუნვალდთან 1410 წელს, გადამწყვეტი როლი ითამაშეს ყაზანის განთავისუფლებაში (1552 წ)" (48)... „რუსული ენის ინსტიტუტის თანამშრომლები ს. კოჩარიანს რჩევას ეკითხებოდნენ—როგორ გამოეთქვად სწორად ესა თუ ის რუსული სიტყვა"(51)...

სომხები ყოფილან ბულგარეთის მეფე სამუილი, რუმინეთის მეფე მიხაი მამაცი, ლიბანის სულთანი დაუდ-ფაშა, ეგვიპტის სულთანი სალადინი და ნაპოლეონის პირადი მცველი რუსტამი, (57); იმპერატორ იუსტინიანეს მხედართმთავარი ნარსესი, იოაჰიმ მიურატი (64) და ნეფერტიტი (136)... ბრეჟნევი სომეხს გადაურჩენია წყალში დახრჩობისაგან... ალ. მატროსოვისთვისაც სომეხს გადაუცია კომკავშირელის ბილეთი (150)... ფრანსუა რაბლე თავის წიგნში „გარგანტუა და პანტაგრუელი" ხუთჯერ ლაპარაკობს სომხებზე (159)... ავტორს არ დავიწყებია კამოს გმირობათგან ყველაზე გასაკვირველი—გენიალური სიმულაცია. რომელმაც

შეცდომაში შეიყვანა ბრძენი ბერლინელი ფსიქიატრებიც კი 4(171)... ბოლოსიტყვას ავტორი ამთავრებს წინადადებით: „ასეთი წიგნები აუცილებელია როგორც ჰაერი".

სპეციალურად კომენტარების გარეშე მოტანილი ციტატებიდან ყველა დაინახავს, რომ ამ წიგნში არაფერია მეცნიერულად საყურადღებო. იგი საინტერესოდ საკითხავი ცნობარის შექმნის მიზნით დაუწერია მიჭარბებული „პატრიოტიზმით" შეპყრობილ ავტორს. შეუძლებელია მისი სერიოზულად მიღება და იქნებ არც ღირდა მასზე ყურადღების გამახვილება. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ წიგნში გადმოცემული ამბების შეთხზვა-მოგონებას მხოლოდ ავტორის ფანტაზია არ ეყოფოდა. ცხადია იგი ნასაზრდოებია სწორედ ზემოთ განხილული ბუკლეტებითა და მისი მსგავსი ტენდენციური ლიტერატურით. ამან კი, შესაძლოა, ბევრი გულუბრყვილო მკითხველი დააჯეროს. ეს წიგნი ენაკვიმატი ჟურნალისტებისათვის შეიძლება ნამდვილი მონაპოვარი გახდეს, მაგრამ ჩვენი ყურადღება ასეთმა კურიოზულმა შემთხვევებმაც არ უნდა მოადუნოს.

თებერვალი-აპრილი, 1997 წ.

* * *

ზემოხსენებულის გარდა, ყურადღების გამახვილება საჭიროა იმიტომაც, რომ ამ „საკვირველი ხალხის" ჯავახეთში მცხოვრები ნაწილი არ სჯერდება თავის „სასწაულების ქვეყანას" და სხვათა მიწების დაპატრონებას ლამობს. ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა 1997 წლის აგვისტოში ჯავახეთში მოწყობილმა ექსპედიციამ, რომელიც დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება—საქართველო".

XIX საუკუნიდან ქართული წარწერების წაშლა-მოსპობა ჯავახეთში ხშირი მოვლენა გახდა. 1933 წელს ნიკო ბერძენიშვილს სოფ. სათხეში „ახარეს", რომ იქაური ქართული წარწერა „Зачислили" მის დღიურში სხვაც ბევრია ასეთი შემთხვევები აღნიშნული. ეს პროცესი დღემდე გრძელდება: 1971

წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ აგანაში, 1906 წელს აგებული სომხური ეკლესიის სამხრეთ კედელზე, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქვა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელშიც ბასილი აკანელი იხსენიებოდა. „ბ" თავშეკრული იყო, „ე" და „ლ" კი მარცხენა შვერილის გარეშე (რაც სიძველის ნიშნებია). ქვა მაშინ თავდაყირა ჩაეშენებინათ. ახლა წარწერა გადაშლილია, კვალიც არ ეტყობა... იქაური მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა ეკლესიაში არ შეგვიშვა, ფოტოგრაფირების ნებას არ გვაძლევდნენ—ეს სომხური ეკლესიაა, ახალქალაქიდან ნებართვაა საჭირო, თქვენ გინდათ ქართველები და სომხები ერთმანეთს წაჰკიდოთო... ვერ შევედით დადეშის, ალასტანის ძველ ქართულ ეკლესიებში—ბოქლომდადებული კარების გასაღებები დაიკარგაო, გვითხრეს. ღრიჭოებიდან ჩანს—ეკლესიები გადაყრილი ნივთებითა და სამშენებლო ნაგვითაა გამოტენილი.

გარდა იმისა, რომ აშენებენ ახალ, გუმბათიან ტაძრებს, ძველ ქართულ ეკლესიებში შეაქვთ თავისი დამზადებული ხატები: ნახევრად შიშველი, მობანავე ქალების სურათები (ჩანს, ანგელოზებად მიუჩნევიათ), მამაზეციერი ხელში ყრმა იესოთი (?)... აქვე მოაქვთ სომხური ლოცვანი, პლაკატები, მოილოცავენ თავის დღესასწაულებს. მთელ ამ „მოღვაწეობას" გაცილებით მიზანდასახულად და გეგმაზომიერად წარმართავენ, ვიდრე წინათ ხდებოდა. შეიმჩნევა უფრო შემაშფოთებელი სიახლეებიც: თუ აქამდე სომხურ ეკლესიებს აშენებდნენ ქართულის გვერდით, ან ცალკე, ახლა ირჩევენ მოზრდილ, გალავნიან ნამონასტრალებს და იქვე აშენებენ ახალ უსახურ შენობებს. ახალქალაქის რაიონის სოფელ ბოჟანოს მახლობლად, წყაროთა სათავეებთან, მეფეთა სადგომი იყო. იქ მყოფ დავით აღმაშენებელს მოახსენეს ანელმა თავადებმა ქ. ანისის მოცემა (2. 102). სწორედ აქ, მთაზე, გალავნიანი ნამონასტრალია შემორჩენილი. ეკლესიის საკურთხეველში აუგიათ უსარკმლო, აფსიდიანი შენობა, რომელსაც გადახურვა და კარის ჩამოკიდებაღა აკლია. მონასტრის ძველი ქვები თავიდან გაუთლიათ, ძველი ქართული ჩუქურთმიანი ქვები კი უადგილოდ საუყოლებიათ კედლის შიდა წყობაში.

ეს შემთხვევითი რომ არაა, ჩანს მეორე მაგალითითაც: სამსრიდან ღრტილას (ახლა „იხტილას" ეტყვიან) მიმავალი გზის სამხრეთით სამონასტრო კომპლექსია, რომელსაც „ვანქს" უწოდებენ (ადრე მეღვრეკი ერქვა). აქაური ქართული ეკლესია საკუთარი ინიციატივით გაუთხრია ერევანში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტდამთავრებულ ღრტილელ კიმიკ სამველიანს, ყარაბაღის

ომში გამარჯვებულს, გადაურჩევია ქვები და გაუმზადებია. დრტილაში მოსახლეობა უკვე ფულს აგროვებს, რომ იქაც საკუთარი სალოცავი დააშენოს ძველ ქართულ ნამონასტრალს. ასეთივე გეგმა აქვთ მთაში შერჩეული ერთი ეკლესიის მიმართაც.

ახალქალაქის რაიონის სოფელ ორჯასთან კანიონის ნაპირზე, განლაგებულია გრიალა („კირიას" უწოდებენ). ეს შესანიშნავი ნასოფლარი—ეკლესიით, ხევიდან ამომავალი გზით, მისი დამცველი სიმაგრით, ქუჩებით, ხაროებით, დარნებით—ერთი გამორჩეულთაგანია ზემო ჯავახეთში. მის ტერიტორიაზე 6 ქვის სამხერხაოა გამართული. ისინი ახლა აღარ მოქმედებენ, მაგრამ ნასოფლარის ძველი, მზა ქვების დახერხვა უკვე საკმაოდ მოუსწრიათ.

როდესაც ადგილობრივ ახალგაზრდებს ავუხსენით, რომ არსებობს ძეგლთა დაცვის სამმართველო, სპეციალური კანონი, რომელიც ისტორიული ძეგლების ხელშეუხებლობას იცავს, რომ მათი ქმედება კანონის დარღვევაა, რატომაო, გაიკვირვეს—„Джавахк это же армянская земля!..." ასე ესმით ოჯახში, ასწავლიან სკოლაში, ჩვენ კი ამის საპირისპიროდ მხოლოდ კანონი გვაქვს, რომელიც აქ არ მოქმედებს, ყოველ შემთხვევაში, ჯავახეთში ამისათვის არავინ დაუსჯიათ. ყველაფრიდან ჩანს, რომ XIX საუკუნეში შემოსახლებული ერზერუმელი სომხების შთამომავალნი არა მარტო ეპატრონებიან ჯავახეთის მიწას, არამედ აქედან ყოველივე ქართული სიძველის ამოძირკვასაც ცდილობენ.

ცხადია, მათ ამაში ხელს ვერ შეუშლის ქართული მოსახლეობის უმწეო უმცირესობა (10%), რომელიც სომეხთა დიდი უმრავლესობის მიერაა შევიწროვებული. მერაბ კოსტავას ფონდის მიერ ნაყიდ სახლებში ჩასახლებულ ქართველთაგან, გაუსაძლისი პირობების გამო, ბევრმა გაყიდა ბინა და უკან დაბრუნდა... ახალმოსახლე აჭარლებს ძარცვავენ, ქურდები კი დაუსჯელნი რჩებიან ისევე, როგორც დაუსჯელნი დარჩნენ ჩვენი ექსპედიციის გაქურდვის შემთხვევაში—პოლიციამ მათ კვალს ვერ მიაგნო... ახლა მოსახლეობაში ხელმოწერებს აგროვებენ ახალქალაქში გუბერნიის ცენტრის შესაქმნელად.

ასეთ პირობებში ნიშანდობლივია ახალქალაქში დაბანაკებული რუსული სამხედრო ნაწილის პლაკატი (დაახლოებით 15 მ. სიგრძისა და 3 მ. სიმაღლის), რომელიც ყაზარმებში შესასვლელთან, ტრასაზეა გამოდგმული იგი იწყება მოწოდებით: `Владей этой землей без опаски... российская армия

тебе защити г... აქვეა ამ სიტყვების ავტორის პორტრეტიც. ვის გაახსენდა ახლა ბოლშევიკების მიერ რეაქციონერად შერაცხილი გენერალი პასკევიჩი?–ცხადია იმას, ვისაც ეს მოწოდება ხელს აძლევს. იგი პირდაპირ აქეზებს და ზურგს უმაგრებს ჯავახეთში მოსახლე სომხებს.

ნათელია, რომ კავკასიის სხვა კუთხეების მსგავსად რუსეთის იმპერიამ 1830 წლიდან ჯავახეთშიც დატოვა ნაღმი, რომელიც დისტანციურ მართვას ექვემდებარება. სომხეთის ელჩი საქართველოში კი დაბეჯითებით იმეორებს: ჯავახეთის საკითხი საქართველოს სახელმწიფოს საშინაო საქმეა.

**სექტემბერი, 1997 წ**


N

[illegible]


S
O
W

[illegible]







დარბაზული ეკლესია
თავფარავნისწყლის პირას. ჯვრიანი
ქვა. XII-XIII სს.



ჯავახეთის ახალქალაქი. ციტადელი (ქვემოთ – ციტადელის ეზო, ზემოთ – ქარვასლის ეზო). XI-XIX სს. გეგმა. ანაზომი კონსტანტინე მელითაურისა.



ჯავახეთის ახალქალაქი. დარბაზული ეკლესია თავფარავნისწყლის ჭალაში. XII-XIII სს. გეგმა.



ახალქალაქი. ...ის ეკლესია სამშენებლო წარწერა მეხრელებული ქართული ასომთავრულით. XII-XIII საუკუნეთა მიჯნა



ახალქალაქი. პლაკატი რუსეთის სამხედრო ნაწილის შესასვლელთან. დეტალი.
გენერალ პასკევიჩის პორტრეტი და წარწერა.
„Владей этой землей без опаски российская армия тебя защитит..."
ფოტო ნინო ბაგრატიონისა 1997.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ქართლის ცხოვრება, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955. შემდგომში ყველგან: ქც.

2. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), თბ. 1979, 21-23; Д .Л. Мусхелишвили. Из исторической географии Восточной Грузии, ТБ. 1982. 6-15.

3. Е .Г Джандиери. Ахалкалаки Джавахетский, автореферат дисертации... ТБ. 1983.

4. Г А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, М. 1960.

5 დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ. 1985.

6. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები II, თბ. 1980.

7. ვარდანი. მსოფლიო ისტორია, მოსკოვი 1861. Մեծին Վարդանայ Բարձրբերդեցւոյ Պատմութիւն Տիեզերական. Մոսկվա. 1861.

8. ე. ჯანდიერი. უზღუდო ქალაქის გეგმარება და მშენებლობის წესი ადრეფეოდალური ხანის ჯავახეთის ახალქალაქში, „ძეგლის მეგობარი" 47, თბ. 1978.

9. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1973.

10. გიორგი მცირე. ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები (XI-XV სს) II, დასაბეჭდად მოამზადეს ილია აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ. 1967.

11. ნ. შენგელია. სადრ ად-დინ ჰუსეინი, ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ. 1976.

12. Մատթեոս Ուռհայեցի. Ժամանակագրութիւն. Վաղարշապատ. 1898.

13. ი. ჯალაღანია, ქ. ვ. ჯაფარიძე. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი. „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები" V, თბ. 1987.

14 ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1959.

15 ალ. აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XVII სს), თბ. 1971.

16. Л.С. Давлианидзе. К изучению цундско-тмогвских хачкаров საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XX–B, თბ. 1959.
17. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვლ. ფუთურიძის გამოც. თბ. 1966.
18. ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959.
19. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვლ. ფუთურიძის გამოც. თბ. 1969.
20. ცის. აბულაძე. თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ. 1983, 56-57; დარ. კლდიაშვილი. თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, თბ. 1986, 40-41.
21. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც. თბ. 1964.
22. „მესხური მატიანე", სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გამოც. ქრ. შარაშიძისა, თბ. 1961.
23. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თბ. 1941.
24. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ. 1956.
25. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გ. ალასანიას გამოც. თბ. 1978.
26. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ცის. აბულაძისა და მიხ. სვანიძის გამოც. თბ. 1979.
27. ქც. 671,675; შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975, 473.
28. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ. 1989.
29. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ. 1983.
30. შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975.
31. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს მთავრობას 1926 წ. სცსა, ფონდი 473, საქმე №6 ფურც. 86-111
32. B. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, Kunst des Mittelalters in Armenien. Berlin, 1981. 250.
33. Марр Н. Я. Надпись Епифания, каталикоса Грузии (изъ раскопокъ въ Ани 1910 г) СПБ. 1910.
34. Ониани А.Л. Сарджвеладзе З.А. Против извращения вопросов грузинской топонимики. ჟურნ. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1971.
35. Мусхелишвили Д.Л., Арвеладзе Б. Истина вечна... "Литературная Грузия", 10, 1988.
36. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები, თბ. 1919.
37. დ. კოჟორიძე. სამცხე-ჯავახეთი-წარსული და დღევანდელობა, თბ. 1987, 120, 132.

## სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა)*

ციხე ლომსიანთა ძველ ქართულ წყაროებში ერთხელ იხსენიება. ესაა „მატიანე ქართლისას" ცნობა IX ს-ის ამბებთან დაკავშირებით: „ხოლო ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი, შესრულ იყო საბერძნეთად, კოსტანტინეპოლედ, და მოსცა ბერძენთა მეფემ ლაშქარი, და მოგზავნა ზღუთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი. და შეირთო ცოლი მისი ცოლად ასული გუარამისი, და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა ცოლის ძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი. ხოლო ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჴე, ჯუარის-ციხე და ლომსიანთა, გუარამისავე აღშენებული (აღშენებულნი-C). მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი, უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა, იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ ოვსი, და ერისთავი აფხაზთა" (I. 261).

იმავე ამბების აღწერისას სუმბატ დავითის ძე, სიძე-ცოლის-ძმის ლაშქრის გაერთიანებას ეგრის-აფხაზეთში გულისხმობს და უმატებს: „მუნით გარდამოვიდა ნასრ სამცხეს", მაგრამ აღებულ ციხეებს ავტორი არ ასახელებს. ცხადია, ეგრის-აფხაზეთიდან სამცხეში გადმოსვლა იმერეთის უღელტეხილებით მოხდებოდა.

ამის შემდგომ უკვე ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს ლომსიანთას თავის ძველ ისტორიაში. იგი იმეორებს „მატიანის" ზემოთ მოტანილ ცნობას მცირე ნიუანსებით და ამატებს სუმბატ დავითის ძის სიტყვებსაც: „ამან ბაგრატ გამოიყვანა ნასრე ცოლის-ძმა თჳსი, მისცა სპანი და აშუელნა ოვსნი. გარდამოვიდნენ სამცხეს და დაიპყრნეს ციხენი ოძრაჴე, ჯუარისციხე და ლომსიათი" (232). როგორც ვხედავთ,„მატიანის" ლომსიანთა აქ შეცვლილია სიტყვით ლომსიათი,ასევე აკლია ცნობა გვარამის მიერ ამ ციხეთა აშენების შესახებ.

სამცხის სახელწოდებაზე მსჯელობის დროს ვახუშტი ამბობს: „კუალად იტყჳან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთათჳს: ლომსისა ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი არს სამციხეთა, ამით ეწოდა სამცხე" (2. 658).

*დაიბეჭდა კრებულში „მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე 2000.

გამოდის, რომ ავტორს აქ უკვე ციხე ლომსისა ისეთი სიძველისად მიუჩნევია, როგორც ოძრხეა და დემოთი. ამიტომაც ქვეყანას სახელი ამ სამი ციხისაგან შეერქვაო.

რამდენიმე გვერდის შემდეგ ვახუშტი წერს: „ქვაბის-ჴევის დასავლით, მტკვრის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (ვგონებ ამას დემოთის ციხედ, რომელი აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან და განავსნა სპითა, შემწედ წუნისათჳს, და შურად ოძრახოსა და ლომსიასათჳს” (2. 662). გადმოცემა სუმბატ ბივრიტიანის შესახებ ვახუშტის აღებული უნდა ჰქონდეს ლეონტი მროველისაგან, რომელიც ახ. წ. I ს-ის ამბებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სომეხთა მხედართმთავარმა სუმბატ ბივრიტიანმა „აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრჴევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა, და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მაბრძოლად ოძრჴეველთა და წარვიდა.” „და ოძრჴეს ქალაქსა შეეწეოდეს მეგრელნი. ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანერთსა, და დაუცხრომელად იბრძოდეს” (1. 47,48).

როგორც ვხედავთ, ლეონტისთან ლომსიანთა საერთოდ არ იხსენიება, ვახუშტი კი აქაც ისევე, როგორც ზევით, ლომსის ციხეს (ლომსიას) ყურმოკრულ ცნობად უმატებს–„იტყვიანო”. იგი არც დემოთის მდებარეობაშია დარწმუნებული და ლეონტის ნიშანდობლივ მითითებას, რომ დემოთი ღადოს მთის კალთაზეა („მოკიდებულად მთასა ღადოსსა”), ამ ციხეს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ვარაუდობს, დაახლ, დღევანდელ სლესის ციხესთან. ასევე დამახასიათებელია ლომსიანთის ძველი სახელწოდების ვახუშტისთან თავჩენილი ცვლილებანი: მას ჯერ უწერია „ლომსიათი”, მერე „ციხე ლომსისა”, ბოლოს კი “ლომსია”.

მომდევნო გვერდზე ვახუშტი წერს: „ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომის ჴევი. აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულსა კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად, ვინაითგან ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიჴსენიების მერმე ლომსია)” (2. 663).

სამცხე–ჯავახეთის შესახებ ვახუშტის ხელთ არსებული ცნობების ნაკლოვანება-უზუსტობანი კარგა ხანია შემჩნეულია და აღნიშნულიც. ამიტომაა, რომ მისი ვარაუდი აქაც მცდარი წანამძღვრიდან ამოდის: რაკი ლომსიანთა მას ოძრხის

თანადროული ჰგონია, ის უგულებელყოფს „მატიანის" ცნობას, რომ ლომსიანთა ჯვარისციხესთან ერთად გუარამის აშენებულია, ან ისე ესმის,რომ ეს „აღშენება" ლომსიანთისა და ჯვარისციხის მეორედ აღშენებას გულისხმობს ოძრხის მსგავსად. სინამდვილეში ოძრხე უძველესი ციხე-ქალაქია, წყაროებით დამოწმებული, მაშინ,როდესაც ჯვარისციხე და ლომსიანთა „მატიანეში" ჩნდება პირველად და ბუნებრივად იგულისხმება, რომ ისინი თავიდანვე გუარამ მამფლის მიერაა აღშენებული. დაახლოებით ამავე დროს IX-X სს დაარსდა ახალციხეც. იქ აღმოჩენილი ქტიტორული რელიეფი, წარწერები, თუ მონეტების ცალები, არცერთი IX-X ს-ზე ადრინდელი არაა. მაშასადამე ლომსიანთა და ახალციხე ერთ პერიოდში წარმოშობილი ციხეებია. ამრიგად ძნელი სარწმუნო ხდება ვახუშტის აზრი ახალციხემ შეცვალა ლომსიანთაო. საქართველოში ახალქალაქებსა და ახალციხეებს ძველი სახელწოდებანი არ უჩანთ, სწორედ ამით არიან ისინი „ახალნი".

ვახუშტის ვარაუდს არ იზიარებდა ივ. ჯავახიშვილი და თვლიდა, რომ გუარამ მამფლის მიერ აგებული ციხე ლომსიანთა, რომელიც ახლანდელ ლომიანთას უდრის,მდებარეობს ოძრხისა და ქვაბლიანის წყლების სანახებში (3. 57). აღნიშნულ ადგილებში მსგავი სახელწოდება არ დასტურდება. საქმე ისაა, რომ ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა საძიებლით, რომელიც თან ერთვის სამხედრო შტაბის მიერ შედგენილ ხუთვერსიან რუკას. იქ გვხვდება მთა და სოფელი ლომისი, ასევე ლომისხევი, ყველა დუშეთის მაზრაში. აღნიშნულია ლომის მთაც ღადოფერსათზე. ლომიანთა კი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ქვაბლიან-ოძრხისწყალს შორის ვარაუდობს, საძიებლის მიხედვით, ყარსის ოლქის არტაანის უეზდშია. ასეთი ტოპონიმი ვერ დაადასტურა ვერც ჩვენმა დაზვერვითმა ექსპედიციამ. ჩანს, საძიებელში რაღაც შეცდომა გაიპარა.

წყაროთა ამგვარი სიმწირის პირობებში, ლომსიანთის ციხის ლოკალიზაციისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს მსგავსი სახელწოდების მთა, რომელსაც ვახუშტი ზემოაღნიშნულ სამ შემთხვევაში ციხის სახელისაგან არ განასხვავებს და ლომსიას უწოდებს. სამცხის ჩრდილოეთ საზღვრად მას დასახელებული აქვს „მთა ფერსათი" არამედ პირველწოდებული ღადო და ლომსია და ქართლის კერძოდ ეწოდების მახჳლო... და სიმაღლე-სიწჳრილისათჳს ეწოდა მახჳლო. და ძეს მთანი ესე

აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ქართლის ჰეობიდამ გურიის მთამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი...ბალახოვანი, შამბნოვანი, ყვავილოვანი, წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინველიანი მრავლობით. ჩრდილოთ აქუს იმერეთი და სამჴრით სამცხე" (2. 668). როგორც ვხედავთ, ფერსათის ქედზე ავტორს გამოყოფილი აქვს „პირველ წოდებული" სახელები მთებისა ლადო და ლომსია, აღმ. კიდეზე კი მახვილო. სიტყვები „და ძეს მთანი ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, ქართლის ჰეობიდამ გურიის მთამდე", მიგვანიშნებს ამ მთების თანმიმდევრობასაც: მახვილო, ლომსია, ლადო.

სხვაგან, სანხეიძოზე საუბრისას, ვახუშტი წერს, რომ მას სამხრეთიდან ესაზღვრება „მთა ფერსათი, ანუ ლადო, ანუ ლომსიათ წოდებული, ხოლო დაბისაგან აწ ფერსათად... დასავლით მზღვრის სანინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი. არამედ სვირს ზეითს, აღმოსავლეთის კერძოს, უწოდებენ აწ ლომსიათ-ჴევს" (2. 772).

ყველა ამ ცნობებიდან გამომდინარე, შეიძლება მივიღოთ, რომ ფერსათის ქედის ერთ ნაწილს, ვახუშტის მიხედვით ერქვა ლომსია. ბუნებრივი იქნება, თუ სწორედ მას დავუკავშირებთ „მატიანის" ლომსიანთას (შდრ.: გურია-გურიანთა), ვახუშტი-სეულ ლომსიას ციხეს. საძიებელი არეალის შესაზღუდად,ჟამთა-აღმწერელის კიდევ ერთი ცნობა ივარგებს, რომელსაც იგი XIII ს-ის 60-იან წლებს უკავშირებს. მისი სიტყვით, მონგოლთა მხედართმთავრები „მოვიდეს და დადგეს მთასა ზედა...რომელ არს ლიხი. და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო. რომელსა უწოდენ ლადოდ, და ამათსა შესაყარსა დემოთისასა, დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომისთავი, და მიერ არბევდეს ჯავახეთსა, ვიდრე ფარავნამდე. მაშინ მუნ მდგომთა თათართა ჩამოვლეს ეკერის ჴევი, და განვლეს აწყუერს ფონი მტკურისა და განვიდეს ჯავახეთს" (4. 265).

ამ ნიშანდობლივი ჩვენების მიხედვით, მონგოლები გაჩერებულან ლადოს მთაზე იქ, სადაც დემოთისხევი იღებს სათავეს, მას თურმე ლომისთავი ერქვა. ეკერისჴევი ამჟამად არ ჩანს. ივ. ჯავახიშვილი მას თავის რუკაზე სლესისა და წინუბნი-სხევებს შორის ვარაუდობდა, მდინარეზე, რომლის სათავეშიაც არის მთა სახელწოდებით სალალატო... ჟამთააღმწერელთან ხსენებული ლომისთავი დღევანდელი ლომის მთაა,რომელზედაც მართლაც მიემართება გზა ქვაბისხევ-დემოთის გავლით. იქ აისვლება ასევე

ზანისხევითა და ლიკანისხევითაც (ჩვენმა ექსპედიციამ ამ უკანასკნელით იარა, რადგან სხვა გზები მაშინ ჩიაღვრებს წაეღო).

ლომის მთა ახლაც სწორედ ისეთია, როგორც ვახუშტის მიერ აღწერილი ლომსია: „ბალახოვანი... წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინველიანი". იქ მთიბაეები შემოგვხვდნენ, ამოსულები იმერეთიდან, ბორჯომის ხეობიდან. ლომის მთის წმ. გიორგი ქედის ყველა'ზე მაღალ ადგილზეა (2187 მ.); ეკლესია დარბაზული ტიპის გვიანი შენობაა, ნაგლეჯი ქვებით მშრალად ნაგები. შეიძლება ძველი იყოს შირიმის რამოდენიმე გათლილი ქვა, წყობაში რომაა ჩაყოლებული. ჯვარ-ხატები და ჭურჭელი სულ ერთიანად ახალია, ლომის მთის წმინდა გიორგის საკუთარი დღეობა არ აქვს, მოდიან შეწირულებით.

ეკლესიის დასავლეთით ქედი თანდათან ფართოდ იშლება. იქ იქნებოდნენ კარვებში დაბანაკებული მონგოლი მხედრები, რომლებიც ადგილობრივ ფეოდალთა საქონელსა და ცხვრის ფარებს იტაცებდნენ. აქედან საურმე გზებია ზანისხევზე, ლიკანისხევზე, ქვაბისხევზე, ბეოლისხევით—ვახანსა და მარელისში. სწორედ ამ გზით უნდა ჩასულიყო ახალციხიდან ვახანში ომარ-ხანი 1785 წ. როდესაც მან ვახანის ციხე აიღო და თავად აბაშიძის ცოლშვილი ტყვედ წამოიყვანა ახალციხეს (5. 100).

1947 წ. ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციაში ყოფნისას, ნ. ბერძენიშვილმა ადგილობრივი მოხუცების მოწმობით დაადასტურა, რომ ლომის მთა როგორც ჩანს ერთ პუნქტს კი არ ეწოდება, არამედ მთაგრეხილის მოზრდილ ნაწილს (6. 253). ასეთ შემთხვევაში, მისი მეორე, დას. ნაწილის გამოსავლენად, შესაძლოა გამოდგეს ლომსიანთასთან ქღერადობით ახლოს მდგარი ლომსიათხევი. ვახუშტი მას ასახელებს საჩხეიძოს აღწერისას: „ხოლო კუალად ყვირილასავე მოერთვის სვირის ჴევი და ლომსიათჴევის ჴევი, ჩოლაბურის შესართავს ზეით, გამოსდის ფერსათს, დის სამჴრიდამ ჩრდილოთ" (2.757). ადრე მოტანილი ვახუშტისავე ციტატიდან ჩანდა, რომ „სვირს ზეითს, აღმოსავლეთის კერძოს,'უწოდებენ აწ ლომსიათ-ჴევს". გამოდის, რომ ლომსიათჴევი ტერიტორიაა, რომელ'ზედაც მოედინება „ლომსიათჴევის ჴევი".

ნ. ბერძენიშვილი წერდა: „უეჭველია სახელი ლომსიანთა მაშინ არ გაჩენილა, როცა გუარამმა ეს ციხე ააშენა. აქ ამ ადგილს ერქვა ლომსიანთა...იყო „ლომი", შეიქმნა „ლომისი", აქედან „ლომისიანი", აქედან „ლომისიანთ-ხევი", ლომსიათხევი,

ლოსიანთხევი... დარჩა ლომსიანთა და გვარამმა ამ ადგილას ააშენა ციხე (7. 648). ლომსიათხევის კავშირი ლომსიანთასთან გამოწვეული უნდა იყოს იმითაც, რომ აქ უნდა გასულიყო გზა ლომსიას ქედისაკენ. აკი ხაზგასმით ამბობს ვახუშტი, რომ ლომსიათხევის ხევი გამოსდის ფერსათსო. მართლაც ვარძციხიდან მომავალი მთავარი მაგისტრალი დიმ-ფერსათ-ბაღდათის გამოვლით, შემდეგ სამად იტოტებოდა და ისე მიდიოდა ფერსათ-ლომსიას ქედისაკენ: ერთი გზა იყო ქარშაეეთის ხევით და ზეკარის უღელტეხილით ოძრხეზე, მეორე ხანითა და ხანისწყლით ციხისჯვარზე (ამჟ. ციხისძირი), მესამე კი ლომსიათხევით, შემდეგ საკრაულასწყლით და ქედებით ლომსიასკენ მიმავალი...

როგორც „მატიანის" ზემოხსენებული ცნობიდან ჩანს, აშოტ კურაპალატის ძეს გუარამ მამფალს, სამცხეში განუახლებია მურვან ყრუს მიერ დანგრეული ოძრხის ციხე, აუშენებია ჯვარისციხე (ჩანს, აქ ადრე ჯვარი იდგა ზეკარის რკინისჯვა-რივით), შემდგომში ციხისჯვრად წოდებული, ასევე აუგია ლომსიანთა. მემატიანის ამ ჩამოთვლაში, თითქოს ციხეების გეოგრაფიული თანმიმდევრობაც შეინიშნება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ცნობილია, რომ აშოტ კურაპალატის მემკვიდრეთა შორის, ქართული მიწების შემოერთების საქმეში გუარამ მამფალმა თავის ძმებს გადააჭარბა. იგი წარმატებით ებრძოდა აღმ. საქართველოში გაბატონებულ არაბებს, მატიანის ცნობით, მას დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი (1. 257), როგორც ჩანს, გუარამს სამცხეც ემორჩილებოდა, რისი მოწმობაა მის მიერ ოძრხის, ჯვარისციხისა და ლომსიანთის აშენება IX ს-ის 60-70-იან წლებში.

ამავე პერიოდში თავის სამფლობელოებს ენერგიულად აფართოებენ ეგრის-აფხაზეთის მეფეებიც. ისინი აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების სამხრ. ქართული სამეფოს მეტოქეობას აწყდებიან. სწორედ ამის შედეგი ჩანს გუარამ მამფლის მიერ ეგრის-აფხაზეთიდან მომავალი გზების მაკონტროლებელი ციხეების მშენებლობა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ლომსიანთის ციხე უნდა ვიგულოთ ლომსიის ქედზე, იმერეთიდან მომავალი ერთ-ერთი გზის ყელში, ისევე როგორც ციხისჯვარი და ოძრხე.



ამგვარად შემოფარგლულ არეალში, ერთადერთი ციხე, რომელიც შეიძლება ლომსიანთად მივიღოთ, ესაა ამჟამად ლეკნარის სახელით ცნობილი ციხე. იგი მდებარეობს

წინუბნისხევის აღმ. ტოტის სათავეებთან, მაღალმთიან ტაფობში, ორი წყლის ხერთვისში ამოზიდულ კლდეზე მიუვალი ციხე მოჩანს. მისასვლელი მხოლოდ აღმოსავლეთიდან აქვს, სადაც კლდეგაჭრილში ბილიკი მიდის; კლდეზე ასასვლელი ჩამონგრეულია და ახლა მხოლოდ ცოცვით აისვლება. ფართო შესასვლელი დიდი ლოდით გადახურული კარიბჭეა. აქვეა ეპოქის დამახასიათებელი, კუთხეებმომრგვალებული კოშკი, დაახლ. 3 მ X 3 მ. აქ კედლის წყობაში ჩანს საშუალო ზომის ქვათა, კირზე ნაწყობი რეგულარული მწკრივები. კედლის სისქე ორი მ-ია.

დას.–ის კოშკამდე დაახლოებით 50 მ-ია, მაგრამ ორი კოშკის დამაკავშირებელი კედელი მხოლოდ 14 მ-ზე შემორჩენილა. დას. კოშკის წყობაში ჩანს გადაკეთების კვალი. იქ შერჩენილია ხუთი ქვევრი და ორი ხარო. ქვევრები კედლის წყობაშია ჩაყოლებული. კლდის თხემზე, ორ კოშკს შორის ფართობი, დაახლოებით 40 მ X 50 მ-ზე მოუზღუდავია. კლდე იმდენად მიუვალია, რომ კედლები ყველგან ეგების არც იყო თავიდან. შეიმჩნევა სწორკუთხა ნაგებობის ნაშთიც. ციხის სიძველის მოწმობად მოჩანს ფოთლის მოყვანილობის რკინის ისრისპირი, რომელიც ლეკნარის ციხეზე უპოვია აქაურ საზაფხულო ბინებში საქონელს ამოყოლილ აგარელ მწყემსს.



სურ. 2

ციხის აღმოსავლეთით უღელტეხილისაკენ მიმავალი გზა მოჩანს, რომელიც სალალატო მთასთან გადადის ბჟოლისხევში, დას.-ით კი–ციხისჯვრის მაღალი კლდეები. სამხრეთით ლეკნარის ნასოფლარია: ქვის გროვებად შერჩენილი ნასახლართა ბუდეები. ეკლესია, ან სასაფლაო არსად ჩანს. დას.-ით და ჩრდ.-ით შედარებით გაშლილი ველებია, სადაც ახლა მესაქონლეთა ბინებია, ძველად კი სათიბები იქნებოდა. ნიშანდობლივია ციხისჯვრისა და ლეკნარის ციხის მსგავსებაც: ერთნაირია მდებარეობა, გეგმარება, დანიშნულება. ესაა ეგრის-აფხაზეთიდან მომავალი (ასევე იქით მიმავალი) გზების მაკონტროლებელი, მიუვალი სიმაგრეები, რომლებიც ალბათ სეზონურად მოქმედებდნენ. ესეც უნდა ემოწმებოდეს ვარაუდს, რომ ოძრხის განახლებასთან ერთად ამ სიმაგრეთა აგებით, გუარამ მამფალი მთლიან სისტემას ჰქმნიდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოსთან ურთიერთობის მოსაგვარებლად.

ლეკნარის ციხის მიდამოებში საყურადღებოდ მოჩანს მთათა სახელები: რაბათი, სალალატო, ორჯვარი, საკრეულას სათავეში გადასულ გზასთან კი მეორე რკინისჯვარი... ასევე მნიშვნელოვანია ნასოფლარი სახელწოდებით სტამბული. იგი ლეკნარის დასავლეთითაა, ციხისძირისკენ (ძვ. ციხისჯვარი) მიმავალ გზაზე. იქ ორწყალშუა, ოთხ ტერასად განლაგებული, დიდი ნასახლარებია ალპური საძოვრების ზღვარზე. მშრალი წყობის სადგომები შექმნილია სიმაღლეზე დაყენებული დიდი ლოდებით,რომლებიც შევსებულია წვრილი ქვებით. ეს იქნებოდა მესაქონლეთა სეზონური სადგომები, რომლის სახელი სხვა წყაროებით უცნობია.

ასეთ გარემოში უნდა აეშენებინა გუარამ მამფალს ჯვარისციხე და ლომსიანთა, თავისი ბატონობის სამცხეზე განსამტკიცებლად. ეს ის დრო იყო, როდესაც აშოტ ბაგრატიონის მემკვიდრეები, მიწების დაპატრონებისათვის სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდნენ არაბებთან, სომხებთან, თავის საგვარეულოს წევრებთან. 881 წ. გუარამის ძე ნასრმა საკუთარი ბიძაშვილი–დავით ბაგრატის ძე შეტყუებით მოკლა თრიალეთის გამო. მემატიანის ცნობით, გუარამ მამფალს ამ ბოროტმოქმედებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ნასრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ქართველები, არაბები, სომხები. დაამარცხეს იგი და წაართვეს ციხეები. დევნილი ნასრა კონსტანტინეპოლს გადაიხვეწა. მისთვის წართმეულ ციხეებში უნდა ყოფილიყო

ჯვარისციხე და ლომსიანთაც...

882 წ. გარდაიცვალა გუარამ მამფალი და მისი სამფლობელო ქვეყნები მის ძმისშვილებს დარჩათ. შვიდი წლის განმავლობაში ნასრა ბიზანტიაში იმყოფებოდა. იქვე იყო ბაგრატი, ეგრის-აფხაზთა მეფის დემეტრეს ძე. როდესაც იგი დაბ. საქართველოში გაბატონდა, თავისი ცოლისძმა ნასრა ბიზანტიიდან გამოიხმო, ლაშქარი დაახმარა და მამისეული სამცხის დასაბრუნებლად გამოისტუმრა. ნასრა 888 წ. გადმოვიდა სამცხეში. დაიბრუნა წართმეული ციხეები—ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანთა. სუმბატ დავითის ძის ცნობით, „ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა... და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და მოკლეს ნასრა ჰევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას... და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი" (1. 379). ამის შემდგომ ლომსიანთა ძველ წყაროებში აღარ იხსენიება. როგორც ჩანს, ციხე მოიშალა, იქ გამავალმა გზამ დაკარგა ძველი მნიშვნელობა, ლომსიანთა მაშინ აღარ აღადგინეს და დავიწყებას მიეცა თვით სახელწოდებაც. ამის მერე დარჩა ლომისთავი, ლომის მთა, ლომსია, და ლომსიათხევი.

ჩვენ არ ვიცით, როდის ჩნდება სახელწოდება ლეკნარი, მაგრამ 1578 წ. მუსტაფა ლალა ფაშას საქართველოში ლაშქრობის დროს, „მესხური მატიანე" გვამცნობს: „აწყუერს ვიდეგით. პატრონი მანუჩარ გამოეშუა, წინათ მოვიდა. სამშაბათს პატრონი ყუარყუარე წინ მიეგება თუითან ლალა-ფაშაც მოვიდა, და გაღმა ლეკზე დადგა. ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიდამა და ლალაფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და აქლემების ჯარი იყო" (8. 51).

წყაროდან მოტანილ ამონარიდში ეს აწყურს გაღმა ლეკი, სადაც ოსმალთა ჯარი იდგა, ზემოხსენებული ლეკნარი უნდა იყოს. მოგვიანებით, საფიქრებელია, ციხეს აღადგენდნენ, თან ჯარის დასაბანაკებელი ადგილიც ყოფილა. ამას ემოწმება 1595 წ-ის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. იქ აწყურის რაიონში დასახელებულია სოფ. ლეკნარის რაბათი. სოფელი მოსახლეობისაგან მაშინ დაცლილი ყოფილა, თუმც კი გადასახადი მარცვლეულისა და სხვათაგან 3000 ახჩას შეადგენდა. დავთარში ლეკნარი ციხედ აღარ იხსენიება, მაგრამ იგულისხმება, რომ იქ ციხე უნდა ყოფილიყო, რადგან ლეკნართან დასახელებულია რაბათი. ეს უკანასკნელი კი, საერთოდ ციხეებთან

არსებობდა. ხუთვერსიან რუკაზეც ლეკნარის ციხის მახლობლად, რაბათის მთაა აღნიშნული.

ტოპონიმი ლეკნარი არის ქვაბლიანის ხეობაში კიკიბოსთან, გვხვდება იგი რაჭაშიაც. სახელწოდება დაკავშირებულია ხის სახეობასთან. ესაა ლეკა (ლეკი),ანუ ლეკის ხე. აქედან ლეკნარი ადგილი, სადაც ლეკის ხეებია (შდრ.: ფიჭვნარი, კოპიტნარი) (9. 110; 10, 148). ლეკნარის შეკვეცილი ფორმებია ლეკნა ხუთვერსიან რუკაზე და ლეკი „მესხურ მატიანეში". ლეკნარის ციხის მიდამოებში, წიწვოვანი ტყის გარემოცვაში, მართლაც გამოირჩევა ფოთლოვანი ლეკნარის კორომები. სახელწოდება ლომსიანთის მივიწყება, შემდეგ მისი შეცვლა ლეკნარით, დაკავშირებული იქნებოდა ციხის მოგვიანო აღდგენასთან, რაც კარგად ეტყობა დასავლეთით მდგარ კოშკს. თითქმის ასევე დაემართა მეზობელ ჯვარისციხესაც: XI ს-ში მას უკვე ციხისჯვარი ერქვა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი მას საერთოდ არ იხსენიებს, ახლა კი ციხისძირი ეწოდება.

ლომიდან წარმოებული ტოპონიმები საქართველოში ხშირად გვხვდება: ლომის მთა, ლომისთავი, ლომისხევი, ლომისის წმ. გიორგი ყველა ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზეა. კახეთში არის ლომის ციხე, ლომთაგორის ციხე კი ქვემო ქართლში. ლომსიანთას უნდა უკავშირდებოდეს „მატიანე ქართლისაში" XI ს-ში მოხსენიებული „გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი" (1. 299).

ეს უკანასკნელნი, წინამავალ გურიელ აზნაურთა მსგავსად, ლომსიათხეველ აზნაურებს უნდა აღნიშნავდეს. მოგვიანო ხანის საბუთებში დასტურდება ლომსიანიძეების მკვიდრობა სოფ. კლდეეთში, სადაც ისინი საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ. მათ წარუდგენიათ სასისხლო სიგელი, დავით აღმაშენებლის ძის-დემეტრეს მიერ გაცემული, რომელიც თითქოს ამ საგვარეულოს სიძველეს ადასტურებდა (11. 89-109). მართლაც დმანისხევის ერთი ეკლესიის XI-XII ს-თა წარწერაში იხსენიებდა ვინმე ივანე ლომსიანისძე, სადაც ლომსიანი შესაძლოა ჯერ კიდევ ივანეს მამის სახელი იყოს,შემდგომში გვარად ქცეული. ლომსიათხევში აზნაურებისა და გლეხების სახით, ყმები ჰყოლია იმერეთის ვარძიის მონასტერს, რომლიც XIX საუკუნის დასაწყისში ისევ მოქმედი იყო (12. 368; 13. 59-60). ლომსიანიძეები ამჟამად ცხოვრობენ სოფ. კაკასხიდშიაც.

ლომსიას მთის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე

ლიკანისა და დღვაშისხევის მიდამოებში ყოფილა კიდევ სოფ. ლომსათუბანი. ის, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს გვართან ლომსაძე (ლომსაანთუბანი) და ვახუშტისეულ მთა ლომსიასთან (9. II. 476).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ტოპონიმ ლომსიანთის დაკარგვისა, მისი ნაკვალევი, სხვადასხვა გზითა და სახით, მაინც შემოგვრჩა.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ქართლის ცხოვრება I. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955
2. ქართლის ცხოვრება IV, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1973.
3. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი II, თბ. 1983.
4. ქართლის ცხოვრება II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959.
5. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქიაშვილის გამოც. თბ. 1983
6. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I თბ. 1964.
7. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ. 1990.
8. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), ქრ. შარაშიძის გამოც. თბ. 1961.
9. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ. 1941.
10. იგივე, III, თბ. 1958.
11. ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დას. საქართველოში, თბ. 1960.
12. დ. ბერძენიშვილი. დმანისხევი, კრებ. „დმანისი" II თბ. 2000.
13. С. Какабадзе Грузинские Документы Института Азии М. 1967.
14. Акты собранные Кавказкой Археографической Комиссией, I.

ძვ. წელთაღრიცხვის VIII ს. ურარტულ ლურსმულ წარწერებში, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტომთა შორის გვხვდება დიაოხის, ზაბახას, ქათარზას, ვიძეროხის სახელები. ფიქრობენ, რომ ისინი აღნიშნავენ ტაოს, ჯავახეთის, კლარჯეთის, და სამცხის უძველეს სახელწოდებას–ოძრაჴეს... (1. 377, 383).

ლეონტი მროველის მიხედვით, ოძრჴის დაარსება ლეგენდარულ მამამთავარს–ოძრახოსს უკავშირდება. საქართველოს პირველ მეფეს ფარნავაზს იქ ერისთავი დაუსვამს (2. 9, 24). ქართლის მოქცევის მატიანე ოძრაჴეს მოიხსენიებს ძვ. წ. IV საიდან ურბნისის, კასპისა და სარკინე ქალაქის გვერდით. აქ ამ ქალაქებში ხაზგასმით გამოყოფილია „დაბნები" და „ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრაჴისაჲ" (3. 81). როგორც ამ უძველესი ცნობიდან ირკვევა, მაშინ ქალაქის დაბა და ციხე შეიძლებოდა საერთო გალავანში არ ყოფილიყო მოქცეული. ასე ჩანს ეს სარკინისა და ციხედიდის მაგალითზე, სადაც სარკინის დიდი ნაწილი მტკვრის მარცხნივ, ციხედიდი კი მტკვრის მარჯვნივ იყო. მსგავსი ვითარება უნდა ვივარაუდოთ ოძრჴეშიც, სადაც ციხე მოშორებულია ქალაქისა, თუ დაბისათვის ხელსაყრელი ადგილისაგან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ზემოხსენებულ ცნობასთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ „იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობისა იყო ესა თუ ის ქალაქი, მას შეიძლებოდა ჰქონოდა ციხე... ან უფლისციხე...ე.ი. ამა თუ იმ ქალაქის უფალი ამ ციხეში ყოფილიყო, მაშინ როცა სხვა ქალაქის ციხე უფლისა არ ყოფილიყო პირდაპირ, არამედ ამ უფლის მოხელისა. მაგალითად სარკინის ციხე დიდი უფლისა არ ყოფილა იმიტომ, რომ ამ ქალაქის უფალი მცხეთაში, თუ არმაზში იმყოფებოდა; რაც შეეხება კასპს, ურბნისს, ოძრაჴეს, ამათ უფლები იქვე ჰყავდათ და ეს უფლები ამ ქალაქთა ციხეებში ისხდნენ... ამ ქალაქების გარდა ეს ციხეები უფლობენ, უეჭველია, სხვა მიმდგომ, ნაკლები მნიშვნელობის დასახლებულ პუნქტებზე" (4. 331-332).

ცხადია, რომ უკვე მაშინ ოძრჴე გარკვეულ ერთეულზე გაბატონებული ცენტრი იყო, შემდეგ საერისთავოს ცენტრად

*დაიბეჭდა ჟურნალში „ACADEMIA".ტ. 3, თბ. 2002.

ქცეული. ეს ერთეული უპირველეს ყოვლისა, ოცხისწყალსა და მის შემდინარეებს მოიცავდა, რომელთაგან უმთავრესია: ოძრჴე-ზეკარი, ბარათხევი-ბაია, ორპირი-დიდმაღალი, კურცხანა-ხორო, შემდეგ კი მცირე შენაკადები ქვაბლიანის შესართავამდე და სოფლამდე სახელწოდებით ზადენი.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ შემდინარეთა სათავეები უღელტეხილებით ბოლოვდებიან, რომელთაგან სამი იმერეთში გადადის, კურცხანა-ბოდოკლდით კი გოდერძზე, აჭარაში შეიძლება გადასვლა. ყველა ამ გზათა შესაყარი აბასთუმანთან, უმნიშვნელოვანესი პირობა იყო ოძრჴის ციხე-ქალაქის აქ დაარსება-დაწინაურებისა. რკინისჯვრის უღელტეხილზე გამავალი გზა ისეთი მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალი ყოფილა, რომ იგი აღნიშნულია ახ. წ. IV ს. რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილ რუკაზე. ეს გზა სომხეთის ქალაქ არტაშატიდან ჯავახეთ-სამცხეზე გამოვლით, დღევანდელ სოხუმამდე მიდიოდა. ფიქრობენ, რომ უღელტე-ხილამდე აღნიშნული პუნქტი ოძრჴე უნდა იყოს (Ad mercurium) (5. 108).

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ოძრჴის ცენტრობით ზემოთ მოხაზულ ერთეულს ერქვა „ხევი ოძრახისა". (2. 39) ამასვე უნდა აღნიშნავდეს წყაროებში დადასტურებული ამ სახელის მეორე ფორმაც „ოძრჴევი" და „ოძრჴეველნი", რაც იგივე „ოძრჴის ხევი" და „ოძრჴის ხეველნი" უნდა იყოს. ასეთ გამოთქმას იცნობს ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანიც „უნძრჴევის" ფორმით (6-52, 61). სახელწოდებათა დაბოლოების შეკვეცის მსგავსი მაგალითები ბევრია სამხრ.–დას. საქართველოში: ბონარხევი, ბარათხევი, ღოგადხევი სამცხეში, ჭანჭახევი, ოპირხევი აჭარაში, ასევეა წარმოებული ჩიტწყარო, მგელციხე და თვით აბასთუმანი, რაც აბაზაძეთ უბნის სახელი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ციხე-ქალაქ ოძრჴის თავდაპირველი ქვეყანა იყო მისი ხევი, რომელიც აგრეთვე ოძრჴევად იწოდებოდა. ოძრჴის როლისა და მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა მისი ქვეყანაც, ოძრჴე მთელი სამცხის ცენტრად იქცა, სადაც ოძრჴის ერისთავი იჯდა. I ს. ამბების გადმოცემისას, ლეონტი მროველი წერს, რომ სუმბატ ბივრიტიანმა „აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრჴევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქუან დემოთი". იქ მას დაუტოვებია „ლაშქარნი შემწედ

წუნდელთა და ბრძოლად ოძრჭეელთა". აქ უკვე კარგად ჩანს, რომ მთელი სამცხე ოძრჭევის ქვეყანაა და მასში იგულისხმება დემოთი, ანუ ქვაბისხევი (შდრ.: „ქვეყანა პარხლისა, რომელ არს ტაო"). იმავე ავტორის ცნობით, „იყო ოძრაჭეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი, და იგი დადრგომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა არმაზელისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელნი" (2. 47-48). მეგრელნი აქ ეგრისის, ანუ დას. საქართველოს მცხოვრებლებს ნიშნავს და ოძრხის ერისთავისადმი მათი დახმარებაც, ცხადია, ზემოაღნიშნული უღელტეხილებით უნდა მომხდარიყო.

ოძრხის ხევის თავსა და ბოლოში არსებულ პუნქტებს ასახელებს ანდრია მოციქულის მოღვაწეობის ამსახველი თხზულება. ანდრიას გადმოუვლია მთა, „რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თუთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს". ესაა ცნობილი რკინისჯვრის უღელტეხილი, რომლის ჯვარიც ანდრია მოციქულის აღმართულად მიაჩნდათ. უღელტეხილებზე ჯვრების დადგმა საქართველოში ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო, რომლის მოწმობაა ახლაც მრავალგან შემორჩენილი სახელწოდებანი და ქვაჯვრები (7). რკინისჯვრის დაკავშირება ანდრია მოციქულის სახელთან ამ გზის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. შეიძლება წმ. მოციქულის მიერ აღმართული ჯვრის მიბაძვით გავრცელდა ოძრხის ხევში სახელწოდებანი: ციხისჯვარი, საბაჯვარი-ნასაბაჯვრევი, გორიჯვარი, კარისჯვარი, წყუთაჯვარი-თუთაჯვარი...

ზემოხსენებული თხზულების მომდევნო თხრობიდან ჩანს, რომ ანდრიამ „შთავლო ხევი ოძრახისა და ... დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების „ზადენ-გორა". წმ. ანდრიას ამ სოფელში უნახავს ადგილობრივი კერპთაყვანისმცემლები, რომლებიც „უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან... და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს" (239). ეს პუნქტი ახლაც ცნობილი ნასოფლარია ბენარის მახლობლად. XVI ს-ში კი, გორა და ზადენი ორი სოფელი ყოფილა ერთმანეთის მეზობლად (8. 168, 173).

ქართულ წარმართულ ღვთაებათაგან ზადენი ერთი უმთავრესია. მცხეთის ზადენის გვერდით, ოძრხისხევის ზადენი უდავოდ მიუთითებს იქ არსებულ წარმართულ საკულტო ცენტრზე. ამისივე მოწმობაა ქართველ არქეოლოგთა მიერ

ზადენგორის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოსნიღბიანი ხარის პატარა ქანდაკება საკულტო დანიშნულებისა (9. 673). ამ წარმართულ კერპების დამხობა იყო ანდრია მოციქულის ერთ-ერთი მიზანი, რომლის აღმნიშვნელად ზადენგორის თხემზე სულ ბოლო ხანებამდე იყო შერჩენილი ქეაჯვრის ბაზისი.

V ს-ში ვახტანგ გორგასლის დროს, ოძრხის ერისთავად მოხსენიებულია ბივრიტიანი, რომელიც იქვე სეფეწულად იწოდება. ადრე შუა საუკუნეების საქართველოში სეფეწული, უპირველეს ყოვლისა, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს ერქვა. მეფის მიერ თავისი ნათესავის ოძრხის ერისთავად დასმა, ამ საერისთავოს დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ქართლის სამეფოში. ამიტომაც იყო, რომ ვახტანგმა სიკვდილის წინ, წუნდისა და კლარჯეთის ერისთავებთან ერთად, „მოუწოდა... ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრხისასა და მათ მიათუალა ცოლი თჳსი ელენე და შვილნი მისნი" (2. 204). ამის შემდეგ მეფის ცოლ-შვილი ზაფხულს წუნდაში ატარებდა, ზამთრობით კი ოძრხეში იმყოფებოდა.

VI ს-ში სპარსეთის შაჰმა ქართლში მეფობა გააუქმა და ამის შემდეგ დიდხანს ქვეყანას ერისთავები მართავდნენ. ამ პერიოდის ოძრხის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა რელიეფური წარწერა, რომელიც კურცხანა-ოძრხისწყლის შესართავთან არსებული სამონასტრო კომპლექსიდან უნდა იყოს წამოღებული. რამდენიმეჯერ გამოცემული, იგი სხვადასხვანაირად იკითხება და თარიღდება. ბოლო გამოცემით, ის VII-VIII სს-თა მიჯნას განეკუთვნება. წარწერიდან ირკვევა, რომ მის გამკეთებელს აღუმართავს ჯვარი წმ. ღვთისმშობლის სახელზე. ამ პირის ვინაობა არ ჩანს, მაგრამ ჯვრის აღმართვა მისთვის უბრძანებია მამფალ არშუშა პატრიკიოსს, რომელიც ქართველთა ერისთავი ყოფილა. წარწერაში საუბარია რომელიღაც ციხეში ქრისეპულის (ანუ ბრძანების) მიცემაზე (10. 37).

წარწერის წაკითხვის რომელი ვარიანტიც არ უნდა მივიღოთ, ნათელია, რომ ოძრხესთან არსებული მონასტერი VII-VIII ს-თა მიჯნაზე იწყებს არსებობას, ხოლო წარწერაში მოხსენიებული ციხე ოძრხე უნდა იყოს. წარწერის შინაარსი უთუოდ მოწმობს, რომ ამ დროსაც ოძრხე სამცხის პოლიტიკურ ცენტრად რჩებოდა, თუმცა კი თანდათააn ჰკარგავდა ამ უპირატესობას. ეს კარგად ჩანს არგვეთის მთავრების დავითისა და კონსტანტინეს „წამებიდან", რომლითაც უსარგებლია ისტორიკოს ჯუანშერს VIII ს-ის 30-ანი წლების აღწერისას. ამ

წყაროების ცნობით, მურვან ყრუ „მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა. რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძველ ნაქმართა მისთათვის" (2. 234), ე.ი. იმხანად ძველი დიდებადა შერჩენოდაო... ჩანს, მტერს ციხე-ქალაქი აუღია და დაუნგრევია.

საგულისხმოა, რომ მურვან ყრუს მერე, პირველსავე ხსენებისას ოძრხე ციხედღა იწოდება და თან ისეთად, რომლის ხელახლა აღშენება გამხდარა საჭირო. „მატიანე ქართლისას" ცნობით, 888 წ. გუარამ მამფლის შვილმა ნასრამ „შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჴე, ჯუარისციხე და ლომსიანთა, გუარამისივე აღშენებული" (2. 261). ამ თხზულების ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ეს ციხეები „გუარამისივე აღშენებულნია". გამოდის,რომ გუარამს ლომსიანთის გარდა,სამცხეში აუშენებია ჯუარისციხეც. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ გურამის მიერ აშენებულ ციხეებში იგულისხმებოდა ოძრჴეც; ცხადია, შეკეთების აზრით, რაკი იგი უძველესი ციხე-ქალაქი იყო (11. 97).

ზემოხსენებული ჯუარისციხე, ჟამთააღმწერლის მიხედვით, იგივე ციხისჯვარია, რაც დღევანდელი ციხისძირი უნდა იყოს. ამ ციხის ნანგრევი ახლაც შემორჩენილია ოძრხის ჩრდ.–აღმოსავლეთით, ბარათხევის სათავეებში. ამ სახელწოდების ციხეთა იგივეობას, ჩანს, იზიარებდა ვახუშტი ბატონიშვილიც: ჯვარისციხეს იგი წნისისხევის სათავეებში, „მთასა შინა" მოიხსენიებს, რაც დღევანდელი ციხისძირის მდებარეობას უახლოვდება. იქ კი, სადაც „მესხური მატიანე" მოგვითხრობს ბეჟან გოგორიშვილის მიერ ოსმალთათვის ციხისჯვრის გადაცემაზე, ვახუშტი იმავე ამბის აღწერისას, ჯუარისციხეს ასახელებს (12).

ლომსიანთა დღევანდელი ლექნარის ციხე უნდა იყოს, წინუბნისხევის აღმოსავლეთ ტოტის სათავეებთან. მის მიდამოებში საყურადღებოა მთათა სახელები: რაბათი, საღალატო, ორჯვარი, საკრეულას სათავეზე გამავალ გზასთან კი მეორე რკინისჯვარი. ნიშანდობლივია ციხისჯვრისა და ლექნარის ციხის მსგავსება. ესენი ეგრის-აფხაზეთიდან (ან იქით მიმავალი) გზების მაკონტროლებელი მიუვალი სიმაგრეებია. ჩანს, ოძრხის განახლებასთან ერთად, ამ სიმაგრეთა აგებით, გუარამ მამფალი მთლიან სისტემას ჰქმნიდა ეგრის–აფხაზეთის სამეფოსთან ურთიერთობის მოსაგვარებლად(13. 42-6).

საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში უკვე შენიშნული, რომ IX-ს-ის დამდეგისათვის ციხეების რაოდენობა მატულობს შენდება ახალი, ანახლებენ ძველ ციხეებსაც. ამისი ახსნა „მატიანე

ქართლისას" ავტორს მოეპოვება: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას"(2. 250). ასეთ პირობებში მოუხდა გვარამ მამფალს ოძრხის, ჯუარისციხისა და ლომსიანთის მშენებლობა. მაშინ ოძრხე ძველებურად მთელი სამცხის ცენტრი აღარ იყო და გვარამიც ამ ციხეთა შესავალ მიწა-წყალს იპყრობდა. ამას მოწმობს იმავდროულ სამცხეში „მირიან დიდებული უფლის" გვარამისაგან დამოუკიდებელი მოღვაწეობა. იგი მაშინ სამცხის მთავარი იყო და გიორგი მერჩულის ცნობით, თავისი შვილი კათალიკოსად დაუსვამს (3. 287).

შესაძლოა, გუარამ მამფლის ზემოხსენებული აღმშენებლობის ნაშთი იყოს ციხის გალავნისა და შიგ მოქცეულ შენობათა ნანგრევები, რომლებიც ჩვენმა დაზვერვითმა ექსპედიციამ მოიხილა 1985 წ. ლ. მუსხელიშვილის 1931-33 წწ. დღიურებიდან ჩვენთვის მანამდეც ცნობილი იყო აბასთუმანთან ე.წ. „თამარის ციხის" არსებობა, რომელსაც განსვენებული მეცნიერი XV ს-ზე ადრინდელად თვლიდა. მასვე შეემჩნია გვირაბის თაღოვანი გამოსასვლელი ოცხისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, რომლის ნაწილი ახლა მონგრეულია.

ეს გვირაბი საკმაოდ დამრეც, ტყით დაბურულ ფერდზეა, იგი ზოგან ჩანგრეულია და ამიტომაც ახლა ზევიდანაც ადვილია მისი მიმართულების განსაზღვრა. კლდის მასივი ქვევიდან ზევით ქედს ალმაცერად მიუყვება, სწორედ ამ კლდის შვერილებს ასდევს გვირაბიც. ერთგან ჩანგრეული ნაწილი გვირაბის ზომებს ააშკარავებს იგი აქ კაცის სიმაღლისაა, სიგანე კი ორ მეტრამდეა. გამოდის, რომ მეციხოვნეებისათვის წყლის ამოზიდვა ცხენით, ან ხარითაც მოხერხდებოდა, საჭიროების შემთხვევაში კი გარნიზონიც გაივლიდა (შდრ. რუსთაველთან: „გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან"). იქვე ნაპოვნი თიხის მილის ნატეხი, შესაძლოა მახლობლად წყაროს არსებობაზე მიუთითებდეს. ერთ ადგილას გვირაბი კედლითაა ამოქოლილი, რაც მოგვიანებით მის გაუქმებაზე მეტყველებს.

გაზ. „დროების" 1879 წლის №198-ში, წერილში „ძველი ნაქალაქარის ნანგრევები ოცხეს რაიონში" ილ. ალხაზიშვილი წერდა: „ეს ნაგებობა გადახურულია თაღით, მიემართება მდ. ოცხეს ნაპირებამდე... ბევრ ადგილას თაღი ჩანგრეულია, ჩაველი ნაგებობის შიგნით და მაშინ ცხადად გამოვლინდა, რომ ეს იყო ფარული გზა გაყვანილი ციხიდან მდინარემდე. ნაგებობის შუა

ნაწილს სიმაღლე აქვს ერთ საჟენზე მეტი, სიგანე 1,5 საჟენი. მშვენიერი, თლილი ქვის საფეხურები ეშვებიან მდინარემდე. უნდა გვახსოვდეს, რომ ფარული გზა გაყვანილია სიგრძით სამ ვერზე მეტ ციცაბო მთის ფერდობზე." აღნიშნულ გვირაბს მივყავართ „თამარის ციხისაგან" სრულიად განსხვავებულ კედლებთან, რომლებსაც კურცხანა-ოცხისწყლის გამყოფი ქედის აღმ. ნაწილი უჭირავს. იგი უფრო ოცხისწყლისკენაა გადაწეული: აქედან უფრო ადვილად მოისვლება, კურცხანას მხრიდან კი ციცაბო ფერდები მიუვალია.

გალავნისა და მთის შიგნით მოქცეულ ნაგებობათა წყობა ყველგან ერთგვაროვანია, გადაკეთების კვალის გარეშე: ესაა საშუალო ზომის, თანაბარი კვადრების ჰორიზონტალური მწკრივები კირხსნარზე. ადგილობრივი კლდის მონატეხი ქვები მეტნაკლებად დამუშავებულია და აქაური რეგულარული წყობა მკვეთრად სხვაობს „თამარის ციხის" კედლებისაგან. გალავანი, რომლის სიმაღლე ზოგან 7 მ-მდე აღწევს, ოთკუთხა კოშკებითაა გამაგრებული. უკიდურეს აღმ. ნაწილში, მიწაში ჩამჯდარი მცირე ნაგებობაა, თაღოვანი გადახურვით. მისი ზომებია 1 მ X 2 მ-ზე და პაწია ეკლესია ეგონებოდა კაცს, წინაუკმო დამხრობა, რომ არა: აფსიდა და ორი მცირე კვადრატული ნიშა მას დასავლეთით აქვს, შესასვლელი კი აღმოსავლეთიდან. ჩანს აქ აკლდამა იყო, ან საძვალე. გალავნის შიგნით კიდევ რამდენიმე სათავსის კვალია სრულიად ანალოგიური წყობისა. ქედის ამ ნაწილის ყველაზე მაღალ ადგილას, იმავე წესით ნაგები, ოთკუთხა კოშკის ნანგრევი ჩანს.

აღწერილ ნანგრევებს „თამარის ციხესთან" საერთო კედლები არ აკავშირებს, მაგრამ ძველად, გამაგრების ერთიან სისტემაში, მათ ალბათ მაინც გვერდი-გვერდ უხდებოდათ თანაარსებობა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ნაგებობათა ნაშთები, ამ ორ ნაწილს შორის რომაა შემორჩენილი. საინტერესოა „თამარის ციხის" ჩრდ. შესასვლელის ქვედა,მოზრდილი ლოდების ჰორიზონტალური წყობა; იგი გაცილებით ძველი ჩანს, ვიდრე ამ ციხის ყველა კედელი: შესაძლოა „თამარის ციხის" ძველი ფენისა იყოს ოთკუთხა ნაგებობაც დას. კოშკთან; აქ განძის მაძიებლებს ორი-სამი საფლავი ამოუთხრიათ, რაც აქ ბრტყელსაკურთხევლიანი ეკლესიის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს.

ზემოთ აღწერილი ნანგრევებისა და „თამარის ციხის" თანაცხოვრების პირობებში, ამ უკანასკნელს ალბათ დედა-ციხის

როლი ეკისრებოდა: იგი უფრო გაბატონებულ ადგილზეა, ორივე მხრიდან ყელმოჭრილი. ცნობილია, რომ ამ მიუვალობის გამო, აკროპოლისებს უფრო უწყვეტი ცხოვრების კვალი სხვაგანაც შერჩენიათ. ამიტომაც „თამარის ციხე" გაცილებით გვიანამდე მოქმედებდა, მრავალგზის გადაკეთებული. ჩვენს მიერ აღწერილი ნანგრევები კი აღარ განუახლებიათ. ცხადია, ციხესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს მხოლოდ არქეოლოგიური გათხრები დააზუსტებს, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, ოძრხის ციხის აღმ. ნაწილი გუარამ მამფლის IX-ს-ის მშენებლობას შეიძლება დაუკავშირდეს.

ნახ. 1.



ზემოაღწერილ ციხეებთან დაკავშირებით, საინტერესო ჩანს ოძრხის ეტიმოლოგია, რომელსაც ენათმეცნიერი ალ. ჭინჭარაული გვთავაზობს. მისი აზრით, ოძრხე მომდინარეობს ორ-ძიხე, ანუ ორი ციხიდან (14. 107-120). თუ კი ასეა, მაშინ ტოპონიმი ძველად არსებული, რეალური ვითარების ამსახველი გამოვა.

კურცხანა-ოცხისწყლის გამყოფი ქედის მოხილვამ ქალაქისა და ციხის დამაკავშირებელი კედლები ვერსად დაადასტურა. ქალაქი კი დღევანდელი კურორტისა და მონასტრის მიდამოებში უნდა ვივარაუდოთ. ამის მოწმობაა ზემოთ აღწერილი წარწერიანი ქვები ციხის მოხსენიებით, დღესაც არსებული XIII-XIV სს ეკლესია კურორტის ტერიტორიაზე და ის მცირე ეკლესია, რომელიც გვირაბის გამოსასვლელის სიახლოვეს იდგა ჯერ კიდევ XX ს-ის 30-იან წლებში.

ლ. მუსხელიშვილის არქივში ინახება ს. კაკაბაძის მიერ მოწოდებული ცნობა, რომ 1920-იან წლებში, ელსადგურისათვის არხის გაყვანის დროს, აბასთუმნის აბანოს მახლობლად აღმოჩენილა სამარხი შიგ სასანური მონეტებით. მასვე უთქვამს, რომ დეკანოზ ზედგინიძის გადმოცემით, 1900-1905 წ, წმ. გიორგის ეკლესიის გამოღმა, იქ სადაც მაშინ საფუტკრე იყო, გზის გაყვანისას აღმოჩენილა სამარხი, რომელშიც რომაული მონეტები უპოვიათ. ეს ცნობები აქ ცხოვრების დამადასტურებელია წინა და ადრექრისტინელ ხანაშიც.

წერილში გაზ. „დროებიდან" მისი ავტორი აღწერს მონასტრის ნანგრევებს კურცხანა—ოცხისწყლის შესაყართან (ნახ. 2) და შემდეგ წერს: „ზემოხსენებული მონასტრის დასწვრივ, მდ. ოცხეს ორთავე ნაპირზე გაფანტულია მრავალი ქვიტკირის ნასახლარები, რომელთა შორის უფრო შესანიშნავია მდინარის მხარმარცხნივ ის ალაგი, სადაც გავლილ 1878 წელს გზის გაყვანის დროს ბერძნებმა ქვიტკირის კედელი ააფეთქეს და ერთი ფრიად შესანიშნავი და საინტერესო სასაფლაო აღმოაჩინეს. ამ საფლავში მიცვალებული ქვის კუბოში სვენებულა... კუბოს სახურავადაც ქვაა. ბერძნებს ამ კუბოში უნახავთ ძვლები და თავი (კეჩხა). რამდენად არის მართალი არ ვიცი, მაგრამ ამბობენ კი, ვითომ მარჯვენა მკლავის ძვალზე ოქროს სალტე იპოვეს ბერძნებმაო. აქვე აღმოჩნდა ორი ქვა ხუცურის ზედ წარწერით...ეს საინტერესო ალაგი ერთს მაღალ კლდიან მთის ძირშია და ამის გამო იმ კლდითგან ნიაღვრისაგან ჩამონატან ქვითა და მიწით არის სრულებით წალეკილი და წარღვნილი.




ნახ. 2

ნასახლარები აქ მდინარის მხარმარჯვნივ უფრო მეტია რადგან ვაკე ადგილიც მეტი ჰქონდათ. ამ ნაქალაქევის, ან ნასოფლარის ორთავე ნაწილები ერთთაღიანი კაი მაგარი ქვითკირის ხიდით ყოფილან შეერთებულნი. ხიდს ეხლაც ხმარობენ. ნასახლარების გარშემო ხილნარია გახშირებული... ხიდითგან ქვევით აღმოსავლეთისაკენ რო გაიხედამთ, კლდეში გამოქვაბულ სამ გვირაბს შენიშნამთ.

იმ შესანიშნავ სასაფლაოდგან გზა ვიწრო, ტყით შემოსილ ღელეში, მდინარის მხარმარცხნივ შესდევს და ასიოდე საჟენს რომ გავიელით, წავადგებით ერთს დიდ ვაკე ალაგს, მდ. ოცხის ორთავე ნაპირებზედ მდებარეს, რომელიც მოფენილია ათასგვარი ქვითკირის შენობებით და ხილნარით. ამ ვაკობზე, მდინარის

მარცხენა ნაპირზედ აშენებულია 1875 წელში სამეტაჟიანი კაზარმა, სადაც ერთი როტა სალდათი გამუდმებით სდგას. კაზარმის უკან, ჩრდილოეთის მხრივ ერთი დიდი ნამონასტრალი ეტყობა, რომლის გვერდზედაც მთავარმართებლის თ. ვარანცოვის ბრძანებით აშენებულა ახალი ეკლესია. ეს ეკლესია კარგი და მშვენიერია; წირვა-ლოცვა აქ მხოლოდ ზამთრობით არის ზემოხსენებული სალდათებისათვის, ზაფხულობით კი აბანოებთან გოსპიტლის ეკლესიაში სწირავდნენ ხოლმე საბანაოთ მოსული ხალხისათვის... ახალი შარის გზა კაზარმის წინ არის გაყვანილი და ამ გზის თხრის დროს, ბევრგან აღმოჩენილა მთელ-მთელი თონეები, ქვევრები, ორმოები, წყლის რუები და სხვა, რომელნიც ახლაც ატყვია გზის ნაპირებზედ. აქვე, ოცხის მარჯვენა ნაპირზე პატარა ნასაყდრალი დგას მთელთაღიანი, რომლის გარშემოც ორასამდე ქვითკირის ნასახლარები ეტყობა...” შემდეგ აღწერილია „თამარის ციხე” და ხალხში შემორჩენილი თქმულებები თამარის აკვნის, სარკისა და კიდობნის შესახებ, რომელიც ავტორს ვეღარ უპოვია.

ოცხისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, კაზარმიდან ზევით ნახევარ ვერსტზე, პატარა გორაკზე მას ორმოცამდე საფლავი უნახავს. გათლილი ქვის ფილებით შედგენილ ქვაყუთებს სახურავი ქვები ზოგან მოგლეჯილი ჰქონიათ. საფლავების ინვენტარზე არაფერია თქმული (15).

ზემოთ აღწერილი ნაშთების გარდა, ქალაქის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია მინერალური წყლის ცხელი აბანო, რომლის სამკურნალო თვისებები ასე აქვს აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილს: „არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მსგავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მასზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან” (16. 125). ასეთი აბანოები ძველ საქართველოში დიდი ყურადღების ობიექტებად ითვლებოდა. ოძრხის ეს აბანო ერთნაირად მიმზიდველი იყო ძველი ერისთავების, ვახტანგ გორგასლის ცოლ-შვილის, თუ რუსი დიდი მთავრისათვის. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ისიც, თუ რა როლი ითამაშა გოგირდოვანმა თბილმა წყალმა თბილისის დაარსებისა და მისი სახელის წარმოქმნაში.

მიუხედავათ გუარამ მამფლის აღმშენებლობისა, „ახალქალაქობის ხანისათვის” ოძრხე აღარ იყო სამცხის

ძირითადი ცენტრი. აქ თანდათან სხვა პუნქტები დაწინაურდნენ ყველი, ჯაყი, აწყური, ახალციხე, რომლებიც სამცხეში ასევე მიკროქვეყნებს შეადგენდნენ. ამათ გვერდზე იყო ოძრხის ერთეულიც, რომელიც IX-X სს-ში ისევ „ხევ"-ად იწოდებოდა. ამაზე მიუთითებს ერთი წარწერიანი ქვა, ზარზმის მონასტერში რომ ინახება ამჟამად.

გიორგი ბოჭორიძის სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის დღიურიდან ჩანს, რომ 1932 წლისათვის ეკლესიის ქვები ასომთავრული და ნუსხური წარწერებით, უკვე ზარზმაში იყო გადატანილი აბასთუმნიდან. ახლა ამ ქვათა წარმომავლობა არავინ იცის, მაშინ კი ეს ცნობა ადგილობრივ მოსახლეობას მიუწოდებია მკვლევრისთვის. და აი, ერთი მოზრდილი ქვის გადანატეხზე, ნუსხურ წარწერაში იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ჴევისუფ(ალი) ძნელა(ჲ)". წარწერას მარცხნივ ახლავს მოგრძო, რელიეფური ჯვარი, გამოსახული დადაბლებულ ფონზე. შესაძლოა წარწერა ყოფილიყო ჯვრის მარცხნივაც, ქვის ჩამოტეხილ ნაწილზეც.

მეორე ქვა სარკმლის თავსართია, შუაში ლომის რელიეფური ფიგურით; მის მარცხნივ წრეში ჩასმული რვაკუთხედია, შექმნილი ორი კვადრატის ერთამანეთზე დადებით, რომლის შუაგულში რაღაც გამოსახულებაა. ლომის მარჯვნივაც ასეთივე რვაკუთხედია, შუაში გეომეტრიული ორნამენტით. ამის ქვევით,ორი გრეხილი ლილვით სარკმლის რელიეფური წარბია გამოხატული, რომლის ქვეშაც ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე, შეიწყალე ისაკაი, შვილნი მი(სნი)".

ჩუქურთმითა და პალეოგრაფიული ნიშნებით, ეს ორი ქვა IX-X სს-ით შეიძლება დათარიღდეს. გადმოცემა ამ ქვების აბასთუმნიდან წარმომავლობის შესახებ, ძველ ოძრხესა და მის მიდამოებს უნდა გულისხმობდეს; უფრო კი მონასტერს კურცხანა-ოცხისწყლის შესაყართან. როგორც არ უნდა იყოს, ნათელია, რომ ძნელა ხევისუფალია ოძრხის ქვეყნისა, ან მასში შემავალი კურცხანის ხეობისა, სადაც სწორედ ამ დროის ძეგლები ჭარბობს.

ოძრხე XI ს-ის 50-ან წლებში, ჩანს სამეფო ყოფილა. 1058 წ, როდესაც სულა კალმახელმა ბაგრატ IV-ს დაუძინებელი მტერი ლიპარიტ ბაღუაში შეიპყრო და მეფეს მიჰგვარა, ამ ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, ბაგრატმა „უბოძა სულას მამულობით (ე.ი. სამემკვიდრეოდ –დ. ბ.) ციხისჯუარი და ოძრჴე ბოდოკლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღდელო-მოძღურონი. და

რაცა უნდა"-ო, მოგვითხრობს მატიანე ქართლისა (2. 305).

ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი ამ ადგილს ასე გადმოსცემს: „მისცა სულას ციხისჯვარი, ოძრხე და დიდძალი საჩუქარი"(6. 228). ბოდოკლდეს მთარგმნელი არ იხსენიებს, ჩანს მას ოძრხეში გულისხმობს. გამოთქმა „ციხისჯუარი და ოძრჴე ბოდო-კლდითა", გამომხატველია იმისა, რომ ციხისჯვარი და ოძრხე ამ დროს თანაბარი მნიშვნელობის პუნქტებია, ბოდოკლდე კი, უფრო ნაკლები მნიშვნელობისა, რომელიც ოძრხეზე ჩანს დამოკიდებული. ბოდოკლდე ორი დიდი ნასოფლარი და ციხის ნანგრევია კურცხანის მარჯვენა ტოტის სათავეში. აქაური ნასახლარებისა და ეკლესიების სიდიდე და ხარისხი მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მეტყველებს. ნასოფლარები გათხარა და შეისწავლა ლ. მუსხელიშვილმა, რომელმაც ისინი X-XI სს-ით დაათარიღა.

ამ ნასოფლართა გავლით ადის ცხენის ბილიკი ბოდოკლდის ციხესთან, საიდანაც გადადის სოფ. ენთელში, საირმესა და ქვაბლიანის ხეობის სხვა სოფლებში. იგივე გზა უერთდება ზარზმა-გოდერძის ძირითად მაგისტრალს აჭარისაკენ. ბოდოკლდე კურცხანის მფლობელთა სიმაგრეა და აქაური გზის მაკონტროლებელი.

ციხისჯვარი, ანუ ციხისძირი, როგორც ახლა მას უწოდებენ, ბარათხევის სათავეშია, მიუვალ კლდეზე ნაგები, რომელიც იმერეთისაკენ მიმავალ გზებს ჰკეტავს; ესენია: ოძრხე-ბარათხევით მიმავალი ცხენის გზა, სამცხის სვირიდან ქედზე გადმოსული გზა და წინუბნისხევს ამოყოლილი გზა. ეს გზები ციხის მიდამოებში შეიყრება და უღელტეხილით გადავა ხანისწყლის ხეობაში ხანში, ბაღდათში, ვარდციხეში. ციხიდან ამ მანძილს ცხენით ოთხ საათში გადიან. ციხისჯვრიდან ზეკარისკენაც მიდის გზა ქედის ჩრდილოეთით, რასაც ერთი საათი სჭირდება. ამავე ციხიდან ოძრხისაკენ ბარათხევით ჩამავალი გზის მარჯვნივ საინტერესოა ტოპონიმი ნაქალაქარი, რომელიც ნასახლარებს ეწოდება (ნახ. 3).

სულა კალმახელისათვის სამემკვიდრეო მფლობელობაში ამ სამი ციხის ბოძებით, ხდებოდა ოცხისწყლის მთელი ხეობის, ძველი ოძრხის ქვეყნის გადაცემა აზნაურის მფლობელობაში, რაც ამიერიდან ფეოდალურ მამულად ჩამოყალიბდა. სულამ, ჯაყელთა საგვარეულოს ერთი შტოს წარმომადგენელმა, სამცხეში მიიღო იმოდენა და ისეთი მნიშვნელობის ქვეყანა, რომ იგი

გახდა ახალი პოლიტიკური ერთეულის-საათაბაგოს შექმნის ფუძემდებელი (17. 26). ამ ახლადჩამოყალიბებულ ფეოდალურ მამულში ოძრხის როლი შემცირებული ჩანს. წინა პლანზე ციხისჯვარი გამოდის, რომელიც იმერეთის უღელტეხილებთან უფრო ახლოა, ვიდრე ოძრხე. ამიტომაც მოხდა, რომ ჯაყელთა საგვარეულოს აქაურმა შტომ ჯაყელ-ციხისჯვარელთა სახელი დაიმკვიდრა და არა ჯაყელ-ოძრხელისა.



ნახ.3. ციხისჯვარი, გეგმა ჩანახატი

1190 წ-ს თამარის წინააღმდეგ აჯანყების დროს, მეფეს უღალატეს ბოცო სამცხის სპასალარმა და სხვა მესხმა დიდებულებმაც, გარდა „ივანე ციხისჯუარელისა რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების; ესე დამაგრდა თჳსითურთ მოკიდულითურთ, ვითარ გუარ ეყოდაცა მომგონებელ სულადსა ერთგულებისად, რომელმან ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს-ო", მოგვითხრობს თამარის ისტორიკოსი. აჯანყებულებმა დადიანის წინამძღოლობით, იმერეთიდან „გარდაიარეს რკინის ჯუარი და ჩავიდეს ციხისჯუარს". შემდეგ „დაწუეს ქალაქი ოძრჴე" (18. 49, 51). მოტანილი ამონაწერებიდან კარგად ჩანს, რომ ციხისჯვარი და ოძრხე ისევ ერთიანი ფეოდალური მამული ყოფილა, რომ პირველის აღებით მეორის დამორჩილება ადვილდებოდა, თორემ ოძრხეში ციხისჯვერის გაუვლელადაც შეიძლებოდა მისვლა ზეკარით. ისტორიკოსი ციხისჯვრისა და ოძრხის ციხის აღებაზე არაფერს ამბობს, მხოლოდ ქალაქის დაწვას იხსენიებს. ივანე ციხისჯვარელზე ნათქვამი „დამაგრდა თჳსითურთ მოკიდულითურთო", იმას უნდა ნაშნავდეს, რომ ეს ციხეები აჯანყებულებს ვერ აუღიათ.

1205 წ. ბასიანს საომრად ლაშქრის გასტუმრების შემდეგ, მეფე თამარი ვარძიიდან ოძრხეს მოსულა. მას თან ახლდნენ ქართლის კათალიკოსი თევდორე, ეპისკოპოს-მონაზონნი, იოანე შავთელი და „ევლოგი სალოსად წოდებული წინასწარმცნობელობისა ღირსქმნილი". მეფეს ეკლესია-მონასტრებისა და სოფლებისათვის უბძანებია ელოცათ ქართველთა გამარჯვებისათვის, თვითონაც დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა. ეს ლიტანიობა ალბათ ოძრხესთან მდებარე მონასტერში ტარდებოდა, სადაც ბერ-მონაზონთა სენაკები მრავლად იყო.

თამარის ისტორიკოსის სიტყვით, მეფესთან მყოფ ევლოგის ერთ დღეს „განკჳრვება დაეცა... სამგზის, და მეყსეულად ახლტა და ჴმა ყო: „აჰა წყალობა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია და ივლტოდა და აღვიდა მთასა, რომელსა ჰქჳან არაგანნი" (18. 95, 98). იქვე მყოფ შავთელს მეფისათვის განუმარტავს, რომ ეს კეთილი ჩვენება იყო. წინასწარმეტყველება მართლაც ამხდარა, ქართველთა ლაშქარს გაუმარჯვეია. მოტანილ ციტატაში ასე ნიშანდობლივ დასახელებული მთა არაგანნი, სადაც თამარის კარიდან გაქცეული ევლოგი ასულა, ოძრხის მახლობლად უნდა ყოფილიყო. ასეთი სახელი ახლა არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით შორეულ მსგავსებას

ტოპონიმთან არაზინდო...

1260-იან წლებში, მონგოლთა ბატონობის დროს, არღუნ ყაენი სამცხეში შემოვიდა და მოადგა ციხისჯვარს. მიუხედავად მტკიცე ზღუდეების უქონლობისა, მიუვალი სიმაგრის მეციხოვნენი მტერს მედგრად შებმიან. ჟამთააღმწერლის სიტყვით, არღუნმა „ვითარ იხილა სიმტკიცე ციხისჯვარისა, რომელ არს ჯუარის ციხე, აიყარა და წავიდა" (18. 241-242). ნიშანდობლივია, რომ ამ ოცდღიანი საომარი ოპერაციის აღწერისას, ოძრხე არ იხსენიება. სამცხეში მყოფი ულუ დავითიც აწყურში ჩერდება და არა ოძრხეში. ჩანს ეს უკანასკნელი დაცემის გზაზე დგება სამცხეში მომხდარი ამაოხრებელი ომების დროიდან მოყოლებული.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ოძრხის ქალაქი და ციხე XV ს-მდე არსებობდა, შემდეგ კი დაბად შემორჩა. შეიძლება ვიფიქროთ, მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ოძრხისხევის ერთეული: ნ. ბერძენიშვილს 1933 წ. ჯავახეთში მოგზაურობისას, ვანისქვაბთა „თეთრ ეკლესიაზე", მხედრული ასოებით მინაწერთა შორის ამოუკითხავს: „ქ. ფრიად ცოდვილსა ოძრჴელელსა დეკანოზისა შვილსა ლუკას შეუნდვენ ღმერთმან" (19. 121). ავტორის მიერ XV-XVI სს.-ით დათარიღებული ეს წარწერა იმითაა საინტერესო, რომ აქ დასახელებული ლუკა მამისშვილობითაა მოხსენიებული": დეკანოზისა შვილი, ე.ი. ამ დროს ოძრხის მონასტერი ისევ მოქმედი იყო. ასევე საინტერესოა სიტყვა „ოძრხელელი". ოძრხე-დან მოსალოდნელი იყო ოძრხელი-ოცხელი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, დამწერი გულისხმობდა ოძრხის ხევს „ოძრჴევს", საიდანაც გამოვიდოდა „ოძრჴეველი-ოძრჴელელი" (20).

ახალი ქც-ის მესამე ტექსტი მოგვითხრობს, რომ სამცხეში საომარ მოქმედებათა გამო, 1546 წ. იმერეთის მეფე ბაგრატს აწყურის ღმრთისმშობლის ხატი წაუსვენებია ციხისჯვარს; 1553 წ-ს კი „ციხისჯუარიდამ აწყურისა ღმრთისმშობელი ტყუედ წაასვენეს იმერეთს"(18. 500, 501). მესხური მატიანის ცნობით, 1564 წლის აგვისტოში, ციხისჯვარს ყოფნისას, ყვარყვარე ათაბაგს შვილები შეეძინა—ბასილი და ბექა-პავლე. ბუნებრივია, აქ სოფელი ციხისჯვარი იგულიხმება, ციხის ჩრდილოეთით მდებარე, სადაც ჩანს ათაბაგი საზაფხულოდ იყო ამოსული. ე.ი. ციხისჯვარი მაშინ ათაბაგს ეკუთვნოდა, მაგრამ უკვე 1587 წ. იმავე წყაროს მიხედვით, „გოგორიშვილმა ბეჟან ციხისჯუარი უკუიჭირა და მისცა ფაშას"(22. 77, 56).

XVI ს-ის შინაომების დროს, ათაბაგის მეუღლემ ვარაზა შალიკაშვილი მოაკვლევინა, რომელიც შაჰ–თამაზის ცოლის ძმა იყო. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, 1574 წ ირანის შაჰი სამცხეში შემოსულა, აუკლია იგი და განსაკუთრებით გაუოხრებია ოძრხე (23. 577).

1595 წლით დათარიღებულ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ფრიად საყურადღებო ცნობებია შემონახული ოძრხისა და მისი ნაჰიჲეს შესახებ. აქ იგი ახალციხის ლივის ერთ-ერთი რაიონია და 25 სოფელს აერთიანებს ოძრხისწყლისა და კურცხანის ხეობებისას. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ამ ნაჰიჲეს ცენტრია ოცხის ციხე და მისი რაბათი. ესაა 48 კომლით დასახლებული პუნქტი, რომელსაც დავთრის მიხედვით, უკვე ოცხე ჰქვია, აქვს სიმაგრე, წმინდა უბანი (ანანურწმინდა?). ასევე სათესველები სახელწოდებით: კურდღელაანთუბანი და ყანობირი.

ოცხეს ექვემდებარებოდა ამ დროს კურცხანის ნასოფლარები ბოდოკლდე და დათვეთი. ასევე ექვსკომლიანი მონასტერი, რომელიც ოსმალო აღმწერლებს სოფლის საკუთარ სახელად მიუჩნევიათ (8. 162). ესაა ზემოთ ხშირად ნახსენები მონასტერი კურცხანისა და ოცხისწყლის შესართავთან. კურცხანის, ისევე როგორც ოცხისწყლის სხვა შემდინარეთა ბევრი ნასოფლარი, ალბათ გაპარტახების გამო, დავთარში აღნიშნული არაა. არ ჩანს არც ციხისჯვარი-ციხისძირი და სხვა პუნქტები, რომელთა რიცხვი ნაშთების მიხედვით, გარდა დავთარში აღწერილი სოფლებისა, კიდევ ოცამდე დაითვლება.

XVI საუკუნის ოცხის ნაჰიჲე, გამოძახილი უნდა იყოს ადრეული „ხევი ოძრახისა", ანუ „ოძრხევისა", „ციხისჯუარი და ოძრჴე ბოდო-კლდითა", ე.ი. სამცხის ერთ–ერთი თემი ახალი პუნქტების დამატებით. ოსმალების მიერ დაპყრობილი სამხ. საქართველოს ადმინისტრაციული დანაწილება ამ მხარის ძველი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების გათვალისწინებით ხდებოდა, რასაც ჯავახეთის მაგალითიც ადასტურებს (24. 115).

დავთარში სოფ. აბასთუმანთან აღწერილია სოფ. თომასკერტის ციხის რაბათი, ათკომლიანი სოფელი, სადაც ოცხის ლივის სანჯაყბეგის, ვინმე ხიდირის მამული ცალკეა აღრიცხული. ს. ჯიქიას ამ სოფლისა და ციხის ადგილმდებარეობა გარკვეული არ აქვს და ამდენად არც რუკაზეა იგი დატანილი (8. 164, 176).

დღევანდელი სოფ. აბასთუმანი ძირითადად ოცხისწყლის

მარცხენა ნაპირზეა, თუმცა კი მარჯვენა სანაპიროც ამათვე აუთვისებიათ. სწორედ მარჯვენა სანაპიროს განმხოლოებულ, მოგრძო გორაზე შერჩენილია ციხე–გალავნის ნანგრევი, რომლის ფართობია 65 მ X 25 მ. ციხეს ორი მრგვალი კოშკი ჰქონია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბოლოებში. პირველი ოთხსართულიანი ყოფილა, მეორეში კი, მოგვიანებით ეკლესია გაუმართავთ, შეისრული თაღით. ნაგებობას სხვადასხვა აღმშენებლობის პერიოდი ეტყობა, სადაც გვიანი წყობა ჭარბობს: მცირე ზომის ნაგლეჯი კლდის ქვა, ბათქაშის ჭარბ ხსნარზე. ანაკრეფ კერამიკაში არის წინარექრისტიანულ ნაშთები, ქვის ხელსაფქვავი, ასევე მოჭიქული კერამიკის ნატეხები. ციხის ჩრდილოეთით ნასახლართა ბუდეებია. ცხადია ესაა სოფ. თომასკერტის ციხის რაბათი, სადაც ხიდირის მამული ყოფილა, ეს ციხე კი, შესაძლოა ხიდირ სანჯაყ-ბეგის სადგომიც იყო.

ზემოხსენებულ ლოკალიზაციას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება: ოცხის ნაჰიჲეს აღწერის ბოლოს, ხიდირ სანჯაყ-ბეგის მამულთან აღწერილია სოფ. გიორგეთუბანი, მეორე სახელი გიორგეთის ციხე. გამოდის, რომ დავთრის დროს ეს ნასოფლარი გაუქმებული ციხის ნანგრევის სახელს ატარებდა. მართლაც, თომასკერტიდან 2,5 კმ-ზე ჩრდილოეთით, ოცხისწყლის მარჯვენა ნაპირზე, კიდევ ერთი ციხის ნანგრევია შემორჩენილი. მას კლდოვანი ბორცვი უკავია, აშკარად ჩანს ქვედაციხის გალავანი და ზედაციხე, დამხრობილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. აღმ. კედელში ნახევარწრიული ბურჯია, რომლითაც ქვედაციხეში შევდივართ. ზედაციხის ფართობია დაახლ. 45 მ X 12 მ. კედლის წყობა რეგულარულია, საშუალო ზომის ლოდები კირხსნარზეა ნაწყობი. მოგრძო ქვების ჰორიზონტალური მწკრივები ზოგან იცვლება და ისინი სიმაღლეზე, ვერტიკალურადაა ჩალაგებული. კედლის სისქე 1 მ-ია. სამხრეთის მთავარ კოშკს ორი სამზერი აქვს, რომლებიც ქვევიდან მომავალ, კლდეში გაჭრილ გზას გაჰყურებენ. წყობის მიხედვით, ციხე განვითარებული შუა საუკუნეებისაა და არც გვიანი შეკეთების კვალი ეტყობა. ეს უნდა იყოს ოცხის ნაჰიჲეში 25 პუნქტად აღნიშნული გიორგეთისციხე, რომელსაც მოგვიანებით გიორგეთუბანი დარქმევია, ალბათ ციხის გაუქმების შემდეგ. ამას უნდა ადასტურებდეს ისიც, რომ დავთარში ამ ციხის რაბათი კი არა, არამედ სოფ. გიორგეთუბანი იხსენიება, სადაც ორი კომლი ცხოვრობდა (25. 130; 8. 176).

დავითის დროს აღარ მოქმედებდნენ ბოდოკლდისა და ხერხემის ძველი ციხეები: ბოდოკლდე იქ უმოსახლო ნასოფლარია, ხერხემი კი 29 კომლიანი სოფელი, რომელიც ციხის რაბათს აღარ წარმოადგენს (25. 123; 8. 169), მიუხედავად იმისა, რომ ხერხემის ციხე დღესაც კარგად შემორჩენილა. ხერხემი მესხურში ხერხემალს ნიშნავს (26) და ადგილზე მნახველიც უმალ რწმუნდება ამ შედარების სიზუსტეში: კლდოვანი ქედის ვიწრო ხერხემალი მთლიანად უკავია ციხე-გალავანს, დამხრობილს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ორი მოზრდილი კოშკი გალავნის თავსა და ბოლოში ციხის ორ შემოსასვლელს სდარაჯობს. მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთისაა, სადაც კარგად შერჩენილა თაღი და კედლებში ხვრელები კარის საკეტი ურდულებისათვის. კარის მარჯვნივ ოთხკუთხა კოშკია, ფართობით 10 მ X 12 მ. მისი კედლები დაახლოებით 15 მ-ის სიმაღლისაა და 4-5 სართულიანი უნდა ყოფილიყო. სართულებს შორის გადახურვისთვის კედლებს კარგად ეტყობა ბუდეები ძელებისათვის. კოშკი ნაგებია მცირე ზომის, თანაბარ ქვათა მწკრივებით, შეინიშნება სხვადასხვა პერიოდის წყობა. კოშკის კუთხეები გარედან მომრგვალებულია.

გალავნის ზედა კოშკამდე შიდა ეზოში, სამხრეთ კედელთან კიდევ ერთი ნაგებობის კვალია, ჩრდილოეთით კი ეკლესიის ნანგრევი. მისი სამხრეთი კედელი განსხვავებული ჯიშის გათლილი ქვებით ყოფილა მოპირკეთებული. ამათგან სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ოთხი ლოდიღა შერჩენილა, დანარჩენი გაზიდულია. ამ დარბაზულ ნაგებობას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს და ერთი სამზერი ჩრდილოეთ კედელში. უნდა ვიფიქროთ, გალავნის სამზერიან კედელს შემდგომში მიადგეს ეკლესია. შემორჩენილია ნაშთი საკურთხევლის და ეკლესიის შუა თაღისა. არავითარი ჩუქურთმა ამ ნაგებობას არ ახლავს. ის შეიძლება XIV-XV ს-ისა იყოს.

ციხეში ყველაზე უკეთ შემორჩენილია დას. კოშკი, რომელსაც გაბატონებული მდებარეობა აქვს. ესაა გარედან მომრგვალებული, ეზოსკენ კი ბრტყელი კედლით მოქცეული ოთხსართულიანი შენობა. მისი შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა, ბრტყელი კედლის მეორე სართულზე, ჩანს მისადგმელი კიბით. კოშკის ქვედა სართულის ფართია 4 მ X 5 მ; მესამე და მეოთხე სართულშორისი ცილინდრული გადახურვა გათლილი ქვებისაგან შემდგარ ერთ თაღს უჭირავს. კედლებში მაღალი

საისრე ნიშებია დატოვებული მშვილდის ჩასადგმელად, რომლებიც კედლის სიღრმეში ვიწროვდებიან. ისინი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ამომავალ ბილიკებს დაჰყურებენ.

დასავლეთის მხრიდან გალავანს მეორე შემოსასვლელი აქვს. კოშკის მეოთხე, საბრძოლო სართულის ჩრდ. მხარეს სალოდეების ნაშთიც შერჩენია. ამ ნაგებობას უკეთ ეტყობა ძველი წყობა: გარედან მცირე, თანაბარი ზომის ქვათა რეგულარული მწკრივები კირხსნარზე; ამავე დროს ეს მოგრძო ლოდები კედლის სიღრმეში პერპენდიკულარულადაა ნაწყობი. ციხის ეს ძველი ფენა VIII-IX ს-ისა შეიძლება იყოს (ნახ. 4).



ნახ. 4.

ხერხემისწყლის მეორე მარჯვენა ნაპირზე, ციხისაკენ ნაგზაური მიდის, იგი ნასოფლარს მიადგება. აქ უნდა ყოფილიყო სოფ. ხერხემი. ნასოფლართან მჟავე წყაროა და გაშლილი სახნავ-სათესი. აქედან ერთი გზა ციხეზე მიდის, მეორე კი ხერხემისწყალს მიჰყვება საძოვრებისაკენ. გზასაყართან კლდეზე კედლები მოჩანს. წყობა ციხის თანადროულია და უნდა ვიფიქროთ, მისივე სისტემის ერთ-ერთი კოშკი იყო, ამ გზათა მოდარაჯე. ხერხემისწყლის

აყოლებით, ციხის მოპირდაპირე ქედზე გამოქვაბული მოჩანს. იქ ორი-სამი მ-ის სიმაღლის კედელია ამოშენებული, საერთო იერით მოგვიანო პერიოდისა. სიახლოვის გამო, შესაძლოა, ისიც ხერხემის ციხესთან დავაკავშიროთ.

ზემოთ აღწერილი ციხისა და სოფლის მფლობელი აზნაური უნდა ყოფილიყო ხერხემელი, რომლის შთამომავლობა ჰერჰემელისძეთა თავადურ საგვარეულოდ ჩამოყალიბდა სამცხეში. აღნიშნული საგვარეულო იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში": დაახლ. 1306 წ. თურქები ტაოს შემოესივნენ. ჟამთააღმწერლის სიტყვით, „ვაშლოვანით წარსულნი თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისჴევს უვალთა ადგილთა, რომელნი მოისრნეს ჰერჰემელისძეთა აზნაურთაგან" (18. 311). როგორც ჩანს, ხერხემლისძეთა მეთაურობით, ქართველებს ამ დიდი შემოსევის ერთ-ერთი ომი მოუგიათ.

მურღული და ნიგალისხევი ჭოროხის შენაკადებია კლარჯეთში, ჯანეთის სიახლოვეს. ხერხემლისძეთა იქ მოხსენიება შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ აღნიშნული საგვარეულოს ერთი შტო მაინც, სამცხიდან დასავლეთით გადასულა. ამასვე უნდა ადასტურებდეს ისიც, რომ 1312 წ. ხერხემლისძეთა ასული სწორედ კლარჯეთში, ანჩის საყდარს სწირავს სამღვდელთმთავრო ოლარს, რომლის ამოქარგულ ასომთავრულ წარწერაში იკითხება: „ანჩისა ხატსა და საყდარსა მისსა მოვაჴსენე და შევსწირე წმიდაი ესე ოლარი დაუდე ანჩელსა ებისკოპოსსა მე თამარ ხერხემლისძისა ასულმან სალოცავად სულისა ჩემისათვის და რაოდენიცა ებისკოპოსნი იჴმარებდეთ, ლოცვასა მომიჴსენებდეთ. ღმერთო აჴმარე ესე ოლარი ანჩელს იოვანეს და შემდგომად ძმათა მისთა მღვდელთ-მოძღვართა სათნოდ შენდა მწყემსობასა შინა. ქორონიკონსა ფლბ-სა" (27. 183).

სვანეთის სოფ. იენაშის ეკლესიაში ყოფილა ხატი წმ. ბასილისა, რომლის წარწერაში იკითხება: „წმიდაო ბასილ, მფარველ მექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა იოვანე ხერხემელსა." ხატი XIII-XIV ს-ით თარიღდება და მისი წარმომავლობა უცნობია (28. 344). იმავე XIII-XIV ს-ით თარიღდება ერთი სვანური საბუთი, რომლითაც იმერეთის მეფე კონსტანტინე, აზნაურ გოშგოთელიანს ნასისხლად უმტკიცებს მისსავე ნაქონებ ხორხომელისძეს (29. 113). თუ ზემოხსენებული გვარი ხერხემლისძეს უკავშირდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გვარის წარმომადგენლები სვანეთშიც დამკვიდრებულან.

ვახუშტისათვის ხერხემი და ხერხემლისძენი უცნობი იყო. ჟამთააღმწერლის ზემოხსენებულ ეპიზოდს თურქთა შემოსევის შესახებ იგი ასე გადმოსცემს: თურქები „ჩამოვიდნენ მტკვრისს და ნიგალის-ჭევს, მოსრეს აზნაური ხერხეულისძე" (12. 24 9). მისივე აზრით, „ხერხეულისძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას, არამედ არს მოსლვა მისი შემდგომად გაყრილებისა" (16. 25).

ანჩის საყდრის ოლარის ზევით მოტანილ წარწერას რომ ეხებოდა, თ. ჟორდანია შენიშნავდა, რომ ხერხემლისძეთაგან მომდინარეობენ ხერხეულისძენი, რომელნიც XVII ს-ში იხსენიებიან სამცხის აზნაურებადო (30. 175-176). ხერხეულისძენი, პირველად XV ს-ში ჩნდებიან. ესენი არიან ხერხეულიძე ჯავშანა, მისი ძმები აღნია და გოგი, კახეთს მოახალშენენი 1466-71 წლებში. მეფე გიორგის ისინი თავისი მამულით სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს (29. 284). ამ გვარის წარმომადგენლები შემდგომში ხშირად იხსენიებიან, მაგრამ მათი კავშირი სამცხესთან აღარ ჩანს.

1516 წლის მცხეთის საპატრიარქოს სამცხეში საქონებელსა და სამწყსოს სიაში. ჭერჭემლისძეთა მამული სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიით, უკვე თაქთირისძეთა გვარს ეჭირა (22. 33). უნდა ვიფიქროთ, აქ პირველ ყოვლისა სამცხის სოფელი ხერხემი, ციხე და მისი მიდამოები იგულისხმებოდა. ხერხემლისძენი ამის შემდეგ აღარ იხსენიებიან. დღემდე შემორჩნენ ხერხეულიძენი (თუ ისინი ხერხემლიძეთაგან მოდიან) და თავდგირიძეები (თაქთირიძე, თაგდირიძე თადგირიძე, თავდგირიძე).

იოანე ბაგრატიონი ხერხეულიძეთა საგვარეულოს შესახებ წერდა: „ესენი არიან ძველად სამცხესა შინა ადგილის ხერხეთის მცხოვრებნი და მათის ხეობისა მოხელენი. დროსავე თამარ მეფისასა და ამათ ნათესავთაგანიცა იყო მოხელედ კავკასიასა შინა, ადგილსა ნარად წოდებულსა, რომელმანცა მუნებურისა კარგისა გვარისა ოსისა გორჯიშვილისა ქალი შეირთო ცოლად და მის გამოცა შვილთა მათთა უწოდდნენ გოჯიანად. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა დიდისა თეიმურაზისა, ოდეს სპარსნი მოვიდნენ ურიცხვითა მხედრობითა საქართველოსა ზედა და ბრძო მეფემან თეიმურაზ ადგილსა მარაბდად წოდებულსა წელსა ქრისტეს აქეთ 1633-სა, ამა ბრძოლასა შინა მხნედ გამოჩნდა აღათანგი ხერხეულიძე, რომელიცა იქმნა წარჩინებულ და მერე შთამომავლობანიცა იყვნენ პატივცემულ მეფეთაგან და

მოხელენიცა იყვნენ სხვადასხვა სამსახურსა შინა, და აწ არიან ხერხეულისძენი სხვადასხვა სახლად: 1) დავითის შვილები, 2) გიორგის შვილები, 3) ჯამასპისშვილები, 4) ალათანგისა და მისის ძმისწულის შვილები და სხვანი კიდევ ზაქარიას შვილები და მკვიდრობენ ქრცხინვალის ნაწილებთა ადგილთა შინა" (31. 28-29).

ზოგიერთ უზუსტობასთან ერთად („ხერხეთი", მარაბდის ომის თარიღი) აქაც დამოწმებულია აზრი ხერხეულიძეთა სამცხის ხერხემიდან წარმომავლობის შესახებ. ჩანს, ამ საკითხს შემდგომი კვლევა სჭირდება.

XVII ს-ში გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით, იოსებ თბილელი სამცხის სხვა პუნქტებს შორის იხსენიებს ციხისჯვარსა და ოცხესაც: „დაუთ-ბეგ გოგორიშვილსა მკვიდრად აქვს ციხისჯვარია, მითხრა ხელთ მოგცემ ციხესა, მან დაიფიცა ჯვარია"-ო, ათქმევინებს თბილელი სააკაძეს (32. 634). აქედან ჩანს, რომ ციხისჯვარი 1625 წ-სათვის გოგორიშვილს გაუმაგრებია და მის გამოყენებას ყიზილბაშების წინააღმდეგ აპირებდა სააკაძე.

შემდეგ ავტორი იხსენიებს ელისბარ და ბეჟან თაქთირიძეებს, რომლებიც გიორგი სააკაძეს ეხმარებოდნენ. აქ თაქთირიძეთა სამფლობელოზე ნიშანდობლივ არაფერია თქმული, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი ისევ ხერხემლისძეთა მამულს ფლობენ ოცხის ნაპიდეში. ამაზე უნდა მიუთითებდეს თაქთირიძის დახმარება სააკაძისადმი იმერეთს გადასასვლელად: ჩანს მისთვის კარგად იყო ცნობილი იქით მიმავალი გზა-ბილიკები: „ბეჟან მითხრა თაქთირიძემ: „იმერეთს ვარ ბევრჯერ მსვლელი, მეცა თანა წამოგყვები მეფესთან ხარ თუ მიმსვლელი"(32. 636).

იმერეთიდან წამოსული სააკაძე ამბობს: „მეფესა ვსთხოვე დასტური, გარდმოველე მთანი ოცხეო, მთას აქათ წყალი გაუდის დიად ცხელი და მოცხეო. გულს უთხარ: „ისრევ გამაგრდი, ხმალს კიდევ სისხლი მოცხეო" და სხვა (32. 637). ამ ეპიზოდში ოცხის აბანო იხსენიება მხოლოდ, ციხე კი არა. უნდა ვიფიქროთ, ამ ციხის მნიშვნელობა მაშინ დაცემული იყო.

ოცხის ციხის, ან ქალაქის შესახებ ასევე არაფერია თქმული ბერი ეგნატაშვილის ცნობაშიც: 1632 წ. როსტომ მეფემ დადიანის და ითხოვა. ახალციხის უსუფ ფაშამ „დაანება გზა როსტომ მეფესა, გარდმოველო ოცხე და ჩამოვიდა ქართლს" (18. 420). ოცხე აქაც ზეკარის უღელტეხილსა და ხეობის ზემო წელს უნდა აღნიშნავდეს მხოლოდ.

ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი 1694-1732 წლებისა, ისევ იხსენიებს ოცხის ლივასა და ნაჰიდეს. აქ იგი გაცილებით

შემცირებული ჩანს, ვიდრე ერთი საუკუნის წინ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში". ჯაბა დავთარში ოცხის ნაჰიეს მხოლოდ ექვსი პუნქტი იხსენიება. ესენია სოფლები: ხერხემი, საბუნარა, ჭიხელი, უნწა, რაბათი, და კარისჯვარი. საინტერესოა, რომ აქ პუნქტი ოცხე არსად დასახელებული აღარაა. თუმცა კი ლივა და ნაჰიე ამ სახელს ატარებს ძველი ტრადიციის მიხედვით. 1712 წ. იგი ასეთ კონტექსტშია მოხსენიებული: „ოცხეს ნაჰიე ამავე ლივაში. სახასო მამული ოცხეს მირლივას ჯუნდი (მოჯირითე) მუსტაფას სახელზე... სოფელი რაბათი, ექვემდებარება ხსენებულს", რომლის წლიური შემოსავალი ყოფილა 216 300 ახჩა (33. 139). ცხადია, რომ ეს სოფელი რაბათი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" სოფ ოცხის ციხის რაბათია, რაც თავისთავად ციხისუბანს, მის დასახლებას გულისხმობდა. ზემოაღნიშნული სოფლებიდან, რაბათის შემდეგ, ყველაზე მდიდარი სოფელი ხერხემი ჩანს, რომელიც 1704-1705 წ-ს იხდიდა გადასახადს 21 500 ახჩის რაოდენობით (33. 110).

ამის შემდეგ ოცხის ციხე აღარსად გვხვდება, ვიდრე 1810 წლამდე. ამ წელს კი რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლმა იმერეთის მეფე სოლომონმა, ახალციხის ფაშის შერიფის ნებართვით, იმერეთის საზღვრად ოცხის ციხეში დაიდო ბინა (17. 415). როგორც ჩანს ეს იყო ქართველების მიერ ამ ციხის გამოყენების უკანასკნელი შემთხვევა.

ზემოთ მოტანილმა მასალამ დაგვანახა, რომ ოცხისა და ციხისჯერის მნიშვნელობის ზრდა, თუ დამცრობა სხვადასხვა დროს, ბევრად იყო დამოკიდებული იმერეთს გარდამავალ გზებზე; იმაზე თუ როდის ცხოველდებოდა, ან მინელდებოდა ამ გზებით კავშირი მეზობელ ქვეყნებთან. ამიტომაა, რომ თურქული წყაროები არაფერს ამბობენ მათზე, იმავდროულ ქართულ წყაროებს კი ისინი მაშინვე აგონდებათ, როცა იქ ქართველი ვინმე გამოჩნდება, იმერეთთან მოსალოდნელ ურთიერთობაში. XIX ს-დან ოცხეს აბასთუმანი შეერქვა, თუმცა არ ჩანს ზუსტად როდის მოხდა ეს. ამ მხრივ საინტერესოა ერთი გვიანდელი კურთხევანის ქართული მინაწერი 1882 წლისა: „ტერ იოსებ ხუციოვისაგან ეს მაშტოცი შეწირული არის მოსახსენებლად ტერ გრიგორ ნეფესოვისა ოცხის კათოლიკების ეკლესიაში (44. 126). ეს უნდა იყოს ეკლესია აწინდელ დაბა აბასთუმანში. მდინარის მარცხენა სანაპიროზე, სადაც სულ ბოლო დროსაც პურის საცხობი იყო გამართული.

## შენიშვნები, დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. გ. მელიქიშვილი. სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბ. 1970.
2. ქართლის ცხოვრება I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1955. შმდ.: ქც.
3. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, ილ. აბულაძის რედაქციით. თბ. 1964.
4. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბ. 1990.
5. ნ. ლომოური. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები" IV, I ნაკვ. თბ. 1958.
6. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც. თბ. 1953.
7. მათ პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდათ: მაღალმთიან ზონებში ხშირი უამინდობისა და ნისლიანობის დროს, ისინი გზის მიმართულების გარკვევაში ეხმარებოდნენ მგზავრებს.
8. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, თბ. 1958.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბ. 1970.
10. ლაპიდარული წარწერები I, ნ. შოშიაშვილის გამოც. თბ. 1980.
11. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია II, თბ. 1983.
12. ქც IV, 663, 724; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, პუბლიკაცია ქრ. შარაშიძისა, თბ. 1961, 56.
13. დ. ბერძენიშვილი. სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა), კრებ. „მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე 2000.
14. ალ. ჭინჭარაული „ოძრხე"–ს ეტიმოლოგიისათვის, „საქართველო" I, თბ. 1998.
15. გაზ. „დროება", 1879, №106.
16. ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
17. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები II, თბ. 1965.
18. ქც II, თბ. 1959.
19. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ. 1964.
20. ბოლო ხანებში, XII ს-ის გარეჯული კრებულის XIV ს-ის მინაწერებზე დაყრდნობით, თ. ჯოჯუამ გამოთქვა მოსაზრება, რომ იქ მოხსენიებული „ლუკა მოქველი, წარმომავლობით ციხე-ქალაქ ოძრხის მფლობელთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა და Ven–4–ის მინაწერში დადასტურებული „ოძრჰელ"–იც უფრო მის გვარს წარმოადგენდა, ვიდრე სასულიერო წოდებას" ამავე წერილის მე-6 შენიშვნაში ავტორი აღნიშნავს, რომ

ვანის ქვაბთა ეკლესიის XV–XVI ს-თა მინაწერში მოხსენიებული „ოძრჭელელი" „უთუოდ ოძრხის მონასტრის წინამძღვრობას უნდა ნიშნავდეს" (მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი (1360-იანი წლები) და მისი ხუთი მინაწერი XII ს-ის გარეჯული კრებულის (Ven–4–ის აშიებზე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები VI, თბ. 2003).

„ციხე-ქალაქ ოძრხის მფლობელთა ფეოდალური სახლი" წყაროებში არ დასტურდება. ასეთი რომ ყოფილიყო ალბათ გამოჩნდებოდა ცნობილ საბუთში (1516 წ. ახლო): მცხეთის ეკლესიის „ძუელთაგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი". ამიტომ „ოძრჭელ"-იცა და „ოძრჭელელ"-იც იქაურ მონასტერთან დაკავშირებული გვარსახელები უნდა იყოს (შდრ.: ვარძიელი, ოპიზარი, ხახულარი...).

21. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, ქრ. შარაშიძის გამოც. თბ. 1961.

22 ქც IV, თბ. 1973.

23. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი–თ ორი, ჯავახეთი, თბ. 1985.

24. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი II, თბ. 1941.

25. ალ. ღლონტი. ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა II, თბ. 1975.

26. ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა სამცხრელოში, ძველი საქართველო II, თბ. 1913-1914.

27. ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, 1913 წ. პარიზი, 1937.

28. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ. 1940.

29. თ. ჟორდანია. ქრონიკები II, თბ. 1897.

30. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1927.

31. იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანი, ქართული მწერლობა, თბ. 1989.

32. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ცის. აბულაძისა და მიხ. სვანიძის გამოც. თბ. 1979.

33. ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ. 1987.

## თრიალეთის სოფელთა სახელების აღდგენისათვის*

ქვემო ქართლის ისტორიულ მხარეთა შორის, თრიალეთი ერთი ყველაზე მეტად გაუცხოებული მხარეა მოსახლეობით, ტოპონიმიით. დაკარგულია სოფლების ძველი ქართული სახელწოდებანი: XIX ს-ში მოსულ არაქართულ მოსახლეობას, წინანდელი საცხოვრებელი ადგილებიდან თან მოუტანია მათი სოფლების სახელები და აქაური ნასოფლარებისათვის შეურქმევია.

ჩვენს პრესასა, თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოთქმულა აზრი ქართული ტოპონიმების აღდგენის შესახებ სამხრეთ რაიონებში. რამდენიმე ცდაც არსებობს თრიალეთის ძველ სახელწოდებათა ლოკალიზაციისა (ექვთ. თაყაიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვ. გურგენიძე, კ. ხარაძე...), მაგრამ მათი შედეგები, დასაბუთების უკმარისობის გამო, მაინც პირობითია. საჭიროა უფრო მეტი, სულ სხვადასხვა სახის წყაროთა მოძიება-შეჯერება, რომ სურათი დამაჯერებელი გამოდგეს.

სოფლების ძველ სახელწოდებათა ლოკალიზაციას თრიალეთში, სხვა პირობებთან ერთად, ართულებს ქვემო ქართლის ბარისაგან განსხვავებული ვითარებაც, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში" რომ შეიმჩნევა: ტექსტში ისევე, როგორც თავის რუკაზე, ავტორი თრიალეთში ასახელებს ქციის შენაკად ხევებს, მაგრამ სოფელთა სიებში მათ ცალკე ერთეულებად არ გამოჰყოფს. ესაა თვალსაჩინო განსხვავება ბარის ხევებთან შედარებით, სადაც მთავარ მდინარეთა შენაკადი მცირე ხევები ცალკე ერთეულებს ჰქმნიან და მათი სოფლებიც მდებარეობის შესატყვისი რიგითაა ჩამოთვლილი. ამიტომ იქ ადვილდება მათი იდენტიფიკაცია. თრიალეთ-ზურტაკეტში კი, ისევე როგორც ყაიყულსა და ტაშირში სოფლები გაბმულად, მცირე ხევების გაუთვალისწინებლადაა ჩამოთვლილი. ეს აიხსნება ზეგან–მთიანეთის გეომორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებით: ადგილზე ნახვისას კარგად ჩანს, რომ ზეგნურ ვაკეზე მდორედ გაწოლილი მდინარეები და მათი შენაკადები, ბარის ხევებისაგან განსხვავებით, იქ ნაკლები სიღრმით სერავენ ნაპირებს.

ნ. ბერძენიშვილის აზრით: „ქართული სოფლების

*დაიბეჭდა ჟურნალში „ანალები", ტ. 2000, 1.

ხევისპირულობა არის შედეგი მათი მეურნეობრივი სახეობისა, რაც უმთავრესად მორწყვისაგან იყო დამოკიდებული. ქართული სოფლები ხევისპირული გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურნეო საქმიანობა შეიქმნა. ამიერიდან ქართული სოფელი ხევს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული გახდა" (1.423).

აღნიშნული მოსაზრება საქართველოს სამხრეთ ზეგანზე შემდგომ დასაბუთებას ამრიგად ჰპოვებს: ბარისაგან განსხვავებით, იქაური სოფლებიდან ბევრი არაა ხევისპირულად განლაგებული იმიტომ, რომ იქ ნიადაგი მორწყვას არ საჭიროებდა და მოსახლეობა ხევზე მიკრული არ იყო. ამის გამო ზეგანზე მცირე ხევები ტერიტორიულ ერთეულებად არ ჩამოყალიბებულან, რაც აისახა კიდეც ვახუშტისეულ სოფელთა სიებში. დასტურლამალში ნახსენები აიდარბეგის ხეობა ტაშირში, ერთადერთი გამონაკლისია, მაგრამ, როგორც იქ დაცული ცნობების ანალიზიდან ჩანს, ეს ტერიტორიული კი არა, არამედ აიდარბეგის ადმინისტრაციული ერთეული იყო.

თრიალეთის ძველი მოსახლეობის სრული გაქრობის პირობებში, ჯერ კიდევ არსებობს ორიოდე მეტ-ნაკლებად სანდო ორიენტირი, რომელთა გამოყენება სხვა მონაცემებთან შეჯერებით, აუცილებელია საწყისი სქემის შედგენისას. ესენია—ვახუშტის „აღწერა", რუკა და სოფლების სია, ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი სახელები (საპიტიახშო, რეხა, ბეშქენაშენი...), ასევე რამოდენიმე სოფლის ძველი სახელწოდება, რომელთაც ერზერუმიდან გადმოსახლებული ბერძენი მოახალშენეები მოიხსენიებენ XIX ს-ში. ამ პუნქტების სქემაზე დატანით იქმნება საფუძველი, რომელზედაც იწყება ძიება სხვა სოფლების ლოკალიზაციისათვის. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ჩემს ნარკვევში, ყურადღება გამახვილებულია 1707-1709 წწ „დასტურლამალის" ბოლო, 62 კარზე სათაურით—„თრიალეთის სოფლების სამძღვრები", რომელიც აქამდე არ გამხდარა ჯეროვანი ყურადღების ღირსი. ამ ნარკვევიდან ამონარიდ ორიოდე დაკვირვებას ვთავაზობ მკითხველს.

დასტურლამალის ზემოხსენებულ კარში თრიალეთის სოფელთა განსაზღვრისას, ერთგან იკითხება: „ორსავ ჭიტებს შუა მთიდამ კარკნალი ჩამოსდევს, იმას ქვეით ცოტა გორაა, იმას ქვეით წყარო გამოდის, იმის პირდაპირ, მთის ძირში კიდევ წყარო

გამოდის, წყაროების სწორად, შუაზედ სათიბში სამანი ჩაგვისვამს. ჭიტებსა და უწყლოს შუა, მთიდამ თხრილი ჩამოსდევს და ბოლოს დიდი ჯვრიანი ქვა ზის საბატის თავისაკენ" (2.326). აქედან ჩანს, რომ ჭიტები ორი სოფელია, რომელიც უწყლოს ემეზობლება. ამ სოფლებს შორის მთიდან წამოსული თხრილი სოფელ საბატის თავამდე აღწევს. საბატე კი ქციის ნაპირზეა, მის მარცხნივ, რადგან ვახუშტის სიტყვით, „ერთვის ქციას ხევი ერან-თურანისა, გამოსდის ერჯვენის მთასა, მიერთვის ჩრდილოდამ საბატეს ქციას" (3.42). ე.ი. ჭიტები და უწყლო საბატის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები ყოფილა, ჭიტები აღმოსავლეთით, უწყლო—მის დასავლეთით (ასეა ვახუშტის რუკაზე). ამ სოფლებს შორის, მთიდან წამოსული თხრილი კი, ჩრდილოეთ—სამხრეთის მიმართულებისა იქნებოდა.

ჭიტების ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს მისი სახელის გააზრებასაც. ვახუშტისთან და დასტურლამალში არის ჭიტები, ასევეა საბუთების უმეტესობაშიაც. მაგრამ ეტყობა გადამწერთა შეცდომების წყალობით, ზოგან იკითხება ქიტები და ქისტებიც კი (4.102, 183). 1529 წ. ერთ საბუთში იხსენიება ჭიტი. XVII ს-დან კი ჭიტები, ე.ი. ერთი სოფელი გაზრდილა და ორად ქცეულა. უფრო ადრეულ საბუთებში თრიალეთის ამ სოფლის სახელია ბჭითი, სიტყვისაგან ბჭე, რომელსაც შემდგომში დაუკარგავს თავკიდური „ბ" (შდრ.; ბჭისკარი—ჭიშკარი). უნდა ვიფიქროთ, სოფლის სახელწოდებას აპირობებდა მისი მდებარეობა ერან-თურანისწყლის შესასვლელში.

ბჭითის ლოკალიზაციისათვის ალბათ გადამწყვეტი მმნიშვნელობისა უნდა გამოდგეს შიომღვიმის მონასტრის კრებულის დაწერილი ზოსიმესადმი (1200 წ. ახლოს). ამ საბუთის მხედრულ მინაწერში (XVIII ს) იკითხება ასეთი ცნობა: „ქ. მღვიმეს რომ კრებულნი ბერები, რომ წასულან და ბჭიტებს, რომ საყდარი აუშენებიათ, ის კრებულნი ამაშიგან სწერიან. იქ, რომ სახელები სწერია საყდარზედა—ისინი არიან ეს კრებულნი" (5. 91). დაწერილში მართლაც ჩამოთვლილია მღვიმელ ძმათა კრებულის 24 სახელი.

დასტურლამალისა და ვახუშტის ცნობებით მიღებულმა ორიენტირმა, ზემოხსენებული ჩვენების გათვალისწინებით, ბჭითის ძიებისას მიგვაყენა დღევანდელ სოფელ ქარიაქს. იქაური ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ასომთავრული წარწერაა: „უფალო ღმერთო, შეიწყალენ სულითა ბასილი მემღვიმე და

ძმაი მისი და შეუნდვენ დედასა და მამასა". სამხრეთ კედელზე ასეთივე წარწერის ნაშთია: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე იოვანე". გასული საუკუნის მიწურულს, ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობისას, ამავე ეკლესიის ყორეში იპოვებოდა ქვები ასომთავრულ წარწერათა ნაშთებით, სადაც გაირჩეოდა კიდევ სახელები: მიქაელ, პავლე, კვირიკე. სხვა ნატეხებზე იკითხებოდა: „სახელითა წმიდისა... მიო და ევაგრე"...(6. 53-54).

მღვიმის ძმათა კრებულში მართლაც გვხვდება ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული პირები. იქ ჩამოთვლილია–ბასილი მნათე, ბასილი თავაური, ბასილი ტიმოთეს ძმაჲ. უნდა ვიფიქროთ, ერთი ამათგანი შემდგომში მემღვიმე გახდებოდა და ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის წარწერაში ის იქნებოდა დასახელებული. ბასილი მემღვიმე იხსენიება შიომღვიმის დაახლოებით ამავე წლების სხვა საბუთებშიაც (5. 63).

ეკლესიის სამხრეთ კედლის წარწერის იოვანე, მღვიმის კრებულში დამოწმებული მოძღვარი იოვანე უნდა იყოს, ხოლო ცალკე ქვაზე შერჩენილი მიქაელი, შესაძლოა გავაიგივოთ კრებულში ნახსენებ მიქაელ ისაკის მწირველთან, ან მიქაელ აფხაზთან...

საბუთის გვიანი მინაწერის ცნობით, მღვიმის ბერების კრებულს ბჭითის ეკლესია აუშენებია. სოფელ ქირიაქის ეს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია სუფთად გათლილი პერანგითაა შემოსილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ სარკმლებს წნული ჩუქურთმით შემკული საპირეები აქვთ. სამხრეთ სარკმლის ზევით, კიდევ ერთი ასომთავრული წარწერაა „ქ. იესუ ქრისტეს ძლევაჲ". წარწერებს ახასიათებთ კიდურწერტილოვნება და „ა"-ის ტანს მოშორებული ზედა ჰორიზონტალური ხაზი. ხუროთმოძღვრული დეტალები და პალეოგრაფიული ნიშნები ეკლესიას XIII ს-ით ათარიღებენ, რაც ადასტურებს ზემოხსენებული მინაწერის ცნობას, შიომღვიმის კრებულის მიერ ბჭითის ეკლესიის აშენების თაობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ სოფ. ქარიაქის ძველი ქართული სახელი ყოფილა ბჭითი. 1073 წ. შიომღვიმისადმი გიორგი II-ის მიერ მიცემულ სიგელში, ბჭითი დასახელებულია მონასტრის ძველ საქონებელ სოფელთა შორის, რომლებიც „პირველ სიგელსა სწერია" (5. 46-48). 1123-24 წწ დავით აღმაშენებლის ანდერძში მღვიმისადმი იკითხება: „ასი ფუერი მომიხსენებია, რომელ თრიალეთს, მათსა სოფელსა ბჭითს

და ბჭიის ხევით სოფლებსა და მათსა საფურესა მუხრანს დგეს" (5. 56). აქ მონასტრის კუთვნილი სოფელი ბჭითი მღვიმის ფურების სახაფხულო საძოვარია, მის ხევით მყოფ სოფლებთან ერთად. 1170 წ გიორგი III-ის მიერ მღვიმისადმი მიცემულ სიგელში ნათქვამია: რომ „თრიალეთს ბჭითი ადარნასესაგან ნასყიდი და შემოწირული" ყოფილა (5. 68). მაშასადამე ეს სოფელი შიომღვიმისა გამხდარა X ს-დან და ასევე დარჩენილა შემდგომ ხანებშიაც.

1679 და 1729 წწ საბუთების მიხედვით, ჭიტებში ყმები ჰყოლია ქართლის კათალიკოსსაც (4. 102. 183). 1721 წ აღწერით, დიდ ჭიტებსა და უკანა ჭიტებში მემამულედ ისევ შიომღვიმის მონასტერი ყოფილა, ხოლო მებატონედ—ამილახორი (7. 375). 1766 წ საბუთის მიხედვით. დემეტრე ამილახორისშვილის ნაქონი ჭიტებიდან „დიდი განჩინების ძალით", ამ სოფლების მერვედი ერეკლე მეფისა გამხდარა (8. 523).

ვახუშტის რუკა ადგილზე დღევანდელ ვითარებას ზუსტად არ შეესაბამება, დიდია განსხვავება ხუთვერსიან რუკასთან შედარებისას: ვახუშტისთან ჭიტებსა და უწყლოს შორის სოფლები ერანი და თურანია მოთავსებული, ხუთვერსიანზე კი, სოფ. ერანთურანი აღნიშნული სოფლებისაგან მოშორებით, ჩრდილოეთითაა დასმული ისე, რომ ქარიაქი და სანთა ერთმანეთის მეზობლადაა, ისევე როგორც ბჭითი და უწყლო დასტურლამალში.

ბერძენ მოახალშენეთა გადმოსახლების 1832 წლის უწყისი იძლევა ზოგიერთი სოფლის ძველსა და ახალ სახელს. იქ ქირიაქის ძველ სახელწოდებად მოცემულია ძველი ახალშენი, რაც თითქოს ეწინააღმდეგება ზემოთ მიღებულ დასკვნას. დავიწყოთ იქიდან, რომ ვახუშტის სოფელია სიაში და რუკაზედაც, თრიალეთში მხოლოდ ერთი ახალშენია აღნიშნული, ისიც ამ მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთ შორეულ კუთხეში, ერჯევნის მთის ძირას, რაც ამ პუნქტების იგივეობას უკვე საეჭვოს ხდის. ამას გარდა, ამ უწყისის ცნობათა უკრიტიკოდ მიღებაც, რომ არ შეიძლება, ჩანს სხვა მაგალითებიდანაც, სადაც აშკარა შეცდომებია. მაგალითად იქ გაიგივებულია ეძანი და შეპიაკლი, მაშინ როდესაც ძველ რუკებზე ეს ორი სხვადასხვა პუნქტია, ქციის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე. თანაც ეძანის გვიანი სახელი ბარმაქსიზია. ასევე არასწორადაა ამ უწყისში გაიგივებული ზემო ახალშენი და ბაშქოი (15.225-237). ბაშქოი კი ძველი ბარეთია. შესაძლოა

თრიალეთში მოსვლის შემდგომ. ბერძენმა მოახალშენეებმა გამოიცვალეს დასახლების ადგილები და ამან გამოიწვია სახელწოდებათა გადაადგილება, ან ადგილობრივ მიაწოდეს არასწორი ცნობები. ამიტომაც აუცილებელია მათი შემოწმება სხვა მონაცემებით. ახლა ქარიაქში ბერძნები ცხოვრობენ 1830 და 1860-იან წლებში გადმოსახლებულნი არზრუმის რაიონიდან. სოფლის ახლანდელი სახელიც იქიდანაა მოტანილი. შუა სოფელში 1869 წ აუშენებიათ თავისი ეკლესია და სამრეკლო, რომელთა წყობაში ძველი ქართული ეკლესიის ქვები ჩაუყოლებიათ.

ზევით, ჭიტების დასავლეთით ვივარაუდე უწყლოს მდებარეობა. ძველ რუკებზე ამ ადგილას აღნიშნულია სანთა და მის ჩრდილოეთით—გიულაქარიაქ. ამ უკანასკნელზე ექვთ. თაყაიშვილი წერს, რომ ეს ბერძნების მიერ შერქმეული სახელია ადგილისა, სადაც ისინი დასახლებას აპირებდნენ, მაგრამ აღარ დასახლდნენო (6. 56). მართლაც, ამ ადგილებში, ვახუშტის რუკაზე ერთი განმარტოებული სოფელია—უწყლო. ის ემეზობლება ჭიტებს სამხრ.—დასავლეთიდან, ხოლო საბატეს—ჩრდილო—დასავლეთით. ამასვე ადასტურებენ სიტყვები დასტურლამალის ზემოხსენებული კარიდან: „უწყლოსა და საბატეს შუა, საბატელნი ჯვრიანს ქვას, და ტბისპირს ამბობდნენ სამძღვრათა—უწყლოველნი;" გამოდის, რომ ამ ორ სოფელს შორის ტბა ყოფილა. იგი ძველ რუკებზე აღნიშნული არაა, ალბათ სიმცირის გამო და იმიტომაც, რომ ასეთი პატარა ტბები თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანზე დროდადრო გამშრალნი, წვიმიან წლებში ისევ გაჩნდებიან ხოლმე. ერთი ასეთ ტბა ახლაცაა სოფ. სანთის მახლობლად, თუმცა ის არცერთ რუკაზე არ გვხვდება. ალბათ მისმა არსებობამაც განაპირობა ამ „უწყლო" სოფლის აქ დასახლება, ზემონათქვამის გათვალისწინებით, თრიალეთის ძველი სოფელი უწყლო, ახლანდელი სანთა გამოდის.

სოფელში მდგარა ძველი ქართული ეკლესია დარბაზული ტიპისა, ნაგები გათლილი ქვებით. მის ადგილას ახალი, გუმბათიანი ეკლესია აუშენებიათ, რომლის დასავლეთ კედელში ძველი ეკლესიის ქვები გამოუყენებიათ. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაყოლებულ ბალავრის ქვას ქართული ასომთავრული წარწერა ჰქონია, რომელიც ექვთ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესია მეორედ აუგია თევდორე ხუცესს, ბალავარი დაუდევია რატი ერისთავის ზეობისას.

წარწერას და ეკლესიას გამომცემელი XI-XII სს. ათარიღებს (6. 53.-54). ახლა წარწერა აღარაა. უწყლოს შესახებ საბუთებში თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. 1721 წ. აღწერით, იქ ითვლებოდა ერთი მებატონე–სულეიმანაშვილი, ოთხი გამომღები და ორი ბოგანო ყმა. ამჟამად იქ ბერძნები ცხოვრობენ. XIX ს-ში მოსულნი არზუმ-ბაიბურთის მხრიდან. სოფლის აწინდელი სახელიც იქიდან მოუტანიათ.

ზევით ვნახეთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, ერან-თურანის ხევი ქციას ჩრდილოეთიდან მოერთვის საბატესთან, ასევეა მის რუკაზედაც. სინამდვილეში ეს ხევი ქციას კი არა, არამედ ბეშთაშნისწყალს უერთდება მარჯვენიდან და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაედინება ქციაში. ამის შესახებ აღინიშნა კიდეც (16. 66). მიუხედავად ამ შეცდომისა, საბატე მაინც ქციის მარცხენა ნაპირზე ყოფილა, რაკი ვახუშტი იქ ჩრდილოეთიდან მომავალი ხევის შესართავს გულისხმობდა. ამასვე ადასტურებენ ავტორის სიტყვები: „მას (ე.ი. საბატეს–დ.ბ.) ზევით ქციის კიდეზედ არს ეკლესია გუნბათიანი წალკას. დიდი კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა" (37. 42).

საბატის შემდეგ პირდაპირ წალკის დასახელება გვაფიქრებინებს, რომ წალკის აღმოსავლეთით, პირველი სოფელი ქციის მარცხნივ იქნებოდა საბატე. ძველ რუკებზე ასეთი მდებარეობა აქვს სოფ. სანომერს. ეს ადგილები ამჟამად წყალსაცავითაა დაფარული და მათი მოხილვა შეუძლებელია. XIX ს-ის მიწურულს სოფ. სანომერი უნახავს ექვთ. თაყაიშვილს. სოფელში ძველ ნაეკლესიარზე ახალი სალოცავი ყოფილა აშენებული. სანომერის აღმოსავლეთით, ქციის დაყოლებით, მეორე ეკლესიის ნანგრევი ყოფილა, ირგვლივ ძველი სასაფლაოთი. გათლილი ქვებით ნაგები, დარბაზული ეკლესიის ნაშთი ღმრთისმშობლის სახელობაზე ყოფილა აგებული (6. 22).

ვახუშტის რუკაზე ამ ადგილას ორი სოფელი საბატეა აღნიშნული, რომლებიც ზიგზაგი ხაზითაა შეერთებული. თრიალეთში ასეთი შემთხვევა რამდენიმეა: ორი საქათმე, ორი ბარეთი, ორი ლიპი, ორი ხევღრმა, ორი მერეკანა ასეთი ხაზებითაა შეერთებული. ყველგან ამ ორ-ორი სოფლის სიახლოვე, ურთიერთზე დამოკიდებულება უნდა იგულისხმეოდეს („დიდი" და „პატარა"). ამიტომ ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი სოფ. სანომერი და მისი მახლობელი ეკლესია სასაფლაოთი, უნდა იყოს ვახუშტისეული ორი საბატე. ამათგან დასავლეთისა პატარა

საბატეა, რადგან ის ფარეხასთან იხსენიება, ეს კი ვახუშტის რუკაზე სამეხრეთა შემდეგაა აღნიშნული, უფრო დასავლეთით.

დასტურლამალის მიხედვით, საბატე სახასო სოფელია, მუსხელიშვილის სამოურავო, რომელსაც ხელმწიფის ტყვის ხარჯი 10 მარჩილი უნდა გამოეღო. იქვე იკითხება: „სადაც ჩვენს სახასოში, თრიალეთზედ თუ სხვაგან, ბატი ჰყვანდეს ვისმე, ყველგან 100 ბატი შეაწერონ, თრიალეთს და კავთისხევს სოფლად გაუყონ და მიაბარონ. თვითოს ბატზე წელიწადში სამ-სამი ჭუჭული ჩვენს ქარხანაში მიაბარონ" (9. 700, 524). ბუნებრივი იქნება ვიგულისხმოთ, რომ თრიალეთში ამ საბატეებზეა საუბარი.

დასტურლამალში, თრიალეთის სოფლების განმსაზღვრელ კარში ვკითხულობთ: „მელას ტამალიას შუა ქციის პირს ნაწისქვილარი არის, იმის შესწორ მინდორში გორა იყო. ის არის, იმ გორის გამოსწორ ტამალისაკენ კუთხედ ქვა ჩაგვისვამს. იმ ქვის შესწორ მინდორში დიდი ქვის სამანი არის, იმ ქვის შესწორ ჭიტების საზღვრად ის არის" (9. 622). ტექსტის ამ ნაწილში თითქოს ორი ტამალია იგულისხმება. მელის ტამალია და ტამალია. თან ისიც ჩანს, რომ ერთი მათგანი ქციის მარცხენა ნაპირზეა, რადგან ის ჭიტებს ესაზღვრება.

ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიაში, თრიალეთის ორი სოფელი ტამალია მოხსენიებულია ეძანსა და საბატეს შორის. ასევე მის რუკაზედაც—ერთი ტამალია ქციის მარცხნივ, მეორე კი მარჯვენა სანაპიროზე, ოღონდ ორივე მსაზღვრელის გარეშეა დატანილი. დასტურლამალის ზემოხსენებული ტექსტი ასე გრძელდება: „ტამალიას ხუცის ტამალიისათვის ფიცით სათიბი გამოერთმია და გლეხს კაცებს წაებრიყვებინათ, ცოტა სათიბი ჩაუჭერ და ხუცის ტამალიას დავანებეთ. ტამალიელი სათიბს უჩიოდნენ და გავსინჯეთ. სამენახირეს საყდარსა და დიდი შარა, რომ ჩამოსდევს, იმას იქით ერთმანეთთან ხელი არა აქვთ" (2. 326; 9. 622).

ზემოხსენებული მელის ტამალიის ნაცვლად, აქ ტამალიას უკვე ხუცის ტამალია უპირისპირდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ორი სოფლიდან ერთია ტამალია მსაზღვრელის გარეშე, მეორე კი—მელის, ანუ ხუცის ტამალია. მელის ტამალია ქციის მარცხენა ნაპირის სოფელი ყოფილა, რაზედაც მიუთითებს ზემოხსენებული კარის კიდევ ერთი ადგილი. იქ საუბარია ჭიტების, უწყლოსა და საბატის საზღვრებზე, სადაც სამანი ჩაუსვამთ. იქიდან კი „მელას ტამალიას სწორად დიდი გოხია"... მეორე ტამალიის ქციის

მარჯვენა მხარეზე ყოფნას მოწმობს დასტურლამალის მომდევნო ტექსტი: „ტამალიას შუა გზის პირს სამძღვარი ქვა ზის. იმას ქვეით ღელი ჩასდევს, სათიბს შეეყრება. გზის სამანს ზეით, მაღლა გორაზედ ამართული ქვა ზის, კიდევ იმის ზეით მრგვალი გორა არის, იმას ზეით–სამენახირო საყდარი. ეძნისაკენ ცოტა ღელე არის. იმ ღელეს შესწორ დიდი მთის ცხვირი ჩამოსდევს. ასრე გაგვიჩენია" (2. 326-327).

როგორც ვხედავთ, ტამალია აქ ეძანს ესაზღვრება, ეძანი კი შემდგომში ბარმაქსიზი, დღევანდელი რაიონული ცენტრია ქციის მარჯვენივ. ტექსტში ორჯერ იხსენიება სამენახირო საყდარი. ჩანს ეს იყო გორაზე ცალკე მდგარი, უსოფლო ეკლესია, ეგების მენახირეთა დაკვეთით აშენებულიც. ზაქ. გულისაშვილი 1900 წ თრიალეთზე მოგზაურობის ჩანაწერებში, ამ ეკლესიას იხსენიებს წალკისა და მისი ციხის (პუნია-ყალა) აღწერის შემდეგ. მისი სიტყვით, „ამ სოფლის გასწვრივ, იალაღების დასაწყისში ძველი ეკლესიაა, რომელსაც ბერძნები ნახირქილისას–სანახირო ეკლესიას უძახიან, მაგრამ მწყემსობას საქართველოდან ამოსულთ და თრიალეთის ქართველობას არ ავიწყდებათ... დღეობას არ ჰშლიან მის გარშემო. იქ კავთის წმინდა გიორგობას დღესასწაულობენ" (10. 190-192). ეს ეკლესია უნდა იყოს ახალი ხადიკის სამხრეთ-დასავლეთით, გორაზე მდგარი დარბაზული შენობა. იგი აქეთ გადმოწეულ ხადიკელ ბერძნებს შეუკეთებიათ, გალავანი შემოუვლიათ და პეტრე–პავლეს სახელობაზე უკურთხებიათ. გალავანში მიჰყოლია ძველი კედლის ნაწილი. ეკლესიის საკურთხეველში ქვაჯვრის პატარა ბაზისი დევს.

ზემოთ აღნიშნული ორიენტირების გათვალისწინებით, ძველ რუკებზე აღნიშნული შეპიაკი მელის, ანუ ხუცის ტამალია გამოვა, ხოლო ქციის მარჯვენივ მყოფი ხადიკი ტამალია უნდა იყოს. ეს ორი ძველი ნასოფლარი ამჟამად წყალსაცავს დაუფარავს. ძადიკის მოსახლეობა სამხრეთით განაპირებულა, შეპიაკისა კი–აღმოსავლეთით.

ძველ შეპიაკში ექვთ. თაყაიშვილს სამი ეკლესია უნახავს. ამათგან იმ დროისათვის უკეთ გადარჩენილს, იგი თრიალეთის საუკეთესო ეკლესიათა შორის მოიხსენიებდა. მანვე გამოაქვეყნა პირველად ამ ეკლესიათა წარწერები (6.17-22). შეპიაკის ეკლესიას საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ლ. რჩეულიშვილმა (11). წარწერათა ბოლო გამოცემა ნ. შოშიაშვილს ეკუთვნის. X-XI საუკუნეთა მიჯნის ამ წარწერებში იხსენიებიან რატი ერისთავი

და ძე მისი ლიპარიტ ერისთავი, ეკლესიის აღმშენებელი-ვინმე ჰარეჭინ და ქვის დამდები–ქველი. ეკლესიის ლავგარდანზე შემორჩენილი ნაკლული წარწერის მიხედვით, ვარაუდობენ, რომ იქ იყო შეწირულების აქტის ფრაგმენტი: „...თის ეკლესიისა შეწირული ჩნდეს წლისა გ-სა (ე.ი. სამისა–დ.ბ.) და ვაკურთხე სამამასახლისო დაწერილი წმინდა. ვინცა ვინ შეცვალოს, წმიდაი იოვანე ნათლისმცემელი თვით გასჯის წინაშე ღმრთისა" (12. 136.-242).

აქედან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ ივანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია სამი წლის მანძილზე შეწირული ყოფილა რომელიღაც ეკლესიისათვის და ვიღაცას „სამამასახლისო დაწერილი" უკურთხებია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოფ. მელის ტამალია, სადაც ეს ეკლესია შენდებოდა, მცხეთის ეკლესიისათვის შეწირული გამხდარიყო, რომლის სამამასახლისო დაწერილს ალბათ კათალიკოსი აკურთხებდა. „მცხეთისა ეკლესიაი" იხსენიება სამსარის ვანის (ჯავახეთში) X ს-ის წარწერაში და თითქოს მცხეთის ჯვარს უნდა გულისხმობდეს (12. 274), შესაძლოა ამასვე აღნიშნავდა ზემოხსენებულ წარწერის ფრაგმენტში „...თის ეკლესიისა შეწირული"...შემდგომი ხანის საკათალიკოსო მამულების ჩამონათვალში არც ერთი ტამალია არ ჩანს, ისინი უფრო ხშირად სამეფო სამოურავო სოფლებად იხსენიებიან.



იდენტიფიცირებული სოფლების განლაგება თრიალეთში

სამხრეთ საქართველოში რამდენიმე სოფელია ტამალა-ტამალიად სახელდებული. ტამალა არის ასპინძასთან და ფოცხოვის ხეობაში, ასევე დმანისხევში, არტაანში იყო სამი სოფელი ტამალია. ტოპონიმის ასეთი გავრცელება ადგილის გარკვეულ თვისებას უნდა აღნიშნავდეს, რომელიც ზოგად მახასიათებლად ქცეულა. ნატამალი, ნატამნევი ძველ ქართულში ნანგრევს, ნასახლარს, ნაოხარს აღნიშნავს (17). ჯავახურში კი, თამალი საძირკვლის, ფუძის მნიშვნელობით იხმარება (18). შესაძლოა ტამალია სწორედ ამ მნიშვნელობით იყოს ასახული სიტყვაში ნა-ტამალი.

დასტურლამალის მიხედვით, ხუცის ტამალია სამეფო სახასო სოფელი იყო. სამოურავო რატიშვილისა (2. 313-314). 1721 წ. აღმწერის მიხედვით, თრიალეთის ტამალიაში ორი მებატონე იყო–შანავაზ ხანი (ბაქარი) და ყორღანაშვილები, 17 გამომღები და 7 ბოგანო ყმა (7. 328). 1763 წ ერთი საბუთით, ადიბეგ ყორღანაშვილი ერეკლე მეფეს სთხოვდა: „თრიალეთზე მელი ტამალიელნი კაცნი არიან ჩემნი ყმანი...იმის წყალობას ვითხოვ, რომ დამნებდნენ და მემსახურონ". ამის გამო მეფე ბრძანებს: „ვისაც ქართლში...მელა ტამალიელი კაცი გყვანდესთ გლეხი, ძველათგანაც ამ ყორღანაშვილის ადიბეგის ყმანი ყოფილან, და ვისაც გყავთ ახლავ მოეცით" (13. 67-68). ეს საბუთები ხუცისა და მელის ტამალიის იგივეობაზე მეტყველებენ. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ თრიალეთის სამეფო სახასო სოფლებში ხუცის ტამალია დასახელებულია მის დასავლეთით მყოფ საბატესთან, რასაც ემოწმება ვახუშტის რუკა.

ქციის მარჯვნივ მყოფი მეორე ტამალია, შემდგომში ხადიკი, საბუთებში იხსენიება პატარა ტამალიად, რომელიც თრიალეთის ახალქალაქთან ერთად, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე გერმანოზიშვილთა სამოურავო იყო (14. 123, 351, 490, 489). ხუცის ტამალია კი, სწორედ ამ პერიოდში რატიშვილების სამოურავოა. ექვთ. თაყაიშვილი თრიალეთზე მისი მოგზაურობისას, ხადიკზე არაფერს ამბობს, გადაადგილებულ ხადიკში კი სიძველეთაგან არაფერია, გარდა განახლებული სამენახირო საყდრისა სოფლიდან მოშორებით. იქ ახლა ბერძნები ცხოვრობენ, მოსულნი 1830-1831 წლებში.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ. 1964.
2. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები II. თბ. 1965.
3. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
4. ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I. თბ. 1941.
5. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, თ. ენუქიძის, ვ. სილოგავას, ნ. შოშიაშვილის რედაქციით, თბ. 1984.
6. Известия кавказского отдела императорского Московского археологического общества, вып. III, Тиф. 1913.
7. იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი I–II, თბ. 1935.
8. ის. დოლიძე ქართული სამართლის ძეგლები IV, თბ. 1972.
9. ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ძეგლები, თბ. 1970.
10. ზაქ. გულისაშვილი. მოთხრობები, ნარკვევები, თბ. 1953.
11. ლ. რჩეულიშვილი. თრიალეთის საერისთავოს ერთი... „ქართული ხელოვნება" 6, თბ. 1963.
12. ნ. შოშიაშვილი. ლაპიდარული წარწერები I, თბ. 1980.
13. ის. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები VII, თბ. 1981.
14. ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი I, თბ. 1899.
15. სიმ. ყაუხჩიშვილი. ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები ტ. IV, ქუთ. 1942.
16. კ. ხარაძე საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელი ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში, „მაცნე" ისტორიის... სერია I, თბ. 1985.
17. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.
18. ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ღლონტმა, თბ. 1974.

# ისტორიის შეცნობილი გზები*

სომხეთის რუსულენოვან გაზეთში „ნოვოე ვრემია", 2002 წლის 5 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის, პოლიტოლოგ ალექსანდრ კანანიანის წერილი — „ჯავახქი: შეუცნობელია გზანი ისტორიისა". მისი ქართული თარგმანი მცირე შემოკლებით დაიბეჭდა იმავე წლის „კვირის პალიტრაში", 18-24 ნოემბრის ნომერში.

ავტორი ძალიან შეუწუხებია იმას, რომ სომხურ ისტორიოგრაფიაში „ჯავახქი ნაკლებადაა შესწავლილი", (ქართულ ჯავახეთს სომხური წყაროები „ჯავახქ"-ის ფორმით იხსენიებენ და ცხადია, ავტორიც მხოლოდ ასე უწოდებს მას). ალ. კანანიანის აზრით, საბჭოთა პერიოდში სომეხ მეცნიერებს საშუალება არ ეძლეოდათ არქეოლოგიური გათხრები ჩაეტარებინათ ჯავახქის ტერიტორიაზე; მეტიც, სამეცნიერო შრომებშიც კი ვერ მიმოიხილავდნენ ამ მხარის ისტორიას.

სომხეთისაგან განსხვავებით, ქართული ისტორიოგრაფია, თურმე, ბევრად „მდიდარი" ყოფილა ამ თვალსაზრისით. ავტორი აქვე უხსნის მკითხველს, რით ყოფილა ეს გამოწვეული: „იმის აუცილებლობამ, რომ ჯავახქი ნებისმიერი ხერხებით მიეკუთვნებინათ ქართული ეთნოკულტურისთვის, ქართველი მეცნიერები აიძულა საბჭოთა პერიოდში ათეულობით ტომი გამოეცათ ისტორიის, არქეოლოგიის, არქიტექტურის დარგში. ზოგი მათგანი, მართალია, გარკვეულწილად რაღაც მეცნიერულ ღირებულებას კი წარმოადგენს, მაგრამ მათში შეგნებულად არის უგულებელყოფილი სომხური ნიშატი ჯავახქის ტერიტორიაზე. ეს მხოლოდ უარყოფა როდია მრავალრიცხოვანი სომხური ჯილაგის ამ მიწაზე მოსახლეობისა, არამედ ამ კუთხეში შუა საუკუნეების სომხური კულტურის ძეგლების აღმაშფოთებელი იგნორირებაც გახლავთ".

ერთი სიტყვით, თავიდანვე ცხადი ხდება, რომ ესაა მორიგი გამოხდომა იმისათვის, რომ საქართველოს ძირძველი კუთხე — ჯავახეთი, სომხეთის კუთვნილად გამოაცხადონ, რომელიც თურმე ისტორიული წყაროების მოწმობით, „სომეხი ერის გენეზისის

*დაიბეჭდა ჟურნალში „ანალები" 1, 2004.

არეალში შედიოდა".

ავტორს — მეცნიერ პოლიტოლოგს, თავი არ შეუწუხებია ამ ზეპირი განცხადებების საბუთად ისტორიული წყარო დაემოწმებინა; ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ერთადერთი მსგავსი მინიშნება სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცისთან გვხვდება, სადაც ჯავახეთის ნახევარი მოხსენიებულია სომეხთა ერთ-ერთი ლეგენდარული მამამთავრის, შარას ნაშიერ გუშარის სამფლობელოდ: „შარას ნაშიერს, გუშარს ერგო მთინის მთა, ანუ კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი... აშოცის უფლად და ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა ჰაიკიანი გუშარის შთამომავალი განაწესა" (1. 106).

გუშარის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი სახელი ჰაიკის უშუალო შთამომავალთა შორის ხორენაცის მოხსენიებული არ აქვს თუმცა, ის მაინც ჰაიკიანი, ჰაიკის ნაშიერია. ფიქრობენ, რომ გუშარის დაკავშირება სომეხთა მამამთავარ ჰაიკთან შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო, რათა ამით „დაესაბუთებინათ" სომხეთის ხელისუფალთა მისწრაფებები— მეზობლების ხარჯზე, გაეფართოვებინათ თავისი სამფლობელო (1. 263-264); აკი თვითონ ხორენაცი აღნიშნავს: „საკვირველია მემატიანის ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალ ადგილას გაფანტულად მკვიდრობდა მცირერიცხოვანი ხალხი, ჩვენი ძირეული წინაპრის, ჰაიკის მოსვლამდე" (1. 73). ასე რომ, გუშარის სამფლობელოდ ნახევარი ჯავახეთის დაგულვება სომეხთა მიერ მისი დროებითი დაპყრობის გამოძახილი უნდა იყოს. საერთოდ კი, უკვე აღნიშნულია, რომ ხორენაცის ტენდენციური შეხედულებების მიხედვით, ქართლი თითქმის ყოველთვის სომხეთზე დამოკიდებული ქვეყანაა, მისი ერთ-ერთი მხარეა, ხოლო ქართლის მმართველი — სომეხთა მეფის ქვეშევრდომია (2. 185). სინამდვილეში ასე არ იყო. რასაც მოწმობენ სხვა წყაროები.

ჯავახეთი პირველად ძვ. წ. VIII ს-ის ურარტულ ლურსმულ წარწერებში იხსენიება, ესაა „ზაბახა", რომელსაც მძიმე ბრძოლების გადატანა უხდება ურარტუსთან (3. 212). სომხები ამ დროს საერთოდ არ იყვნენ შემოსულნი დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, მით უფრო ვერ იქნებოდნენ ჯავახეთში.

ქართული წერილობითი წყაროები ჯავახეთის შესახებ მოგვითხრობენ, რომ ჯავახოსს — ლეგენდარული მამამთავრის მცხეთოსის ძეს, ჰქონია ქვეყანა ფარავნის ტბიდან მტკვრის სათავემდე; მასვე აუშენებია ორი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი

არტანისა. იმავე ქვეყანას ფარნავაზის მეფობის დროს (ძვ. წ. IV-III სს) მეფის მიერ დანიშნული ერისთავი განაგებდა, რომელსაც წუნდაში ჰქონდა რეზიდენცია (4. 10, 24).

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ I ს-ში სომხებს დროებით დაუპყრიათ ქართლში შემავალი ჯავახეთის ნაწილი; შემდგომში ქართველებს სომხები დაუმარცხებიათ ჯავახეთში, დაუტყვევებიათ მათი უვლისწული და დაუბრუნებიათ ადრე დაკარგული ჯავახეთის ნაწილიც (4. 44, 49-50).

ქართველთა განმანათლებელი ნინო, IV ს-ში სომხეთის გამოვლით საქართველოში მოსვლისას, პირველად ჯავახეთში შემოსულა, სადაც ქართლიდან საზაფხულო საძოვარზე ამოსული მწყემსები უნახავს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჯავახეთის ქართლისადმი კუთვნილებას.

ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მეფე მირიანის თხოვნით, საბერძნეთიდან შემოსულ ეპისკოპოსსა და მეფის მოციქულს ჯავახეთში პირველი ეკლესიის მშენებლობა წუნდაში დაუწყიათ, მხარის მაშინდელ ცენტრში (4. 85, 117, 118).

ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის მეფობისას ჯავახეთის ერისთავი ისევ წუნდაში იჯდა და მისი სახელი იყო ნასარი; ვახტანგ გორგასალმა წუნდაში საეპისკოპოსო კათედრა დააფუძნა; შემდგომში ჯავახეთს განაგებდა მეფე ვახტანგის ძე — მირდატი, რომელსაც იქვე წყაროსთავის ეკლესია აუშენებია (4. 198, 203-205), ასევე საეკლესიო კათედრად ქცეული. ქართველ მეფეთა მიერ ჯავახეთში დაარსებული ეს ორი საეპისკოპოსო კეთედრა, ცხადია, იქაურ ქართულ მოსახლეობას გულისხმობს და არა სომხურს.

ქართლის შემადგენლობაში აღწერს ჯავახეთს ძველი სომხური გეოგრაფია „აშხარაცუიცი"-ს სახელწოდებით (5. 104); სომხურივე წყაროები (ეპისტოლეთა წიგნი, უხტანესი ასახელებენ VI ს-ის ჯავახეთში ქართველ ეპისკოპოსებს — იოვანე წყაროსთაველსა და იოსებ კუმურდოელს (6. 161; 7. 131).

არაბული და სომხური წყაროები (ბალაზორი, იოანე მამიკონიანი) ჯავახეთს ასახელებენ ქართლის იმ მხარეთა შორის, რომლებიც VII ს-ში დაიპყრეს არაბებმა (8. 30-31).

IX ს-ში ჯავახეთს გაუბატონდა გუარამ მამფალი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოდან, X ს-დან კი ჯავახეთი

ეგრის—აფხაზთა მეფეს დაქვემდებარა; სამეფო ქვეყნად დარჩა ის შემდგომ საუკუნეებშიც, რომელსაც მეფე ერისთავის მეშვეობით მართავდა (9. 90, 92-96, 102-107).

ალ. კანანიანის მტკიცებით, მხოლოდ IX ს-დან ხდება ჯავახეთზე ქართული გავლენის გაძლიერება. მისი სიტყვებით, „სომხეთის ამ არცთუ მცირე ნაწილს, თავის პოლიტიკურ ხელისუფალთა მსგავსად, ქალკედონურ საქართველოსთან აქვს შეხება, მართლმადიდებლობას იღებს და ქართველდება". თურმე აქამდე ჯავახეთი სომხეთის ნაწილი ყოფილა სომხური მოსახლეობით, სადაც „ქართული ეთნიკური ელემენტის შეჭრა უძველეს დროში, ხდებოდა უმთავრესად ქართველი მესაქონლეების მეშვეობით, რომელთაც საქონელი გადაჰყავდათ ჯავახეთის საძოვრებზე... ტყუილად როდი უწოდებდნენ ქართველი მესაქონლეები საქართველოდან ჯავახეთისაკენ მიმავალ გზას — „ცხვრის გზას"

აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეთათვის „ცხვრის გზა" ჯავახეთისაკენ მიმავალ, სწორედაც რომ მრავალ გზათა შორის, სპეციალურ ტრასაზე მიანიშნებს; თორემ განა „ცხვრის გზით" იარა წმ. ნინომ ჯავახეთიდან მცხეთამდე? განა სეზონურ მესაქონლეთათვის შენდებოდა ქარვასლა-ფუნდუკები, იდგმებოდა სტელა-ქვაჯვრები ზურტაკეტ-თრიალეთიდან, ქართლიდან, თორიდან, სამცხე-არტაანიდან ჯავახეთს მიმავალ გზებზე?

ზემოთ ჩამოთვლილი წერილობითი წყაროების ჩვენებანი, თუ მატერიალური კულტურის ძეგლები ყოფილა მხოლოდ „შეხება" ქალკედონურ საქართველოსთან. მათ ფონზე ჯავახეთს სომხეთთან ასეთი „შეხება" საერთოდ არ გამოუვა. საგაზეთო წერილის ავტორის ეს ზეპირი განცხადებები საფუძველს მოკლებულია და ამჟღავნებს დღევანდელი პოლიტოლოგის დიდ მისწრაფებას — მისთვის სასურველი სინამდვილედ წარმოაჩინოს ფართო მკითხველი საზოგადოების თვალში.

სრულიად განსხვავებულ, ალ. კანანიანის საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდის X ს-ის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი თავის ნაშრომში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან", რომელიც VII ს-ში მომხდარ ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილებას ეძღვნება. საქართველოს ძველ ისტორიას რომ ეხება, ის წერს: „ურიცხვია სახელი... გავარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი... გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც ქართველნი... ეწოდებათ.

ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ. ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა ის იყო ქვეყნით და ნათესავით ქართველთაგან, ჯავახეთის გავარიდან, სოფლიდან, რომელსაც სკუტრი ეწოდება" (7. 67. 21).

როგორც ვხედავთ, X ს-ის სომეხი ისტორიკოსი ჯავახეთს ძველთაგანვე საქართველოს ნაწილად თვლის, ქართული მოსახლეობით — „ნათესავით" — და არა სომხურით, რომელიც თითქოს IX ს-ის შემდგომ გაქართველდა. უხტანესის ამ ცნობებს იმიტომ აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ავტორი ქართველებთან პოლემიკაში ჩაბმული ისტორიკოსია; ჯავახეთში რომ ისეთი ვითარება ყოფილიყო, როგორსაც ალ. კანანიანი თხზავს, X ს-ის სომეხი ავტორი უსათუოდ იტყოდა ამას, ხოლო დღევანდელი სომეხი ავტორი სიამოვნებით გაავრცელებდა ასეთ ცნობებს ინტერნეტის მეშვეობით.

ჯავახეთი რომ საქართველოში შემავალი მხარეა, მოწმობენ აგრეთვე სომეხი ისტორიკოსები: მათეოს ურჰაეცი, სტეფანოს ორბელიანი, მაგრამ ალ. კანანიანი ზემოხსენებულ წერილობით წყაროებს ან არ იცნობს, ან განგებ უგულებელყოფს.

იმისათვის, რომ დაამტკიცოს ჯავახეთის „მჭიდრო კავშირი სომხეთის ზეგნის საერთო კულტურულ არეალთან", ავტორი იხსენიებს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ მასალასა და ჯავახეთის ტოპონიმების ეტიმოლოგიას. ისევე, როგორც წერილობით წყაროებთან დაკავშირებით, აქაც მისი განცხადებები სრულიად უსაფუძვლოა, მოტანილი არ არის არცერთი მაგალითი, ესეც ალბათ იმიტომ, რომ ავტორი ვერ პოულობს არქეოლოგიურ ფაქტს, რომელიც ჯავახეთისა და სომხეთის „ადრეშუასაუკუნოვანი ტრადიციების ერთიანობას, მათ მჭიდრო კავშირს" დაადასტურებდა.

საინტერესოა, როგორი იქნებოდა მისეული ეტიმოლოგია ჯავახური ტოპონიმებისა: ხერთვისი და ახალქალაქი, ვარძია და ბერთაყანა, ნიალისყური, ბუზმარეთი, ბარალეთი, ნიჯგორი, გიორგიწმინდა, არაკალი, ოკამი, ზაკვი, კარწახი, ქარცები, საღამო, ბატკანა, სათხე და მრავალი სხვა, რომლებიც მხოლოდ ძველი და თანამედროვე ქართულით აიხსნება. განა უძველესი, წარმართობის ხანის ქართული ხალხური ეპოსის გამოძახილი არაა სახელწოდება „ამირანის გორი" ახალქალაქის სიახლოვეს? იქ ხომ არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. III ათასწლეულიდან

მოგვეპოვება. ეს ფაქტი შეიძლება „სომეხი ერის გენეზისის არეალში" წაითვალოს?

ალ. კანანიანს „მნიშვნელოვან დეტალად" ეჩვენება, რომ თითქოს „ქართული ეპიგრაფიკა ჯავახეთში IX საუკუნეში გამოჩნდა და XIV საუკუნეში შეწყდა. XIV საუკუნიდან იქ მხოლოდ სომხურ ეპიგრაფიკას ვხვდებით". კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი ფაქტია ის, რომ სომხური წარწერები ჯავახეთში საერთოდ არაა XIV ს-მდე; ხოლო შემდგომში მხოლოდ სომხურ ეპიგრაფიკას ვხვდებითო — ეს ტყუილია. XV-XVI საუკუნეებს ეკუთვნის ვარძიის, ქარცების, კუმურდოს, კოთელიის, ვანის ქვაბთა წარწერები; მურჯახეთის წარწერა კი XVIII ს-ისა შეიძლება იყოს. XIV-XV საუკუნეებით თარიღდება სომხურწარწერიანი ხაჩქარები თმოგვის სიახლოვეს. ისინი საფლავებზე დადგმული მემორიალური ქვაჯვრებია, რომლებიც, ცხადია, სომხების იქ ცხოვრებას ადასტურებენ, ისინი კი ახალშემოსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ ჯავახეთში.

XIV საუკუნის I ნახევარში, როდესაც სომხეთს თანდათან იმორჩილებდნენ მაჰმადიანური სამთავროები, ჯავახეთში წამოსულა სომხური მოსახლეობის მცირე ნაწილი. ამას მოწმობენ სომხური ხელნაწერების ანდერძები, საიდანაც ჩანს, რომ აქ დაბადებული გრიგოლ ტათევაცის მშობლები სომხეთიდან თმოგვში გადმოსახლებულან (10. 118).

თმოგვის ციხის სიახლოვეს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდინარის მახლობლად შემორჩენილი იყო 20-მდე ხაჩქარი, რომელთაგან მხოლოდ ოთხზე იყო სომხური წარწერა. უძველესი 1356 წელს განეკუთვნება და არა XIII საუკუნეს, როგორც ეს ალ. კანანიანს უწერია. ამასთან, ავტორი ქართველ „მკვლევრებს" აბრალებს, თითქოს მათ ჯერ ძირი გამოეთხაროთ, შემდეგ კი მდინარე მტკვრის ხეობაში გადაეყაროთ ზემოხსენებული ხაჩქარები. სინამდვილეში ისინი მტკვრის ნაპირზე მყოფ სასაფლაოზე აღმოაჩინეს ქართველმა მკვლევრებმა (ეს სიტყვა ბრჭყალებში ჩაუსვამს ავტორს), მათ ძირი კი არ გამოუთხარეს, არამედ შეისწავლეს და გამოაქვეყნეს (11. 195-200).

ჯავახეთის წარწერებთან დაკავშირებით, ალ. კანანიანი იხსენიებს ნიკო ბერძენიშვილსაც, რომელიც 1933 წ. ჯავახეთში მოგზაურობის დღიურში თურმე „ყოვლად უსაფუძვლოდ სდებს ბრალს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას ქართული წარწერების შეგნებულ დაზიანებაში, თუმცა ეპიგრაფიკაში ოდნავ

ნახედული ადამიანი, რომ აღარაფერი ეთქვათ მეცნიერზე, უნდა მიხვდეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ფაქტები ძეგლების „დაზიანებისა", განპირობებულია დროისა და ბუნების სტიქიებით". ავტორის აზრით, ნიკო ბერძენიშვილის ეს დღიური გამხდარა მიზეზი პატრიოტი ჯავახელი სომხების ფიზიკური მოსპობისა „НКВД"-ს მიერ.

ეპიგრაფიკაში ასე ღრმად ჩახედულ პოლიტოლოგ ალ. კანანიანს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჯავახეთში მოგზაურობისას, სოფ. სათხეში ნიკო ბერძენიშვილს ადგილობრივმა სომხებმა თვითონ აუწყეს, რომ ეს წარწერები ნიკოლოზის წინარე ხანაში ამოფხიკეს. წარწერები გადაშლილია სხვა ადგილებშიც და, საერთოდ, ადგილზე ნახვისას, კარგად გაირჩევა რომელია განგებ დაზიანებული და რომელი – ბუნებრივად გადალეული წარწერა.

1971 წელს ჩვენმა ექსპედიციამ ახალქალაქის რაიონის სოფ. აგანაში უცნობ წარწერას მიაგნო, 1906 წელს აგებული სომხური ეკლესიის სამხრეთ კედელზე, ჯერ კიდევ იყო შერჩენილი ქვა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელშიც ბასილი აკანელი იხსენიებოდა, ხოლო წარწერა IX საუკუნეზე ადრინდელი ჩანდა. ქვა მაშინ თავდაყირა ჩაეშენებინათ. 1997 წელს ჯავახეთში მორიგი მოგზაურობისას, წარწერა გადაშლილი დაგვხვდა, კვალიც აღარ ეტყობოდა. იქაური მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა ეკლესიაში არ შეგვიშვა, ფოტოგრაფირების ნება არ მოგვცეს – ეს სომხური ეკლესიააო...

ახალი სომხური ეკლესიების მშენებლობასთან ერთად, ხდება ძველი ქართული ნამონასტრალების, ეკლესიების სომხურად გადაკეთება. ყველაფერ ამას ორგანიზებული ხასიათი აქვს. ასეა ბოჟანოსთან, ძველ მელღრეკში („ვანქი")...

ალ. კანანიანი წუხს – ყოველგვარი ვანდალიზმის უპირველესი მიზეზი ჯავახეთის მუსლიმანური მოსახლეობა იყო და სომხურ მოსახლეობას უსაფუძვლოდ ადანაშაულებენო. ახლა ხომ მაჰმადიანი მესხები იქ აღარ არიან, ქართველობა კი მოსახლეობის 10%-ს შეადგენს. ამიტომაც არავის არაფერი არ „ელანდება" ყველაფერი ისეა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი, სიმ. ჯანაშია და სხვა მომდევნო ხანის ქართველი ისტორიკოსები აღწერენ: სახეზეა სომეხთა პრეტენზიები ქართველთა ისტორიულ ტერიტორიებზე.

რაც შეეხება ალ. კანანიანის განცხადებას, ნიკო ბერძენიშვილის 1933 წლის ჯავახური დღიური, „მშვენიერი

სახელმძღვანელო იყო „НКВД-სათვის" სომეხი პატრიოტების გასანადგურებლადო, ესეც მორიგი სიცრუეა: 1933 წლის ჯავახეთში მოგზაურობის დღიური მეცნიერის არქივში ინახებოდა და პირველად 1964 წელს დაიბეჭდა. ბოლშევიკური რუსეთის „НКВД" არ არჩევდა ქართველ და სომეხ პატრიოტებს. მეცნიერთა დღიურების მიხედვით რომ ერჩიათ თავისი მორიგი მსხვერპლი, მაშინ გიორგი ბოჭორიძეს კი არ გაასამართლებდნენ, არამედ მის დღიურებში მოხსენიებულ სამცხის სომხებს, ასევე რომ ანაიანებდნენ ქართულ ძეგლებს. 1932-33 წლების ეს დღიურები მხოლოდ 1992 წელს დაიბეჭდა, როდესაც ეს თავდადებული მკვლევარი დიდი ხნის წინ უსაფლავოდ იყო დაკარგული.

ალ. კანანიანი წერს: „თუნდაც ის ფაქტი, რომ დღემდე შემონახულ 70-მდე საფლავის ქვებიდან მხოლოდ 2-ს ამშვენებს ქართულენოვანი წარწერა (დანარჩენი სომხურია), თვალსაჩინოს ხდის, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვანმა პოლიტიკურმა ბატონობამ ვერ შერყვნა ჯავახქის ეთნიკური სახე". ავტორი ისე გაიტაცა საფლავის ქვათა წარწერების ამ მომხიბვლელმა შეფარდებამ, რომ დაივიწყა მისივე მტკიცება – IX ს-ის შემდგომ ჯავახეთის სომხები გაქალკედონიტდნენ და გაქართველდნენ (იხ. ზევით). აქ კი მათ ეთნიკური სახე არ დაუკარგავთ... ორივე დასკვნა ტყუილზეა დაფუძნებული, ამიტომაც ვერ ამჩნევს ავტორი წინააღმდეგობას.

ცხადია, რომ როგორც ქართული, ისე სომხური საფლავის ქვების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამ სტატიაშია დათვლილი. 1830 წელს თურქეთიდან შემოსულმა სომხურმა მოსახლეობამ ჯავახეთის უდიდესი ნაწილი დაიკავა. ახლა ისინი იქ მთელი მოსახლეობის 90%-ს შეადგენენ; ცხადია, მეტი იქნება მათი საფლავის ქვებიც.

1830 წლამდე, ჯავახეთში XIV ს-დან შემოსული სომხური მცირე მოსახლეობა კომპაქტურად დასახლებული არ ყოფილა; ესაა ფაქტი, რომელსაც ალ. კანანიანი ქართული ისტორიოგრაფიის „მთავარ კოზირს" უწოდებს. ზევით ვნახეთ, რომ აღწერილ ვითარებას მოწმობენ წერილობითი წყაროებიც, ჯავახეთის ტოპონიმიაცა და ეპიგრაფიკაც.

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" მოწმობს, რომ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ჯავახეთში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. იქ ჩანს სოფლები, სადაც ქართულ სახელებს შორის გამოერევა

თითო-ოროლა კარაპეტ, ხაჩატურ, ტერაკოფ და სხვა. არის მაჰმადიანური სახელებიც. სამაგიეროდ არსად ჩანს მხოლოდ სომხებით კომპაქტურად დასახლებული სოფლები.

როგორც ვხედავთ, სომხური საფლავების პატრონი მოსახლეობა ქართულ სოფლებში იყო გაფანტული. ასეთ პირობებში კი, მათი საურთიერთობო ენა, ბუნებრივია, ქართული იქნებოდა. ამისივე დასტურია მთელი ჯავახური ხალხური ზეპირსიტყვიერება და „თავფარავნელი ჭაბუკის" ლამაზი ხალხური ბალადა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჯავახეთის მოსახლეობის ნაწილი თანდათან გამაჰმადიანდა.

XIX ს-ის 10-იან-20-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის პროცესში, ოსმალური პროპაგანდისა და რუსეთის „ქრისტიანული" პოლიტიკის შედეგად, სამხრეთ საქართველოს მკვიდრი, გამუსლიმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ განთავისუფლებული ადგილები მიეცათ ქართული მოსახლეობისათვის, რომელთაც საკმაო მიწები არ გააჩნდათ. გრაფმა პასკევიჩმა კი ქართველებს იმერეთიდან გადმოსახლების ნება არ მისცა, მათ მაგივრად არზრუმის რაიონიდან ახალციხე-ახალქალაქის მიწებზე 30000 სომეხი მაცხოვრებელი გადმოასახლა. მათი დიდი ნაწილი ჯავახეთის დაცლილ სოფლებში კომპაქტურად დაემკვიდრა.

ალ. კანანიანი წერს: „ქალკედონიზმის მიმდევრებმა და გაქართველებულმა სომხებმა თურქეთის ბატონობის დასაწყისშივე მიიღეს ისლამი; სომხური მოსახლეობა კი უმძიმესი ზეწოლის გამო თანდათან შემცირდა. ამრიგად, 1830 წელს ჯავახქში სომეხი მოსახლეობის გადასახლება უნდა განვიხილოთ არა როგორც საქართველოს ტერიტორიის „კოლონიზაცია", არამედ სომხური მოსახლეობის მიგრაცია მისი ერთი რაიონიდან მეორეში". 1829 წლამდე არზრუმიცა და ახალქალაქიც ოსმალეთისა იყო, შემდგომში – რუსეთისა, ხოლო ახალქალაქის რაიონი სომხური მოსახლეობის კუთვნილი („მისი") არასოდეს ყოფილა მანამდე. ასე რომ, აქ სახეზეა პოლიტოლოგის სწორედ პრეტენზიები ჯავახეთის ტერიტორიაზე.

1830 წელს იქ შექმნილი ვითარების გამო, აი, რას წერდა ვერმიშევი: „თურქეთის მხრიდან ჩამოსახლდნენ სომხები და ახალქალაქის მაზრა თითქმის დაჰფარეს მჭიდრო მოსახლეობით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა ოაზისებად დარჩნენ ქართული

სოფლები". ზაგურსკი აღნიშნავდა, რომ „ქვეყანა ისეთ სახეს იღებს, თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყო დასახლებული". მან იცოდა, რომ ეს ქართული ქვეყანა იყო. ახალმოშენენი სრულიად თავის ნება-სურვილზე იყვნენ მიშვებულნი. ახალჩამოსახლებულებს ისიც კი მოუნდომებიათ, რომ ახალციხისათვის ნორ-ერზერუმი დაერქმიათ, მაგრამ ზაგურსკის სიტყვით, მაშინდელმა ხელისუფლებამ იმდენი გონიერება მაინც გამოიჩინა, რომ მათ სურვილს არ აჰყვა.

XIX საუკუნის I ნახევარშივე შემოსახლდნენ ახალქალაქის მხარეში თარაქამები ქვემო ქართლიდან, ბერძნები არზრუმიდან, რუსი დუხობორები ვორონეჟისა და ტავრიის გუბერნიებიდან, მომთაბარე ქურთები. დარჩენილი ქართველი მაჰმადიანები ოფიციალურად აღირიცხნენ თურქებად. იმის შიშით, რომ ისინი არ გაქრისტიანებულიყვნენ, არ დაბრუნებოდნენ „ქართველობას", 1899 წლის ბრძანებით სამცხე-ჯავახეთში აიკრძალა წირვა-ლოცვა ქართულად, ნებადართული იყო მხოლოდ რუსული და სომხური ღვთისმსახურება (13. 24-25).

ჯავახეთზე საუბარს ალ. კანანიანი ასე ამთავრებს: „შეუცნობელია გზანი ისტორიისა — ალბათ იმიტომაც ჯავახქი, რომლის სომხური სახე შუა საუკუნეებში დასუსტდა, XIX საუკუნეში კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი".

ზემოთ მოტანილმა მასალამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჯავახეთი მუდამ ქართული ქვეყანა იყო და ქართულ სახეს ატარებდა; მხოლოდ XIX საუკუნიდან იცვალა მან იერი რუსეთის მიერ ოსმალეთიდან სომეხთა შემოსახლების შემდგომ. ეს კარგად იცის ავტორმაც, ამიტომ თვალთმაქცობაა მისი წუხილი, თითქოს საბჭოთა პერიოდში „ეს თემა ტაბუდადებული იყო. სომეხ მეცნიერებს საშუალება არ ეძლეოდათ ჩაეტარებინათ ჯავახქის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები, საველე სამუშაოები. მეტიც, სამეცნიერო შრომებშიც კი ვერ მიმოიხილავდნენ ამ მხარის ისტორიას". ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ყველამ იცოდა — ჯავახეთი ქართული სახელმწიფოს ტერიტორია იყო და არის. ხოლო „ქართული ეთნოკულტურისათვის" ჯავახეთის ჩამოშორებას თანამედროვე სომეხი პოლიტოლოგი „ნებისმიერი ხერხებით", უსაფუძვლოდ ცდილობს. ჯავახეთი ყოველთვის „ქართულ ეთნოკულტურას ეკუთვნოდა" და რუსულ „ნოვოე ვრემია"-ში დაბეჭდილი ეს პროვოკაციული წერილი, ქართველ მეცნიერთა ათეულობით ტომებს ვერ გადაწონის.

ყოველივე ამის შემდგომ, ალ. კანანიანი ისევ იტოვებს უფლებას განაცხადოს, რომ „ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, სხვა ქართველი მეცნიერები სომხებს ბრალს სდებენ, თითქოს ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს დიდ ნაწილზე... არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური, თუნდაც პროგრამული დოკუმენტი სომხური მხარის, სადაც გამოთქმული იქნებოდა მსგავსი პრეტენზია... სომხური „პრეტენზიების" ჰიპერბოლიზებით ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა ცდილობს დაარწმუნოს თანამემამულენი სომხების უსაზღვრო უსამართლობასა და უსინდისობაში".

გამოდის, თითქოს ქართველი მეცნიერების მოგონილი ყოფილიყოს ის, რომ 1913 წელს, როდესაც სომხებმა ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა მოითხოვეს, მათ სურდათ, რომ დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეერთებით შეექმნათ მთლიანი თვითმმართველი ოლქი, სომხებით დასახლებული გუბერნია. იგივე მცდელობა განმეორდა 1919,1922 და შემდეგ წლებშიც... განა ივ. ჯავახიშვილმა გამოიგონა 1918 წელს სტამბულში გამოცემული სრულიად სომხეთის სახელმწიფო რუკა, სადაც ეს ქვეყანა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული? იქ ხომ ოსმალეთისა და სპარსეთის ტერიტორიებთან ერთად, სომხეთშია მოქცეული იმერხევი, ახალქალაქი და საქართველოს მთელი ტერიტორია მტკვრის სამხრეთით, თვით განჯის ჩათვლით. ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები არც ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით, არც ისტორიულ საფუძველზე არ იყო დამყარებული, ამიტომაც ის არავის სერიოზულად არ მიუღია (13. 28-29).

ამგვარი გამოცდილების შემდეგ, ყოველი მსგავსი გამოხდომა „უწყინარ" რუსულენოვან პრესაში, აღნიშნული პრეტენზიების გაზვიადება კი არა, სერიოზული შეშფოთების საფუძველია. სამზადისია „პოლიტიკური, თუნდაც პროგრამული დოკუმენტის" შესაქმნელად, რომელიც თითქოს სომხურ მხარეს არ გააჩნია. აბა, რა არის ახალქალაქის მხარისათვის ავტონომიის მოთხოვნა?

ალ. კანანიანის წერილი ჯავახეთს ეძღვნება, მაგრამ ქვემო ქართლით მთავრდება. მისი სიტყვით, 1918 წელს ქართველ მენშევიკებს მნიშვნელოვანი მატერიალური და გეოპოლიტიკური უპირატესობანი გააჩნდათ. თურმე, „ამიტომ მიიჩნევდნენ, რომ

საქართველოს ისტორიული კუთვნილებაა არა მარტო ჯავახეთი და ლორე, რომელიც თბილისის გუბერნიაში შედიოდა, არამედ პამბაკიც (ბამბაკი, სპიტაკის რეგიონი)". ლორე და ბამბაკი თბილისის გუბერნიაში სწორედ იმიტომ აღმოჩნდა, რომ ისინი საქართველოს ისტორიული კუთვნილება იყო რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის დროსაც. შემდგომშიც მენშევიკების „მატერიალური და გეოპოლიტიკური უპირატესობანი" არ იკმარებდა, ისტორიული კუთვნილება რომ არა.

ავტორი განაგრძობს: „გასაბჭოების შემდეგ ლორე სომხეთს დარჩა. სამწუხაროდ, დაშნაკთა პარტიამ, რომელმაც იტვირთა პასუხისმგებლობა სომეხი ხალხის მომავალზე, ვერ გამოიჩინა პრინციპულობა სომხეთ-საქართველოს ტერიტორიულ დავაში. ის გარემოება, რომ სომხეთს მრავალი საუკუნის მანძილზე გაუქმებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და ჩრდილო სომხეთის ზოგიერთი კუთხე ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნების შემადგენლობაში შედიოდა, არ აძლევს საქართველოს უფლებას ეს ტერიტორიები თავის ისტორიულ კუთვნილებად გამოაცხადოს".

ავტორს ავიწყდება (ან განგებ ივიწყებს), რომ არსებობდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია. მის საზღვრებში შედიოდა ბამბაკი, ლორე, ბორჩალო, რომლებიც მიუხედავად იქ გვიან დაარსებული მაჰმადიანური სახანოებისა, მაინც საქართველოს მეფეებს ემორჩილებოდნენ. ამიტომაც რუსეთის ხელისუფლებამ ისინი, ბუნებრივია, თბილისის გუბერნიაში ჩათვალა. ყოველივე ამის მერე, თურმე, საქართველოს არ ჰქონია უფლება „ეს ტერიტორიები თავის ისტორიულ კუთვნილებად გამოაცხადოს"; აი, სომხეთს კი ამის უფლება ჰქონია, მიუხედავად მრავალი საუკუნის მანძილზე გაუქმებული სახელმწიფოებრიობისა, დაკარგული ისტორიული ტერიტორიებისა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დღეს სომხური მოსახლეობაა შემოხიზნული. და ეს არ არის პრეტენზიები სხვათა ტერიტორიებზე?! სომხები დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არიან გაბნეულნი, ზემოხსენებული პრინციპით მათ იქაც შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზიები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე...

ალ. კანანიანის აზრით, დღევანდელი საქართველოს ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს რაიონებში ასობით სომხური ეკლესია, მრავალი ასეული სომხური წარწერა ნათლად მეტყველებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ძირითად ეთნიკურ

ელემენტზე. მათი უმრავლესობა გამქრალა XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველ მეცნიერთა „კვლევის" შედეგად. „ყოველ ათ შუასაუკუნოვან სომხურ ეკლესიაზე, რომლებიც, ფაქტობრივად, უბრალო ნაგებობებია, უბრალო ხალხის ნაშენები, ერთი ქართული ეკლესია მოდის — დიდი და მდიდრული. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველ ეკლესიებს სახელმწიფო აშენებდა, ამკვიდრებდა რა სომხურ ტერიტორიებზე ბიზანტიურ მართლმადიდებლობას; მიუხედავად ამისა, დაშნაკები მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახქისა და ლორეს მიერთებას მოითხოვდნენ სომხეთისათვის".

პავლე მოციქულის სიტყვების პერიფრაზის მოშველიებით (რომაელთა მიმართ, 11, 33), ავტორს „გზანი ისტორიისა" ვითომ შეუცნობელი დარჩენია. სამაგიეროდ, ადვილი გამოსაცნობია მისეული მცდელობა გააყალბოს ისტორია — ჯავახეთთან ერთად ქვემო ქართლიც „სომხურ ტერიტორიად" გამოაცხადოს. საამისო საბუთი კი იქ შემორჩენილი სომხური ეკლესიები და წარწერებიაო, რომლებიც გამქრალან ქართველ მეცნიერთა „კვლევის" შედეგად. ჯერ ერთი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვემო ქართლის ეკლესიათა დიდი უმრავლესობა თავისი წარწერებით ქართულია. ამას გარდა, სომხური ეკლესიები იქ გვიან ჩნდება, მათი წარწერებიც ძირითადად XVII საუკუნისაა.

ალ. კანანიანს არ აწყობს და არც იხსენიებს წერილობით წყაროებს, რომელთა მიხედვით, V საუკუნეში ვარსქენი ქართლის პიტიახშია და არა „სომხური ტერიტორიებისა". რომ ამ ქართლში ქართულად იწერება „შუშანიკის მარტვილობა". ავტორს რომ დავუჯეროთ, თურმე „სომხურ ტერიტორიებზე" დაუარსებიათ ქართველებს მანგლისის, დმანისისს, ბოლნისის საეპისკოპოსოები; „სომხურ ტერიტორიებზე" აუგიათ დიდებული ტაძრები მანგლისის, სამშვილდის, დმანისის, ბოლნისის სიონისა, რომლებსაც უძველესი ქართული წარწერები აქვთ. ქვემო ქართლში ხომ ასეთი სიძველისა არც ერთი სომხური ეკლესია არ არის, იმიტომ რომ ქართული იყო ეს ქვეყანა, ეთნიკურად ქართული მოსახლეობით. ერთადერთ ცურტავის ეპარქიაში იყო ნარევი ქართულ-სომხური მოსახლეობა, ვითარცა სომხეთის მოსაზღვრე, განაპირა საეპისკოპოსოში.

ალ. კანანიანი ხაზგასმით აღნიშნავს უბრალო სომხურ ეკლესიებს; ყოველ ათ მათგანზე, თურმე ერთი ქართული ეკლესია მოდის, დიდი და მდიდრული. ყოველგვარ საფუძველსაა

მოკლებული შუა საუკუნეების ქვემო ქართლში უბრალო ეკლესიების სომხებისათვის, მდიდრულისა კი — ქართველებისათვის მიწერა: ყველა ისინი ქართული იყო. ქართულ სოფლებში, უბრალო სოფლურ ეკლესიებს ქართული მოსახლეობა აშენებდა, ხოლო სამეფოდ ქცეულ ქვემო ქართლის მნიშვნელოვან პუნქტებში სამეფო ოჯახის წევრები და ადგილობრივი ქართველი ფეოდალები აგებდნენ მდიდრულ ტაძრებს. დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული მონგოლობამდე, ცენტრალიზებულ, ძლიერ ქართულ სახელმწიფოს ქვემო ქართლი მტკიცედ ეპყრა (სამეფო დომენი). სახელმწიფო ქართულ მართლმადიდებლობას აქ კი არა, არამედ უკვე საქართველოს შემადგენლობაში შემოსულ სომხეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ამკვიდრებდა — ანისი, კარი, ვალაშკერტი (14. 106-107, 121-125).

ქართველების დასამშვიდებლად სტატიის ბოლო წინადადება გვამცნობს, რომ უსაფუძვლო ყოფილა შიში — სომხები მთელ საქართველოზე აცხადებენ პრეტენზიას; ჯავახეთი და ქვემო ქართლი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, „სომხური ტერიტორიებია"...

ალ. კანანიანის განხილული ოპუსის მიზანი ძველი თემის ახალი სამოსით წარმოდგენის ცდაა პოლიტოლოგის მიერ. ბოლო ასეთი მცდელობა ყარაბაღის ომის შემდგომ, 1992 წელს იყო, როდესაც ერევანში გამოიცა ბუკლეტი „ახალქალაქი". მაშინ მისი მიზანი იყო ჯავახეთის ახალქალაქში (შემდეგ კი სამხრეთ საქართველოს სხვა პუნქტებში) აღმოეჩინათ და დაესაბუთებინათ ძველი სომხური დასახლების არსებობა. გავიდა 10 წელი და ახლა უკვე ცალკე პუნქტებზე კი არა, მთელ ჯავახეთსა და ქვემო ქართლზეა საუბარი.

წარსული გვასწავლის, რომ მსგავს შემთხვევებში სომეხი პოლიტიკოსები ყოველთვის რუსეთში ჰპოვებდნენ დამხმარეებს, მეფისა თუ ბოლშევიკურ რუსეთში. ასეა ახლაც. ყარაბაღში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში განვითარებული მოვლენებით, რუსეთი ისევ აქეზებს სომეხ პოლიტიკოსებს მსგავსი განცხადებებისა და ქმედებისაკენ. განა პროვოკაცია არ იყო სულ ცოტა ხნის წინ, ახალქალაქის რუსული სამხედრო ნაწილის მიერ აღმართული პლაკატი (დაახლ. 15 მ. სიგრძისა და 3 მ. სიმაღლისა), რომელიც იწყებოდა წარწერით «Владей этой землей без опаски... российская армия тебя защитит." იქვე იყო ვითომც ამ სიტყვების მთქმელი პასკევიჩის პორტრეტი.

სწორედ ასეთმა მხარდაჭერამ შეაგულიანა ჯავახეთის სომხური მოსახლეობა, წინააღმდეგობა გაეწიათ აბულის სასროლეთზე სავარჯიშოდ მიმავალი ქართული სამხედრო ნაწილისათვის. ახლა, როცა ისევ დგას ახალქალაქის რუსული სამხედრო ნაწილის გაყვანის საკითხი, სომეხი პოლიტოლოგის წერილი, დაბეჭდილი „ნოვოე ვრემია"-ში, ახალ იმედებს უნდა უსახავდეს ჩვენ ორი მეზობელი ქვეყნის პოლიტიკოსებს.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984;

2. ლ. ნ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962;

3. Г.А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, М. 1960.

4. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955;

5. Ս.Տ. Երեմյան. Հայաստանը ըստ „Աշխարհացոյց"-ի. Եր.. 1963.

6. ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968;

7. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1975;

8. დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980;

9. დ. ბერძენიშვილი ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი — თორი, ჯავახეთი, თბ., 1985;

10. ალ. აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XVII სს), თბ., 1978;

11. Давлианидзе Л.С. К изучению цундско-тмогвских хачкаров. საქ. სახ. მუზეუმი „მოამბე" XX-B, თბ. 1959.

12. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თურქული ტექსტი გამოსც. თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1941;

13. დ. ბერძენიშვილი. ახალქალაქი ჯავახეთისა, ჟურნ. „არტანუჯი", 7, თბ., 1998;

14. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979.

## III. ისტორიკოსების შესახებ

### ივანე ჯავახიშვილი და ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე პეტერბურგში*

რუსეთსა და უცხოეთში სწავლამიღებულმა ქართველმა სტუდენტობამ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მშობლიური მეცნიერების აყვავების საქმეში. ამისდა მიუხედავად, მათ შესახებ საკმარისად ჯერაც არ აღნიშნულა. პეტერბურგის სტუდენტთა საკითხის ჩვენთვის მეტი მიმზიდველობა იმითაცაა შეპირობებული, რომ იქ დაიწყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა, რომლის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე.

* * *

ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ბატონობის პერიოდში, საკუთარ უმაღლეს სასწავლებელს მოკლებული ქართველი ახალგაზრდობა უცხოეთს ეშურებოდა. არაერთი ნიჭიერი ქართველი სწვევია რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებსაც, "საინტერესო მოვლენა იყო—იგონებდა ივ. ჯავახიშვილი 1938 წელი—სადაც კი ქართველი მეცნიერი გაჩნდებოდა, რომელსამე რუსეთის ქალაქში, იქ პატარა ბუდე ჩნდებოდა ქართველი ინტელიგენციისა.. ამგვარად გაჩნდა კერა მოსკოვში, პეტერბურგში, ხარკოვში, ნაწილობრივ თბილისშიაც" (1).

გასული საუკუნის 80-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ერთერთ ძლიერ ფაკულტეტად ითვლებოდა. ქართული ფილოლოგიის შესწავლას ამ დროს იქ სათავეში ალ. ცაგარელი და ნ. მარი უდგნენ.

*მოხსენება წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1955 წ. 24. XI. დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში, 1958. №8.

ამ ფაკულტეტზე, სხვათა შორის, საქართველოს ისტორიაც ისწავლებოდა. "...რა თქმა უნდა... ფაკულტეტი ამით ქართველი ხალხის სამსახურს არ აპირებდა, ისე როგორც არ აპირებდა იგი სამსახურს არაერთი მკვდარი თუ ცოცხალი ხალხისას, რომლის ენასა და წარსულს ასეთივე ხალისითა და წარმატებით სწავლობდა". მაშინ მრავლად იყვნენ იქ ისეთებიც, "საქართველოსა და მის ისტორიას რუსეთის იმპერიის საშენ მასალად, რომ უყურებდნენ" ("люблю Грузию, только под властью России") (2. 342).

იმდროინდელ პეტერბურგში რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხიდან სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდობა saTvistomoebSi (Землячество) ერთიანდებოდა. ასეთი სათვისტომოები იყო მაგ.: ციმბირისა, ვოლოგდისა და სხვ. არსებობდა ქართული სათვისტომოც, რომელიც თითქმის ყველა პეტერბურგელი ქართველის გამაერთიანებელი ორგანიზაცია იყო. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად იგი მიზნად ისახავდა თვისტომთა დახმარებას, ეკონომიკურად თუ სხვა სახით. სათვისტომოს თავისი გამგეობა ჰყავდა, ჰქონდა ბიბლიოთეკა და ხაზინაც. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ მასთანვე არსებობდნენ ქართველოლოგიის სხვადასვა წრეები, რომლებშიაც ქართველ სტუდენტს მშობელი მხარის შესახებ მეცნიერული ცოდნის შეძლებისდაგვარად გაღრმავების საშუალება ეძლეოდა.

1895 წლიდან პეტერბურგში ივ. ჯავახიშვილიც ჩავიდა. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე წარჩინებულ სწავლასთან ერთად, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართული სათვისტომოს მუშაობაში, ითვლებოდა მის გამგეობის წევრად. "... ვანო უმთავრესად ხელმძღვანელობას უწევდა იმ წრეს, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს ისტორიის, კულტურის ზედმიწევნით შესწავლა... იმდროინდელი ქართული სათვისტომოს დიდ სიამაყეს შეადგენდა სამეული: არჩილ ჯორჯაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ზურაბ ავალიშვილი. ამ პლეადას მალე მიემატა ივ. ჯავახიშვილიც"–წერდა კ. მაყაშვილი მოგონებაში 1926 წელს (3).

სათვისტომოს წევრები სავალდებულოდ თვლიდნენ ქართულად ლაპარაკს, მშობლიური ენისა და ლიტერატურის ცოდნას, თვალს ადევნებდნენ ქართულ პრესას და მონაწილეობდნენ ქართველთათვის საჭირო საქველმოქმედო საქმეებში.

ცნობილი მეცნიერის, ივ. თარხნიშვილისათვის, რომელსაც

ქართული კარგად არ სცოდნია. საოჯისტომოს ერთი წლის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი გამოუწერია—ყოველი ქართველი ვალდებულია იცოდეს ქართული და საკუთარ პრესას კითხულობდესო.

საოჯისტომოსთან არსებული წრის გავლენა დიდი იყო და სასარგებლო; სტუდენტებში იგი მშობლიური ენის, კულტურის, ისტორიის ცოდნასა და სიყვარულს ნერგავდა და ქართველ ახალგაზრდას, უნებურად გარუსების გზაზე შემდგარს ქართულ ნიადაგზე აბრუნებდა. „მეც ვანებებ თავს რუსული ლექსების წერას, ენერგიულად ვკიდებ ხელს ქართული ენის შესწავლას, ვუზივარ „ვისრამიანს", „ქილილა და დამანას", დაბადებას, ვიზეპირებ „ვეფხისტყაოსანს" და თანდათან ისევ ვქართველდები. ვფიქრობ, რომ თუ დღეს მე მცირეოდენი წვლილი მიდევს ქართულ მწერლობაში, ამას უნდა ვუმადლოდე ჩემი სტუდენტობის ზემოაღნიშნულ ხანას, იმ ქართულ წრეს და ვანო ჯავახიშვილსაც, რომლის რჩევით მე ხშირად ვსარგებლობდი" (3).

ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტმა, დიდი როლი ითამაშა სამეცნიერო წრის ირგვლივ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა დარაზმვის საქმეში. წარჩინებული სტუდენტი, 1899 წ. უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად იქნა დატოვებული, 1903 წლიდან კი პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე დაინიშნა. ამავე წელს უნივერსიტეტში ქართული ისტორიის შემსწავლელი სექცია ჩამოყალიბდა, სადაც ხელმძღვანელად ივ. ჯავახიშვილი მოიწვიეს. 1903 წელს, ივ. ნიჟარაძისადმი მოწერილ წერილში იგი იუწყებოდა: „...აქ დაარსდა წრეში ქართული ისტორიის სექცია. ოცი კაცი იღებს მონაწილეობას, თუმცა მსურველი ბევრია კიდევ, მაგრამ უადგილობის გამო აღარ იღებენ... ხელმძღვანელობა მთხოვეს; მეც დავთანხმდი და საქართველოს ისტორიის საზოგადო კურსს ვუკითხავ იმ მასალებისა და გამოკვლევების მიხედვით, რომელიც მე ჯერ დაუბეჭდელი მაქვს. ყველანი გულმოდგინედ მოშაობენ და მასალებს, რომელთაც მე ვუსახელებ ხოლმე კითხულობენ..." (1).

მისივე მეცადინეობით სექცია სულ უფრო ფართოვდებოდა და 1907 წ. ქართული სამეცნიერო წრის უკვე ცალკე ჩამოყალიბების შესახებ დაისვა საკითხი, ამავე წლის 11\XII, ივ. ჯავახიშვილმა ქართველ სტუდენტებს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოში თხოვნა შეატანინა, რომელსაც სამეცნიერო წრის წესდების პროექტი ახლდა თან. პროფესორთა საბჭომ

წესდება დაამტკიცა და წრის ხელმძღვანელობა ივ. ჯავახიშვილს მიანდო. ამრიგად, ქართული სამეცნიერო წრის ჩამოყალიბება ბუნებრივი შედეგი იყო სახელოვანი მეცნიერის დაუღალავი მოღვაწეობისა, რომელსაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან ეწეოდა.

სამეცნიერო წრე არ შემოზღუდულა უნივერსიტეტის ფარგლებით. მასში პეტერბურგის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც ერთიანდებოდნენ; იყვნენ ქალებიც. წასაკითხი მოხსენებების თემებს ხელმძღვანელი ადგენდა და სტუდენტები თვითონ ირჩევდნენ მას. ყველას შეეძლო სხვადასხვა დარგიდან ქართულად წაეკითხა მოხსენება, მიეღო მონაწილეობა მოხსენების გარჩევა-შეფასებაში.

წრეს გამგეობა ჰყავდა; პატარა ბიბლიოთეკა და ხაზინაც ჰქონდა. სტუდენტები საწევრო გადასახადს იხდიდნენ. სამეცნიერო წრის არსებობის პირველ წელს, მის გამგეობაში შედიოდნენ სტუდენტები: ყიფშიძე, მამრაძე, ჩერქეზოვი. პერიოდულად იწვევდნენ სხდომებს (ს. ყაუხჩიშვილის სიტყვით – ხუთშაბათობით).

ივ. ჯავახიშვილს შესანიშნავად ესმოდა, რომ „ქართული მეცნიერების, კულტურის შესწავლა, მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ მკედრეთით აღმდგარიყო ძველი ქართული მეცნიერება, ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული" (1). ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად კი შესანიშნავი წამოწყება, პირველი ნაბიჯი ბიბლიოგრაფიის შედგენა იყო, რომელშიც მოცემული იქნებოდა ყველა ცნობა და თხზულება, საქართველოს და ქართველებს რომ შეეხებოდა. ეს საქმე ხელმძღვანელის ინიციატივით სტუდენტთა სამეცნიერო წრემ იკისრა. ივ. ჯავახიშვილი ნ. მარისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ საჭიროება საქართველოსათვის ასეთი ბიბლიოგრაფიისა, დიდი ხანია განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნეს ქართველოლოგებმა; ეს მით უფრო, რომ აქამდე არსებული „კავკასიისა და ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფია" ნაკლული იყო და ისიც 1874 წლამდე (4). სწორედ ამ ხარვეზის შევსებას აპირებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რისთვისაც პირველსავე წელს ჩამოყალიბდა ბიბლიოგრაფიის სექცია.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ანგარიშებში, ყოველ-

წლიურად ცალკე წიგნად რომ გამოდიოდა, სხვათა შორის ქართული სამეცნიერო წრის მუშაობის შესახებაც ვხვდებით მოკლე ცნობებს. ცნობებიდან ჩანს, რომ პირველ წელს წრეში წაკითხული ყოფილა შემდეგი მოხსენებები: 1. „ერეკლე II საშინაო პოლიტიკა"; 2. „სკოლა და განათლების საქმე საქართველოში XIII ს-მდე"; 3. „საზოგადოებრივი მოტივები თანამედროვე ქართულ პოეზიაში" და სხვ. (5).

ეს ის დრო იყო, როცა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართველ ინტელიგენციას არ შეეძლო საყველპურო ლაპარაკს გარდა სხვა საგანზედ ქართულად საუბარი, არ ეხერხებოდა და ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო" (1). ამიტომ ქართულად წაკითხულ მოხსენებას, კამათს, მსჯელობას, წრეში შეკრებილი ახალგაზრდობა რომ ატარებდა, ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მზადდებოდა ქართულად მოაზროვნე მეცნიერული კადრები, საფუძველი ეყრებოდა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას.

უნივერსიტეტის ანგარიშებიდან ჩანს, რომ 1909 წ. არდადეგების პერიოდში საქართველოს შესახებ ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ცნობების შეკრების პროგრამა შემუშავებულა. დ. ყიფშიძე, რომელიც ხშირად იგზავნებოდა სამეცნიერო მივლინებებში, თავისი მუშაობის შედეგებს წრის სხდომებს მოახსენებდა ხოლმე; ასევე იქცეოდნენ სხვა სტუდენტებიც. წრის გამგეობის შემადგენლობაში 1909 წ შედიოდნენ: დ. ყიფშიძე—თავმჯდომარე, კ. შარაშიძე—მდივანი, შ. დადიანი— ხაზინადარი, ს. ქორქოლიანი – ბიბლიოთეკარი, გ. ჭუბაბრია— მბიბლიოგრაფიული სექციის ხელმძღვანელი; სარევიზიო კომისიის წევრებად ამ წელს იყვნენ: რ. გაბაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, აკ. შანიძე (6).

წრის მუშაობის შესახებ საინტერესო მასალას გვაძლევს „სარევიზიო კომისიის მოხსენება სამეცნიერო წრის გამგეობის მოქმედებაზე 1909\10 სასწ. წელს" (7). აქედან ჩანს, რომ გამგეობის საქმიანობა სამ ნაწილად იყო გაყოფილი: 1. სამეცნიერო მოღვაწეობა. 2. მატერიალური მხარე. 3. სამეცნიერო წრის ქონება.

სამეცნიერო მოღვაწეობა გამოხატულია ბიბლიოგრაფიის გაგრძელებაში, რეფერატების დამუშავებასა და ანკეტის მოწყობაში. გამგეობა ამ სამუშაოს შესასრულებლად სექციებად ყოფილა დაყოფილი: ერთს ბიბლიოთეკა ებარა, მეორეს—ბიბლიოგრაფია მესამეს—სალარო და ა.შ. ბიბლიოგრაფიის

სექციაში ჯერჯერობით თურმე ოთხი კაცი მუშაობდა მხოლოდ. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია საჭიროება ამ საქმეში წევრთა მეტი რაოდენობით ჩაბმისა „ყოველივე სამეცნიერო წრეში, წევრი მოვალეა რაიმე სამეცნიერო მუშაობას მისდევდეს უნდა კითხულობდეს რეფერატს და სხვ... ჩვენი აზრით, თუ წრე თავის წევრობად ყოფნას, დაურთავს რაიმე მოვალეობას, ამით არც არავითარ პრინციპს დაარღვევს და მხოლოდ წრის საერთო მეცნიერულ მუშაობას ასწევს"-ო აღნიშნავდნენ სარევიზიო კომისიის წევრები; ისინი ბევრს მსჯელობენ წრის მუშაობის გავრცელების ხერხებზე, არასაკმაოდ თვლიან 24 წევრს წრისას. „ასეთი გულგრილობა თანამემამულეთა მხრივ, სხვათა შორის აიხსნება იმით, რომ ის პატარა მუშაობა რომელიც არის, უგულოდ კეთდება. საჭიროა წრემ მორალური გავლენა მოიპოვოს, საჭიროა, რომ მას პატივისცემით უყურებდნენ და მაშინ ყოველივე მის წინადადებაზე თანამემამულენი უფრო ჩქარა და გულმოდგინედ გასცემენ პასუხს რეფერატების მოწყობაში გამგეობას ცოტა წილი უდევს და საქმის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით წრის წევრები ეცდებიან თავისი პირადი შრომით ასწიონ წრის მდგომარეობა ..." სამწუხაროდ, ეს საინტერესო მოხსენება აქ წყდება.

წრის ხაზინა საწევრო გადასახადებითა და შემოწირულებით ივსებოდა. ხაზინის მესამედი, ხშირად მეტიც, ბიბლიოთეკის შევსებაზე იხარჯებოდა, რომელიც წრის წევრებს არ ჰყოფნიდათ. სამეცნიერო წრის მასალებში საინტერესოა პატარა წერილი გამოგზავნილი ერთ-ერთ წევრის მიერ წრის გამგეობის სახელზე. წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ მის ავტორს წიგნი წაუღია ბიბლიოთეკიდან, აღარ დაუბრუნებია და ბინაზე წერილობითი მოთხოვნა მისვლია წიგნის თაობაზე. ავტორი, დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს ამხანაგებისა და საერთო სასარგებლო საქმის წინაშე, უაღრესად ზრდილობიანად, ბოდიშს იხდის, რომ დროებით ვერ ასრულებს გამგეობის „სრულიად კანონიერ მოთხოვნას" (წიგნი სადღაც სარდაფში აღმოჩენილიყო სხვა წიგნებთან ერთად). უკეთუ გამგეობა ჩემს ბოდიშს არ მიიღებს და თხოვნას არ შეიწყნარებს-ო–წერს ავტორი,–მაშინ პირობას ვიძლევი უმალ ფულით ვუზღოვო დანაკლისი ბიბლიოთეკას...

ივ. ჯავახიშვილი დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა ყოველი სტუდენტის მუშაობას; ხშირად აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას; იბარებდა შინ და საჭირო დახმარებას იქაც არ აკლებდა. მის

შინაარსიან ლექციებს ხშირად ესწრებოდნენ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც.

„მე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტად ჩავირიცხე და მაშინვე დავიწყე ჯავახიშვილის ლექციებზე სიარული. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე მას მსმენელები ცოტა ჰყავდა. უცხო რომ შემნიშნა, მოვიდა, დაწვრილებით გამომკითხა ვინაობა; რომ გაიგო ისტორიულ-ფილოლოგიურზე ვიყავი, მირჩია კლასიკურ ფილოლოგიაში მუშაობა– საქართველოსთვის ამ დარგის სპეციალისტი მეტად საჭირო იქნებაო. მანვე მირჩია დამეწყო ქართულ სამეცნიერო წრეში მუშაობა. ჩემს თემაზე მუშაობისას („ეპიფანე კვიპრელის ტრაქტატი საზომთა და საწყაოთათვის"), ამ ტრაქტატის ქართული ტექსტი თავისი შენიშვნებით თვითონ მათხოვა, რომ მესარგებლა და გამეთვალისწინებინაო"–იგონებს ს. ყაუხჩიშვილი.

ხელმძღვანელობდა რა სამეცნიერო წრეს, ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ სამშობლოს მეცნიერულ კადრებს უმზადებდა, ამით ქართული უნივერსიტეტის საწინდარს ქმნიდა, და ეს ასეც მოხდა შემდეგ. მაგრამ 1910-1911 წლებში, უნივერსიტეტის შესაქმნელად საჭირო სამეცნიერო ძალა ჰყავდა თუ არა ქართველ ხალხს საერთოდ?–აი, რა აწუხებდათ მაშინ პეტერბურგის ქართველ სტუდენთთა სამეცნიერო წრეში.

ცნობების შეკრებამ ისინი დაარწმუნა, რომ 30-მდე პედაგოგი იყო სხვადასხვა უნივერსიტეტში. სტუდენტთა მდგომარეობის გამოსარკვევად კი ჯერ კიდევ 1909 წლიდან დაიწყო ანკეტების დაგზავნა რუსეთისა და საზღვარგარეთის ქალაქებში, ყველგან, სადაც კი ქართველი სტუდენტობა იყო საგულვებელი. ანკეტით უნდა გამორკვეულიყო ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, აგრეთვე ისიც, თუ რომელი დარგი აინტერესებდათ. ანკეტა ორგვარი იყო: ერთი რუსულად დაწერილი, 57 მუხლისაგან შემდგარი–პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველთათვის; მეორე– ქართულად შედგენილი 15 მუხლისაგან–რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქებში მყოფ ქართველ სტუდენტთათვის.

პეტერბურგის ქართველი ახალგაზრდობის ამ წამოწყებამ ცარიზმის ოდესელი დამქაშები ძლიერ შეაშფოთა. მათ დაიწყეს კვლევა, თუ რა წრეა ეს, რისთვის კრებენ ამ ცნობებს და სხვ. ბოლოს და ბოლოს უსიამოვნებას არ მოყოლია სერიოზული

შედეგი, რადგან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ თავს იდო პასუხისმგებლობა. დაბრკოლებას ქმნიდა აგრეთვე თანამემამულეთა გულგრილობაც ამ სასარგებლო საქმისადმი. ამიტომ იყო, რომ 1909 წ გაგზავნილი და შემდეგ არაერთხელ მოთხოვნილი ანკეტები, ძალიან იგვიანებდა. სამეცნიერო წრის გამგეობას ხშირად გამოუყენებია ქართული პრესა. შ. დადიანი „სახალხო გაზეთის" 1911 წ №198, ამის გამო გულნაკლული შენიშნავდა: „ნუთუ მართლა ჩვენს სტუდენტობის ნახევარზე მეტს არაფერი აინტერესებს?!... შეიძლება ძნელი იყოს ჩვენი ისტორიის ცოდნა, ძნელი იყოს კრებაზე ქართულად ლაპარაკი, ან ქართულ სამეცნიერო წრეში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ვერ გამიგია რა სიძნელეს წარმოადგენს" ანკეტის შევსება და დაუყოვნებლივ გამოგზავნაო. ავტორი უსაყვედურებდა ახალგაზრდებს ასეთ უპასუხისმგებლობას და დახმარებისაკენ მოუწოდებდა; „თუ კი, ცოტაოდენი თავმოყვარეობა მაინც შერჩენია სტუდენტობას, თავისი ვითარების გამორკვევას უნდა ცდილობდეს; უნდა ვიცოდეთ ვინა ვართ და რანი ვართ"...

ბოლოს და ბოლოს შევსებული ანკეტები დაუბრუნდა სამეცნიერო წრეს. გამოირკვა, რომ 1000-ზე მეტი ქართველი სტუდენტი სწავლობდა სხვადასხვა დარგზე. „...წინათ—წერდა აკ. შანიძე 1928 წ – განმტკიცებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა, თითქოს დიდი ნაწილი სტუდენტობისა ფუქსავატ ცხოვრებას ატარებდა და სხვა. ანკეტამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია; არ იყო თითქმის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა, და ტექნიკისა, რომ მას არ დასწაფებოდა ქართველი სტუდენტი, ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო".

ქართული სამეცნიერო წრე გამოირჩეოდა უნივერსიტეტის სხვა წრეთა შორის. საინტერერსო მოხსენებები სხვადასხვა საკითხზე და საერთოდ ის საქმიანობა, ქართველი საზოგადოების სასარგებლოდ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით რომ ტარდებოდა, სამეცნიერო წრეს დიდ ავტორიტეტს უხვეჭდა არამარტო ქართველ ახალგაზრდობას შორის. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ორი წრე იყო—ქართული და ორიენტალისტებისა; ამ უკანასკნელს პრივატ-დოცენტი რუდნევი ხელმძღვანელობდა.

აკ. შანიძის სიტყვით, ქართული სამეცნიერო წრის ცხოველი მოღვაწეობით მოხიბლულს, მას გამგეობისათვის წინადადებით მიუმართავს–შეერთებულიყო ეს ორი წრე, მაგრამ, რა თქმა უნდა უარი მიუღია.

წრის წევრთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, 1911 წ მასში 33 წევრია (8). წრის სხდომის დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე ყოველ წევრს ბინაზე ბარათი ეგზავნებოდა, რომელშიც მითითებული იყო რიცხვი, ადგილი და სხდომაზე განსახილველი საკითხები.

წრე განაგრძობდა ინტენსიურ მუშაობას ბიბლიოგრაფიის დასასრულებლად. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოს ნაწილი უკვე შესრულებული იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ მისი სტუდენტობის წლებში. ქართული ბიბლიოგრაფიის I ტომი 1912 წლისათვის უკვე მზად იყო დასაბეჭდად. აღნუსხული იყო დიდი რაოდენობის ეთნოგრაფიული, ისტორიული, ლიტერატურული, არქეოლოგიური და სხვა მასალა. ბიბლიოგრაფიის შედგენამ დაამტკიცა, რომ მრავალი რამ ქართველოლოგიაში ნაორხეველი აღმოჩნდა, რადგან იგივე საქმე, დიდი ხნით ადრე გაკეთებული, უკვე მივიწყებული იყო.

ბიბლიოგრაფიის I ტომის დაბეჭვდის თაობაზე ნ. მარისადმი წარდგენილ ბარათში ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით აღწერდა სტუდენტთა მიერ ჩატარებულ შრომას და ითხოვდა, რომ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას თავის თავზე აეღო მისი გამოცემის საქმე. მოჰყავდა რა ივ. ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათის მთლიანი ტექსტი, ნ. მარი ამას თავის მხრივ უმატებდა: „საკითხის ცოდნა მაიძულებს შეგატყობინოთ, რომ ი. ა. ჯავახიშვილი „ბარათში" ამცირებს თავის როლს, დაჰყავს რა იგი მხოლოდ ხელმძღვანელობამდე. მთელი I ტომის მასალა, უკვე მზად რომაა დასაბეჭდად, მისი პირადი მონაწილეობითაა გარჩეული და დიდი მასალა, გამოცემების მიხედვით მეორედ შემოწმებული. ამიტომ მე, განყოფილების წინაშე ვშუამდგომლობ: 1. მიღებულ იქნას გამოსაცემად ორივე ტომი (მომავალი მეორე ტომიცაა გათვალისწინებული– დ.ბ.) ქართული ბიბლიოგრაფიისა, დაკმაყოფილდეს ქართული სამეცნიერო წრის თხოვნა მის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ 250 მან. ოდენობით. 2. გამზადებული I ტომის ბეჭდვა დაიწყოს 1913 წ..." (4).

სამეცნიერო წრე ბიბლიოგრაფიის შედგენის სამუშაოს

შესრულებით როდი კმაყოფილდებოდა; მუშაობა, რომ უფრო მოქნილი ყოფილიყო, იგი ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და გამომცემლობებს დაუკავშირდა.

„სახალხო გაზეთის" 1913 წლის № 802 მოთავსებულია წრის გამგეობის იმდროინდელი თავმჯდომარის—ა. შანიძისა და წრის ხელმძღვანელის—ივ. ჯავახიშვილის წერილი: „ბევრი რამ არის საჭირო,—წერდნენ ისინი—რომ ახლანდელ უმწეო მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. ბევრი შრომა და მუშაობა დაგვჭირდება ჩვენი თვითარსებობის დასაცავად და უკეთესი მომავლის დასამყარებად, და რომ შრომა უფრო ნაყოფიერი იყოს, აუცილებლად საჭიროა ვისარგებლოთ იმით, რაც გაკეთებულა წინათ და თავიდან ავიცილოთ წინანდელი შეცდომები. ჯერ კიდევ ისეთ პირობებში ვართ...რომ არ ვიცით რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობებს არ ეცოდინებათ რა ვაკეთეთ ჩვენ..." წერილში ხაზგასმულია ბიბლიოგრაფიის დიდი საჭიროება. ავტორები ქართველ საზოგადოებას მოუთხრობენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის მუშაობაზე ამ მიმართულებით და მის შედგენაზე; შემდეგ გადმოცემულია რედაქციებისა და გამომცემელთა სამოქმედო პროგრამა შემდგომი მუშაობისათვის. კერძოდ, პერიოდულ გამოცემათა რედაქციებისაგან ისინი მოითხოვდნენ: „შეადგინონ ამ წლის ბოლოს სარჩევი თავის ორგანოებში მოთავსებული მასალისა ამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, შემდეგში კი აუცილებლად ყოველწლივ გამოსცენ ხოლმე ასეთი სარჩევი." წიგნების გამომცემელთაგან კი ისინი მოითხოვდნენ:—დაეთმოთ 3 ცალი თავისი გამოცემისა ეროვნული მუზეუმისათვის (ორი თბილისისა და ერთი ქუთაისის განყოფილებისათვის). წიგნების ამნაირად თავმოყრით გაადვილდებაო ბიბლიოგრაფიის შედგენის საქმე, რომელიც, ავტორთა აზრით, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა ეკისრა.

ავტორებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ თხოვნას სამშობლოში ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ, ჰქონდათ და არც უსაფუძვლოდ, რადგან საქართველოში კარგად იცოდნენ სამეცნიერო წრის მიზნები; მისი ხაზინა არაერთხელ შევსებულა აქედან გაგზავნილი შეწირულებით. თბილისში იცნობდნენ ივ. ჯავახიშვილსაც მისი საჯარო ლექციებით; „მე ვბრუნდები თბილისში, წლები გადიან და მე ვანოს არ ვხედავ, მაგრამ მთელ ქართველობასთან ერთად მეც ვიცი რასაც აკეთებს იგი

პეტერბურგში"-ო წერდა კ. მაყაშვილი.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო წრეს კავშირი ჰქონდა დამყარებული კიევის, იურიევის (აწინდელი ტარტუ), მოსკოვის, ხარკოვის უმაღლეს სასწავლებლების ქართველ სტუდენტობასთან, მათ წრეებთან; საერთო სხდომათა ოქმებიდან ჩანს, რომ მათთან კავშირ-ურთიერთობა საერთო კრების განხილვის საგანი იყო ხშირად და გაერთიანებული ძალებით ხდებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხთა მოგვარებაც.

თუ პეტერბურგის ქართული წრე სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას მოიცავდა უმეტესწილად, სათვისტომოში გაერთიანებული, ისინი ერთგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ, ამიტომ გვაინტერესებს ჩვენ იგი.

სათვისტომოს დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ, ნაწილობრივ ზევით იყო საუბარი, მას თავისი წესდება გააჩნდა, რომელიც ყოველ წელს განიხილებოდა და შესაბამისად სწორდებოდა. მის გამგეობაში 10 კაცი შედიოდა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ სათვისტომოს მრავალმხრივ საქმიანობას. ხაზინას საწევროების აგრეთვე სხვადასხვა შემოწირულებების სახით უგროვდებოდა თანხები. სალაროს შევსების საუკეთესო საშუალება ტრადიციული „ბალი" და კონცერტების გამართვა იყო. გაჭირვებულ თვისტომთ სესხები ეძლეოდათ, ზოგიერთს სტიპენდია ენიშნებოდა, ზოგს კი, სწავლის ფულსაც უხდიდა სათვისტომო. საინტერესოა, რომ დ. ყიფშიძეს უსახსრობის შესახებ ცნობას და მისი სწავლის ქირისგან განთავისუფლების თაობაზე შუამდგომლობას ქართველთა სათვისტომო აძლევს (9).

1915 წელს ერთერთ სხდომაზე გადაწყდა შრომითი ბიუროების შექმნა, რომელთა მიზანი ქართველ სტუდენტთა დახმარება იყო. გამგეობამ ყოველ სტუდენტს ასეთი ბარათები დაუგზავნა: „მ.ხ. სათვისტომოს გამგეობამ 13\XI კრებაზე დაადგინა დააარსოს ქართველი სტუდენტების მშრომელთა ბიურო. ამის თანახმად უმორჩილესად გთხოვთ მსურველებს ბიუროში მონაწილეობისას ხაზი გაუსვათ იმ დარგის სამუშაოს, რომლის ასრულებაც შეგიძლიათ იკისროთ.

ამასთანავე გთხოვთ ეს ფურცლები დაუყოვნებლივ დააბრუნოთ უკან: ჩააგდოთ უნივერსიტეტის ყუთში, ან და გააგზავნოთ შემდეგი მისამართით: ვედენსკის ქ. 10. ბინა 48 შ. აფხაიძეს.

*რეპეტიტორობა, მომზადება საშუალო და დაბალ სასწავლებელთა ყოველი კლასისათვის, საკონკურსო გამოცდებისათვის სპეციალურ სასწ. შესასვლელად, სიმწიფის მოწმობისათვის, საკლასო ხარისხისათვის უმაღლეს* სასწავლებელთა საგნებში მომზადება. ახალი ენები პრაქტიკულად, *კლასიკური ენები,* ქართული ენა, აღმზრდელობა, სტენოგრაფია, მუსიკის სწავლება, ხატვა, *სახაზავი სამუშაო,* მანქანაზე და ხელით (სალიტოგრაფიოდ) გადაწერა, კორესპონდენტობა, საელექტრონო სამუშაო (ხაზები და სინათლის გაყვანა), საკანცელარიო და კანტორის სამუშაო, კასირობა, შოფერობა.

მდივანი: შ. აფხაიძე".

ყოველ ბარათს, ბოლოში მრგვალი ბეჭედი უზის წარწერით: **Грузинское землячество при С. П. Б. университете.**

ბარათში ჩამოთვლილთა შორის ხაზგასმულს თუ გავაყოლებთ თვალს, დაახლოებით მაინც წარმოვიდგენთ სათვისტომოს წევრთა მომზადებას.

ზემოთ ვახსენე, რომ ხაზინას ერთგვარად ავსებდა ქართული კონცერტები; „დიდი საღამო (ტრადიციული „ბალი") იგონებს გ. თარხნიშვილი—იმართებოდა ყოველწლიურად 14\I—ნინაობას, საამისოდ რომელიმე დიდ დარბაზს ვირჩევდით ხოლმე. იქ ქართველ სტუდენტებს გარდა, ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, რომ ასრულებდნენ, ხშირად მონაწილეობდნენ მსახიობებიც, მათ შორის შალიაპინი, სობინოვი და სხვები; ისინი სპეციალურად ამისთვის მოდიოდნენ და გასამრჯელოსაც არ იღებდნენ ჩვენგან" ერთერთ საღამოზე ვანო სარაჯიშვილსაც მიუღია მონაწილეობა. სტუდენტები ყოველთვის ცდილობდნენ ამ საღამოს, და საერთოდ გამართულ კონცერტებს, „ორგანიზაციის ეროვნული ხასიათი" ეჩვენებინა; უნდა ყოფილიყო დაცული ეთნოგრაფიული სურათი (მორთულობა დარბაზისა, ტანისამოსი, ქართველ მხატვართა ნამუშევრები), მუსიკაც ბალანჩივაძის და ფოცხვერაშვილის იყო უმეტესწილად; იწვევდნენ მოცეკვავე ქართველ ქალებს (ჩერქეზიშვილს, თარხნიშვილს); სტუდენტთა გუნდი ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა, ქართულ პიესებს დგამდა.

სათვისტომო ისევე, როგორც სამეცნიერო წრე, მჭიდრო კავშირში იყო სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულ ქართველ ახალგაზრდობასთან. იგი ხშირი დამხმარე იყო იურიევის, კიევის, ხარკოვის და სხვა ქალაქების სტუდენტობისა. 1912 წ ჟენევის

ქართველთა ეროვნულ წრეს მოწოდებით მიუმართავს პეტერბურგის სათვისტომოსათვის–თამარის გარდაცვალების 700 წლისთავი ალენიშნათ ერთად. სათვისტომოს ოქმებში, ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ არაფერია ნათქვამი. ოქმებიდანვე ჩანს, რომ სტუდენტები პეტერბურგის ქართული კოლონიისა და სათვისტომოს გაერთიანებასაც კი ფიქრობდნენ. ახალგაზრდები ქართველ მოღვაწეებს თავისი თანხებით უხდიდნენ პანაშვიდებს, ხსოვნის საღამოებს; ფიქრობდნენ ზოგიერთებისთვის ძეგლი დაედგათ. მათ ხშირად მოსდიოდათ შემოწირულებანი თბილისის „საქველმოქმედო საზოგადოებისაგან"; „კახეთის" ღვინის საზოგადოებისაგან და სხვ. თავის მხრივ, როცა სათვისტომოს ამის საშუალება გააჩნდა ფულითაც კი ეხმარებოდა დამშეულ სოფლებს საქართველოში, კერძოდ მოუსავლიან აჭარაში.

მოწინავე ქართველი საზოგადოება იმედით შეჰყურებდა თავის ახალგაზრდობას და ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი იმდროინდელ ქართულ პრესაში რომ ეხვდებით უცხოეთს გადახვეწილ სტუდენტთა ცხოვრების გაშუქებისას. რა თქმა უნა, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე და სათვისტომო ყურადღების ცენტრში იყო, მის სიხარულსა თუ წუხილს ცხოველი ინტერესით ეკიდებოდნენ. იმდროინდელ გაზეთებში მრავალგზის მსჯელობას ნახავთ შესახებ იმისა, თუ რა უფრო აინტერესებს ქართველ სტუდენტს, სად სჯობია მისთვის განათლების მიღება; ნახავთ გულისტკივილით სავსე წერილებს ბორჩელის, ცაგურიასი თუ სერგი ხუცესისას, იმის გამო, რომ სათვისტომოს კრებაზე, ახალგაზრდებმა არ იცოდნენ რა მშობლიური ენა, ოციდან ერთმა ილაპარაკაო ქართულად და მრავალი სხვ.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილის შესახებ მაშინ კ. ფოცხვერაშვილმა დაწერა პიესა „აშენდა საქართველო", რომელშიც ფუქსავატი, უმიზნო ახალგაზრდები გაამათრახა, დიპლომის მიღებაზე რომ ოცნებობდნენ მხოლოდ. ამ ნაწერმა სხვადასხვა აზრი გამოიწვია; ბევრს არ სურდა მისი დაჯერება და საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ამიტომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა შ. დადიანმა „სახალხო გაზეთის" 1910 წლის №14 წერილი მოათავსა; იგი წერდა: „ნუთუ ვინმე წარბშეუხრელად იტყვის, რომ ქართველი სტუდენტობა არც ისე დაცემულია როგორც პიესიდან ჩანს?... ნუთუ შესაძლებელია

ითქვას, რომ ქართველი სტუდენტობის 1/3 მაინც იცნობს ჩვენი მწერლობის კორიფეების შემოქმედებას? შეიძლება უარვყოთ ის, რომ ქართველი სტუდენტობა ყველა ერის სტუდენტობაზე უფრო ღარიბი, გაჭირვებულია? ნუთუ ცილისწამებაა ის, რომ ქართველი სტუდენტობის დიდი ნაწილი, კვირაში თადარიგიანად 3-ჯერ ვერ სადილობს?... შეგიძლიათ თქვათ, რომ ქართველი სტუდენტობა ესწრება რეფერატებს, სალიტერატურო სხდომებს, საჯარო ლექციებს? რითი შეგიძლიათ ახსნათ, რომ პეტერბურგში, სადაც 400 სტუდენტი მაინს იქნება, ქართულ სამეცნიერო წრეს რომელსაც პრ. ჯავახიშვილი მეთაურობს, მათი მხოლოდ უმცირესი ნაწილი ესწრება? შეგიძლიათ დამისახელოთ თქვენ ისეთი სტუდენტი, რომელიც საფუძვლიანად მომზადებული ჩამოსულიყოს საქართველოში და საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდეს? ზოგი პეტერბურგშივე რჩება, ზოგიც რუსეთის სხვა ქალაქებში, ზოგი მოხელედ ხდება და საკუთარი პიროვნების გარდა არაფერს დაგიდევს... უნდა შევნიშნო, რომ ამ უკანასკნელ დროს, სტუდენტების მცირე ნაწილი მუშაობს, მაგრამ საიმედო ამაში ცოტაა. საშუალო სასწავლებელში დამახინჯებული, თუ სულ არა სანახევროდ მაინც გადაგვარებული, კიდევ უფრო შორდება მშობლიურ ნიადაგს..."

ახალგაზრდები პროტესტით ხვდებოდნენ გაბატონებულ რეჟიმს; მათში ფართოდ გაედგა ფესვი რევოლუციურ იდეებს, ბევრი მათგანი მოღვაწეობდა კიდეც ამ მიმართულებით. საინტერესოა, რომ პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებს, პროტესტის ნიშნად არც ქულაჯები ათხოვა სათვისტომომ და გაერთიანებაზეც უარი უთხრა: „მედიკური აკადემია დღეს კაზარმას წარმოადგენს და როგორც ასეთს, ჩვენ მუდამ უნდა გავურბოდეთ მას; ჩვენ მასზე გავლენის მოხდენა პროტესტის გამოცხადებით უნდა ვცადოთო" —წერია ერთერთ ოქმში. ახალგაზრდებს პირდაპირ მოუწოდებდნენ არ შესულიყვნენ სამედიცინო აკადემიაში. საინტერესოა ერთი შემთხვევაც: ვიღაცას მოუთხოვია მილიუკოვს ან მაკლაკოვს ლექცია წაეკითხოთ თემაზე—„ნაციონალური საკითხი კავკასიაში"; ამას აღუშფოთებია სხდომის უმრავლესობა: „ჩვენი ფირმით არავის ნებას არ მივცემთ იჟაჭროს და ჯიბე გაისქელოს... ჩვენი სახელით არ ვაკითხებთ მილიუკოვებს და მაკლაკოვებს თავის „შესანიშნავ" ლექციებს. სირცხვილია ჩვენ ტაში დავუკრათ მათ და ფული ავკრიფოთ მათი ლექციებით, იმ ლექციებით,

რომლებსაც შარშან დემოკრატიული სტუდენტობა ობსტრუქციით შეხვდა"-ო, განუცხადებია სტუდენტ აფხაიძეს უმრავლესობის ნება. სტუდენტები პოლიტკატორღელთა დასახმარებლადაც ხარჯავდნენ გარკვეულ თანხებს. სხდომაზე მსჯელობდნენ როგორ გაეგზავნათ მათთვის იგი.

არსებული წყობილებით უკმაყოფილებას სტუდენტობა გაფიცვებით გამოხატავდა. ხშირი იყო მათი მონაწილეობა დემონსტრაციებშიც. ისინი მოითხოვდნენ სიტყვის, პრესის თავისუფლებას, ეროვნულ დამოუკიდებლობას და სხვ. 1911 წლის „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე სრულიად რუსეთის სტუდენტთა გაფიცვებში პეტერბურგის უნივერსიტეტის დიდი მონაწილეობის შესახებ ნახავთ მრავალ ცნობას. აქ დაწვრილებითაა აღწერილი მათი გამოსვლები, რევოლუციური სიმღერები, ლოზუნგები, ქიმიური ობსტრუქციები მთელს უნივერსიტეტში, რომელთა გამო გულშეწუხებული გამოყავდათ პოლიციელები, პროფესორები; უნივერსიტეტი რამოდენიმე დღით დაიკეტა.

სათვისტომოს საერთო კრებებზე ხშირად იმართებოდა მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე. „როდესაც იმპერიალისტურ ომში ცარიზმიც ჩაება, სათვისტომომ საგანგებო სხდომა მოიწვია იმის გამოსარკვევად, თუ ამ საკითხში როგორი პოზიცია დაეკავებინათ კავკასიელებს; საამისოდ კომისიაც კი შედგა"-ო იგონებს გ. ჩიტაია. როგორც ჩანს, სათვისტომო არ რჩებოდა გულგრილი პოლიტიკური ვითარებისადმი და სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას მისი წევრები სამშობლოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ. ივ. ჯავახიშვილი ამ საქმეშიც ახალგაზრდობასთან იყო. „პეტროგრადის სუსხიანი, ნოტიო საღამო იყო: სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის წევრები ივ. ჯავახიშვილის ბინაზე ვიყავით შეკრებილნი. ბაასი იმ დროს მიმდინარე იმპერიალისტურ ომს შეეხო. ჩვენი ხელმძღვანელი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ომში მრავალი ქართველი იხოცება, საავადმყოფოში მრავალი დაჭრილი ქართველია და რომ ჩვენ გვმართებს ამ უკანასკნელებზე მზრუნველობაო. ამ თათბირის შემდეგ არ ჩაუვლია ბევრ ხანს, რომ პეტროგრადის და სხვა უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები დაუკავშირდნენ დაჭრილებს, მრავალ მათგანს შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქეს საავადმყოფოს მძიმე პირობები და მათ დაბრუნებას სამშობლოში ხელი შეუწყეს"-ო, იგონებდა გ. ჩიტაია 1941 წ (10).

როგორც აღენიშნე, სათვისტომოში აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართული სამეცნიერო წრის წევრები; ამას გარდა სათვისტომო და სამეცნიერო წრე ხშირად მართავდნენ ერთად საღამოებს (ილიასადმი, არჩ. ჯორჯაძისადმი მიძღვნილი და სხვ.) რომლებზედაც თავის საყვარელ მასწავლებლებს იწვევდნენ ლექციების წასაკითხად. მათი ხშირი სტუმარი იყო ივ. ჯავახიშვილი, კ. აბაშიძე, იოს. ყიფშიძე, ექვთ. თაყაიშვილი; ლექცია წაუკითხავს ბალმონტსაც. სამეცნიერო წრეს არაერთხელ მიუღია ფულადი დახმარება სათვისტომოსაგან.

1915 წ. სამეცნიერო წრემ თავის საუკეთესო მოხსენებათა პირველი კრებული გამოსცა. შემდეგაც აპირებდნენ ასეთის გამოცემას, თუმცა პირველი უკანასკნელიც გამოდგა. აქ დაიბეჭდა საყურადღებო წერილები: 1. „ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფხის-ტყაოსნის" მიხედვით"–შ. დადიანისა; 2. „ყმათა მფლობელობის ხასიათი საქართველოში"–ი. ანთაძისა; 3. „ქართული ხატების მოჭედილობის სახეები"–დ. კაკაბაძისა; 4. „სასამართლოს წარმოება საქართველოში"–გ. თარხნიშვილისა; 5. „წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში"–ი. ანთაძისა; 6. „მოქალაქეობრივი ჰანგები ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებში"– გ. ჭუბაბრიასი: 7. „ქართული კილოები მთაში"–აკ. შანიძისა. ყველა ეს მოხსენება, წრის სხდომაზე განხილული, შემდეგ შეივსო, გადაკეთდა და ისე მომზადდა დასაბეჭდად.

წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა იმ მიზნების შესახებ, რომელიც ამ წრეს ჰქონდა შექმნის დღიდანვე; განიხილავდა წრის მუშაობას ბიბლიოგრაფიის შედგენაზე და სხვა. იგი იძლეოდა წრის ხელმძღვანელის ნიმუშს, რომელიც სათუთად ზრდიდა ახალგაზრდა მკვლევარს და მის შეცდომებს თავისად სთვლიდა. „ერთის გარდა, ამ მოხსენებათა ყველა თემები და წყაროები წრის ხელმძღვანელის მიერ არის დასახელებული. და თვით კვლევის საზღვრებიც მის მიერვეა დადებული. ამის გამო, თუ მკითხველს ან თემა არ მოეწონა, ანუ მეტად ვიწრო და შეზღუდული ეჩვენა, ამის ბრალი ახალგაზრდა მკვლევართ კი არ ედებათ, არამედ მხოლოდ მათს ხელმძღვანელს... პატარა, ვიწროდ შემოფარგლული კვლევა-ძიებანი... საუკეთესო საშუალებად უნდა იყოს ცნობილი და ახალგაზრდა მკვლევარნიც ამ გზით უფრო ადვილად შეეჩვევიან სამეცნიერო მუშაობის ფაქიზსა და მკაცრ მეთოდებს" (11).

შემდეგ ავტორი სათითაოდ, მოკლედ განიხილავდა

მოხსენებებს, აღნიშნავდა მათში კარგსაც და ნაკლსაც. როგორც ჩანს ხელმძღვანელს მოხსენებათა შესწორება-გადაკეთებაში დიდი წვლილი მიუძღოდა. მაგრამ გულისხმიერი, იგი ცდილობდა „თითოეული ავტორის მოხსენების ენას პირადი თვისებები შერჩენოდა და მათი მეობის დამახასიათებელი იერი არ წარხოცილიყო."

კრებულის გამოსვლა, ერთგვარი შეჯამებაც იყო წრის მუშაობისა, იმ წრისა, რომელსაც ასეთი წადიერებითა და სიყვარულით უვლიდა დიდი მეცნიერი; და როცა იგი ამ შრომის შედეგს ხედავდა, ამაგდარს სიამოვნება იპყრობდა და იმედი ეძლეოდა. ამიტომ იყო აღტაცებით რომ წერდა მაშინ: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სამეცნიერო წრის მუშაობამ არამც თუ ამაოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ I კრებულის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა, მომავალშიაც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და შეძლებისდაგვარად ქართულ ღარიბ სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას ხელს შეუწყობენ" (11). შეიძლება ითქვას, რომ ეს იმედი გაუმართლდა მას.

1916 წელს, ბოლოს და ბოლოს გამოვიდა ქართული ბიბლიოგრაფიის I ტ. შესავალში რედაქტორი ი. ყიფშიძე მოკლედ აღწერდა წრის მუშაობას ბიბლიოგრაფიაზე. აქვეა მოტანილი ყველა იმ სტუდენტთა სია, მის შედგენაში, რომ მონაწილეობდნენ: ი. ანთაძე, შ. დადიანი, კ. დონდუა, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ფუთურიძე, გ. ჩიტაია, ა. შანიძე, გ. თარხნიშვილი და სხვ. ბიბლიოგრაფია მოიცავს ცნობებს ყველა ლიტერატურის შესახებ, რაც კია 184 ჟურნალსა და გაზეთში 1852-1910 წწ. II ტომში უნდა ყოფილიყო რუსულსა და უცხო ენებზე საქართველოს შესახებ არსებული ლიტერატურა. ეს შეგროვილი მასალა მაშინ დარჩა მეცნიერებათა აკადემიაში ისე, რომ მისი გამოცემა II ტომად ვერ მოხერხდა.

დაახლოებით ასეთი იყო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავგადასავალი 1917 წლამდე. შემდეგ როგორც ჩანს, იგი დაიშალა, ან უკეთ, რომ ვთქვათ ივ. ჯავახიშვილთან ერთად წამოვიდა საქართველოში და ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების საქმეს შეუწყო ხელი. ამგვარად სამეცნიერო წრემ, ივ. ჯავახიშვილის უცვლელი ხელმძღვანელობით, შესანიშნავად შეასრულა თავის თავზე აღებული დიდად საპასუხისმგებლო, მშობელი ერისთვის სასარგებლო საქმე.

ამ წრის ყოფილმა წევრებმა ს. ყაუხჩიშვილმა, გ. ჩიტაიამ, იურისტმა გ. თარხნიშვილმა სიტყვიერი, თუ სხვა მასალის მოწოდებით დიდი დახმარება გამიწიეს; პატივცემულმა აკ. შანიძემ, მასთან შემორჩენილი ქართული სათვისტომოს, სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობათა სხდომების ოქმები, თუ სხვა საბუთები გადმომცა და უფლება მომცა მით მესარგებლა; ულრმესი მადლობა ყველას.

## შენიშვნები, დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო სამეცნიერო სესიის სხდომაზე 1938 წლის 25 მაისს. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის კაბინეტის მასალებიდან.
2. ნ. ბერძენიშვილი. სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს, წიგნში: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები III. თბ. 1966.
3. კოტე მაყაშვილი. ვანო ჯავახიშვილი. მოგონება, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება" 17-18, თბ. 1926.
4. Протоколы заседаний историко-филилогического отделения Императорской Академии Наук, 28/XI, 1912. (ივ. ჯავახიშვილის კაბინეტის მასალები).
5. Отчет о состоянии и деятельности Имп. СПБ университета за 1908 г.
6. Отчет о состоянии и деятельности Имп. СПБ университета за 1909 г.
7. ეს მოხსენება, სამეცნიერო წრისა და სათვისტომოს შესახებ სხვა მასალებთან ერთად, აკ. შანიძემ გადმომცა.
8. Отчет о состаянии и деятельности Имп. СПБ университета за 1911 г.
9. ეს თხოვნა სათვისტომოს სხდომათა ოქმებში აღმოჩნდა.
10. გ. ჩიტაია. სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს, ენიმკის მოამბე, ტ. 13, 1943.
11. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული, წინასიტყვაობა. სპბ, 1915.

# ლევან მუსხელიშვილის საველე კვლევა-ძიება*

საველე კვლევა-ძიება, მით უფრო დაზვერვითი ხასიათისა, ბევრადაა დამოკიდებული ადგილობრივ გარემოზე, იქ შექმნილ იმჟამიერ სიტუაციაზე, კვლევის მიზანდასახულობაზე, სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ პირობებზე. თუ კი არქეოლოგიური გათხრებისათვის მაინც არსებობს საზოგადოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები, დაზვერვებს ასეთი რამ უფრო ნაკლებად მისდგამთ. საკუთარი, მხოლოდ მისეული განცდა ახასიათებს დიმ. ბაქრაძისა და ნ. მარის, ექვთ. თაყაიშვილისა, თუ ლ. მელიქსედ-ბეგის, გ. ბოჭორიძის, ნ. ბერძენიშვილის, ლ. მუსხელიშვილის საველე დაკვირვებებს.

თავისი კვლევა-ძიების საწყის პერიოდს რომ იგონებდა, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „იმ დროს ახალგაზრდა ისტორიკოსთა შორის გარკვევით ფეხმოკიდებული იყო კრიტიკული დამოკიდებულება წინა თაობის მიერ გაწეული ამ რიგის სამუშაოთა მიმართ: მეტად ვიწრო გვეჩვენებოდა «ისტორიულ-არქეოლოგიურ მოგზაურობანში» და სხვა ასეთ ნაშრომებში მათ მიერ მომარჯვებული თვალსაწიერი. ვცდილობდით ამ თვალსაწიერის გაფართოებას, ველზე ისტორიის რთული ნაკვალევის აღმოჩენას" (I. V).

ნ. ბერძენიშვილი ასევე იგონებდა 1927 წ., როდესაც ის გ. წერეთელთან, ს. ჯიქიასთან, ლ. მუსხელიშვილთან, ი. ცინცაძესა და გ. გოზალიშვილთან ერთად, პირველად გაემგზავრა სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციაში. „ადგილზე ჩვენი სატრანსპორტო საშუალება—წერს იგი—ერთადერთი ვირი იყო, რომელსაც ჩვენი ბარგი-ბარხანა ავკიდეთ, თვითონ კი ქვეითად მივდევდით მას. 15 დღეს დავდიოდით, ჯავახეთის მესამედიც კი ვერ მოვიარეთ. ზოგი მონაწილე მოიქანცა და ჩამოგვშორდა, ზოგიც ავად გახდა. მეტად მძიმე პირობები იყო მატერიალურიც და მორალურიც. მიუხედავად ამისა რა ბევრი რამ შეგვძინა ჩვენ ამ მოგზაურობამ (I. 301).

როგორც ვხედავთ, საველე კვლევა—ძიება ლ. მუსხელიშვილს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაუწყია. ინიციატივა, მატერიალური სახსრები, რაც მთავარია მუშაობის

*დაიბეჭდა კრებულში „ლევან მუსხელიშვილი—100", თბ. 2001.

გეგმა. ექსპედიციის ახალგაზრდა წევრების მიერ ყოფილა შემუშავებული, რომელიც მათ ხელმძღვანელს ივ. ჯავახიშვილს მოუწონებია.

1930 წ. ლ. მუსხელიშვილი პირველად ეზიარა არქეოლოგიურ გათხრებს, რომელიც ნოქალაქევში ტარდებოდა ალფონს მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით. აქვე იყო ლევანის თანაკურსელი გ. გოზალიშვილიც. მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ ექსპედიცია მთელი დღის ნამუშევარს საღამოობით აჯამებდა და აფასებდა. შნაიდერი დასავლეთელ მეცნიერთა კვალობაზე, ყველაფერს გარედან შემოტანილად თვლიდა, ახალგაზრდა ქართველები კი ბევრ რამეს ადგილობრივი წარმოშობისად მიიჩნევდნენ უცხოელ ტიტულოვან კოლეგასთან კამათში. უკვე იქ გამოჩნდა ლ. მუსხელიშვილის მისწრაფება გასათხრელი ძეგლი შეესწავლა მის ქვეყანასთან კავშირში. ამას მოჰყვა ექსპედიციის მოგზაურობა ცხენებით მახლობელ პუნქტებში (2. 17).

1931-1933 წლებში განსვენებული მეცნიერი აბასთუმანში ტუბერკულოზის სამკურნალოდ იმყოფებოდა. ამ თვეებსაც იგი უმეტესად ოძრხის მიდამოების დაზვერვებს ახმარდა. გასვლები აბასთუმნიდან უწარმოებიათ მეგზურების თანხლებით ცხენებზე ამხედრებულებს, ხშირად ქვეითად. ნასაბაჯვრევის გავლით მათ დაუთვალიერებიათ ოცხისწყლის მარჯვენა შენაკადის-კურცხანის ხეობა. მაშინ უნახავს ლევანს ძველი თაღოვანი ხიდი და წყარო ამ ორი ხევის შესაყარის მარჯვენივ, სადაც მან ძველი სამოსახლო ივარაუდა. ხიდიდან წყაროზე გამოვლილი ბილიკით მკვლევარი დარეჯანის მონასტერზე ასულა, სადაც უნახავს 6 დარბაზული ეკლესიის ნანგრევი, დიდი სატრაპეზოს შენობა და 9 სენაკი ბერებისათვის. ერთ ეკლესიაში ფრესკის ნაკვალევიც ყოფილა შერჩენილი. მონასტერი მას არ დაუთარიღებია, მაგრამ ითვალისწინებდა რა აქედან წაღებულ რელიეფურ წარწერას, გამოქვეყნებულს ექვთ. თაყაიშვილის მიერ, მონასტერს ისიც „დიდი სიძველისად" მიიჩნევდა.

აბასთუმნის სიახლოვეს, ოცხისწყლის მარჯვენივ ლ. მუსხელიშვილს უნახავს ნატეხი ქვით დუღაბზე ნაგები, გვირაბის გამოსავალი თაღის ფორმისა, რომელიც მისი აზრით, თამარის ციხიდან ჩამოდიოდა. ამის შემდეგ, მდინარის აყოლებით ერთნავიანი დარბაზული ეკლესია მდგარა, მთლიანად პერანგშემოძარცული, ამჟამად უკვალოდ გამქრალი. მის პირდაპირ

მარცხენა ნაპირის ბექობზე დარბაზული ეკლესია იყო წმ. გიორგის სახელობისა. იქვე კლდეში შემავალი გვირაბი, ნაგზაური, ნანგრევები, სასაფლაო და სამრეკლოს ნაშთი.

განსვენებულ მეცნიერს უნახავს ე.წ. „თამარის ციხეც". მისი აზრით, ის XV ს-ზე ძველი არ უნდა ყოფილიყო. იგი პატარა და წვრილი რეზიდენტის საცხოვრებელი ციხე-დარბაზია, თუმცა არქეოლოგიურმა გათხრამ შესაძლოა ძველი ფენები გამოაჩინოს.

ადგილზე დათვალიერება-შესწავლის გარდა, მკვლევარი აბასთუმნის მკვიდრთაგან იწერდა ნასოფლარ-ნასახლართა სახელებს მათი მდებარეობის მინიშნებით; ასე შეუკრებია 40-მდე ნასახლარის სახელწოდება, რომლებიც კურცხანის, ოცხისწყლის, ბარათხევის, ორპირ-დიდმაღალის ხევებში ყოფილა გაფანტული. მასვე 1925-26 წწ აბასთუმნის საკურორტო რუკების გეგმაზე დაუზუსტებია ამ პუნქტების ადგილმდებარეობა. აქ საინტერესოა რუკებისთვის უცნობი სახელწოდებანი: ყანობირის ხევი, საჯოლია, კალოუბანი და სხვ. ზანტაური ჰრქმევია ფერსათის მთის ნაწილს კურცხანის მარჯვნივ. აქვეა დასახელებული აღობილის მინდორი, ქვაჯვარი, ნაქალაქევი, სოჭილარი, არაზინდო, ნასოფლარის ხევი და ა.შ.

დაზვერვების შემდეგ ლ. მუსხელიშვილმა მცირე გათხრების ჩატარება გადაწყვიტა. ნავარაუდები 7000 მან. ნაცვლად, მხოლოდ 2000 უშოვნია და მაშინვე შეუტყობინებია ივ. ჯავახიშვილისათვის. 1933 წ. 6 აგვისტოს იგი წერდა: „ბოდოკლდის გათხრების დროს მთავარი ყურადღება მინდა მივაქციო „ციკლოპურ" შენობებს, როგორც უფრო ნაკლებად შესწავლილი ნაშთების ტიპს... მაგრამ ერთდროულად მე მინდა ეკლესიის აკლდამაც ამოვწმინდო. თუ საფლავები ბლომად აღმოჩნდა, მე მათ ხელს არ ვახლებ. ამას, როგორც თქვენ იწერებით, ხანგრძლივი და გაცილებით უფრო გულდასმით მუშაობა სჭირდება, რის საშუალებაც მე ახლა არ მაქვს.

ამჟამად ჩემი მთავარი მიზანია ისევ და ისევ დაზვერვა და შენობების ზუსტი გეგმების აღდგენა... ამ წინაზე აქ გ. ბოჭორიძე იყო და ფოტოგრაფიულად გადაიღო წარწერიანი ქვები, რომლებიც აქაურ ყოფილ ეკლესიაში აწყვია და აქ აბასთუმნის მიდამოებიდან მოუტანიათ. პალეოგრაფიულად ისინი X-XI ს-ებისა უნდა იყოს. არის ორი ბარელიეფიც. ჩემ მიერ გადაღებული წარწერიანი ვერძი გ. ბოჭორიძემ ძლივს გადაარჩინა—თურმე

ვარხანულ გლეხებს მაინც დაუდგამთ იგი სოფლის წყაროს თავზე და დიდი ჩხუბის შემდეგ დაუთმიათ. აგვისტოს 15-20-ს მე და გიორგი ვაპირებთ ერთდღიანი ექსკურსიით სატყეოს დიდი ნაწილის მოვლას ძეგლების რეგისტრაციის მიზნით" (3.183).

ჩატარებული გათხრების შესახებ ლ. მუსხელიშვილი იმ აზრისა იყო, რომ მან მხოლოდ შეავსო წინასწარი დაზვერვები და რომ გათხრები ისევ უნდა გაგრძელებულიყო. ივ. ჯავახიშვილს ის სწერდა: „ქვ. ბოდო-კლდის გასათხრელად საკმაო იქნება სამი კვირაც, მაგრამ ამასთან საჭიროა მთელი რ-ნის შესწავლაც...გზადაგზა ძველი ოძრხიდან ბოდო-კლდემდე (დაახლ. 12 კმ-ია) ბევრი სხვა ნანგრევებიც ვნახე და ისედაც დიდი მასალა შევკრიბე ამ სატყეოს ყველა კუთხისათვის... იმ ადგილებს შორის, რომელიც გზადაგზა დავათვალიერე, არის ერთი (ბოდო-კლდეს დაახლ. 1\2 კმ-ით დაშორებული), რომელსაც ყაინარ-ყური ეწოდება... სწორედ აქედან იყო წამოღებული ის წარწერიანი ვერძი, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ...

ეს ადგილი ბოდო-კლდეზე არანაკლებ საინტერესოა და სიდიდითაც მას თითქმის არ ჩამოუვარდება. აქაც ეკლესიის გვერდით „ციკლოპური" ნაგებობანი ყოფილა. ეკლესია კი გაცოლებით უფრო დიდია ბოდო-კლდისაზე...მაგრამ ამჟამად ისეთ ქაოტურ ნანგრევს წარმოადგენს, რომ მისი ფორმის გარკვევა შეუძლებელი ხდება. აქაც საინტერესო ორნამენტებია და... ერთი ქანდაკება აღმოჩნდა, რომელიც თან წამოვიღე... ამ ქანდაკების სურათსაც გიგზავნით. იგი წარმოადგენს მოწითალო ქვიდან გამოკვეთილ რაღაც ფანტასტიკურ კბილებდაკრეჭილი არსების ზედატანს (...ყურები, ან რქები ჩამოტეხილი აქვს) და რომელსაც თათებში რაღაც რქოსანი პირუტყვი უჭირავს. ქანდაკება 15 ფუთი სიმძიმისა იქნება დაახლ. და როგორც ქვედა პირიდან ჩანს, იგი თაღში ყოფილა ჩასმული" (3.183-184).

1933 წ. ოქტომბერში, მაშინდელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კილტურის სექტორის სხდომაზე, ლ. მუსხელიშვილი მოხსენებით გამოსულა აბასთუმნის მიდამოების დაზვერვებისა და ბოდო—კლდის გათხრების შესახებ. მის არქივში მხოლოდ თეზისებია შემორჩენილი. აქედან ჩანს, რომ ოძრხის შესახებ არსებული ისტორიული ცნობების განხილვის შემდეგ, ავტორი ეხებოდა ოძრხის ლოკალიზაციას. აქ მას გადამწყვეტი მნიშვნელობისად მიაჩნდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ცხელი აბანოების შესახებ ოძრხესთან,

რომლებიც ავად თუ კარგად დღესაც მოქმედია.

შემდეგ ავტორი ახასიათებდა მის მიერ აღმოჩენილ ძეგლებს, ეხებოდა აბასთუმნის ცნობილ წარწერას, რომელსაც სავარაუდოდ IX-X სს მიაკუთვნებდა. ცნობა გვარამ მამფლის მიერ ოძრხის ციხის განახლებაზე, ამ წარწერასთან ერთად, ათარიღებს სხვა ძეგლებსაც—აღნიშნავდა იგი. ავტორი აღწერდა ბოდო—კლდის ციხეს, მის ადგილმდებარეობას, მსჯელობდა სახელწოდებაზე, რომელიც მას აგონებდა ბოდალხევსა და ბოდახევს თიანეთთან. მკვლევრის აზრით, ზემო და ქვემო ბოდო-კლდე ციხიანად, შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ერთიანი ნაქალაქარი,

განათხარი ნაგებობების აღწერისას, ციკლოპური წყობის შენობათა გამო აღნიშნავდა, რომ რაკი ამ ტყით მდიდარ მხარეში ქვით უშენებიათ, ე.ი. მოსახლეობაც იქიდან უნდა იყოს მოსული, სადაც ტყე არაა და ტრადიციული უნდა ყოფილიყო ქვით ხუროობა; ასეთებია წალკა და ჯავახეთიო.

მოხსენების ბოლოს განსვენებული მეცნიერი ხაზს უსვამდა ოძრხის მნიშვნელობას უძველესი დროიდანვე, მას უკავშირებდა აქ გამავალ გზების როლს; ისტორიული ცხოვრების ყველა ეტაპზე ეს იყო გზა რკინისჯვრით დას. საქართველოში მიმავალი, მეორე კი — დარეჯანის მონასტრის გავლით, კურცხანა—ბოდო-კლდით გოდერძის უღელტეხილზე, და შემდეგ აჭარაში. მოხსენების გამო გამართული კამათიდან ავტორს ჩაუწერია ს. კაკაბაძის შენიშვნები, რომლის მიხედვით, 1920-იან წლებში აბასთუმნის აბანოს მახლობლად აღმოჩენილა სამარხი სასანური მონეტებით, ხოლო დეკანოზ ზედგენიძის გადმოცემით, წმ. გიორგის ეკლესიის გამოღმა გზის გაყვანისას, 1900-1905 წწ. აღმოჩენილა სამარხი, სადაც რომაული მონეტები უპოვიათ.

1936 წლიდან ლ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ბოლნისში, ვეგუთში, გუდარეხში. ყოველ ასეთ ექსპედიციას წინ უსწრებდა სამეცნიერო თემების დამუშავება, საჭირო ლიტერატურის შესწავლა არქეოლოგიის მეთოდიკის დარგში (4.12). ბოლნისის ექსპედიციის კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი იყო. გარდა ბოლნისის სიონის გათხრა-გასუფთავებისა, უძველესი წარწერების და სტელების აღმოჩენისა, ექსპედიცია აქაც ფართო დაზვერვით სამუშაოებს ატარებდა ფოლადაურის ხეობაში.

ამ ექსპედიციის მონაწილე, მაშინ ახალგაზრდა არქიტექტორი ც. გაბაშვილი იგონებდა: „ლენკო არაჩვეულებრივად მომთხოვნი

იყო ყველას მიმართ და უპირველეს ყოვლისა თავისთავისადმი. თვითონაც გატაცებით, უდიდესი ყურადღებით, სიფრთხილით და მოთმინებით მუშაობდა და ამასვე ასწავლიდა და მოითხოვდა ყველასაგან... პირველადი დამუშავება ექსპედიციის პირობებში უნდა გაკეთებულიყო. გადადება მეორე დღისათვის, სამერმისოდ არ შეიძლებოდა. ლენკოს პირადმა მაგალითმა და მომთხოვნელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო" (5.20).

ბოლნისისადმი მიძღვნილ ნაშრომში, 1938 წ რომ დაიბეჭდა, კარგად ჩანს განსვენებული მეცნიერის საველე კვლევა-ძიების შედეგებიც. აქვე დაწვრილებითაა განხილული მთელი ხეობის მეურნეობა, ხელოსნობის დარგები, მოსახლეობის შემადგენლობა, მისი დინამიკა. ძეგლის ისტორია შესწავლილია უძველესი დროიდან XVIII ს-მდე. წერილობით წყაროებთან ერთად გამოყენებულია ტოპონიმია, ბოლნისის სიონისა და მისი ახლომდებარე ძეგლების წარწერები, დაკვირვებები მიწისზედა ძეგლებსა და ნასოფლარებზე.

სწორედ ამ გათხრების დროს აღმოჩნდა მთავარი წარწერის დიდი ნაწილი, რომელმაც მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე ეკლესიის აშენების თარიღის შესახებ 458-484 წწ მიუხედავად იმისა, რომ აქ ბოლნისის სიონი არაა შესწავლილი ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, მაინც შესანიშნავია ძეგლის ავტორისეული შეფასება დამყარებული საველე დაკვირვებებზე: „სიდიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკავებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკვთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად – აი, რა ახასიათებს ბოლნისის სიონს. თუმცა თავდაპირველი შენობა მერმინდელი არაერთგზისი გადაკეთებით ძლიერაა დამახინჯებული, იგი მაინც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს. იშვიათად თუ მოიპოვება ჩვენში ასეთი დუმილით მეტყველი ძეგლი. მხოლოდ ღრმა და წრფელი სულიერი განცდით, სერიოზული უყოყმანო, ჯერ კიდევ გულუბრყვილო რწმენით გამსჭვალულ კოლექტივს შეეძლო ასეთი ტაძრის აგება თავისი ღვთაებისათვის და მხილველსაც უნებლიედ იპყრობს ამ მისანმიმსწრაფი, შერწმენილი ნებისყოფის ძალა" (6.324). რა ლამაზი აღწერაა!...

განსვენებული მეცნიერის დაკვირვებით, ბოლნისის უძველესი სამოსახლო ის ნაქალაქარია, რომელიც სიონის ქვემოთ, სოფ.

ქაფანაქჩის პირდაპირ მდებარეობს. მიუხედავად ამისა ბოლნისი ყოველთვის წმინდა სასოფლო-სამეურნეო მხარე იყო. შორეული საგარეო ვაჭრობა, ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით ბოლნისს არასოდეს არ უწარმოებია. ამით ხსნიდა ავტორი ერთის მხრით იმ ფაქტს, რომ ბოლნისი ბოლომდე პროვინციად დარჩა და მეორე მხრით იმასაც, რომ მან XVIII ს-ის შუა ხანებამდე ყოველ განსაცდელს გაუძლო; საჭირო იყო ათეული წლების განმავლობაში განუწყვეტელი რბევა და აოხრება, რათა ბოლნისის სიმდიდრე საბოლოოდ დაცემულიყო.

ასევე საყურადღებოა ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებები ბოლნისისა და დმანისის ისტორიული ხვედრის შედარებისას: სავაჭრო გზაზე მდებარე და მთლიანად მასზე დამოკიდებული დმანისი სწრაფად გაიზარდა, აყვავდა და ასევე სწრაფად დაეცა ამ გზის მნიშვნელობასა და მის გაუქმებასთან დაკავშირებით; თანაც იგი დაეცა ისე, რომ მან საუკუნეების განმავლობაში ველარ დაიბრუნა თავისი ძველი მნიშვნელობა. ბოლნისმა კი პირიქით–ბოლომდე შეინარჩუნა თავისთავადი მნიშვნელობა, როგორც მდიდარმა სასოფლო–სამეურნეო რაიონმა. სწორედ ის გარემოება, რომ მხოლოდ დიდმა აოხრებამ აიძულა ბოლნისის მოსახლეობა XVIII ს-ის II ნახევარში აყრილიყო და ადგილი დაეთმო ახალმოსულთათვის, გვაფიქრებინებს, რომ პირველი შენაცვლებაც ბოლნისის მოსახლეობისა ამავე მიზეზით იყო გამოწვეული; იგულისხმება თემურლენგის შემოსევები (6. 374-375).

ექსპედიციის ხელმძღვანელის ეს დასკვნები, რომ ოდენ კაბინეტში კი არა, არამედ საველე დაკვირვებებითაა შემუშავებული, ჩანს ქ-6 ც. გაბაშვილის მოგონებებიდანაც; ის წერს: „არ შემიძლია დავივიწყო 1936 წ 26 აგვისტოს ბოლნისიდან დმანისში გადასვლა ფეხით. წინ მიმავალ პატარა მოჭრიალე ურემს მივდევდით და გზადაგზა ტყეში გაფანტულ ნასოფლარებს... ტაძრებისა და მცირე ეკლესიების ნანგრევებს ვაწყდებოდით. კარგა ხანს შევჩერდით მზით გაკაშკაშებულ კაზრეთის თეთრ ტაძართან, რომლის კარ – სარკმელთა მოჩუქურთმებულ ჩარჩოებს ხის ფოთოლთა ჩრდილები დასთამაშებდნენ. ლენკო გულისტკივილით გვიამბობდა ისტორიული ქარცეცხლის შედეგად გაუკაცრიელებულ, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ საქართველოს ამ კუთხის შესახებ"...(5. 32).

იმავე თვეში გ. ჩუბინაშვილისა და ირ. სონღულაშვილის თანხლებით, ექსპედიციას მოუნახულებია პუჯაბის მონასტერი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა არქეოლოგიური გათხრები დმანისის ნაქალაქარზე. აქაც მიუხედავად ინტენსიური გათხრებისა, ერთ ხანს 10-საათიანი სამუშაო დღით, კვირა დღეებიც შემოგარენის დაზვერვებს ეთმობოდა. დადიოდნენ ერთად, ან ჯგუფ-ჯგუფად; ეცნობოდნენ ახალ ძეგლებს, აღწერდნენ, ზომავდნენ. თუ რომელიმე საინტერესო ძეგლს ხელმძღვანელი მარტო ნახავდა, ის უსათუოდ ექსპედიციის წევრებსაც უნდა მოენახულებინათ (5. 22). დაზვერვები და კვლევა-ძიება ნაქალაქარის გარეთ იმდენად აუცილებელი ყოფილა, რომ ლ. მუსხელიშვილი ივ. ჯავახიშვილსაც კი წერილით სთხოვდა: „თუ ჰფიქრობთ გვეწვიოთ, ჩემი თხოვნაა კვირა დღეს ნუ ამოირჩევთ, ვინაიდან მიდამოებში დასათვალიერებელი ბევრია და თავისუფალი მხოლოდ ეგ ერთი დღე გვაქვს" (7. 165).

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს ჩატარებული საველე კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალა გამოქვეყნდა 1941 წ. ცალკე წიგნად. აქ პირველად გამომზეურდა მანამდე უცნობი, ხუროთმოძღვრული, თუ ეპიგრაფიკული ძეგლები. აქვე დაისვა და გადაიჭრა საინტერესო საკითხები მაშავერას ხეობის ისტორიიდან. ჰამამლუს მანამდე უცნობ წარწერებთან დაკავშირებით, ავტორმა ჩაატარა კვლევა თორელთა გენეალოგიის გამოსარკვევად. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ თორელნი სამძივართაგან წარმომავლობენ, XII ს-დან განაგებენ ჯავახეთსა და მის მიმდგომ მხარეებს, ხოლო ჰამამლუს ტაძარი აგებულია კახა სამძივრის მიერ 1190-91 წწ (8.58).

განსვენებულმა მეცნიერმა ბევრი იქაური ძეგლი ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც შეისწავლა. ამასთან დაკავშირებით ვ. ბერიძე აღნიშნავდა: „ლ. მუსხელიშვილი ერთი იმ იშვიათ ისტორიკოსთაგანი იყო, რომელნიც ძეგლებს განიხილავენ არა მარტო როგორც „საისტორიო მასალას", არამედ მათი მხატვრული თავისებურებისა და ავკარგიანობის დანახვაც შეუძლიათ. ამიტომ არის, რომ მის მიერ მოწოდებული მასალა ყოველთვის ამდიდრებს ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიის ფონდსაც. ამ წიგნში მან გაგვაცნო რამდენიმე მანამდის შეუსწავლელი (და უცნობიც!) ძეგლი და მოგვცა მათი დახასიათებაც. ეს ძეგლებია უკანგორის ეკლესიები, რომლებიც

მან ადრეულ შუა საუკუნეების ხანას მიაკუთვნა, აბულბუგის, კიანეთის, დავით–საგარეჯოს, ტნუსის თეკენების, ჰამამლუს, ბოსლების სამების ეკლესიები და სხვა... ეს უკანასკნელი მან თვით ძეგლის არქიტექტურისა და მორთულობის მიხედვით, სამართლიანად დაათარიღა XIII ს-ის I ნახევრით" (9.16).

ამ წიგნის მოგვიანებით გამოცემას ავტორი ხსნიდა სურვილით – ინტენსიური კვლევით უფრო გაემდიდრებინა ის. წინასიტყვაში ნათლად ჩანს ლ. მუსხელიშვილის საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულება დაზვერვით კვლევა–ძიებაზე: „პირადად ჩემთვისაც –წერს იგი– გაცილებით უფრო სასურველი იქნებოდა ამ მასალების გამოქვეყნება მათი სათანადოდ შეფასების შემდეგ. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე – შესაძლებლობა მისი ასრულებისა. რადგან ადვილი მოსალოდნელია, რომ სხვა სამუშაოთა გამო, ბოლნის-დმანისის რაიონში კარგა ხანს აღარ მომიხდება ყოფნა ისე ხანგრძლივად, რომ საშუალება მქონდეს აღნიშნული ნაკლი შევავსო, ხოლო უკვე ისიც, რაც ჩვენი ექსკურსიების მიერ არის დაგროვილი, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია და მრავალ ახალ მითითებებს შეიცავს, გადავწყვიტე ამ მასალის წარმოდგენა მკითხველის წინაშე იმ სახით, როგორიც მას ამჟამად აქვს. თანაც ერთი ღირსება რაიონის შესასწავლად ექსტენსიურად წარმოებული ექსკურსიებისა არ შეიძლება უარვყოთ, სახელდობრ ის, რომ ამით სწრაფად იზრდება ჩვენი თვალსაწიერი და ზოგადი მიმოხილვის საშუალება" (8.7).

დაზვერვითი კვლევა გრძელდებოდა გუდარეხის არქეოლოგიური გათხრების დროსაც. 1938 წ. აგვისტოში ივ. ჯავახიშვილისადმი გუდარეხიდან გაგზავნილ წერილში ლ. მუსხელიშვილი მას აცნობებდა ჩხიკვთასთან აღმოჩენილი ქვის შესახებ. ავტორის აღწერით, მასზე თამარის ნიშანი იყო გამოსახული, ანალოგიური იმისა, რომელიც წალკიდან საქართველოს მუზეუმში ჩამოტანილ ქვას ჰქონდა; ასევე ატყობინებდა ადრესატს ექსპედიციის მიერ პირღებულის მონასტრის მონახულების შესახებ. ც. გაბაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ: „არ დამავიწყდება...სამშვილდიდან პირღებულში წასვლა ზაფხულის ერთ ცხელ დღეს. ვიდრე გვიან საღამოს უკან არ დავბრუნდით, წყალი არ გვინახავს, ყველა წყარო დამშრალიყო. ლენკო ვერ ფარავდა აღტაცებას...პატივისცემას ბ-ნ ექვთ. თაყაიშვილისადმი, რომელმაც ჩვენზე ბევრად ადრე შესძლო თავისი ავადმყოფი ფეხით ამ ქარაფების დაძლევა" (5.23).

საველე კვლევა-ძიებასთანაა დაკავშირებული განსვენებული მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომები, სამშვილდის სიონისა და სვეტიცხოვლის უძველეს წარწერებს რომ ეხება. საერთოდ ბოლო წლებში მკვლევარი ეპიგრაფიკით იყო დაინტერესებული. ივ. ჯავახიშვილთან მიწერ-მოწერა ამჟღავნებს, რომ მას სურდა როგორც თვითონ ამბობდა, „როგორმე შეეზღუდა სამოქმედო ასპარეზი, რომ რაიმე ღირებული გაეკეთებინა." ამიტომ გადაუწყვეტია ქართული წარწერების კრებულის გამოცემა, სადაც შევიდოდა მთელი მასალა ადგილებზე ხელახლა შემოწმებული; წარწერათმცოდნეობის თვალსაზრისით მოპოვებული შედეგი გამოცემას უნდა დართვოდა; ამას კი უნდა მოჰყოლოდა თითოეული ძეგლის შესწავლა არა მარტო პალეოგრაფიულად, არამედ მთლიანი კომპლექსის სახით, მისი შინაარსის თვალსაზრისით, სხვა მასთან დაკავშირებულ ძეგლებთან ერთად (7. 176). ყველაფერი ეს ისევე საველე დაკვირვებებს უნდა დამყარებოდა.

მე მქონდა შემთხვევა 1962-63 წწ შევხვედროდი და მესაუბრა გლეხებთან, რომლებსაც ლ. მუსხელიშვილთან უმუშავიათ. ბოლნისელი მოხუცი თათარი, გათხრების დროს ტაძრის ყარაულობა რომ ევალებოდა, გაოცებული მიყვებოდა რა დიდ სიხარულს შეუპყრია ექსპედიციის ხელმძღვანელი საამშენებლო წარწერის აღმოჩენისას. ასი მანეთი მაჩუქაო-ამაყობდა ის. დმანისელი ალ. მაღრაძე დაზვერვების დროს ექსპედიციის გამყოლი ყოფილა; „ერთი გენახა რას დავდიოდით დილიდან დაღამებამდე და მაინც ყველაზე მხიარული „ლიონკა" იყოო".

ვისაც საველე ძიების აზარტი განუცდია, მისთვის მახლობელია ლ. მუსხელიშვილისეული საქმით გატაცება და თავდავიწყება. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია მას სპეციალურად არ უკვლევია, მაგრამ მისი საველე დაზვერვებიდან ბევრი რამ ჩვენთვის მისაბაძი გახდა. ამიტომ მოგვიანებით, საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაზე ფიქრისას, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ჩვენი დროის მუშაკთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნიჭიერი მკვლევრის ლ. მუსხელიშვილის დამსახურება ამ მიმართულებით. მან წარმატებით გადალახა ჩვენში ტრადიციულად შემუშავებული ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის მეთოდი და მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული არაერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია" (1. 351).

## დამოწმებული ლიტერატურა:


1. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ. 1964.
2. გ. გოზალიშვილი. მცირე მოგონება ლევან მუსხელიშვილზე, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები" IV, თბ. 1982.
3. ნ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერა, „მნათობი" 7. 1975.
4. ნ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს მუზეუმი „მრავალთავი" V, თბ. 1975.
5. ც. გაბაშვილი. მოგონება, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები" IV, თბ. 1982.
6. ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, თბ. 1938.
7. ნ. ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, „მნათობი" 9, თბ. 1975.
8. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ. 1941.
9. ვ. ბერიძე. ლევან მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები" IV, თბ. 1982.

## ნ. ბერძენიშვილი და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა*

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევა ნ. ბერძენიშვილის შემოქმედებაში მისი ბოლო მეცნიერული გატაცება გამოდგა. ამ საკითხებზე იგი განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მაგრამ ადრეულ ექსპედიციათა დღიურებშიაც კარგად ჩანს ავტორის დაინტერესება ისტორიული გაოგრაფიის ცალკეული პრობლემებით. იმ პერიოდის შესახებ ავტორი შემდგომში ასე იგონებდა: „მეტად ვიწრო გვეჩვენებოდა „ისტორიულ-არქეოლოგიურ მოგზაურობანი" და სხვა ასეთ ნაშრომებში წინა თაობის მიერ მომარჯვებული თვალსაწიერი. ვცდილობდით ამ თვალსაწიერის გაფართოებას, ველზე ისტორიის რთული ნაკვალევის აღმოჩენას" (I. V).

ვახუშტი ბატონიშვილის შექმნილი საქართველოს გეოგრაფიის ერთ-ერთი გამომცემელი, ნ. ბერძენიშვილი ქართული ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებლად ვახუშტის მიიჩნევდა (I. 357), რომელმაც, „ისტორიული გეოგრაფიის მონაცემთა გათვალისწინება პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა და „ადგილის აღწერა" ისტორიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთ მომენტად გამოაცხადა" (I. 347).

რაკი მეცნიერს, მისივე თქმით, ისტორიულ გეოგრაფიაზე იმთავითვე გარკვეული, მთლიანი წარმოდგენა არ ჰქონია, ამიტომ მის საველე დაკვირვებებში კერძო საკითხები წარმოჩნდებიან იმისდა კვალად, თუ რა მიიტაცებს მკვლევრის გულისყურს. ასეთებია გზები და ციხეები, ნასახლარ-ნაქალაქარები, სარკინეთ-წედისები, მინის საწარმოები და სხვა მრავალი მიწისზედა ძეგლები. მისი სიტყვით, „მშვიდად გვიცდიან სოფელთა და სასახლეთა ნანგრევები, დაყრუებული ეკლესია-მონასტრები, ნახიდურ–ნაციხარები, ზეთსახდელების გელაზები, ვრცელი გომურები და ელიან თუ ჩვენ, ისტორიკოსები, როდის ვისწავლით მათ ენას და ამ... ძეგლებს ჩვენი ისტორიის უტყუარ წყაროდ ავამეტყველებთ" (I, 355). სამწუხაროდ მე ახლაც მგონია, რომ ჯერჯერობით ვერავინ შეძლო ნ. ბერძენიშვილზე უკეთ

*დაიბეჭდა 1996 წ კრებულში „აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი–100".

აემეტყველებინა ველზე ნანახი ძეგლები. მას საამისო საფუძვლად დიდი ცოდნა ჰქონდა და, რაც მთავარია, შემოქმედებითი წარმოსახვის საოცარი ნიჭი. ამიტომ იყო მის მიერ დანახული ყოველი ფაქტი ასე ორგანულად დაკავშირებული გარემომცველ ეროვნულთან, საერთოდ ქვეყნის ისტორიასთან.

ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებული ძალისას ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „იბერიის ბარისა და ზეგნის საზღვარზე მდებარე ეს პუნქტი ჩანს, მნიშვნელოვანი საგზაო სადგური იყო. შიდა ქართლის უმთავრესი გზა, რომ სწორედ მუხრან-ძალისა-წილკანზე გამოივლიდა, ამის საბუთია სოფ. მისაქციელი, რომელიც ამ თავისი მეტყველი სახელით ნიშანდობლივ უჩვენებს, თუ საიდან მოდიოდა მთავარი გზა... იგულისხმება, რომ ძალისა-წილკანზე წამოსული გზა აქ (მისაქციელში) მიუხვევდა „მიუქცევდა" არაგვის პირისაკენ, ან ნატახტარ-მცხეთისაკენ" (I, 397).

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებები გზებზე, ეს არაა მხოლოდ გზათა მიმართულების გარკვევა, გზაჯვარედინების, მილიონნებოძირების აღნიშვნა. ცოცხლადაა დანახული ამ გზებით მომავალი მოქარავნენი, ამავე გზებს მოყოლილი ეკონომიკური, თუ პოლიტიკური გაერთიანება მეზობელი მხარეებისა, მთელი ქვეყნისა. ამ მხრივ გამოირჩევა ჯავახეთის დახასიათება: „გამტარი გზების სიმრავლით და ცენტრალური მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჯავახეთს. თუ ჯავახეთი სამცხეტაო-კლარჯეთის მხრით ჰკეტავდა თრიალეთს, თრიალეთი ქართლ-კახეთის მხრიდან ჰკეტავდა მას. ამ ორი ქვეყნის ასე თუ ისე გაერთიანების გარეშე, მათ მფლობელთა ურთიერთ შორის ქიშპის პირობებში საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ფრიად ფერხდებოდა. აუცილებელი ჩანდა (ქვეყნის ეკონომიკური გაერთიანება ამას მოითხოვდა) ან ჯავახეთის პატრონს (აფხაზთ მეფეს) უნდა აეღო თრიალეთი, უნდა დაემორჩილებინა ის, ან კიდევ აფხაზთა მეფეს უნდა დაეთმო ჯავახეთი თრიალეთის პატრონისათვის და მაშასადამე აღმოსავლეთ საქართველოსაც გასცლოდა, ხოლო საქართველოს გაერთიანების საქმე სხვას ეთავა, მაგრამ იმას კი, ვინც უპირველეს ყოვლისა, ამ ორი ქვეყნის ხელში აღებას შეძლებდა" (I. 52-3).

ცხადია ეს გზები თვით ჯავახეთის აღორძინებას უწყობდა ხელს, რაც კარგად გამოჩნდა გვიან, როდესაც მათი მოშლით ჯავახეთის კეთილდღეობასაც მოეღო ბოლო.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს გზებს ნ. ბერძენიშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა — „გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში," სადაც წერილობითი ცნობების მაქსიმალური გათვალისწინებით, დახასიათებულია ქვეყნის როგორც ძირითადი, ისე მეორეხარისხოვანი გზები, ამ გზებთან დაკავშირებული „კარი", „კიბე", „მანძილი", „მებოძირი", „მილიონი", „ხანი", „ქარვასლა", „სამადლო", „სასვენი", „ხანაგა", „იამი". ეს ნაშრომი ცალკე წიგნად დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ნ. ბერძენიშვილმა თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ციხეთა შესწავლის საჭიროებას, მათ ასაგებად ადგილის შერჩევას და გზასთან კავშირს. მისი სიტყვით: „მხოლოდ ციხე კი არ მიიწევდა გზისაკენ, არამედ გზასაც ეწეოდნენ ციხისაკენ, ე.ი. გზა იქ გაჰქონდათ, სადაც ციხე შენდებოდა... ეს გზა ერთ-ერთი მთავარი სტიმული იყო ამ ციხის აგებისა — მას ამიერიდან ამ ციხის ქვეშ უნდა გაევლო, რაც ყოველთვის ნიშნავდა კონტროლს. სადაც საჭიროდ და მარჯვედ მიიჩნევდნენ საამისო სპეციალურ ნაგებობასაც ასრულებდნენ (კლდე-კარის გაჭრა, ფუნდუკ-ქარვასლის აგება, ხიდების შენება და სხვ.). ამიერიდან გზა ციხის ძირას იმიტომ კი არ გაივლიდა, რომ სხვა უფრო მარჯვე მიმართულება არ მოიპოვებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამ გზის მიმართულება ასე იყო დადგენილი... ციხე პოლიტიკური ხელისუფლების განსახიერება იყო და მისი ნება ამ ქვეყანაში კანონი იყო" (I. 255).

მეცნიერმა პირველად სცადა ამ ძეგლების გამოყენებით, დაეხასიათებინა მათი ამგები საზოგადოების განვითარების საფეხურები, სოციალური მომენტები, როდის და ვის ემსახურებოდა ციხე, ვის დაცვას, ვის ბატონობას, ან ვის დამონებას გულისხმობდა ეს ნაგებობა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ციხეთა ნაშთების სიმრავლით საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა. ქვაბიდან სალეკო გალავნამდე ჩვენ წინ განვითარების უწყვეტ რგოლებად არის აცმული... ციხურები და ჯიხურები, ციხესიმაგრეები, ციხე-გალავნები, ციხე-ქალაქები, დედა-ციხეები, ციხე-კოშკები... გადაჭრით შეიძლება ითქვას, მატერიალური კულტურის არცერთ ნაშთს არ შემოუნახავს აგრე მდიდრად და აგრე ცოცხლად საზოგადოების თავგადასავალი, როგორც ის შემოგვინახა ციხემ" (I. 557).

უკვე ლურსმული წარწერების გათვალისწინებით,

მეცნიერმა გამოიტანა დასკვნა, რომ „მრავალი ციხიანობა... მოწმობაა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული (დაბალი) საფეხურისა... გვარი ტომით იცვლება და ტომთა გაერთიანება ყალიბდება, ძველი ციხეები ქრებიან და საგვარეულო ციხის ნაცვლად სატომო ციხენი იქმნებიან" (3. 52).

ავტორი ყურადღებას ამახვილებს დედაციხეზე და აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო მნიშვნელობით მთავარი ციხე, უფროსი ციხე (შდრ. დედაქალაქი). მისი სიტყვით: „დედაციხე... გულისხმობდა, რომ ამ დროს იყო ციხეები, რომელთა შორის ერთი იყო მთავარი ციხე, უმთავრესი ციხე, რომლისაგან სხვა ციხეები შეიძლება გარკვეულ დამოკიდებულებაშიც კი იმყოფებოდნენ... ასეთი დედაციხეები ჰქონდა თითოეულ რაიონს, მოსახლეობის გარკვეულ ერთეულს" (3. 55).

ფეოდალურ ურთიერთობაში მრავალციხიანობა იკლებს და ერთი ციხე ციხისთავით რჩება გარკვეულ ტერიტორიაზე. ქვეყანა საციხისთავოებად იყოფა. ციხეში მოხელე ფეოდალი ჯდება... ეს ციხისთავ-ერისთავები ეუფლებიან ციხეებს და მათ შემავალ ქვეყნებს საშვილიშვილოდ. შემდგომ, ბატონყმობის გამარჯვებით ციხეც ბატონის ადგილსამყოფელია" (3. 54).

ასე წარმოედგინა ავტორს ქართული ციხეების სოციალური განვითარების ზოგადი სურათი, მაგრამ ამ დასკვნებს წინ უძღოდა ცალკეული დაკვირვებები ციხეების მნიშვნელობაზე, მათ როლზე სხვადასხვა დროს.

აი, მისი ნაფიქრი პეტრაზე: „ეს პეტრა როგორი ქალაქია, რომ არცერთი მოქალაქე არ ჩანს მთელი ამ ომის განმავლობაში. იქ მხოლოდ გარნიზონია... ქონება რაიმე თუ ჩანს ის მეციხოვნეებისაა... თითქოს ისე უნდა გავიგოთ, რომ პეტრა არ იყო „ქალაქი", არამედ სამხედრო სადგური, ციხე, ქვემო გურიის მებატონე, რომლის დაბა (ქალაქი) სადღაც ახლოს იყო იქვე. ხოლო მისი ქვეყანა მთელი მხარე იყო. ამ მხრით, შეიძლება პეტრა მართლაც „ქაჯეთის ციხე" იყო ტიპური... როგორც შოთას აქვს დახატული. ე.ი. ისეთი ციხე, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას, სამოქალაქო საქმიანობას არ გულისხმობს. ამ კონტექსტში ფრიად საყურადღებოა, რომ პეტრას ციხეს საშუალო საუკუნეებში, როგორც ჩანს, „ქაჯთა ციხე" ერქვა (Caltihea) და ამ ნიადაგზეა, შესაძლოა, შემუშავებული წარმოდგენა (XVIII თუ XIX ს-ის დასაწყისი), რომ იქ იყო შოთას ქაჯეთი. ეს ცნობა მე

ამოკითხული მაქვს ერთი ქართველი მხედრის და მწერლის (თითქოს თუმანიშვილი უნდა ყოფილიყო) წერილიდან, რომელსაც ის ქვემო გურიაში მყოფი სწერს ადრესატს თბილისში... უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქაჯეთის ციხე" შოთას კი არ მოუგონებია, არამედ ასეთი ცნება აქამდეც არსებობდა. უფრო გვიან „ქაჯეთის ციხე" ტაოშიცაა სადღაც დასახელებული, ხოლო ქაჯთა ქალაქს ლეონტი მროველი არაერთს იცნობს" (3. 516-517).

ადრე შუა საუკუნეთა ხანის ლაზიკის ისტორიულ გეოგრაფიაზე მუშაობისას, მეცნიერმა ბიზანტიური წყაროების „მიწის ციხეებსაც" მიაგნო, ბიზანტიელებისა, თუ სპარსელთა ჯარის ჩაბანაკარებს კასტირ-ისულეთსა და ციხურში. ველზე ყოფნისასვე იგი აღნიშნავდა ამ ნაშთების აღრიცხვა-აღწერის აუცილებლობას, რადგან მათი დიდი ნაწილი წყაროებს მოხსენიებულიც არ აქვთ.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხთა კვლევისას, ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებდა ქართული ქალაქების შესწავლაზე. ქალაქები ზღვის პირას, ტომთა, თუ თემთა საზღვრებზე, მთისა და ბარის დამაკავშირებელი ქალაქები, ახალქალაქები, შუა საუკუნეთა ქართული ქალაქების სახეობანი: ციხე-ქალაქი, დედაქალაქი, დაბა-ქალაქი, სამეფო ქალაქი, საპატრონო ქალაქი, ნავთსადგური, ხიდისთავი და სხვ.

დიდი ადგილი ეთმობა დაკვირვებებს მთისა და ბარის ერთიერთობის შესახებ, ეკონომიკური გეოგრაფიისა და მორწყვის საკითხებს. ამ რიგის ფაქტებზე მსჯელობისას ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მორწყვა აღმ. საქართველოში მიწის საკუთრებისა და ნასყიდობის საფუძველია. საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის აღდგომა-განახლების დაუშრეტელი უნარი და სპეციფიკა, მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაშია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „საქართველოს გაუტეხელობა... ქართული მეურნეობის მოუშლელობაშია, მის ადვილაღსადგენობაშია. `Иверия хорошая страна, она скоро устроятся"- ეუბნებოდა თურმე კახთა მეფის ელჩი ნიკიფორე მოსკოვის ხელმწიფეს XVII ს-ში" (1. 395).

მორწყვის დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით ხაზგასმულია მეცნიერის დაკვირვებაში ძველი ქართული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ჭევის

იყო დამოკიდებული... ქართული სოფლები ხევისპირული გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურნეო საქმიანობა შეიქმნა. ამიერიდან ქართული სოფელი ხევს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული გახდა. ამრიგად გამოდის, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხევებად შედეგია მისი სამეურნეო განვითარების სახეობისა" (1. 423). ამ ჰიპოთეზის მოულოდნელმა გამოსხივებამ შეუძლებელია გულგრილი დატოვოს ისტორიკოსი და არ დააფიქროს იგი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კარდინალურ საკითხებზე.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ეთნიკური გეოგრაფიის სხვადასხვა ასპექტებს, რადგან „მოსახლეობის მოძრაობა, მოსახლეობის ტერიტორიული ადგილმონაცვლეობა, ყოველი საზოგადოების ეთნიკური სახის დადგენის, მისი ეთნიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მომენტია" (1. 236).

საქართველოს მხარეთა ეთნიკურ შემადგენლობაზე საუბარს, ავტორი გვიანი ხანის წერილობითი ცნობების გათვალისწინებით იწყებს. ნაცნობიდან უცნობისკენ სვლით, საუკუნეთა სიღრმეში იკვლევს მოსახლშენეობის ბუნებას, დროდადრო სტიქიურს, ზოგან სახელმწიფოს ძალისმიერი ჩარევით შექმნილს. მეცნიერისათვის ნათელია, რომ „გარდა ქართველებისა იბირებდნენ და მოყავდათ მთიდან, იმიერკავკასიიდან, სომხეთიდან— მოყავდათ ლეკები, ქისტები, ოსები, ჩერქეზები, სომხები, ბერძნები, მოყავდათ ელის თათრები..."

საამისო ფაქტებს ვპოულობთ ეთნონიმიკაშიც, რომლითაც ასე მდიდარია ქართული სინამდვილე. „საკმაოა ჩაუკვირდეს ადამიანი სატომო სახელებით, ან სადაურობის მანიშნებელი სუფიქსით ნაწარმოაბ ქართველ გლეხთა გვარებს (ქართველი, იმერელი, მეგრელი, გურული, რაჭველი, მარგველი, ლაშხი, სვანი, აფხაზი, აფშილი, ჯიქი, ჩერქეზი, ჩაჩი, ჩაჩანი, სანიკი, სანი, ჭანი, ალანი, ოსი, დვალი, თუში, კახი, სოჯი, ჰერი, მესხი, ჯავახი, სომეხი, არაბი, ხაზარი, თათარი, ბერძენი და სხვ.) და თვალწინ ცოცხლად წარმოუდგება ეს დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა... ეს ხდებოდა არა მხოლოდ ომის შედეგად, არამედ... ყოველდღიურ „მშვიდობიან" პირობებში და ყველაფერი ეს ქართული ფეოდალური ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობდა" (1. 238).

როიული და ხანგძლივი, ზემოხსენებული პროცესის ჩვენების შემდეგ, ავტორი ხაზს უსვამს დიდი მნიშვნელობის ფაქტს ჩვენი ქვეყნისათვის: „იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ მხარის ფიზიკური შედგენილობა თანდათან იცვლება, მოსული ელემენტი დამხდურის კულტურას ეზიარება, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცევა, ე.ი. აბორიგენი ხდება" (I. 239).

ამრიგად ნ. ბერძენიშვილის შრომებში თანდათან დამუშავდა და თავი მოიყარა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ყველა ძირითადმა ასპექტმა: ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, ეთნიკური და სოციალური გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესმა საკითხებმა. ამას მოჰყვა ნ. ბერძენიშვილის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გორების აღმოჩენის ფაქტები, რაც მან თეორიული ხასიათის მოსაზრებად განაზოგადა: „ადამიანი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რაღაც საფეხურზე ასეთ გორაკებზე ცხოვრობდა. ეს გორა იყო მისი თავდასაცავი ადგილი, რომელსაც ის ხელოვნურადაც ამაგრებდა (გარშემო თხრილით, თუ ყელის გადაჭრით). აქვე „ლოცულობდა" ის და აქვე საფლავდებოდა...

ადამიანმა გარკვეულ დროს დატოვა ეს თავისი საცხოვრისი... დატოვა არა ერთბაშად, არამედ თანდათან... ზოგან უფრო ადრე, ზოგან უფრო გვიან... ამიერიდან საცხოვრისად ადამიანმა გორის ძირი, ან მისი შორიახლო ადგილი შეარჩია. გორა კი სპეციალური დანიშნულების საზოგადო ადგილად დარჩა: სალოცველ ადგილად, უკეთ საკურთხეველ–სამსხვერპლოდ... სხვაგან ასეთი გორაები ციხე–ქალაქებად (ციხე–გალავნებად) იქცნენ და დაბლა, გორისძირას, ან მისგან შორიახლო განსახლებულ მცხოვრებთა თავდასაცავ ადგილებად–დედაციხედ...

მერმე და რა მეტყველი თემაა! შვიდბორცვიანი რომი, ხუთბორცვიანი ფილიპოპოლი, სამბორცვიანი მცხეთა, „აკროპოლისები", „კრემლები", „დედაციხეები", თეფე-ჰისარები, ციხურები, ნაციხურები, დიხაგუძუბაები... რა თქმა უნდა ყველა ესენი ერთი დროისანი არ არიან აბსოლუტური ქრონოლოგიით, მაგრამ სოციალურად, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, აქ რომ ერთი რაღაც (მთავარ მაგისტრალურ ხაზში) მოვლენასთან გვაქვს საქმე-უცილობლად მეჩვენება" (I. 386-387).

ყოველივე ამის შემდეგ, მეცნიერს თანდათან ჩამოუყალიბდა ერთიანი წარმოდგენა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაზე, მის ძირითად ცნებაზე, რომელსაც მან სახელად შეურჩია „ქვეყანა".

ავტორის სიტყვით, „ქვეყანა" ისტორიულ-გეოგრაფიულად არის საზოგადოებრივი ერთეულის საცხოვრისი გარკვეულ გეოგრაფიულ არეში... ისტორიული გეოგრაფია არის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის" შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საგანია საქართველოს ტერიტორიის („ქვეყნების") ისტორიული შესწავლა, საქართველოს ტერიტორიის ისტორია. ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა", ისევე როგორც მისი შემოქმედი საზოგადოება, ისტორიული კატეგორიაა" (3. 18-19).

ნ. ბერძენიშვილის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუცია ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების" განვითარებაზე ისევე თვალსაჩინოდ შეინიშნება, როგორც ამ საზოგადოების სოციალურ წყობაზე. მისი თქმით, „მონათმფლობელური ურთიერთობის ისტორიული გეოგრაფია „სამოქალაქო" „ქვეყნების" წარმოქმნით აღინიშნება, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება-საციხისთავო „ქვეყნების" განვითარებით, ბატონყმური ურთიერთობის „ქვეყანა" ფეოდალური ქალაქით, ციხითა და მონასტრით ხასიათდება, ხოლო ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის „ქვეყნის" უმთავრესი ისტორიულ— გეოგრაფიული ნიშანი რკინიგზიანი ქალაქია" (3. 20).

შემდეგ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყოველ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას თავისი ცენტრი აქვს. ამიტომაცაა, რომ ხშირად ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ამ ცენტრის სახელით აღინიშნება.

რაკი საბოლოოდ განისაზღვრა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და მისი ძირითადი ცნების შინაარსი, ამის შემდეგ ნ. ბერძენიშვილის კვლევა-ძიება სულ ამ „ქვეყნის" შუქზეა მიმართული: ხევი და ქვეყანა, საზღვარი და ქვეყანა, ციხე-ქვეყანა, ქვეყნის ცენტრი— ციხე-ქალაქი და მიმდგომი მისი, ქვეყანა სამამასახლისო, საერისთავო, ქვეყანა სამთავრო, ქვეყანა სამეფო, ქვეყანა „ყოველი საქართველო".

აი, ზოგიერთი მოსაზრება ასეთი დაკვირვებებიდან: „ქვეყანა მხოლოდ საზღვრებში წარმოიდგინება, უსაზღვრო ქვეყანა უაზრობაა. ამდენადვე ნომადს, რომელმაც თავისი სახეტიალოს

საზღვარი არ იცის, არც ქვეყანა აქვს". ან „ციხე-ქვეყანა", რომლის გამო მკვლევარი შენიშნავდა: „ციხე იქამდე დაკავშირებულია ქვეყანასთან, ხოლო ქვეყანა ციხესთან, რომ კომპოზიტური ცნებაც კი შექმნილა: ქვეყანა უციხოდ არ წარმოიდგინება და ციხე უქვეყნოდ..." „ქვეყნის" განვითარების ფორმა ახლა ასეთია. ამ ციხეების მოშლა „ქვეყნის" განვითარების ახალი საფეხური იქნებოდა. ამ საფეხურამდე ფეოდალური საქართველოს არ მიუღწევია" (3. 107, 133).

უძველესი ქვეყნებიდან სამეფოს ჩამოყალიბება ნ. ბერძენიშვილს ასე ჰქონდა წარმოდგენილი: „ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად, ე.ი. ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწილება სახელმწიფოს წარმოქმნის ნიშანია. ეს უკვე ფარნავაზის დროს მოხდა. ასეთი დანაწილება ხდება არა ვინმეს (მეფის) ნებისმიერად, არამედ ისტორიულად წარმოიქმნება სხვადასხვა ქვეყნების წარმოქმნის შედეგად. ასე რომ, პროცესი პირუკუ არის იმისა, როგორც... ამას ლეონტი წარმოგვიდგენს... ქვეყანა ფარნავაზს (პირველ მეფეს) კი არ დაუნაწილებია ადმინისტრაციულ ერთეულებად, არამედ პირიქით, საუკუნეთა მანძილზე ესა თუ ის „ქვეყანა" იქმნებოდა, ხვდებოდნენ ურთიერთს ეს ქვეყნები... იბრძოდნენ, უკავშირდებოდნენ, ითქვიფებოდნენ და ბოლოს ყალიბდებოდნენ მტკიცე ერთეულები... რომელთა გაერთიანებას ახერხებდა გარკვეულ უპირატესობათა მქონე „ქვეყანა" (ტომთა კავშირი), რომელიც ასეთ ერთეულებს სკეპტუხიების (ხელჯოხიანების) სახით გარს შემოიკრებდა" (3. 150).

საქართველოს გაერთიანების ხანის ახალქალაქებზე მსჯელობისას, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფაქტის გამო, რომელსაც ისევ „ქვეყნის" ფონზე განიხილავს: „რას ნიშნავს ეს ახალქალაქების გამრავლება, თუ არა მათი „ქვეყნების" შესაფერის მეტამორფოზს, ე.ი. თუ არა „ახალი ქვეყნების", განსხვავებული ხასიათის ქვეყნების წარმოქმნას: როცა საზოგადოებრივი წარმოება ისე განვითარებულა, რომ ქვეყნისათვის ქალაქი აუცილებელი გამხდარა. ამიერიდან ქვეყნის ცენტრი ადგილგადანაცვლების სულ უფრო და უფრო ძლიერ ტენდენციას იჩენს ფეოდალის ციხიდან ციხე-ქალაქისაკენ, სადაც ქალაქი სულ უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხდება შედარებით ციხესთან... ამიერიდან ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი საბოლოოდ იქ აღმოჩნდება მოთავსებული, სადაც მისი ეკონომიკური ცენტრი

არის" (ვ. 186).

XII-XIII საუკუნეთა ერთიანი საქართველო ნ. ბერძენიშვილისათვის ძველი ქართული „ქვეყნების" ხანგრძლივი განვითარებით მიღებული წარმონაქმნია– „ყოველი საქართველო", რომლის დამახასიათებელ ნიშნებს იგი ასე სახავს: „რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ყოველი საქართველოს პოლიტიკოსები? არც ერთი მაჰმადიანურად მიჩნეული ქვეყანა საქართველოში უშუალოდ არ შემოდიოდა. ისინი მოხარკე, ყმადნაფიცები იყვნენ. საქართველო კავკასიის ქრისტიანეთს ეწოდებოდა. სომხეთის, თუ ალბანეთის საქრისტიანო, ამდენადვე, საქართველოს სახელმწიფო იყო. ის რასაც მონგოლებმა გურჯისტანი უწოდეს...

საქართველო უფლებრივი ცნებაა, იმ ქვეყნის სახელია, რომელიც ათვისებული აქვს გარკვეულ ორგანიზაციას მეურნეობრივად, კულტურულად, პოლიტიკურად, სადაც ქართველი როგორც ამ ორგანიზაციის წევრი მფლობელობს. მაგრამ საქართველო არაა მხოლოდ ქართველური სისხლით მონათესავეთა მიერ დასახლებული ადგილი...

ამ დროს „ქართველი" ტერიტორიული ქართლის მკვიდრს კი არ ნიშნავს, არამედ გარკვეული ნიშნების მატარებელ ადამიანს, გარკვეული კულტურული იერის მატარებელ ადამიანს, დამოუკიდებლად მისი სადაურობა–წარმოშობისა. ქართული ფეოდალური ურთიერთობის – ვეფხისტყაოსნის ფეოდალური კულტურით, ქართული ენით, ქართული სარწმუნოებით" (ვ. 198-200).

ასეთი იყო ნ. ბერძენიშვილის ზოგადი თეორიული შეხედულებები საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაზე, რომლის შემდგომი დეტალური შესწავლა-დამუშავება მას გადაუდებელ ამოცანდ ესახებოდა. ამიტომ შექმნა მან ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ზემოაღნიშნული პრობლემების მომავალ მკვლევართათვის იგი პრაქტიკულ რჩევებსაც უხვად იძლეოდა. ჯერ კიდევ ადრე ჰქონდა მას შედგენილი კითხვარი – „სათანაო", დამწყებთათვის ველზე სამუშაოდ. შემდგომში კი ზეპირად და წერილობით გვირჩევდა: „ისტორიული გეოგრაფიის კვლევა-დადგენა საქართველოს ქვეყნობრივ უნდა დავიწყოთ. ესაა ყველაზე რეალურ-ისტორიული, ან უკეთ ხეობათა მიხედვით („ქვეყანა"

განვითარების შემდეგი საფეხური შეიძლება იყოს") (3. 14).

მკვლევართა ყურადღების არეში უნდა შემოსულიყო საზოგადოების ყოველგვარი ნაკვალევი, რაც ველზე შემოგვხვდებოდა. „ძეგლების მეცნიერული აღრიცხვა („ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა"), მათი შესწავლა და ისტორიის საშენ მასალად გადაქცევა (-ისტორიული ინტერპრეტაცია) არის ისტორიული გეოგრაფიის დარგში მომუშავე ისტორიკოსთა პირდაპირი ამოცანა... ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც ისტორიული გეოგრაფია თავის მეცნიერულ მიღწევათა პუბლიკაციას ახორციელებს, არის კარტოგრაფია... ისტორიული რუკა, მართალია, ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერულ მიღწევათა დემონსტრაციაა, მაგრამ ის არ არის ერთადერთი საშუალება და ისტორიულ გეოგრაფიას სხვა არანაკლებ მეტყველი საშუალება მოეპოვება თავის მიღწევათა წარმოსაჩენად. მაგალითად ძეგლების მეცნიერულ-ლიტერატურული აღწერა, ისტორიული ძეგლების წერილობითი ინტერპრეტაცია" (1. 348-349).

მეცნიერის მრავალმხრივი ნააზრევიდან, ზემოთ მხოლოდ ზოგიერთი მოვიხსენიე. ბევრია გამოქვეყნებული და სათანადოთ შეფასებულიც, დანარჩენი მის არქივში ინახება. საერთოდ კი, ნ. ბერძენიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას სხვათაგან გამოარჩევდა მუდმივი წვა მიღწევების, თუ იმედგაცრუების ჟამს, მაშინაც, როცა დუმდა, ფიქრობდა, წერდა... მაგრამ არანაკლები ეფექტი ჰქონდა პირად კონტაქტებს. ვინც მას შეხვედრია ბევრს ახსოვს ალბათ, დროდადრო როგორ აინთებოდა და წარმტაცი აზრის აბრიალებით როგორ შეეძლო მსმენელის აყოლიება, დარწმუნება. ახალგაზრდებს ზედიზედ ექსპედიციებში გვაგზავნიდა და ზოგჯერ ექვსი თვის განმავლობაში ველზე ვიყავით. ამის შედეგი იყო, რომ მალე ჩვენი განყოფილების წევრებს, თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო ფეხდაფეხ შემოვლილი გვქონდა.

ნ. ბერძენიშვილის ბევრი საყურადღებო მოსაზრება ისევ ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას, ამიტომაა, რომ დღესაც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა მის მიერ ჩაყრილ საფუძველს ემყარება.

## დამოწმებული ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ. 1964.
2. ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ. 1966.
3. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ. 1990.

# დავით მუსხელიშვილი*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს 75 წელი შეუსრულდა. ქართული საზოგადოებრიობა მას იცნობს არა მარტო როგორც გამოჩენილ მეცნიერ მკვლევარს, არამედ ასევე, როგორც ღირსეულ ქართველ მამულიშვილს. ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საჭირბოროტო საკითხებზე დავით მუსხელიშვილს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი მართალი შეხედულება გაზეთის, რადიომაუწყებლობისა, თუ ტელევიზიის საშუალებით.

გარეშე თვალით დანახული ეს ჯიშიანი, ჭარმაგი კაცი თავის წლებთან შედარებით საკმაოდ მხნედ გამოიყურება– ეტყობა ახლაც ვარჯიშობს. დასავლეთის დალხენილ ქვეყნებში ამ შემთხვევაზე ფიქრობენ, რომ ჩვენს დროში ასაკმა სიღრმეში გადაიწია. ღმერთმა ინებოს, რომ ასე იყოს ჩვენთანაც.

* * *

დავით (დათუნა) მუსხელიშვილი დაიბადა თბილისში 1928 წლის 19 ოქტომბერს. მამა – ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილი თვალსაჩინო ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო, რომელიც ადრე – 1942 წელს გარდაიცვალა. დედა კი – ელენე (ბაიკო) სიმონის ასული ხუნდაძე, უსათნოესი ქალბატონი, შვილების თითქმის ყველა წარმატებას მოესწრო და 1986 წელს გარდაიცვალა.

1936 წელს დ. მუსხელიშვილმა სწავლა დაიწყო თბილისის მე-18 სრულ საშუალო სკოლაში. მას აქ ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები: ვარო ვარდიაშვილი, კოტე თოთიბაძე, გიორგი მგალობლიშვილი, ბიძინა ფერაძე, პარმენ ქაჯაია...

დათუნა სკოლიდანვე საინტერესო წრეში იზრდებოდა; მისი კლასის ამხანაგები იყვნენ: თამაზ ალავიძე, გურამ ასათიანი, მიხეილ გედევანიშვილი, გიორგი თოთიბაძე, გურამ კანკავა, დევი კაციტაძე, შალვა კვინტრძე, თენგიზ მიქელაძე, ნოდარ ნათაძე, თემურ ნაცვლიშვილი, ალეკო სიხარულიძე, თენგიზ ფერაძე, კარლო ღლონტი, ნოდარ ცერცვაძე... ყველა ესენი შემდგომში ჩვენი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები გახდნენ,

*დაიბეჭდა კრებულში „აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი", თბ. 2003.

რომლებთანაც დ. მუსხელიშვილს ბოლომდე შერჩა მეგობრული ურთიერთობანი.

სკოლა მან 1947 წელს დაამთავრა ოქროს მედლით და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში მას ლექციებს უკითხავდნენ ნიკო ბერძენიშვილი, შოთა მესხია, მარიამ ლორთქიფანიძე, ილია აბულაძე, თინათინ ყაუხჩიშვილი... დავით მუსხელიშვილმა სტუდენტობისავე წლებში დაწერა პირველი ნაშრომები: „ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნის შედგენის თარიღისათვის" და „თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის", რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

1952 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დავით მუსხელიშვილი შევიდა ასპირანტურაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე იგი მიღებულ იქნა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად ამავე ინსტიტუტში, სადაც მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე წერდა, რომ სადისერტაციო ნაშრომი – „ციხე-ქალაქი უჯარმა, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა", ავტორის იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი იყო. „გარდა ქალაქ უჯარმის აღმოცენება-განვითარება-დაქვეითების ისტორიის გამოკვლევისა,–აღნიშნავდა ის–აქ მრავალი სხვა პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემაც არის დასმული და გადაჭრილი. მონოგრაფია დიდი, გულმოდგინე და დაძაბული შემოქმედებითი კვლევა-ძიების შედეგია. იგი უეჭველად შევა ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის ძირითად ფონდში, როგორც იმდროინდელ ქალაქთა სპეციალური, კონკრეტული, ყოველმხრივი შესწავლის ერთ-ერთი პირველი მარჯვე და ნაყოფიერი ცდა".

დავით მუსხელიშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში 1965 წლიდან იყო ისტორიული გეოგრაფიის კაბინეტის, 1967 წლიდან კი, ამავე განყოფილების ხელმძღვანელი.

1960-61 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე იგი კითხულობდა სპეცკურსს წინა აზიის არქეოლოგიაში; 1969-71 წლებში კი – ლექციების კურსს „საქა-რთველოს ისტორიული გეოგრაფია"; 1972 წლიდან შეთავსე-ბით მუშაობდა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" უფროს სამეცნიერო რედაქტორად.

1973 წელს დავით მუსხელიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები." 1993 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1999 წელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად.

1953 წელს დავით მუსხელიშვილმა ცოლად შეირთო ნანა იოსების ასული სესიაშვილი, ეყოლა ორი ვაჟი–გიორგი (1954 წ) და ვახტანგი (1957 წ). უფროსი ბიოლოგია, პროფესორი და გერმანიაში მუშაობს, მიუნხენის, მარბურგის, ამჟამად ბრემენის უნივერსიტეტში, უმცროსი მხატვარია, ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. დავით მუსხელიშვილს ახლა უკვე შვილიშვილის შვილები ჰყავს თბილისში. იგი დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

* * *

ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ვიწრო სპეციალიზაციის ფონზე, თვალში საცემია აკად. დ. მუსხელიშვილის სამეცნიერო ინტერესების მრავალმხრივობა. მისი გამოკვლევები შეეხება საქართველოს არქეოლოგიასა და ისტორიას, საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებს კავკასიის ხალხებთან, ქართველი ხალხის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ენეოლითიდან მოკიდებული გვიან შუა საუკუნეებამდე.

ყველაზე დიდი ადგილი მის შემოქმედებაში მაინც ისტორიული გეოგრაფიის კერძო და ზოგადი საკითხების შესწავლას უჭირავს. ისიც აღსანიშნავია, რომ ნაშრომების დიდი ნაწილი მისსავე მიერ მოპოვებულ მასალაზეა დამყარებული, არქეოლოგიურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობისას. ეს მას ეხმარება მრავალი საკითხის ახლებურად დასმასა და გადაწყვეტაში.

საველე კვლევა-ძიებაში მონაწილეობა დავით მუსხელიშვილმა ადრიდანვე დაიწყო. ეს იყო არქეოლოგიური ექსპედიციები უჯარმასა და რაჭაში (1952 წ), მცხეთასა და ფშავში (1953 წ), ხოვლეში (1954–1961 წწ); ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები

იერისა და მტკვრის ხეობებში (1954 წ), ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ხეობებში (1955 წ), ქვემო ქართლში (1956-1958წწ), კახეთში და სხვა.

შიდა ქართლში 1955 წელს აღმოჩენილი „გორებისა", ბრინჯაოს ეპოქის ნამოსახლარებისა და იქაური ანაკრეფი მასალის გათვალისწინებით, დ. მუსხელიშვილმა და გ. ცქიტიშვილმა საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს. მათი აზრით, „ის გარემოება, რომ შიდა ქართლის უძველესი სამოსახლოების კულტურულ ფენებში ნაკლებ ინტენსიურად, ზოგან კი სულ არ არის გამოვლენილი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის შესატყვისი ჰორიზონტები, ანგარიშგასაწევი ფაქტია." ამ მოვლენის ასახსნელად დაშვებულია შესაძლებლობა – მეტალურგიისა და მესაქონლეობის დაწინაურების გამო. მოსახლეობის ნაწილის გადასვლისა საიალაღო მეურნეობაზე (1. 191-192).

ზემოხსენებულსავე კრებულში გამოაქვეყნა დ. მუსხელიშვილმა „ქვემო ქართლის ისტორიულ–გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958 წწ) შედეგები". ავტორი, წერილობითი წყაროების გარდა, იყენებდა აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლების მონაცემებს და ტოპონიმიას. მათ საფუძველზე იკვლევდა იგი ადრე შუა საუკუნეების ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს, სომხურ წყაროებში მოხსენიებულ „წოფისხევს". ნაშრომის „დამატებაში" მოტანილია ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ქართული და სომხური ეპიგრაფიკის მნიშვნელოვანი ძეგლები.

ამავე ექსპედიციის შედეგად დაიწერა დ. მუსხელიშვილის ნაშრომი „აღჯაყალა–გაგის ციხე". წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე ავტორმა დაასკვნა, რომ სოფ. კუშჩის მახლობლად, მდ. დებედის ქვემო წელზე მყოფი აღჯაყალის ციხის ნანგრევები უნდა იყოს XI-XIII საუკუნეებში კარგად ცნობილი გაგის ციხე (2).

სპორტის სახეობებს დ. მუსხელიშვილი ახალგაზრდობიდან ეზიარა – ტანვარჯიში, ფრენბურთი, თხილამურები... საველე ექსპედიციებში იგი შემძლე, ფიზიკური დატვირთვების ამტანი მოვიდა. ამისი ერთ-ერთი გამოვლინება იყო ექსპედიცია ივრის ხეობის ზემოწელზე, ქობთაყის გამოქვაბულთა კომპლექსის შესასწავლად 1957 წელს. მასთან ერთად ამ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მწერლები ლ. გოთუა და რ. ინანიშვილი,

ლიტერატორი ს. ცაიშვილი, გეოლოგები—კ. ჯავრიშვილი და გ. თიკანაძე, არქიტექტორები, მთამსვლელები. ოცზე მეტი გამოქვაბული, გამოკვეთილი 60-70 მ სიმაღლის ფლატის შუაწელზე, მიუვალი იყო და ამიტომ იქ შესაღწევად საჭირო გახდა სპეციალური ხერხების გამოყენება.

ექსპედიციამ მიაკვლია ხის ღარებს, წყალსადენის ნაშთს, რომელიც გამოქვაბულებში ჩადგმულ ქვევრებსა და დერგებს სასმელი წყლით ამარაგებდა. ერთ მოზრდილ გამოქვაბულში აღმოჩნდა გამოკვეთილი, დარბაზული ტიპის ეკლესია, რომლის იატაკზე მიმოფანტული იყო ძველ ხელნაწერთა ფრაგმენტები, ქაღალდზე ნუსხახუცურით ნაწერი, რომელიც XII-XV საუკუნით დათარიღდა. აქ იყო ფრაგმენტი ოთხთავიდან და წმინდანთა მარტვილობის ტექსტის ნაგლეჯები. XII საუკუნით დათარიღებული ერთი ფრაგმენტი შეიცავდა უცნობი მარტვილის-ნონნოისის ცხოვრების ნაწყვეტს. ხატების იქ აღმოჩენილი ფრაგმენტები XII საუკუნისა აღმოჩნდა. დ. მუსხელიშვილის აზრით, ქობთავის გამოქვაბულებში საქმე გვაქვს IX-XIII საუკუნეთა მონასტერთან და სახიზართან საშიშროების შემთხვევაში. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო რაღაც კატასტროფა, ის უნდა გაეძარცვათ; დავიწყებას მიცემული ეს მონასტერი ვახუშტი ბაგრატიონსაც კი აღარ ახსოვს (3).

1945 წლის ჟურნალ „ცისკრის" მეორე ნომერში დ. მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა წერილი „კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები". ამ ნაშრომში ავტორმა კონკრეტული საკითხები განიხილა ივერიისა და ალვანეთის პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე, ყურადღება გაამახვილა ტომთა თუ ხალხთა მიგრაციაზე; გაარკვია განვითარებული შუა საუკუნეების კახეთისა და ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები; დაადგინა იმდროინდელი ერთეულების, კახეთის, ხორნაბუჯის, ჰერეთის, საარიშიანოს საერისთავოთა პოლიტიკური საზღვრები. დასკვნაში მან აღნიშნა, რომ წინააღმდეგ პ. ინგოროყვას შეხედულებებისა „1. რუსთავი არასოდეს არ ჰკუთვნებია ჰერეთს. იგი კუხეთში მდებარეობდა და მისი ცენტრი იყო. 2. არიში არ არის რუსთავის მეორე სახელწოდება. 3. არიშიანი არ ნიშნავს არიშის მფლობელს. 4. „არიშიანის ადგილი" არ არის იგივე „რუსთავის საპატრონო". 5. ჰერეთის საერისთავო არ მოიცავს არც „ხორნაბუჯის საპატრონოს" და მით უმეტეს არც „რუსთავის საპატრონოს". ამის შემდეგ არავითარი ობიექტური საფუძველი

შოთა ჰერეთის ერისთავის გაიგივებისა შოთა რუსთაველთან არ არსებობს" (4).

ცალკე შეიძლება აღინიშნოს საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა–ძიების მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი დ. მუსხელიშვილის ნაშრომები; მათში მონოგრაფიულადაა შესწავლილი და შეფასებული ცნობილი ქართველი ისტორიკოსების ექვთ. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის მეცნიერული დამსახურება ამ დარგში.

ნ. ბერძენიშვილის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ განსხვავებით წინა თაობისაგან, ავტორი „გზების უბრალო კონსტატაციით კი არ კმაყოფილდება, არამედ იმთავითვე იკვლევს მათ ისტორიული გეოგრაფიის („წარმოებითი გეოგრაფიის") თვალსაზრისით... ასეთი შესწავლით აიხსნება არა მარტო ამა თუ იმ პუნქტის მნიშვნელობა, არამედ გასაგები ხდება ამა თუ იმ ტერიტორიის, თემის, კუთხის მნიშვნელობაც ისტორიული განვითარების სხვადასხვა მონაკვეთზე".

ქალაქებთან დაკავშირებით, აღნიშნულია ანტიკური ზღვისპირა ქალაქების მოშლა და ეკონომიკური ცენტრის ქვეყნის შიგნით გადატანის საკითხი, რაც ნიშანია ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურებისა.

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ნ. ბერძენიშვილის შრომებში დასმულია საკითხები თემთა საზღვრებზე წარმოქმნილი ქალაქების რაობის შესახებ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა განვითარების განსხვავების, საერთოდ შუა საუკუნეთა ქალაქების კლასიფიკაციის შესახებ, ქალაქთა „აგარების", „ქალაქის პირის" სოფლების საკითხი ფეოდალურ და წინაფეოდალურ ხანაში.

აქვე ხაზგასმულია საკითხები მთისა და ბარის ურთიერთობისა, მოსახლეობის მიგრაციისა და სიხშირის საკითხები. ცალკეა გამოყოფილი „გორების" აღმოჩენა ნ. ბერძენიშვილის მიერ და მისი თეორიული განზოგადოება: არქეოლოგიური მოვლენის სოციალური გააზრება; ირიგაციის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა აღმოსავლეთ საქართველოში (5).

ექვთ. თაყაიშვილისადმი მიძღვნილ ამგვარსავე ნაშრომში დ. მუსხელიშვილმა შენიშნა, რომ მის კვლევას ახასიათებდა თითქმის ყველა ის ელემენტი, რომელიც საჭიროა ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის დროს. რაც მთავარია, მას ჰქონდა ის

დიდი უპირატესობა, რომელიც ამ მხრივ სრულიად აუცილებელია: მას თავისი ფეხით ჰქონდა მოვლილი ის მხარეები, რომელთა შესახებაც სწერდა.

დ. მუსხელიშვილის აზრით, ექვთ. თაყაიშვილის დროს ისტორიული გეოგრაფია, როგორც ისტორიული მეცნიერების დისციპლინა, დღევანდელი გაგებით არ არსებობდა. ამიტომაც მას არ შეეძლო მის ხელთ არსებული მასალა ამ მიმართულებით გამოეყენებინა. მიუხედავად ამისა, ექვთ. თაყაიშვილს, განსხვავებით ბევრი სხვა მკვლევრისაგან, კარგად ესმოდა დეტალური, პრაქტიკული ძიების მნიშვნელობა; რომ აუცილებელია ახალი მატერიალური ძეგლებისა თუ ტოპონიმიკური მასალის გამოვლენა ჩვენი ისტორიული მეცნიერების გან ვითარებისათვის. (6).

ნაშრომში–„ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიული გეოგრაფია", დ. მუსხელიშვილი ფართოდ აანალიზებს დიდი მეცნიერის წვლილს საქართველოს ისტორიის ამ დარგში; პირველ რიგში აქ განხილულია ავტორის ჯერ კიდევ 1913 წელს გამოსული „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII-XII სს ქ.შ.", სადაც მას დადგენილი და ლოკალიზებული აქვს VII-XII საუკუნეებისათვის მოხსენიებული თითქმის ყველა ქალაქი, ციხე და სოფელი საქართველოს სხვადასხვა პროვინციების მიხედვით.

როგორც ივ. ჯავახიშვილის სათანადო ნაშრომების შესწავლიდან ირკვევა, „მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება მოიცავს არა მხოლოდ ქვეყნის წარსულის შესწავლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ან პოლიტიკურ ასპექტებს, არამედ ეთნიკურ და რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ეკონომიკური განვითარების ასპექტებსაც"–წერს დ. მუსხელიშვილი.

ტერმინების „ჴევი", „სოფელი", „ქუეყანა", ანალიზის შედეგად ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „სოფელი"(დღევანდელი მნიშვნელობით) „ჴევის" შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო თვით „ჴევი"კი – „ქუეყანისა"; ეს უკანასკნელი „ჴევთა" ერთიანობას წარმოადგენდა ისევე, როგორც „ჴევი"–„სოფელთა" ერთობლიობას. დ. მუსხელიშვილის აზრით, ეს „სავსებით რეალური სურათია ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალური სტრუქტურის წარმოსადგენად!"

ივ. ჯავახიშვილს ყურადღების გარეშე არ დარჩენია

საქართველოს ისტორიულ-ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები; საქართველოს გეობოტანიკური და ამის შესატყვისად სასოფლო-სამეურნეო არეების გამოყოფა; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სპეციფიკის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების პროცესისათვის. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, „ეს სრულიად ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვა იყო საქართველოს ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალების გამოვლენის რთულ საკითხში. და, რაც მთავარია ეს იყო სავსებით რეალური და თანამედროვე მეთოდოლოგიის თვალსაზრისით დასაბუთებული თეორია."

წერილის ბოლოს ავტორი აკეთებს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის უმნიშვნელოვანეს დასკვნას, რომელსაც შემდგომშიც გაიმეორებს: „ივანე ჯავახიშვილის წარმოდგენით, ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იყო არა შემთხვევითი წარმონაქმნი, შექმნილი პოლიტიკური, თუნდაც ხანგრძლივი პერიპეტიების წყალობით, არამედ წარმოადგენდა ბუნებრივად ორგანულ ერთეულს, ჩამოყალიბებულს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ერთიანობის საფუძველზე" (7).

ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება საქართველოში უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, გაანალიზებულია დ. მუსხელიშვილის ნაშრომებში: ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება საქართველოში" ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში," №3, 1973; `Некоторые итоги историко-географического исследования Грузии" კრებ.: „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ. 1976; „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკა და მისი კვლევის მდგომარეობა" („მაცნე", ისტორია სერია 1, 1986). ამ ნაშრომებში დადგენილია ისტორიულ–გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები.

დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით, ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული კვლევა–ძიების, დასაწყისი უკავშირდება ლეონტი მროველის სახელს (XI ს); XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონმა ჩაუყარა საფუძველი ისტორიულ გეოგრაფიას, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინას; XX საუკუნის 50-იან წლებში იწყება ამ დარგის, როგორც ისტორიული მეცნიერების ცალკე დისციპლინის

ჩამოყალიბება და ეს მოვლენა დაკავშირებულია ნ. ბერძენიშვილის სახელთან. ავტორის სიტყვით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თვალსაზრისი საზოგადოების ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების კანონზომიერების შესახებ და ამის საფუძველზე მიღებული მეთოდოლოგიური დასკვნა ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადეკვატურობის შესახებ, ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს".

სტუდენტობის წლებიდან გამოყოლილ ინტერესს ასახავს დ. მუსხელიშვილის წერილი „თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის" რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა კრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში". აქ ახლებურადაა დასმული ქართული ფეოდალური ქალაქის მმართველობის ზოგიერთი საკითხი. კერძოდ ნაჩვენებია, რომ „თბილისის ამირა" და „თბილისის ამირთამირა" ერთი და იგივე არაა. ამირობასთან შედარებით, ამირთამირობა უფრო გვიანი მოვლენაა და ეს ინსტიტუტი ქართულ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო.

მთისა და ბარის დამაკავშირებელი გზები, საქონლისა და ცხვრის გადასარეკი ტრასები ადრევე ექცევა დ. მუსხელიშვილის მეცნიერული კვლევის თვალსაწიერში. ამ მხრივ აღსანიშნავია წერილი „მთა ქართლის" ისტორიულ—გეოგრაფიული შესწავლისათვის", რომელშიაც ავტორს დადგენილი აქვს კარსნიდან თრიალეთისაკენ მიმავალი გზის ერთი მონაკვეთი და გარკვეულია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები (8).

საზაფხულო—საზამთრო საძოვრებზე საქონლისა და ცხვრის გადასარეკ ტრასებს დიდი ყურადღება ეთმობა მისსავე მეორე ნაშრომში—`Вопросы исторической географии ущелья Панкиси"(Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб. 1969); აქვე განხილულია ხეობის მაცხოვრებელთა მეურნეობა, უმჭიდროესი კავშირი თუშეთთან, პანკისის საერისთავოს წარმოქმნისა და განვითარების პირობები, დადგენილია მისი ცენტრი—„თორღვას ციხე". იქაური ეკლესიით ციხე ადრეული შუა საუკუნეების ხანით შეიძლება დათარიღდეს, რომელიც შემდგომში პანკისის ერისთავის რეზიდენციად იქცა. ავტორის საბუთიანი მოსაზრებით, ციხის აგება მოცემულ ადგილზე განპირობებულია ეკონომიკური გეოგრაფიით, ზემოაღნიშნული გზების კონტროლით. პანკისის საერისთავოს წარმოქმნა ერთ-ერთი გამოხატულებაა აღმ.

საქართველოს მთისა და ბარის ოლქების გაერთიანების ხანრგძლივი პროცესის დასასრულისა, რაც აისახა ფეოდალური "ქვეყნის" ჩამოყალიბებაში.

უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალების დადგენას ეძღვნება დ. მუსხელიშვილის წერილი "ამიერკავკასიისა და საქართველოს მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში" (ჟურნ. "ცისკარი" №11,1970). იგი დაედო საფუძვლად ოთ. ლორთქიფანიძესთან ერთად წარდგენილ მოხსენებას ეკონომიკური ისტორიის V საერთაშორისო კონგრესზე ლენინგრადში 1970 წელს; "Закавказье в международной торговле Востока и Запада (с древнейших времен до XIII в. н. э.), რაც შემდგომში ფრანგულ ენაზეც დაიბეჭდა.

ძველი საქართველოს სასაზღვრო ციხე-ქალაქი ხუნანი დიდხანს არ იყო ზუსტად ლოკალიზებული. არა და ამაზე ბევრად იყო დამოკიდებული აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხები. დ. მუსხელიშვილმა სტატიებში "К вопросу о локализации Хунана-Хнаракерта" და "Ещо раз о локализации города Хунана (Хнаракерта)" გამოარკვია მისი მდებარეობა მტკვრის მარჯვნივ, აღსტაფისწყა-ლსა და თაუზ–ჩაის შორის, იმ ადგილას, სადაც ძველ რუკებზე აღნიშნული იყო თოფრახ-კალა. აზერბაიჯანელი არქეოლოგების მიერ იქ ჩატარებულმა გათხრებმა ეს ვარაუდი სავსებით გაამართლეს (9).

ცალკეა აღსანიშნავი დ. მუსხელიშვილის გამოკვლევები არქეოლოგიაში, რომლებსაც წინ უძღოდა მრავალწლიანი საველე სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში. 1972-78 წლებში იგი მონაწილეობდა კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სადაც მან გათხარა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი – ანაკლიის დიხაგუძუბა II. ექსპედიციის ანგარიშები პერიოდულად იბეჭდებოდა კრებულში "Полевые археологические исследования", დ. მუსხელიშვილი ამ ანგარიშების თანაავტორი იყო. ნაშრომებში "К вопросу о распространении красноглиняной керамики на территории восточной Грузии в раннеантичную эпоху" (10) და "К вопросу о связях Центральъного Закавказья с Передним Востоком в раннеантичную эпоху" (11), მან დაადგინა, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარებაში ტეხილია: ძველი შავადგამომწვარი კერამიკის ნაცვლად, ჩნდება გარკვეული ტიპის წითელკეციანი ჭურჭელი, რომელსაც მასიური

ხასიათი აქვს. ეს ფაქტი ადასტურებს აღმოსავლელ ქართული ტომების მჭიდრო ურთიერთობას ურარტულ და აქემენიდურ სამყაროსთან. ავტორის ვარაუდით, ჩვენში ახალი კულტურული ნაკადის შემომტანი უნდა ყოფილიყვნენ ქართველი ტომები, რომლებიც ძვ. წ. VI საუკუნემდე ურარტულ პოლიტიკურ და კულტურულ ორბიტაში იყვნენ მოქცეულნი.

მონოგრაფიაში "ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა" (1978), დ. მუსხელიშვილს მოცემული აქვს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ისტორიული ქართლის მოსახლეობის მატერიალური კულტურის ანალიზი. გაანალიზებული მასალა დალაგებულია სტრატიგრაფიის, მასალის რაგვარობისა და კერამიკის ფორმების მიხედვით. მასალის ყოველმხრივი შესწავლა ავტორს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ აღმ. საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, ძვ. წ. XV-V საუკუნეებში ერთი და იგივე ეთნიკურ-კულტურული სახის მქონე მოსახლეობაა. უძველესი ქართული ტოპონიმიისა და ეთნონიმიის გათვალისწინებით, დ. მუსხელიშვილი აქ აღმოსავლელ ქართველ მოსახლეობას ადასტურებს. ესაა ამ ტომთა ავტოქტონობის დასაბუთება კონკრეტული არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე.

ზემოგანხილული ადრეული ნაშრომებიდანაც კარგად გამოჩნდა დ. მუსხელიშვილის სამეცნიერო ინტერესების მრავალმხრივობა. საქართველოს ისტორიის ძირეული საკითხების კვლევისას, იგი ფართოდ იყენებდა მისთვის მისაწვდომ ყოველგვარ მასალას – არქეოლოგიურს, ენობრივს, ისტორიულს.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა დ. მუსხელიშვილის სადოქტორო დისერტაცია "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები", რომელიც ორ წიგნად დაიბეჭდა 1977 და 1980 წლებში. გამოქვეყნდა ასევე ამ ნაშრომის მოკლე ვარიანტი რუსულ ენაზე –"Основные вопросы исторической географии Грузии" (12). აღნიშნულ მონოგრაფიაში, რომელსაც ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა აქვს საფუძვლად, შესწავლილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების ტერიტორიული სტრუქტურის თანდათანობითი განვითარების პროცესი ძვ. წ. V ათასწლეულიდან მოყოლებული. ეს უმნიშვნელოვანესი, განვითარების ხანგრძლივი გზა განხილულია ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, სოციალური გეოგრაფიის ასპექტებთან დაკავშირებით. ავტორი ადგენს

ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ძირითად ეტაპებს. ისინი მისი აზრით, ადებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ეტაპების ადექვატურია.

დ. მუსხელიშვილმა იგივე თვალსაზრისი კონცენტრირებული სახით ჩამოაყალიბა წერილში "Историческая география и общественное развитие", რომელიც მოხსენების სახით წაიკითხა მოსკოვში ისტორიული გეოგრაფიის მეორე საკავშირო სესიაზე 1980 წელს და დაიბეჭდა აქვე (13).

ავტორის თვალთახედვით, საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში შეიძლება გამოიყოს სამი თანმიმდევრული ეტაპი:

1– "გორების" პერიოდი, როდესაც თითოეული ასეთი დასახლება ერთი საგვარეულო კოლექტივის საცხოვრისია. თუ ვიმსჯელებთ მოსაზღვრე გორების განლაგებით, მათი საგვარეულოს კუთვნილი ტერიტორია დიდი არაა, მაგრამ მაინც საფუძველია მისი სამეურნეო ყოფისა. არქეოლოგიური თვალსაზრისით, ეს ეტაპი მოიცავს პერიოდებს ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანისას. სოციალური ასპექტით, ესაა გვაროვნულ-ტომობრივი გაერთიანებების ეპოქა.

2– "ხევების" პერიოდია. ხევია ძველ საქართველოში ერთ-ერთი უადრესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ძველი "გორების" ტერიტორიულ-ეკონომიკურ გაერთიანებებსაც წარმოადგენდა. ხევები წარმოიშვნენ პირველყოფილ–თემური წყობილების დაშლის პერიოდში, რომელიც არქეოლოგიური თვალსაზრისით ემთხვევა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქას. სოციალური განვითარების ასპექტით, იგი შეესაბამება პირველყოფილ–თემური წყობილების უკანასკნელ სტადიასა და ადრეკლასობრივი ურთიერთობების პერიოდს, "ხევების" პერიოდი ხასიათდება აგრეთვე ქალაქების წარმოშობით.

3 ესაა "ქვეყნების" პერიოდი, როდესაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესი იწვევს მცირე ისტორიულ–გეოგრაფიული ერთეულების გამსხვილებას, მთისა და ბარის ხევთა გაერთიანებას. საზოგადოების ფეოდალურ განვითარებასთან ერთად, წარმოიშვება "ქვეყანა" – ფეოდალური მამული, "Земля", რაც ადრე შუა საუკუნეთა "ხევების" გაერთიანებას წარმოადგენს. ეს პროცესი ძირითადად სრულდება VIII ს-ის შუა ხანებისათვის, რაც მოასწავებს განვითარებული ფეოდალიზმის სტადიის დასაწყისს. მოცემული პერიოდის

პირველი ფაზის ტერიტორიულ სტრუქტურას ახასიათებს ფეოდალური ციხესიმაგრის არსებობა და მისი „შესავალი" ქვეყანა (VIII-X სს). მეორე ფაზაში (XI-XIII სს) ჩნდება ტერმინი „ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა". ის ხდება მთავარი ელემენტი ტერიტორიული სტრუქტურისა და წააგავს „კონტადო"-ს–შუა საუკუნეთა იტალიისა და ევროპულ ქალაქებზე მიკრულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომელზედაც ვრცელდება ამ ქალაქის ადმინისტრაციული უფლება.

ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ზემოხსენებული პროცესი, უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ეთნოგენეტიკურ პროცესებთან, რომელიც მესამე პერიოდში მთავრდება ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულმა შესწავლამ, ამასთან ერთად, ქვეყნის ტერიტორიული ევოლუციის თვალსაზრისით რამოდენიმე კანონზომიერება წარმოაჩინა: 1. ერთგვაროვანი თვითკმარი ეკონომიკის რეგიონები („მთაში," ან „ბარში") ცალკეული გეომორფოლოგიური ერთეულები, ცალკეულ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ერთობებად ყალიბდებიან („ხევი", „ქვეყანა"), მაგალითად თრიალეთი, ტაშირი, დვალეთი, თუშეთი.

2. არაერთგვაროვანი ეკონომიკის რეგიონში, სხვადასხვა გეომორფოლოგიური სისტემები („მთა" და „ბარი") ერთიან ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ერთობებად ყალიბდებიან („ხევი", „ქვეყანა"), მაგალითად: თორთუმისა და ქსნის ხეობები, კახეთის საერისთავოები.

3. სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების" ორგანული შერწყმისათვის საკმარისი არ არის ეკონომიკური, თუნდაც ინტენსიური, კავშირები. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ეთნიკურ–კულტურული ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია თვით საქართველო, რომელიც საბოლოოდ მაშინ გაერთიანდა, როდესაც ფეოდალური საზოგადოება ეთნიკურ-კულტურული თვალსაზრისით ერთიან მთლიანობად იქცა, ანუ ფაქტობრივად მას შემდეგ, რაც ქართველი ერი ჩამოყალიბდა.

შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დ. მუსხელიშვილის ზემოხსენებული კონცეფცია ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებში გამოთქმული ახალი სიტყვაა. საზოგადოების ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესის ამგვარად წარმოჩენით, ის

ზოგად მეთოდოლოგიურ მნიშვნელობასაც იძენს.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ეტაპებად ჩამოყალიბებამ, ავტორს საშუალება მისცა მანამდე ცნობილი ფაქტები ახლებურად შეეფასებინა. ამის შედეგი იყო ის, რომ მან ცვლილება შეიტანა საქართველოს ისტორიის მიღებულ პერიოდიზაციაში და თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა წერილში "ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის".

ავტორის აზრი IV-X საუკუნეების საქართველოს სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზის შესახებ, ჩამოყალიბდა ამგვარად: 1. IV-V საუკუნეები – ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცების და ადრეფეოდალური მონარქიის პერიოდი. ამდროინდელ საქართველოში გაბატონებული იყო განვითარების ადრეფეოდალური სტადიისათვის დამახასიათებელი "საზოგადოებრივი ურთიერთობა". "ქართლის გაერთიანებული სამეფო" V ს-ის მეორე ნახევარში სრული უფლებით შეგვიძლია მივიჩნიოთ ადრეფეოდალურ სახელმწიფოდ ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებით, ხოლო მისი შემქმნელი ვახტანგ გორგასალი – ტიპიურ ადრეფეოდალურ მონარქად".

2. VI ს. VIII ს-ის პირველი ნახევარი–ესაა ადრეფეოდალური პერიოდის დასასრული ("ერისმთავრობის ხანა"). "VIII ს-ის შუახანებში სენიორალურმა სისტემამ ოფიციალური სანქცია მიიღო (არჩილის "რეფორმები"). ეს არის სწორედ განვითარებული ფეოდალიზმის საბოლოო დადგინების ხანა საქართველოში."

3. VIII ს-ის მეორე ნახევარი–X ს, – განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის პირველი პერიოდი ("ფეოდალური დაქსაქსულობა").

4. XI საუკუნე – განვითარებული ფეოდალიზმის მეორე პერიოდის დასაწყისი (ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქია "საქართველო") (14).

1982 წ დაიბეჭდა დ. მუსხელიშვილის ნაშრომი "Из исторической географии Восточной Грузии (Шаки и Гогарена)", რომელშიც ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, გამოკვლეულია საქართველოს სამხრეთისა და აღმოსავლეთის პროვინციათა პოლიტიკური და ეთნიკური გეოგრაფიის საკითხები დაწყებული იბერიის აღმოსავლურქართული

სამეფოს წარმოქმნიდან XIV ს-ის დასასრულამდე.

წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ზოგიერთი საკითხია განხილული დ. მუსხელიშვილის ნაშრომში "Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников", რომელიც 1986 წელს გამოქვეყნდა (15). აქ დასმულია საკითხი შუა საუკუნეების ქართულ წყაროთა მონაცემების ვარგისიანობა-გამოყენების შესახებ, როდესაც საქმე ეხება გაცილებით ძველი პერიოდის მოვლენებს. თანადროული ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე, ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს ჯუანშერის (XI ს) ცნობა ვახტანგ გორგასლის მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების შესახებ; V საუკუნის 60-70–იან წლებში მან ეგრისის ყოფილი მმართველი თავის ერისთავად აქცია.

ტალინში, ისტორიული დემოგრაფიის VI საკავშირო კონფერენციაზე, დ. მუსხელიშვილმა 1988 წელს წაიკითხა მოხსენება "Социальнo-экономическое развитие и демографические процессы в древней Грузии", რომელიც გამოქვეყნდა 1990 წელს. არქეოლოგიური მასალის (ძველი ნამოსახლარი გორები), წერილობითი წყაროების, ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებების, ტოპონიმიკის, ეთნოლოგიური მონაცემებისა და ისტორიული ონომასტიკის გამოყენებით, ავტორი იკვლევს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს უძველესი დროიდან დღემდე.

აქ საინტერესოდაა წარმოჩენილი არა მარტო ქართის ტომის გაერცელება ქვეყნის ოთხივე მიმართულებით, არამედ საქართველოს მთის ქართული და არაქართული ტომების შიდამიგრაციული პროცესებიც. ნაჩვენებია, რომ ისინი (ეს პროცესები) არ წარმოადგენდნენ დროებით და ლოკალურ მოვლენებს, ისინი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი განვითარების მუდმივ ფაქტორებად გვევლინებიან. სწორედ ისინი და არა მარტო ეკონომიკური ურთიერთობანი განაპირობებდნენ ფეოდალური "ქვეყნების" წარმოქმნას მთისა და ბარის ძველი "ხევების" გაერთიანებით.

საქართველოს მთა თავისი სპეციფიკური ბუნებრივ-მეურნეობრივი პირობებით, ზღუდავდა იქაური მოსახლეობის რაოდენობას. ისტორიულ ეპოქაში ეს იყო მძლავრი რეზერვი მთელი საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებისა. სოციალურ-

ეკონომიკური, დემოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთის პარალელურად ვითარდებოდნენ; ეს კი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი ურთიერთგანპირობებულნიც იყვნენ.

დ. მუსხელიშვილის უმნიშნელოვანესი ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის შედეგები ფართოდ წარმოჩნდა "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რუსული გამოცემის II ტომში; აქ მას ეკუთვნის თავები–"Основные этапы исторического развития Грузии в IV-X вв" და "Историческая география Грузии в IV-Xвв". აქ ძირითადად გადმოცემულია ზემოთ განხილული ავტორისეული დებულებები (17).

წერილში "დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა" დ. მუსხელიშვილმა აღმოსავლურ წყაროებში ხმარებული ამ მეფის ტიტულატურა შეადარა ქართულ ოფიციალურ დოკუმენტში შემონახულ ტიტულატურას. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელში საქართველოს ვასალური ერთეულები არ ასახულა. აღმოსავლურ წყაროებში კი დავით აღმაშენებელი იწოდება "აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა მეფედ".

ამ ტიტულატურის ინტერპრეტაციის შედეგად ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ "რუსი" აქ უნდა აღნიშნავდეს ტმუტარაკანის სამთავროს, რომელიც XII ს-ის I მეოთხედის ბოლოს ისევე, როგორც ოსური სამეფო ჩრდილო კავკასიაში ("ალანი"), ქართველთა სამეფოს მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ. ამრიგად ქართული და აღმოსავლური ტიტულატურა დავით მეფისა ერთმანეთს ავსებს და უფრო სრულად წარმოგვიდგენს საქართველოს მეფეთა მფლობელობის არეალს (18).

1993 წელს გიგა პაიჭაძის რედაქტორობით დაიბეჭდა საინტერესო კრებული "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", რომელშიც დ. მუსხელიშვილის ნაშრომია– "ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის". ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი...), ქართული წერილობითი წყაროების, ტოპონიმიის, მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზის საფუძველზე, ავტორი დაასკვნის: ისტრიულ ტერმინს "ქართველი" (მხ. რ.), "ქართველნი" (მრ. რ.) ჰქონდა სამგვარი

მნიშვნელობა: 1. უძველესი ვიწროეთნიკური– ქართლის, საქართველოს შუაგულის მკვიდრი. 2. მომდევნო ეთნოპოლიტიკური მნიშვნელობა – ძირითადი მაცხოვრებელი აღმოსავლურ-ქართული, ადრეკლასობრივი ქართლის (იბერიის) სამეფოში. 3. X საუკუნეში დამოწმებული კულტურულ–პოლიტიკური მნიშვნელობა, როცა "ქართველებად" იწოდება ყველა, ვინც ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, აღიარებდა ქართულ ქრისტიანულ მართმადიდებლურ რწმენას, ორგანულად იყო ნაზიარები ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს და იღწვოდა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სამეფოს კულტურუ-ლსა თუ პოლიტიკურ სარბიელზე. ფაქტობრივად ეს საერთოერო-ენული მნიშვნელობა ამ ტერმინმა დღევანდლამდე შემოინახა.

"ქართლის ცხოვრების" შედგენილობის, მისი ტექსტის სწორად გაგებისა და ისტორიკოს ჯუანშერის თარიღს ეხება დ. მუსხელიშვილის წერილები: "ქართლის ცხოვრების" შედგენილობისათვის (19). "ფრთხილად მოვეპყრათ "ქართლის ცხოვრებას" (20). "ქართლის ცხოვრების უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი" (21).

ავტორის აზრით, "ქართლის ცხოვრების", ასე ვთქვათ, ისტორიულ-გეოგრაფიული კრიტიკა, რომელიც მასში გატარებულ პოლიტიკურ კონცეფციათა ანალიზს გულისხმობს, "ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის აზრს ლეონტისა და ჯუანშერის შესახებ"; მცდარი უნდა იყოს ზოგიერთი მკვლევრის აზრი ამ ორი ნაწარმოების ერთი ავტორისათვის მიკუთვნების გამო.

"არჩილის ცხოვრების" ანონიმი დ. მუსხელიშვილს X საუკუნის ბოლო მეოთხედის ავტორი ჰგონია, რომელსაც არჩილის თანადროული VIII საუკუნის შუახნის წყარო ჰქონდა ხელთ: იგი ალბათ X საუკუნის 80-90-იან წლებში წერდა. "VIII საუკუნის 40-60-იან წლებში უნდა შექმნილიყო "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა და ამდენადვე "ქართლის ცხოვრების" მინაწერი, რომ მისი ავტორია "ჯუანშერ ჯუანშერიანი, ძმისწულის ქმარი წმიდისა არჩილისა" სავსებით რეალური უნდა იყოს".

აფხაზეთის ისტორიას, ისტორიულ გეოგრაფიას, საქართველოს სახელმწიფოებრიობაში მის სტატუსს შეეხება დ. მუსხელიშვილის ნაშრომები: "Грузия - "малая империя"?!(22), "აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი" (23), "Исторический статус Абхазии в грузинской государственности" (24).

ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების, ისტორიული გადმოცემების, ტოპონიმიის, მატერიალური კულტურის ძეგლების გათვალისწინებითა და ანალიზის შედეგად ავტორი მიდის მნიშვნელოვან დასკვნამდე: 1. თვალმისაწვდომი ისტორიის მთელ მანძილზე აფხაზეთის ტერიტორია ყოველთვის შეადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილს. 2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველები ძველთაგანვე წარმოადგენდნენ აბორიგენულ მოსახლეობას. 3. აფშილები, რომლებიც I საუკუნიდან გამოჩნდნენ ცხუმის (სოხუმის) რაიონში, დასავლურქართული ტომი იყო. 4. II საუკუნის დასაწყისიდან ცნობილი აფხაზები (აბასკები, აბაზგები), რომლებიც აფშილების ჩრდილო-დასავლეთით მოსახლეობდნენ, შესაძლოა, ასევე დასავლურქართული ტომები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, VIII-IX საუკუნიდან დაწყებული, პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით, ისინი უცილობლად ქართველები იყვნენ. 5. თანამედროვე აფხაზები ძირითადად ჩამოყალიბდნენ XV-XIX საუკუნეთა მანძილზე, ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულ აფსუა-აბაზინებისა და აბორიგენთა (აფხაზები, მეგრელები) შერწყმით. მათი თვითსახელწოდება „აფსუა" გახდა. უცხოელთათვის ისინი წარმოადგენენ „აბაზა"-ს, ქართველებმა კი ძველი სახელი „აფხაზები" შეინარჩუნეს. 6. აფხაზეთის იმ საზღვრებში ჩამოყალიბება, რომელიც მას დღეს აქვს, მოხდა XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში ჩრდილო სამეგრელოს ტერიტორიის დაპყრობის ხარჯზე. 7. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია არასოდეს ყოფილა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

1989 წელს ჟურნა, „Огонёк"-ის №31-ის ფურცლებზე დაიბეჭდა ა. სახაროვის შეხედულებები საბჭოთა კავშირში ნამყოფი რესპუბლიკების შესახებ. საქართველოზე, კერძოდ, იქ ნათქვამი იყო, რომ თითქოს ესაა „მცირე იმპერია", რომელიც თავის შემადგენლობაში აერთიანებს აფხაზეთს, ოსეთს და სხვა ნაციონალურ წარმონაქმნებს. რაკი აქვე იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ იმპერია, არსებითად, ესაა ნაძალადევი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, გამოდიოდა, რომ საქართველოს „მცირე იმპერიაში" უფრო მრავალრიცხოვანი ქართველები ჩაგრავდნენ მცირერიცხოვან აფხაზებს, ოსებს და სხვა ეროვნებებს.

ცნობილი მეცნიერისა და ადამიანის უფლებათა სახელგანთქმული დამცველის ამგვარი გამონათქვამები, ცხადია

საყოველთაო ყურადღებას მიიპყრობდა და საზოგადოებრივ აზრს საქართველოს წინააღმდეგ განაწყობდა, რომელსაც ახალი გადატანილი ჰქონდა 9 აპრილის ტრაგედია. დ. მუსხელიშვილმა ამ პუბლიკაციას მაშინვე გასცა პასუხი ზემოთ ნახსენებ წერილში ("Грузия - малая империя"?!). ავტორი მკითხველს შეახსენებდა, რომ 25 საუკუნოვანი ცივილიზაციისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის მქონე ჩვენი ქვეყანა ყოველთვის შემწყნარებელი იყო არაქართული წარმომავლობის ხალხების მიმართ. არ ყოფილა შემთხვევები შინაგანი ეთნოდაპირისპირებისა, არცერთი შემთხვევა ებრაელთა რბევისა; ესაა ქართული ფსიქოლოგიური თვისება და არა ზევიდან თავს მოხვეული „ხალხთა ძმობის" იდეა.

ავტორის აზრით, საქართველოს ისტორიის სიღრმეებში ჩაუხედავად, დამამტკიცებელი ფაქტების გარეშე, დიდი მეცნიერისაგან ასეთი კატეგორიული შეფასება კარგად გათვლილი, იმპერიული დეზინფორმაციის პოლიტიკის შედეგია. დ. მუსხელიშვილი, როგორც ისტორიკოსი, მოვალედ თვლის თავს განუმარტოს მკითხველს საკითხის არსი. ამას მოჰყვება აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული პროცესების განხილვა-შეფასება ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული.

ავტორი განმარტავს, რომ საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაერთიანების ინიციატორები სწორედ აფხაზეთის სამთავროს ფეოდალური ზედაფენა იყო. „აფხაზთა მეფენი" იყვნენ ყველაზე აქტიური მებრძოლენი საქართველოს „მცირე იმპერიის" გასაერთიანებლად, დამაარსებლები ქართული საეპისკოპოსო კათედრებისა ქართული ენით და დამწერლობით. ეს იმით აიხსნება, რომ „აფხაზთა მეფეები", მიუხედავად მათი უცნობი წარმომავლობისა, კულტურულად და პოლიტიკურად ქართველები იყვნენ. აფხაზთა ფეოდალური კლასისათვის ნაციონალური კულტურა საერთოქართული ფეოდალური კულტურა იყო ქართული ენით, დამწერლობით, ქართული ქრისტიანობით და ფეოდალური ურთიერთობით.

მოგვიანებითაც, უკვე დაშლილ საქართველოში აფხაზთა სამთავრო ხან იმერეთის სამეფოში, ხან მეგრელთა სამთავროში შედიოდა, თუმცა აფხაზთა სამთავრო ჯერ ისევ ქართული ფეოდალური კულტურის მხარედ რჩებოდა.

თანდათანობით აფხაზეთის მოსახლეობა იცვლება

ჩრდილოეთიდან შემოსული ტომებით; მიწათმოქმედებს მესაქონლეები ენაცვლებიან, ქრისტიანებს – „წარმართები"; სახეზეა ეკონომიკური და სოციალური დეგრადაცია. აქედან სამეგრელოზე გამუდმებული თავდასხმების გამო, ლევან II დადიანმა მდ. კელასურის გასწვრივ ააგო სასიმაგრო კედელი. ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ხალხებს, რომლებსაც ჰქონდათ ერთნაირი დონის სოციალური სტრუქტურა, ან ერთი ტიპის ცივილიზაცია, ერთმანეთისგან მიუვალი კედლებით გამიჯნულიყვნენ. აფხაზთა სოციალური დეგრადაცია XI-XIII საუკუნეებთან შედარებით უნდა გამოეწვია საერთო მიელენას კავკასიაში, რაც გამოიხატებოდა დასუსტებულ ბარში მთის მოსახლეობის ჩამოწოლით: ასე იყო კახეთში (ლეკები), ქართლში (ოსები) და ასე იყო აფხაზეთშიაც. ამასვე ადასტურებენ დღევანდელ აფხაზეთში შემორჩენილი გადმოცემებიც. დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობა – ესაა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ნარევი აბორიგენებთან.

მიუხედავად აფხაზთა მიერ სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობისა XVII საუკუნეში მდ. ენგურამდე, იქ ისევ რჩებოდა ქართული მოსახლეობა; საზოგადოების ზედა ფენებში კულტურისა და ოფიციალური ურთიერთობის ენა XIX საუკუნეშიც ქართული იყო, როცა რუსეთმა დაიპყრო აფხაზეთი და შექმნა „სოხუმის სამხედრო განყოფილება" ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დ. მუსხელიშვილის აზრით, სრულიად არამართებულია საქართველოსა და აფხაზეთზე თქმა იმისა, რომ ესაა „იმპერიული, ნაძალადევი გაერთიანება." აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის საქართველოს ტერიტორიას წარმოადგენდა ნარევი მოსახლეობით. ამიტომ 20-იანი წლების პარტიული დავიდარაბა, ასევე დღევანდელი პრეტენზიები საქართველოსაგან აფხაზეთის გამოსაყოფად, ყოველმხრივ უსაფუძვლოა.

დღევანდელი დაძაბულობა, ავტორის აზრით, სათავეს იღებს XIX საუკუნიდან, როცა რუსული იმპერიული პოლიტიკა კავკასიაში ატარებდა ხალხების გაუცხოების კურსს. ის შეგნებულად ცდილობდა არა მხოლოდ დაერღვია ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და სხვა კულტურული ურთიერთობანი, არამედ მეგრელებს, გურულებს, სვანებს, ფშაველებსა და ხევსურებს აცხადებდა დამოუკიდებელ ხალხებად, მიზნად ისახავდა თვით

ქართველი ხალხის დაშლას. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია იკვეთება ახლაც. დღევანდელი ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავების მიზეზი „საქართველოს იმპერიული ძალადობრივი გაერთიანება" კი არაა, არამედ იმპერიული კოლონიური პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ცარიზმი და სამწუხაროდ, არ აღმოფხვრილა დღესაც.

ამავე წერილში დ. მუსხელიშვილი ეხება ოსების საკითხსაც. ის თავიდანვე აზუსტებს, რომ საქართველო მოიცავს არა ოსეთს, არამედ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რაც ერთი და იგივე სულაც არაა. სინამდვილეში, ისევე, როგორც აფხაზეთი, საქართველოს ოსეთი არასოდეს დაუპყრია „იმპერიულ ძალდატანებითი გაერთიანების" გზით. შიდა ქართლში, საქართველოს უძველეს მიწაზე, საიდანაც წამოვიდა აღმოსავლურქართული (ქართლის) სამეფოს სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრება 25 საუკუნის წინ, პირველი ოსური დასახლებანი XVII საუკუნიდან ჩნდება; 1770 წ. აქ დაახლოებით 15000 ოსი ცხოვრობდა, ეს პროცესი გაძლიერდა XIX საუკუნეში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი კი 1922 წელს შეიქმნა.

ნუთუ ქართველებს არ აქვთ უფლება თავის უძველეს მიწებზე, სადაც დღემდე დგას შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლები? ნუთუ ზემოაღწერილი პროცესი შეიძლება დახასიათდეს, როგორც „იმპერიული ძალადობრივი გაერთიანება", სადაც ქართველი მოსახლეობა 30% შეადგენს?.

ა. სახაროვი საქართველოს „მცირე იმპერიაში" აფხაზებისა და ოსების გარდა სხვა ეროვნებებსაც იხსენიებს, თუმცა არ ასახელებს. დ. მუსხელიშვილის აზრით, ძნელი არაა მიხვედრა, რომ უპირველესად აქ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა იგულისხმება; ძნელი წარმოსადგენია, სახაროვს არ სცოდნოდა აჭარელთა ძირძველი ქართველობა, ან ის, რომ მათი ტერიტორიის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადება 1921 წელს რელიგიურ მომენტს ემყარებოდა. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს მიერ თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური ლაქუცი. ქართველების წინაშე დაშვებული შეცდომის გამოსწორების ნაცვლად ახლა გვთავაზობენ აჭარის სუვერენულ სოციალისტურ რესპუბლიკას და ქართველი ერის დაყოფას ცალკეულ სახელმწიფოებად.

ა. სახაროვის სიტყვებიდან ჩანდა, რომ „სხვა ნაციონალურ წარმონაქმნებში" ის აზერბაიჯანელებს და სომხებსაც

გულისხმობდა. საფიქრებელია, მან კარგად იცოდა აგრესიულად განწყობილი აზერბაიჯანული მოსახლეობის მაშინდელი მოთხოვნა: ავტონომია ცენტრით ქ. რუსთავში.

დ. მუსხელიშვილი შეახსენებს მკითხველს, რომ თურქმენული ტომების გამოჩენა ქართლის სამეფოს ამ უძველეს მხარეში დოკუმენტურად დასტურდება XVII ს-ში. ის დაკავშირებულია ირანის შაჰ აბას I-ის იმპერიულ ზრახვებთან, ასევე მის მიმდევრებთან. მათ ნაწილობრივ შეძლეს ქართველთა გენოციდი: ისინი გადაასახლეს მაზანდარანსა და ფერეიდანში, ხოლო საქართველოში თურქმენული ტომები შემოასახლეს. ისინი (ახლა აზერბაიჯანელებად წოდებულნი) კარგად შეეთვისნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, ქართველ მეფეთა ერთგულნი იყვნენ, თვით მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლებშიაც. არ ყოფილა შემთხვევა ქართველ და ამ მომთაბარე თურქმენების ეროვნებათშორისი დაპირისპირებისა. განა ესაა ქართველთა იმპერიული ტენდენციები? ამიტომ, ავტორის აზრით, არავის არ აქვს უფლება ჩამოაშოროს საქართველოს მისი უძველესი პროვინცია და შექმნას იქ „ბორჩალოს რესპუბლიკა", ე.ი. განახორციელოს შაჰ აბასის ჩანაფიქრი.

რაც შეეხება ახალციხის, ახალქალაქისა და მაშინდელი ბოგდანოვკის რაიონების სომხებს, ისინი 1830-იანი წლებიდან პასკევიჩმა გადმოასახლა თურქეთიდან, რათა დაეპირისპირებინა ისინი ქართული ეთნიკური ელემენტისათვის. ჩანს, ეს შორს მიმავალი ჩანაფიქრი იყო, რაკი ახლაც არსებობს გეგმები საქართველოს ამ „მცირე იმპერიიდან" გამოეყოს არც თუ ნათელი „ეროვნული წარმონაქმნები". ამ ორ უკანასკნელ მაგალითზე ავტორი ხედავს იმპერიულ კოლონიზატორულ პოლიტიკას ერთი მხრივ ირანის, მეორე მხრივ კი – რუსეთისას. წერილის ბოლოს დ. მუსხელიშვილი ეხება ა. სახაროვის მიერ შემოთავაზებულ „იმპერიულ ნაძალადევ გაერთიანებათა დემონტაჟის" კონცეფციას. როგორც ისტორიკოსი ის თვლის, რომ ისტორიული წარსულის გაუთვალისწინებლად, არასწორია ყველასადმი ერთმნიშვნელოვანი მიდგომა. არარეალურია ერთ დონეზე დაყენება ათასწლოვანი დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფო წარმონაქმნისა და 1918-20 წლებში შექმნილ, ან 20-30-იან წლებში გაფორმებული ერთეულებისა. ა. სახაროვის კონცეფცია ავტორს წინააღმდეგობრივი და უტოპიური ეჩვენება. „დემონტაჟის" შემდგომ ის გულისხმობს ახალი „იმპერიული სტრუქტურის"

შექმნას უფრო მცირე შემადგენელი ნაწილებისაგან. შედეგად მივიღებთ „უმცირეს იმპერიებს", რომლებიც, ჩანს, ისევ დასაშლელი იქნება და ა.შ.

დ. მუსხელიშვილის აზრით, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ჩამოყალიბებაში არამარტო მონათესავე ტომები და ეროვნებები მონაწილეობენ, მაგრამ საბოლოოდ ეს პროცესი სრულდება ერთი ჰეგემონი ქართველი ხალხის შემოქმედებით. ამიტომ ეროვნული სახელმწიფო ტერიტორია ისეთივე სიწმინდეა, როგორც ეროვნული ენა, ხოლო მისი ხელყოფა ეროვნული დისკრიმინაციაა.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდგომ, ა. სახაროვს ერთმა კორესპონდენტმა ისევ მიმართა შეკითხვით საქართველოს „მცირე იმპერიის" შესახებ, მან კი ამ საკითხზე საუბარი აღარ ისურვა.

აფხაზეთის პრობლემატიკას დ. მუსხელიშვილი ისევ მიუბრუნდა. 2000 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის". ავტორი ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა შრომების გათვალისწინებით, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ: „აფშილს არც გეოგრაფიულად, არც ქრონოლოგიურად და არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო „აფსუასთან"; მისი აზრით, გვაქვს საფუძველი აფშილები ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად ჩავთვალოთ, რომელიც გვიან საუკუნეებში ნაწილობრივ აბსოლუტურად შეერწყა მეგრელებს, ნაწილობრივ კი გააფხაზდა (გააფსუვდა).

ავტორის შეხედულებით, ქართულ წყაროს „აფსარი" „აბაზებს" ანუ იგივე ჯიქებს აღნიშნავს. ამდენადვე „აფსარებს" არაფერი აქვთ საერთო „აფშილებთან" ისევე, როგორც არაფერი აქვთ საერთო „აფშილებთან" არც აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან ჩამოსახლებულ აფხაზებს (25).

1997 წელს გამოვიდა დ. მუსხელიშვილის მონოგრაფია „ქიზიყის ძველი ისტორია". აქ ქართული და უცხოური ისტორიული პირველწყაროების, ტოპონიმიის, ისტორიული ძეგლების, ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალის, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე გაშუქებულია ქიზიყის, ანუ ძველი კამბეჩოვანის ისტორია ძველი წელთაღრიცხვის მიწურულიდან ახალი წელთაღრიცხვის XV საუკუნემდე.

ავტორი ადგენს ქიზიყის ისტორიულ საზღვრებს, მის

უძველეს ცენტრებს და მათ მონაცვლეობას. მისი ფიქრით, „ქიზიყი" თავდაპირველად ჩვეულებრივი დაბა-სოფლის სახელწოდება იყო, რომელიც გარკვეული დროიდან ქალაქად განვითარდა. ის განსაზღვრული მხარის ცენტრად უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც გვიან შუა საუკუნეებში თვით ამ ცენტრის სახელი შეერქვა.

ქიზიყის ანუ ძველი კამბეჩოვანის ადრეულ ცენტრად დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს ხორნაბუჯის ციხესიმაგრესა და ქალაქს.

XIV ს-ის მეორე ნახევარსა, ან XV ს-ის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო ცენტრის გადმონაცვლება ხორნაბუჯიდან ქიზიყში. მისი სიტყვით, „ეს უკვე აღარ იყო ძველი კამბეჩოვანი. ეს იყო ახალი "ქვეყანა" რომელსაც სახელიც ახალი შეერქვა, მისი ცენტრის სახელი – ქიზიყი იყო. თვით მის ცენტრს, „ქიზიყს" კი XVIII ს-დან, მას შემდეგ, რაც იქ ერეკლე II-მ ციხე – სიმაგრე ააგო, „სიღნაღი" დაერქვა".

კავკასიაში ჰეგემონიისათვის ბრძოლას ეხება დ. მუსხელიშვილის სტატია „კავკასიური პოლიტიკა საქართველოში (XIII საუკუნემდე)". ამ საინტერესო ნაშრომში იგი წარმოგვიჩენს მისეულ გააზრებას კავკასიაში, როგორც ერთიან რეგიონში, ისტორიულად მიმდინარე პროცესებისას. ავტორის აზრით, ელინისტური ხანიდანვე გამოიკვეთა ორი ძირითადი ძალა, ეს იყო ივერია და სომხეთი, რომელთა ლიდერობას, სიძლიერის გარდა, ამ პროცესში განსაზღვრავდა ამიერკავკასიაში მათი ცენტრალური მდებარეობაც.

პირველ ხანებში სომხეთი აშკარად უტევს; ის ქართლისა და ალვანეთის სამხრეთ პროვინციებს იპყრობს. სტრაბონის მიხედვით, ანექსირებულ ტერიტორიებზე ვრცელდება სომხური, როგორც ოფიციალური სახელმწიფო ენა. დ. მუსხელიშვილის აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს საფუძველი ლეონტი მროველის გადმოცემისა, რომ ძველად „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს".

I-II საუკუნეებში გაძლიერებული ქართლის სამეფო რომის მხარდაჭერით იბრუნებს სომხეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს და ერთხანს თვით სომხეთსაც იპყრობს, უტევს ალვანეთსაც. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახ. წელთაღრიცხვის პირველივე წლებიდან ქართულ სამეფოთა მესვეურები დასავლურ კულტურულ და პოლიტიკურ

ორიენტაციას ირჩევენ. ეს პოლიტიკური კურსი განმსაზღვრელი ხდება საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე. ამანვე განაპირობა ქართლსა და ეგრისში IV ს-ის დასაწყისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება.

VII საუკუნის დასაწყისში იკვეთება ქართლის თავისთავადი ეროვნულ-იდეოლოგიური სახე. საეკლესიო განხეთქილება სომხეთთან არა მარტო სომეხთა კულტურული გავლენის წყაროს მოსპობას ნიშნავდა, არამედ ირანის პოლიტიკური ექსპანსიის უარყოფასაც მოასწავებდა. ქართლმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი კულტურულ-პოლიტიკური პროდასავლური კურსი.

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ისტორიული ფაქტები მიუთითებენ კავკასიის ერთ კულტურულ-სამეურნეო სამყაროდ გადაქცევაზე.

ვახტანგ გორგასლის იდეას მკვიდრი საფუძველი შეექმნა და ბაგრატ III-ის დროინდელი საქართველო კავკასიური სამყაროს გამაერთიანებლის როლს კისრულობდა და ბიზანტიას უპირისპირდებოდა.

კავკასიური სამყაროს ერთიანობის იდეას მოწმობს ლეონტი მროველის მიერ XI ს-ის 70-იან წლებში შექმნილი კონცეფცია, რომლის მიხედვით კავკასიის მთელი მოსახლეობა რვა ღვიძლი ძმის ჩამომავალია. ეს კონცეფცია, კავკასიური სამყაროს ერთიანობის დამასაბუთებელი, ამავე დროს იდეოლოგიურად განამტკიცებდა საქართველოს მესვეურთა პოლიტიკურ კურსს.

დავით აღმაშენებელმა უკვე ერთიანი კავკასიური სახელმწიფო შექმნა, მაგრამ ეს არ იყო იმპერია, სადაც ერთი ხალხი დანარჩენებზე ბატონობდა. პირუკუ, ამიერკავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა მეფეს მხარში ედგა.

საქართველოს სამეფოს მიერ ინკორპორირებული იყო დასავლეთ შარვანის და ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიები ქრისტიანული მოსახლეობით, სადაც საკუთრივ საქართველოსათვის ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი მმართველობა ხორციელდებოდა. დანარჩენი ტერიტორიები ვასალურ ერთეულებს ქმნიდნენ, "ყმადნაფიცის" სტატუსით იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან. მათ შინაგან მმართველობაში საქართველოს სამეფო კარი არ ერეოდა და ერთგულების პირობით მათი უშიშროების გარანტად გამოდიოდა.

ამის შედეგი იყო. რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე. ამანვე განაპირობა ის, რომ

დაეით აღმაშენებლის მიერ შექმნილი საერთო კავკასიური სახელმწიფოებრიობა მის შემქმნელს არ გადაჰყვა და სამი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. ავტორის აზრით, ამიერკავკასიაში მაჰმადიანური და ქრისტიანული სახელმწიფოების თანაცხოვრება უნიკალური მოვლენაა შუასაუკუნეების ისტორიაში საერთოდ. ეს ოპტიმალური მოდელი მისი სიტყვით, „იყო ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურის უმაღლესი სტანდარტების მაჩვენებელი იმდროინდელ მსოფლიოში, როდესაც ჯვაროსნულმა ომებმა მსოფლიო ორ შეურიგებელ ბანაკად გახლიჩა".

დასკვნაში ავტორი აღნიშნავს, რომ კოლხეთსა და იბერიას წარმოქმნისთანავე თან დაჰყვათ სასიცოცხლო მნიშვნელობის სამი დიდი საგარეო პოლიტიკური პრობლემა: 1. ურთიერთობა მეზობელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებთან. 2. ურთიერთობა კავკასიის მთიელებთან და იმიერკავკასიელ ველურებთან. 3. ურთიერთობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიებთან. პირველი და მეორე პრობლემა შუა საუკუნეების საქართველოს დიპლომატიამ წარმატებით გადაჭრა, მაგრამ მესამე—მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა (26).

ამიერკავკასიაში თბილისის გამორჩეულ როლს მიუძღვნა დ. მუსხელიშვილმა ნაშრომი „თბილისი ადრეული შუა საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში" (27).

IV ს-ის მეორე ნახევარში თბილისი უკვე ციხე-ქალაქია, რომელიც ვახტანგ გორგასლის დროს სამეფოს დედაქალაქად იქცა. ავტორის აზრით, სამეფოს ტერიტორიის ზრდამ აღმოსავლეთით, ასევე იმან, რომ კახეთ-ჰერეთთან თბილისი გეოგრაფიულად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე მცხეთა, განაპირობა სამეფოს ცენტრის მცხეთიდან თბილისში გადმოტანა. ამანვე დაუდო საფუძველი თბილისის მნიშვნელობის შემდგომ ზრდას და საბოლოო ჯამში, ამიერკავკასიის ცენტრად გადაქცევის პროცესს.

თბილისი, ავტორის სიტყვით, „ამიერკავკასიაზე გამავალი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალების გადაკვეთის ადგილზეა და ამას არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა მისი, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის აღზევებისათვის"..

ამასთან დაკავშირებით განხილულია „აბრეშუმის გზის" მნიშვნელობაც, რომლის უდიდეს ნაწილს ერანი და ბიზანტია

აკონტროლებდენ. ბიზანტია ახალი გზების ძიებაში იყო ერანის აჟლით, რაც დააკავშირებდა შორეულ აღმოსავლეთთან. აქ მის მოკავშირედ გამოჩნდა თურქთა სახაკანო, რომელიც ერანისადმი მტრულად იყო განწყობილი: ეს კავშირი კი ამიერკავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა. დ. მუსხელიშვილის აზრით, ჰერაკლე კეისრისა და ჯიბღუ ხაკანის მაინცდამაინც თბილისთან შეხვედრა განპირობებული იყო ერანზე გამავალი „აბრეშუმის გზის" ალტერნატიული მაგისტრალის გაკვლევის მცდელობით. თბილისის სპარსელთა კონტროლისაგან განთავისუფლებით ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი როგორც ჰერაკლე კეისარი, ისე ჯიბღუ ხაკანი. შესაძლებელი ხდებოდა დარუბანდ–დარიალის გასასვლელების „აბრეშუმის გზის" სისტემაში ჩართვა. ამ შემთხვევაში კი, თბილისი გადაიქცეოდა უმნიშვნელოვანეს პუნქტად ამიერკავკასიაში ამ საერთაშორისო მაგისტრალზე და მასზე კონტროლი ძალზე მომგებიანი იქნებოდა.

არაბთა შემოსევებმა დარუბანდისა და დარიალის გზები სავაჭრო – ეკონომიკურის მაგივრად სამხედრო გზებად აქციეს; თბილისს კი არაბებისთვის უპირატესად ხაზართა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაპირისპირების ფოსპორტის მნიშვნელობა უნდა მისცემოდა.

თბილისის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის ხელმეორე მძლავრი აღორძინება X ს-დან იწყება. მთელი რეგიონის გამაერთიანებელი მძლავრი იმპულსების გარდა, ეს პროცესი კვლავ საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის გაცხოველებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რომელშიც ჩრდილოეთის გზას არამცირედი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

სტატიაში „საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები" დ. მუსხელიშვილმა ამ საკითხზე თავის ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯამებასთან ერთად, ახალი დასაბუთებაც წარმოგვიდგინა.

აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს უცხოურ წყაროებში ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დამოწმებულ ეთნო-ტოპონიმიურ ფაქტებზე, რომლებიც ზედმიწევნით შემოფარგლავენ ქართული სახელმწიფო ტერიტორიის მიჯნებს. I ს-ის რომაელი მწერალი პლინიუსი იხსენიებს კავკასიონის ქედში გაჭრილ ბუნებრივ გასასვლელს, რომელსაც იგი „კავკასიის კარს" ანუ „იბერიის

კარს" უწოდებს. ესაა გვიანდელი „დარიალანი".

ქართლის სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, ერთი სომხური წყარო ასახელებს „ქართლის მთავარ გზას," ევფრატ-ჭოროხის წყალგამყოფზე მდებარე გადასასვლელს. ქართულ წყაროებში მას „გზაჲ ქართლისაჲ" ეწოდება და დღევანდელ „გურჯი-ბოღაზს" გულისხმობს.

ძვ. წ. I ს-ის ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი ევფრატ-ჭოროხისა და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედთა სისტემას „მოსხურ მთებს" ანუ მესხების მთებს უწოდებს. ქედების ამავე სისტემას „იბერიის" მთების სახელით იცნობს II ს-ის დასაწყისის რომაელი მწერალი პლუტარქე.

ქვემო ქართლის პროვინციას სტრაბონი „გოგარენეს" უწოდებს. ეს ეთნო-ტოპონიმი, რომელშიც ძველი ქართული ტომის („გოგარების", გუგარების) სახელია აღბეჭდილი, ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო სოფ „გოგარანის" სახელწოდებაში, მტკვარ-არაქსის წყალგამყოფის ძირში.

ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე, მდ. ძეგამჩაის შესართავის მახლობლად (დღ. აზერბაიჯანში), მტკვრის ნაპირას მყოფ ციხე ქალაქს „ხუნანი" ერქვა. ესეც უეჭველად ქართული ტოპონიმია, რომელიც სომხურ წყაროებში V ს-დან მაინც მოიხსენიება.

რაც შეეხება უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს, ის აღნიშნულია „გურჯი დაღის" ქედით აზერბაიჯანში.

